


21
1947

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის



შ რ ო მ ა ბ ი

Т Р У Д Ы

TRAVAUX

ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО
УНИВЕРСИТЕТА
ИМЕНИ СТАЛИНА

DE L'UNIVERSITÉ
STALINE
à TBILISSI (Tiflis)

XXXb — XXXIb

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის



შრომები

Т Р У Д Ы

ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО
УНИВЕРСИТЕТА
ИМЕНИ СТАЛИНА

TRAVAUX

DE L'UNIVERSITÉ
STALINE
à TBILISSI (Tiflis)

XXXb — XXXIb

18/x₁ 7
5
196

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
Издательство Тбилисского государственного университета им. Сталина

თ ბ ი ლ ი ს ი

1947

დაიბეჭდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით

პასუხისმგებელი რედაქტორი პროფ. ნ. კეცხოველი
საქ. მეცნ. აკადემიის ნამდვილი წევრი

1887—1947

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნაგლეხ ნაპრს
პროფესორ

აკაკი შანიძეს
დაბადებიდან 60 წლისთავზე

Д. ЧЛЕНУ АКАДЕМИИ НАУК Груз. ССР
ПРОФЕССОРУ

А. Г. ШАНИДЗЕ
К 60-ЛЕТИЮ СО ДНЯ РОЖДЕНИЯ



ა. შანი

XXX b — XXXI b ტომის

შინაარსი

აკაკი შანიძე (ბიოგრაფიული ცნობები)	01
აკ. შანიძის შრომების ბიბლიოგრაფია	07
1. იასე ცინცაძე, ტოლოჩანოვისა და იევლევის იმერეთში ელჩობის «მუხლობრივ აღწერილობათა» საკითხისათვის.	1
2. კ. კეკელიძე, ბიზანტიური მეტაფრასტიკა და ქართული აგიო- გრაფია	19
3. ლ. მელიქსეთ-ბეგი, ანტონ I-ის «მზამეტყველების» ლათინურ- სომხური წყაროები	97
4. ს. დანელია, ორმოციანი წლების ინტელიგენცია ტურგენევის ასა- ხვაში	113
5. А. Чхеидзе, «История Пугачева» Пушкина и царская цен- зура	135
6. მ. კვესელავა, «დოქტორ ფაუსტის» ინგლისური თარგმანის შესახებ	177
7. ივ. იმნაიშვილი, ადიშის ოთხთავი რედაქციულად	183
8. ნ. კეჭალმაძე, 'ΑΛΛΗΛΕΙΝ	237
9. რ. ლამბაშიძე, ინგილოური კილო	249
10. ილ. აბულაძე, «ვეფხისტყაოსნის» ლექსიკიდან. 2. გა[ნ]ქიქება	295
11. მ. ხუბუა, სალექსიკოლოგიო მუშაობის ისტორიისათვის სპარსულში	303
12. ალ. ბარამიძე, «ქართლის ცხოვრების» რუმინანცვესიული ხელნა- წერის გამო	311
13. ლ. კიკნაძე, პირველი სერიის მწკრივთა წარმოებასთან დაკავშირე- ბული საკითხები	317
14. ქეთ. ძოწენიძე, ემფატიკური ხმოვანი ძველ ქართულში	345
15. გ. როგავა, დისიმილაციური დეზაფრიკატიზაციის ერთი სახეობა ზანურში	351
16. გ. ახვლედიანი, თანხმოვანთა აქცესიური კომპლექსების საკითხი- სათვის ქართულში	357
17. ვლ. ფანჩვიძე, აბსოლუტივის ფორმები, მათი წარმოება და ფუნქ- ციები უღურ ენაში	363
18. თ. ყაუხჩიშვილი, ბერსუმა პიტიახშის წარწერისათვის	377



19. არნ. ჩიქობავა, აქუს-ფუძის უცნობი ვარიანტებისათვის ქართულში	381
20. დიმ. მგელაძე, საგან-სიტყვის მნიშვნელობის გამო	393
21. ფუკ. ბერიძე, ვეფხისტყაოსნის პროლოგის ერთი ნაწილის შედგენილობისათვის	395
22. ქ. ლომთათიძე, ქცევის კატეგორიისათვის აფხაზურ ზნაში	411
23. სიმ. ყაუხჩიშვილი, ბერძნულ-ქართული სემასიური პარალელები: 4. რომელი	421
24. ს. ელენტი, ფონეტიკური შენიშვნები სვანეთის ქართულ წარწერებზე	429
25. ს. ჯიქია, შენიშვნები „სიმინდ-სემიდალის“ შესახებ	437
26. ივ. ქავთარაძე, დ და რ თავსართები ქართულ ზმნებში	447
27. ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვა-წარმოებიდან. IV. ხმოვანთავსართოვანი სახელები	451
28. გ. წერეთელი, ზმნის ზოგიერთი ძირითადი ფორმის წარმოებისათვის ბუხარის არაბულ დიალექტში	461

СОДЕРЖАНИЕ

Ак. Шанидзе — Биографические сведения	01
Библиография к трудам проф. Ак. Шанидзе	07
1. И. Цинцадзе, К вопросу о статейных списках Толочанова и Иевлева	1
2. К. Кекелидзе, Византийская метафрастика и грузинская агиография	19
3. Л. Меликсет-Бег, Латинско-армянские источники „Готового ответа“ Антония I	97
4. С. Дanelия, Интеллигенция 40-ых годов в изображении Тургенева	113
5. А. Чхеидзе, «История Пугачева» Пушкина и царская цензура	135
6. М. Квесселава, Об английском переводе немецкого сказания о докторе Фаусте	177
7. И. Имнайшвили, Адишский четвероглав в редакционном отношении	183
8. Н. Кечамадзе, 'Αλαπλάξεν	237
9. Р. Гамбашидзе, Ингилойское наречие	249
10. И. В. Абуладзе, Из лексики «Вепхисткаосани». 2. „ზაქიქობა“	295
11. М. Хубуа, К истории иранской лексикологии	303
12. А. Барамидзе, По поводу Румянцевской рукописи «Картлис Цховреба»	311
13. Л. Кикнадзе, К образованию скрив первой серии в грузинском языке	317
14. К. Дзоценидзе, Эмфатический гласный в древне-грузинском	345
15. Г. Рогава, Один вид диссимилятивной дезафрикатизации в занском	351
16. Г. Ахвледiani, К вопросу об акцессивных комплексах согласных в грузинском языке	357
17. Вл. Панчвидзе, Образование и функции форм абсолютива в удинском языке	363
18. Т. Каухчишвили, По поводу надписи питахша Берсума .	377



19. Арн. Чикобава, Неизвестные донные варианты глагольной основы აქვს akw-s в древне-грузинском языке 381
20. Дим. Мгеладзе, К вопросу о значении слова სგებო 393
21. Вук. Беридзе, К вопросу о составе одной части пролога «Вепхисткаосани» 395
22. К. Ломтатидзе, О категории «версия» в абхазском глаголе 411
23. С. Каухчишвили, Греческо-грузинские семасические параллели. 4. რამელო 421
24. С. Жгенти, Фонетические заметки о грузинских надписях из Сванетии 429
25. С. Джикия, Заметки по поводу «симинди-семидали» 437
26. И. Кавтарадзе, Префиксы ღ и ႁ в грузинских глаголах 447
27. В. Топурия, Заметки по словообразованию в картвельских языках. IV. Производные имена с гласными префиксами 451
28. Г. Церетели, К образованию некоторых основных глагольных форм в арабском диалекте Бухары 461

აკადემიკოსი
აკაკი შანიძე
(ბიოგრაფიული ცნობები)

აკაკი გაბრიელისძე შანიძე დაიბადა 1887 წლის 26 თებერვალს სოფელ ნოლაში (გურიაში). პირველდაწყებითი განათლება მიიღო სოფლის სკოლაში; 1897 წელს იგი შევიდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ (1904 წ.) გადავიდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. 1909 წელს დაამთავრა გიმნაზია და ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე (სომხურ-ქართული სიტყვიერების დარგზე), სადაც სწავლობდა ალ. ცაგარელის, ნ. მარის, ივ. ჯავახიშვილის, ვ. შუქოვსკის, ვ. ბარტოლდის, კ. კოკოვცევის და ე. კრაჩკოვსკის ხელმძღვანელობით.

უნივერსიტეტის კურსის დამთავრების შემდეგ, 1913 წელს, დატოვებულ იქმნა იქვე საპროფესორო მოღვაწეობისათვის მოსამზადებლად. 1915 წელს ჩააბარა ზეპირი სამაგისტრო გამოცდები და შეუდგა გამოკვლევის ბეჭდვას ქართული ზმნების პირიელ პრეფიქსებზე (ბეჭდავდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემია, ხოლო 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ მისი ბეჭდვა შეფერხდა; ეს გამოკვლევა შემდეგ, 1920 წელს, გამოქვეყნდა თბილისში).

1917—18 წლებში აკ. შანიძე შედიოდა თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელთა საინიციატივო ჯგუფში და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა უნივერსიტეტის ორგანიზაციის საქმეში. უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ იგი მიწვეულ იქმნა პროფესორის მოვალეობის აღმასრულებლად და გარდა ამისა ასრულებდა მთელ რიგ თანამდებობას: იყო სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მდივანად (1918—1920 წწ.), პროფესორთა საბჭოს მდივანად (1919—1921 წწ.), ბიბლიოთეკის დირექტორად (1918—1921 წწ.); 1919—1945 წლებში განაგებდა ქართული ენის კათედრას, ხოლო 1945 წლიდან, კათედრის ორად გაყოფის შემდეგ, განაგებს ძველი ქართული ენის კათედრას.

1920 წელს პროფესორთა საბჭოს წარუდგინა შრომა „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“, რომლის დაცვის შემდეგაც მიენიჭა დოქტორის ხარისხი და პროფესორის წოდება.

1919 წლიდან მოკიდებული კითხულობდა ლექციებს შემდეგ დისციპლინებში: ქართული ენა (ძველი და ახალი), ქართული დიალექტოლოგია, სვანური ენა, ძველი სომხური ენა, არაბული ენის გრამატიკა და ქართველური ენების შედარებითი გრამატიკა.



უნივერსიტეტის გარდა კითხულობდა ლექციებს აგრეთვე ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში (1935—36 წ.) და პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე თბილისში (1933, 1934, 1935); 1946 წლიდან განაგებს ქართული ენის კათედრას აგრეთვე პუშკინის სახელობის თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

1933—1936 წლებში განაგებდა ქართული ენის სექტორს რუსთაველის ინსტიტუტში, 1936—1940 წლებში მუშაობდა სსსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტში ქართველური ენების სექტორის გამგედ.

1941 წლის 22 თებერვალს დამტკიცებულ იქმნა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. 1946 წლიდან ამავე აკადემიაში განაგებს საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებას.

1923—1930 წლებში იყო წვერი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობისა და ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების გამგეობისა.

იღებდა მონაწილეობას ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენ კომისიაში, რომელიც არსებობდა საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან, ხოლო 1946 წლიდან დანიშნულია სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის წევრად.

აკ. შანიძე იღებდა მონაწილეობას აგრეთვე მთელ რიგ სამეცნიერო დაწესებულებებში, სადაც გამოდიოდა მოხსენებებით. წაიკითხა სამეცნიერო მოხსენებები ორიენტალისტთა XVII საერთაშორისო კონგრესზე (1928 წ., ოქსფორდში), აღმოსავლეთმცოდნეთა სრულიად უკრაინის II ყრილობაზე (1929 წ., ხარკოვში), სამხარეთმცოდნეო ყრილობაზე ბათუმში (1925 წ.), აგრეთვე მოხსენებებით გამოდიოდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების, ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების, რუსთაველის ინსტიტუტის, ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტის, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების საჯარო სხდომებზე.

იმ დიდი დამსახურებისათვის, რომელიც მიუძღვის აკ. შანიძეს მეცნიერებისა და საზოგადოების წინაშე, იგი არჩეულ იქმნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად (1939. I. 28), საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად (1941. II. 22), სომხეთის აკადემიის ისტორიისა და ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრად (1938. IX. 11), პრალის (ჩეხოსლოვაკიის) აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის წევრ-კორესპონდენტად (1937. III. 1). 1938 წელს არჩეულ იქმნა ქ. თბილისის კიროვის სახ. რაიონის მშრომელთა საბჭოს დეპუტატად, ხოლო 1941—44 წლებში იყო ამავე რაიონის აღმასკომის წევრი.

1938 წლის 29 მაისის ბრძანებულებით იგი დაჯილდოვებულ იქნა უმაღლესი საბჭოს სიგელით; საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს 1943 წლის 11 ნოემბრის ბრძანებულებით მას მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. აკ. შანიძე დაჯილდოვებულია ორდენით „საპატიო ნიშანი“ (1941. II. 14), „შრომის წითელი დროშის“ ორდენით (1945 წ. ივნისი) და მედლით „მამაცური შრომისათვის 1941—1945 წ.წ. დიდ სამამულო ომში“ (1945. VI. 6).

აკ. შანიძის სამეცნიერო მოღვაწეობა მრავალმხრივია. მის კალამს ეკუთვნის გამოკვლევები ქართველური ენების შესახებ, ქართულ დიალექტებზე, ქართული პალეოგრაფიისა და ეპიგრაფიკის საკითხებზე, ქართულ ხალხურ პოეზიაზე, ქველ-ქართულ ტექსტებზე, სომხურ ენაზე.

აკ. შანიძის პირველი დიდი გამოკვლევა „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“ (1920) საფუძველი გახდა ქართული ზმნის საკითხთა კვლევის საქმეში. ამ შრომამ ნათელი გახადა, თუ საითკენ უნდა წარმართულიყო ჩვენს პირობებში ქართული ენათმეცნიერების მუშაობა: სახელდობრ, გარდა თვით კერძობითი, აღნიშნული პრეფიქსების, საკითხისა, ამ შრომამ ნათელი ჰყო, რომ ქართველური ენების სტრუქტურის კვლევა ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისით უნდა წარმოებდეს.

ამ შრომის შემდეგ აკ. შანიძე დაულალავად მუშაობს ქართული გრამატიკის ცალკეულ საკითხზე და ყოველ მის ნაკვლევში ახალი, გეზის მიმცემი, დებულებებია წამოყენებული. ასე, მაგალითად, გამოკვლევაში „ქართული ზმნის საქცევი“ (1925) დადგენილია ზმნის ახალი კატეგორია — ქცევა, რომელიც გამოხატავს კუთვნილებით მიმართებას ზმნით გამოხატულ მოქმედებასა და სუბიექტ-ობიექტს შორის, გამოყოფილია ქცევის ძირითადი სახეები (შემდეგ გამოკვლევებში საბოლოოდ დადგენილია სამი სახე ქცევისა) და მოცემულია მათი მორფოლოგიურ-სინტაქსური ანალიზი. ქართული გრამატიკის ცალკეულ საკითხთა კვლევის შედეგები შეჯამებულია აკ. შანიძის მიერ „ქართულ გრამატიკაში“ (1930) და „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“ (1942—1943). ამ შემაჯამებელ შრომებში პირველად არის წარმოდგენილი ახალი ქართული ენის გრამატიკული სისტემა, მართებულ მეთოდოლოგიურ საფუძველზე აგებული. ამ ნაშრომებში დადგენილია და გარკვეული ქართულისათვის დამახასიათებელი კატეგორიები (კანკლედობათა ტიპები, ზმნის მრავალპირიანობა, დრო-კილოთა სერიები, გზის, ქცევის, სახის, მწკრივის, გეზის, აქტის და სხვა კატეგორიები).

ქართული ენის შესწავლასთან ერთად აკ. შანიძე ყურადღებას აქცევს სხვა ქართველური ენების შესწავლასაც: „*Два чано-мингрельских суффикса в грузинском и армянском языках*“ (1916), „*უმლაუტი სვანურში*“ (1925) და სხვ.

აკ. შანიძე არის ამავე დროს ქართული დიალექტოლოგიის თვალსაჩინო მუშაკი. რაკი დადგენილი იყო საჭიროება ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისისა ქართველური ენების კვლევის საქმეში, ბუნებრივია დიდი მნიშვნელობა მიეკუთვნებოდა ცოცხალი კილოების შესწავლას და აგრეთვე ძველ ქართულ ტექსტებში დიალექტიზმების ძიებას. ნ. მართან და ივ. ჯავახიძე



შვილთან ერთად აკ. შანიძე საფუძველს უდებს ქართველური ენის დი-
ლექტების შესწავლას. ამ მიზანს ემსახურება ჯერ კიდევ 1916 წელს მის მიერ
(იოსებ ყიფშიძის თანაავტორობით) გამოცემული „პროგრამა ქართული
ენის დიალექტური (კილოკავური) მასალების შესაკრებად“ (Петроград 1916,
24 стр.) და მისი შრომები „ქართული კილოები მთაში“ (1915), ხევსურული
მასალების გამოცემა (1924), სვანური პოეზიის და პროზის კრებულების გამო-
ცემა (1939) და მისი გამოკვლევები ხანმეტი და ჰემეტი ძეგლების შესახებ.

საგანგებოდ აღსანიშნავია აკ. შანიძე როგორც ფილოლოგის. რო-
გორც ივ. ჯავახიშვილი თვლიდა, რომ საფუძვლად თავისი მსჯელობისა ისტო-
რიკოსმა უნდა გაიხადოს ტექსტები, კრიტიკულად დამუშავებული და გამოკლე-
ული, ისე აკ. შანიძე თავისი ენათმეცნიერული კვლევა-ძიების საფუძვლად
თვლის ძველსა და ახალ ქართულ ტექსტებს, რომელთა დამუშავებას, გამო-
კვლევას და გამოცემას ის ანდომებს თავისი დროის დიდ ნაწილს. ყოველმხრივ
სანიმუშოა მისი გამოცემები „თარგმანებაჲ ქებისა ქებათაჲსაჲ“ (1924), „ხანმეტი
ლექციონარი“ (1929), „ქართული ხალხური პოეზია“ (1931), „შოთა რუსთველი.
ვეფხისტყაოსანი. ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა“, აღდგენილი ტექსტი
(1937), „ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნა-
წერის მიხედვით“ (1945), „ხანმეტი ლექციონარი, ფოტოტიპიური რეპროდუქ-
ცია“ (1944), ისევე როგორც სანიმუშოა მისი გამოკვლევები და მოხსენებები
ქართული პალეოგრაფიის, ეპიგრაფიკის და კრიპტოგრაფიის დარგში.

დიდა აკ. შანიძის ღვაწლი ლექსიკოგრაფიის დარგშიც. მას ეკუთ-
ვნის სანიმუშოდ შედგენილი ლექსიკონები და სანიმუშოდ გამოცემული სხვათა
ლექსიკონები. მან შეადგინა და დაბეჭდა ლექსიკონები: 1) ვაჟა-ფშაველას
თხზულებათა (1922, 1930, 1932, 1946), 2) ვაბუშორის ხევსურული მასალებისა
(1924), 3) ხანმეტი ლექციონარისა (1944), 4) გიორგი მთაწმიდელის თხზულე-
ბისა „ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმესი“ (1946). მანვე გამოსცა ი. ყიფშიძის
თანარედაქტორობით „საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონი“ (1928)¹.

აკ. შანიძის ღვაწლი მეცნიერებისა და საზოგადოების წინაშე არ ამოიწუ-
რება მისი სამეცნიერო შრომებით. მეცნიერებასა და საზოგადოებას დასდო მან
ღვაწლი აგრეთვე თავისი პრაქტიკული საქმიანობით, უმაღლესი სკოლის ცხოვ-
რებაში ცხოველი მონაწილეობით და საბჭოთა საზოგადოებრივ დაწესებულე-
ბებში აქტიური მუშაობით. საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პირველ
ყოვლისა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში) და
მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში მან აღზარდა რამდენიმე თაობა მეც-
ნიერ-მუშაკთა: უფროსი თაობა აკ. შანიძის სკოლაში გაწვრთნილი შეგირდებისა
დღეს უკვე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები არიან; მომდევნო თაო-
ბები არიან მეცნიერებათა დოქტორები და პროფესორები, მეცნიერებათა კანდი-
დატები და დოცენტები, უფროსი მასწავლებლები და ასისტენტები. საქართვე-
ლოს უმაღლეს სკოლებში და სამეცნიერო დაწესებულებებში მომუშავე ქართული

¹ ზემოთ მოხსენებულით არ ამოიწურება აკ. შანიძის შრომათა შეფასება. მისი ნაშრო-
მების სრული სია იხ. აქვე (გვ. 07—020).

ენის სპეციალისტები — ყველანი უკლებლივ — მისი სკოლიდან არიან განაყოფი და არა მარტო ქართული ენის სპეციალისტები: ბევრ იმ მუშაკს, რომელიც დღეს წარმატებით მოღვაწეობს არმენოლოგიის, ირანისტიკის, სემიტოლოგიისა და თურქოლოგიის დარგებში, თავისი მეცნიერების პირველი საფუძვლები აკაკი შანიძესთან აქვს შესწავლილი.

აკ. შანიძე აქტიურად არის ჩაბმული აგრეთვე ჩვენი საშუალო სკოლის საქმიანობაში: განათლების სამინისტროს საშუალო სკოლის სამმართველოს აწოდებს ის ქართული ენის სახელმძღვანელოებს საშუალო სკოლისათვის და სხვათა მიერ შედგენილ სახელმძღვანელოთა განხილვაში და რედაქციაში იღებს მონაწილეობას.

ასე მრავალმხრივია აკ. შანიძის მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. მართალია, მან მუშაობა ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტში ყოფნისას დაიწყო. მაგრამ 1917 წლამდე, ძირითადად, ის ჯერ კიდევ სწავლობდა (ასპირანტი იყო): თავისი ნიჭის გაშლა და მეცნიერული პოტენციის გამომჟღავნება მან შესძლო მხოლოდ მის შემდეგ, რაც 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამ შეაძლებინა საინიციატივო ჯგუფს ივანე ჯავახიშვილის შეთაურობით დაეარსებინა თბილისის უნივერსიტეტი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების მხრუნველობის წყალობითგახდა სამჭედლო ქართული მეცნიერული აზრისა. თვით აკ. შანიძეს ძლივს ახსოვს, ალბათ, რომ თბილისის უნივერსიტეტი, რომელიც დღეს მოთავსებულია ოთხ უზარმაზარ კორპუსში და ითვლის 650 მეცნიერ-მუშაკს, მისი დაარსების პირველ თვეებში მხოლოდ ერთი კორპუსის ერთი სართულის ერთ კორიდორში იყო დაბინავებული და მხოლოდ 16 მეცნიერ-მუშაკი ჰყავდა. მხოლოდ ჩვენს დიად სტალინურ ეპოქაში შეეძლოთ ასე მძლავრად გაეშალათ თავისი მუშაობა დღევანდელ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ-მუშაკთ და მათ შორის აკაკი შანიძესაც.

ბ. კახიანი

ბ. უნიკის შრომების ბიბლიოგრაფია

I. შრომების ქრონოლოგიური საკითხავლო

1913

1. Отчет о летней командировке 1913 года в Душетский и Тиюнетский уезды Тифлисской губернии для изучения грузинских говоров: Изв. Академии Наук, 1913, стр. 1069—1074.

1914

2. Нынешние эквиваленты географических названий Арагвского ущелья по описанию 1774 г.: Хр. Вост., 1914, т. 3, стр. 212—214.

1915

3. ქართული კილოები მთაში. — წიგნში: კრებული ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, თბ. 1915, გვ. 187—202.

1916

4. Программа для собирания диалектических материалов по грузинскому языку. [პარალელური ტექსტი ქართულად: პროგრამა ქართული ენის დიალექტური (კილოკავური) მასალების შესაკრებად]. — (Подсобия по арм.-груз. филологии. 4.) Пгр. 1916, 24 стр. [იოსებ ყიფშიძის თანაავტორობით]. გამოცემულია ავტორთა დაუსახელებლად.

5. Два чано-мингрельских суффикса в грузинском и армянском языках. I. Суффикс происхождения: -არ -აგ в груз. языке. II. Глагольный суффикс -ում -ით в североармянских наречиях и говорах. Пгр. 1916. стр. 365—372.


1918

6. ვინაობის სუფიქსი არ ქართულ ენაში: განათლება, 1918, № 1, გვ. 21—26.

7. „მცა“ ნაწილაკი ძველს ქართულში: პრომეთე, 1918, № 1, გვ. 79—80.

1919

8. ნასახელარი ზმნები ქართულში: ტფ. უნივერსიტეტის მოამბე, 1919, ტ. I, ნ. 1, გვ. 87—96.



1920

9. სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში. თბ. უნივერსიტეტის გამ. 1920, VIII, 210 გვ.

1921

10. სალიტერატურო ქართულისათვის. პროექტი ქართული ორთოგრაფიის საღაო საკითხების მოსაწესრიგებლად, შემუშავებული საორგანიზაციო კომისიისა და მიღებული სასწავლო კომიტეტის მიერ (მასალები კონფერენციისათვის). თბ. 1921, 53 გვ. [კ: კეკელიძის, გ. ახვლედიანის, ვ. ბერიძის და ს. გორგაძის თანავტორობით].

11. ქართული კრიპტოგრაფიის ახალი ნიმუშები: საქ. მუზ. მოამბე, 1921, ტ. 1, გვ. 63—68.

1922

12. ვაჟა-ფშაველას თხზულებათა ლექსიკონი. — წიგნში: ვაჟა-ფშაველა. ტ. 1. ლექსები. ს. აბაშელის რედ. 1922, გვ. 243—268 (გადაბეჭდილია: გამოც. II, 1928, გვ. 267—296).

13. ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ვმარებისა ვმოვნების წინ ქართულ ზმნებში: თბ. უნივერსიტეტის მოამბე, 1922—1923, ტ. 2, გვ. 262—281.

14. პროფ. ალექსანდრე ცაგარელი. მისი 50 წლის სამეცნიერო მოღვაწეობის გამო: ლომისი, 1922, № 10, გვ. 1—2.

1923

15. უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო. I. ლიტერატურული ცნობა ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ტექსტების შესახებ შეთერთმეტე საუკუნის მწერლობაში: თბ. უნივერსიტეტის მოამბე, ტ. 2, 1922—1923, გვ. 398—416.

II. ჰემეტობა ადიშის სახარებაში: იქვე, გვ. 417—424.


16. ჰემეტო ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის: თბ. უნივერსიტეტის მოამბე, 1923, ტ. 3, გვ. 354—388.

17. ოცობით თვლა და ათობით წერა ქართულში: ჩვ. მეც. 1923, № 1, გვ. 108—112.

1924

18. თარგმანებაი ქებისა ქებათაისაი. პალეოგრაფიული რვეული: თბ. სახ. უნივ. სტუდ. კავშ. გამ. 1924, ტ. IV, გვ. 35 ლითოგრ.

19. Miscellanea. 1. დაეით აღმაშენებლის მიერ შიო მღვიმისათვის დაწერილი ანდერძის დასაწყისი სიტყვები. 2. „დიონოსი“ ვეფხის ტყაოსნისა: ჩვ. მეცნ., 1924, № 8, გვ. 47—52.



20. Miscellanea. 3. მაჩხიტისძის ჩინი. 4. ოცობით თვლა და ათობით წერა ქართულში: ჩვ. მეცნ., 1924, № 11—12, გვ. 7—14.
21. წინასიტყვაობა და რედ.: ბეს. გაბუერი. ხევსურული მასალები: წელიწდეული, 1924, გვ. 119—258.
22. ლექსიკონი ბეს. გაბუერის ხევსურული მასალებისა: იქვე, გვ. 259—330.
23. [ბესარიონ გაბუერის] კვესურული მასალების გამო: იქვე, გვ. 333—336.

1925

24. უმლაუტი სვანურში. — წგნ: არილი, თბ. 1925, გვ. 171—232.
25. შემთხვევა ბერძნული სიტყვის აკუსტიკური ფორმით სესხებისა სვანურში: თბ. უნივერსიტეტის მოამბე, 1925, ტ. 5, გვ. 254—256.
26. „წელიწადის“ ეტიმოლოგიისათვის: წელიწდეული, 1925, გვ. 1—11.

1926

27. ქართული ზმნის საქცევი: თბ. უნივერსიტეტის მოამბე, 1926, ტ. 6, გვ. 312—338.
28. Miscellanea. 5. იოანე მტბვერის ვინაობისათვის. 6. კვლავ მანგლის წარწერების შესახებ. 7. არადეთის წარწერები. 8. კრიპტოგრაფიული მასალები: მიმომხილველი, 1926, ტ. 1, გვ. 220—243.

1927

29. ხანმეტი მრავალთავი: თბ. უნივერსიტეტის მოამბე, 1927, ტ. 7, გვ. 98—159, 2 ტბლ.
30. ჰუგო შუხართი (1842—1927): კომუნისტი, 1927, № 102, 8/V. გვ. 3.

1928

31. ბოლოსიტყვაობა და რედ.: Hugo Schuchardt. Mittheilungen aus georgischen Handschriften: თბ. უნივერსიტეტის მოამბე, 1928, ტ. 8, გვ. 247—376. ტბლ.
32. წინასიტყვაობა და რედ.: ორბელიანი სულხან-საბა. ქართული ლექსიკონი. პროფ. იოსებ ყიფშიძის თანარედაქტორობით: გამომც. ქართული წიგნი. 1928, 32, 480 გვ.

1929

33. ქართული ხელნაწერები გრაცში: თბ. უნივერსიტეტის მოამბე, 1929, ტ. 9, გვ. 300—353.
34. ხანმეტი ლექციონარი (ტექსტი). გამოსცა ა. შანიძემ: თბ. უნივერსიტეტის მოამბე. 1929, ტ. 9, გვ. 1—16.
35. ქართული ზმნის სამპირიანობის გამო: კულტ. აღმშ., 1929, № 9 (57), გვ. 908—911.



1930

36. ქართული გრამატიკა. I. მორფოლოგია. თბ. სახ. უნივერსიტეტის გამ. 1930, 214 გვ.

37. ვაჟა-ფშაველას თხზულებათა ლექსიკონი. — წიგნში: ვაჟა-ფშაველა. ტ. 3. პოემები. თბ. 1930, გვ. 405—455. ტ. 4. პოემები. თბ. 1932. გვ. 449—476.

38. პროფ. ალექსანდრე ცაგარელი (1844—1929). ნეკროლოგი: თბ. უნივერსიტეტის მოამბე, 1930, ტ. 10, გვ. 7—12.

39. წინასიტყვაობა. — წიგნში: თედორაძე, გიორგი. ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში. პროფ. ა. შანიძის წინასიტყვაობით, ეთნოგრაფიული ნარკვევები მხატვრული ილუსტრაციით. თბ., 1930, XII, 208 გვ.

1931

40. ქართული ხალხური პოეზია. I. ხევსურული. თბ. სახელგამი [1931], 31, 706 გვ.

1933

41. ქართული ენა. თბ. დაუსწრებელი პედაგოგიური ინსტიტუტის გამ., განაკვ. V—VI. ზმნა. პირი და რიცხვი ზმნისა. 1933. გვ. 1—89. განაკვ. VII. ქცევა, გვარი, გზა. გვ. 4—14. განაკვ. VIII. დრო, კილო. ასპექტი. გვ. 16—47. განაკვ. 9. უღვლილება. გვ. 48—53. ლითოგრ. გამ.

42. ერთი წიგნის ბედი: წიგნი (სახელგამის ყოველთვიური ჟურნალი), 1933, № 2—3 (5—6), გვ. 21—23.

43. ინსტრუქცია ქართულ-რუსული ლექსიკონის შესადგენად. გამოცემა ქართ. საბჭ. დიდი ენციკლოპედიისა (ლითოგრაფიული) 37 გვ.

1934

44. ძველი ქართული ენა და ლიტერატურა. ქრესტომათია [ალ. ბარამიძის და ილ. აბულაძის თანაავტორობით]. თბ. სახელგამი. სასწ. პედ. სექტორი, 1934, 306 გვ. იგივე, მე-2 გამ. (1935), მე-3 გამ. (1936), მე-4 გამ. (1937), მე-5 გამ. (1936), მე-6 გამ. (1939), მე-7 გამ. (1940), მე-8 გამ. (1942). აწერილია მე-7 გამოცემის მიხედვით. ა. შანიძეს ეკუთვნის დამატებანი: 1. უძველესი ნიმუშები ქართული ენისა (გვ. 237—245). 2. ძველი ქართული ენა. (მოკლე მიმოხილვა), გვ. 246—279. 3. რიცხობრივი მნიშვნელობა (ქართული) ასოებისა. (გვ. 280—281). 4. ქართული წელთაღრიცხვა (გვ. 282—283). 5. ქართული წერის ნიმუშები (გვ. 285—301).

45. „Шах-Нама“ Фердовси в грузинском фольклоре: Заря Востока. 1934, № 221.

46. რედ. ფირდოუსი აბუ-ლ-ყასიმ ტუსელი. შაჰ-ნამე [პოემა]. ქართული ვერსიები. ტ. 2. 1934. 469, 3 გვ., 9 ჩ. ფ. ილ. [იუსტ. აბულაძის, პ. ინგოროყვას, ა. ბარამიძის და კ. კეკელიძის თანარედ.]. თბ. სახ. უნივერსიტეტის გამ. [ა. შანიძეს ეკუთვნის რედაქცია სტროფებისა: 4252—4900].

1935

47. ძველი ქართულის ქრესტომათია ლექსიკონითურთ. I. ქრესტომათია. თბ. სახ. უნივერსიტეტის გამ., 1935, XIII, 111 გვ. (Caucasus polyglottus. 1).
48. ქართული სტამბის ისტორიისათვის. თბ. 1935.
49. შაჰნამეს ერთი ეპიზოდი ქართულ ფოლკლორში. თბ. 1935.
50. რედ. და წინასიტყვაობა: ნინოშვილი, ეგნატე. პარტახი. [მოთხრობა გურიის გლეხ-კაცის ცხოვრებიდან]. ავტოგრაფის მიხედვით გამოცემული შენიშვნებითა და ლექსიკონითურთ. პროფ. ა. შანიძის რედ. თბ. სახ. უნივერსიტეტის გამ. 1935, V. 118 გვ.

1936

51. ევროპის ენებიდან მომდინარე la და lu ჯგუფიანი სიტყვები ქართულში. (ა. შანიძის მოხსენების მიხედვით). თეზისები.—სალიტ. ქართულის ნორმები. I. თბ. სახ. უნივერსიტეტის გამ. 1936, გვ. 53—57.
52. მიმართულებითი და წოდებითი ბრუნვების დაბოლოებანი (ა. შანიძის მოხსენების მიხედვით). თეზისები.—სალიტერატურო ქართულის ნორმები. I. თბ. 1936, გვ. 11—13.
53. პირის ნიშანი ბრუნვიან სიტყვასთან ქართველურ ენებში: თბ. უნივერსიტეტი. I, 383—340.
54. ვახტანგის დედანი „ვეფხის ტყაოსნისა“: კომუნისტი. 17/XI. 1936, № 266.

1937

55. К этимологии названия „Топада“: ენიმკის მოამბე, 1937, ტ. 1, გვ. 79—88.
56. ვახტანგის მონოგრაფია ვეფხისტყაოსნის შესახებ და მისი მნიშვნელობა პოემის ტექსტების შესწავლისათვის: მნათობი, 1936, № 10—11, გვ. 169—223. 1937, № 6—7, გვ. 227—233.
57. ახალი სალიტერატურო ქართულის ფუძემდებელი (ილია ჭავჭავაძე): ლიტ. საქ., 1937, № 12.
58. О редакциях „Вепхис Ткаосани“: Веч. Тб., 1937, № 73, 28/III.
59. რედ., წინასიტყვ. და დამატებანი: შოთა რუსთველი, ვეფხის ტყაოსანი. ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ. თბ. 1937. XII + 340 გვ. დამატებანი: I. შეცდომათა გასწორება, გვ. 343—366; II. ვახტანგის ლექსიკონი, გვ. 367—387; III. ვახტანგის დედანი ვეფხის ტყაოსნისა, გვ. 388—394; IV. ვეფხის ტყაოსნის პირველი გამოცემის მოღწეული ცალები, გვ. 395—403; V. ვახტანგისეული ვეფხის ტყაოსნის მეორე გამოცემის გაფორმებისათვის, გვ. 403—409.



1938

60. ხანმეტი იერემიას კემბრიჯული ნაწყვეტები: ენიმკის მოამბე, 1938, ტ. 2, ნ. 1, გვ. 29—42.
61. Новооткрытый алфавит кавказских Албанцев и его значение для науки: ენიმკის მოამბე, 1938, ტ. 4. ნ. 1, გვ. 1—62.

1939


62. სენური პროზაული ტექსტები. I. ბალსზემოური კილო. ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ. თბ. სსრკ მეცნ. აკად. საქ. ფილიალი (მასალები ქართველურ ენათა შესწავლისათვის. I.). 1939, 36, 490 გვ.
63. საქართველოს მუზეუმის S ფონდის აღწერილ ხელნაწერთა საძიებელი. თბ. 1939, 59 გვ. (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნ. II). [ა. ბარამიძის თანაავტორობით].
64. სენური პოეზია. I. სიმღერები შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს ა. შანიძემ, ვ. თოფურიამ და მ. გუჯუჯიანიამ. — თბ. სსრკ მეცნ. აკად. საქ. ფილიალი. 1939, 434, 2 გვ. (მასალები ქართვ. ენათა შესწავლისათვის. II.).
65. ქართული ენის გრამატიკა. ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი (მართლწერის საკითხებითურთ). სახელმძღვანელო არასრული საშუალო სკოლის V, VI და VII კლასებისათვის. I გამოც. 1939, 154 გვ.; II გამოც. 1941, 144 გვ.; III გამოც. 1946, 164 გვ. (იხ. 93).
66. ილია ჭავჭავაძე, როგორც მებრძოლი ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის. წიგნში: ილია ჭავჭავაძე. საიუბილეო კრებული. თბ. სახ. უნ-ტი. 1939, გვ. 1—33.

1940

67. სამენოვანი წარწერა გრემში: ენიმკის მოამბე, 1940, ტ. 5—6, გვ. 1—11. [ვ. ფუთურიძის თანაავტორობით].
68. Переживания ханмѣтных форм в грузинских рукописях IX-X-XI веков: აკადემიის მოამბე, 1940, ტ. 1, № 3, გვ. 237—240.
69. აკან სუფიქსის წარმოშობისათვის სომხურში (თეზისები) წიგნში: სტალინის სახ. თბ. სახ. უნივერსიტეტის სამეცნ. სესია, 1940, 7—11 მაისი. გვ. 143.
70. რეც.: Гарибян, А. „Новая ветвь армянских диалектов“: თბ. უნივერსიტეტის შრომები, 1940, ტ. XV, გვ. 7—28. იგივე სომხურ ენაზე: Изв. Арм. фил. АН СССР. 1940, № 3, стр. 100—119.

1941

71. 93 კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში: აკადემიის მოამბე. 1941, ტ. II, გვ. 181.
72. თომას სახარების აპოკრიფის ქართული ვერსიის ნაწყვეტი და მისი ვაუგებარი ადგილები: უნივერსიტეტის შრომები, 1941, ტ. 18, გვ. 29—40.



73. პროსოდული ხმოვნები ქართულში [თეზისები] წგნ.: აკად. საზ. მეცნ. განყ. სესია. 1941 წ. 11—13 ივნ. თბ. გვ. 14.
74. Данные греческо-пехлевийской билингвы из Армази для истории термина ეზოას მოძღუარი в древнегрузинском: აკადემიის მოამბე, 1941, ტ. 2, № 12, გვ. 181—187.
75. Категория ряда в глаголе. (Общие вопросы формообразований глаголов на примерах грузинского языка): ენიმკის მოამბე, ტ. 10, 1941, გვ. 209—229.

1942


76. ქართული გრამატიკის საფუძვლები. ნაკვ. 1. სტალინის სახ. თბ. უნივერსიტეტის გამ. 1942. VIII, 274 გვ.
77. ერთი იურიდიული ტერმინის მნიშვნელობისათვის. (ნასალი): მნათობი, 1942, № 11—12, გვ. 218—221.
78. ერთი უცნობი თამარის დროინდელი წარწერა. (თეზისები) წიგნში: აკად. საზ. მეცნ. განყ. VII სესია. 1942, 20—22 ივნ. თბ. გვ. 8.
79. ზმნათა გარდამავლობის საკითხისათვის ქართველურ ენებში: აკადემიის მოამბე, 1942. ტ. 3. № 2, გვ. 182—189; № 3, გვ. 289—295.
80. -მღე თანდებულის გენეზისისათვის: აკადემიის მოამბე, 1942. ტ. 3, № 4, გვ. 367—372.
81. წოდებითი ფორმის ადგილისათვის გრამატიკაში: აკადემიის მოამბე, 1942, ტ. 3, № 5, გვ. 481—488.
82. Изменение системы выражения глагольной категории вида и его последствия: აკადემიის მოამბე. 1942, ტ. III, № 9, გვ. 953—958.
83. რეც.: გ. წერეთელი. არმაზის ბილინგვა: მნათობი, 1942, № 9. გვ. 135—145.

1943

84. ქართული გრამატიკის საფუძვლები. ნაკვ. 2. თბ. სახ. უნივ. 1943. VI, 273—375 გვ.
85. აქტივი და პასივი ერთურობის მიმართ მრავალ-პირიანი ზმნის ჩვენებით: აკადემიის მოამბე. 1943, ტ. 4, № 4, გვ. 375—382.
86. ზმნათა ორმაგი გარდამავლობის საკითხისათვის [თეზისები] წგნ.: აკად. საზ. მეცნ. განყ. XIV სამეცნ. სესია, 1943 წ. 25—28 დეკ. თბ. გვ. 8—9.

1944

87. ხანძთელის ცხოვრების ერთი ადგილის გაგებისათვის: აკადემიის მოამბე, 1944. ტ. 5, № 9, გვ. 939—944.
88. ხანმეტი ლექციონარი. ფოტოტიპირი რეპროდუქცია. გამოსცა და სიმფონია დაურთო ა. შანიძემ. საქ. სსრ მეცნ. აკად. გამოცემა. თბ. 1944.



064 (27). (ძველი ქართული ენის ძეგლები. 1). წინასიტყვაობა ქართულ ენაზე და ინგლ. ენ.

89. Рец. на кн. Р. Ачаряна, Арм. личные имена, т. I: Изв. отд. языка и литер. АН Арм. ССР. 1944, № 5.

1945

90. მწკრივთა მოძღვრებისათვის. სამი მწკრივის წარმოების თავისებურებანი ძველ ქართულში: აკადემიის მოამბე, 1945, ტ. 6, № 10, გვ. 835—844.

91. ფესტიკაურის ისტორიისათვის: ლიტერატურული ძიებანი, 1945, ტ. 2, გვ. 5—14.

92. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით. (897, 936 და 973 წ.წ.). გამოსცა აკ. შანიძემ. თბ. 1945. (წინასიტყვაობა ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე).

1946

93. ქართული ენის გრამატიკა. ფონეტიკა. მორფოლოგია. სინტაქსი. მართლწერის საკითხებითურთ. სახელმძღვანელო არასრულ საშუალო და საშუალო სკოლის V, VI, VII, კლასებისათვის. მესამე გამოც. შვეს. და შესწ. თბ. სახელგამი, 1946, 164, (3) გვ. (იხ. 65).

94. გიორგი მთაწმინდლის ენა იოვანესა და ეფთჳმეს ცხოვრების მიხედვით. წგნ: გიორგი მთაწმინდელი ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი. ძე. ქართ. ენის ძეგლები. 3. თბ. 1946, გვ. 67—171.

95. ხუნამისის წარწერის განმარტებისათვის: აკადემიის მოამბე, 1946, ტ. 7, № 4, გვ. 217—223. პარალ. ტექსტი რუსულ ენაზე, გვ. 223—230.

96. Глагольные категории акта и контакта на примерах грузинского языка: Изв. АН СССР. Отд. литературы и языка, т. V, вып. 2, стр. 165—172.

97. ლექსიკონი ვაჟა-ფშაველას თხზულებათა I ტომისა (რედ. ა. აბაშელისა და ა. შანიძისა), თბ. 1946, გვ. 357—389.

ნაკვძო. საგაზეთო შენიშვნები

98. რას ვუცადოთ? [პასუხი ანარქიზმის მოწინააღმდეგეებს]: მუშა, 1906, № 9, 15/VI. ხელის მოწერა: ან-და-დონ. [დავით ყიფშიძის თანავეტრობით].

99. თარგმ: კრაოტკინი. თანამედროვე მეცნიერება და ანარქიზმი: მუშა, 1906, №№ 23, 27, 29, 35, 37, 41, 45, 48. — ხელის მოწერა: ან-შინ.

100. ლექსი „ემშაკის მათრახში“ 1908 წ. ზაფხულში. ხელის მოწერა: გურჯი.

101. რად არის მთვარეზე შავი ადგილები? (ფშაური ლეგენდა): ნაკადული. მცირეწლ. 1908, № 20, გვ. 13—15.

102. ლაშარის ხატი. (ფშაური ლეგენდა): ნაკადული მოზრდ., 1910, № 5, გვ. 29—33. ხელის მოწერა: აკაკი მცირე.

103. Ванское царство: Русск. энцикл., т. 3. [1912—1913], стр. 473—474.

104. Вахтаг VI: Русск. энцикл., т. 4, [1912—1913], стр. 21—22.
105. Вахуштий: Русск. энцикл., т. 4, [1912—1913], стр. 22.
106. Габашвили, Виссарион: Русск. энцикл., т. 5, [1912—1913], стр. 67.
107. Грузинский алфавит: Русск. энцикл., т. 6, [1912—1913], стр. 328.
108. Грузинская литература: Русск. энцикл., т. 6, [1912—1913], стр. 323—324.
109. Грузинский язык: Русск. энцикл., т. 6, [1912—1913], стр. 328.
110. Гурамышвили, Давид: Русск. энцикл., т. 6, [1912—1913], стр. 377.
111. Библиография. Отдельные издания, статьи на грузинском языке, появившиеся в 1911 и 1912 гг.: Хр. Восток, 1913, т. 3, стр. 253—262.
112. სახელმძღვანელო ვრცელი ქართული ლექსიკონის შესადგენად. თბ. 1915, 16 გვ. [ივ. ჯავახიშვილის, კ. კვეციანის, იუსტ. აბულაძის და სხ. თანაავტორობით].
113. თანავტ: ქართული ბიბლიოგრაფია ქართულ ერთდროულ გამოცემებში (1852—1910 წ.). მთავსებელი სტატიებისა და მასალების მაჩვენებელი. შედგენილია პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო ჯგუფის მიერ. [აკ. შანიძის მონაწილეობით]. ი. ყიფშიძის რედ. პეტერბურგი. 1916 წ.
114. ორი უნივერსიტეტი: სახალხო საქმე, 1917, № 76, 14. X.
115. თარგმანი: ტერ-გრიგორიანი, ი. (ვანო), „მშაკი“ და სოფხე ქართველთა ურთიერთობა (ფურცლები ჩემი მოგონებიდან): პრომეთე, 1918, № 1, გვ. 90—93, № 2, გვ. 90—93.
116. პროფ. ყიფშიძე. (1882—1919). [ნეკროლოგი]: სახალხო საქმე, 1919, № 64; ექიმი 1919, № 1—2, გვ. 24—25.
117. სალამი სომხურ უნივერსიტეტს! [გუმბრში (ალექსანდროპოლში) სომხური უნივერსიტეტის გახსნის გამო]: სახალხო საქმე, 1920, № 736.
118. ქართული ლიტერატურის უძველესი პერიოდის შესწავლის საქმე გასულ წელს: ქართ. სიტყვა, 1924, № 7, 1/1.
119. პროფ. პეტრე მელიქიშვილი: კომუნისტი, 1927, № 68.
120. ქართველი სტუდენტი ქართული უნივერსიტეტის დაარსებამდე: პროლეტ. სტუდ. ხმა, 1928, № 11.
121. დამსახ. პროფ. მ. ჯანაშვილი. [ნეკროლოგი]: გაზ. კომუნისტი, 1934, № 94, 22/IV.
122. გამოცდები ქართულში: ახალგაზრდა კომუნისტი, 1935, № 207.
123. უნივერსიტეტის სტამბის მოწყობის გამო: ბოლშ. კადრ., 1934, № 3, 2 გვ.
124. პირველი დღე ჩვენს უნივერსიტეტში: ბოლშ. კადრ., 1935, № 14, 15/IX.
125. ქართული ენის კულტურისათვის: ბოლშ. კადრ., 1935, № 17, 11/X.
126. ვაზტანისეული „ვეფხისტყაოსნის“ აღდგენისათვის: კომუნისტი, 24/IX. 1936.
- № 222:
127. 15 წლის წინათ და ეხლა: ბოლშ. კადრ. 25/II, 1936, № 4.
128. საბჭოთა ენათმეცნიერება: კომუნისტი, 25/II, 1936, № 46.
129. წიგნის წყობის რაციონალიზაციისათვის: კომუნისტი, 2/VIII, 1936, № 151.
130. ილია და სალიტერატურო ქართული: საბჭოთა აფხ. 1937.
131. И. Чавчавадзе — основоположник нового грузинского литературного языка: Заря Востока, 1937, № 154.
132. საბურთალოდუმ თუ ნავთლულუმ?: კომუნისტი, 1938, № 122.
133. ქართველი სტუდენტობა თბილისის უნივერსიტეტის დაარსებამდე: ბოლშ. კადრ., 1938, № 14.
134. რეც: ა. ჭოჭუა, ე. მაან. ანბან შაყუ (ანბანის წიგნი): სოხუმი, 1938, საბჭ. აფხ. 1938, № 265.
135. წინასიტყვაობა წიგნისა: Грузинская хрестоматия. Учебное пособие для русских секторов ВУЗов. — Изд. Тб. госуд. унив. им. Сталина.




136. ქართველი მეცნიერები ღირსეულად შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს კულტურის ნისტი, 1939, № 74.
137. აკად. ივ. ჯავახიშვილი და ქართული კულტურის საკითხები: კომუნისტი, 1940, № 270.
138. Крупнейший историк Грузии [Акад. И. А. Джавахишвили]: Заря Востока, 1940, № 269.
139. აკადემიკოსი ნიკო მარი (1864—1934): კომუნისტი, 1940, № 25.
140. სიტყვა წარმოქმნილი პროფ. ა. შანიძის მიერ აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დაკრძალვაზე: უნივერსიტეტის შრომები, 1941, ტ. 18, გვ. XV—XVII.
141. ახალი არქეოლოგიური კერა საქართველოში. კლდეეთის ძვირფასი კულტურა: ლენინელი, 5/XII, 1941, № 72.
142. დიდი ხნის ოცნება სინამდვილედ იქცა. [საქართველოში მეცნიერებათა აკადემიის დაარსების გამო]: კომუნისტი, 1941, № 36, 13/II.
143. [ივ. ჯავახიშვილის ერთი ავადმყოფობის ამბავი]: აკად. ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების პირველი წლისათვის [1941 წ. 18 ნოემბერი. სხდომა — საღამო განსვენებულის ხსოვნის აღსანიშნავად აკ. შანიძის სიტყვა]: ენიმკის მოამბე, 1943, ტ. 3, გვ. 263—282.
144. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 25 წლის გამო: „კომუნისტი“ 1943, № 87, 17/IV.
145. К 25-летию тбилисского государственного университета им. Сталина: „Заря Востока“, 1943, № 88, 18/IV.
146. აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი [გარდაცვალებიდან 5 წლის გამო]: კომუნისტი, 1945, № 228, 18/XI.
147. რა გავაკეთე და რა მაქვს განზრახული [„ხანმეტი ლექციონარი“ და უძველესი ოთხთავების ტექსტი]: კომუნისტი, 1945, № 1.
148. ნ. ბართაშვილის ენა: საბჭ. მასწავლ., 1945, № 14, 21/X.

II. შრომების ანბანური საკითხავი

- აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი და ქართული კულტურის საკითხები (137).
- აკადემიკოსი ნიკო მარი (139).
- აკან სუფიქსის წარმოებისათვის სომხურში (69).
- არადეთის წარწერები (28).
- აქტივი და პასივი ერთობის მიმართ მრავალ-პირიანი ხმის ჩვენებით (85).
- ახალი არქეოლოგიური კერა საქართველოში (141).
- ბართაშვილის ენა (148).
- ბერძნული სიტყვები ქართულში (25).
- გამოცდები ქართულში (122).
- გიორგი მთაწმინდელის ენა იოვანესა და ვფთვემს ცნოვრების მიხედვით (94).
- დავით აღმაშენებლის ანდერძისათვის (19).
- დამსახურებული პროფესორი მოსე ჯანაშვილი (121).
- დიდი ხნის ოცნება სინამდვილედ იქცა (142).
- „დიონისი“ ვეფხის ტყაოსნისა (19).
- ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში (71).
- გეროპის ენებიდან მომდინარე Ia და II ჯგუფიანი სიტყვები ქართულში (51).
- ერთი იურიდიული ტერმინის მნიშვნელობისათვის (77).
- ერთი უცნობი თამარის დროინდელი წარწერა
- ერთი წიგნის ბედი (42).
- ვაჟა-ფშაველას თხზულებათა ლექსიკონი (12, 37, 97).
- ვახტანგის დედანი „ვეფხის-ტყაოსნისა“ (54).

- ვახტანგის მონოგრაფია ვეფხისტყაოსნის შესახებ და მისი მნიშვნელობა პოემის ტექსტების შესწავლისათვის (56).
- ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის აღდგენისათვის (126).
- ვინაობის სუფიქსი -არ- ქართულ ენაში (6).
- ხმნათა გარდამავლობის საკითხისათვის ქართველურ ენებში (79).
- ხმნათა ორმაგი გარდამავლობის საკითხისათვის (86).
- თარგმანებაი ქებისა ქებათათვის (18).
- თომას სახარების აპოკრიფის ქართული ვერსიის ნაწყვეტი (72).
- თხუთმეტი წლის წინათ და ახლა (127).
- ილია ჭავჭავაძე, როგორც მებრძოლი ახალი სალიტერატურო ქართულის დამყვანდრებისათვის (57, 66).
- ილია და სალიტერატურო ქართული (130).
- ინსტრუქცია რუსულ-ქართული ლექსიკონის შესადგენად (43).
- იოანე მტბერარის ვინაობისათვის (28).
- კვლავ მანგლისის წარწერების შესახებ (28).
- კრიპტოგრაფიული მასალები (28).
- ლაშარის ხატი (ფშაური ლეგენდა) (102).
- ლექსიკონი ბეს. გაბუურის მასალებისა (22).
- მანგლისის წარწერები (28).
- მაჩხიტაძის ჩინი (20).
- მდე თანდებულის გენეზისისათვის (80).
- მიმართულებითი და წოდებითი ბრუნვების დაბოლოებანი (52).
- მორფოლოგია, სინტაქსი, მართლწერის საკითხებითურთ (36, 65, 76, 84).
- „მცა“ ნაწილაკი ძველ ქართულში (7).
- მწკრივთა მოძღვრებისათვის. სამი მწკრივის თავისებურებანი ძველ ქართულში (50).
- ნასახელარი ხმნები ქართულში (8).
- ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის კმარებისა კმოვნების წინ ქართულ ხმნებში (13).
- ნ. ბარათაშვილის ენა (148).
- ორი უნივერსიტეტი (114).
- ოცობით თელა და ათობით წერა ქართულში (17, 20).
- პირველი დღე ჩვენს უნივერსიტეტში (124).
- პირის ნიშანი ბრუნვიან სიტყვასთან ქართველურ ენებში (53).
- პროსოდული ხმოვნები ქართულში (73).
- პროფ. ალექსანდრე ცაგარელი (1844—1929) (14, 31).
- პროფ. იოსებ ყიფშიძე (116).
- პროფ. პეტრე მელიქიანი (119).
- პროფ. მ. ჯანაშვილი (121).
- რა გავაკეთე და რა მაქვს განზრახული [„ხანმეტი ლექციონარი“ და უძველესი ოთხთავების ტექსტი]. (147).
- რად არის მთვარეზე შავი ადგილები (101).
- რას ვუცდამოთ? [პასუხი ანარქიზმის მოწინააღმდეგეებს] (98).
- საბურთალოაუმი თუ ნავთლულუმი? (132).
- საბჭოთა ენათმეცნიერება (128).
- სალამი სომხურ უნივერსიტეტს (117).

- სალიტერატურო ქართული სათავის (10).
 სამენოვანი წარწერა გრემში (67).
 საქართველოს მუზეუმის ფონდის აღწერილ ხელნაწერთა საძიებელი (63).
 სახელმძღვანელო ვრცელი ქართული ლექსიკონის შესადგენად (112).
 სვანური პოეზია (64).
 სვანური პროზული ტექსტები (62).
 სიტყვა წარმოთქმული პროფ. ა. შანიძის მიერ აკად. ივანე ჯავახიშვილის დაკრძალვაზე (140).
 სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში (9).
 სტალინის სახელობის თბ. სახ. უნივერსიტეტის არსებობის 25 წლის გამო (144).
 უძველესი სვანურში (24).
 უნივერსიტეტის სტამბის მოწყობის გამო (123).
 უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო (15).
 ფისტიკაურის ისტორიისათვის (91).
 ქართველი მეცნიერები ღირსეულად შესარულებენ ნაკისრ ვალდებულებებს (136).
 ქართველი სტუდენტები ქართული უნივერსიტეტის დაარსებამდე (120).
 ქართული ბიბლიოგრაფია (113).
 ქართული გრამატიკა (36).
 ქართული გრამატიკის საფუძვლები ნაკვ. 1 (76).
 ქართული გრამატიკის საფუძვლები ნაკვ. 2 (84).
 ქართული ენა (41).
 ქართული ენის გრამატიკა (65, 93).
 ქართული ენის კულტურისათვის (125).
 ქართული ზმნის საშპირიანობის გამო (35).
 ქართული ზმნის საქცევი (27).
 ქართული კილოები მთაში (3).
 ქართული კრიპტოგრაფიის ახალი ნიმუშები (11).
 ქართული ლიტერატურის უძველესი პერიოდის შესწავლის საქმე გასულ წელს (118).
 ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი ძველი შატბერდული ხელნაწერთა მიხედვით (92).
 ქართული სტამბის ისტორიისათვის (48).
 ქართული ხალხური პოეზია (40).
 ქართული ხელნაწერები გრაცში (33).
 შაჰნაშის ერთი ეპიზოდი ქართულ ფოლკლორში (49).
 შემთხვევა ბერძნული სიტყვის აკუსტიკური ფორმით სესხებისა სვანურში (25).
 ძველი ქართული ენა და ლიტერატურა (44).
 ძველი ქართულის ქრესტომათია ლექსიკონითურთ (47).
 „წელიწადის“ ეტიმოლოგიისათვის (26).
 წიგნის წყობის რაციონალიზაციისათვის (129).
 წოდებითი ფორმის ადგილისათვის გრამატიკაში (81).
 ხანმეტი იერემიას კემბრიჯული ნაწყვეტები (60).
 ხანმეტი ლექციონარი (34, 88).
 ხანმეტი მრავალთავი (29).
 ხანძთელის ცხოვრების ერთი ადგილის გაგებისათვის (87).
 ხევსურული მასალები (21, 23).
 ხუნამისის წარწერის განმარტებისათვის (95).



ჯავახიშვილი ივ. (137, 140, 143, 146).

პემეტრი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის (16).

პემეტრობა ადიშის სახარებაში (15).

პუგოა შუხართი (30).

Библиография. Отдельные издания, статьи. Издания на грузинском языке (111).

Ванское царство (103).

Вахтанг VI (104).

Вахуштий (105).

Габашвили Виесарион (106).

Глагольные категории акта и контакта (96).

Грузинская литература (108).

Грузинский алфавит (107).

Грузинский язык (109).

Гурамишвили Давид (110).

Данные греческо-пехлевийской билингвы из Армази для истории термина ეზოს მოძღუარო в древнегрузинском (74).

Два чано-мингрельских суффикса в грузинском и армянском языках (5).

Изменение системы выражения глагольной категории вида и его последствия (82).

И. Чавчавадзе — основоположник нового грузинского литературного языка (131).

Категория ряда в глаголе (75).

К этимологии названия „Топада“ (55).

Крупнейший историк Грузии Акад. И. Джавахишвили (138).

К 25-летию тбилисского гос. университета им. Сталина (145).

Новооткрытый алфавит кавказских адбанцев и его значение для науки (61).

Нынешние эквиваленты географических названий Арагвского ущелья по описанию 1774 г. (2).

О редакциях „Вепхис-Ткаосани“ (58).

Отчёт о летней командировке 1913 года в Душетский и Тионетский уезды (1).

Переживания ханметных форм в грузинских рукописях IX—X—XI веков (68).

Программа для собрания диалектических материалов по грузинскому языку (4).

Шах-Наме Фердовси в грузинском фольклоре (45).

რეცენზიები:

ა. ჭოჭუა, ვ. მან. ანბან შეყუ (134).

გ. წერეთელი. არმაზის ბილინგვა (83).

თარგმანი:

კროპოტკინი. შეცნეობა და ანარქიზმი (99).

ტერ-გრიგორიანი, ვ. „მწკი“ და სომეხ-ქართველთა ურთიერთობა (115).

სვანური პოეზია.

Ачарян Р., Арм. личные имена (89).

Гарибян А., Новая ветвь арм. диалектов (70).

წინასიტყვაობა და რედაქცია:

- გაბუური, ბეს. ხევსურული მასალები (21, 23).
 თედორაძე, გ. ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში (39).
 ნინოშვილი ეგნატე. პარტახი (50).
 ორბელიანი სულხან-საბა. ქართული ლექსიკონი (32).
 რუსთველი, შოთა. ვეფხის ტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემა (59).
 ფირდოუსი აბუ-ლ-ყასიმ ტუსელი. შაჰნამე (46).
 ხანმეტი ლექციონარი (88).
 Schuchardt, H. Mitteilungen aus georgischen Handschriften (31).
 Грузинская хрестоматия. Учебное пособие для русск. секторов ВУЗ-ов (195).

იანე ცინცაძე

ტოლოჩანოვისა და იველევის იმერეთი ელჩობის „მუხლობრივ აღწერილობათა“ საკითხისათვის

ამჟამად საბოლოოდ დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ XVIII საუკუნის ცნობილი მოღვაწის ნოვიკოვის მიერ გამოცემული იმერეთში გამოგზავნილ რუსი ელჩების „მუხლობრივი აღწერილობა“ ალექსი იველევის მიერ არის დაწერილი და არა ტოლოჩანოვის მიერ, როგორც ეს ნოვიკოვს ეგონა.


მეორედ იგივე ტექსტი პროფ. მ. პოლიევქტოვმა გამოსცა 1926 წელს. პროფ. მ. პოლიევქტოვის გამოცემაში ნოვიკოვისეული ტექსტი „С“ ხელნაწერის სახელწოდებით არის ცნობილი¹.

1650—51 წლებში გამოგზავნილი რუსი ელჩების, ტოლოჩანოვისა და იველევის იმერეთში საქმიანობის „მუხლობრივ აღწერილობათა“ (საანგარიშო მოხსენებათა) პოლიევქტოვისეული გამოცემა საგრძნობლად განსხვავდება ნოვიკოვისეული გამოცემისაგან არა მარტო იმით, რომ მ. პოლიევქტოვი როგორც კარგი არქეოგრაფი დედნის სრულ სურათს ასახავს თავის გამოცემაში, არამედ მან მოგვცა იმერეთში მყოფ რუსი ელჩების საანგარიშო მოხსენებათა სამი სხვადასხვა რედაქციის მქონე ხელნაწერების ტექსტები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XVIII საუკუნის ბოლოს ნოვიკოვის მიერ გამოცემული „მუხლობრივი აღწერილობა“ ტოლოჩანოვს კი არ ეკუთვნის, არამედ იველევს. იველევი ელჩობის სრულყოფილიანი წევრია. ამ ელჩობის ხელმძღვანელი კი ტოლოჩანოვი იყო. იველევი ელჩობაში ტოლოჩანოვის შემდეგ პირველი პირია, ისე რომ გზაში ტოლოჩანოვის გარდაცვალების შემთხვევაში ელჩობას იველევი უხელმძღვანელებდა.

იველევის მიერ შედგენილი „მუხლობრივი აღწერილობა“ ტოლოჩანოვისეულად ნოვიკოვმა გამოაცხადა გაუგებრობის გამო. რუსეთში არსებული წესებით უცხოეთში გაგზავნილი ელჩობის საანგარიშო მოხსენება ამ ელჩობის ხელმძღვანელს უნდა წარედგინა საგარეო საქმეთა საგანგეოში (посольский приказ), ნოვიკოვმა, რაკი საანგარიშო მოხსენების ტექსტი იპოვა და ტოლოჩანოვის ხელმძღვანელობითი როლიც გაარკვია, ყოველგვარი გამოძიების გარეშე ძეგლის ავტორად ტოლოჩანოვი გამოაცხადა.

¹ М. Полиевктов, Посольство стольника Голоцанова и дьяка Ивлева в Имеретию, 1926. ტფილისი, გვ. 114—192.



ამ შეცდომას და ამის მსგავს შეცდომებს არსებითი მნიშვნელობა აქვთ იმითვის, ვინც ამ ძეგლებზე დაყრდნობით ამა თუ იმ საკითხის გარკვევას ცდილობენ.

ნოვიკოვის მიერ გამოცემული ძეგლის ავტორად ტოლოჩანოვის მიჩნევა საექვოდ მიიჩნია ჯერ კიდევ აკად. ბროსემ და ტექსტის მთელ რიგ ადგილებზე მიუთითა, საიდანაც იველვის ავტორობა გარკვევით ჩანდა.

მ. პოლიევქტოვის მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგად ეს და სხვა ახალი საკითხებიც, ამ ელჩობასთან დაკავშირებით, გაირკვა. მ. პოლიევქტოვმა აღმოაჩინა 1650—51 წლებში იმერეთში გამოგზავნილი რუსი ელჩების „მუხლობრივ აღწერილობათა“ ორი ახალი, მანამდე უცნობი, ხელნაწერი. განსვ. მეცნიერმა ერთად გამოსცა ახლად აღმოჩენილი ხელნაწერების ტექსტები და ნოვიკოვისეულიც.

გამოირკვა, რომ ტოლოჩანოვს თავისი „მუხლობრივი აღწერილობა“ შეუდგენია, იველეს კი თავისი. პოლიევქტოვის გამოცემაში ტოლოჩანოვისეული „აღწერილობა“ „B“ ხელნაწერის სახელწოდებით არის დაბეჭდილი¹. მეორე ახლად ნაპოვნი ხელნაწერი „A“ სახელწოდებით არის იქვე მოცემული².

საყურადღებოა, რომ 1926 წელს პროფ. პოლიევქტოვი, მეტის-მეტ სიფრთხილეს იჩინდა თუ სხვა რაიმე მიზეზი იყო, ვერ ბედავდა საბოლოოდ დადგენილად გამოეცხადებინა „B“ ხელნაწერის ავტორად ტოლოჩანოვი, ხოლო „C“ ხელნაწერისა — იველვი.

საფიქრებელია, რომ განსვ. მეცნიერს მეტის-მეტად აეჭვებდა ერთ საქმეზე ელჩობის ორი წევრის მიერ, ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად, „მუხლობრივი აღწერილობათა“ შედგენა და მთავრობისათვის წარდგენა.

1940 წელს მ. პოლიევქტოვმა არქივში დამატებითი მასალები იპოვა იმერეთში გამოგზავნილი ელჩების შესახებ და მის შემდეგ მისთვის სავსებით ნათელი შეიქნა, რომ „B“ ხელნაწერის ავტორი ტოლოჩანოვია, ხოლო „C“-სი კი იველვი³.

მ. პოლიევქტოვის მიერ აღმოჩენილი ტექსტები და მასალები ჩვენ საშუალებას გვაძლევს იმერეთში გამოგზავნილი რუსი ელჩების „მუხლობრივ აღწერილობებში“ დატული ცნობები შევამოწმოთ. ირკვევა, რომ ტოლოჩანოვი და იველვი ერთიმეორისაგან სრულიად დამოუკიდებლად წერდნენ თავიანთ „აღწერილობებს“. ჩვენ შეგვიძლია ტოლოჩანოვის აღწერილობაში დატული ცნობები შევუდაროთ იველვის აღწერილობაში მოცემულ ცნობებს და რუსული „მუხლობრივი აღწერილობებისადმი“ ხელაღებით ნდობის საკითხიც გადავსინჯოთ, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ. მაგრამ ჩვენ გამოსარკვევი გვაქვს ახალი საკითხი: რას წარმოადგენს „A“ ხელნაწერი (პოლიევქტოვის გამოცემაში გვ. 25—58). ვინ არის „A“ ხელნაწერის ავტორი და რა დანიშნულება აქვს ამ აღწერილობას, აქამდე გაურკვეველია. მ. პოლიევქტოვის მიერ გამოთქმული მოსაზრებანი ამ საკითხის გარშემო სინამდვილეს ვერ ასახავენ. პროფ. პოლიევქტოვი მართა-

¹ М. Полиевктов, I. с. გვ. 59—114.

² იქვე, გვ. 25—58.

³ იხ. მ. პოლიევქტოვის წერილი: „К вопросу об авторе «Статейного списка „С“» посольства Толочанова и Иевлева: სსრკ. მეცნ. აკად. საქართვე. ფილიალის მოამბე. ტ. I, № 1, 1940 წ. გვ. 81—86.

ლია იმაში, რომ მას „А“ ხელნაწერში მოცემული აღწერილობა დიპლომატიური მისიის სრულ ოფიციალურ ანგარიშად არ მიიჩნია, მაგრამ მიუღებელი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ეს ხელნაწერი წარმოადგენს ამოკრეფილ მასალას რომელიც უფრო ვრცელი დოკუმენტიდან¹. მიუღებელია და არ არის დამაჯერებელი ვანსე. პროფესორის მოსაზრება, თითქოს „А“ აღწერილობა და „В“ აღწერილობა (უდაოდ ტოლოჩანოვისეული) ამოღებული უნდა იყოს ერთი მთლიანი, დიდი, ჩვენამდე არ მოღწეულ, არსებულ აღწერილობათაგან განსხვავებული რედაქციის მქონე, ხელნაწერიდან².

1940 წელს დამატებითი ცნობების აღმოჩენის შემდეგ პროფ. პოლიევქტოვი „А“ აღწერილობას არსებითად არ შეეხო, აღნიშნა მხოლოდ, იგი თეიმურაზ მეფესთან წარმოებული მოლაპარაკების ცნობებს შეიცავსო და მოკლედ შენიშნავს:

„Посольству по возвращении в Москву, очевидно, пришлось давать объяснения по поводу происшедшего инцидента³ (чем и объясняется — заметим в скобках — происхождение статейного списка А), объяснения, во время которых на долю Ивлева выпало, «на чужом пиру похмелье»“⁴.

არც ეს მოსაზრება მიგვაჩინა მისაღებად. „А“ აღწერილობა არ არის დამოკიდებული „В“ ხელნაწერისაგან, ამით არ აქვთ საერთო წყაროდ რომელიც სრული აღწერილობა და, ბოლოს, „А“ აღწერილობა არ არის კონფლიქტის გამო მოსკოვში შედგენილი ცნობარი. კიდევ მეტი: „А“ აღწერილობა არც იველევის კალამს ეკუთვნის და არც ტოლოჩანოვისას.

რას წარმოადგენს თავის მიზანდასახულობით „А“ ხელნაწერში მოცემული აღწერილობა?


დასმული საკითხის გასარკვევად გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება: მოსკოვში 1649 წლისათვის ცნობილი შეიქნა, რომ თეიმურაზ I კახთა მეფე თავის სამფლობელოდან განდევნილია და იმერეთში არის გახიზნული. 1649 წელს ერთსა და იმავე დროს მოსკოვში ჩავიდნენ თეიმურაზ კახთა მეფის ელჩები და ალექსანდრე იმერთა მეფის ელჩები. მოსკოვისათვისაც კახეთი ცალკე პოლიტიკური ერთეულია და იმერეთი ცალკე. მაგრამ, რადგანაც იმერეთის და კახეთის მეფეები გარკვეული სიტუაციის გამო ერთ სახელმწიფოში არიან, კერძოდ, იმერეთში და ორივესთან შეიძლება მოლაპარაკება, ამიტომ ერთ ელჩობას დაევალა იმერეთის მეფესთანაც და კახეთის მეფესთან მოლაპარაკება. ამით მოსკოვში მდგომარეობა შეიძლება შეიქმნა, კახეთში საგანგებო ელჩობის მოწყობაც არ დასჭირდებოდა და ხარჯებიც შეიმცირეს.

¹ М. Подневктов, Посольство стольника Толочанова и Ивлева, 1926, гл. 035—036.

² იქვე.

³ აქ ლაპარაკი არის იმ კონფლიქტზე, რომელიც თეიმურაზსა და რუს ელჩს ტოლოჩანოვს შორის წამოიჭრა ერთ-ერთი მოლაპარაკების დროს. იხ. პოლიევქტოვის გამოცემაში გვ. 56—57.

⁴ М. Подневктов, К вопросу об авторе «статейного списка» „С“ посольства Толочанова и Ивлева: სსრკ. მეცნ. აკად. საქართველ. ფილიალის შრომები, ტ. I, № 1, 1940 წ. გვ. 82.



მოსკოვში ისიც ივარაუდეს, რომ შესაძლებელია რუსი ელჩების იმერეთში მისვლისას თეიმურაზი უკვე თავის სამფლობელოში დაბრუნებული აღმოჩნდეს და ამ შემთხვევისათვის თავიანთ ელჩებს ავალბდნენ გზები გამოეციათ იმერეთიდან კახეთში გადასასვლელი და თეიმურაზთან მოლაპარაკება განაწესის მიხედვით სისრულეში მოეყვანათ.

ყოველივე ეს იმის მიჩვენებელია, რომ რუსეთის ელჩებს საანგარიშო მონსენება კახეთის შესახებ ცალკე უნდა წარედგინათ და იმერეთის შესახებ ცალკე „მუხლობრივი აღწერილობანი“, ხომ მოგზაურის ჩანაწერები არ არის, იგი ოფიციალური ანგარიშია, ინსტრუქციის პუნქტების მიხედვით შედგენილი და წარდგენილი. თეიმურაზთან წარმოებულ მოლაპარაკების ანგარიში ცალკე — კახეთის სამეფოს საქმეებთან ინახებოდა, იმერეთის საქმეები — ცალკე (იმერეთთან ურთიერთობა მაშინ იწყებოდა არსებითად).

ის გარემოება, რომ ელჩობა ერთსა და იმავე პირებს (ტოლოჩანოვსა და იველიევს) აქვთ დაკისრებული კახთა მეფესთან და იმერთა მეფესთან, სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ ერთი საანგარიშო „მუხლობრივი აღწერილობა“ უნდა ყოფილიყო ორივე სამეფოსთან მოლაპარაკების შესახებ¹.


„А“ აღწერილობა წარმოადგენს კახთა მეფესთან რუსი ელჩების მოლაპარაკების ანგარიშს და მას საერთო არაფერი აქვს თავისი დანიშნულებით იმერეთის მეფესთან წარმოებულ მოლაპარაკებასა და თვით იმერეთის აღწერილობასთან. იმერეთის შესახებ, და მის მეფესთან მოლაპარაკების შესახებ ტოლოჩანოვი და იველიევი ერთიმეორისაგან სრულიად დამოუკიდებლად სწერენ „მუხლობრივ აღწერილობებს“ ანუ ანგარიშებს. თუ რამ გამოიწვია იმერეთის შესახებ ორი ანგარიშის შედგენა, ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

თეიმურაზთან მოლაპარაკება თვით ელჩებისათვის განკუთვნილი ინსტრუქციის მიხედვით უფრო მარტივია, ვიდრე ალექსანდრე იმერთა მეფესთან. იმერეთის მიმართ სხვა დავალებები აქვთ ელჩებს. იმერეთის შესახებ ვრცელი მოხსენება აქვთ დასაწერი. იმერეთს პირველად ამ წლებში ეცნობა მოსკოვი, იგი პირველად უნდა აღიწეროს, როგორც გეოგრაფიულად ისე დემოგრაფიულად, ციხე-ქალაქებით, ეკლესია-მონასტრებით და მათი მორთულობით, სავაჭრო გზებით პოლიტიკური ურთიერთობებით და სხვ. აქ ელჩებს დიდი სამუშაო აქვთ.

თეიმურაზის მიმართ საქმე მარტივია. იმერეთში მას ერთი საცხოვრებელი კუთხე აქვს, ისიც დროებით, მისი სამფლობელო აღსაწერი არ არის, ელჩებს ევალბათ თეიმურაზთან მოლაპარაკება და ამ მოლაპარაკების შინაარსისა და პროცესის აღწერა.

ამით უნდა ავსხნათ ის გარემოება, რაც პროფ. პოლიევქტოვს სამართლიანად შეუნიშნავს, მაგრამ ნორმალურ მოვლენად არ მიაჩნია: „Статейный спи-

¹ იველიევი თავის აღწერილობაში ერთ ადგილას შენიშნავს: „А как у Теймураза царя были послы на посольстве, и то писано подлинно в Теймуразове в статейном еписку“. იხ. М. Полиевктов, Посольство стольника Толочанова... 1926 წ. გვ. 125.



სოკ „А“ ограничивается переговорами послов с Теймуразом; это ограничение проводится строго¹.

სხვა სახის აღწერილობა იმერეთში მყოფ თეიმურაზ პირველთან წარმოებულის მილაპარაკებისა არც იყო მოსალოდნელი, თუ კი იმერეთის მეფესთან მოლაპარაკება და თვით იმერეთის აღწერილობას დავალებისამებრ ასრულებდნენ ელჩები.

არავითარი კონფლიქტის გამო „А“ აღწერილობა არ არის წარმოშობილი. იგი ჩვეულებრივი ანგარიში არის კახეთის მეფესთან წარმოებულ მოლაპარაკებისა. არც იველვეის აღწერილობაში („С“) და არც ტოლოჩანოვის აღწერილობაში („В“) თეიმურაზ მეფესთან სახელმწიფო საქმეებზე მოლაპარაკების შესახებ საუბარი არ არის. თეიმურაზი იხსენიება მათ აღწერილობებში, მაგრამ იმდენად, რამდენადაც თეიმურაზი ალექსანდრე იმერთა მეფის ხსენებასთან არის დაკავშირებული და ისიც რამდენიმეჯერ².

სრულიადაც შემთხვევითი არ არის ის მოვლენა, რომ საგარეო საქმეთა საგანგის არქივში აღმოჩნდა „А“ და „В“ ხელნაწერები. ორივე ოფიციალური ანგარიშებია, ტოლოჩანოვის მიერ წარდგენილი: ერთი შეეხება კახეთის მეფე თეიმურაზთან წარმოებულ მოლაპარაკებას, მეორე ალექსანდრე იმერთა მეფესთან.

დამახასიათებელია, რომ იველვეისეული ხელნაწერი პატრიარქის ბიბლიოთეკაშია მხოლოდ, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ „А“ და „В“ აღწერილობები ტოლოჩანოვის მიერ არის საგარეო საქმეთა საგანგოში წარდგენილი. მაგრამ ეს სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ „А“ აღწერილობა ტოლოჩანოვს ეკუთვნის.

ვინ შეადგინა თეიმურაზთან მოლაპარაკების ანგარიში? ჩვენ საფუძველი ვვაქვს ვიფიქროთ, რომ „А“ აღწერილობა არ ეკუთვნის არც ტოლოჩანოვის კალამს და არც იველვეისას. „А“ ხელნაწერის ტექსტის გასინჯვა გვიჩვენებს, რომ მისი ავტორი თეიმურაზთან უშუალო მოლაპარაკების მონაწილე არის, მაგრამ ის არც ტოლოჩანოვია და არც იველვეა. ერთგან „А“ აღწერილობაში ვკითხულობთ: „Того же числа был царь Теймураз в Кутатисе и приходил на лобное место и посланников Микифора Толочанова да дьяка Олексеея Иевлева к себе на лобное место для государева дела призывал и с ними говорил, а что говорил и то писано у посланников особными статьями“³. ამ სტრიქონების ავტორი ტოლოჩანოვი და იველვეი არ უნდა იყოს, ეს მესამე პირია ვილაც, რომელიც ყველაფერს არ იწერს. ასეთი ადგილი არა ერთია ტექსტში. ერთგან, მაგალითად, მოთხრობილია, რომ ელ-

¹ М. Полиевктов, „К вопросу об авторе...“: სსრკ. აკად. საქართვე. ფილიალის შობა, ტ. I, № 1, 1940, გვ. 82.

² იველვეი ხომ გარკვევით მიგვითითებს თეიმურაზის მუხლობრივი აღწერილობის ცალკე არსებობას. იხ. გვ. 125.

³ М. Полиевктов, Посольство стольника Толочанова... გვ. 45.



ჩემმა, რომლებიც ქუთაისში იყვნენ, თავიანთი კაცები გაგზავნეს რაჭაში, თეიმურაზთან, და იქიდან დაბრუნებულებს ამბავი მოუტანიათ, რომ თეიმურაზმა მალე ქუთაისში მოვაო, ხოლო თუ რა საქმეზე გაგზავნეს თეიმურაზთან კაცი, ამის შესახებ ტექსტში სწერია: „А что о каковом деле ... послан к царю. и то написано у посланников себе статьями“¹. არც ამ სტრიქონის ავტორი შეიძლება იყოს ტოლოჩანოვი და იველვეი. „А“ ხელნაწერში არც ერთი ის „სტატია“ არ არის, რომელზედაც მოტანილი სტრიქონების ავტორი გვამცნობს.

ჩემი დაკვირვებით „А“ ხელნაწერის ავტორი ბერძნული ენის თარჯიმანი ივანე ბოიარჩიკოვი უნდა იყოს. ტექსტიდან აშკარად ჩანს, რომ ელჩები მუდამ ივანე ბოიარჩიკოვს გზავნიან თეიმურაზთან. ბოიარჩიკოვი ახლავს გამუდმებით ელჩებს მეფესთან მოლაპარაკების დროს. ერთგან ტექსტში აღნიშნულია, რომ ოქტომბრის პირველს ტოლოჩანოვსა და იველვეს ივანე ბოიარჩიკოვი მხლებლებით გაუგზავნიათ თეიმურაზ მეფესთან. თეიმურაზისაგან ითხოვენ მოლაპარაკებლად დღის დანიშვნას. თეიმურაზს ბოიარჩიკოვი მიუღია და მობოდიშების შემდეგ განუცხადებია: „Я возьму послов к себе и обо всем переговорю. А чаю, что государево дело все и совершится“. ამის შემდეგ სწერია: „А мне велел к себе подойти поближе: тепере мне говори на ухо“²...

ამ სტრიქონის ავტორი უფრო ივანე ბოიარჩიკოვი უნდა იყოს. ბოიარჩიკოვის ავტორობა საფიქრებელი ხდება ტექსტის სხვა ადგილებიდანაც: „160-го году сентября в 1 день переводчик Иван Боярчиков сказывал посланником, что ехал де из Дадьян Теймураза царя старец, что с ним был, греченин, а имя ему Феофан, в Кутатис город, а сказывал мне, что он слышал в Дадьянах“³. ერთგან ტექსტის ავტორი საგანგებოდ ხაზს უსვამს თარჯიმან ბოიარჩიკოვის მიერ თეიმურაზ მეფის ხელზე მოხვევას: „И посланники у руки Теймураза царя были... да и переводчик, а государевы люди не были“⁴.

ივანე ბოიარჩიკოვი საგარეო საქმეთა საგანგის თარჯიმანია. იგი ელჩობის შემადგენლობაში შედის, მას „переводчик“-ის თანამდებობა აქვს. როგორც გრ. კოტოშინის ცნობილი თხზულებიდან ჩანს, საგარეო საქმეთა საგანგის „переводчик“-ებიც ჰყავდა და „толмач“-ებიც. ამ თანამდებობებს შორის განსხვავება იყო. პირველს წერილობითი ძეგლის თარგმნა ევალებოდა წერილობით და მეტი პატივი და ჯამაგირი ჰქონდა. „ტოლმაჩებს“ საუბრის დროს ნალაპარაკევის თარგმნა ზეპირად. ამათი პატივი და ჯამაგირი განსხვავებული იყო⁵.


¹ იქვე, გვ. 44. იხილეთ აგრეთვე გვ. 49.

² М. Подневктов, Посольство стольника Толочанова... გვ. 51—52.

³ იქვე, გვ. 45—46.

⁴ იქვე, გვ. 57—58.

⁵ Гр. Котошихин, О России в царствованиях Алексея Михайловича, 1906 წ.



ბოიარჩიკოვი პირველად არ არის საქართველოში. იგი 1637—1640 წლებში ყოფილა საქართველოში ვოლკონსკისა და ხვატოვის ელჩობის დროს. უკანასკნელნი თეიმურაზ I იყვნენ გამოგზავნილი მეფე მიხეილ რომანოვის მიერ. ბოიარჩიკოვი ამხელადაც „პერეველჩიკი“ ყოფილა და ძალიან ხშირად იხსენიება ვოლკონსკისა და ხვატოვის „მუხლობრივ აღწერილობაში“¹. ჩანს, განათლებული ადამიანია, ბერძნული ენა კარგად უნდა იცოდეს „А с ними посланы для тех государевых дел греческой переводчик Иван Боярчиков“², ისე რომ ბოიარჩიკოვს „მუხლობრივი აღწერილობის“ წერა უდაოდ შეეძლო და ამ მხრივ მისი ავტორობა საეჭვო არ უნდა იყოს.


„А“ ხელნაწერის განხილვა აშკარად გვიჩვენებს, რომ აქ კახთა მეფესთან წარმოებული მოლაპარაკება და საქმის ვითარება სრულად აღწერილი არ არის. მის ავტორს (ამიერიდან ექვით ბოიარჩიკოვს) ბევრი რამ არ ჩაუწერია განხრახ. მთელი რიგი ამბების შესახებ წერს, რომ ამისა და ამის შესახებ ელჩებს აქვს ჩაწერილი სათანადო მუხლების სახითო: „А что о какове деле переводчик Иван Боярчиков посылан к Теймуразу царю, и то написано у посланников себе статьяями“³. ან და მეორე ადგილას ასეთ ცნობას გვაწვდის: „был царь Теймураз в Кутатисе... и посланников Микифора Толочанова да дьяка Олексея Иевлева к себе... призывал и с ними говорил, а что говорил, и то писано у посланников особными статьяями“⁴. ეს სტრიქონები სადვიქრებელს ხდიან, რომ „А“ აღწერილობა საგარეო საქმეთა საგანგეოში წარსადგენად გამზადებული „მუხლობრივი აღწერილობა“ არ არის. აქ თეიმურაზთან წარმოებული მოლაპარაკების გარკვეული ნაწილია ჩაწერილი და აშკარად ჩანს, რომ ეს ჩანაწერი ელჩებს — ტოლოჩანოვსა და იველივეს არ ეკუთვნის.

ელჩებს ჩანაწერები ცალკე აქვთ წარმოებული, ელჩების მიერ ჩაწერილი მასალები ეტყობა „А“ ხელნაწერში არ არის.

კითხვა იზადება — თუ ელჩები ცალკე იწერდნენ ცნობებს თეიმურაზთან წარმოებული მოლაპარაკებიდან, „А“ ხელნაწერის ავტორი რა დავალებას ასრულებდა, როცა „А“ ხელნაწერზე მუშაობდა?

საქმე ის არის, რომ რუსეთის ელჩები „მუხლობრივი აღწერილობების“ მასალებს ადგილობრივ ყველას თვითონ კი არ იწერდნენ, არამედ ელჩობის შემადგენლობის სათანადო პირებს აძლევდნენ დავალებებს, შრომას ანაწილებდნენ და ამით საქმეს იმსუბუქებდნენ. რა ჩაეწერათ და რა არ ჩაეწერათ, რა საკითხი მიეცათ იმ პირებისათვის, ვისაც დავალებული ჰქონდა ელჩებისათვის ახსნა-განმარტება მიეცა, ყოველივე ეს ელჩობის ხელმძღვანელზე იყო დამოკიდებული. 1639—40 წლებში სამეგრელოში გამოგზავნილი ელჩინის და პაველ ხუცესის მუხლობრივ აღწერილობაში იქ, სადაც სამეგრელოში არსებულ მსხვერ-

¹ М. Полиевктов, Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, 1937 წ., გვ. 143, 161, 167, 169, 182, 229, 230, 260, 272 და სხვ.
² იქვე, გვ. 161.
³ М. Полиевктов, Посольство стольника Толочанова... გვ. 44.
⁴ იქვე, გვ. 45.



პლის შეწირვის დროს რიტუალის შესრულებაზე არის საუბარი, პავლე ხუცესი თავის ჩანაწერში აღნიშნავს: „а того я не знаю что они говорят (ლავრაში ლაპარაკი); и пои Павел хотел у них спрашивать, что оне в те поры говорят и Федот (ელჩი ელჩინია) попу Павлу у них про то не велел спрашивать“¹.

„А“ ხელნაწერი თვით ტოლოჩანოვის განკარგულებით შესრულებული ჩანაწერები უნდა იყოს, საფიქრებელია უფრო ბოიარჩიკოვის მიერ შესრულებული. ბოიარჩიკოვი როგორც თარჯიმანი, ძალიან ხშირად ტოლოჩანოვის განკარგულებით იგზავნებოდა ქართველ მეფეებთან მოსალაპარაკებლად, განსაკუთრებით თეიმურაზთან. რა თქმა უნდა, რაკი ბოიარჩიკოვი განსწავლულიც იყო, ყველაზე უკეთ შეაგროვებდა ტოლოჩანოვის საანგარიშო მოხსენებისათვის მასალებს, ერთი ადგილი იველევის მუხლობრივ აღწერილობაში ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ ტოლოჩანოვს მასალების ჩაწერაში მისი თანამხლებელი მღვდელი მიხეილიც უნდა შეელოდეს. იველევი აღნიშნავს, რომ მასთან მივიდა ერთ დღეს ელჩების თარჯიმანი ივაშკა ტეზნიჩონოვი და ამბავი მიუტანა, თეიმურაზის აზნაურმა რამაზმა სადადიანოდან წერილი მოიტანაო: „и тот лист переводили... Иван переводчик (ბოიარჩიკოვი) да Микифоров (ტოლოჩანოვის სახელი) отец духовной, пои Михайло“². ტოლოჩანოვი რომ სამხედრო და ადმინისტრაციული ხაზით მომუშავე კაცი იყო, ხომ არ შეელოდა მიქაელ ხუცესი ეკლესიის სამკაულებისა და აგებულებათა აღწერაში მას და, „В“ ხელნაწერში რომ აღწერილობებია მოცემული, მიქაელ ხუცესის მასალები ხომ არ არის.

მაგრამ დაეუბრუნდეთ „А“ ხელნაწერს. როგორც აღვნიშნეთ, „А“ აღწერილობა ტოლოჩანოვისათვის მასალა უნდა ყოფილიყო, თეიმურაზ მეფესთან წარმოებული მოლაპარაკების საანგარიშო მოხსენებისათვის; როგორც დავინახეთ, სამისო მასალის ნაწილი თვით ტოლოჩანოვს ჰქონია ჩაწერილი. ამიტომ ბუნებრივია საკითხის დაყენება — დასწერა თუ არა ტოლოჩანოვმა სრული საანგარიშო მოხსენება თეიმურაზთან წარმოებული მოლაპარაკების შესახებ და წარუდგინა თუ არა იგი საგარეო საქმეთა საგანგოს.

რა თქმა უნდა, სანამ ჩვენ უტყუარი ცნობა არ გვექნება საწინააღმდეგოს დასამტკიცებლად, უნდა ვიფიქროთ, რომ ტოლოჩანოვმა თეიმურაზთან მოლაპარაკების სრული აღწერილობა, ცალკე დაწერილი, წარუდგინა საგარეო საქმეების ხელმძღვანელებს და ასეთი აღწერილობა საძიებელია; იგი შეიძლება აღმოჩნდეს კიდეც, მაგრამ ერთი გარემოება მაინც ეჭვის სახით უნდა აღვნიშნოთ.

ჯერ-ჯერობით ჩვენ ხელთ არსებული ტოლოჩანოვის ელჩობის სურათი ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს იმის მეტი, რაც ჩვენ ხელთ არის ტოლოჩანოვს არაფერი არ უნდა შეეგდინოს. ტოლოჩანოვის ცხოვრებაში ეს

¹ იხ. ჟურნ. Чтения в императорском обществе истории и древн. российских, 1887 г., кн. II, გვ. 349.

² М. Полиевктов, Посольство стольника Толочанова... გვ. 160.

ელჩობა პირველი და უკანასკნელია. იგი არც მანამდე მოღვაწეობდა ამ ხანით და აღარც შემდეგ უმუშავია¹. როგორც დაცული ცნობებიდან ჩანს, ტოლოჩანოვმა ელჩობა ნორმალურად ვერ ჩაატარა. ჯერ იყო და გზაზე — კავკასიონის გადმოსავალზე მასთან ერთად მოსკოვიდან მომავალ თეიმურაზის ელჩთან საქმე ისე გამწვავდა რომ ქართველმა თავადიშვილმა იარაღს გაიკრა ხელი და ტოლოჩანოვს მოკვლას უქადდა: „И посол князь Иван Григорьев (თეიმურაზ მეფის ელჩის სახელი და გვარია), сваялся с лошади, вынез стрелу, да разволкся из лука, хотел посланника (იგულისხმება ტოლოჩანოვი) и государевых людей стрелять за то, что ево князь Ивана да игумена.. в Мундарову кабарду не отпустили“². ტოლოჩანოვი, რა თქმა უნდა, უტაქტოდ მოიქცა, როცა გუშაგები მიუყენა ქართველ ელჩებს და დაავალა არსად გაუშვაოთ.

თეიმურაზ მეფესთან მოლაპარაკების დროს ტოლოჩანოვმა საუბარში მეფისათვის უკადრი ქუთის დარბეზება და შენიშვნები დაიწყო და თეიმურაზი საშინლად აღაშფოთა. „А“ აღწერილობაში აღნიშნულია, რომ გაბრაზებულმა თეიმურაზმა ტოლოჩანოვს სახინკლედ ნაკუწ-ნაკუწად დაკეპვა აღუთქვა: „... ты Микифор, и с перва стал не добро делать. Довелся ты то, чтобы тебе в пирожные части изрублену быть“³.

შემდეგ საქმე ისე მიდის, რომ თეიმურაზი მას სრულ უნდობლობას უცხადებს, ეუბნება: „შენ ჩემი ელჩი არა ხარ და არავითარ დავალებას შენ არ გაძლევო. იქვე მყოფ იველევს თავაჯობს ტოლოჩანოვის მაგიერობას.

1940 წელს მ. პოლევკტოვის მიერ დამატებით მოპოვებული ცნობებიდან ჩანს, რომ თეიმურაზ მეფის ელჩს თეოდანეს რუსეთის საგარეო საქმეთა საგანგეოში განუცხადებია თეიმურაზის დავალებით, რომ 1651 წელს სექტემბერში, როცა ტოლოჩანოვი და მისი ამაღლა სკანდაში ალექსანდრე მეფესთან სუფრაზე ისხდნენ, ტოლოჩანოვის სულიერ მამას მიხეილ ხუცესს თეიმურაზის ლანძღვა დაუწყია საჯაროდ. ეს ლანძღვა-გინება მოუსმენიათ ქართველებს, რომელთაც რუსული სკოდნიათ, და ალექსი იველევის შვილს კლიმენტი იველევს. კლიმენტის მიხეილ ხუცესის დაჩუქება მოუნდომებია, მღვდელს კი კლიმენტისათვის სუფრაზე დედა შეუგინებია: и тот поп Климентия бранил матерны“. როდესაც ელჩები ბინაზე მისულან, კლიმენტის მიქეილისათვის გაურტყამს ხელი. აქ უკვე ტოლოჩანოვი ჩაერია საქმეში, კლიმენტი მიაყვანიდა თავის კაცებს მასთან „и велел... бить его топтунами (ფეხსაცმელებით) и покинул его замертво“. ამის შემდეგ ტოლოჩანოვი მისდგა თვით ალექსი იველევს: „и отца ево Алексея за бороду драл и бил топтунами и ослопами (ჯობებით)“. ერთი ალექსი იველევის კაცი, რომელიც თავის ბატონს მიეშველა, შემოკვდომია ტოლოჩანოვს³.

¹ М. Полиевктов, Посольство стольника Толочанова... зб. 013—044.

² იქვე, გვ. 35.

³ იქვე, გვ. 56.

⁴ М. Полиевктов, К вопросу об авторе статейного списка „С“... ხსრკ. მეცნ. აკად. საქართველოს ფილოლოს შობებ, ტ. I, № 1, 1940, გვ. 83.



ამ ცნობებიდან აშკარა უნდა იყოს, რომ ტოლოჩანოვს იმერეთში მოულოდნელად წვობას ვერ მოუწონებდნენ და მისი დიპლომატიური ხაზით გამოყენება შეუწონლად უნდა მიეჩნიათ საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელებს, მით უმეტეს რომ თეიმურაზთან საქმე ვერ მოაგვარეს ელჩებმა, თეიმურაზის შვილიშვილი მოსკოვის მეფეს ვერ მიუყვანეს, რასაც დიდის ინტერესით მოელოდნენ მოსკოვის პოლიტიკოსები და თვით მეფე. ამის შემდეგ გასაგები ხდება ის ფაქტი, რომ ტოლოჩანოვი საგარეო საქმეების ხაზით არ მუშაობს.

ახლა ჩვენ ყურადღება იმ გარემოებასაც უნდა მივაქციოთ, რომ ტოლოჩანოვისეული „B“ მუხლობრივი აღწერილობა სავსებით დამუშავებული არ არის და მას შეესება ესაჭიროება. ხელნაწერს ეტყობა, რომ მას სათანადო დამატებები უნდა ჰქონოდა საბოლოო რედაქციის შემდეგ. ერთგან, მაგალითად, აღნიშნულია, რომ 24 აგვისტოს იმერთა მეფესთან გაგზავნილი კაცი დაბრუნდა და მეფისაგან წერილი მოიტანაო, წერილში კი მეფე წერდაო. — რას წერდა აღარ წერს: „от царя Александра привез лист, а в листе пишет“¹. შემდეგ სხვა ამბავი იწყება წერილის შინაარსი გამოტოვებულია. თუ ჩვენ ვიტყვით, რომ აქ სპეციფიკური გამოთქმაა და ტექსტს არ აკლია, შემცდარი ვიქნებით. ამის ზემოთ იგი, იმავე ალექსანდრეს წერილის შესახებ წერს: „Августа в 5 день... из Сканды... Пешенга... привез к послам от царя лист, а в листу царь Александр пишет к послам: писал же ко мне царь Теймураз... да сбе.“². 28 აგვისტოს ქვეშ ისევ გამოტოვებული აქვს მეფის წერილის შინაარსი: „от царя Александра привез к посланникам лист, а в листе пишет“³. შემდეგ იწყება სხვა ამბავი.

იველვის აღწერილობიდან ვგებულობთ, რომ 19 ივლისს ალექსანდრეს წერილები გამოუგზავნია ტოლოჩანოვისათვის ცალკე, იველვისათვის ცალკე. იველვეს მოჰყავს მის სახელზე გამოგზავნილი წერილის სრული თარგმანი⁴. ტოლოჩანოვის წერილზე აღნიშნავს, რომ ტოლოჩანოვს აქვს და მე შინაარსი არ ვიციო. ტოლოჩანოვი 19 ივლისის ამბებში სრულიადაც არ წერს წერილზე რამეს — კაცი მოვიდა და ალექსანდრე მეფემ თავისთან გაგვიწვიაო⁵. ისე რომ ტოლოჩანოვის საბოლოოდ დამუშავებული იმერეთის მეფესთან წარმოებული მოლაპარაკებების „მუხლობრივი აღწერილობაც“ არ გვაქვს ჩვენ.

ისეთი შთაბეჭდილება იქნება, თითქოს ტოლოჩანოვს დაუმუშავებელი მასალები მიატანინეს საგარეო საქმეთა საგანგოში და დიპლომატიურ საქმიანობას ჩამოაცილეს სხვა სამუშაოზე განწესებით, გარკვეული შერისხვის შედეგად. ასეთი მოსაზრება ზემოთ აღწერილი ფაქტების შემდეგ, სანამ ტოლოჩანოვის მიერ საბოლოოდ დამუშავებული „მუხლობრივი აღწერილობინი“ არ აღმოჩნდება, თეიმურაზის საქმეების გამო ცალკე და ალექსანდრე მეფის ცალკე, უსაფუძვლო არ იქნება.


¹ М. Полиевктов. Посольство стольника Толочанова... 88. 85.

² იქვე.

³ იქვე, 88. 86.

⁴ იქვე, 88. 159.

⁵ იქვე, 88. 81.



როგორც ზემოთ არა ერთგან აღნიშნული გვექონდა, „A“ აღწერილობის ტოლოჩანოვისათვის შედგენილი ჩანაწერებია, რომლებითაც მას უნდა ესაუბრა ლა „საანგარიშო მოხსენების საბოლოოდ დამუშავებული ტექსტის შედგენის დროს. ამ მოსაზრებას ნაწილობრივ მისაღებად ხდის ის გარემოებაც, რომ მთელი რიგი ადგილები „A“ აღწერილობიდან სიტყვა-სიტყვით შეუტანია ტოლოჩანოვს თავის „B“ აღწერილობაში. მთელი გვერდები სიტყვა-სიტყვით არის გადაწერილი, და რომ „A“ აღწერილობიდან არის ეს ადგილები ამოღებული და არა პირიქით, იქიდან შეიძლება აღამიანნა დაინახოს, რომ შესატყვისი ადგილები მთლიანად ეხება მხოლოდ თეიმურაზთან წარმოებულ საქმეს. როგორც ვიცით „A“ აღწერილობა სპეციალურად თეიმურაზის საქმეს აღწერს. „B“ და „C“ აღწერილობანი — მთლიანად ალექსანდრესას, მხოლოდ აქა-იქ თეიმურაზს ახსენებს „B“ აღწერილობა და ისიც მხოლოდ მაშინ, თუ ალექსანდრეს შესახებ ამბების თხრობა, თეიმურაზის მოხსენების გარეშე არ ხერხდება. ეს ამბები კი, როგორც ვთქვით, მზა-მზარეულად „A“ აღწერილობიდან აქვს ამოკრეფილი ტოლოჩანოვს¹.

ტოლოჩანოვს იმერეთში ჩაწერილი სხვა მასალაც ჩაუბარებია საგანგებოში, საფიქრებელია მისი „მუხლობრივი აღწერილობისათვის“ საგანგებოდ ჩაწერილი. არქივის ცნობიდან ჩანს, რომ არქივს გარკვეულ დრომდე ჰქონდა ტოლოჩანოვის საგანგებო რეული: „тетрадь, в поддестр, а в ней писано о строении Мелетийского государства, Микифора Толочанова“². განსვ. პროფ. მ. პოლი-ევქტოვი მწუხარებით აღნიშნავს, რომ ეს რეული ამჟამად დაკარგულად უნდა ჩაითვალოსო. გარკვეულ დრომდე ამ სტრიქონების ავტორიც იმ მოსაზრებისა იყო, რომ ტოლოჩანოვმა იმერეთის სახელმწიფო წყობილება აღწერა და ეს იშვიათი ძეგლი მოსკოვის არქივს ჰქონდა გარკვეულ დრომდე. ამჟამად ამაში ეჭვი გვეპარება. ეჭვი გვეპარება იმაში, რომ ტოლოჩანოვს საგანგებოდ იმერეთის სახელმწიფო წყობილება არ აღუწერია და რაც მთავარია — ის, რაც ტოლოჩანოვის იმ რეულში იყო მოთავსებული, მეცნიერებისათვის დაკარგული არ უნდა იყოს.

როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ცნობა, რომელიც ტოლოჩანოვის რეულის შესახებ იყო მოტანილი, არქივს ეკუთვნის. იმერეთის შესახებ რომ ტოლოჩანოვს ცალკე რეული უნდა ჰქონოდა და შიგ საგანგებო ცნობა იყო, ამაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება. ტოლოჩანოვის კოლეგა, ალექსა იველვეი, თავის „მუხლობრივ აღწერილობაში“ ერთგან გვაუწყებს, რომ ალექსანდრე ივერთა მეფემ თავის კარის-კაცის ფეშანგის ხელით ტოლოჩანოვს იმერეთის ქალაქების და მონასტრების სია გამოუგზავნაო, აგრეთვე აზნაურებისა, თავადების და მეთოფურების ჩამოთვლითი ნუსხაცო. ამის დედანი და რუსული თარგმანი ნიკიფორე ტოლოჩანოვს აქვსო: „Да к послѣм же прислал Александр... с Пешенгеем Меретийского государства именованным городом и монасты-

¹ М. Подишевское, Посольство стольника Толочанова... შედარეთ 49 და 50 გვერდები: 89—91 გვერდები.

² იქვე. გვ. 041.



რემ роспись, а бояром своим и азнауром, и тюфянчеем, и торговым и пашенным людем перечневую роспись. И подлинная роспись перевод у Микифора“¹. იველევის ამ ცნობიდან ცხადი ხდება, რომ ნიკიფორე ტოლოჩანოვს ცალკე რვეული უნდა ჰქონოდა, ფეშანგისაგან მიღებული ცნობებით შევსებული. ეს ცნობები ტოლოჩანოვს თავისი საანგარიშო მოხსენების ბოლოს შეუტანია (იხ. „В“ აღწერილობა).

არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ის რვეული, რომელზედაც ცნობას იძლევა არქივის ანაწერი და დღეს დაკარგულია, იმავე ცნობების შემცველი იყო, რომელთაც ტოლოჩანოვი თავისი ნაშრომის ბოლოში ათავსებს. ე. ი. იველევი რომ მასალაზე მიგვიითიუბს, ის მასალა იყო იმ რვეულში, რომელიც გარკვეულ დრომდე არქივს ჰქონდა და დღეს არ ჩანს.

ამ შესაძლებლობას აძლიერებს ზოგიერთი მომენტისაკენ ყურადღების გამახვილება. რვეულის ზომა ყოფილა „полдесть“, ეს კი იმას ნიშნავს, რომ რვეული ფურცლის მეოთხედის ზომისა ყოფილა. „Полдесть“ ნახევარ თაბახს კი არ ნიშნავს ამ შემთხვევაში, არამედ — რვეულს სიგრძე-სიგანე ფურცლის მეოთხედის ზომისა აქვს („книга писана в полдесть“ — ნიშნავს — წიგნი მეოთხედი ფურცლის ზომისა)².

რვეულის შესახებ არქივის ცნობაში ნათქვამია: „тетрадь, в полдесть, а в ней писано о строении Мелетийского государства“. „Строение“ მართალია წყობილებასაც ნიშნავს იმ დროის რუსულში, მაგრამ არა მარტო წყობილებას, არამედ ციხე-სიმაგრეების და მონასტრების ნაგებობებსაც. შორს რომ არ წავიდეთ, იმავე ტოლოჩანოვისა და იველევის მუხლობრივ აღწერილობებში „Строение“ ნაგებობის მნიშვნელობით იხმარება: „А как Микифор и Алексей город Гилат и в нем церкви и всякое строение описали“³. ტოლოჩანოვი თავის აღწერილობაში აღნიშნავს: „Июля в 13 день... привели лошади... ехать в город Гилат, осмотрети святынь и всяково строения“⁴...

იხე რომ ტოლოჩანოვის რვეულში ნაგებობებიც უნდა ყოფილიყო აღნუსხული. თუ ამას იმასაც დაუფიქტებთ, რომ ტოლოჩანოვის მუხლობრივ აღწერილობაში თავადების, მეთოფურებისა და სხვათა რიცხვის შესახებ გვაქვს ცნობები, არ იქნება უსაფუძვლო, თუ ტოლოჩანოვის იმ რვეულის ცნობებს და მუხლობრივ აღწერილობის ბოლოს დართულ ცნობებს ერთ და იმავედ ჩავთვლით. ამ აზრს აძლიერებს კიდევ ის გარემოებაც, რომ იველევი ტოლოჩანოვს არაფერში არ ჩამორჩება. როცა იველევა გაიგო, რომ ტოლოჩანოვმა ოფიციალური ცნობა მიიღო აღუქსანდრე მეფისაგან იმერეთის ციხე-ქალაქებისა და მონასტრების შესახებ, და როგორც ახლა უკვე ვიცით, ტოლოჩანოვმა ეს საბუთი იველეს არ ათხოვა და არ ასარგებლა, მათ შორის მომხდარი უსიამოვნების

¹ М. Полиевктов, Посольство стольника Толочанова... გვ. 184.

² Словарь церковно-славянского и русского языка, составл. вторым отдел. имп. Акад. Н. Том III, изд. II, 1867, გვ. 658.

³ М. Полиевктов, Посольство стольника Толочанова... გვ. 152.

⁴ იქვე გვ. 74.

შედგად, იველევმა საგანგებოდ იპოვა კაცი და ისეთივე ცნობები შეკრიბა როგორც ტოლოჩანოვს გადასცეს და კიდევ მეტიც. იველევს აღწერილობაში რაკი იგივე მასალაა არსებითად, რაც ტოლოჩანოვის თხზულებაში, ტოლოჩანოვს ახალი ნაშრომი იმერეთის სახელმწიფოს წყობილების შესახებ შეიძლება მართლაც არ ჰქონდეს. რა თქმა უნდა, ზემოთ ჩვენ მიერ მოცემული მოსაზრებანი — მხოლოდ მოსაზრებანია და ამ გარემოებამ ინტერესი ტოლოჩანოვის რეჟულირებაში არ უნდა მოაღუნოს და ძიება უნდა გაგრძელდეს.

იველევის „მუხლობრივი აღწერილობის“ („C“) წარმოშობისა და დანიშნულების შესახებ სავესებით სამართლიანი უნდა იყოს განსვ. მ. პოლიევქტოვის მიერ მეცნიერული სიფრთხილით გამოთქმული მოსაზრება, რომ იველევი პატრიარქ ნიკონის დავალებით მოქმედი პირი უნდა იყოს იმერეთში და მისი მუხლობრივი აღწერილობაც ნიკონის საკუთრებას შეადგენდა კიდევ¹.

იველევის „აღწერილობა“ არავითარ კავშირში არ არის არც ბოიარჩიკოვის ჩანაწერებთან („A“ ხელნაწერი) და არც ტოლოჩანოვის „აღწერილობასთან“ („B“ ხელნაწერი). იგი სრულიად დამოუკიდებლად შესრულებული ნაწარმოებია. თვით ტექსტიდან აშკარად მოჩანს, რომ იველევი ჩანაწერებს აკეთებს იმერეთში და დამოუკიდებელი საანგარიშო მოხსენებისათვის მასალებს ამზადებს. იველევის თხზულების ტექსტიდან ნათლად მოჩანს, რომ ტოლოჩანოვს თავისი ჯგუფი ჰყავს ელჩობის შემადგენლობაში და ეს ჯგუფი იველევს ხელს არ უწყობს ცნობების მიღებაში. ბოიარჩიკოვი, მაგალითად, იველევს ცნობას არ აძლევს. მტრულ დამოკიდებულებაშია მასთან აგრეთვე მიხეილ ხუცესიც. იველევს ერთგან აღნიშნული აქვს, რომ თეიმურაზ მეფის კაცი რამაზი სადადიანოდან მოსულა, წერილი მოუტანია ტოლოჩანოვთან და ივანე ბოიარჩიკოვს და მიხეილ ხუცესს გადაუთარგმნიათ. იველევისათვის ტოლოჩანოვს ეს თარგმანი არ უჩვენებია. იველევი თავის მოხსენებაში საყვედურით წერს: „А от кого тот лист прислан, и кто к нему переводчику из Дадьян пишет, и о каком деле, того Алексею (იველევია) ничего не ведомо“². ამ ამბიდან აშკარად ჩანს, რომ ბოიარჩიკოვი და მიხეილ ხუცესი მას ცნობას არ აწვდიან. მეორე თარგმანი, „ტოლმაჩის“ თანამდებობაზე მყოფი, ივაშკა ტეხიჩონოკი იველევს შევლის. მაგალითად, ზემოთ აღწერილი ამბის შესახებ ცნობა ტეხიჩონოვს მიუწოდებია იველევისათვის, რაც იცოდა, უთხრა, წერილის შინაარსი არ გაშიგონიაო, უთქვამს თარგმანს. იველევს შევლის აგრეთვე მისი შვილი კლიმენტი, რომელიც მამას პრაქტიკანტად წამოუყვანია დიპლომატიის სახით დახელოვნების მიზნით.

იველევის თხზულებაში რამდენიმე ადგილი არის ისეთი, სადაც აღნიშნულია, რომ იველევმა ტოლოჩანოვისაგან ცნობა ვერ მიიღო და ამდენად არაფერი ვიცი ამ საკითხის შესახებო.

ერთგან, მაგალითად, იველევი იმავე თეიმურაზის აზნაურის — რამაზის შესახებ წერს: „...приехал... азнаур Рамазан и был у Микифора (ტოლო-

¹ სსრკ. მეცნ. აკად. საქართველოს ფილიალის შობაზე, ტ. I, № 1, 1940, გვ. 84—85.

² М. Подневзтков, Посольство стольника Толочанова... გვ. 160—161.

ჩანოვან). А что речей у него с Мнкифором было и того Алексею не ведемо¹.

ეს მაგალითები ნათელს ჰყოფენ, რომ იევლევის „აღწერილობა“ სრულიად დამოუკიდებელი თხზულებაა, „А“ და „В“ ხელნაწერებთან შედარებით და არავითარი საერთო წყარო, ვრცელი მუხლობრივი აღწერილობა, გამოსავალი ამ სამი ძეგლისათვის არ არსებობდა. ამდენად ჩვენ საუკეთესო საშუალება გვეძლევა ტოლოჩანოვის აღწერილობაში მოცემული ცნობები შევუდაროთ იევლევის აღწერილობის ცნობებს და რუსული მუხლობრივი აღწერილობების მიმართ ხელაღებით ნდობის საკითხიც გადავსინჯოთ.

ამ შედარებიდან ცხადი ვახდება შველევარისათვის, რომ რუსი ელჩები საქართველოს მეფეებთან წარმოებულ მილაპარაკებებს და ნახულ მოვლენებს სრულიადაც უკლებლად არ იწერდნენ. ამა თუ იმ მოვლენისა და ფაქტის აღწერა ელჩის მიერ ინსტრუქციის (ნაკაზის) სისრულეში მოყვანასთან და ნახულის და გაგონილის უკლებლად ჩაწერასთან არ ყოფილა ყოველთვის დაკავშირებული. ყველაფერი იმაზე ყოფილა დამოკიდებული, თუ რა კეთილსინდისიერებისა იყო ელჩი.

XVII საუკუნის ცნობილი მოღვაწე გრ. კოტოშიხინი, რომელიც თავის შესანიშნავ თხზულებას XVII საუკუნის სამოციან წლებში წერდა ტოლოჩანოვისა და იევლევის იმერეთში მოგზაურობიდან 15 წლის შემდეგ, აღნიშნავს, რომ ელჩებს ინსტრუქციები (ნაკაზი) წინასწარ დამუშავებული ეძლევათ და ამის მიხედვით უნდა იმოქმედონ და ყველაფერი, რაც ილაპარაკეს და ნახეს, „მუხლობრივ აღწერილობაში“ ჩაწერონო. მაგარამო — გულის ტკივილით შენიშნავს კოტოშიხინი: „те все речи, которые говорены и которые не говорены, пишут они в статейных своих списках не против того, как говорено, прекрасно и разумно, выславляючи свой разум на обманство, чрез чтоб доставить у царя себе честь и жалованье большое; и не срамляются того творити, понеже царю о том кто на них может о таком деле объявить“².

კოტოშიხინის სიტყვები მეტის-მეტად დამაფიქრებელი ხდება. იგი ერთხელ კიდევ გვაფრთხილებს ჩვენ ექვით მოვეკიდოთ რუსი ელჩების ჩანაწერებს, სადაც ლაპარაკი არის ქართველი მეფეების მხრით საქმის გაკვიანურებისა და გაძნელების შესახებ: „И Александр княз помияков в запись написать не хотел и стоял за то много“³. ასეთი ცნობები მრავლად აქვთ რუსეთის ელჩებს შეტანილი მუხლობრივ აღწერილობებში XVI საუკუნიდან მოკიდებული მთელი XVII საუკუნის მანძილზე და ვაი თუ რუსეთის ელჩი წარმოებულ საქმის სიძნელეს უმეტეს შემთხვევაში განზრახ აუწყებს თავის პატრონს ქარბი

¹ М. Полиевктов, Посольство стольника Толочанова... გვ. 160. იხ. აქვე აგრეთვე ამის მსგავსი ცნობა გვ. 170.

² Гр. Котошихин, О России в царствование Алексея Михайловича, изд. IV^а 1906 г., გვ. 52.

³ С. Белокуров, Сношения России с Кавказом, 1889 г. გვ. 41. იხ. აგრეთვე გვ. 37 და სხვ.

ვასპირჯელოს მიღების მიზნით. რუსული „მუხლობრივი აღწერილობის“ ტექსტის ჰეგლების გამოყენებისას მხედველობაში ესეც უნდა გვაქონდეს.

იველვეისა და ტოლოჩანოვის აღწერილობათა შედარება გვიჩვენებს, რომ იველვეი უფრო კეთილსინდისიერად გვამცნობს ფაქტებს, ტოლოჩანოვი ამოკლებს, ზერელედ აღნიშნავს იმავე ფაქტებს. არის ცნობები, რომელთაც ტოლოჩანოვის აღწერილობა ამკარად ყალბად გვაწვდის. მაგალითად, გელათში არსებულ დარბაზიდან მოტანილ რკინის კარების შესახებ: „А сказали оне про те ворота железные, что взяты они в Дербени, как воевала Динара царевна кизылбаскую землю и шаху кизылбаскому сама голову отсекала. И персидская земля вся была под ея подданством тридцать лет“¹.

მთელი ეს ამბავი ამოღებული არის რუსული თქმულების „დინარ ივერთა დედოფლის“ რუსეთში გავრცელებულ ვერსიიდან. ამოღებულია თითქმის სიტყვა-სიტყვით. საქართველოში თამარ მეფის შესახებ ასეთი ცნობა არასოდეს არ ყოფილა და თავიდან ბოლომდე „В“ ხელნაწერის ავტორის ანდა მისი თანაშემწის მიქაელ ხუცესის მოგონილია.

მოუსმინოთ იველვეს იმავე დღის თარიღის ქვეშ, თუ რა უთქვამთ ქართველებს რუსი ელჩებისათვის იმავე გელათის კარების შესახებ: „А сказывал митрополит Захарей, что те ворота привезены из кизылбаской земли, из города из Дербени в те поры, как ходил воевать кизылбасскую землю меретинской царь Давид“².

იველვეის თხზულების შესახებ, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, პროფ. პოლი-ევქტოვი წერდა, პატრიარქ ნიკონის დაკვეთით ხომ არ მუშაობდა თავის აღწერაზე იველვეიო. განსვენებული მეცნიერი იმ გარემოებას აქცევდა ყურადღებას, რომ ამ პერიოდში ნიკონი თავისი საეკლესიო რეფორმისათვის ემზადებოდა და აღმოსავლეთის ეკლესიების ვითარება საგანგებოდ თუ სკირდებოდაო, მით უმეტეს რომ საეკლესიო საჭმეებს იველვეი უფრო მეტ ადგილს უთმობს თავის აღწერილობაში, ვიდრე ტოლოჩანოვიო.

პატრიარქ ნიკონის ინტერესი იმერეთის აღწერილობისადმი შესაძლებელია ნაწილობრივ საეკლესიო რეფორმებისადმი სამხადისს აღეძრა, მაგრამ ის მომენტიც მხედველობაში მისალეპია, რომ 1658 წლამდე ნიკონი სახელმწიფო საქმეებშიაც აქტიურად ერეოდა, ცეზაროპაპისტულ იდეებს ჰქადაგებდა და თავის თავს სიგელებში „государь“-ს ეძახდა. ამიტომ მოულოდნელი არ უნდა იყოს, რომ იგი რუსეთის დიპლომატიურ ურთიერთობაშიაც ჩარეულიყო და თავის-თავის მუხლობრივი აღწერილობა შეეკვეთა.

ერთი გარემოებაცაა აღსანიშნავი. ამ ელჩობაზე გაცილებით ადრე საქართველოში, კერძოდ კახეთში, რუსეთთან ხშირი ურთიერთობის შედეგად გავებული ჰქონიათ, რომ რუსეთში დიდ პატივში არის წმიდა დინარ დედოფალი, ქართველთა მეფის ასული. თეიმურაზ მეფე, თავის სამფლობელოდან გარდახვეწილი, რუსეთის ხელისუფლებას ჯერ კიდევ 1619 წელს აუწყებდა: „А жи-

¹ М. Подиевтов, Посольство стольника Толочанова... გვ. 80.

² იქვე, გვ. 144—145.

И. Цинцадзе

К вопросу о статейных списках Толочанова и Иевлева

Резюме

Проф. М. А. Полиевктов окончательно разрешил вопрос об авторстве статейных списков „В“ и „С“ рукописей („В“ принадлежит Толочанову, „С“ — Иевлеву, см. М. А. Полиевктов, К вопросу об авторе «статейного списка С» посольства Толочанова и Иевлева: Сообщения Грузинского Филиала Академии Наук СССР, Т. I, № 1, 1940).

Но вопрос об авторе „А“ рукописи оставался неразрешенным (О рукописях см. Посольство стольника Толочанова и дьяка Иевлева в Имеретию, изд. М. А. Полиевктова 1926 г., стр. 027—043).

Предположения проф. Полиевктова не соответствуют действительности (см. Сообщ. Груз. Филиала Акад. Н. СССР, Т. I, № 1, 1940, стр. 82).

„А“ рукопись — статейный список, специально предназначенный для отчета послов по переговорам с Кахетским царем Теймуразом I.

Что такой статейный список составлялся отдельно, об этом свидетельствует Иевлев (см. статейный список Иевлева, изд. Полиевктова, 1926 г., стр. 125).

Но „А“ рукопись не является окончательно отредактированной. Здесь мы имеем материалы для статейного списка, но не все. Запись переговоров с царем Теймуразом частично ведет член посольства „греческой переводчик Иван Боярчиков“; ему же принадлежит „А“ рукопись.

Стольник Толочанов не составлял отдельно „тетрадь... о строении Мелетийского (Имеретского) государства“ (см. изд. М. А. Полиевктова, стр. 041), вернее это — тот самый список „строениям и людям“, который по распоряжению царя Александра передали Толочанову.

Статейные списки посольства в Имеретию впервые дают нам возможность проверить достоверность описания переговоров русских послов в Грузии.

ბ. კეკელიძე

ბიზანტიური მებაზრასტიკა და ქართული აგიოგრაფია

I

თავისი არსებობის პირველი დღიდანვე ეკლესია გულმოდგინედ ჰკრებდა ცნობებს „სულიერ მოღვაწეთა“ შესახებ; ასეთი ცნობები დაედვა საფუძვლად აგიოგრაფიულ მწერლობას. ერთ-ერთი, ქრონოლოგიურად თავდაპირველი, ჟანრი აგიოგრაფიისა არის ე. წ. «მარტელობა», ვინაიდან პირველ სამ საუკუნეში მთავარი, ერთადერთი ფორმა მოღვაწეობისა იყო «მარტვილობა», მოწამეობა. დასახელებული ჟანრის ნაწარმოებთა შედგენისას წყაროდ იყენებდნენ რომაელთა პროკონსულებისა და მსაჯულების არქივებს, რომელნიც შეიცავდნენ ბრალდებულთა დაკითხვისა და გასამართლების ოფიციალურ აქტებს. მეოთხე საუკუნიდან მარტვილობა შენეელდა, რადგანაც დევნულება ქრისტიანებისა რომის იმპერიაში შეწყდა; ამასთან დაკავშირებით თავი იჩინა მოღვაწეობის სხვა სახემ. მორწმუნეთა შორის ახლა ჩნდებიან ისეთი მოღვაწენი, რომელთაც სახელი გაითქვეს რჯულის მოძღვრებითა და ქადაგებით, ან წმიდა ცხოვრებით, ან მარტვილობითა და სხეულისა და ვნებათა ნებაყოფლობითი მოკვდინებით, ან სხვა რაიმე შრომითა და საქმით. ამ მოღვაწეთა უშუალო მოწაფენი და თვითმხილველნი, გინა თუ მახლობელი გამგრძელებელნი მათი საქმიანობისა დაწვრილებით აღწერდნენ ხოლმე მათს ცხოვრებასა და მოღვაწეობას; ამით საფუძველი ჩაეყარა აგიოგრაფიული მწერლობისა სხვა ჟანრს, ე. წ. «ცხოვრებას» და «მოქალაქეობას». ეს ჟანრი მწერლობისა არაჩვეულებრივი სისწრაფით ვრცელდებოდა და ვითარდებოდა. მერვე საუკუნის გასულისათვის, როგორც ერთი ცნობიდანა ჩანს, უკვე თორმეტი ტომი არსებობდა ამ ჟანრის თხზულებებისა, წლის 12 თვის შესაბამისად.

ეს პირველი აგიოგრაფიული ნაწარმოებები, რომელთაც ქართულ მწერლობაში «კიენი» ეწოდებოდა, დროთა განმავლობაში ირყვნებოდა და მახინჯდებოდა ან შეგნებულად, მწვალებელთა მიერ, რომელნიც მათ ასწორებდნენ თავიანთი ტენდენციის შესაბამისად, ანდა შეუგნებლად, მორწმუნეთაგან, რომელთაც, ქრისტიანული დოგმატების დაცვის მიზნით, შეჰქონდათ შიგ ისეთი აზრები, სიტყვები და ამბები, რომელნიც ამ თხზულებათა გმირს, წმიდანს, არ შეიძლება სცოდნოდა. გარდა ამისა, შინაარსისა და ფორმის მხრივ, ისინი, როგორც მარტივად და ლიტონად აღწერილნი, ვეღარ აკმაყოფილებდნენ საშუალ-

საუკუნეთა ბიზანტიის რიტორთა და სტილისტთა პრეტენციოზულ მოთხოვნა-
 ლებებს. ამის გამო ბიზანტიაში ხელი მოჰკიდეს ამ «ნაკულუღევანებათა»
 ხერას: გაჩნდნენ ისეთი პირები, რომელთაც დაიწყეს ძველი, «კიმენური» რიტორი-
 ცის გადაკეთება და გალამაზება; ამ მიზნით ისინი განსაკუთრებულ ყურადღე-
 ბას აქცევდნენ ფორმას, ენას, სტილს, თუმცა შინაარსიც არ ავიწყდებოდათ,
 რამდენადაც სხვის ინტერპოლაციებს სპობდნენ და სამაგიეროდ ხშირად თავისი
 შეჰქონდათ შიგ. ამ ნიადაგზე ბიზანტიაში შეიქმნა მეტად ძლიერი და მნიშვნე-
 ლოვანი ლიტერატურული მიმართულება, რომელსაც მეტაფრასული მიმარ-
 თულება ეწოდება. მან თავი იჩინა მეცხრე საუკუნიდან, მაგრამ განვითარების
 უმაღლეს საფეხურზე აიყვანა ის სვიმეონ ლოლოთეტიმ¹, რომელმაც ამის
 გამო «მეტაფრასტის» სახელი მიიღო².

სვიმეონ მეტაფრასტმა ცენტრალური ადგილი დაიკავა ბიზანტიური აგიო-
 გრაფიის ისტორიაში. ამიტომ გასაკვირველი არაა, რომ ის მეცნიერული კვლევა-
 ძიების შეუწელებელ საგნად იქცა. დაწყებული მეზიდმეტე საუკუნიდან, როდესაც
 გამოჩენილმა L. Allatius-მა მას სავანგებო შრომა უძღვნა³, მის შესა-
 ხებ ბევრი რამ დაწერილა; ინტერესი მისდამი დღესაც არ შენელებულა⁴. სარ-
 კვევი და საძიებელი იყო შემდეგი საკითხები: 1) ვინ იყო სვიმეონი; 2) როდის
 ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ის და როდის დაიწყო მან თავისი მეტაფრასული
 შრომა; 3) რა ხასიათის იყო ეს შრომა; 4) როგორი იყო მისი წყაროები; 5) რა
 მოცულობის იყო ეს შრომა; 6) რომელ წმიდათა «საკითხავი» გადაამუშავა მან;
 7) რამდენ წიგნს შეიცავდა ეს შრომა; 8) ვინ გაავრძელა იგი? არცერთ ამ
 საკითხზე ამომწურავი და გარკვეული პასუხი არ არსებობდა, თითოეული მკვლევ-
 ვარი, საკუთარი მოსაზრებისა და მის ხელში არსებული შემთხვევითი ხასიათის
 ცნობისდა მიხედვით, თავის საკუთარ პასუხს იძლეოდა იმათ შესახებ. საბო-
 ლოოდ, შეიძლება ითქვას, ეს საკითხები გადაწყდა მიმდინარე საუკუნის დამ-
 დეგს იმ მასალების მიხედვით, რომელნიც შემოუნახავს ძველ ქართულ ლიტე-
 რატურას.

ჩვენამდე შენახულა ორი დოკუმენტი; ერთი ეკუთვნის XI ს. გამოჩენილ
 მეცნიერს ეფრემ მცირეს, რომელსაც მისთვის უწოდებია «მოსაკსენებელი მცირე
 სვიმონისთვის ლოლოთეტისა». მეორე დოკუმენტი, რომელიც ქართულად მეთორ-
 მეტე საუკუნეშია გადმოთარგმნილი, ეკუთვნის მეთერთმეტე საუკუნის ბიზანტი-

¹ К. Кекелидзе, Иоанн Ксифилин. продолжатель Симеона Метафраста: Хри-
 стианский Восток, т. I, вып. 3, стр. 325—326.

² De Symeonis Metaphrastae scriptis diatriba, Paris 1669 = Migne, PG. t. 114.

³ წამყვან შრომებად ითვლება: 1) Акад. Г. В. Васильевский, О жизни и тру-
 дах Симеона Метафраста (ЖМН Просв. 1880, Ноябрь-Декабрь) и „Синодальный кодекс
 Метафраста“ (ЖМН Пр. 1897, Июль и след.). 2) H. Delehaye, La vie de St. Paul
 le Jeune et la chronologie de Metaphraste (Revue des questions historiques, Juillet 1893)
 et „De Symeonis Logothetae Menologio (Bibliotheca hagiographica graeca, Bruxellis 1909).
 3) A. Ehrhard, Die Legendensammlung des Symeon Metaphrastes und ihr ursprüngli-
 cher Bestand (Festschrift, 1896). 4) Акад. В. Латышев, Византийская Царская Минея
 (Зап. Акад. Наук, VIII серия, т. XII, № 7).

ვლ მწერალს იოანე ქსიფილინოსს, მას ეწოდება «მოსაკენებელი დიდისა მეფისა ალექსის მიმართ»¹.

ეს დოკუმენტები, რომელთაც ცხოველი გამოხმაურება პოვეს როგორც რუსეთის, ისე საზღვარგარეთულ სამეცნიერო წრეებში, ასეთს პასუხს იძლევიან ზემოჩამოთვლილ საკითხებზე: 1) სვიმეონი იყო დიდი თანამდებობის (ლოლოთეტი) ადამიანი, „ყოვლითა საწარმართოთა და გარეშითა სიბრძნითა სრულიად განსწავლული და ეგრეთვე შინაგანთა ამით ჩუენთა საეკლესიოთა წიგნთა ძუელისა და ახლისა სჯულისათა მოსწრაფებით წურთილი“. 2) ცხოვრობდა ის „უამთა კეთილმსახურისა მეფისა ბასილისთა“ და თავისი „სახელოვანი აღმწერლობა“ დაიწყო ამ მეფის „უამთა მეექვსისა წლისათა“, ესე იგი, 982 წელს. 3) მან თავდაპირველად „ლიტონად“ აღწერილი „ცხოვრებანი და წამებანი“ „შეცვალა მეტაფრასად: პირველად შეამკო უშუერებაჲ სიტყუსაჲ და აღწერა უბრწყინვალესად, და კუალად იღუაწა სრულად განგდებაჲ სიტყუსა საეკუელისაჲ და მწვალებელთა მიერ შეძინებულისაჲ“. 4) ამ შრომის შესრულებისას მან „წინადაიდუა ძუელი იგი «მოწამეთაჲ», რომელსა «კიმიენ» უწოდიან და შეცვალა მეტაფრასად; და თავით თვისით «საეკლესიოთა თბრობათაგან და ხრონოგრაფთა» მცირედ-მცირედნი «საკითხავნი» შექმნა“. 5) მან „შეამკვნა“, ესე იგი — დაამუშავა „არა სრულისა წელიწადისა საკითხავნი, არამედ „რაოდენთა უკუე წმიდათა საკენებელნი იდღესასწაულებიან ზამთრისა თთუეთა“, სახელდობრ: სექტემბრის, ოქტომბრის, ნოემბრის, დეკემბრის და იანვრის თვეთა წმიდანების „საკითხავები“. სია „საკითხავებისა“, რომელნიც სვიმეონმა გადაამუშავა თუ დაამუშავა, უფრო ზუსტად მოცემულია ქართულ ძეგლებში, კერძოდ ევდემონ ჩხეტიძისეულს გელათის ხელნაწერებში, სადაც მოთავსებულია ეს ორი საინტერესო დოკუმენტიც. 7) დანარჩენი შვიდი „ზაფხულის“ თვის წმიდათა საკითხავნი დაუმუშავებია მის გამგრძელებელს, იოანე ქსიფილინოსს, ალექსი კომნიანოსის მეფობაში, მეთერთმეტე საუკუნის მიწურულში (უფრო დაწვრილებით ყველაფერი ამის შესახებ ლაპარაკია ჩვენს ნარკვევებში ეფრემისა და ქსიფილინოსის «მოსახსენებელთა» შესახებ).

ეს დებულებანი, რომელთაგან ზოგიერთი წინათაც იყო ნავარაუდები, — მართალია — არასრულად და ბუნდოვანად, — დღეს, ქართული დოკუმენტების გამოქვეყნების შედეგად, საბოლოოდ იქნა მიღებული და გაზიარებული². გადაუწყვეტელად და საცილობელად რჩებოდა მხოლოდ ერთი საკითხი: რამდენ წიგნად იყო გაყოფილი სვიმეონის შრომა? წინათ, დიდინის განმავლობაში, გავრცელებული იყო აპრიორული აზრი, რომ სვიმეონის შრომა შეიცავდა 12 წიგნს, წლის თორმეტი თვის შესაბამისად. 1896 წელს A. Ehrhard-მა გამოთქვა მოსაზრება, რომ მთელი შრომა შედგებოდა 150 «ცხოვრებისაგან», დაეით-

¹ ორივე ეს საყურადღებო დოკუმენტი გამოქვეყნებულია ჩვენ მიერ: ეფრემის შრომა 1910 წ. (Труды Киев. Духов. Академии, Февраль) რუსულ თარგმანში (რადგანაც ქართული ტექსტი ჯერ გამოქვეყნებული არაა. უერთავე მას ამ ნარკვევს დამატების სახით), იოანე ქსიფილინოსის — 1912 წელს, როგორც ქართული ტექსტი, ისე რუსული თარგმანი (Христ. Востоцк, т. I, вып. 3).

² Акад. В. Латышев, Византийская Царская Минея, 1915 г. Петербург.

ნის ფსალმუნთა რიცხვის შესაბამისად, და ათ წიგნად იყო გაყოფილი¹. ეს შეხედულება გაიზიარა და თავისებურად დაასაბუთა კიდევ ცნობილმა რუსმა ბიზანტიოლოგმა, აკად. გ. ვ. ვასილიევსკიმ, რომელიც ამბობდა: „ჩვენ უნდა გამოვეთხოვოთ ძველს, მეტად ბუნებრივს, წარმოდგენას, ვითომც მეტაფრასტის წიგნთა რიცხვი წლის თვეთა რიცხვს უდრიდა: მათი რაოდენობა იყო არა თორმეტი, არამედ ათი². ამჟამად შესაძლებელი ვახდა ეს საკითხიც ქართული წყაროების დახმარებით გადავწყვეტოთ.“

II

ამ ათიოდე წლის წინათ ამერიკელმა ქართველოლოგმა, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა, R. P. Blake-მა გამოაქვეყნა ათონის ივერთა მონასტრის ქართული ხელნაწერების აღწერილობა³, უფრო ვრცელი და ამომწურავი, ვიდრე პროფ. ა. ცაგარლის აღწერილობა⁴. ამ ახალ გამოცემაში აღწერილია ისეთი ხელნაწერებიც, რომელნიც ცაგარელს თავის დროს არ უნახავს და არ აუწერია; ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, რომ ახალ აღმწერელს მოჰყავს ხელნაწერთა ყველა თითქმის მინაწერი, ანდერძი და შესავალი. ერთ-ერთს ასეთს „შესავალსა“ და „ანდერძს“ შემოუნახავს ჩვენი საკითხისათვის მეტად საყურადღებო ცნობები. ეს „შესავალი“ და „ანდერძი“ ახლავს თან ხელნაწერს № 20 (ა. ცაგარლით 29), რომელშიაც მოთავსებულია სექტემბრისთვის «საკითხავები» მეტაფრასული რედაქციისა. „შესავალი“, რომელიც ხელნაწერის თავშია, ა. ცაგარელს ალბათ ვერ შეუნიშნავს. ამიტომ ის მის აღწერილობაში არ შესულა, „ანდერძი“ კი, რომელიც ბოლოშია, იმასაც გამოუცია, მართალია — არა სრულად და ზუსტად⁵. „შესავალი“ და „ანდერძი“ ეკუთვნის ამ ხელნაწერის გადამწერსა და იმაში მოთავსებული „საკითხავების“ ბერძნულიდან გადმოძღვებს, ხუცესმონაზონს თეოფილეს. ვინაობა ამ თეოფილესი უკვე გარკვეულია⁶. თეოფილე, რომელიც, თანახმად მისი განცხადებისა, ყოფილა მოწაფე გიორგი ათონელისა, არის მოღვაწე მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევრისა. ლიტერატურული საქმიანობა, თანახმად „ანდერძისა“, მას დაუწყია გიორგი მეფის ბრძანებით, მაშასადამე — არაუადრეს 1073 წლისა. განსაკუთრებით საყურადღებოა „შესავალი“ თეოფილესი, რომელიც შეიცავს საინტერესო ცნობებს ბერძნული მეტაფრასტიკის წარმოშობისა და მისი მამათმთავრის, სვიმეონის, შესახებ, ერთის მხრით, სვიმეონის მეტაფრასული შრომების ქართულ

¹ Die Legendensammlung des Symeon Metaphrastes und ihr ursprünglicher Bestand (Festschrift, S. 48—82, 1896).


² Синодальный кодекс Метафраста, ЖМН Прос. 1897, Июнь, стр. 351.

³ Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque de la Laure d'Iviron au mont Athos, Paris 1932—34.

⁴ Сведения о памятниках грузинской письменности, вып. 1.

⁵ Ibid., стр. 80; შეად. თ. ჯორდანიას, ქრონიკები I, 228—9.

⁶ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I², 220—223. გარდა აქ ნაჩვენებისა, თეოფილეს გადმოუთარგმნია ბერძნულიდან იოანე ოქროპირის „თარგმანება დაბადებისაჲ“. მისი ელინისტური განათლების მაჩვენებელია გრეციზმები მისი სტილისა. მავალითაჲ და ლაჲწლი წმიდათა და დიდებულთა მოწამეთა აკინდუნუ, ანემბოდისტუ.



ენაზე გადმოღების შესახებ, მეორე მხრით. ამიტომ საჭიროდა ეთვლით მოყვანილ იქნას ის მთლიანად.

5 ვინაიდან უკუტ მდიდარმან დიდებითა და უმრავლესმან წყალობითა ღმერთმან მოგებითა ყოვლად-წმიდისა ღმრთის-მშობელისადათა და მადლითა მოძღვრისა და გამზრდელისა ჩემისა გიორგი მთაწმიდელისადათა, — რამეთუ კმა არს კსენებად ოდენ სახელისა მისისაჲ შესხმად მისა, რომელსაცა კმამაღლად

10 ოხრიან ყოველნი ეკლესიანი ქართველთანი, — აღალო პირუტყუთ-სახსლ ესე პირი ჩემი, და კუალად მეცა უღირსმან ამან ვყავ მრავალი მოსწრაფებაჲ ამისთვის და, სიყუარულისათვის ამით წიგნთა და ყოველთა ქართველთა ნათესავისა, დაუტყვევ ზრუნვად სულისა ჩემისაჲ და ტირილი ცოდვათა ჩემთაჲ და შევჰკადრე საქმესა უნეშთაესსა ძალისა ჩემისასა, რომელ არს თარგმანებაჲ წიგნთაჲ ბერძულისა-

15 გან ქართულად. ამისთვისცა უნებლიეთ თანამაც, რათა გაუწყო ყოველთა მიზეზი წიგნთაჲ და თუ ვინაჲ აღიწერნეს ანუ ვის მიერ და თუ სადა რაჲ ითარგმნეს ძეგლთა მიერ თარგმანთა.

უწინარეს უკუტ ქრისტეს ძისა ღმრთისა კორციელად ჩვენდა მოსლვისა ეპითა მათ შინა პირველთა იყო წესი და ბრძანებაჲ სამეფოჲ, ბრძენთა მათ

20 მიერ შჯულად დადებული, ხოლო უმეტესადლა იულის ვისმე მიერ, პრომაელთა კეისრისა, მტკიცედ განწესებული და შეკრძალული, რომელსა იგი აქუნდა პყრობაჲ ზღვსა და კმელისაჲ, რათა ყოველნივე მთავარნი, ყოველსა შორის სოფელსა განფენილნი, [ს]წვრდენ ყოველთავე საქმეთა და მშჯავრთა მათთა კაცისა მიერ სამეფოფოსა, ბოროტთაცა და კეთილთა დაუკლებელად, და რათა, რაჲ წელიწად,

25 აღვიდოდინან პრომედ ანუ თუ წარსცემდენ წყრილთა მათ. და მუნ მეფისა მიერ და მთავართა და ათორმეტთა მათ მიერ ფილოსოფიისთა, ბჭეთა ქალაქისათა, გამოიძიებოდის თვითოულად ყოველივე საქმე მათი, უკუეთუ ვისმე ავნეს უსამართლოდ, ანუ თუ ქრთამი მიიღეს და მოკლეს, ვინა თუ შურითა ვიეთითამე მონაგები ვისიმე იავარყვეს და მიიხუტქეს. ესე ყოველი რაჲ წულილად გამოი-

30 ძინ, უკუეთუ კეთილ უყვის, კუალად ეგის სამთავროდ თვისა, უკუეთუ კუალა არა, მიეკადის უკუანაჲსკნელი საშჯელი. ამას იქმოდეს წარმართნი იგი ფრიადცა კეთილად, რათა ამის მიერ მშვდობით განეგებოდის სოფელი. ესევე წესი ეპყრა თვთ თავადთაცა კეისართა და მეფეთა, რომელი ესე მეფესა ბერძენთასა უპყრიეს ჯერეთცა, დაღათუ არა სრულიად, და[ს]წვრენ ყოველსავე

35 რას მომავალთათვის ნათესავთა, და ესე შჯული და წესი მათგან შეუნდობილ არს. ამით უკუტ წესითა იწვრებოდეს ლუაწლიცა წმიდათა მოწამეთანი, და ბალატად სამეფოოდ შეკრებებოდა ყოველივე იგი სრული და ჭეშმარიტებაჲ საქმისაჲ.

ხოლო რომელ ესე ძეგლად იყვნეს წამებანი წმიდათანი, აღიწერნეს ესე სახედ: რაჲამს იგი დიდად ბორგდა სამაელ აღმფოთებული ქრისტეს მიმართ

40 და სამწყსოთა მისთა და ეძიებდა ღონესა განბანად მკსნელისა მიერ ჩუენისა ძლეულებისა მის თვისისა და ვერარაჲ პოვა, მაშინ შეუკდა მეფეთა მათ უღმრთოთა და მთავართა უშჯულოთა და აღადგინა დევნულებჲა ქრისტეანეთა ზედა ესოდენ სასტიკი, ვიდრეღა რომელნიმე მოსწყვდნა და რომელნიმე ლტოლვილ ყვნა. ხოლო რომელნი იგი მოსწყ[ო]ვდებოდეს სახელისათვის ქრისტესისა, მათგან თავიეთ წამებისა დაწვრად შეუძლებელ იყო, რათამცა დარჩეს ქრისტეა-



ნეთა. კუალად რომელნი იგი შიშისათვის ლტოლვილ იყვნეს მათათჳს, შინა ვითა
 მცა რაჲ აღწერეს, თუ რაჲ იქმნების ქალაქთა შინა? ვარნა თუ მიტრის ვინმე
 კაცი ქრისტეანე, უკუეთუ იპოვის ოდენ დამალულთა მათ თანა, და იგიცა მდა-
 ბიოდ ვინმე და ლიტონი, და აუწყის მას, რაჲ იგი მას ასმოდის; ვითარმედ მას
 5 რომელსამე ადგილსა იწამა ვინმე წმიდაჲ, რომელი ესე ესმის რაჲ მას, ამისთვის
 ოდენ რათა დარჩეს მოსაკსენებელად და არა სრულიად განქარდეს ჟამთაგან,
 დაწერის რაჲმე, ვითარცა ნაკშირითა ხატი გამოსახული. ხოლო ჭეშმარიტნი
 იგი და მთავართა მიერ აღწერილნი მიიხუნის პალატმან და საუნჯემან სამეფ-
 ფომან, ვითარცა ზემორე სიტყუამან გამოაჩინა. ესრეთ უკუც აღიწერნეს ჭუელნი
 10 იგი ცხორებანი წმიდათანი და უკუანაჲსკენელ მწვალებელთა მიერ განიხრწნეს,
 რომელსაცა ამას ზედა ფრიად იხარებდა ეშმაკი. ხოლო არავინ იპოვა ესევი-
 თარი კაცი, რომელსამცა აქუნდა მადლი და სიბრძნე სულიერი და დიდებაჲ
 და კელმწიფებაჲ კორციელა, რათამცა გამოეხუნეს იგინი საგანძურთაგან სამე-
 ფოთა და შეეწყვნეს იგი და შეეკაზმნეს და ქრისტეანეთა ეკლესიისადა მიეც-
 15 ნეს, ვიდრე დღეთაღმდე ბასილი მეფისათა. უკუანაჲსკენელა სამე შემდგომად
 ჟამთა გამოჩნდა კაცი იგი საკვრელი სვმგონ სანატრელი, რომელი შემკობილ
 იყო სიბრძნითა საღმრთოათაცა და კაცობრივითა და აქუნდა მას კელმწიფე-
 ბაჲცა ფრიადი პალატსა შინა, რამეთუ იყო ლოლოთეტი. ამან სანატრელმან
 აღუწერნა ქრისტეანეთა ათორმეტნი ესე წიგნი მეტაფრასნი და მიანიჭა ეკლე-
 20 სიათა საბერძნეთისათა უსასყიდლოჲ ესე მარგალიტი, რომლისათვისცა ყოველნი
 ეკლესიანი მას იკითხვენ და მითა განათლდებიან და სწორად სახარებისა პა-
 ტივს ცემენ.

ხოლო უკუეთუ ვინმე იტყოდის თუ: ვინაჲთგან ესოდენ საწადელ არიან
 ათორმეტნი ესე წიგნი მეტაფრასნი, რად არა თარგმნეს წმიდათა მამათა
 25 ჩუენთა ეფთჳმე და გიორგი? — მე ვაუწყო ჭეშმარიტი მიზეზი. რამეთუ კაცი
 რაჲმს სიყმილითა პურისაჲთა მომყმარ იყოს, მას ძიებად ზილთა და სანოვა-
 გეთა არა სცალს. რამეთუ უფრო[მს] საჭიროთაგან არა სცალდა და ამისთვის
 დაშთეს უთარგმოდ. რომელთაგან მე უღირსსა ამას თეოფილეს, რეცა ხუცეს-
 მონაზონსა, მოწაფესა გიორგი მთაწმიდელისასა, რომელი არა ღირს ვარ მოწაფე-
 30 წოდებად მისა, ათორმეტთა მათგან ერთი ესე გამომილია. უკუეთუ გამიმარჯუოს
 ღმერთმან სხუათათვისცა, კეთილ, და უკუეთუ არა, ამისთვისცა ლოცვა ყავთ.
 სივერაგემან ჟამთამან, შეუწყვენლობამან კაცთამან და სიგლახაკემან კორციელ-
 მან სიძვრესა თანა ეტრატისასა დამიხრწიეს; რამეთუ ორნი ქსელანი მოვიდოდეს
 დრაჰკანად, თუ არა — მცირეთა შინა ჟამთა მრავალი კეთილი იქმნებოდა. აწ
 35 ღმრთისათვის უკუეთუ ვინმე წერდეს ამას, რაჲცა აქა ჰპოოთ, სრულიად დასწერ-
 დით და შეუცვალებელად, და აღიდებდით ღმერთსა უკუნისადმცა¹.

ვიდრე ამ „მესავლის“ განხილვას შევეუდგებოდეთ, მთლიანობისათვის მოვი-
 ყვანთ თეოფილეს „ანდერძსა“², რომელიც ხელნაწერს, როგორც ვთქვით, ბო-
 ლოში აქვს დართული³.

¹ R. Blake, Catalogue des manuscrits... p. 118—121 (78—81).

² Ibid., p. 129—120 (89—90).

„ვინცა ესე ჩემი წიგნი დასწეროთ, ყავთ სიყუარული და ამას ჩემსა ან-
დერძსა ნუ დააგდებთ, რამეთუ თქუენთვის მადლ არს და წიგნისაჲსა წიგნი-
ცეს არს, ეგრეცა შეესავალსა მას თავისასა. ხოლო ამა წიგნსა შინა ქართულ-
თავან ანუ პირველთა თარგმანთა თარგმანებულისა ყოვლადევე არარაჲ წერილ
5 არს, თვნიერ ჯუარისა საკითხვისა, სხუაჲ ყოველიევე ახალი არს. ითარგმნა
წიგნი ესე მეტაფრასი ქალაქსა შინა სამეფოსა კოსტანტინეპოლეს, მონასტერსა
შინა ყოვლად-შუენიერსა ტრიანდაფლიეს, დედისა ღმრთისასა, უღირსისა მიერ
თეოფილეს, რეცა ხუცესმონაზონისა, და მათვე კელთა მიერ დაინუსხა დასაბა-
მითვანთა წელთა ექუსათას ხუთას ოთხმეოცდა მეცხრესა, ინდიკტიონსა ოთხსა
10 ბერძულად, მეფობასა აღმოსავლეთს გიორგი კესაროსისა, ბაგრატის ძისასა,
რომლისა ბრძანებითა და მოლუაწებითა ვიწყე თარგმნად წიგნთა საღმრთოთა
ელენურისაგან ქართულად, მიეცინ ღმერთმან სრულედაჲ კეთილთაჲ აქაცა და
საუკუნოდ! ხოლო საბერძნეთს ღედოფლობასა მართა, მისვე გიორგის დისასა,
და მეფობასა ნიკიფორე ბოტონიოტისა და ალექსი კომნიანოსისა, მას ჟამსა,
15 ოდეს ბაგრატის ასული, მარიამ დედოფალი, აღმოსავლეთით კონსტანტინოპო-
ლეს შემოვიდა. და ჩუენ ზედა მეფობასა იესუ ქრისტეს, ძისა ღმრთისასა, რო-
მელი იგი სუფევსმცა საუკუნოდ სულთა ზედა და კორცთა ჩუენთა, აწ და
ყოველთა მიმართ საუკუნეთა უკუნისადმდც, ამინ! ღმერთმან აკურთხენ პატიო-
სანი მდდელი საბა ცოდვილსა თანა სულსა ჩემსა, რომელმან შემომოსა ესე
20 წიგნი. შეიწყალენ ღმერთმან ჩემი ხუცესი ხრისტოდულე ებრაელ-ყოფილი
უღირსსა თანა სულსა ცოდვილსა, რამეთუ ამის წიგნისა ეტრატი ყოველი მას
უკაზმავს“.

ხელნაწერის „შესავლის“ პირველს ნაწილში, როგორც ვხედავთ, ლაპარაკია ბიზანტიური მეტაფრასტიკის შესახებ. აქ მოცემულია ასეთი დებულებანი:

1. პირველი სახე აგიოგრაფიული მწერლობისა იყო «წამებანი წმიდათანი», ესე იგი, მარტვილობანი.

2. მარტვილობათა ენარის წარმოშობას საფუძვლად დაედო რომაელთა სამართლწარმოების პრაქტიკა: რომის იმპერიაში, იულიოს კეისრიდან მოყოლებული, იყო „სჯულად დადებული“ ბრძანება, რომლის მიხედვით მთავარნი და მსაჯულნი ვალდებულნი იყვნენ ეწარმოებინათ ზუსტი ოქმები ბრალდებულთა გასამართლების შესახებ და ყოველწლიურად წარედგინათ ისინი რომში, სადაც „პალატად სამეფოდ შეკრებოდა ყოველიევე იგი სრული და კეშმარტებაჲ საქმისაჲ“. „ამითა წესითა“, ამბობს თეოფილე, „აღიწერებოდეს ლუაწლინცა წმიდითა მოწამეთანიო“.

3. ეს პირველნი წამებანი არ იყვნენ დამაკმაყოფილებელნი: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ისინი ნამდვილ სურათს კი არ იძლეოდნენ, არამედ „ნაკმირითა გამოსახულსა ხატსა“. ეს კი აიხსნება იმით, რომ ნამდვილი ვინაობა ამა თუ იმ მარტვილისა, რომელიც სასამართლოში ვაირკვა, დაცული იყო სამეფო პალატსა და საუნჯეში და ყველასათვის ხელმისაწვდომი არ იყო, იმიტომ მარტვილთა თავგადანსავალი იწერებოდა „მდაბიო ვინმე და ლიტონი“: კაცის გადმონაცემის მიხედვით. ეს ძველნი „ცხოვრებანი“ არ იყვნენ დამაკმაყოფილებელნი, მეორე მხრით, იმიტომ, რომ ისინი „უკუანადასკნელ მწვალებელთა მიერ განიხრწნენ“.



4. ბასილი იმპერატორის დროს გამოჩნდა სვიმეონ სანატრელი, რომელიც შექმნილ იყო სიბრძნითა საღმრთოთადაცა და კაცობრივითა და სწავლასა სწავლადი კელმწიფებადაცა ფრიადი პალატსა შინა, რამეთუ იყო ლოლოთეტი¹. როგორც ასეთს, მას ჰქონდა შესაძლებლობა გამოეტანა ნამდვილი ცნობები სამეფო საგანძურრიდან და „შეეწყო და შეეკაზმა“ ისინი.

5. სვიმეონმა მართლაც გამოიყენა თავისი უპირატესობანი და „აღუწერნა ქრისტეანეთა ათორმეტნი წიგნნი მეტაფრასნი და მიანიჭა ეკლესიათა საბერძნეთისათა უსასყიდლოდ ესე მარგალიტი“.


ყველაფერი ეს არამც თუ საინტერესოა, ამავე დროს ზუსტი და ექვმიუტანელიცაა. ის, რაც პირველს ორ დებულებაშია აღნიშნული, როგორც ვამბობდით ამ ნარკვევის თავში, აქამდისაც იყო მეცნიერებაში ნავარაუდელი. ახლა ეს ვარაუდი დადასტურებას პოულობს ისეთი პირისაგან, რომელიც ბიზანტიის კულტურისა და მწერლობის ცენტრში მოღვაწეობდა და ქრონოლოგიურად ახლო იდგა სვიმეონის ეპოქასთან. მესამე დებულება თეოფილესი დადასტურებას პოულობს ბერძნულ-ბიზანტიურ მწერლობაში ცნობილს მიხეილ ფსელოსთან², ხოლო ქართულში ეფრემ მცირის შემდეგს სიტყვებში: „რომელნი იგი მაშინ, ვითარცა ჟამი მისცემდა, თხრობისა სახედ ოდენ აღიწერნეს თითოეულისა წმიდათაგანისა თანადახუთომილისა ვისგანმე, და არა ხოლო ლიტონობასა მას და სიმარტივესა შინა დაშთეს, არამედ რომელნიმე მათგანნი განირყუნესცა კაცთა მიერ ბოროტთა და მწვალებელთა, რომელთა დრკუნი იგი სიტყუანი მათნი თანაშეპირინეს ლიტონობასა მას თხრობისასა და ცრუდათა მით მართალიცა შეამრღვეს და საეჭუელ ყვეს“³. ექვთიმე ათონელიც ადასტურებს ამ გარემობას, როდესაც აპობს: „ხოლო ესე მოციქულთაა და მოწამეთაა მას დაწყეულსა ივლიანეს, ვითარცა იყო მტერი უფლისა და ყოველთა წმიდათაჲ, მან გარყუნა, რათამცა ნაცილად შერაცხნეს ყოველნი და არამცა ვის სარწმუნო უჩნდა წამებაჲ წმიდათა მოციქულთაჲ გინა თუ მოწამეთაჲ“. მეოთხე დებულება, რომ სვიმეონი ბასილი იმპერატორის თანამედროვეა, დადასტურებულია ერთის მხრით, იაქია ანტიოქელის მიერ⁴, მეორე მხრით — ეფრემ მცირის მიერ, რომელიც აღნიშნავს, რომ სვიმეონმა მეტაფრასების წერა დაიწყო ბასილის მეფობის მეექვსე, ესე იგი — 982 წელსო.

ახლა დაგვრჩა განსახილველად მეხუთე, იღესაც საცილობელი, დებულება იმის შესახებ, რომ სვიმეონის შრომა 12 წიგნად იყო გაყოფილი.

¹ Акад. Г. Васильевский, Синодальный кодекс Метафраста: ЖМН Просв., 1897 Июнь, 391.

² К. Кекелидзе, Симеон Метафраст по грузинским источникам (Труды Киев. Акад. 1910 г. Февраль, стр. 188). „Иоанн Ксифиани, продолжатель Симеона Метафраста“ (Христ. Восток, III, вын. 3, стр. 332).

³ Corpus scriptorum christianorum orientalium, ser. arabic. 3, t. VIII, 1909, p. 159
Розен В., Император Василий Болгаробойца. Извлечение из летописи Яхьи Антиохийского, Петерб. 1883 г. стр. 14. стр. 14.



III

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ასეთი დებულების წინააღმდეგ ვაი-ლაშქრა აკად. გ. ვასილევსკიმ, რომელიც ათს წიგნს უჭერდა მხარს. ვის მხარეზეა სიმართლე: თეოფილეს და მისი თანამოაზრე ახალი დროის მკვლევარების, თუ ვასილევსკის? თავისი შეხედულების სასარგებლოდ ვასილევსკის ორი საბუთი მოეპოვება. ერთს მათგანს მას აძლევს მოსკოვის სინოდალური კოლექსია 1063 წლისა № 582 (по описанию Владимира), რომლის ბოლოში ტექსტის ხელით მიწერილია: *Επιγραφε τέλος ή σστατη αβτη θέλτος των δέκα βίβλων μεταφράσεων των λογιφეტου*, რასაც ვასილევსკი ასე სთარგმნის: *восприял конец сей последний том из 10 книг метафраз Логофета*. მას ჰგონია, რომ აქ დამოწმებულია 10 წიგნად არსებობა სვიმეონის მეტაფრასებისა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მინაწერის ავტორს აქ *θέλτος*-ის მაგიერ, თუ ის ტავტოლოგიას არ მოერიდებოდა, შეეძლო ეხმარა სიტყვა *βίβλος*, გინა თუ *βίβλων*-ის მაგიერ *δέλτων*¹. *βίβλος* ამ შემთხვევაში ნიშნავს არა წიგნს დღევანდელი გაგებით, კოლექსს, არამედ კოლექსის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწარმოებს (*βίβλος* — თხზულება, ნაწარმოები). მართლაც, აღნიშნულ კოლექსში ყოფილა მოთავსებული 12 ძეგლი, რომელთაგან თითოეული დამოუკიდებელ თხზულებას წარმოადგენს: აქედან სვიმეონს უშუალოდ ეკუთვნის მხოლოდ ათი (ორი სხვისია: იოსებ ფლავიოსის და იმპერ. კონსტანტინე ძოწითმოსილის). უკანასკნელი ადგილი, რომელსაც აღნიშნული მინაწერი მისდევს, უკავია სვიმეონის თხზულებას. ამრიგად, აქ ნაგულისხმევია არა 10 წიგნი ან ტომი სვიმეონის მეტაფრასებისა, არამედ ათი თავი, ათი ნაწარმოები, რომელიც კოლექსშია მოთავსებული. ასე რომ, მინაწერის გააზრებით, უფრო სწორია მისი შემდეგნაირად გადათარგმნა: *окончена эта последняя часть десяти метафрасных произведений Логофета* ასეთი გაგებისას, რასაკვირველია, გამორიცხულია შესაძლებლობა და აუცილებლობა ლოლოთეტიკის მეტაფრასების ათ წიგნად გაყოფისა.

მეორე საბუთი ვასილევსკისა ასეთია: მიქელ ატალიატის (XI ს.) წესდების ინვენტარს ჰქონია შემდეგი, ვასილევსკის თარგმანით, დამატება: *приобретено по кончине ктиторов два метафраста: один — первый за январь месяц (το μέν ἐν τῷ πρώτῳ των Ἰαννουαρίου μηνός), а другой — заключающий Февраль, Март и Апрель... Куплены от покойного магистра, господина Симеона Сифа, десять книг метафраз (βίβλια μεταφράσεις δέκα)*². თუ ათი წიგნი იყიდეს, ეს არ ნიშნავს იმას უთუოდ, რომ ათზე მეტი წიგნი მეტაფრასტიკის კრებულში არ ყოფილა; იყიდეს იმდენი ან ის, რაც აკლდათ, აკლდათ კი

¹ *δέλτος* ვვიცხვანის ლექსიკონით ნიშნავს: письменная доска, от *δέλα*, так как первоначально письменные дощечки писали вид Δ. თუ მხედველობაში გვეჩენება ძველი კოლექციების ერთი თავისებურება — თხზულების ბოლოში სტრიქონების თანდათან დამოკლება (იქამდის, რომ უკანასკნელი სტრიქონი ერთი სიტყვისგანაც კი შედგება), რის გამო მათი დასასრული მართლაც გადაბრუნებული დელტის (∇) სახეს ღებულობს, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ამ მინაწერში *δέλτος* სწორედ ამ მოვლენას აღნიშნავს, ესე იგი, არა უეჭველად ტომის დღევანდელი გაგებით, არამედ ტომის ერთ-ერთ ნაწილს, თავს, ნაწარმოებს, სტატიას.

² *Синодальный Кодекс Метафраста: ЖМН Просв. 1897, Июнь, стр. 353.*



თორმეტიდან ათი წიგნი, რადგანაც წინათ შექმნილი ჰქონიათ ~~ორი~~ წიგნი ერთი — იანვრის პირველი ნახევრის შემცველი, მეორე — სამი თვისა (თებერვალი, მარტი, აპრილის). ასე რომ ეს სამუთი უფრო 12 წიგნის სასარგებლოდ ლაპარაკობს.

სიმართლე რომ თეოფილეს მხარეზეა, — სვიმეონის შრომა რომ 12 წიგნად დადიოდა, — ეს მოვლილი გზითაც შეიძლება დადასტურებულ იქნეს. სვიმეონმა ღამუშავე მთლიანი სახით, როგორც ეს უკვე გარკვეულია, ხუთი თვის (სექტემბერი—იანვარი) მეტაფრასული „საკითხავები“; სხვა თვეებიდან აულია მხოლოდ რამდენიმე დღის „საკითხავი“, სულ 26 (თებერვალში 8, მარტში 3, აპრილში 3, მაისში 1, ივნისში 3, ივლისში 4, აგვისტოში 4)¹, თუმცა აქედანაც დიდი ნაწილი უშუალოდ მისი კი არაა², არამედ დამუშავებულია სხვების მიერ და მიღებულია სვიმეონის მიერ კრებულში³. ზემომოყვანილ მიქელ ატალიატის წიგნების ინვენტარის დამატებაში აღნიშნულია, რომ იანვრის თვის მეტაფრასები სვიმეონისა ორ წიგნად ყოფილა გაყოფილი (შეუძენიათ იანვრის თვის პირველი ნახევრის წიგნი, მაშასადამე — იყო მეორე ნახევრისაც); ხოლო სამი თვის (თებერვალი, მარტი, აპრილი) მეტაფრასები, რიცხვით 14, მოთავსებული ყოფილა ერთ წიგნში. თუ იანვრის მეტაფრასები, რიცხვით 20, ორ წიგნად იყო გაყოფილი, ორ-ორ წიგნად უნდა ყოფილიყო გაყოფილი უთუოდ სექტემბერ-დეკემბრის მეტაფრასებიც, ვინაიდან სექტემბერში სვიმეონს ეკუთვნის 25 ტექსტი, ოქტომბერში 27, ნოემბერში 27, დეკემბერში 24⁴. ასე რომ, გამო-

¹ H. Delehaye, De Symeonis Logothetae Menologio (Bibliotheca hagiographica Graeca², p. 289—292).

² Акад. В. Латышев, Византийская Царская Минея, стр. 89—97.

³ სვიმეონის კრებულში შეტანილია ათი სხვისი ნაწარმოები (В. Латышев, Византийская Царская Минея, стр. 87). საინტერესოა ეფრემ მცირის ახსნა აღნიშნული მოვლენისა: „საცნაურ იყავნ, ვითარმედ არა ჯერ არს, რათა სხვსა ვისკანმე შეკანხულად ვგვანებდეთ წიგნსა ამს (=გარდამოცემა იოანე დამასკელისა), ვითარ იგი გუასმიეს სვეონ ლოლოთეტიხსა და სხუათა მეცნიერთა ბერძენთაჲან კაზმვაჲ. რამეთუ იძოოს თუ ცხორებაჲ, ანუ წამებაჲ, ანუ რაჲცა რაჲ ჰამბავი, ვინა მოთხრობაჲ. სოფლურითა და უშუერითა სიტყვთა აღწერილი, მას სიტყვთ განაშუენებენ. გარდაჰკაზმენ და მეტაფრას უწოდენ, რომელ არს გარდაკაზმული, და ამასცა მაშინ ჰყოფენ, რადეს აღმწერელი ჰამბავისა მის ლიტონი კაცი იყოს და არა წმიდათაჲანი, ვითარ იგი უმრავლესთა წმიდათა წამებანი თანდაბოთილითა მონათა ვივთგანმე აღწერილ იყვნენ, მას შეჰკაზმენ ესევითარითა სიტყვთა, რომელი მსგებ პირსა იტყოდის და არა შეჰმატებდეს, არცა დააკლებდეს საქმეთა. ხოლო წმიდათა თქმულსა და მართლმადიდებელთა მამათა აღწერილსა ვერვინ იკადრებს შეხებად, ვითარცა წმიდასა სახარებასა და ებისტოლეთა პავლე მოციქულისათა. რადენცა ლიტონითა სიტყვთა აღწერილ იყოს, ბრძენთა და მართლმადიდებელთაჲანი ვერვინ შეეხების, არათუ ვინმე იყოს სულელ, უფროასა და მწვალებელ და განვრდომილ ეკლესიისაჲან“ (თ. უორდანიკი, ქრონიკები, I. 217).

⁴ ეს თვეები რომ მართლაც ორ-ორ წიგნად იყო წარმოდგენილი, ეს ნათლად ჩანს, ყოველ შემთხვევაში, ნოემბერ-იანვრის ტექსტების ხელნაწერებიდან. H. Delehaye-ს შრომა (De Symeonis Logothetae Menologio) შემდეგს სურათს იძლევა. ნოემბერი: პირველ წიგნში მოთავსებულია: 1—15 დღის ტექსტები (ხელნაწერები: Angell. 126; Chalcn. 129; Paris. 1481; Taurin. 14; Vatic. 811), ანა 1—16 დღისა (Messan. 69; Paris. 1541; Vatic. 801; S10, 2037), გინათუ 1—17 დღისა (Mosquen. 363; Neapol. II, c. 29; Paris. 1020). მეორე წიგნში: 16—30 დღისა (Barberin. V. 20; Mosquen. 364; Taurin. 69); 17—30 დღისა (Amb-

ლის — 10 წიგნი სვერიათ სექტემბერ-იანვრის ტექსტებს, ერთ წიგნად ყოფილ თებერვალ-აპრილის 14 ტექსტი, ერთს წიგნში, ალბათ, იყო მოთავსებული კონსტანტინოპოლის აგვისტოს 12 ტექსტი (ასეთია მოსკოვის სინოდალური კოდექსი № 382), მათგან მათგან, მართლაც 12 წიგნს ვღებულობთ.

ახლა გადავიდეთ თეოფილეს დოკუმენტის მეორე, ქართული ნაწილის განხილვაზე. აქ ავტორი ლაპარაკობს სვიმეონის მეტაფრასების ქართულ ენაზე გადმოღების შესახებ.

IV

დოკუმენტის დასაწყისში თეოფილე გვიბრძნობს, რომ ის გვაუწყებს „ვის მიერ ანუ სადა რაა ითარგმნეს ძველთა მიერ თარგმანთა“ ქართულ ენაზე სვიმეონის „საკითხავებიდან“. სამწუხაროდ, ის თავის დაპირებას არ ასრულებს და „ძველ თარგმანთა“ შესახებ არაფერს გვეუბნება. მისი სიტყვით, „ათორმეტნი წიგნი მეტაფრასნი“ ნამდვილი «მარგალიტაა» ეკლესიისა. თუ ეს ასეა, კითხულობს ის, „რად არა თარგმნეს წმიდათა მამათა ჩუენთა ეფთჳმი და გიორგია? იმიტომო, გვიპასუხებს თვით შემკითხველი, რომ „უფროჲს საჭიროთაგან არა სცალდა და ამისთჳს დაშთეს უთარგმოდო“. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს პრიორიტეტს ამ საქმეში თეოფილე თავის თავს აკუთვნებს. მართალია, მთლიანად სვიმეონის მეტაფრასები არც ექვთიმეს უთარგმნია და არც გიორგის, მაგრამ თქმა იმისა, რომ მათ არაფერი უთარგმნიათ მეტაფრასტის კრებულიდან, არ შეიძლება. ექვთიმე, როგორც გარკვეულია უკვე, დამწყებია ქართულ ლიტერატურაში მეტაფრასული მიმართულებისა, მას არაერთი და ორი მეტაფრასი გადმოჴლია ქართულად¹; ესევე უნდა ვთქვათ გიორგი მთაწმიდლის შესახებაც². მიუხედავად იმისა, რომ თეოფილე ახლო იდგა ექვთიმესა და გიორგის ეპოქასთან, მიუხედავად იმისა, რომ ის უშუალო მოწაფეც კი ყოფილა გიორგისა, მას არ სცოდნია საქმის ნამდვილი ვითარება ამ ხაზით. მის შეცდომას ასწორებს რამდენადმე ეფრემ მცირე, რომელიც გადმოგვცემს: „ამის ახლისა მოწამეთაჲსაგან (იგულისხმება სვიმეონის შრომები) ითარგმნეს მცირედნი, ვითარ იგი არს: წმიდისა არტემისი და კრიტელთაჲ და ელევთერისი, რომელნი უთარგმნიან წმიდასა მამასა ჩუენსა დაეით ტბელსა. და წმიდათა გიორგისი და თეოდორესი და სასწაული წმიდისა თეოდორესი უთარგმნია ღირსსა ნეტარებისასა გიორგის მთაწმიდელსა. ეგრეთვე სანატრელსა სტეფანეს

ros. 213 A; Marcian. 350, 352, 353, 361; Messan. 69; Paris. 579, 693; Vatic. 805, 1801; Mosquen. 365). დეკემბერი: პირველ წიგნში მოთავსებული ყოფილა 1—13 დღის ტექსტი (Mosquen. 369), ხოლო დანარჩენი 14—31 დღეებისა მეორეში: Chalcen. 19; Coisl. 148; Genov. 37; Marcian. 355, 356; Messan. 5; Mosquen. 370, 371, 372; Palat. 3; Paris. 1490). იანვარი: პირველს წიგნში მოთავსებულია 1—16 დღეთა ტექსტები (Hierosol. Patr. 9), ანდა 1—17 დღისა (Neapol. II C, 28; Paris. 1448; Scorial. y II, 4); მეორეში 18—21 დღისა (Vatic. 453). სექტემბრისა და ოქტომბრის თვეთა დანაწილება Delehaye-ს არ აქვს ნახეხები. ეს არის ძირითადი ტიპები დანაწილებისა, არის ისეთი ხელნაწერებიც, რომელნიც ამ ძირითადი ტიპის ნიუანსებს შეიცავენ.

¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I², 182—184.

² იქვე, გვ. 203—204.



სანანოაძესა უათრგმნია საკითხავი დაუჯდომელთა და ცნობება თეოკტიტეს ლეზველისა და სხუანიცა. ხოლო მოძღუარსა მის და ჩუენ ყოველსა მამასა ეფთჳმის ლოლოთეტის შეკაზმულთაგან კლემენტოსი ოდენ უთარგმნია და წმიდისა პროკოპისი, რამეთუ სხუათა წიგნთაგან უცალო იყო“. ეფრემს მეტი სცოდნია, ვიდრე თეოფილეს, მაგრამ ყველაფერი არც მას სცოდნია: მის მიერ დასახელებული პირებს, კერძოდ ექვთიმესა და გიორგის, გაცილებით მეტი უთარგმნიათ სვიმეონის შრომიდან, ვიდრე მან აღნიშნა. ერთი სიტყვით, მეტაფრასული ლიტერატურის ქართულ ენაზე გადმოღების საქმეში პრიორიტეტი თეოფილეს ხუკესმონაზონს არ ეკუთვნის. მიუხედავად ამისა, მისი ღვაწლი ამ საქმეში დიდი და მნიშვნელოვანია: მას გადმოჴლია ერთ წიგნად სვიმეონის მიერ დამუშავებული სექტემბრის თვის მეტაფრასები მთლიანად. ეს შრომა მოთავსებულია, როგორც ვთქვით, ათონის ხელნაწერში № 20 (ბლეიკით), 29 (კავარლით). იმაში მოთავსებულია „საკითხავები“ სექტემბრის თვის შემდეგი დღეებისა: 1, 2, 3, 4, 6, 7, 8 (ორი სიტყვა დამასკელისა), 9, 10, 11, 12, 13, 14 (ბასილი დიდის სიტყვა), 15, 16, 17, 19, 20, 22, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30. იმ დღედან ში, რომელიც თეოფილეს ხელთა ჰქონია, როგორც ვხედავთ, ყოფილა 27 „საკითხავი“, იმ სიაში კი სექტემბრის თვის მეტაფრასული საკითხავებისა, რომელიც დღეს გამოქვეყნებულია მეცნიერთა გაერთიანებული ძალით¹, 25 „საკითხავია“. თეოფილეს სიას აკლია მიქაელ მთავარანგელოზის საკითხავი (6 სექტემბ.), სამაგიეროდ იმაში ზედმეტია სამი საკითხავი: ორი იოანე დამასკელისა (8 სექტემბერი), ერთი ბასილი დიდისა (14 სექტემბ.); 5, 19, 21 და 23 სექტემბრის საკითხავები არც ერთშია, არც მეორეში. საერთო ორივე სიას აქვს შემდეგი დღის „საკითხავები“: 1, 2, 3, 4, 6 (ევლოქსი, რომილე, ზინონ და ჰაკარის), 7, 9, 10, 11, 12, 13, 15, 16, 17, 19, 20, 22, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, სულ 24 დღისა. განსხვავება ამ ორ სიას შორის აიხსნება იმით, რომ სვიმეონის კრებული ძალიან მალე შეირყვნა ბერძნულ ნიადაგზე: შემდგომი დროის გადამწერთ, შეგნებულად თუ შეუგნებულად, ზოგი რამ გამოუტოვებიათ იმაში, ზოგი რამ ისეთი შეუტანიათ, რაც სვიმეონს არ ეკუთვნოდა. საქმე ისაა, რომ ისინი ყოველთვის არ ხელმძღვანელობდნენ მეცნიერული მოსაზრებით — მოეცათ თავიანთ ნუსხაში უთუოდ ის, რაც სვიმეონს ეკუთვნოდა; უფრო ხშირად ისინი პრაქტიკული საჭიროებიდან გამოდიოდნენ: მათ უნდოდათ ჰქონოდათ „საკითხავები“ ყველა დღისა, ამიტომ, თუ სვიმეონს რომელიმე დღე აკლდა, ამ ნაკლს ისინი ავსებდნენ სხვა, ცნობილი თუ უცნობი, ავტორების ნაწარმოებებით, განსაკუთრებით ამას ადგილი ჰქონდა დიდი დღესასწაულების მიმართ. ასე რომ სვიმეონის კრებული უკვე XI საუკუნიდან სხვადასხვა შემადგენლობით დადიოდა. ეს გარემოება ახნელებს დღეს იმის დადგენას, თუ რა ეკუთვნის უდავოდ სვიმეონს ამა თუ იმ კრებულში, როგორი იყო ნამდვილი შემადგენლობა მისი ხელიდან გამოსული შრომისა. ამას ადასტურებს, ბერძნულ

¹ H. Delehaye. De Symeonis Metaphrastae Menologio, Bibliotheca hagiographica graeca², p. 275—277.

ხელნაწერთა გარდა, თუ გნებავთ, სექტემბრის თვის ქართული თარგმანების შეფარებულ რედაქცია, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

თეოფილეს კრებულში შესული ტექსტები ყველა მის საკუთარ თარგმანს წარმოადგენს, გარდა 14 სექტემბრის საკითხავისა: „თქმული წმიდისა ბასილისი ამბლებისათჳს პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისა“, რომელიც, როგორც ის თვითონ შინიშნავს ხელნაწერში, არის „თარგმანება წმიდისა მამისა ეფთჳმესი“. თეოფილე ამბობს თავისი შრომის „ანდერძში“: „მას წიგნსა შინა ქართულთაგან ანუ პირველთა თარგმანთა თარგმანებულისა ყოვლადე არა-რამა წერილ არს, თჳნიერ ჯუარისა საკითხავისა, სხუაჲ ყოველიე ახალი არს“.

თავისი შრომის „შესავალს“ თეოფილე ათაეებს ბოდიშით, რომ სვიმეონის შრომებიდან მხოლოდ სექტემბრის „საკითხავები“ გადმოიღო. „უკუეთუ გამიმარჯუოს ღმერთიან სხუათათჳსცა, კეთილ, და უკუეთუ არა, ამისთჳსცა ლოცვა ყუთ“. ჩანს, მას „გაუმარჯუა ღმერთიან სხუათათჳსცა“, ესე იგი, სვიმეონის სხვა შრომების გადმოღებისათვის. ათონის ორ ხელნაწერში, №№ 36, 37 (რომელნიც ერთდამიანე ხელნაწერის ნაწილნი უნდა იყვნენ და რომელნიც ა. ცაგარლის აღწერილობაში არ შესულან), ჩვენ ვპოულობთ ნოემბრის თვის პირველი ნახევრის „საკითხავებს“ სვიმეონ მეტაფრასტის რედაქციით; ეს საკითხავები გადმოუღია თეოფილეს. ესენია ნოემბრის:

1. ცხორება და მოქალაქობა და მიცვალება კოზმან და დამიანისი: „რაჟამს იგი ღმრთისმსახურება აღმოზრწყინდა...“ BHG² 374*.
2. ლუაწლი წმიდათა და დიდებულთა მოწამეთა ქრისტესთა აკირდნუ, ანემბორისტუ და ელპიდოფორსი: „დალაცათუ პირველთა მათ სპარსთა“ BHG² 23.
5. წამება წმიდათა და დიდებულთა მოწამეთა ქრისტესთა დალაკტიონ და ეპისტიმისი: „მთისა მის ლიბანისა“ BHG² 66.
6. ცხორება და მოქალაქობა წმიდისა მამისა ჩუენისა პავლე აღმსარებელისა: „რაჟამს იგი კოსტანტინოს“, BHG² 1473.
7. ყოფილა წამება წმ. იერონისი და მისთა მოყვასთა, მაგრამ აღარ შენახულა, ფურცლების დაკარგვის გამო.
9. წმიდისა მატრონისი, შენახულა მხოლოდ ნაწილი, ფურცლების დაკარგვის გამო.
10. ცხორება და მოქალაქობა ღირსისა დედისა თეოქთისტი მეუღაბნოასა: „სახედ და ხატად და ძეგლად რჩეულად“ BHG² 1725—6.
11. წამება წმიდისა მოწამისა მინასი, რომელი იყო ეგვიპტით და იწამა კესტივანს: „მეფობასა დეოკლიტიანე და მაქსიმიანესა“, BHG² 1250.
12. ცხორება და მოქალაქობა წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა იოანე მოწყალისა, ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსისა: „ღირსთა და მართალთა კაცთა საქმეთა აღწერაჲ“, BHG² 888.

* ეს ნიშნავს, რომ ამ საკითხავის ბერძნული დედანი მოთავსებულია H. Delehaye-ს Bibliotheca hagiographica Graeca-ს მეორე გამოცემაში ამაღამ ნომრის ქვეშ.

13. ცხოვრება და მოქალაქობაა წმიდისა მამის ზენისა იოანე ოქრობირისა: „ყოველთა უკუე ღმრთისმსახურებით ცხოვრებულთა“, BHG² 875. დამთავრებულია ამ „საკითხავით“ ეს ხელნაწევი, თუ შემდეგი დღეების „საკითხავები“, ფურცლების დაკარგვის გამო, აკლია, ეს აღწერილობიდან არ ჩანს. შეიძლება დამთავრებულიც იყოს, ვინაიდან ცნობილია ისეთი ბერძნული ხელნაწერები ნოემბრის თვის მეტაფრასული „საკითხავებისა“, რომელნიც პირველ 13 დღეს შეიცავენ. ასეთებია: Marcian. 351, Medic. Laurent. XI, 1, Monac. 364; Ottobon. 429; Paris. 1437, 1497, 1552*.

როგორც ხელნაწერთა მინაწერებიდან ირკვევა, თეოფილეს უთარგმნია აგრეთვე დეკემბრის თვის რამდენიმე დღის „საკითხავი“. ასეთია:

7. ამბროსი მედიოლანელისა: „უალენტინოს შემდგომად იობიანოს მცვალებისა“ (გელათ. № 5, ფ. 107—118), BHG² 69.

8. ცხოვრება და მოქალაქობაა წმიდისა მამისა ზენისა პატაპისი: „არა მრავალთა შობს ეგვპტე (გელათ. № 5, ფ. 118—123, ათონ. № 2 (ბლეიკ.), 63 (ცავარლ.), BHG² 1424.

9. ეპიფანე კვიპრელის საკითხავი მუცლადღებისათვის ანნასა: „რამ არს საიდუმლოჲ ესე ახალი“ (გელათ. № 5, ფ. 123—130, საქ. მუზ. A 162; ფ. 15—18, S 1217, ფ. 111—127; ამ უქანასკნელში ეს შეეცდომით ექვთიმეს თარგმანად არის დასახელებული), სვიმეონის სიაში ის არაა.

15. წამებაა წმიდისა ელევთერისი: „ჯაბანი ანდრიანოს ოდეს პრომეს მეფობდა“ (გელათ. № 5, ფ. 286—295, ათონ. № 2/63, ფ. 141—146), BHC² 571.

19. ლუაწლი ვონიფანტე პრომისა: „დალაცათუ სხუათა ქრისტეს მოწამეთა ლუაწლი“ (გელათ. № 5, ფ. 327—336, ათონ. № 2/63), BHG² 281—2.

კირილე ალექსანდრიელის საკითხავი ღმრთისწობლისათვის და წმ. მამათა ეფესოჲს კრებისათა: „ბრწყინვალე არს დღეს სიტყუაჲ ზენი და მადლითა აღსავსე“ (გელათ. № 8, ფ. 369—376, იერუს. № 151, ფ. 66—81, ათონ. № 7 (ბლეიკ.), 61 (ცავარლ.), ფ. 154—160 (Migne, PG. t. 76, 249—292).

ამრიგად, გარდა სექტემბრის თვის 26 საკითხავისა, თეოფილეს უთარგმნია კიდევ 16 საკითხავი ნოემბრის და დეკემბრის თვეებისა, სულ, მაშასადამე, მის მიერ გადმოთარგმნილია 42 საკითხავი, აქედან 38 სვიმეონ მეტაფრასტისა; ეს საკმაოდ თვალსაჩინო ღვაწლია ჩვენი ძველი მწერლობის ისტორიაში. ერთი „ცხოვრება“ (პატაპისი) მას ორჯერ უთარგმნია, როგორც ეს დამოწმებულია მის მიერვე: „შვისწავეთ, რამეთუ სიჭაბუქესაცა მეთარგმნა და მარიამს დედოღალსა ჰქონდა, ხოლო აწ სიბერესაცა ვიძიულე თარგმნად. ლოცვა ყავთ თეოფილესთვის“ (გელათ. № 5, ფ. 118—125). ორჯერ უთარგმნია მას კოზმან და დამიანეს ცხოვრებაც, მეორე თარგმანი მოთავსებულია იერუსალ. ხელნაწერში № 17 (ბლეიკით) და იწყება ასე: „უფლისა და მაცხოვრისა ზენისა“ (BHG² 372). დღესდღეობით ჩანს, მაშასადამე, თეოფილეს მიერ თარგმნილი სექტემბერი მთლიანად და ნოემბერ-დეკემბერი ფრაგმენტარულად; ეს გარემოება საკმაო

* დასახელებული შრომა H. Delehaye-სი, p. 280.



საბუთოს იძლევა დაიხვას საკითხი: ხომ არ თარგმნა მან სვიმეონ მეტაფრასტიკის მთელი კრებული?

სვიმეონ ლოლოთეტიის მეტაფრასეში მართო თეოფილეს არ უთარგმნია, მას სთარგმნიდნენ, როგორც ეფრემ მცირის ზემომოყვანილი ცნობიდან და არსებული ხელნაწერებიდან ჩანს, ექვთიმე ათონელი, გიორგი ათონელი, დავით ტბელი, სტეფანე სანანოხსძე, არსენ ვაჩხსძე; დიდი, შეიძლება ითქვას — ყველაზე მეტი, ღვაწლი მიუძღვის ამ საქმეში ეფრემ მცირეს¹, თუმცა ჯერჯერობით ცნობაში არაა მოყვანილი ყველა მის მიერ გადმოღებული მეტაფრასული „საკითხავები“.

საყურადღებოა, რომ ერთიდაიგივე მეტაფრასი სვიმეონისა ქართულად ორჯერ, ორი სხვადასხვა პირის მიერ ჩანს გადმოთარგმნილად. ასეთებია:

1. წამება გალაქტიონ და ეპისტიმესი (5 ნომბ.) უთარგმნია, როგორც ვნახეთ, თეოფილეს, უთარგმნია იგი აგრეთვე ვილაც სხვა მთარგმნელსაც და იწყება ასე: „ლიბანიტ კერძო, მითთ ფინიქისათ“ (S 384, გვ. 572—582)².
2. ცხორება თეოქრისტე ლეზვილისა (8—10 ნომბ.), თეოფილეს გარდა, უთარგმნია აგრეთვე, როგორც ეფრემ მცირე და მინა წერები გვიმოწმებენ, სტეფანე სანანოხსძესაც³; ეს თარგმანი მოთარგმნილია S 384, გვ. 597—612 და იწყება: „გამოსახულნი ხატნი სახილველნი“.
3. მინა მეგვიპტელის წამება (11 ნომბ.) უთარგმნია ეფრემ მცირესაც (S 384, გვ. 696 და შემდ.) მთარგმნელს ასეთი ცნობა დაუტოვებია: „წმიდანო მამანო, ესე წმიდისა მინაჲს წამებაჲ იყო ძუელადცა ოთარგმნილი კოპენისაგან, რამეთუ ესრეთ ეწოდების პირველ ლატონად აღწერილსა წიგნსა მოწამეთასა, ხოლო აჲ ესე ითარგმნა ახლად მეტაფრასისაგან ბრძანებითა კალიპოსელთა წინამძღურისა ბასილისითა, ოემეთუ მას უკმაა მინა წმიდისათუს და ესე ირჩია ლოლოთეტიისა, სვიმეონის შეკრამულისა მოწამეთასაგან, რომელსა მეტაფრას ეწოდების“⁴. ეფრემის თარგმანი იწყება ასე: „მეფობდეს რამ დეოკლიტიანე და მაქსიმიანე, ზეცაჲმეუფისა მბრძოლნი“.

¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I², 237—239. ეფრემს, აქნაჩევენებთ გარდა, უთარგმნია ცხოვრება სპ რიდონ-ტრიმიოუნტელისა (A 90, 327—327); უნდა ეთარგმნოს აგრეთვე რვა საკითხავი ნომებრია და დეკებრის საქმე ისაა, რომ თავ-ა „მოსასკუნებელთ სვიმეონისთვის ლოლოთეტიისა“, რომელაც ხელნაწერებში (A 90, გვერდი 5) მოთავსებულია დეკებრის თვის ბოლოში, ის ამბობს, რომ მან გადმოთარგმნა „რაოდენიმე საკითხავი“ სვიმეონის მეტაფრასთაგან (ამ ორი თვიდან). თუ აქ მოყვანილ საკითხავებს გამოვაკლებთ ისეთებს, რომელთა მთარგმნელები ცნობილია. დანარჩენი რვა ხელთონ (A 90) ეფრემს უნდა მივაკუთვნოთ. ესენია: 1) ნომებერში: ალვიბი მესუეტისა (26), 2) დეკებერში: იოანე დამასკელის (4, ეს სვიმეონის არა.), ამბროსი მესიოლანელის (7), პატრიარსა (8), მინა-ერმოგინე-ველერ-ფოსი (10), თვირსო-ლევიკი-კალინიკე-ფილიმონ-აპოლონისა (14), ინდო-დომნასი (28), სელანია რომაელისა (31).

² გამოცემულია პროფ. ს. ყაუხჩიშვილის მიერ: ვინიკის «მოამბე», ტ. XIV, 359—374.

³ ქრონიკები I, 222.

⁴ იქვე გვ. 222—223.

4. იოანე ოქროპირის ცხოვრება (13 სექტ. და 13 ნოემბ.) უთარგმნია აგრეთვე ეფრემ მცირესაც (S 384, გვ. 12—123)¹, მისი დასაწყისიდან დასასრულამდე ყელავე საღმრთოდ ცხოვრებულთა ცხოვრებაჲ სარგებელ არს კეთილად მსახურთათჳს“.

5. ამბროსი მედიოლანელის ცხოვრება (7 დეკ.) არის თეოფილეს თარგმანისაგან განსხვავებული თარგმანით: „შემდგომად აღსრულებისა ივბიმიანოს ბერძენთა წიგნისა მოილო კუერთხი მეფობისაჲ უალენტიანიანე“ (A 90, 111—126); საფიქრებელია — ეფრემ მცირის იყოს.

6. პატაპის ცხოვრება (8 დეკემბ.) გვაქვს სხვა თარგმანითაც: „არა მრავლისა მშობელ არს ეგვტე“ (A 90, 126—135); ესეც შესაძლოა ეფრემ მცირეს ეკუთვნოდეს.


7. წამება ელევთერისა (12 დეკემბ.), ეფრემ მცირის ცნობით, უთარგმნია აგრეთვე დავით ტბელსაც: „ანდრიანეს, რომელსაცა ელიაძეა ეწოდა“ (A 90, 207—222).

მაგრამ ყველაზე უფრო საყურადღებოა ამ მხრივ სექტემბრის თვის „საკითხავები“ სვიმეონ ლოდოთეტისა; ეს მეტაფრასები, როგორც დავინახეთ, უთარგმნია თეოფილეს ხუცესმონახონს. ჩვენ ვფიქრობდით ამდენხანს, რომ ეს იყო ერთადერთი თარგმანი, რომელიც კი მოიპოვება ჩვენს ხელნაწერებში². მაგრამ ახლა ირკვევა, რომ თეოფილეს თარგმანი შემონახულია მხოლოდ ერთადერთს ათონის ხელნაწერში (№ 20/29), სხვა ხელნაწერებში კი ეს მეტაფრასები სულ სხვა თარგმანს წარმოადგინენ. ამის ნათელსაყოფად მოვიყვანთ პარალელურ სვეტებში ორსავე თარგმანს „საკითხავთა“ დასაწყისი სიტყვებით.

რიცხვი	წმიდანის სახელი	თეოფილეს თარგმანი (ათონ. № 20/29)	მეორე თარგმანი (გელათ. № 4, S 384, A 382, იერუს. 18, 37)
1	სვიმეონ მესუეტე	სვმეონსა სანატრელსა, დიდსა მას საკრველსა სოფლისასა...	სვმეონ ყოვლად დიდი საკრველგბაჲ სოფლისაჲ...
2	მამაჲ მოწამე	მამას, დიდსა მას მოწამესა ქრისტესსა...	მამას, დიდსა ამას ქრისტეს მოწამესა...
3	ანთიმოს ნიკომიდიელი	ვინ არა ივნობს ნიკომიდიასა...	ვინ არა უწყის ნიკომიდიასა...
4	ბაბილა ანტიოქელი	ნუმერიანოს უკუე მძღავრმან...	ნუმერიანოს ბერძენთა მდგომისა მამათა თჳსაგან მიმღებელობასა...
6	ეფლუქსია, რომვილოზ, ზიან, მაკარი	ტრაიანოს უკუე უშჯულომან...	მეფობასა ტრაიანე ბოროტდამსახურისასა...
7	სოზონ კილიციელი	მჰყრობელმან კილიკიასმან...	მაქსიმიანე კილიკიას მთავრობასა...
8	დვთისმშობლის დაბადება, სიტყვა იოანე დამასკელისა	მოვედით უკუე ყოველნი ტომნი...	მოვედით ყოველნი წარბართნი, ყოველნი ნათესავნი კაცთანი...

¹ ქრონიკები I, გვ. 221—222.

² კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, 222.



რიცხვი	წმიდანის სახელი	თეოფილეს თარგმანი (ათონ. № 20/29)	მეორე თარგმანი (გელათი, № 4) S 384, A 382, იერუს. 18, 37)
9	სვევირიანე	ლიკინიოს რაჲ, უშუქულოჲ მეფე, მეფობდა...	ქამთა მათ ლიკინიოზის ბოროტად და უღმრთოობით მეფობისათა...
10	მინოდორა, მიტროდორა და ნემფოდორა	არა დედანი, არცაღა ქალნი...	არა სადმე დაკუთხულ არს სტადინი...
11	თეოდორა ალექსანდრიელი	ზინონ მეფე რაჲ განაგებდა საყარასა...	ზინონს სადმე თვთმპყრობელობისა ბერძენთაჲსა...
12	ავტონომოსი	სწოროდ უშვერებად შემირაცხიეს...	სწორობით უწესობეჲჲ მგონიეს მე მეტყუელებეჲჲ...
13	კოზინილის ასისთავი	შემდგომად მაცხოვრისა ჩუენისა...	არ არის, არის იოანე დამასკელის სიტყვა სატფერებისა...
14	ჯუართამადლება	ბასილი დიდის სიტყვა, ექვთიმეს თარგმანი...	იოანე სიტყვჲ ანდრიას იერუსალიმელისა და ერთი ოქროპირისა...
15	ნიკიტა	ძლევისა ღვაწლთა ნიკიტა მოწამისათა აღვასრულებთ კრებასა დღეს...	მძლეობითთა ღვაწლთა მოწამისა ნიკიტაჲსთა ვდღესაწაულობთ დღეს...
16	ევფემია მოწამე	დიოკლიტიანოს რაჲ მძლავრსა ეპყრა სკიპტრაჲ...	დიოკლიტიანე ჰრომთა სკიპტრის მპყრობელობასა...
17	სოფია, პისტი, ელპიდი და ალაპი	შემდგომად ყოვლისა შორის სოფელსა განფენისა ქადაგებასა მას ცხოვრებისასა...	შემდგომად ყოვლით კერძო განფენისა ქადაგებასა მას ცხოვრებისასა...
19	ტროფიმე, სავატი და დორიმენდოს	პროვოს მეფე უშუქულოჲ...	ქამთა მათ, რომელთა შინა ეპყრა მეფობაჲ ბერძენთაჲ პროვოს...
20	ფესტათი და ძენი მისნი	ტრაიანოს უუფე განაგებდა სკიპტრასა მას...	ტრაიანეს ჰრომთა სკიპტარისა მპყრობელობასა...
22	ფოკას შესხმა ასტერიოს ამასიელისა	სამღებლომან მან უკუი და საღმრთომან კრებულმან...	დიდებულ არს უკუე და ღმრთივ განწესებულ ყოველი კრებული წმიდათა მოწამეთა...
24	თეკლა იკონიელი	რაქამს დიდი იგი მახარებელი...	აწლა დიდისა და ჰეშმარიტების მახარებელისა...
25	ევფროსინე ალექსანდრიელი	რაქამს იგი კუერთხსა მას ბერძენთასა...	აწლა ბერძენთა სკიპტარისა თეოდოსის არკადის ძისა...
26	იოანე ლეთისმეტყუელი	კნინლა და ახარაჲთ დაკლებულ არს...	რამეთუ არა ფრიად დააკლდა ანგელოზთაგან კაცი...
27	კალისტრატე	მაცხოვრისა ქრისტეს სამწყსოთა...	დღითიდღელსა მას განმრავლებასა...
28	ხარტიონი	ფრიად არს და მრავალ კეთილმოძღურებისა...	მრავალ არიან მოძღურებისა სახენი...
29	კრიაკოს განშორებული	მაკურთხეველნი შენი კურთხულ იყვენენ...	მაკურთხეველნი შენი, იტყვეს აბრაჰამის მიმართ ღმერთი, ვაკურთხენენ...
30	გრეგოლ პართელი	რაქამს იგი სპარსთა მთავრება...	რაქამს მეფობაჲ სპარსთაჲ პართთად მიიცივალა...


როგორც ჩანს, ბატონობა ჩვენში მოუპოვებია მეორე თარგმანს, რომელიც სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას დამზადებულ ხელაწერებში გვხვდება; თეოფილეს თარგმანს, რომელიც ერთადერთი ხელნაწერით შენახულა,

საფიქრებელია, საქართველომდე არც მოუღწევია. იმისი არსებობა არც ეჭვრიც მცირეს სკოდნია, თორემ ის თეოფილესაც მოიხსენიებდა, სხვედრებში ეწინააღმდეგებოდა სვიმეონის მეტაფრასების მთარგმნელთა შორის და, თანახმად სწავლებისა — ერთხელ თარგმნილი შრომა ნეორედ არ უნდა გადაითარგმნოს¹, — არ გამოთარგმნიდა, მაგალითისათვის, იოანე ოქროპირის ცხოვრებას, რომელიც თეოფილეს მიერ უკვე ყოფილა თარგმნილი. საკვირველია ფაქტი, რომ ეჭრები, კონსტანტინოპოლში აღზრდილი, არ იცნობს მის თანამედროვეს, კონსტანტინოპოლში მომუშავე თეოფილეს. ეს, ალბათ, აიხსნება იმით, რომ, როდესაც თეოფილემ მუშაობა დაიწყო (1073 წლიდან), ეჭრები დიდხნის წასული იყო კონსტანტინოპოლიდან შავს მთაზე².

სვიმეონ ლოლოთებმა დამუშავა ხუთი თვის (სექტემბერი—იანვარი) საკითხავები, წლის დანარჩენი შვიდი თვე კი (თებერვალი—აგვისტო) დაუმუშავებელი დარჩა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ 26-მდე ტექსტს, რომელიც, ძველევართა აზრით, სხვა თვეებიდანაც დაუწერებია მას. „ესრეთ საკრველი და განკრვებისა ღირსი მისი (სვიმეონის) საქმე“, ამბობს იოანე ქსიფილინოსი, „ნაკლულევანად ეგო და ანით კერძოდთა რეცა საბოლობელ ჰყოფდეს მას

¹ კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან II, 211—213.

² „ეჭრემის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები ნაკლებად შენახულა“, ვამბობდით ჩვენ (ქართ. ლიტ. ისტორია I², 22ა); სხვადასხვა მოსახრებათა გზით, ჩვენ ასე გვეკონდა წარმოდგენილი მთავარი ეტაპები მისი ცხოვრებისა: აღიზარდა კონსტანტინოპოლში, სადაც მიიღო ბერძნული სასკოლო განათლება და ზედმიწევნით შეისწავლა ბერძნული ენა. ამის შემდეგ, დაახლოვებით XI ს. სამოციანი წლების დამდეგისათვის, გადავიდა შავს მთაზე, სადაც ქართულ კოლონიაში გაჩაღა თავისი სამწყოლო-სამეცნიერო მოღვაწეობა (იქვე, გვ. 227—228). ამ მოსახრებას თითქოს მხარს არ უჭერს თვით ეჭრები, რომელიც თავის „მოაპყენებელში“ ამბობს: შავი მთის მოღვაწემ, საბა თუხარელმან „ქრისტეს მიმსგავსებულთა სახიერებითა მიტვრთა ჟამსა სიუცისა და სიჭბუჯისა ჩემისასა და სხუთათვე ქველისმოქმეებთათა თანხესებრა აჩუგა ჩემხეა, რომელ ბერძულსაცა წიგნთა კითხვისა სწავლად იღუაწა ჩემთვის ადგილსა შინა ჯეროვნად მომხავებულსა, რომელ არა მონასტერი წმიდისა სვიმეონს კვრველთ მოქმედისა, რომლისა ბეობებითა... ვისწავე რამე, დღაცათუ არა შემეცნეოულად ლუწულთა და წარსაგებელთა წმიდისა მის ბერისთა არამედ ფრიად უფრეტესი ძიებისა და მოსწოაფების ჩემისა“. ამის მიხედვით, თითქოს ისე გაბოდის, რომ ეჭრემს განათლება მხოლოდ და ბერძნული ენა შეუსწავლია ანა კონსტანტინოპოლში. არამედ შავს მთაზე საბა თუხარელის ხილმძღვანელობით. რასაკვირველია, შავს მთაზე, ქართველოა წიგნი ეჭრემთა ბევრი რამ შეისწავლა და შეითვისა; მაგრამ საეჭვოა, რომ ის განათლება და ცოდნა რომელიც მან ჰქონდა, მას ჯემონოს კერძოდ და არა სკოლაში. გააოთქმა — „ჟამსა სიუცისა და სიჭბუჯისა ჩემისასა“, — შეიძლება ასე გაიგოს: როდესაც ეჭრემმა კონსტანტინოპოლში წავლა და მთავრა და შავს მთაზე საბა დაემოწმა. ის ჯერ კიდევ ქრტიკი, ახლგზოდ იყო და ამავე დროს, როგორც ასეთი, უცები, აუფრის მცოდნე. რასაკვირველია, ბერძული სიმდაბლითა და კრძალულებით გაგებული უფოო სამაუიქობელია გამოთქმა: იღუაწა ჩემთვის „ბერძულსაცა წიგნთა კითხვისა სწავლად“. მაგრამ ეს არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ბერძული წიგნის კითხვა, ანბანი, ეჭრემმა საბას გან შეისწავლა; ნათქვამია ანა „ბერძულთა წიგნთა კითხვა... რამედ წიგნთა ბერძულის კითხვისა სწავლად“. ანუ გულსხმერა, რომ თით უფოლი საეკლესიო წიგნი სახარება, სასოციალულო, დავითნი, საწინასწარ მეწყულო, რამათა ცხოვრება და სხვ. თავისი გაოკვეული წესით იკითხებოდა და მას შესწავლა სჭირდებოდა. ეს წესი საქართველოშიც შემოდიოდა და ცნობილი იყო.



ვიეთნიმე, კეთილისა ამის საქმისა ვერ სრულმქნელსა, არამედ ნახევართა მოქმედსა და უსრულისა საშუალ შემომღებელსა“. ბიზანტიურ მწერლობაში ხარვეზის აწოდება უკისრია ზემოდასახელებულ იოანე ქსიფილინოსს (XI ს.), რომელსაც, როგორც თვითონ ამბობს, დაუმუშავებია „საკითხავები“ დანარჩენი შვიდი თვისა. ამის შესახებ ახლა აღარ ვილაპარაკებთ, რადგანაც ეს საკითხი ჩვენ მიერ უკვე დიდხანია გარკვეულა და მკითხველს შეუძლია სათანადო ნაშრომს მიმართოს¹. ქსიფილინოსის უზარმაზარი შრომა, რომელიც ბერძნულ ენაზე დღეს უკვე აღარ ჩანს, ქართულად უთარგმნიათ მეთორმეტე საუკუნეში, არის საფუძველი ვიფიქროთ², დიმიტრი მეუის დროს, პეტრიწონული სალიტერატურო სკოლის წარმომადგენლებს. ამ თარგმანს ბატონობა მოუპოვებია ჩვენში, ისე რომ თებერვალ—აგვისტოს „მეტაფრასები“ ან „საკითხავები“ ძირითადად მხოლოდ ამ თარგმანითაა წარმოდგენილი ჩვენს ძველ მწერლობაში.


დამატება I

უკავი მხიარ

მოსაწესებელი. გვირგვინი სჯიონისთჳს ლოლოთებისა [და] თხრობად მიჯაჳთა ამათ საკითხავთა თარგმანისათა

სჯიონ მაგისტროსი და ლოლოთები იყო ჟამთა კეთილად-მსახურისა მეფისა ბასილისთა, რომელი იყო საყდრის-მპყრობელი ბერძენთაჲ უწინარეს კონსტანტინისსა, ძმისა³ მისისა, რომლისა დღეთა ბრწყინვიდა კეთილად-მოკსენებული ესე სჯიონ ლოლოთები, კაცი ყოვლითა საწარმართოჲთა და გარეშითა სიბრძნითა სრულიად განსწავლული და ევრევე შინაგანთა ამათ და ჩუენთა საეკლესიოთა წიგნთა ძუძლისა და ახლისა სჯულისათა მოსწარუებით წურთილი. ამს ყოველთა თანა და სულიერთაცა სათნოებათა მოქმედებასა შინა კეთილად გამოცდილი. რომლისათჳსკა ვედრებაჲ ფრიადი იქმნა მისსა მიმართ ყოვლისა მიერ მორწმუნეთა ერისა, რათა, ვითარკა საღმრთოჲთა და კაცობრივითა სიბრძნითა აღსავსემან და ხედვისა და საქმისა მოლუაწემან, კელ-ყოს განშუქნებით წამებასა წმიდათა მოწამეთასა და ცხორებასა წმიდათა მამათა და მღღელთ-მოძღუართასა, რომელნი იგი მაშინ, ვითარცა ჟამი მისცემდა, თხრობის სახედ ოდენ აღიწერნეს თითოეულისა წმიდათაგანისა თანადახულომილისა ვის-განმე და არა ხოლო ლიტონობასა და სიმარტივესა შინა დაშთეს, არამედ რომელნიმე მათგანნი განირყუნესცა კაცთა მიერ ბოროტთა და მწვალებელთა, რომელთა დარკუნი იგი სიტყუანი მათნი თანაშეპრინეს ლიტონობასა მას თხრობისასა და ცრუეთა მით მართალიცა შეამრდვეს და საექუსტლ ყვეს. ვინაჲცა ყოვლად-ბრძენმან ამან მიითულა სიტყუაჲ მაიძულებელთა მისთაჲ და გულს-მოდგინედ კელ-ყო საქმესა მას და წინადაიდვა «ძუძლი იგი მოწამეთაჲ», რო-

¹ К. Кекелидзе. Иоани Ксифилии, продолжатель Симеона Метафраста (Христианский Восток, III, вып. 3).
² ამის შესახებ იხ. ჩვენი Monumenta hagiographica Georgica, გვ. XXV—XXVI.
³ ხელნაწერში — ძისა.



მელსა «კიმენ» უწოდიან, ესე იგი არს «მდებარე», და შეცვალა მეტათრასად-
 პირველად შეამკო უმუტრებად სიტყვსაჲ, ხოლო არა ევრეთ, ვითარცა ჩვენი
 ძალი შემოეღო, არამედ იგივე ძალი პირველად წერილისა სიტყვსაჲ შეამკო და
 აღწერა უბრწყინვალესად. და კუალაჲ შემკობასა თანა უმუტრისასა ილუაწა
 5 სრულიად განგდებდა სიტყვსა საეჭუტლისაჲ და მწვალბებელთა მიერ შეძინებუ-
 ლისაჲ. და ორნი ესე დიდნი შემატებანი მისცნა წამებასა წმიდათასა, რამეთუ
 იფქლი განწმედელ ყო ღუარძლისაგან და ყოვლად-მუწნიერად შეცვალნა უმუტ-
 რებისაგან. ხოლო წმიდათა მოციქულთა ვინაჲთგან ჭეშმარიტებით მოძთხრო-
 ბელი ცხოვრებაჲ სრულიად დაფარულ იყო და მათ წილ იჭუნეულითა და
 10 სრულიად განდრეკილითა მიმოსლვისა მათისა მათუწყებელითა საკითხავეებითა
 ეკლესიაჲ აღვსებულ იყო, ამისთვისცა მწვალბებელთა მიერ განდრეკილად აღწე-
 რილნი იგი მიმოსლვანი განყარნა და თვთ თავით თვისით «საეკლესიოთა თხრო-
 ბათაგან და ხრონოღრაფთა» მცირედ-მცირედი საკითხავეები შექმნა და მოსა-
 კსენებელა უწოდა. და აღირჩია ყოველივე უეჭუტლი და ჭეშმარიტი, დადაცათუ
 15 მცირე იყვის, ვიდრეღა ცრუჲ და საეჭუტლი, დადაცათუ დიდ და ვრცელ იყვის.
 ვინაჲცა აწ ჩუნენდა არად საკმარ არს სიტყუაჲ შეწყობილებისათჳს სიტყვსა და
 ძალისა არავე დატევეებისავე თანა არა გავრცელებისათჳს თქმულისა, კეთილად-
 კუმევისათჳს საქმითთა და ხედვითთა სიტყუათაჲსა და რიტორებრივთა მათ
 განგრძობათა და ფილოსოფოსებრივთა მათ შემკობილებათაჲსა, რამეთუ ესე
 20 ყოველი წინამდებარე არს სახილველად გონიერთა და არადსაძიებელ უგუ-
 ნურთა და უსწავლელთა. ხოლო ესე საცნაურ იყავნ, ვითარმედ ყოველნივე
 წერილნი, მას მიერ განკარგულნი, სრულიად უცთომელ არიან და შეწყნარე-
 ბულ ყოველთა მიერ ეკლესიათა, არა ხოლო სიბრძნითა და მეცნიერებითა
 კაცთა ბრძენთა წამებულნი, არამედ ჩუწნებითაცა და უწყებითა ღმრთისა მიე-
 25 რითა დამტკიცებულნი. თუ ვითარ ანუ რაბამ მითუალულ არს მის მიერ მუშა-
 კობაჲ კაცისა ამის, ამისთვისცა ჩუნ მიზები ჩუწნებისაჲ და თვთ ჩუწნებაჲცა
 იგი აქა მოვიკსენოთ და განუტხადოთ ყოველთა.

პირველმოკსენებულჲან დიდმან მეფემან ბასილი, რომლისა ჟამთა მეექუ-
 სისა წლისათა ესე ყოვლად-ქებული სჳმეონ გამოჩინებულ იქმნა აღმწერელად
 30 სახელოვნად, დააყენა წიგნები ამისი კითხვად ეკლესიათა შინა არა თუ სჯუ-
 ლისა საღმრთოთაჲსაჲს, არაჲდ გულის-წყრომისა მიდევნებისათჳს. ხოლო მიზები
 გულის-წყრომისა მისისაჲ ესე იყო. რამეთუ იკითხვიდეს ოდესმე ეკლესიასა
 შინა ცხოვრებასა ნეტარისა თეოკტისტე ლეზგელისასა, და ვითარცა მოვიდეს
 სიტყუასა მას, რომელი წერილ არს თავით კერძო საკითხავისა მის ვითარმედ:
 35 «წარკონებულ ვიყავ მოწმუნისა მეფისა ლეონისაგან, რომელმან ყოველი გან-
 მარჯულებულებაჲ ბერძენთა მეფობისაჲ საფლავსა თჳსსა თანაშთაჲჲლა», —
 ესმა ესე მეფესა და განრისხნა რისხვითა დაუპყრობელითა და ეგულვა ცეცხ-
 ლთა დაწუვაჲ აღწერილთა სჳმეონ ლოღოთეტისაგან. და ვიდრემდის ცოცხალ
 იყო იგი, დაფარულად და უჩინოდ ეპყრა წიგნები იგი და სახლებსა შინა ხოლო
 40 იკითხვიდეს მათ მეცნიერნი და ტრფილნი მუწნიერებისა მათისანი. ხოლო
 შემდგომად რაოდენისამე ჟამისა, რაჲჲმს აღესრულნეს პირველად სჳმეონ, გან-
 მკაზმველი წიგნთაჲ, და შემდგომად მისსა მეფეცა ბასილი, დამაყენებელი კით-

ხვისა მათისაჲ, იხილა ჩუენებით კაცმან ვინმე პატრიოსანმან ცხოველებსა
 სათხომან მოქალაქობითა, რომელი იყო სამეფუფოსა ქალქსა შინა განწესებულ
 საეკლესიოთა მწყობრთა თანა, რეცა ვითარცა ხედვიდა თავსა თვისსა სამეფ-
 5 ფოსა პალატსა შინა; და მას შინა მყოფისა მიერ მეფისა იქმნა მოწოდებაჲ
 ყოველთა წინამძღუართა ეკლესიისთაჲ დიდად განთქმულთა მოძღურებითა,
 რომელთა ხედვიდა კაცი იგი და თითოეულსა თვისისა სახისაგან იცნობდა. ხოლო
 კმასა მას მოწოდებელისა მათისასა სმენით ოდენ გულის-კმა ყოფდა და ხედვიდა,
 რამეთუ პირველად ყოველთა დიდი ბასილი შეეყვანებულ იქმნა და ეტკრთნეს
 10 ქარტანი აღწერილთა თვსთანი. და შემდგომად მისსა გრიგოლი ღმრთისმეტ-
 ყუსლი აღწერილით წიგნებითურთ მისით და მისთანა იოანე ოქროპაირი წიგნე-
 ბითურთ თვსით. და ვითარცა შეეყვანებულ იქმნეს სამნი იგი, ისმა კუალად
 კმაჲ, რომელი იტყოდა: „მოუწოდეთ ჩემდა სვმეონს!“ და იხილა კაცმან მან,
 რამეთუ შევიდოდა სვმეონ ლოლოთეტი და ეტკრთნეს წიგნი აღწერილთა
 თვსთაგანი. და ეგრეთ შევიდა იგი მეოთხედ შემდგომად სამთა მათ წმიდათა
 15 მამათა. და მხილველი იგი ჩუენებისაჲ მყის განაჰკრთა ძილისაგან და მოუთხრა
 ჩუენებაჲ პატრიარქსა და ყოველსა სავსებასა ეკლესიისასა. ხოლო მათ ვინაჲთ-
 გან საქმეთა მიერ სარწმუნოდ აჭუნდა მეტყუსლი იგი სიტყუათა მათ ჩუენები-
 სათაჲ, ირწმუნეს მისი იგი ჩუენებაჲ და გულის-კმა ყვეს, ვითარმედ არარად
 სხუად განგებულ იქმნა თვნიერ, რათა ჯგროვნად შეწყნარებულ იქმნენ აღწე-
 20 რილნი წიგნნი სვმეონის მიერ ლოლოთეტისა. და მიერითგან განაჰტინნეს ყო-
 ველთა ეკლესიათა და ვიდრე მოაქამდე სახეპუროდ იკითხვების ყოველთა შინა
 საბერძნეთისა ეკლესიათა, რომლისა მიერ წმიდანი შეიმკვებიან და გულნი მორ-
 წმუნეთანი განმხიარულდებიან, სასყიდელი მუშაკობასა მის აღორძინდების და
 ზოგად ყოველთა სასყიდლის მომცემელი ღმერთი იდიდების. ესე არს მიზეზი,
 25 რომლისა მიერ ლოლოთეტი წიგნთა აღმწერელ იქმნა და დიდთა ამათ კეთილთა
 მკვდრთა საბერძნეთისათა მომატყუებულ იქმნა.

ხოლო ჩუენ, ქართველთა, შორის მუჰლნი იგი მოწამეთანი იყენეს, რო-
 მელნი იგივე აქამომდეცა არიან. და კუალად ამის ახლისა მოწამეთაჲსაგანცა
 ითარგმნეს მცირედნი, ვითარ იგი არს: წმიდისა არტემისი და კრიტელთაჲ
 30 და ელეფთერისი, რომელნი უთარგმნიან წმიდასა მამასა ჩუენსა დავით ტბელსა.
 და წმიდათა გიორგისი და თეოდორესი და სასწაული წმიდისა თეოდორესი
 უთარგმნია ღირსსა ნეტარებისასა გიორგის მთაწმიდელსა. ეგრეთვე სანატრელსა
 სტეფანეს სანანოხსდესა უთარგმნია საკითხავი დაუჯდომელთაჲ და ცხოვრებაჲ
 თეოკტიტე ლეზველისაჲ და სხუანიცა. ხოლო მოძღუარსა მას და ჩუენ ყო-
 35 ველთა მამასა ეფთვიმის ლოლოთეტის შეკახმულთაგან კლემენტოსი ოდენ უთარ-
 გმნია და წმიდისა პროკოპისი, რამეთუ სხუათა წიგნთაგან უცალო იყო, რო-
 მელთა მიერ ფრიად განამდიდრა ნათესავი ჩუენი.

ამათ წმიდათა მამათა მადლითა და კადნიერად ღმრთისა მიმართ მეოხე-
 ბითა და ლოცვითა ბერისა ჩემისა საბაჲსითა მეცა საწყალომელი და უღირსი
 40 სახისაჲ და სახელისაჲ ეფრემ, მცირე და უნდოჲ მონაზონი, ღირსმყო და არა
 გარემიმაქცია წყალობა-აუროცხელმან ღმერთმან მეოხებითა მშობელისა მისი-
 საჲთა და ყოველთა წმიდათაჲთა მოსლვად ფერკთა თანა ზემოკსენებულისა



ბერისა საბა თუხარელისა¹ სულაჲს ძისათა, რომელმან ქრისტეს-მისცაესიბუ-
 ლითა სახიერებითა მიტვრთა ჟამსა სიუტებისა და სიკაბუჯისა ჩემისაჲსაჲდა
 სხუათავე ქველისმოქმედებათა თანა ესეცა აჩუქნა ჩემზედა, რომელ ბერძული-
 საცა წიგნთა კითხვისა სწავლაჲ ილუაწა ჩემოვს ადგილსა შინა ჯეროვანად
 5 მომზავებულსა, რომელ არს მონასტერი წმიდისა სვმეონ საკრველთმოქმედისაჲ,
 რომლისა მეოხებითა და ფარვითა დედისა მისისა მაროაჲსითა ვისწავე რაჲმე,
 დადაკათუ არა შემსკავსებულად ლუაწლთა და წარსაგებელთა წიდისა მის
 ბერისათა, არამედ ფრიად უმეტესი ძალისა და მოსწრაფებისა ჩემისაჲ. და მასვე
 ჟამსა ბრძანებითავე და წარსაგებელითა მისითა ვთარგმნენ ესე რაოდენნიმე
 10 საკითხავნი ლოლოთეტისა მეტაფრასთაგან, რომელთა შინა უკუეთუ რაჲმე იბო-
 ვების ჯეროვანი, ღმრთისაჲ არს მაღლი ეგე და წმიდათა ამით ზემოკსენებულთა
 მამათა ჩუენთაჲ და უპირატეს მათ ყოველთა ბერისა საბაჲსი, რომელი მექმნა
 ყოვლად ყოვლითურთ სიტყვთა და საქმითა, ლოცვითა და ბრძანებითა და
 კორციელისაჲცა საკმრისა ფრიად წარგებითა. ამას ყოველსა თანა და უპირატეს
 15 ყოველსა თანადადგინებითა სათნოჲსა მოწაფისა მისისა და მამისა ჩემისა ეფ-
 რემ დიდისა ოშკელისაჲთა, რომელი იგი მეცნიერ იყო კითხვისა და გაგონებასა
 ბერძულისასა და კეთილად სწავლულ ქართულთა სიტყუათა შეწყობილებასა,
 და ამით ორთავე ორკერძო ჰმსახურებდა და განაგებდა ნაკლულეფანებასა ჩემსა.
 და, რათა მოკლედ ვაქჲ, ყოველივე კეთილი, ღმრთისა მიერ და კაცთა მიერ
 20 ჩემზედა მომავალი, ბერისა საბაჲსი არს და სასყიდელიცა ღმრთისა მიერ მასვე
 აქუნდინ. ხოლო ნაკლულეფანებისა და უსრულობისა მიზეზ არაინ არს სხუაჲ,
 თნიერ უღირსებაჲ ჩემი და ტვრთი ბრალთაჲ და არასიმდაბლე გიანებისაჲ,
 რომელი, უკუეთუმცა იგი ხოლო ოდენ მაქუნდა, კმა იყო აღმავსებელად ყოვ-
 ლისა ნაკლულეფანებისა.

25 აწ უკუე ვევედრები სიწმიდესა თქუენსა, რომელნიცა მიემთხვენთ წმი-
 დასა ამას წიგნსა, ლოცვასა ჰყოფდით ბერისა საბაჲსთვს, რომელი იყო მაქნე-
 ველი და მბრძანებელი საქმისაჲ და მისთანავე ბრალთა შენდობასა უთხოვდით
 ეფრემს დიდსა, რომელი იყო მმართველი და გამგებელი ნაკლულეფანებისაჲ.
 ჰე, გევედრები, ნუმცა კუტბულ არიან იგინი სასოებისაგან! რამეთუ ფრიად
 30 დაშურნეს იგინი წიგნისა ამისთვს, რომელთა მიერ მიეცინ უფალმან პოვნად
 წყალობაჲ დღესა მას განკითხვისასა. ამინ!

ხოლო მე ვითარ ვიკადრო თხოვაჲ სასყიდლისაჲ, რომელსა არარაჲ მიძ-
 ღვს საქმე მუშაკობისაჲ, გარნა თუ მოწოდებ შეუგრდი თქუენსა სახიერებასა,
 რათა უსასყიდლოდ წყალობა ჰყოთ ჩემთვს და მოტევენბასავე თანა ცთომილი-
 35 სასა ითხოვით წარკადა სასჯელსა კადნიერებისასა და კუაოად თანაწარკდისა
 თანა ლოცვისსა მონიჭებად განსრულებასა ნაკლულეფანებისასა. და ესე თუ
 ჰყოთ, მოგცეს უფალმან წყალობაჲ უფლისა მიერ, ესე იგი არს, მამამან ძისა
 მიერ მომადლებითა თქუენდა სულისა წმიდისაჲთა, რათა იყვნეთ ქადაგ სამო-
 ბასა გუამთასხ და ერთობასა ღმრთეებისასა, მისსა დიდებაჲ აწ და ყოველთა
 40 საუკუნეთა მიმართ უკუნისამდე. ამინ“².

¹ თუხარელისა.

² ხელნაწ. საქართ. მუზეუმისა A 90, გვ. 310—314, გვლათ. 4, ფ. 576—579.



საძიებელში თხზულებები დალაგებულია «წმიდათა» სახელების ქართულად ანბანის რიგზე და ნაჩვენებია: 1) დასაწყისი და დაბოლოება ამა თუ იმ თხზულებისა; 2) ხელნაწერები, თუ ყველა არა, მნიშვნელოვანი მაინც, რომლებშიაც ესა თუ ის თხზულება შემონახულია; 3) მთარგმნელი თხზულებისა, თუ ის ცნობილია; 4) ქართული თარგმანის დედანი, თუ ის არსებობს, უმეტეს შემთხვევაში ასეთი სიგნატურით: BHG, რაც ნიშნავს: Bibliotheca hagiographica graeca, იგულისხმება ბოლანდისტის H. Delehaye-ს შრომა, მეორედ გამოცემული ბრიუსელში 1909 წელს, აგრეთვე — Латышев В. МАВ — Menologii anonymi byzantini, fasc. I.

საძიებელში გამოყენებულია ხელნაწერთა შემდეგი კოლექციები:

I. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა:

A — ყოფილი საეკლესიო მუზეუმისა.

S — ყოფილი წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმისა.

H — ყოფილი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმისა.

Q — ახალი ფონდისა.

II. გელათ. — გელათის მონასტრისა, ჩვენი, ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი, აღწერილობით; ეს ხელნაწერები დღეს ქუთაისის სამხარეთმცოდნეო მუზეუმშია მოთავსებული.

III. ათონ. — ათონის ივერთა მონასტრისა, R. Blake-ის კატალოგით: Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque de la Laure d'Iviron au mont Athos, Paris 1932—34. აქ ჩვენ ხშირად ორმაგი № ვაქვს აღნიშნული, მაგალითად: 20/29, 2/63, 7/61; პირველი მათგანი გვიჩვენებს ბლეიკის კატალოგის №-ს, მეორე ა. ცავარლისას.

IV. იერუსალ. — ჯვარის მონასტრისა პალესტინაში, რომელნიც დღეს იერუსალიმის საპატრიარქო წიგნთსაცავში არიან დაცულნი, R. Blake-ისავე კატალოგით: Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque patriarcale grecque à Jérusalem, Paris 1924—26.

V. სინ. — სინას მთისა, ნ. მარის კატალოგით: Описание грузинских рукописей Синайского монастыря, Ленинград, 1940.

ქვერკი იერაპოლელი, — ოქტომბრ. 22. ცხორება: მარკოზ ანტონინეს და ლევკი ვიროსს ეპურა თვთმპყრობელობაჲ ჰრომთა მეფობისაჲ... საყდართა სუფიებისათა მჯდომარესა, რომელსა შუენის ყოველი დიდებაჲ... BHG 4. S. 384, 433—461; S 1276, 397—437; გელათ. 4, ფ. 534—555. სინ. 92, 208—225. იერუს. 37, 97—110.

აბიბოზ, იხ. გური.

აბრაჰამ ნეტარი, — ოქტომბერსა 29. ცხორება: კაცთა სათნოების მოყუარეთა ცხორებაჲ და მათისა მოქალაქობისა მოთხრობაჲ... საცნაურმოყთელად



უხილავისა მის სულისა მისისა ბრწყინვალეობასა... BHG 8. გელათ. 4, 651. S 384, ფ. 496—521, S 1276, ფ. 540—574. [2.]

აღრიანე და ნატალია, მოწამ., — ავეისტ. 26. წამება: იქმნა მეორესა წელსა შინა ბოროტმსახურისა მძლავრისა მაქსიმიანესსა შესლვად მისი ნიკომიდიელთა ქალაქსა... და ყოველფერთა საკრველთმოქმედებათა მიერ მდიდრად შუებულნი მადლითა და კაცთმოყუარებითა ყოვლადმღიერისა და მოწყალისა ღმრთისაათა, რომელსა შუენის... BHG 27. გელათ. 1, ფ. 532—550. [3.]

ავტონომოს მოწ. — სექტემბრ. 12. I წამება: სწორედ უშუფერებად შემირაცხიეს... BHG 198. ათონ. 20/29, ფ. 164—166, თარგმანი თეოფილესი. [4.]

II წამება: სწორებით უწესოებას მგონის მე მეტყუელებად უჯგოროთა... გამოსახვად ხატისა მისისაა ლოკვითა თვზ მისივე წმიდისაათა და მადლითა და კაცთმოყუარებითა... BHG 198; გელათ. 4, ფ. 140—154. [5.]

ავკსენტი, იხ. ევსტრატი.

ათანახი აღექსანდრიელი, — იანვ. 18. 1. ცხოვრება: სხუანი უკუე სხუებრ ნეტართა კაცთა თბრობისა სახედ და საბაძველად სათნოებისა წარმოიტყოდენ... BHG 183. გელათ. 13, ფ. 211—218. A 79, 366—419. [6.]

2. სიტყუად გრიგოლ ნაზიანზელისა: ათანასის მაქებელმან სათნოება ვაქო, რამეთუ იგფე არს მისთვს თქუნა... BHG 186. A 109, 239—275, A 292, 106—119, იერუს. 8, 138—159, გელათ. 9, 147—171. თარგმანი ეფრემ მცირისა. [7.]

ათანახია, — აპრილ. 14. ცხოვრება: წმიდათა საკსენებელსა ზიარება მცნებად არს სამოცქულოა... საუკუნეთა კეთილთა შენტანავე ვიღირსნეთ მადლითა და კაცთმოყუარებითა... BHG 180, გელათ. 7, ფ. 224—239. [8.]

ათინოგენ მღვდელმოწამე, — ივლისის 17. წამება: მრავალ უკუე მძლავრებად და დიდ დიოკლტიანე ყოვლადუსახურისა ქრისტეანეთა საძნოა და მოუთმენელი... და წარვიდა რომლისა მიმართ სუროდა ღმრთისა, რომელსა შუენის ყოველი დიდება... გელათ. 3, ფ. 590—597. [9.]


ათალა, იხ. აკეპსიმა.

აკაკი მელიტინის ეპისკოპოსი, — აპრ. 16. შესხმა: რაჟამს დედანი თვთ მათ შობადთა გამომაველობასა ზედა ყოვლისავე შემასრულებელისა ბუნებისა მიერ მიიყვანენ... პატივისსაცემლად შენდა ყოველთა პატივთა უზესთესისა და სადიდებლად ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა, რომლისა დიდება... გელათ. 7, ფ. 252—276. [10.]

აკეპსიმა, იოსებ, ათალა, მოწამ. — ნოემბ. 3. 1. წამება: განცოფებულ რაჟ იყო ქრისტეანეთათვს საბურ განლაღებული იგი მეფე სპარსთა... და ვიდრე სიკუდილადმდე სიმკნით მოთმინებითა სატანჯველთაათა შეწენითა და მადლითა ქრისტეს... BHG 20. S 384, ფ. 553—572. იერუს. 37, ფ. 149—160. სინ. 91, ფ. 237—252. [11.]

2. წელსა მეოცდაათშვდმეტესს დევნულებისა ქრისტეანეთასა... BHG 16—19. ათონ. 21/54, ფ. 218—237. თარგმანი ექვთიმე ათონელისა. [12.]

აკენდინოს, პილახი, ანემპოლისტოს, აფთონი, ელპიდიფორე, მოწამ. — ნოემბრ. 2. წამება: დაღაცათუ პირველთა მათ სპარსთა ქრისტესა, ქალწული-



საგან შობილსა, თაყუანისცეს... ადგილსა, რომელსა ირინისსო ეწოდების, და ფრიადსა მადლსა მიანიჭებენ მიმაჯალთა მათდა... BHG 23. S 384, ფ. 528-530, იერუს. 37, ფ. 139—149. ათონ. 37, ფ. 7—17. სინ. 91, ფ. 225—237. თარგმანი თეოფილესი. [18.]

აკულინა, მოწამ., — ივნისის 13. ლუაწლი, — ანდრია კრიტელისა: დედათა შორის პატიოსანი შუენიერებაჲ, რომლისა ესენებასა დღესასწაულობად ევლირსენით დღეს... რომლისაჲ გუეყაენ ღირსყოფაჲ ჩუენ ყოველთა მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა თანადაჟსაბამოსა მამასა... გელათ. 3, ფ. 134—140. [14.]

ალექსანდრე, იხ. ანტონინა.

ალექსანდრე კონსტანტინობოლელი, იხ. მიტროფანე.

ალექსანდრე ხუცესი, სიდსა შინა წამებული, მარტის 15. წამებაჲ: აგრილიანესსა ჰრომთა მეფობისა სიმტიკიცის გარემორტყმულობასა და კერპმსახურებისა მოსწრაფედ შემსჭუალულობასა... საკსენებელად უკუე სამარადისოდ კეთილადმძღლისა ამის მოლუაწისა კეთილმსახურებისად, ხოლო სადიდებელად და საგალობელად ყოვლადძლიერისა და კეთილმოყუარისა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა... გელათ. 2, ფ. 205—215. [15.]

ალექსი, კაცი ღმრთისა, — მარტის 17. I. ცხორებაჲ: დიდ უკუე ყოველთა კაცთა შორის სახელი ალექსისი, რომელმან თავადმან ღმერთმან მისთანა მყოფისა სათნოების მწუერგალობისათჳს კაცად ღმრთისად სახელდჳ... აღიდებდეს ღმერთსა, საკუთრისა მიწისა თჳსისა მიერ ესევითართა საკვრეველებათა მოქმედსა, რამეთუ მას შუენის... გელათ. 2, ფ. 219—230. [16.]

II. იყო კაცი ვინმე კეთილად მორწმუნე... BHG 51. ათონ. 7/61, ფ. 109—114, იერუს. 140, ფ. 185—195. [17.]


ალევიზი მესხვეტე, ნოემბ. 26. ცხორებაჲ: კეთილ უკუე არიან და მოწამეთაჲცა ლუაწლი... და მასვე დღესა და ჟამსა განთავისუფლდა ბოროტისა მისგან სულისა და სჯლითა მადლიერითა ჰმადლობდა ზადიდებელთა თჳსთა მადიდებელსა უფალსა... BHG 64. A 90, ფ. 1—20. იერუს. 37, ფ. 238—249. სინ. 91, ფ. 259—272, S 384, გვ. 873—888 (აქ ხსენება დადებულია 27 ნოემბ.). [18.]

ალფეოს, ფილადელფიოს და კარინოს, მოწამენი, — მაისის 10. წამებაჲ: უფლისა და ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა... BHG 57, ათონ. 7/61, ფ. 160—228. A 129, 280—315. თარგმანი ექვთიმე ათონელისა. [19.]

ამბაკუმ წინააღმართმეტყუელი, დეკემბ. 2. სიტყუაჲ, რომელი იხილა ამბაკუმ წინააღმართმეტყუელმან... მაღალთა ზედა აღმიყვანა მე ძღვეად გალობითა მისითა (თავი I, 1—III, 19). გელათ. № 5, ფ. 1—3. [20.]

ამბროსი მედიოლანელი, — დეკემბრ. 7. I. ცხორებაჲ: უაღენტინოს შემდგომად იობიანოს მიცვალებისა მიითუალა სკიპტრაჲ მეფობისაჲ... და მისთა მისაგებელთა და გვრგვნთა მიმთხუევად მადლითა და კაცთმოყუარებითა... BHG 69. გელათ. 5, ფ. 107—118. ათონ. 2/63, 62—68. A 217, 31—63. თარგმანი თეოფილესი. [21.]

II: შემდგომად აღსრულებისა ივბიმიანოს ბერძენთა მეფისა მოიღო ფურთხი მეფობისაჲ უაღენტინიანე... და მისთავე მისაგებელთა და გვრგვნთა



მიმთხუველ ვართ მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა... **BHG 69**
A 90, ფ. 111—196. თარგმანი ეფრემ მცირისა.

ამოს წინასწარმეტყველი, — იენისის 15. მიზეზი — თეოდორიტე ტვრელისა: დამბადებელი მხოლოდ გულთა ჩუენთა და თანშემავალი ყოველთა მართ სექმეთა ჩუენთა, ვითარ იტყვს საღმრთოა წერილი, მეცნიერი იშლის გულსა... არადა სატკივარისა მოღება, ხოლო მიმთხუვედა აღთქმულთა კეთილთა მადლითა მაცხოვრისა ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა... **BHG 71.**
 გელათ. 3, ფ. 157—175. **[23.]**

ამფილოქე იკონიელი, ნოემბ. 23. ცხორება: და რაღა ვინ კეთილთაგანი მისცეს თხრობა... სადა იგი მრავალი სასწაულნი იქმნეს მისგან... **BHG 72; S 384, გვ. 763—771.** იერუს. 37, ფ. 231—238, სინ. 91, ფ. 252—59, S. 382, ფ. 2—11. **A 511.** **[24.]**

ამფილოქოს დუკი, იხ. ფილიტოს.
ანა, დედა მარიამ ქალწულისა, — დეკემბრ. 9, ივლის. 25. I. საკითხავი ეპიტაფე კვბრელისა: რად არს საიდუმლოდ ესე ახალი და დიდებული, ღმრთისა ქუენად გარდამოსლვად... პირველისა მისგან ცოომისა და აღმოყვანა ზეცისა დიდებასა, რომლისა თანა მამასა შუენის დიდება... გელათ. 5, ფ. 123—130, **A 167, ფ. 15—18, S 1276, ფ. 111—127;** თარგმანი თეოფილესი (**S 1276-ში** ექვთიმეს მიეწეება). **[25.]**


II. ნათესავთმეუველება და დაძინება მისა: ვინაჲთგან ყოველთა ღმრთისა სათნოთა და საყუარელთა და მისგან პატივცემულთა ცხორებისა აღწერად და კსენებასა მიცემა თანად სათანადოცა არს... ღიოს მყვენინ ჩვენ ყოველი საუკუნესა სიხარულსა და სასუფეველსა მისსა, რაჲეთუ მას შუენის... გელათ. 3, ფ. 688—689. **[26.]**

ანანია მოციქული, — ოქტომბერსა 1. მოსაკუნებელი: რომელსა იგი ეპურა სიმორგილე კერპთა სცაურისა... და დამასკოსა შინა მამულსა მას სამკვდრებელსა მისა დადვის სადიდებელთა მამისა... **Conf. BHG 76.** გელათ. 4, ფ. 352—354, **S 384, გვ. 253—262, A 382, ფ. 217—218.** იერუს. 37, ფ. 37—39. **[27.]**

ანასტასი სპარსი, მოწამ., — იანვრ. 22. წამება: დიდ რაჲ ქალაქი იერუსალემი სპარსთა მეფისაგან წაოიტყუნევა... **BHG 8 . A 79, 638—677.** **[28.]**

ანასტასი, იხ. მაქინე.
ანასტასია, მოწამ., — დეკემბრ. 21. I. წამება: ანასტასია, სიკეთე იგი დედათა, აღმოსცნა დიდებულსა პრომსა შინა... სიმრთე ედ სულისა, საკურნებელად კორცთა, სადიდებელად მამისა და ძისა... **BHG 82.** გელათ. 5, ფ. 355—373. ათონ. 2, 63, ფ. 177—180. **[29.]**

II. შესხმა, იოანე დამასკოსა: სიტყუად უკოე ესე რაბამ რადმე მცირე და უძლურ, ხოლო მიზეზი სიტყვსა ვითარ დიდ და ზემთა ქმნულ ჩუენისა ამის ქრემთრევისა სურვილისა... სწმზისაგან ნათლისა და ერთობითისა ძალისა და მოქმედებისა მამისა და ძისა... გელათ. 5, ფ. 373—382. თარგმანი ეფრემ მცირისა. **[30.]**



ანასტასია ჰრომაელი, მოწამ. — ოქტომბრ. 28. წამება: მრჩობლნი ანასტასიანი უწყის ჩუენდა უწყებად სიტყუამან... ბრწყინვალედ და მოყუარებით დასხნეს სადიდებელად ღმრთისა მამისა... BHG 77. გელათ. 4, ფ. 621—629, S 1276, ფ. 523—540. [31.]

ანდრეა კრისელი, მოწამ. — ოქტომბრ. 19. წამება: მრავალ არს სიბოროტე ემბაკისაჲ კრისტეს მოწამეთა მიმართ... და მდიდრად აღმოვიგებენ ნიჭთა კურნებისათა მადლითა და კაცთმოყუარებითა... BHG 112. გელათ. 4, ფ. 466—475, S 384, გვ. 419—433, S 1276, ფ. 260—277. [32.]

ანდრეა კრიტიელი, — ივლისის 4. ცხორება: უკუეთუ სამართალ სხვსა ვისმე წმიდათა და ნეტართა კაცთაგანისა ყოვლადბრძნისაჲ კრიტისა მწყემსთმთავრისა ანდრეას საკუთარ სიტყუათა მიერი ქებაჲ... ვინაჲთგან აღიდა თვისი მსახური ღმერთმან, რომელსა შეუენს... Conf. BHG 113, გელათ. 3, ფ. 366—374. [33.]

გარახი კონსტანტინოპოლელი, — თებერვ. 25. ცხორება: დიდისა და ნანდვლვე საჩინოსა ტარახის ქრისტეს სიმშვიდისა სიჩოთაგან კეთილად მშურ-თელსა მშობელნი მოეგნეს ნათესავნი ვიდრემე აზნაურნი და დიდებითა ბრწყინ-ვალენი... და ღმრთისაჲცა მეფობისა ზიარებაჲ, რამეთუ მას შუენის... გელათ. 1, ფ. 179—185. Латышев В. МАВ I, 132—140. [443.]



ტარახოს, პროვოს, ანდრონიკე, მოწამ. — ოქტომბ. 12. წამებაჲ უკუე დეოკლიტიანოსს მეფობაჲ ბერძენთა თვთმპყრობელობისაჲ... და სწორედდეს ყოვლადწმიდასა მას სახელსა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისასა... BHG 1575. გელათ. 4, ფ. 420—427, S 384, გვ. 349—360, იერუს. 37, ფ. 64—70. [444.]

ტერენტიოს, აფრიკანოს, მაქსიმე, პომპიოს, მოწამენი, მარტის 21. წამებაჲ: აჭუნდა უკუე სიმტიციე პროპთა მეფობისაჲ ბოროტმსახურსა დეკიოსს... და ამითაცა საფლავი აღმოუცენებდა მიმდემად უშუოველთა წყაროთა კურნებათასა სარწმუნოებით მისრბოლთა მუნ საღიღებელად მამისა და ძისა... Conf. BHG 1700. გელათ. 2, 253—260. [445.]

ტვიზონ ამათუნტელი, — იენისის 16. ცხორებაჲ: მრავლისა და დიდისა სულიერისა სარგებელისა შექმნასა მსმენელთასა ჩუეულობს მოქალაქობისა ხათნოებით ცხორებულთაჲსა მოთხრობაჲ... და მუნ საუკუნეთა მიმთხუევაჲ კეთილთაჲ მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა... გელათ. 3, ფ. 175—181. [446.]

ტიმოთე მოციქული, — იანვრ. 22. მოსაკსენებელი: ტიმოთე დიდი აღმოაცენა ვიდრემე ლუკიანამან, ხოლო აღზარდა და განსწავლა ძუელსადეე საჩინომან ქალაქთა შორის ლესტრამან... BHG 1848. სინ. 91, ფ. 203—208. A 79, 627—638. [447.]


ტიმოთე, ბრუხასა ეპისკოპოსი, — იენისის 10. მოსაკსენებელი. უკუეთუ მართალთა კსენებასა შესხმით გვსწავივს ქმნაჲ, რათა იგინიცა შესატყვისსა ჩუენ მიერ იღირსნენ პატივსა... წმიდისა უკუე მიმდემად საკსენებელად, ხოლო დიდებად ყოვლისშემძლებელისა ქრისტესა, რომელსა შუენის ყოველი პატივი... გელათ. 3, ფ. 98—102. [448.]

ტიტე მოციქული, — აგვისტ. 25. მოსაკსენებელი: მოციქულთა შორის სახელგანთქმული და ეპისკოპოსთა შორის საჩინოჲ ტიტე, პაულეს ყოვლად საკუთარი მოწაფე... მოპფენს თვსთა მადლთა სარწმუნოებით სახელისა მისისა მხედველთა ზედა, ქრისტე იესუჲს მიერ, უფლისა ჩუენისა, რომლისა დიდებაჲ... გელათ. 1, ფ. 528—531. [449.]

ტროფიმე, ზავატი, დორიშენდო, მოწამ. — სექტემბ. 19. I. წამებაჲ: პროვოს მეფე უშჯულოჲ... BHG 1854. ათონ. 20/29, ფ. 132—138. თარგმანი თეოფილესი. [450.]

II: ეამთა მათ, რომელთა შინა ეპყრა მეფობაჲ ბერძენთაჲ პროვოს უსჯულოსა... და დაფარულსა ადგილსა დასხნეს საღიღებელად მამისა... BHG 1854. გელათ. 4, ფ. 216—225, S 384. გვ. 146—159. [451.]

ტროფიმე და ევკარპიონოს, მოწამ. — მარტის 24. წამებაჲ: კეთილად მძლეთა ქრისტეს მოწამეთა, ვიტყვ ტროფიმე და ევკარპიონოს მოღუაწებისა აწლა სიტყვთ წარვლასა მგულებელმან პირველად ამისი შესხმისა სიტყუად... ცეცხლთა ვამოცდილნი, ვითარ ოქროჲ საკუმელსა შინა, და ევრეთ ღმრთისა მირთუმულნი წმიდად და სულნელად საკუმეველად, რამეთუ მას შუენის ყოველი დიდებაჲ... გელათ. 2, ფ. 271—274. [452.]



ჟარნაკობ, იხ. ორენტის.

ჟებრონია, მოწამ., — იენისის 25. წამება: დიოკლიტიანე ყოველად უღმრთოებასა და უსჯულოებასა რომთა სამეფოებასა მმართველობასა ეპარხოზობისა პატივითა ანთიმოს მორტყმულობდა, რომლისაცა ძე იყო ლუსიმასოს... და ესრეთ მადიდებელთა თვსთა მადიდებელთაებასა, რამეთუ მას ჴუენის ყოველი პატივი... გელათ. 3, ფ. 256—282. Conf. BHG 659. [453.]

ფილადელფიოს, იხ. ალფიოს.

ფილიმონ, იხ. არქიპო.

ფილიმონ, იხ. თვირსო.

ფილიპე მოციქული, — ნოემბრ. 14. მოსაკსენებელი: ღმრთისაგან ღმერთი სიტყუაჲ მარადის მამისა თანა იყო... და ეგრეთღა კუალად იქცეს გზასა თვსსა და მარადის ქადაგებდეს სახარებასა ქრისტესსა... BHG 1527. S 384, გვ. 643—649, იერუს. 18, ფ. 180—185; იერუს. 37, ფ. 193—196; სინ. 91, ფ. 91—95. A 128. [454.]

ფილიპე, იხ. ალაპი.

ფილისკობ, იხ. ისავრე.

ფილიტოს, მეუღლე მისი ღვთისა და ჴგილინი: მაკედონობ, თეოდორეობ, და მათანა კრონიდოს კომენტარისიოხი და ამფილოქოს დუკი, — მოწამენი, — მარტის 28. წამება: ადრიანო მეფესა აწლა ილვრიკისა სოფლებად განსრულსა მიეთხრნეს სანატრელისა ფილიტოზს ძლითინი... და ჴემურნეს ჴუენიერად და პატიოსნად და მისცნეს საფლავსა სადიდებელად ყოვლადღმთისისა და კაცთ-მოყვარისა ღმრთისა, რამეთუ მას ჴუენის... გელათ. 2, ფ. 366—374. [455.]

ფილოდენე ანტიოქელი, — დეკემბ. 20. შესწამა იოანე ოქროპირისა: მე უკუე განძნადებულ ვიყავ მწვალებელთა ღუაწლისა მიმართ წყობად, რათამცა ნეშტი იგი თანამდები აღმესრულა თქუენდა... BHG 1532. სინ. 91, 132—140. [456.]

ფირმინობ, იხ. ორენტის.

ფირმონ, იხ. ორენტის.

ფლოროს და ლავროს, მოწამ., — აგვისტ. 18. წამება: მეფობასა ანდრიანესსა და ვპატოსობასა ვიკენტისსა კერბთამახურებაჲ უკუე დიდად ორძნდებოდა... ესრეთ ადიდებს მადიდებელთა თვსთა ღმერთი, რომლისა არს დიდებდა... გელათ. 1, ფ. 465—489. [457.]

ფოკა მოწამე, — სექტემბ. 22, ივლისის 23. I. შესწამა ასტერიოს ამასიელიხა: სამღვდლომან მან უკუე და საღმრთომან კრებულმან... BHG 1539. ათონ. 20/29, ფ. 121—126. თარგმანი თეოდოლიესი. [458.]

II. შესწამა იმავე ასტერიოსისა: დიდებულ არს უკუე და ღმრთივგანწყებულ ყოველი კრებული მოწამეთა... გელათ. 4, ფ. 248—253. S 384, გვ. 192—199.

მ. კახაძე, ასტერი ამასიელის „შესწამა ფოკასი“: ენიმკი-ს მოამბე, ტ. XIV, 234—239. [459.]

III. შესწამა იმავე ასტერიოსისა: კთილ და ჴმჯობეს მოსწრაფებთათვს მოღუაწეთა... გელათ. 3, ფ. 649—655, Migne, t. 40, col. 300—313. BHG 1538.

მ. კახაძე, იქვე, გვ. 226—233.

[460.]

ფოტე, ანიკიტოს, მოწამ. — აგვისტ. 12. წამება: აწლა ღმრთისმსახურე მამა ყოველსა შინა სოფელსა და ქალაქთა განვრცნა რაჲ ქრისტეს მადლითა და სახარებისა ქადაგებდა... რომელნი მიერთებან აქამომდე კურნებათა ყოველფერთა აღსრულებასა არა მოაკლებენ სადიდებელად ქრისტეს ჭეშმარიტისა ღმრთისა თანადაუსაბამოვთ მისით მამით... გელათ. 1, ფ. 359—372. [461.]

ფოტინა სამარიტელი, მოწამ. — მარტის 30. წამება: არაუდარეს მამათასა დედანიცა საპოვინელ არიან მიეწიერად ქრისტეს ჭეყენად მოსრულისა... მოციქულთა სწორმან მოწაფემან ქრისტესმან და მოწამემან ღმრთისამან ურცხუნელმან, მისა დიდებდა აწ და მარადის... გელათ. 2, ფ. 383—386. [462.]

ქიონია, იბ. აღაბი.

ქრისტინა ქალწულმოწამე. — ივლისის 24. წამება: ქალაქი არს სკრიისაჲ ტკროსი, ქალაქი დიდი და სახელოანი და ღონიერი მრავალთა და დიდებულთა მკვდრთაგან... და ვითარ სახელცა სნეულთა ადვილად განმკურნებელად, დიდებულად ქრისტეს ჭეშმარიტისა ღმრთისა თანადაუსაბამოვთ მამი მისით... გელათ. 3, ფ. 655—687. [463.]

ქსენია, — იანვ. 24. ცხოვრება: ახალი ესე და უცხოჲ ჭეშმარიტად საკვრეულსა ქსენის ცხოვრებაჲ მცირე უკუე არს ვითარ ვინ ჰგონოს და შემოკლებულ... BHG 634. სინ. 91, ფ. 186—195; იერუს. 18, 235—245. A 79, ფ. 748—769. A 188, 197—205. [464.]

ქსენოფონე და ძენი მისნი: იოანე და არკადი, — იანვრ. 26. ცხოვრება: ქსენოფონე საკვრეელი აღმოსცენდა... BHG 1878, A 79, 827—857. [465.]

ქხვტონ პაპი, ლავრენტე და იოლიტე, მოწამ. — აგვისტ. 10. წამება: ჯალერიანე და შვილი მისი ღალინიო ჰმართებდეს რაჲ მოაგრობასა რომეონთასა... დასვენეს და დაჰმარხეს პრეტორიანონ წოდებულსა აგარაკსა თანა სადიდებელად ქრისტეს, ჭეშმარიტისა ღმრთისა ძისა, მამისა და წმიდისა სულისა თანაარსად ცნობილისა და ქადაგებულისა... გელათ. 1, ფ. 341—353. [466.]

ლალაკტიონ, ეპისტიმი, მოწამ. — ნოემბ. 5. I. წამება: მთისა მის ღიბანისა... BHG 666. ათონ. 37, ფ. 17—21. თარგმანი თეოფილესი. [467.]

II: ღიბანიო კერძო მითთ ფინიკიისათ მრავალნი უკუე არიან ქალაქნი... BHG 666. S 384, გვ. 572—582, იერუს. 37, ფ. 161—167. [468.]

ს. ყაუხჩი შვილი, ბიზანტიური რომანი მეექვსე საუკუნისა «ლალაქტიონი და ეპისტიმია»: ენიმკი-ს მოაბბე. XIV, გვ. 350—374.

ლოლინდუხ, მოწამე. — ივლისის 13. წამება: არცა სპარსეთი დაშთა ქრისტეს მადლთა და მოძღვრებათა უსწავლელად.. ხოლო შეუდევით ჩვენ პირველადწერლთა არარას შემ ვალებელნი სადიდებელად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა... გელათ. 3, ფ. 537—550. [469.]

ყრმანი შვიდნი ეფესელნი, — აგვისტ. 4. მოსაკსენებელი: იქმნა რომეონთა მთავრობისა შეფობასა დეკიოქსსა პირველად შ ამოსლეჲ მისი კართაგენისა ქალაქით ეფესოს შინა ფრიადითა გულსწყრომითა... ზუებითა და მხი-



რულებით და აღიღებდეს ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა, მადიდებულსა წმიდასა მისთასა, რამეთუ მას შუენის დიდებაჲ... BHG 1594. გელათ. 1, ფ. 289—297.

[470.]

ჩჩუენი, ბეთლემს მოწყუედილინი, — დეკემბ. 29. სიტყუა ბასილი ისაგრიელისა: კულად მევე ბერი სიტყუათა სტადიონად შევიყვანები... და შეიძრნენ კელითქმულნი ეგვბტისანი პირისაგან მისისა, მისსა შუენის... BHG 824. გელათ. 5, ფ. 534—538. S 1276, ფ. 143—148. A 182, 373—385, იერუს. 23, 107—115.

[471.]

ხარბინა მოწამე, — ოქტომბ. 5. წამებაჲ: მპრობელ იყო ოდესმე საცთური უღმრთეებისაჲ... რომელსა შინა მიწვეულ იყო მეხუთე დღე თთვსა ოქტომბრისაჲ ქრისტეს იესუჲს უფლისა ჩუენისა... BHG 300. გელათ. 4, ფ. 389—392. S 384, გვ. 309—314.

[472.]

ხარბინი, — სექტემბ. 28. I. წამებაჲ: ფრიად არს და მრავალ კეთილმოდღურებისაჲ... BHG 301, ათონ. 20/29, ფ. 105—113, თარგმანი თეოფილესი.

[473.]

II: მრავალ არიან მოძღურებისა სახენი კეთილად და ვითარ ღმერთსა უყუარს ცხორებულთანი... კორციელისა ვიტყვ და სულიერისა და ჩუენდადმე მოაწინეს სადიდებელად მამისა... BHG 301, გელათ. 4, ფ. 301—311; იერუს. 37, ფ. 30—37.

[474.]

ხრჯხანთო და დარია, მოწამენი, — მარტის 19. წამებაჲ: ხრჯხანთო დიდებულისა ქრისტეს მოწამისა მამულ ვიდრეჲ სახელგანთქმული აღექსანდრიოჲ... და თუ ვითარსა მადლსა და დიდებასა მიემთხვენეს მის მიერ, რამეთუ მას შუენის ყოველი დიდებაჲ... Conf. BHG 313. გელათ. 2, ფ. 234—252.

[475.]

ჯუარი ქრისტესი, — სექტემბ. 14. I. ამაღლები სათვს: თქმული ანდრია კრიტელისა: ჯუარისა კრებასა აღვასრულებთ და ყოველივე ეკლესიისაჲ განბრწყინდების საესებაჲ... და მოქმედ საკვრეულებათა შენ ხარ ღმერთი მხოლოჲ, მისსა დიდებაჲ... თარგმანი ექვთიმესი. BHG 443. გელათ. 4, ფ. 177—183; ათონ. 20/29, ფ. 184—187 (აქ ეს ბასილ დიდს მიეწერება).

[476.]

II. მისივე: აღვძრნეთ დღეს, საყუარელნო, ბავენი სახედ ბობონისა... რომელსა იგი ერთობით თაყუანსა ვსცემთ... BHG 422. გელათ. 4, ფ. 183—188, S 1276, ფ. 47—55; S 384, გვ. 122—128.

[477.]

III. თქმული იოანე ოქროპირისა: ყოველივე უღარესთაგან უმჯობესთა მიმართ შეცვალებაჲ... და მკვდრ სასუფეველისა მისისა ღირს ვიქმნეთ მისვე ქრისტეს მიერ უფლისა ჩუენისა... გელათ. 4, ფ. 188—193, S 1276, ფ. 55—63; S 384, გვ. 128—132.

[478.]

მთარგმნელთა საძიებელი

არსენი იუდათოელი 51, 93, 331.

ვიორგი ათონელი 67, 73, 149, 150, 151, 153, 181, 182, 304, 322.

დავით ტბელი 121, 361.

ეფრემ მცირე 7, 22, 30, 63, 64, 72, 75, 83, 98, 178, 179, 187, 188, 189, 193,
194, 198, 199, 200, 202, 205, 206, 207, 213, 231, 248, 250, 276,
293, 294, 298, 325, 344, 346, 395, 398, 414, 420, 437, 441.

ექვთიმე ათონელი 12, 19, 41, 68, 69, 76, 109, 212, 257, 258, 283, 329,
413, 476.

ყოფილე 4, 13, 21, 25, 37, 52, 70, 96, 106, 113, 116, 120, 136, 143, 145,
167, 216, 218, 232, 245, 251, 260, 261, 264, 278, 284, 286, 306,
320, 326, 327, 328, 330, 334, 345, 351, 375, 385, 394, 422, 425,
430, 432, 450, 458, 467, 473.

სტეფანე ხანანოძისძე 168, 302, 303, 440.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ძველი ქართული ლიტერატურის
ისტორიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1946. VI. 21).

ლემონ მელიქსეთ-ბაში

ანტონ I-ის „მზამეტყველების“ ლათინურ-სომხური წყაროები¹

ანტონ I კათალიკოსის, ბატონიშვილის-ბაგრატიონის, „მზამეტყველება“, რომლის დაწერას ავტორი შესდგომია 1750 წ. 1 ოქტომბერს და დაუსრულებია იგი 1752 წ. 11 მარტს², დოგმატიკურ-პოლემიკური ხასიათის კაპიტალური თხზულებაა, რომელიც, ტიმოთე გაბაშვილის „მარწუხთან“ ერთად, ქართული თეოლოგიური აზროვნების გამომხატველია XVIII საუკუნეში.

„ეს თხზულება, — პროფ. კორნ. კეკელიძის სამართლიანი აზრით³, — არაჩვეულებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს არამცთუ ქართულს მწერლობაში, არამედ მთელი აღმოსავლეთის ეკლესიის საღვთისმეტყველო აზროვნების განვითარების ისტორიაში“. იგი „მიმართულია მონოფიზიტთა, კერძოდ სომეხთა, წინააღმდეგ და მიზნად აქვს დასახული განქიქება-განმტკიცება მართლმადიდებლობითი დოქტრინისა“.

ამ წიგნის შედგენისას ავტორისათვის დახმარება გაუწევია, როგორც მისი წინასიტყვაობიდან ჩანს, განსაკუთრებით ორ ადამიანს: „შეძწეოდა მე, — ამბობს ანტონი, — ფილიპე ზუკესი სომეხთა გვარისაგანი, თარგმანებთა სომეხთა წერილთათა; ხოლო ლათინთა წერილთა თარგმანებასა ზედა — იოანე ვინმე ზუკეს-მონაზონი ლათინთაგანი, რამეთუ მე ქართულისა ენისა კიდე სხუაჲ არა რაჲ უწყოდი ენაჲ, გარნა მხოლოდ წიგნი ოდენ სომეხთა უწყოდი და იგიცა ფრიად მცირედ და მოკლედ“⁴.


ამრიგად, ამ სიტყვებით თვით ანტონივე ამყვანებს, რომ მისი „მზამეტყველება“ დაწერილია ორი კატეგორიის უცხო წყაროების საფუძველზე და გათვალისწინებით: ერთი — სოხურის, მეორე კი ლათინური, გარდა, რასაკვირველია, ქართულისა და, კერძოდ, არსენ იყალთოელის „დოღმატიკონისა“, რომლითაც იგი ძირითადად ხელმძღვანელობდა.

¹ წაკითხულია მოხსენებად სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიაზე 1945 წ. 12 მაისს.

² მზამეტყველება ქმნილი ანტონი I საქართველოს კათალიკოსისაგან, გამოცემული მღ. პ. კარბელაძის რედაქტორობით, თბ. 1892, გვ. 604.

³ კორნ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია. ძველი მწერლობა. ტომი პირველი, მეორე გამოცემა, თბ. 1941, გვ. 34ა—34ბ.

⁴ მზამეტყველება, გვ. 4—5.



ანტონის „მზამეტყველება“ ჩვენ ამჟამად გვანტერესებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი სომეხთა ეკლესიისა და მისი ქრისტოლოგიისა და ლათინურ ალის წინააღმდეგ არის მიმართული, რა მიზნითაც ავტორი ივარაუდებს სათანადო ლიტერატურას არა მხოლოდ სომხურ ენაზე, არამედ აგრეთვე სომეხ-პაპისტების წრიდან გამოსულ ლათინურ-სომხურსაც. ამიტომაცაა, რომ ამ წერილში ჩვენ ვარკვევთ „მზამეტყველების“ არა ლათინურს და სომხურ წყაროებს, არამედ ლათინურ-სომხურსა და წმიდა სომხურ წყაროებს, რაიც სიმოკლისათვის „ლათინურ-სომხურად“ არის წოდებული.

ხოლო თუ ვინ იყვნენ ანტონის მიერ დასახელებული თანამშრომლები, ამაზე უნდა ითქვას შემდეგი.

„იოანე ხუცეს-მონაზონი ლათინთაგანი“ ერთ-ერთი იმ პატრთაგანია, რომლებიც იმ დროს მოღვაწეობდნენ თბილისში¹, და იგი ლიტერატურაში თითქოს უცნობი ფიგურაა. „ფილიპე ხუცესი სომეხთა გვარისაგანი“ კი იგივე ტერ-ფილიპეა, რომლის სადაურობა ანტონისეული გრამატიკის პირველს რედაქციაში (ანუ მხითარ სევასტიელის სომხური გრამატიკის გადმოქართულგებულს ვერსიაში) ასე არის განმარტებული: „მგღჳდელი ვინმე ნათესავით ერმანიანი (რომელ არს ჰაოსიანი) სახელით ფილიპე ყათმაზასშელი, გჳართაცა აზნაური დიდთა თავადთა ორბელიანთა სამთავროთაგანი“². ამასთანავე, იგი, ტერ-ფილიპე, იყო თბილისის ერთ-ერთი სომეხთა ეკლესიის, სახელდობრ „ციხის დიდი ეკლესიისა“ ანუ „კათოლიკე ტაძრის“, ე. ი. აწინდელი წმ. გიორგისა თათრის მოედანზე, დეკანოზი³ და ანტონის მიერ დაარსებულის თბილისის მართლმადიდ ბელთა სემინარიის „სქოლაპეტი“ — რექტორი (1755) და შემდეგ თელავის სემინარიის რექტორი (1758). ამ ფილიპეზე საკმარისია დავიოქწოთ ერთი დახასიათებაც, რომელიც დაცულია იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ მე-3 ტომში სკმაეალ ნარკვევში „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“: „ტერ-ფილიპესათვის. ესე იყო ზემოწვენილი ფილოსოფოსი... [რომელმაც] მრავალნი მოწაფენი განსწავლნა და შეეწია რაოდენთამე წიგნთა თარგმანებათა შინა კათოლიკოს ანტონი პირველსა“⁴.

ანტონის „მზამეტყველებაში“ სომხური წყაროები მითითებულია მრავალ ადგილას სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა მოცულობით.

¹ შდრ. იასე ცინცაძე, კაპიტან ოთარ თუმანოვის მოხსენებითი ბარათები საქართველოდან (1754—1756): „სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები“, XXVIII, 1946, გვ. 24.

² ხელნაწერი საეკლესიო მუზეუმის ფონდისა № 785, გვ. 4, v₂.

³ *Գալուստ Զերմայանյան, Նիւխը աղգային պատմութեան համար. Մաս 1890, էջ 213. Լ. Մելիქսեթ-Բեկ, Հայերը վրաց հին գրականութեան էջ. «Ֆեդարեստ», VII, 1921, էջ. 45—48. ლ. მელიქსეთ-ბეგი, ნაკვეთი XVIII ს. ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ფილიპე ყათმაზასშელი: „ლომისი“ 1922 წ. № 16. Л. Меликсет-Бекоев, К биографии священника Фялиппа Кайтмазова: Христ. Восток, т. VI, стр. 281—284. Ե. Կեյքელიძე, op. cit., 331—336.*

⁴ „მედილი საქართველო“, I, 1909, გვ. 45—46. შდრ. ხელნაწერი წ.-გ. გამ. სახ. ფონდისა № 2134, გვ. 111 v.

ასე, მაგალითად, წინასიტყვაობის პირველ ნაწილში ანტონი განაცხადებს: „ვიხილე მე წიგნი სომეხთაგანთა მოძღვართანი ოძნელისა იოანესი და ტაო-ნელისა პავლესი, და სიუხნელისა სტეფანესი, და გოშიკ ვანაკანელისა, და ვარ-ჯანისა, და სერგისა, და მაშტოცისა, და ოროტნელისა იოანესი, და ტათევე-ლისა გრიგორისა, და კესარიელის გრიგორისა, და ჭაუკელისა ლაზარესი, და ანგელისა (უნდა იყოს: აკნელისა) იაკობისი. ამათგანისა რომელთასამე სრულიად წერილისა მივემთხვიე“. ხოლო მეორე ნაწილში განაცხადებს: „არიან ამას წიგნსა მზა-მეტყუესლებასსა პირველსა და მეორესა და მესამესა წიგნსა წამებანი საღმრ-თოთა წერილთანი ესენი“, და ჩამოითვლის „წიგნი წმიდათა მამათანი წაბე-ბენ“ — 68 მუხლად, შემდეგი კი „სომეხთა მოძღვართაგანნი“ 18 მუხლად:

1. გრიგორი განმანათლებელი წმიდა, 2. ნერსე დიდი, 3. ისაკ დიდი, 4. დავით ფილოსოფოსი, 5. იოანე მანდაკუნელი (უნდა იყოს: მანდაკუნი), 6. კელის დასხმა სომეხთა ეპისკოპოსთა (ე. ი. საღმცდეღმთავრო კონდაკი — კურთხევანი), 7. ნერსე კლელი, 8. ნერსე ლამბრონელი, 9. კრება შირაკავანისა, 10. სარგის მწვალებელი, 11. ივნატი, 12. კრება ტარსონისა, 13. გრი-გორი ხისელი, 14. კრება სისისა, 15. მოსე სისელი, 16. აზარია სისელი, 17. კრება ატინისა (უნდა იყოს: ადანასი), 18. ასმაორქი სომეხთა, რომელ არს სვინაქსარი. მამასადაჲ, ცალკე წიგნებიდან აქ მითითებულია მხოლოდ ორი: „კელის დასხმა სომეხთა ეპისკოპოსთა“ = სამცდეღმთავრო კონდაკი — კურთხევანი და „ასმაორქი“, უკეთ „ჰაჰსმავურქ“-ი ანუ სვინაქსარი.

შედარებით უფრო საინტერესოა II წიგნის IV თავი, რომელსაც სათაუ-რადა აქვს: „ესე კათოლიკე ეკკლესიისა მტერი, არა ღირსნი მღუდელნი, სიმო-რთისა მოძღვარნი, სომეხთა ნათესავთაგანნი, მოქმედნი საჭეშმარიტოთა ყოფ-ლობათა წინა განწყობთანი“. ამ საკმარად ვრცელ თავში სომეხთა მოძღვარნი 2 კატეგორიად არიან დაყოფილნი.


პირველ კატეგორიაში ჩამოთვლილი და დახასიათებული არიან „რაოდენ-ნიმე“ ისეთნი, რომელნიც „იცილობებიან ... მიმდგომად კრებისა მის დვინს შეკრებულსა და არა შემწყნარებლად ხალკიდონის კრებისა“, სახელდობრ: ნერსე აშტარაკელი; აბრაამ კათოლიკოსი სომეხთა ... „სოფლისაგან საქართვე-ლოსა (sic), რომელსა ახპატ (უნდა იყოს: ალბათან) ეწოდების“; იოანე მარგო-მელი (ე. ი. მახრაგომელი); ანანია შირაკავანელი (ე. ი. შირაკუნი ანუ შირა-კელი); სერგი; იოანე ოძნელი (ე. ი. ოძუნელი), რომელმაც „ქმნა კრებაჲ საეშმაკო ... დაბასა მანასკერტს“; სტეფანე სიუხნელი; მისაილ (უნდა იყოს: მიხაილ) ასური, რომელმაც „აღსწერა წიგნი... რომელსა «კვერთხ» ეწოდების სომეხთა მიერ“; პავლე ტარონელი, რომელმაც „აღწერა წიგნი შესა-წყენელად ერთ-ბუნებიანთა მწვალებელთა წინაღმდგომად თეოდისტოს ფილო-სოფოსისა ბერძნისა; მიხითარ სევერელი; ვარდან; გოშიკ (უნდა იყოს: გოშ) ვანაკან; იოანე ოროტანელი, რომელმაც „აღწერა წიგნი, ... რომელსა შინა ცრუ-მეტყველებით ცილის წამებასა დასდებს იტალიელთა ზედა“; გრიგორი ტათე-ველი, რომელმაც „აღწერა წიგნი კითხვა-მიკებისა“; გრიგორი კესარიელი; სიმონ ჯულფელი; [ლაზარე კათოლიკოსი, „რომელიცა ცხოვრებს ჟამთა ჩვენთა, მეგო-ზარ არს ჩემდა ფრიად, რამეთუ მრავალ-გზის წიგნითა სიყვარულისათა მომი-

კითხა მე... დაღათუ მეგობარ არს ჩენი, არამედ მე არა თავს ვიღებ უფროსს შეყვარებასა მისსა... ამან ლაზარე აღსწერა წიგნი, რომელსა ეწოდა „საწადელი სამოთხე“, გარნა ყოვლად არა საწადელ არს იგი ჩემდა, არამედ ფრიალცა საძაგელ“ („იტყვის ლაზარე მერვესა თავსა დრახტცანკალისასა“, გვ. 462; „იტყვის ლაზარე თავსა 4 წიგნისა თვისისა“, გვ. 560)].

ამრიგად, პირველ ნაკვეთში მოხსენებულია 17 მოღვაწე, ხოლო წიგნებიდან: მიხეილ ასურის „კვერთხი“, რომელსაც სომხურად „გავაზანაგირქ“ = კვერთხ წიგნი, ე. ი. ქრონოგრაფიული ისტორია, ეწოდება და რომელიც XIX საუკუნის მიწურულამდე, სანამ მიხეილ ასურის თხზულების ასურული დედანი აღმოჩნდებოდა და გამოიცემოდა Chabot-ს მიერ¹, სომხური მწერლობის ძეგლად იყო მიჩნეული; იოანე ვოროტანელის სიტყვისგება კათოლიკეთა მიმართ (?); გრიგოლ ტათეველის „კითხვა-მიგების წიგნი“, რომელსაც სომხურად „გირქ პარცმანც“ ეწოდება; და ლაზარე ჯაპუკელის „საწადელი სამოთხე“, სომხურად „დრახტ ცანკალი“.

შეორე კატეგორიაში ანტონს ნაგულისხმევი ჰყავს ისეთი მოღვაწეები, რომლებიც მართლმადიდებლებად მიიჩნია. იგი ამბობს: „ვინათგან მწვალებელნი იგი მოძღვარნი უსჯულონი სომეხთანი შოვისსენიეთ, ჯერ არს რათამცა მართლმადიდებელთა მამათა სომეხთაცა ვახსენოთ სახელნი“. ესე არიან: წმიდაა გრიგორი ეპისკოპოსი და მოწამე, რომელთანაც დაკავშირებული არიან წიგნნი „სომეხთა სარწმუნოების აღსარების“ შემცველნი, აგრეთვე „მომთხრობელნი“ ხილვისა მის, „ვითარცა წინასწარმცნობელობისა მადლისა ღირს ქმნილისასა, რომელიცა გამოცხადა მას“; არისტაკე; ნერსე კათოლიკოსი ანუ ნერსე დიდი, რომელთანაც დაკავშირებული არიან წინასწარმეტყველებათა „სიტყუანა“; ისააკ (საპაკ) კათოლიკოსი, რომელმაც „აღწერა წიგნი რაჲმე სულითთა ხილვათა თვსთა, რომელსა შინა წინასწარ-მოასწავა დამხობაჲ მეფობისა და მღუდელობისა სომეხთა შორის, ვიეთჲ მაცდურთა მამათ-მთავართა მიზეზითა“; იოანე ფილოსოფოსი და მამათ-მთავარი კათოლიკოსი, რომელსაც დაუწერია წიგნი დიოფიზიტური ქრისტოლოგიის აღიარებით; მოსე ღრამბატკოსი, რომელმაც „გარდამოსცა კმასა ზედა სომეხთასა თარგმანებით საღმრთო წერილი ძველი და ახალი“; ამასთანავე „აღწერა საგოდებელნი სიტყუანი დაცემისათჳს ეკლესიისა სომეხთასა, სულელთა და მწვალებელთა მწვემსთა მიზეზითა“; დავით სიბრძნის მოყვარე, რომელსაც დაუწერია წიგნი დიოფიზიტური ქრისტოლოგიის აღიარებით; „შეკრებს მოძღვარნი ოცდაერთნი სომეხთა ნათესავისანი ბოძანებითა მავრიკ იმპერატორისათა ქალაქსა კოსტანტინეპოლის და ეზიარნეს წმიდასა კრებას ხალკიდონისსა; ეზრა კათოლიკოსი და „კრებაჲ ჳარნუქალაქსა“; ისააკ კათოლიკოსი; ერონ, ტირიდატ, აზარია, ეზეკილ და კირაკოს; ბაბეგენ კათოლიკოსი, რომელმაც მიწერა ეპისტოლე გერმანე ბერძენთა პატრიარქს; წმიდა ნიკონ, ნათესავით სომეხი, რომელმაც აღწერა წიგნი „სომეხთა ცთომი-

¹ Chronique de Michel de Syrien, patriarche jacobite d'Antioche (1166—1199). Éditée pour la première fois et traduite en français par J. - B. Chabot. Ouvrage publié avec l'encouragement et sous le patronage de l'Académie des inscriptions et Belles-Lettres, t. I—IV, Paris 1899—1924.



ლენბათა მამნიღებელი“; ზაქარია კათოლიკოსი და „მეორე მსოფლიო კრებად სომეხთა... შირაკაჲანსა“; ვაჰან კათოლიკოსი სომეხთა, რომელმაც „აღწერა წიგნი“ ერთბუნებრიანთა წინააღმდეგ; გრიგორი ნარეკელი, „რომლისა სიწმიდეთა ფრიად მეცნიერ ვარ მე“-ო და რომელმაც „აღწერა წიგნი სავედრებელი ლოცვათა, საგსე მღუღარებითა და მხურვალითა“ სიყვარულითა საღმრთოთათა და მართლ-მადიდებლობითა“; წმიდა მაკარი, ნათესავით სომეხი; წმიდა სიმეონ მოღვაწე; გრიგორი კათოლიკოსი სომეხთა, რომელმაც „წიგნთაგან ბერძენთასა და ასურთასა თქმულნი წმიდათა მოწამეთა-თჳს სთარგმნა ენასა ზედა სომეხთასა“; გრიგორი და ზაქარია მოძღვარნი, „რომელთა გამოაქჳს შეწყობით ლექსთაგან რჩეულთა საკითხავი საუფლოსა სერობისა-თჳს“; ისაჲკ, „რომელსა ეწოდა ბერძენთა მიერ კათოლიკოსი დიდისა სომეხეთისა“ და რომელმაც „აღწერა წიგნი ერთი მსახურებისა-თჳს სომეხთასა, საგსე შესმენითა და ძვირის ხსენებითა“; გრიგორი კათოლიკოსი; ნერსე კლაველი, კათოლიკოსი, რომლისა „წიგნსა შინა მრავალნი წამებანი იპოებიან, რომელნი დაამტკიცებენ სარწმუნოებასა მართლ-მადიდებელთასა“, გრიგორი კათოლიკოსი, „ყრბად წოდებული“ და „მესამე მსოფლიო კრებად სომეხთა... ქალაქსა ტარსუ კილიკიასა“; ნერსე ლამბრონელი, რომელმაც „ფრიადითა ტრფიალებითა ...აღწერა წიგნი ლექსთაგან შუჳნიერთა, რომლისა ელვარე ყოფასა მეცნიერ ვარ მე, რომელსა შინა არა რაჲ არს ცთომავა რაჲმე, რამეთუ არს მოყუას ჳეშმარიტებისა“, რამდენადაც „სწერდა იგი ჳეშმარიტებასა“-ო; გრიგორი კათოლიკოსი, რომელმაც მისწერა ეპისტოლე ინოკენტიოს III რომის პაპს; იოანე კათოლიკოსი; კოსტანტინე კათოლიკოსი მაღალ-ციხელი (სომხურად: ბარძრბერდცი); გრიგორი კათოლიკოსი სისისა, რომელმაც დაწერა წიგნი დიოფიზიტური ქრისტოლოგიის აღიარებით, და „მეოთხე კრებად ყოველთა სომეხთა... სისის შინა“; კოსტანტინე კათოლიკოსი, ნათესავით კესარიელი; „მეხუთე კრებად ყოველთა სომეხთა შეკრება ატინის (უნდა იყოს: აღანას) ქალაქსა შინა... «აკარაკია» (სომხ. პაკარაკ = წინააღმდეგ); იოანე ქრნელი; მიხითარ კათოლიკოსი.

ამრიგად, ამ მეორე ნაკვეთში მოხსენებულია $36 + 21 = 57$ მოღვაწე (ანტონით ჯამში 58, sic), ხოლო წიგნებიდან: წმ. გრიგორის მოღვაწეობის აღწერის შემცველი წიგნი ანუ ე. წ. „სომეხთა მოქცევის ისტორია“ (აგათანგელოსის ისტორია), რომელშიც წმ. გრიგორის ხილვაც შედის; ნერსე დიდის წინასწარმეტყველება; წმ. საპაკის ხილვა, რომელიც ლაზარე ფარპელის ისტორიაშიცაა შეტანილი; მოსე გრამატიკოსის (ხორენელის) მონაწილეობით თარგმნილი ძველი და ახალი აღთქმის (ბიბლიის) წიგნები, აგრეთვე მისი „გოდება“, რომელიც „სომეხეთის ისტორია“-ს აქვს დართული; გრიგორ ნარეკელის „გოდება“ ანუ ე. წ. „ნარეკი“; ნერსე კლაველის განთქმული ლოცვა „სარწმუნოებით ვაღვიარებ“, რომელიც 72 ენაზეა თარგმნილი და გამოცემული; ნერსე ლამბრონელის ლიტურჯა; და მრავალი სხვა.

ახლახან ვარჩეული „მზამეტყველების“ II წიგნის IV თავის დასკვნითს ნაწილში ანტონი წერს: „ესე მოძღვარნი სომეხთა გუარისანი, რომელთა სახელთა და საქმეთა მათთა მწერალ ვიქმნენით რიცხვისაებრ თვითოეულებათასა, არიან უკუც მწვალებელთა სახელნი ამას წიგნსა მოხსენებულნი 17, კრებანი



ლვინს მოძაგებული საეშმაკონი 2^o. ამასთანავე „მოდღარნი სომეხთანი“¹ თაცა იცნეს ჭეშმარიტებად ორთა ბუნებათა ქრისტესთა, ... არიან რაქსუსის (უნდა იყოს: 57), ხოლო კრებანი, რომელთაცა შეიწყნარეს წმიდა კრებაჲ ზალკიდონისა, არიან 5*.

ვარდა ამისა, თავისი თხზულების უკანასკნელი, ე. ი. III წიგნის სხვადასხვა თავში ანტონი კვლავ იხსენიებს მონოფიზიტური ქრისტოლოგიის მიმდევარ სომეხ მოღვაწეებს: სტეფანე სიუნელს, იოანე ოძუნელს, გრიგოლ ტათეველსა და მის „სიტყვა-მიგების წიგნს“, პავლე ტარონელსა და მის წიგნს თეოფისტეს მიმართ, ნერსე აშტარაკელს, ლაზარე ჯაპუეკელსა და მის „ღრახტ ცანკალის“ ანუ „საწადელ სამოთხეს“, იაკობ ანგელს (ე. ი. აქნელს) და მის „ეგმ ჰავატუს (ე. ი. სარწმუნოების კლდეს), ანანია შირაკეანელს (ე. ი. შირაკუნის ანუ შირაკელს) და მის „ექეს[ათ]ისიანს“, „ასმაურქს“ ანუ სვინაქსარს და სხვ.

დასასრულ, „მზამეტყველების“ ერთ-ერთ თავში, რომელსაც არსენ იყალთოელის დოგმატიკონის ზეგავლენა ეტყობა, და რომელსაც, 52 მუხლიდან შემდგარს, სათაურად აქვს „თვითთოეულად მოხსენება ვითარებისა სომეხთა ბოროტ-მადიდებლობისასა“, სასხვათაშორისოდ შეტანილია ერთი მითითება სრულიად სომეხთა ანუ ენშიაწინის საკათალიკოსოს ისეთი ინსტიტუტების შესახებ, რომლებიც ანტონს ეუცხოება და ამიტომაც გულისწყრომით იხსენიებს მათ. ცნობა ამ ინსტიტუტების შესახებ მას მწიგნობრულს გზით კი არ უნდა პქონდეს მიღებული, არამედ სიტყვიერად — ან ფილიპე ყაითმაზაშვილის მეშვეობით ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, უშუალოდ სრულიად სომეხთა კათალიკოს ლაზარესგან (ლაზარე ჯაპუეკელი), რომელსაც ანტონი პირადად იცნობდა და რომელთანაც მიწერ-მოწერაც პქონდა.

აი ეს ცნობაც, რომელიც შეტანილია III წიგნის XXIII თავის მე-12 მუხლად: „აქუს უკუც საკუთრად ეკლესიასა სომეხთასა ზელის დასხმად უეკლესიოდ ეპისკოპოსთა, რამეთუ მრავალთა დაასხმენ კელთა ეპისკოპოსად თვინიერ ეკლესიისა და წარავლინებენ მათ მირონითა რაჯათამე ზაგებულთია, რომელიცა ყოვლად წმიდად შირონად. შეურაცხიეს, მათ თანა წარმცემლნი ქალაქითი-ქალაქად, და ეპისკოპოსსა მას სახელს-სძმეს ნივირაკი¹. რამეთუ რომელთამე ეპისკოპოსთა, რომელთაცა არა სადა აქუს ეკვლეციაჲ საერო, სახელს სდებენ დეკანოზ-ეპისკოპოსად², და სხვასა კანდელაკ-ეპისკოპოსად³. ხოლო უმეტესსა მათ ყოველთასა უწოდებენ ათორაკად ეპისკოპოსად⁴. ხოლო რომელსამე დიად-გინებენ ვაჰართა, მოსრულთა ენშიაწინად, ანუ თუ შეგზაურთა, ანუ თუ შლოც-ველთა, მისრულთა მუნ — მსახურად ეპისკოპოსსა ვისმე, ხოლო საგიომელსა

¹ „ნივირაკ“ იგივე სომხური ნიჰრაკი-ია, რომელიც ლევატხ, ნუნცის უდრის.

² „დეკანოზ-ეპისკოპოსი“ იგივე სომხური დეკანოზ-ეპისკოპოსი-ია, რომელიც მონასტრის წინამძღვარს (ეპისკოპოსს) ანუ ენშიაწინის ჭამიერნიეს, ე. ი. ლოცვის დამწვეებს, უდრის.

³ „კანდელაკ-ეპისკოპოსი“ იგივე სომხური კანდელაკი-ია (= главный ризкоуший), ე. ი. უფროსი მნათე.

⁴ „ათორაკად-ეპისკოპოსი“ იგივე სომხური ათორაკი-ია, მთავარე-ეპისკოპოსი (არქი-ეპისკოპოსი).

ყოველთაგან, სახელსა დასდებენ უბადრუქსა მას, ესე იგი არს ქარვანაშ-
კომოხი“¹.

ახლა იბადება საკითხი: რა გზით შეეძლო ანტონს მიეგნო დაწვრილებითი ცნობებისათვის ჩამოთვლილ ძველ მოღვაწეთა ან წიგნთა შესახებ? ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ: არსებობდა თუ არა XVIII საუკუნის 40—50-იან წლებში საქართველოში და, კერძოდ, მის დედაქალაქ თბილისში რაიმე სამეცნიერო-სალიტერატურო კერა ან წრეები, რომელთაც შეეძლოთ ხელი შეეწყოთ ანტონისათვის საჭირო ლიტერატურის მიწოდების საქმეში?

ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხანად ითვლება XVII—XVIII სს., როდესაც ქართველთა საზოგადოებრიობაში სპეციალური ინტერესი აღიძრა სომხური მწერლობისა და მისი ცალკეული ძეგლებისადმი, რის შედეგადაც ქართული ლიტერატურა გამდიდრდა მთელი რიგი თარგმანებით უშუალოდ-სომხურიდან: თეოლოგიური მწერლობის დარგი — პირველი სამი მსოფლიო კრების აქტებით; ფილოსოფიურისა — პლატონის, არისტოტელეს, პროკლე დიადოხოსისა და პორფირის თხზულება-კომენტარებით; ჰომილეტიკურისა — გრიგოლ პართელის სახელობის აპოკრიფული ჰომილიით, რომელიც იოანე ოქროპირს მიეწერება; გრამატიკულისა — სიმეონ ჯულელისა და მხითარ სევასტიელის გრამატიკებით; შავიოგრაფიულისა — სომეხ წმიდანების ცხოვრებებით, რომლებიც ანტონის „მარტირიკაში“ იქნენ შეტანილი; დედაქტიკურისა — „მელის წიგნით“; და მრავალი სხვა.


მაგრამ ეს ურთიერთობა მხოლოდ თარგმანებით კი არ გამოიხატებოდა, არამედ აგრეთვე ორიგინალური შემოქმედებითაც, რომლის ერთ-ერთი ნიმუში ანტონის „მზამეტყველება“-ა.

ამიტომაც სრულიად ბუნებრივია და აუცილებელიც ზემოდასმულ საკითხზე ჯეროვანი პასუხის გაცემა. ჩვენ მივუთითებთ რამდენიმე ფაქტს.

პირველი. იოანე ბატონიშვილი თავის „კალმასობის“ მე-3 ტომის სათანადო თავში, რომელსაც „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“ ეწოდება, ერთ-ერთი რუბრიკის ქვეშ, სადაც „ტფილისისა შინა სომეხნი მეცნიერნი“ არიან დახასიათებულნი, 3 მოღვაწეს ასახელებს როგორც ანტონ I-ის თანამედროვეთ და თანამშრომელთ: ზაქარია ვართაპეტ მადინაშვილს, ტერ-ფილიპესა და ტერ-პეტროსს, რომელთაგან მეორე, როგორც ზემოთ დავინახეთ, ე. წ. „ციხის დიდი ეკლესიის“ დეკანოზი იყო, მაშასადამე ახპატის წრესთან იყო დაკავშირებული, რამდენადაც ხსენებული ეკლესია ახპატის მონასტრის მეტოქედ ითვლებოდა თბილისში, რომელმაც 1765 წ., სხვათა შორის, საიათნოვაც მიიზიდა, მღვდლად რომ იკურთხა.

მეორე. ახპატის სომეხთა ეპარქიაში შემავალ ს. კახის (საინგილოში) მღვდლად გამწესების პირველსავე წელს, 1765-ში, საიათნოვა ტერ-სტეფანეს, კახის ქარვასლაში დაბინავებულს, გადაუწერია ანთოლოგია-ლექციონარი, რომლისთვისაც გამოუყენებია ალბათ თბილისიდან გატანილი ძველი და ახალი

¹ „ქარვანაშ-ეპისკოპოსი“ იგივე *Харванаш-епископ*-ია, ე. ი. მასპინძელი ანუ სამონასტრო სასტუმროს გამგე ანუ ქარვასლის ზედამხედველი.



ალთქმის წიგნები, ფერემ-ვერდი (1748 ან 1752 წ. გამოცემით) და პასქალიები.¹ ზოლო იმავე საიათნოვას სომხურ ლექსებზე, რომლებიც ძირითადად XVIII ს.² 50-იან წლებშია შეთხზული თბილისში, იმჩნევა კვალი შექმნათა, მეორე შეფუთა, იგავთა სოლომონისათა, ქებათა ქების, სახარებისა და სვინაქსრის ცოდნისა³.

მესამე. 1795 წ. თბილისის მონაწილის სერობისეული „ისტორიის“ შემცველი ხელნაწერისათვის, რომელიც საქართველოს მუზეუმშია დაცული (Armenica № 162), 1796—1798 წწ. ქვეშ დართულ ქართულ მინაწერთაგან ერთში თავს იჩენს ანაპატის მონასტრის თბილისური მეტოქის წიგნსაცავის კატალოგი⁴, სადაც, სხვათა შორის, აღნუსხულია 40-ზე მეტი ხელნაწერი და ძველი ნაბეჭდი სომხური წიგნი.

აი ეს მინაწერი.

„ლთ. ქკს უძღ [=1796]. რაც მიცვალებული არაჩნურდი⁵ დავით ვართაპეტისა⁶ ავეჯეულობა ან წიგნები ან ტანისამოსი ან ჭურჭლები სპილენძეული, ყველა ამის ქვემოთ ნიშნულად დაიწერება, მჟ. ტერ-სტეფანას, მომბარდა.

„ლთ. რაც სომხური გიქები⁷ ან წვრილი წიგნები მაქვს, ამის ქვემოთ მიწერია და სალდარში შევინახეუ.

- | | |
|---------------------------------|--|
| ა. ახალი ასტეაწაშუნჩი * | ნაბეჭდი „დაბადება“, ამსტერდამს 1666, კონსტანტინეპოლს 1705. |
| ა. ძველი ასტეაწაშუნჩი | ხელნაწერი „დაბადება“. |
| ა. გირქ საჰპანაღ * | „წიგნი საზღვართა დავით უძლეველ ფილოსოფოსისა“, ამსტერდამს 1704, კონსტანტინეპოლს 1731. |
| ბ. არაქელ პატმაგირქი * | არაქელ თავრიზელის „სომხეთის ისტორია“, ამსტერდამს 1669. |
| ა. სახარება * | ნაბეჭდი „სახარება“, ვენეციას 1680, 1685, 1710, 1732, 1759, ამსტერდამს 1698. |
| ა. მაშტუცი * | „კურთხევიანი“, ამსტერდამს 1667, 1676. |
| ა. ნარივი * | გრიგოლ ნარეკელის „წიგნი გოდებისა“, კონსტანტინეპოლს 1701, 1721, 1755, 1763, 1774, 1783. |
| ა. მათეუზ მიკნიჩი * | მათეს თავის სახარების თარგმანებად, ვენეციას 1737. |

¹ ლ. მელიქსეთ-ბეგი, საიათნოვას შემოქმედების ლიტერატურულ-ნაღბური წყაროები: „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, I, თბ. 1935, გვ. 234, 235—239. მისივე, საიათნოვას სომხურ ლექსთა სრული კრებული, თბ. 1935, გვ. 17, 20—24.

² ვარსკვლავით აღვნიშნავთ იმ წიგნებს, რომლებიც 1750-იან წლებამდე გამოცემული იყვნენ.

³ „არაჩნურდი“ სომხური სიტყვაა *არაჩნურდი* — თბილისის კილოს გამოთქმით, რაიც წინამძღვარს, ეპარქიის მმართველს ნიშნავს, ამჟამად კი ბელაღს.

⁴ დავით ვართაპეტი — დავით ეპისკოპოს ჰაგილდარიანი, რომელიც ანაპატის ეპარქიის მმართველად იყო სიკვდილამდე (1796 წ.).

⁵ გიქები — წიგნები (*გიქი — ვიქი*).

- ა. არაქინუთიანც გირქი * . . . წიგნი სათნოებათა, თარგმანი ლათინურიდან მბითარ სევასტიელისა, ვენეციას 1737.
- ა. ბაღდასარის ქერაკანუთინი * ბაღდასარის „გრამატიკა“, კონსტანტინეპოლს 1738, იგივე შემოკლებული 1760.
- ა. პარტავჭარი სიმეონისა . . . სიმეონ კათალიკოს ერევნელის „პარტავჭარ“, ეზმიაწინს 1783.
- ა. ხიკარის წიგნი * . . . „წიგნი ხიკარისა“, კონსტანტინეპოლს 1708, 1731.
- ა. ალოთი ც გირქი * . . . „წიგნი ლოცვათა“, კონსტანტინეპოლს 1721, 1734, 1747, ვენეციას 1793.
- ა. იოთნ იმასტასირაც გირქი * „წიგნი შვიდთა სიბრძნისმოყვარეთა“, კონსტანტინეპოლს 1708, 1731.
- ა. ქაროზგირქი მათეუზისა * . . . „წიგნი ქადაგებისა“ მათესი, ვენეციას 1704, 1781.
- ა. პატური ქაროზგირქი * . . . გრიგოლ ტათეველის „წიგნი ქადაგებისა“: ან „საზაფხულო ტომი“, კონსტანტინეპოლს 1731, ან „ზამთრის ტომი“, იქვე 1740.
- ბ. იზნიკ კულპაცუ მესროფს . . . ეზნიკ კოლბელის სიტყვა-მიგების წიგნი, იზმირს 1762.
- ა. კათულიკუთიანცი . . . ?
- ა. არარჩუთიანცი ივასია . . . შექმნათა ევასია (?).
- ა. საღდრის არარულუთიანცი . . . ტიპიკონი, ამსტერდამს 1667.
- ა. ტომარის წიგნი * . . . კალენდარი-პასქალია 1668.
- ა. პატარა საღმოსი * . . . მომცრო „ფსალმუნი“ ანუ „დავითნი“, ვენეციას 1565, 1587, 1642, 1682, 1684, 1712, 1733, 1742, 1748, 1755, 1759, 1770, 1771, 1786, 1789, 1793, ლვოვს 1616, ლიეგორნოს 1643, ამსტერდამს 1661, 1664, 1713, 1714, მორსელს 1677, 1710, კონსტანტინეპოლს 1738, 1745, 1756, 1765, ტრიესტს 1787, ღონის ნახიგევანს 1791.
- ა. ვუტანაურის წიგნი . . . ლექსთა კრებული (?).
- ა. ბოსარანი . . . სიმეონ კათალიკოს ერევნელის „ზბოსარანი“, ეზმიაწინს 1777.
- ა. ინთანრაკანის წიგნი . . . ნერსე მომადლებულის „სასინოდო სიტყვა“, პეტერბურგს 1788.
- ბ. პარაკლისი . . . სიმეონ კათალიკოსის ერევნელის „ასტუა-წაღერს“, პეტერბურგს 1786.



- ა. ქრისტონიკან არ მთიარეობის ?
- ა. ტალარანი * ლექსთა კრებული, კონსტანტინეპოლის 1702, 1725, 1740, ვენეციას 1782.
- ა. ტონაცუცი * კალენდარი — პასქალია, კონსტანტინეპოლის 1702, 1725, 1740, ვენეციას 1782.
- ა. ძველი საღმრთო ხელნაწერი „ფსალმური“ ანუ „დავითნი“.
- ა. ძველი ჟამაგირჭი ხელნაწერი „უამნი“.
- ა. ძველი იოთნ იმასტასირაძი, კუსანათას არის ხელნაწერი წიგნი შვიდთა სიბრძნის მოყვარეთა, რომელიც დედათა მონასტერში, ე. ი. წმ. სტეფანეს საფანეში, ყოფილა გაცემული.
- ა. საღმრთო „ფსალმური“ ანუ „დავითნი“ (იხ. ზემოთ).
- ა. ისუს ვურდი * ნერსე კლავლის „იესო-შე“, ვენეციას 1643, 1660, 1686, მარსელს 1702, კონსტანტინეპოლს 1724, 1746, პეტერბურგს 1785, მადრასს 1792.
- ა. სახარება * „სახარება“ (იხ. ზემოთ).
- ა. პატარა ტალარანი მომცრო „ლექსთა კრებული“ (იხ. ზემოთ).
- ა. შარაკანი „საგალობელი“, ამსტერდამს 1664, 1685, 1702, 1718, კონსტანტინეპოლს 1727, 1736, 1742, 1768, 1784, 1790.
- ა. ძველი შარაკანი, ტერ-არაქელასთან არის ხელნაწერი „საგალობელი“, რომელიც ტერ-არაქელასთვის ყოფილა გაცემული.
- ა. ასტობაშხის წიგნი * ასტროლოგიის წიგნი (?).
- ა. ქაროზიორჭი ქადაგებათა წიგნი (?) (იხ. ზემოთ).
- ა. ვირჩის (?) მაშტუნი ხელნაწერი „ქურთხევანი“.

საგულსხმოა, რომ ჩამოთვლილი 41 სახელწოდება-სათაურთა შორის, რომელთაგან სამი ორ-ორ ცალკეა აღნუსხული, ძველ წიგნებად ანუ ხელნაწერებად მოხსენებულია 6, დანარჩენები კი ისეთებია, რომელთა უმრავლესობა ნაბეჭდი სახით XVI—XVII სს. და XVIII ს. პირველ ნახევარში მოიპოვებოდა და, რასაკვირველია, ახპატის მონასტრის თბილისის მეტოქსაც შეძენილი ან შემოწირული ექნებოდა.

მეთხუ. ანტონის მიერ მოხსენებულ სომეხ მოღვაწეთაგან ერთის, სახელდობრ გრიგოლ ტათეველის (XIV ს.), ორივე კაპიტალური თხზულება — როგორც „ქადაგებათა წიგნი“, ისე „კითხვა-მიგების წიგნი“ — XVIII საუკუნეშივე ყოფილა ქართულად ნათარგმნი, თუ მთლიანად არა, შემოკლებით მაინც. პირველი თხზულების ქართული თარგმანი აღნუსხულია დავით რექტორის (ალექსი-

მესნიშვილის) კატალოგში ვითარცა „იმერეთს თარგმნილი სომხურიდან“¹ ქართულად გრიგოლ ტათეველის ქადაგებები“², ხოლო მეორე — საქართველოს მეცნიერების Armenica კოლექციაში № 45-ით დაცული თარგმანია, შესრულებული 1740—1748 წწ. გიორგი კაკაბაანთ გორელის მიერ³.

რაკი სიტყვად მოიტანა, საჭიროა ითქვას ისიც, რომ გრიგოლ ტათეველს ანტონი იხსენიებს ძალიან ხშირად „მზამეტყველებაში“ და, გარდა ამისა, ერთხელ კიდევ „წყობილსიტყვაობაშიც“, სადაც ამ გრიგოლს უძღვნის შთელს მე-72 ტაეპს:

მანიჭეველთა ვნებაჲ გონებისა,
ტკივილი ცნობის ყრმათა უვალენტისთა.
ათქმევს გრიგორის ტათეველსა ქრისტესთსჯ,
ზეცით შიხმასა დედისაგანთა კორცთა,
ხოლო კორცთასა ღმერთაებერ ყოველგან მყოფად⁴.

მეზუთე. ანტონის მიერ გამოყენებული ერთ-ერთი წიგნი, სახელდობრ ნერსე კლაღლის (XII ს.) „იესო-ძე“ (პისუს ვორდი) ხელთ ჰქონია მის თანამედროვეს — ტიმოთე გაბაშვილს ჭუთათელს, რომელსაც ეს გამოუყენებია თავისი „მარწუნისათვის“⁵.

შინადადამე, ანტონ I-ის მოღვაწეობის დროს თბილისში არსებულა არაერთი კოლექცია სომხური ნაბეჭდი წიგნებისა და ხელნაწერებისაც, რომლებითაც მას, ანტონს, შეეძლო ესარგებლა და საიდანაც შეეძლო საჭირო ცნობები ამოკვრიფა თვისი თხზულებებისათვის, როგორც არიან „მზამეტყველება“, „წყობილსიტყვაობა“, „მარტირია“, „გრამატიკის“ პირველი რედაქცია, განსაკუთრებით კი პირველისათვის⁶.

კიდევ ერთი გარემოება.

XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც რომში ე. წ. „სარწმუნოების პროპაგანდის კონგრეგაციის“ მიერ ზედიზედ გამოიცა სომენ-პაპისტის კლე-მენტი გალანოსის (კლემენს გალანოს) სამტომიანი კაპიტალური თხზულება სომხურსა და ლათინურ ენებზე სათაურით „სომენთა ეკლესიის ურთიერთობა

¹ А. А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, т. I, вып. III, Сиб. 1894, стр. 265. ლ. მელიქსეთ-ბეგო, ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, თბ. 1941, გვ. 155. შდრ. ტრ. რუხაძე, ვინ არის 1810 წელს „ძველი ქართული მწერლობის კატალოგის“ ავტორი: ლიტერატურული საქართველო, 1940 წ. № 3.

² ლ. მელიქსეთ-ბეგო, გიორგი გორელი — უცნობი ქართველი და სომეხი მწერალი XVIII საუკუნის პირველი ნახევრისა: საქართველოს მუზეუმის მოამბე, X-B, 1940, გვ. 95, და შენ. 3 იქვე, ლ. მელიქსეთ-ბეგო, ძვ. სომხ. ლიტ. ისტ., 155.

³ წყობილ-სიტყვაობა ქონილი ანტონისაგან პირუშელისა კათოლიკოს-პატრიარქისა ყოვლისა საქართველოჲსა, თბ. 1853, გვ. 26.

⁴ ლ. მელიქსეთ-ბეგო, ჭუთათელ ტიმოთე გაბაშვილის ბიოგრაფიისათვის: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. I, 1940, № 8, გვ. 637—640.

⁵ შდრ. ლ. მელიქსეთ-ბეგო, ქართული ვერსია გრიგოლ პართელის სახელობის აპოკრიფული ჰომილიისა, რომელიც იოანე ოქროპირს მიეწერება: „ლიტერატურული ძიებანი“, II, 1944, გვ. 43.

რომის ეკლესიასთან მათივე — სომეხთა მამათა და მოძღვართა ნაამბობით¹, ეგროპაში განსაკუთრებითი ინტერესი აღიძრა სომეხთა ეკლესიისა და მისი დოგმატიკისა და რიტუალის მიმართ. ამ უზარმაზარ თხზულებას, როგორც ეტყობა, ვასავალი მოუნახავს აგრეთვე სომეხთა და საქართველოშიც, იმდენად, რომ XVIII ს. პირველი ნახევრის მოღვაწე გიორგი გორელიც სცნობს მის ავტორს, როდესაც ამბობს: „როგორც კლემესი უმოწმებს“².

ჩვენი დაკვირვებით კი უფრო მნიშვნელოვანი ფაქტიც მჟღავნდება, სახელდობრ: რომ ანტონ I-ის „მზამეტყველების“ ხემოდასახელებული II წიგნის IV თავი, სადაც სომეხთა მოღვაწეები ორ კატეგორიად არიან განხილულნი, თითქმის სიტყვასიტყვითი გამეორებაა (ადგილ-ადგილ პლავიატობამდე მისული) ბსენებული კლემენტი ვალანოსის თხზულების II ტომის II ნაწილის სათანადო ნაკვეთისა, რის დასადასტურებლადაც მოგვყავს მოკლე ამონაწერები სათანადო ლათინურ-სომხური ტექსტებიდან.

კ. ვალანოსის ლათინური ტექსტიდან:

I. Armeniorum pseudo-magistri, quorum haeresis in hoc opere refundantur, resp. Armeniorum pseudo-magistri, qui fidem Catholicam oppugnarunt:

Nierses Ascdarachensis.
 Conciliabulum Thevinense.
 Joannes Maracumensis.
 Ananias Scirachensis.
 Sergius.
 Joannes Ozniensis.
 Conciliabulum Manaschiense.
 Stephanus Siunensis.
 Michael Syrus.
 Paulus Daronensis.
 Mekhitarius Schieverzensis.
 Varianus.
 Chuscich Vanacanus.
 Joannes Orodniensis.
 Gregorius Dathtievensis.
 Gregorius Caesariensis.
 Simon Ciulfaensis.

მისივე სომხური ტექსტიდან:

1. *Չարափառ հայք, զորոց հերձուածս յազգեհարսքմբ լինաբանական հատորն,*
 resp. *Չարափառ հայք և վարդապետք են այսօրիկ.*
Ներսէս Աստարակեցիկաթուղիկոս:
Չարածողմն Դմապ:
Միհան Մայրագոմեցի:
Անանիա Ներակացի:
Սարգիս:
Միհան Օձնեցի:
Չարածողմն Մանագիկերտի:
Ստեփանոս Սիւնեցի:
Միխայէլ Ասուբի:
Պօղոս Տարօնեցի:
Միխայէլ Սկևապի:
Վարդան:
Դուրիկ Վանական:
Միհաննիս Որտոնեցի:
Գրիգոր Տաթևացի:
Գրիգոր Կեսարացի:
Սիմոն Չուլֆայեցի:

¹ Conciliationis Ecclesiae Armenae cum Romana ex ipsis armenorum patrum et doctorum testimoniis, auctore Clemente Galano, t. I—II, Romae 1650, 1658, 1661 (typis Sacrae Congregationis de Propaganda Fide).

² ლ. მელიქსეთ-ბეგი, გიორგი გორელი, 118.

2. Patres armeni, quorum testimoniis in hoc opere nitimur, resp. Armeni patres ac magistri, qui fidem Catholicam propugnauerunt:

- Sanctus Gregorius dictus ab Armenis Illuminator.
- Aristarces Patriarcha.
- Nierses.
- Isaac Patriarcha.
- Joannes Patriarcha.
- Moyses Grammaticus.
- David Philosophus.
- Magistri numero unus et viginti.
- Yesdras Patriarcha.
- Primum armeniorum Concilium.
- Isaac Patriarcha.
- Hermon, Tiridates, Azarias, Ezechiel et Cyriacus.
- Papchen Patriarcha.
- S. Nikon Armenus.
- Zacharias Patriarcha.
- Secundum Armeniorum Concilium generale.
- Vahanus Patriarcha.
- Gregorius Narachensis.
- Macharius Armenus.
- Simeon Eremita.
- Gregorius Vechaiaser Patriarcha.
- Gregorius et Zacharias.
- Isaac dictus a graecis Magnae Armeniae Catholicus.
- Gregorius Patriarcha.
- Nier-es Ghelaiensis.
- Gregorius Tegha (Gegha, sic).
- Tertium Armeniorum Concilium generale.
- Nierses Lamphronensis.
- Gregorius Apiras.
- Joannes Patriarcha.

2. Ուղղափառ հարք հայրեր զորս բերեմք ի վկայութիւն ճշմարիտ հաւատոյ, resp. Ուղղափառ հարք և վարդապետք հայոց յուրովք եղեն և մասնաւանդ այսոք իւր:

Սուրբն Գրիգոր Լուսաւորիչ:

Տէր Ռջատակէս:

Տէր Ներսէս:

Տէր Սահակ:

Տէր Յոհաննէս:

Մովսէս Քերթով:

Դուռիք Իմաստասէր:

Վարդապետք քսան և մի:

Տէր Եզր:

Առաջին ընդհանուր ժողովն հայոց:

Տեր Իսահակ:

Հերմոն, Տրդատ, Աղաբիա, Եղեկիել և Կիրակոս:

Տէր Քարզէն:

Սուրբն Նիկոն հայ ազգաւ:

Տէր Չաքարիա:

Երկրորդ ընդհանուր ժողովն հայոց:

Տէր Վահան:

Գրիգոր Նարեկացի:

Սուրբն Մակար հայ ազգաւ:

Սուրբն Սիմէոն ձգնաւոր:

Տէր Գրիգոր Վկայասէր:

Գրիգոր և Չաքարիա վարդապետք:

Սահակ կոչեցեալ ի յունաց՝ կաթողիկոս Մեծին Հայոց:

Տէր Գրիգոր:

Տէր Ներսէս:

Տէր Գրիգոր մականունն Տղայ:

Երրորդ ընդհանուր ժողովն հայոց:

Ներսէս Լամբրոնացի:

Տէր Գրիգոր մականունն Արիրատ:

Տէր Յոհաննէս:



Constantinus Pazerpertensis.
 Gregorius Sisensis.
 Quartum Armeniorum Concilium
 generale.
 Constantinus Caesariensis.
 Quintum Armeniorum Concilium
 generale.
 Joannes Chernacensis.
 Consolator Patriarcha.
 [Constantinus Patriarcha.
 Azarias Patriarcha.
 David Patriarcha.
 Moyses Patriarcha.
 Joannes cognomento Surdus Ma-
 gister.
 Zacharias.
 Cyriacus].

სქე ღიათანათსნ ჰ ჩარბერტოლი
 სქე ზრქვირ ჰ სტაიკი
 შიერირე რნღანოიერ ჭივიმე ზაკიე:
 სქე ღიათანათსნ ღსარაოეჩი:
 ჰსიღხერირე რნღანოიერ ჭივიმე
 ზაკიე:
 შიანს ჴინხეჩი:
 სქე შჩქჩქარე:
 [სქე ღიათანათსნ:
 სქე სღარქა:
 სქე ჴააქქ:
 სქე შიქსა:
 შიანსნეჲ მასქანათსნ შიქ ქარ-
 ეაქსა:
 შაღარქა:
 ყირაქი ჰრქქანეჩი.]

ჩვენს დებულებას, რომ ანტონს 1750—1752 წწ. შეთხზულს „მზამეტყვე-
 ლებაში“ გამოუყენებია კლემენტი გალანოსის თხზულების II ტომი,
 რომელიც 1661 წ. გამოიცა რომში, ის დასვენაც უნდა თან მოჰყვეს, რომ
 ანტონის წარმოდგენა იმ მოღვაწეებსა და ლიტერატურულ ძეგლებზე, რომლე-
 ბიც მისი „მზამეტყველების“ II წიგნის IV თავში არიან მოხსენებულნი, უშუ-
 ალო კი არაა, არამედ მხოლოდ გალანოსის მასალებზე დამყარებული, უეჭვე-
 ლია, ტერ-ფილიპე ყათიმაზაშვილის დახმარებით ამოკითხულსა და დემოფრე-
 ბულზე.

სულ სხვა შთაბეჭდილება იქნება ანტონის იმ მითითებებზე, რომლებიც
 გაბნეულია „მზამეტყველების“ დანარჩენ თავებსა და ნაწილებში. აქ, პირიქით,
 იმჩნევა ანტონის მიერ უშუალოდ თუ ტერ-ფილიპეს მეშვეობით სარგებლობა
 სომხური მწერლობის მთელი რიგი ძეგლებით, უმთავრესად XVII—XVIII სს.
 გამოცემებით, რომელთა ნუსხა შემდგენიარად შეიძლება იქნეს წარმოდგენილი.

ანტონით

1. „კელის დასხმა სომეხთა ეპის-
 კოპოსთა“.

2. „ასმაორქი სომეხთა, რომელ არს
 სვინაქსარი“, resp. „ასმაურქი“.

3. გრიგოლ ტათეველის „სიტყვა-
 მიგების წიგნი“.

სომხური გამოცემით

„მშტოც“ = კურთხევაწი შემაველი
 სამღვდელმთავრო კონდაკი, ამსტერ-
 დამს 1667, მარსელს 1676, კონსტან-
 ტინეპოლს 1714, 1726, 1744.

„ჰაჰსმაფურქ“ = სვინაქსარი, კონსტან-
 ტინეპოლს 1706, 1730.

„გირქ ჰარცმანც“, კონსტანტინეპოლს
 1729.

4. მისივე „ქადაგებათა წიგნი“.
„ქაროზგირქ“, კონსტანტინეპოლს 1730, ან II—1741.
5. ლაზარე ჯაჭუკელის „დრაბტ-ცანკალი“ ანუ „საწადელი სამოთხე“.
„დრაბტ ცანკალი“, კონსტანტინეპოლს 1734.
6. იაკობ აენელის (ანგელის?) „ვემ-ჰავატო“ [ე. ი. „სარწმუნოების კლდე“].
„ვემ ჰავატო“, კონსტანტინეპოლს 1733.
7. ნერსე კლავლის „ჰისუს ვორდი“ [ე. ი. „იესო-ძე“].
„ჰისუს ვორდი“, ვენეციას 1643, 1660, ამსტერდამს 1660, კონსტანტინეპოლს 1702, 1724, 1746.
და სხვ.

ახლა სრულიად უდავოა, რომ ანტონს თავისი „შზამეტყველების“ დაწერისას 1750—1752 წწ. ძირითადად უსარგებლოა შეიძლება თამათ სომეხ-პაპისტის კლემენტი გალანოსის მიერ ლათინურსა და სომხურ ენებზე შეთხზულის უზარმაზარი წიგნისა „სომეხთა ეკლესიის ურთიერთობა რომის ეკლესიასთან“, რომელიც რომში გამოიცა „სარწმუნოების პროპაგანდის კონგრეგაციის“ ფირმით 1661 წ. ამასთან პარალელურად მისვე, ანტონს, გამოუყენებია იმ დროს არსებული გამოცემები სომხური წიგნებისა: სომეხთა ეკლესიის კურთხევენი — კონდაკი = „მაშტოც“ (1714, 1726, 1744); სვინაქსარი = „ჰამსმავურქ“ (1706, 1730); გრიგოლ ტათეველის „ქადაგებანი“ = „ქაროზგირქ“ (1730 || 1741) და „სიტყვა-მიგების წიგნი“ = „ვირქ ჰა-ცმანც“ (1729); ლაზარე ჯაჭუკელის „საწადელი სამოთხე“ = „დრაბტ ცანკალი“ (1734); იაკობ აენელის „კლდე სარწმუნოებისა“ = „ვემჰავატო“ (1733); ნერსე კლავლის „იესო-ძე“ = „ჰისუს ვორდი“ (1702, 1724, 1746); და სხვ.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სომხური ფილოლოგიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1946. IX. 27).

Л. М. Меликсет-Бек

Латинско-армянские источники „Готового ответа“

АНТОНИЯ I

Резюме

При изложении Антонием I, царевичем — Багратионом, католико-косом Грузии, в 1750—1752 гг. капитального догматико-полемиического труда „Готовый ответ“ (Мзаметквелеба), в сотрудничестве с неким дон-Иоанном, католическим патером, и тер-Филиппом Кайтмазашвили, армянским священником, использованы бывшие тогда на книжном рынке

или в Тбилисских книгохранилищах (напр. в подворьи ахпатского монастыря, где подвизался тер-Филипп) различные издания XVII—XVIII веков на латинском и армянском языках: Conciliationis ecclesiae Armenae cum Romana ex ipsis armenorum patrum et doctorum testimoniis, auctore Clemente Galano, Romae, typis Sacrae Congregationis de Propaganda Fide, t. II, 1661, а также ряд книг на армянском языке по преимуществу в Константинопольском издании первой половины XVIII века — Служебник || Требник || Чиновник || Архиератикон (1714, 1726, 1744), Четы-Минеи || Месяцеслов || Синаксарь (1706, 1730), книги проповедей и полемики Григория Татевского (1730, 1741; 1729), „Вожделемный рай“ Лазаря Джаукского (1734), „Камень веры“ Якова Акнийского (1733), „Иисус-сын“ Нерсеса Клайского (1702, 1724, 1746) и др.

ს. ლანელია

ოკროცინანი წლების ინტელიგენცია ტურგენევის ასახვაში

1

ი. ს. ტურგენევის რომანი „რუდინი“ ეკუთვნის XIX საუკუნის მხატვრული რუსული ლიტერატურის კლასიკურ ქმნილებათა რიცხვს. ნ. კ. მიხაილოვსკის აზრით, იგი „თითქმის საუკეთესო ნაწარმოებია ტურგენევის თხზულებათა შორის“. დაიწერა ეს რომანი ტურგენევის მამულში, სოფელ სპასკოეში, სადაც 1852 წელს ტურგენევი გააძევა მთავრობამ, ვინაიდან უკანასკნელი არ იყო კმაყოფილი ამ მწერლის პროგრესული მიმართულებით, განსაკუთრებით კი მისი „მონადირის ჩანაწერებით“, სადაც ის თამამად აღაპარაკდა ბატონ-ყმობით შევიწროვებულ გლეხობის აუტანელ მდგომარეობაზე. როგორც თავისი იდეური შინაარსით, ისე თავისი ფორმითაც „რუდინი“ იმ მონაცემების განვითარებას წარმოადგენს, რომლების ჩანასახს მკითხველი „მონადირის ჩანაწერებში“ პოულობს. თუ ამ უკანასკნელ ნაწარმოებში ტურგენევი სარგებლობს მოკლე მოქმედების ფორმით, „რუდინიში“ იგი პირველად მიმართავს დიდი რომანის ჟანრს და იძლევა თავისი ეპოქის საზოგადოებრივი ცხოვრების ფართო სურათს. იმ დროს რომანის ლიტერატურული ფორმის სრული დაუფლება აქტიუალურ პრობლემას წარმოადგენდა რუსული ლიტერატურის ისტორიულ ევოლუციაში და თავის წინამორბედ ცდას პოულობდა ლერმონტოვის მიერ 1840 წელს გამოქვეყნებულ „ჩვენი დროის გმირში“. ლიტერატურული ფორმის განვითარების თვალსაზრისით, „რუდინი“ მკიდროდ უკავშირდება „ჩვენი დროის გმირს“ და წარმოადგენს ახალ ნაბიჯს წინ იმ ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებიც უკვე ლერმონტოვის წინაშე იდგა.

მიხეილ ლერმონტოვის მსგავსად, ტურგენევის მთავარ მიზანს შეადგენდა აესახა „თავის დროის გმირი“, გაეხსნა მისი ფსიქიკური შინაარსი, ოღონდ ისე, რომ გმირის ქვეშ გამოჩენილიყო მთელი საზოგადოება, მთელი სოციალური გარემო. აზღენად რომანი „რუდინი“ ერთსა და იმავე დროს წარმოადგენს როგორც ფსიქოლოგიურს, ისე სოციალურ რომანს, და მას არა უსაფუძვლოდ ეწოდება სოციალურ-ფსიქოლოგიური რომანი.


მთავარი მოქმედი პირი ამ რომანისა, დიმიტრი რუდინი, ორმოციანი წლების ტიპური ინტელიგენცია. ტურგენევი ცდილობს ჩასწვდეს თავისი დროის რუსეთის ინტელიგენციის სულიერ ცხოვრებას, გამოაფინოს მისი შინაარსი და მისცეს სწორი შეფასება. ამ დიდ ამოცანას ტურგენევი უდგება ღრმა ფილოსოფიური განათლებით და რუსული სინამდვილისა და რუსული ლიტერატურის იმ დიდი ცოდნით, რომელიც ევროპის პირველხარისხოვან მწერალს შეეფერებოდა. ლერმონტოვისა და გოგოლის კვალად, ტურგენევი კრიტიკული თვალთ უცქეროდა ნიკოლოზ პირველის რუსეთს და არც ამ ეპოქის ინტელიგენცია მიაჩნდა მას თავის იდეალად. ცხადია, რომ ინტელიგენციისადმი ასეთ განწყობილებას არ შეეძლო არ ეჩინა თავი ინტელიგენტის იმ ტიპში, რომელიც შექმნა ტურგენევი, ე. ი. რუდინის სახეში.

გადაჭარბება არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ სქემა, რომელიც საფუძვლად უდევს რომანში რუდინის მხატვრულ სახეს, არის სოფისტის ცნება: რუდინის სახე ტურგენევის მიერ ანტიკური სოფისტის თარგზე არის გამოჭრილი, რისთვისაც მწერალს გამოუყენებია როგორც ფილოსოფიის ისტორიის, ისე კლასიკური ფილოლოგიის ის დიდი ცოდნა, რომელიც მან უნივერსიტეტში შეიძინა. რომანში ხშირად გვხვდება ისეთი ადგილები, რომლებიც ისტორიაში ცნობილ ფილოსოფიურ დებულებათა რემინისცენციებს წარმოადგენენ, და მთელ რომანს ფილოსოფიურ ბეჭედს აკრავენ. ჩვენის აზრით, „რუდინი“ ფილოსოფიური რომანია, ხოლო მისი ავტორი გვევლინება იქ, როგორც დიდი ზომის მხატვარი — მოაზროვნე.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ რუდინის სახეში მკითხველი ამჩნევს იმ ბრძოლის ხაზებს, რომელსაც რუსული ლიტერატურა პუშკინის დროიდან აწარმოებდა რომანტიზმის წინააღმდეგ, თვით ეს სახე კი შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც რომანტიკული გმირის გადაფასება და მისთვის გვირგვინის ჩამოხდა. საბოლოო ანგარიშში, ჩვენ იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ რუდინის სახე არის ფილოსოფიური პოზიციიდან გაკრიტიკებული სოფისტის და რეალისტური ლიტერატურული პოზიციიდან გადაფასებული რომანტიკული გმირის სინთეზი: ერთი მხრით რუდინი ემსგავსება სოფისტებს, ხოლო მეორე მხრით — რომანტიკულ გმირებს.

სოფისტებთან რუდინს აახლოვებს უწინარეს ყოვლისა ის გარემოება, რომ იგი არ არის ფილოსოფოსი და მისი დამოკიდებულებაც სინამდვილისადმი არ არის ფილოსოფიური დამოკიდებულება. ამ ფაქტს საჭიროა ღიო ლერო ენერგიულად გაეგვას ხაზი, რომ მას ჩვეულებრივ არ აქცევენ ყურადღებას. პირიქით, ლიტერატურაში შეხედებით ისეთ აზრსაც კი, თითქო რუდინის სახით ტურგენევი განზრახული ჰქონდა წარმოედგინა ფილოსოფიურად მოაზროვნე პიროვნება. „რუდინი ფილოსოფოსია“, „რუდინს ფილოსოფოსის თავი აქვს“ — წერდა, მაგალითად, პროფ. დ. ოვსიანიკო-კულიკოვსკი¹. ჩვენის აზრით, ეს არ იყო სწორი შეხედულება რუდინზე, და, თუ ჩვენ რუდინზე არ ვეჭვონდა სწორი

¹ История русской интеллигенции, I. 1914 г., стр. 128.



შეხედულება, ეს იმის ნიშანი იყო, რომ ჩვენ ვერ ვაგვივია ტურგენევის რომანი, ვინაიდან ამ რომანის უკთვარეს ამოცანას რუდინის ახსნა შეადგენს.

რომ რუდინის სახით ტურგენევის განზრახული ჰქონოდა ფილოსოფოსის გამოყვანა თავისი რომანის ფურცლებზე, იგი ამით ცუდ სამსახურს გაუწევდა ფილოსოფიას, ვინაიდან მაშინ ფილოსოფიას უნდა ეგო პასუხი იმ ნაკლოვანებათათვის, რომელნიც რუდინს ახასიათებენ, ეს კი მკითხველს მიიყვანდა ფილოსოფიის ღირებულების უარყოფამდე. მაგრამ, როგორც ტურგენევის ბიოგრაფია, ისე ტურგენევის შემოქმედება ეწინააღმდეგებიან იმ აზრს, თითქო ტურგენევის შეეძლო ასეთი ნიჰილისტური განწყობილება ჰქონოდა ფილოსოფიის მიმართ. ცნობილია, მაგალითად, რომ ტურგენევი ერთ დროს ემზადებოდა უნივერსიტეტში ფილოსოფიის კათედრის დასაჭერად. ვარდა ამისა, არც ერთ თავის თხზულებაში ტურგენევი არ გამოდის ფილოსოფიის მოწინააღმდეგედ: პირიქით, თავის დიდ რომანში „მამები და შვილები“ ტურგენევი ებრძოდა რუსეთის ინტელიგენციის იმ ფრთას, რომელიც ბუნებისმეტყველური მატერიალიზმის პოზიციიდან იღვას, ფილოსოფიას უარყოფდა და ძირითად მეცნიერებად ბუნებისმეტყველებას აცხადებდა. ბოლოს, თვით რომან „რუდინშიც“ ტურგენევი ლეჟნიოვის პირით explicite აფრთხილებს მკითხველს, რომ მან ფილოსოფიას არ დააბრალოს რუდინის უბედურება.

„ღუთის გულისათვის მითხარი, ძმაო, რა არის ეს? ფილოსოფია ხომ არ არის?“ — ეკითხება ვოლინცევი ლეჟნიოვს, რათა გაიგოს რუდინის ერთი საკვირველი საქციელის მიზეზი. ლეჟნიოვი კი მას ასე უპასუხებს: „როგორ ვითხრა? ერთი მხრით ეს თითქო ფილოსოფიაა, მაგრამ მეორე მხრით ეს სულ სხვა არის. ყოველი სიბრძნევე ფილოსოფიას რომ დავაბრალოთ, არც ეს ვარგა“ (თ. VIII).

მეორე ადგილზე იგივე ლეჟნიოვი, რომელსაც რომანში თითქმის რეზონერის როლი ეკუთვნის, ასეთი სიტყვებით მიმართავს პიგასოვს: „თქვენ ილაშქრებთ ფილოსოფიის წინააღმდეგ, და როდესაც ფილოსოფიის შესახებ ლაპარაკობთ, ვერ პოულობთ საკმაო სიტყვებს, რათა გამოთქვათ თქვენი ზიზღი მის მიმართ! მაგრამ ჩვენი მთავარი უბედურება ფილოსოფიიდან არ გამომდინარეობს“.

მე ვფიქრობ, რომ ეს ძალიან საყურადღებო ადგილებია ტურგენევის რომანში. ისინი პირდაპირ გვიკარნახებენ, რომ ჩვენ უფრო კარგად დავაკვირდეთ რუდინის პიროვნებას, ვიდრე ეს ხდებოდა დღემდე, და უფრო ზუსტად გავარკვიოთ მისი მიმართება ფილოსოფიასთან.


2

როგორც რომანიდან ვტყობილობთ, რუდინი სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტში სწორედ იმ დროს, როდესაც სტუდენტებს მოედო ფილოსოფიური პრობლემებით გატაცება. განსაკუთრებით დიდი იყო გერმანული იდეალიზმის ჭაფუნა, რომელიც ვრცელდებოდა სტანკევიჩის წრის საშუალებით. ამ ფილოსოფიურ წრეში ჩაეყარა საფუძველი იმ პირთა მსოფლმხედველობას, რომლებმაც შემდეგ შექმნეს სლავოფილური ფილოსოფია — ერთ-ერთი ფრიად საყუ-

რადღებო ორიგინალური ფილოსოფიური კონცეფცია XIX საუკუნის პირველი ნახევრის რუსეთში. როგორც თვითონ სტანკევიჩი, ისე მისი მეგობრები (მედილინსკი, აქსაკოვი, გრანოვსკი, ბაკუნინი) იყვნენ ფილოსოფიურად მოაზროვნე პირები. მათი აზროვნების ძირითად საკითხს შეადგენდა რუსი ხალხის არსება, მისი წარსული და მომავალი.

თავის რომანში ტურგენევი იძლევა სტანკევიჩის ამ ფილოსოფიური წრის აღწერას (თ. VI), წრის წევრთა სახელების შეცვლით: სტანკევიჩი წარმოდგენილია პოკორსკის სახელწოდებით, ბაკუნინი კი წარმოდგენილია რუდინის სახელწოდებით. „რუდინის სახით მე წარმოვადგინე ბაკუნინის საკმაოდ სწორი პორტრეტი“, წერდა თვითონ ტურგენევი ერთ კერძო ბარათში. მკითხველმა იცის, რომ ეს ის ანარქისტი მიხეილ ბაკუნინია, რომელიც შემდეგ გადაიხვეწა დასავლეთ ევროპაში და რომელსაც დიდი შეტაკება ჰქონდა კარლ მარქსთან. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ტურგენევის წარმოდგენით ეს ბაკუნინი-რუდინი იყო არა ფილოსოფოსი, არამედ სოფისტი.

სტანკევიჩი-პოკორსკი და მისი ფილოსოფიური წრე აღწერილია რომანში ვაკვრით. მაგრამ მაინც იმდენად სრულად, რომ ნათლად ჩანს როგორც პოკორსკის, ისე მისი წრის მთავარი ნიშნები. პოკორსკის სახით ჩვენ გვაქვს საქმე ფილოსოფიურად მოაზროვნე ახალგაზრდა კაცთან. პოკორსკი ნამდვილი ფილოსოფოსია. იგი დაჯილდოვებულია როგორც ძალიან დიდი ჭკუით, ისე ძალიან ნაზი გულითაც. პოკორსკის ჭკუა და გული არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, არამედ ერთ ჰარმონიულ მთლიანობას ქმნიან. პოკორსკი ჰარმონიული არსებაა. რომანის სიტყვების თანახმად, პოკორსკი „მაღალი და წმინდა სულია“. „პოკორსკი ყველას უყვარდა“, მისი ღარიბული ოთახი ყოველთვის სავსე იყო ამხანაგებით, „პოკორსკისთან დადიოდა ძალიან ბევრი ხალხი“, რომელსაც იზიდავდა ამ ახალგაზრდა კაცის ფაქიზი პიროვნება. დაჯილდოვებული ნათელი და ფართო გონებით, პოკორსკი იმავე დროს ნორჩ ბავშვსავით საყვარელი იყო ყველასათვის. სხვისი დაზრდილება და თავისი ავტორიტეტის ამაყი. წამოწევა პოკორსკისთვის სრულიად უცხო იყო. იგი იყო უალრესად თავმდაბალი კაცი. მთელი მისი დამოკიდებულება ამხანაგებთან მეცნიერებისა და ქეშმარიტების სიყვარულზე იყო აშენებული. პოკორსკის თვითონ უყვარდა თავდავიწყებით ქეშმარიტება, და ეს გარემოება აძლევდა მას ძალას ამხანაგებშიც ჩაენერკა უანგარო სიყვარული ქეშმარიტებისადმი. არასოდეს პოკორსკი არ აყენებდა თავის თავს ქეშმარიტების ინტერესებზე უფრო მაღლა და არასოდეს არ ჰქონია მას წვრილმანი სურვილი თავისი ცოდნით დაეზარა ვინმე, თუმცა ეს ცოდნა მას სხვებზე უფრო მეტი ჰქონდა. პოკორსკის ცოდნა არავის არ ამონებდა, არავის არ ართმევდა აზროვნების თავისუფლებას. პირიქით, იგი ისეთი ცოდნა იყო, რომელიც ათავისუფლებდა პოკორსკის მეგობრებს, აძლევდა მათ რეალურ საშუალებას დამოუკიდებლად ან თავისუფლად ეაზროვნათ ე. ი. ეხმარებოდა მათ მოაზროვნე ადამიანებად ქცეულობენ, და სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ამხანაგები ეძებდნენ პოკორსკის საზოგადოებას: პოკორსკის სახით მათ ეგულებოდათ თავისი გონებრივი განვითარების ნამდვილი მეგობარი. პოკორსკი არ იყო დახელოვებული ორატორი, მაგრამ



თავისი სადა და თავმდაბალი პიროვნებით იგი აღვიძებდა ამხანაგთა შორის ქეშმარიტებისა და სიკეთის მიმართ მხურვალე სიყვარულს. ასეთია პოკორსკის პორტრეტი, რომელიც მოცემულია ტურგენევის რომანში და რომელშიც ფილოსოფოსის ტიპური ნიშნები არის წინა პლანზე წამოწეული.

რომანის ინტრიგის განვითარებაში პოკორსკე არ იღებს არავითარ მონაწილეობას, და ეს გარემოება გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ პოკორსკის პიროვნების ასეთი დეტალური აღწერა ტურგენევის დასჭირდა მხოლოდ იმისათვის, რათა ფილოსოფოსის ტიპის გარკვეული აღწერით ნათლად ექცია მკითხველთათვის რუდინის მიმართება ფილოსოფიასთან: წინააღმდეგ შემთხვევაში პოკორსკის აღწერა ზედმეტი იქნებოდა რომანისათვის და უაზროდ დაამძიმებდა მას. ასეთი უაზრობა კი ტურგენევის რომანს, ცხადია, არ შეიძლება მიეწეროს. პირიქით, ვინც ამ რომანს ყურადღებით წაიკითხავს, იგი ადვილად შეამჩნევს, რომ პოკორსკე მხოლოდ იმიტომ არის შემოყვანილი რომანში, რომ მკითხველმა ამ პოკორსკის შედაროს რომანის მთავარი გმირი რუდინი და სათანადო დასკვნები გამოიტანოს ასეთი შედარებიდან რუდინის შესახებ. ამრიგად, პოკორსკის სახის ერთადერთ კომპოზიციურ ფუნქციას შეადგენს რუდინის სახის გარკვევა, და არავითარი სხვა ფუნქცია პოკორსკის სახეს ტურგენევის რომანში არ მოეპოვება. თუ ეს გარემოება გამოგვეპარა მხედველობიდან, ჩვენ მაშინ სწორად ვუგავებთ იმას, რაც ყველაზე უფრო მთავარია ტურგენევის ამ საუკეთესო ნაწარმოებში, ხოლო თუ ჩვენ სწორად არ გვესმის ტურგენევის საუკეთესო ნაწარმოები, მაშინ შეუძლებელია, სწორად გვესმოდეს ტურგენევის მთელი ლიტერატურული მოღვაწეობა და მისი ადგილი რუსული ლიტერატურის ისტორიაში.

რუდინის პორტრეტი არ ჰგავს პოკორსკის პორტრეტს. პირიქით, ისიც კი შეიძლება ვიფიქროთ, რომ რუდინის პორტრეტის შექმნისას ტურგენევის განზრახული ჰქონდა ანტითეზურ მიმართებაში მოექცია იგი პოკორსკის პორტრეტთან. მართლაც, რუდინი არის პოკორსკის ანტითეზისი. თუ პოკორსკის პორტრეტში მოჩანს ქეშმარიტებისა და სიკეთის უშუალო და უანგარო სიყვარულით გატაცებული ფილოსოფოსის სახე, რუდინის პორტრეტში წინა პლანზე წამოწეულია ისეთი ნიშნები, რომლებიც სოფისტს პროტაგორას უფრო შეეფერებოდა, ვიდრე ფილოსოფოს სოკრატე. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ შემთხვევაში ის დახასიათება, რომელსაც, არა გარეშე ავტორის დასტურისა, აძლევს რუდინის მისი ყოფილი მეგობარი მიხეილ ლეჟნიოვი.

თანხმად ამ დახასიათებისა, რუდინი „ქკუიანი კაცია, თუმცა იგი, არსებითად რომ ითქვას, დესპოტია სულთერად და ზარმაცია. მას არც ისეთი დიდი ცოდნა აქვს... უყვარს სხვის ხარჯზე ცხოვრება... უყვარს როლის თამაში... იგი ყინულსავეთ ცივია, თვითონაც იცის ეს და ამიტომ ცდილობს, ცეცხლით სავსე არსებად მოაჩვენოს თავი სხვებს... იგი მჭერმეტყველია, თუმცა მისი მჭერმეტყველება ქეშმარიტად რუსული მჭერმეტყველება არ არის“. რუდინს მოწონს, როდესაც იგი სხვებს მიაჩნია „კერპად, ორაკულად“, და ამის შესაფერისად, ემოციონლებიან მის ავტორიტეტს. პოკორსკისთან შედარებით „რუდინს მეტი პრეყინვალება და ხმაურობა, მეტი ფრაზა და ენთუზიაზმი ახასიათებდა. გარე-

დან იგი უფრო ნიჭიერ კაცად მოჩანდა, ვიდრე პოკორსკი, ნამდვილად კი, ამ უკანასკნელთან შედარებით, რუდინი იყო სულიერად ლატაკი, რუდინი მშვენიერად ავითარებდა ყოველგვარ აზრს, კამათობდა კი ოსტატურად¹. მაგრამ მისი აზრები იბადებოდნენ არა მისივე თავში². ამ აზრებს რუდინი სესხულობდა სხვებისაგან, განსაკუთრებით კი პოკორსკისაგან... გარედან რუდინი ეჩვენებოდა კაცს ცეცხლით, გამბედავობით, სიცოცხლით სავსე არსებად, სულის სიღრმეში კი იგი ცივი და თითქმის მზღალი იყო, სანამ მის თავმოყვარეობას არ შეეხებოდნენ. როდესაც კი მის თავმოყვარეობას შეეხებოდნენ, რუდინი მყისვე აფეთქდებოდა. ყოველ ღონეს ხმარობდა იგი თავის მორჩილებად გქცია ადამიანები, ოღონდ საბაბად ამისათვის იყენებდა ზოგად პრინციპებსა და იდეებს. რუდინის დიდი გავლენა ჰქონდა ბევრ კაცზე, და, თუმცა იგი არავის არ უყვარდა, მაგრამ მის უღელს ითმენდნენ მაინც. რაც შეეხება პოკორსკის, მას ყველა თავისი ნებით ეტანებოდა... მაინც და მაინც ბევრი წიგნი რუდინს არ ჰქონდა წაკითხული, მაგრამ მას მაინც მეტი წაუკითხავს, ვიდრე პოკორსკის, ამასთან ერთად რუდინს ჰქონდა სისტემატური ჰკუა, ძალიან დიდი მენსიერება, და სწორედ ეს მოქმედებს ახალგაზრდობაზე.

„მიეცით ახალგაზრდობას დასკვნები, შედეგები, — თუნდაც ყალბი, მაგრამ მაინც დასკვნები. სრულიად კეთილსინდისიერი კაცი ასეთი საქმისათვის ვერ გამოდგება, სცადეთ აბა და უთხარით ახალგაზრდობას, რომ თქვენ არ შეგიძლიათ მისცეთ მას სრული ჭეშმარიტება, ვინაიდან თქვენ თვითონ არ გაქვთ იგი“³ — და ახალგაზრდობა არც კი მოგისმენთ... სწორედ ამიტომ მოქმედებდა რუდინი ახალგაზრდობაზე ასე ძლიერად (ე. ი. იმით, რომ იგი არ ამბობდა, რომ სრული ჭეშმარიტება არ აქვს, და აძლევდა ახალგაზრდებს ჩამოყალიბებულ დასკვნებს — ს. დ.)... რუდინი მომეტებულად კითხულობდა ფილოსოფიურ წიგნებს, და თავაც ისე ჰქონდა მოწყობილი, რომ მაშინვე წვდებოდა საქმის არსებას და გამოჰქონდა წიგნიდან ის, რაც მასში ზოგადი იყო, ამ ზოგადიდან კი შემდეგ გაყავდა ყველა მიმართულებით აზრის ნათელი და სწორი ხაზები“.

შეიძლება შევწყვიტოთ აქ ლეჟნიოვის ნათქვამის ციტირება, რადგან უკვე ის, რაც ჩვენ აქ ამოვიწერეთ ტურგენევის რომანიდან, გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ უფრო პლასტიკურად პლატონსაც კი არ წარმოუდგენია სოფისტის ტიპი, თუმცა პლატონი დაჯილდოებული იყო დიდი მხატვრული ნიჭით, იცნობდა პირადად სოფისტის უდიდეს წარმომადგენლებს და მრავალი თხზულება დაუწერია მათ შესახებ. ჩვენის აზრით, ძნელია მსოფლიო ლიტერატურაში მოიძებნოს სოფისტის უფრო მოკლე და მხატვრული დანახაობა, ვიდრე ის, რომელიც ტურგენევი მოაცემინა აქ ლეჟნიოვს, თუმცა მეორე მხრით, ცოტათი საკვირველია, როგორ შესძლო ლეჟნიოვმა, ამ პროვინციელმა დათვმა, რომელიც საყოფაცხოვრებო საკითხებში იყო თავამდე ჩაფლული, აზრის ასეთი სიმანგილე გამოეჩინა. მკითხველს აქ უნებლიეთ ებადება უჭკი-

¹ ე. ი. ჰქონდა დისკურსიული აზროვნების ან განსჯის უნარი.

² ე. ი. აკლდა გონებრივი ინტუიციის უნარი. რუდინი ანალიტიკოსი იყო და არა სინთეტიკოსი.

³ ე. ი. მოიქცეოდა ისე, როგორც იქცეოდა ფილოსოფოსი სოკრატე.

ხომ არ ეხმარებოდა ლეწინიოვს რუდინის დახასიათების საქმეში ფილოსოფიურად განათლებული ტურგენევი. ე. ი., ლეწინიოვის პირით თვითონ ტურგენევი ხომ არ აძლევდა რუდინს დახასიათებას? ეს ეჭვი მართლაც დასტურდება რომანის დანარჩენი ადგილებით, სადაც რუდინის შესახებ თვითონ ავტორი ლაპარაკობს უშუალოდ.

3

ერთი ასეთი ადგილია ის დაუფიწყარი სცენა, როდესაც რუდინი პირველად გამოჩნდება ლასუნსკების ოჯახში და თავისი მკერმეტყველებით მოხიბლავს ყველას, განსაკუთრებით კი ახალი თაობის წარმომადგენლებს — ნატალია ლასუნსკაიას და მასწავლებელ ბასისტოვს, რომელიც თურმე ისე გაუტაცებია რუდინის მკერმეტყველებას, რომ იგი „პირღია და თვალმდაჭყეტილი“ უსმენდა მის ლაპარაკს. „რუდინი“, შენიშნავს ავტორი, „ლაპარაკობდა ისტატურად, მოსახიბლავად, არა მთლად ნათლად, მაგრამ სინათლის ეს ნაკლებობა აძლევდა მის სიტყვას განსაკუთრებულ მომხიბვლელობას“. „რუდინი არ ეძებდა სიტყვებს: ისინი თავისით ადგებოდნენ მის ბავეს, და თითოეული სიტყვა თითქო პირდაპირ სულიდან ამოდიოდა და რწმენის ცეცხლით იყო მოკიდებული. რუდინს დაუფლებული ჰქონდა თითქმის უმაღლესი საიდუმლოება — მკერმეტყველების მუსიკა. მას ეხერხებოდა გულის ზოგიერთ სიმებზე ისე ჩამოკვრა, რომ ყველა სხვა სიმებიც იწყებდნენ თრთოლვას და ბუნდოვანად ჟღერას. ზოგს მსმენელს იქნებ არც კი ესმოდა, თუ რის შესახებ იყო ლაპარაკი, მაგრამ მისი მკერდი იწყებდა ღრმად სუნთქვას, მისი თვლების წინაშე იხსნებოდა რაღაც ფარდა, და შორს სადღაც ნათელი სხივი აინთებოდა“ (თ. III). მოსახსენებელია ერთი ფრიად საყურადღებო დეტალიც: ავტორის შენიშვნით, „რუდინს ეხერხებოდა და უყვარდა ლაპარაკი, მაგრამ მას ეძნელებოდა საუბრის წარმოება“ (თ. IV), ე. ი. ეძნელებოდა ეწარმოებინა დიალოგი, რომელიც ფილოსოფოსმა სოკრატემ თავის მთავარ მეთოდად აქცია. რუდინი იყო არა დიალოგის, არამედ მონოლოგის ოსტატი. იგი ან თვითონ ლაპარაკობდა მარტო, ან სრულიად არ ლაპარაკობდა და მხოლოდ უსმენდა („он умел также слушать“). ხოლო ერთსა და იმავე დროს ლაპარაკი და მოსმენა, ე. ი. ის, რაც საუბრის საწარმოებლად აუცილებელია, რუდინისათვის ძნელი იყო.

ტურგენევის ეს უკანასკნელი შენიშვნა ამჟღავნებს დიდ ფსიქოლოგს, ადამიანის სულის დიდი ცოდნით აღჭურვილ მწერალს. ვის არ შეხვედრია ისეთი კაცი, რომელსაც არ უჭირს ოფიციალურ კრებებზე მკერმეტყველური სიტყვების წარმოთქმა, მაგრამ ამავე დროს სრულიად არ ეხერხება კერძო საუბრის წარმოება? ასეთი კაცი მოსაბეზრებელია კერძო ურთიერთობაში, და ყველანი ერიდებიან მასთან საუბარს. მეორე მხრით, ბევრია ისეთი კაცი, რომელსაც სრულიად არ ეხერხება სიტყვის წარმოთქმა საზოგადოებრივ კრებებზე, მაგრამ მინიჭებული აქვს კერძო საუბრის წარმოების ისეთი უნარი, რომ ყველას იზიდავს მასთან საუბარი, ყველანი სიამოვნებას პოულობენ ამ საუბარში (კერძო საუბრის წარმოების იშვიათი ნიჭით დაჯილდოებული იყო, მაგალითად, ჟან ჟაკ რუსსო). როგორც ჩანს, ერთი ყოფილა კერძო საუბრის წარმოების პირობა, ხოლო სხვა ყოფილა მკერმეტყველური სიტყვის წარმოთქმის პირობა,

რაკი ისინი ყოველთვის ერთად აღარ გვხვდებიან. და მართლაც, ეს ასეა: კერძო საუბრის წარმოების მთავარი პირობაა მოსაუბრეთა თავისუფლება და გულწრფელობა; კერძო საუბარი მაშინ მიმდინარეობს კარგად და სასიამოვნოდ, როდესაც მოსაუბრეთა შორის არის ცოცხალი ურთიერთობა, აზრთა ცოცხალი გაცვლა-გამოცვლა, როდესაც თითოეული ლაპარაკობს იმას, რაც გულში უდევს, და დარწმუნებულია, რომ მეორეც ასე იქცევა, როდესაც ერთი მოსაუბრე პასიურად კი არ უსმენს მეორეს, არამედ თვითონაც ლაპარაკობს, აძლევს მეორე მოსაუბრეს პასუხს და თავისი წვლილი შეაქვს საზოგადო აზრის განვითარებაში. ყველაფერი ეს კი გულისხმობს საუბრის მონაწილეთა თავისუფლებას, თანასწორობას, ურთიერთ ნდობას, მეგობრობას. როდესაც საუბრის მონაწილენი არ გრძნობენ თავს თანასწორებად, როდესაც მათ შორის არ არის ნდობა და მეგობრობა, როდესაც ერთი მოსაუბრე ცდილობს მოიპოვოს საუბარში უპირატესობა და დაზარდილოს მეორე¹, მაშინ კერძო საუბარი ბოროტიკობს. ასეთი საუბარი გულს ვერ ათბობს. კერძო საუბრის წარმოება ადვილია თავისუფალ ადამიანებისათვის, მონებს კი საუბრის წარმოება უძძიმით. საუბარში ვლინდება მოსაუბრეთა ბუნება, მათი ხასიათი, მათი ფსიქიკა. თავისი მკირე შენიშნით, რომ რუდინს არ ეხერხებოდა საუბრის წარმოება, ტურგენევიმ მძლავრი შუქი მოაფინა რუდინის ხასიათს და გაანათა მისი ფსიქიკის ძირები. არსებითად, ავტორის ეს შენიშვნა ეთანხმება ლენინოვის მიერ მოცემულ ცნობას, რომ რუდინს არ ჰყავდა ინტიმური მეგობრები, რომ იგი ცდილობდა დემორჩილებინა ადამიანები, რომ მას თავი ორაკულად მოჰქონდა.

არანაკლებ საყურადღებოა ტურგენევის მეორე შენიშვნაც, რომელიც კიდევ უფრო ახლო განსაზღვრავს, თუ რა ბუნების იყო სიტყვის ის ოსტატობა, რომელიც რუდინს ახასიათებდა. როგორც ცნობილია, სიტყვის ოსტატი ეწოდება არა მხოლოდ ორატორს, არამედ პოეტსაც, ვინაიდან სიტყვის ოსტატობის ან კანონულ-სიტყვაობის ცნების ქვეშ თავსდება ორგორც მჭერმეტყველება,

¹ მშვენიერი შენიშვნა აქვს ამ საკითხზე ჰეგელს თავის „ლექციებში ფილოსოფიის ისტორიაზე“, რომელიც ტურგენევის უძველად წაკითხული ექნებოდა. ახასიათებს რა პლატონის ფილოსოფიურ დიალოგებს, როგორც საუბრის მაღალ ნიმუშებს, ჰეგელი წერს: „Эти диалоги представляют собою уроки тонкого обращения, и мы в них видим светских людей... Светскость содержит в себе свидетельствование почтения, выражение отдаваемого другим преимущества... Светский человек оставляет каждому человеку, с которым он разговаривает, полную свободу образа мысли и мнений, а также признает за ним полное право высказывания этих мнений. Таким образом, он в своих противоположных высказываниях и возражениях явственно выражает отношение к ним, дает именно чувствовать, что он считает свои собственные возражения чем-то субъективным... При всей энергии высказывания светский человек всегда признает, что не надо говорить с видом оракула и не давать другому открывать рта. Но этот светский тон, господствующий в диалогах Платона, не есть смягчение своих мыслей, чтобы щадить собеседника, а представляет собою, наоборот, величайшую откровенность и прямоту, и в этом именно предельность платоновских диалогов“. Гегель, Ист. фил., II, 135. ამას უნდა შევადაროთ ტურგენევის რომანის შემდეგი ადგილები: „В спорах он (Рудин) редко давал высказываться своему противнику и подавлял его своей стремительной и страстной диалектикой“ (т. IV). „Рудин всячески старался покорить себе людей“.

ისე პოეზია. ამ ნიადაგზე ხშირია უკანონო qui pro quo. პისარევი, მაგალითად, წერდა, რომ რუდინი არის პოეტიო. ვფიქრობთ, რომ პისარევის ეს შეხედულება არ იყო სწორი. ყოველ შემთხვევაში რომანი არ იძლევა ამ შეხედულებისათვის საკმაო საფუძველს. პირიქით, რომანში ჩვენ გვხვდება ადგილები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან პისარევის შეხედულებას. ასეთია, მაგალითად, შემდეგი ადგილი: „თქვენ პოეტი ბრძანდებით“, ეუბნება რუდინს დარია მიხაილოვნა (თ. III). დაკვირვებული მკითხველისათვის ცხადია, რომ დარია მიხაილოვნას მწერალი იმიტომ ათქმნივინებს ამ სიტყვებს, რათა ხაზი გაუსვას იმას, რომ დარია მიხაილოვნა ცდებოდა, რომ მისთვის ძნელი იყო ადამიანის გაგება, და რუდინიც, მაშასადამე, სრულიად არ იყო პოეტი. მართლაც, დარია მიხაილოვნა, რომელსაც, ავტორის სიტყვით, აკლდა უნარი გაეგო თავისი საკუთარი ქალიშვილი, როგორ მიწვდებოდა სრულიად უცხო კაცის (რუდინის) ხასიათს და როგორ ვაიგებდა, რომ პოეტური ნიჭი შეადგენდა ამ ხასიათის მთავარ თვისებას? გავიხსენოთ, თუ რა ძნელია კაცში პოეტური ნიჭის შემჩნევა და რა ხშირად ხდება ამ ნიადაგზე შეცდომა. პუშკინი, მაგალითად, წლების განმავლობაში წვალობდა და მას მანაც ვერ გამოერკვია საკითხი, პოეტია რილევი თუ ორატორი, თუმცა პუშკინი ბევრჯერ უკეთესად იცნობდა რილევეს, ვიდრე დარია მიხაილოვნა რუდინს, და მას დარია მიხაილოვნაზე ნაკლებ როდი ესმოდა პოეტის არება. დარია მიხაილოვნამ კი უცბად, ერთი ხელის დაკვრით, პოეტად გამოაცხადა რუდინი. რატომ მერე? მხოლოდ იმის გამო, რომ მას მოეწონა, თუ როგორ უამბო რუდინმა საზოგადოებას ერთი სკანდინავური ლეგენდა. დაკვირვებული მკითხველისათვის ნათელია, რომ ტურგენევის აზრით არ შეიძლება პოეტი ეწოდოს კაცს იმისათვის, რომ მას შეუძლია სხვის მიერ შეთხზული ამბავის გადმოცემა, ვინაიდან პოეტი არის შემოქმედი, შემთხვევლი, ახალის გამოძგონებელი (რომელსაც უწინარეს ყოვლისა სჭირია წარმოსახვის ან ფანტაზიის ნიჭი) და არა უკვე შეთხზულის, შექმნილის და გამოგონებულის გადმომცემი (რომლის ჰემმარიტი სახელია დეკლამატორი და არა პოეტი). მაშასადამე, ტურგენევის აზრით, დარია მიხაილოვნას არ ესმოდა, რას ნიშნავს სიტყვა „პოეტი“, როდესაც მან რუდინს პოეტი უწოდა. ამრიგად, რუდინის მიმართ დარია მიხაილოვნას მიერ წარმოთქმული ფრაზა „თქვენ პოეტი ბრძანდებით“, ტურგენევის წარმოდგენით, რუდინის პოეტობას კი არ ამტკიცებს, არამედ უწინარეს ყოვლისა დარია მიხაილოვნას ახასიათებს, როგორც ქარაფშუტა და მეტიჩარა მანდილოსანს, რომელსაც თვითონ არ გაეგება კარგად თავისი სიტყვის აზრი. რუდინის შესახებ კი დარია მიხაილოვნას ფრაზა ამტკიცებს მხოლოდ იმას, რომ, ტურგენევის აზრით, რუდინი არ იყო პოეტი, რაკი მას პოეტად თვლის ასეთი მანდილოსანი.

ამ დასკვნას ეთანხმება რომანის ის ადგილიც, სადაც რუდინი დახასიათებულია როგორც მოთხრობის სუსტი ოსტატი. აი ეს ადგილიც: „რუდინმა დაიწყო მოთხრობა (თავისი სტუდენტობის შესახებ — ს. დ.). მაგრამ მოთხრობა მას მთლად კარგად არ ეხერხებოდა. მის აღწერებს აკლდა ფერადები. მან არ იცოდა მსმენელთა გაცივება“ (თ. III). როგორც ამ ადგილიდან ჩანს, რუდინს ჰკლებია ჰუმორი. ავტორი არ დასძენს, რომ რუდინს აკლდა აგრეთვე



ცხოვრების კანონების ცოდნა, რომელიც მთავარი პირობაა მოთხრობის საინტერესო წარმოებისათვის და, თანახმად ფრ. ენგელსის სწორი დაკვეთებით აუცილებლად ესაჭიროება ეპიკოს-პოეტს. მაგრამ, ეს გარემოება რომ ტურგენეფს არ აქვს მხედველობიდან გაშვებული, ამას ამტკიცებენ რომანის დანარჩენი ნაწილები, სადაც ხაზგასმულად არის აღნიშნული, რომ რუდინს აკლდა რეალური ცხოვრების ცოდნა. ე. ი., ტურგენეფის წარმოდგენით, რუდინს იმიტომ აკლდა მოთხრობის უნარი, რომ მას აკლდა რეალური ცხოვრების ცოდნა. ასეთი წარმოდგენა რუდინზე მშვენივრად შეეფერებოდა ტურგენეფს, როგორც პუშკინისა და გოგოლის მოწაფეს, როგორც იმ რეალისტური სკოლის მწერალს, რომლის დევიზი იყო სინამდვილის ასახვა.

ამრიგად, სიტყვის ის იშვიათი ოსტატობა, რომელიც ახასიათებდა რუდინს, იყო არა პოეტური, არამედ მხოლოდ ორატორული ოსტატობა, და, თუ გვსურს ვაწყენინოთ ჭეშმარიტ პოეტს, ვუთხრათ მას, რომ იგი ორატორია და მისი ნაწერები იძლევიან რიტორიკისა და დეკლამაციის უხვ ნიმუშებს.

როგორც რომანის ზემოთ მოყვანილი ადგილები ცხადყოფენ, რუდინი ორატორია, სიტყვის დიდი ოსტატია. მას ენერგება მსმენელთა შორის გრძობის გაღვივება, ენერგება მსმენელთა აღზნება, თუმცა იგი ლაპარაკობს ბნელად, ბუნდოვანად, და მის ნათქვამს აკლია სინათლე და გარკვეულობა, ე. ი. აკლია ის, რაც, დეკარტის სიტყვით, ფილოსოფოსის ნათქვამის ძირითად თვისებას შეადგენს. თვითონ რუდინიც მაინც და მაინც არ ეძებს, რომ მისი სიტყვები აუცილებლად ნათელი და მსმენელთათვის გასაგები იყვნენ, რომ ეს სიტყვები აღვიძებდნენ მსმენელის აზრებს. ავტორის შენიშვნით, რუდინი კმაყოფილია იმითაც, თუ მას მსმენელი „ჩუმიდ უსმენს“ (თ. VI). ცხადია, რომ ასეთი შენიშვნის გაკეთების დროს ტურგენეფს არ შეეძლო არ სკოდნოდა, რომ ის დამოკიდებულება მსმენლისადმი, რომელიც მან აქ რუდინს მიაწერა, სასტიკად ეწინააღმდეგება ფილოსოფოსის ქცევას. სოკრატე ასე არასოდეს არ მოეკიდებოდა მსმენელს, ვინაიდან სოკრატე იყო ფილოსოფოსი, და მისი მთავარი მიზანი იყო აზრი. ცუდია ფილოსოფოსი, თუ მას აკმაყოფილებს ის, რომ მსმენელი მას ჩუმიდ უსმენს და შეკითხვებით არ აწუხებს. ასეთი რამ შეიძლება აკმაყოფილებდეს მხოლოდ სოფისტს ან სკოლის უვარგის მასწავლებელს.

ამავე დროს რუდინი, რომელსაც, როგორც აღინიშნა, არც მეგობრული საუბრის წარმოება ენერგება, არც ამბავის მოთხრობა, ძალიან საშიშარი მოკამათეა. საშიშარი მოკამათეა იგი იმიტომ, რომ არ არის წესიერი მოკამათე. როგორც ავტორი აღნიშნავს, „კამათის დროს რუდინი იშვიათად აცლიდა თავის მოწინააღმდეგეს ელაპარაკა“ („в спорах он редко давал своему противнику высказываться“). ცხადია, რომ ასეთ მოკამათეს არ შეიძლება წესიერი მოკამათე ეწოდოს. ყოველ შემთხვევაში ფილოსოფოსის მიზნისაგან (ასეთი მიზანი ხომ ჭეშმარიტების ძიებაა) ამგვარი მოკამათე უეჭველად დაშორებულია, ვინაიდან იმას, ვინც ფილოსოფოსის მსგავსად კამათს მიმართავს მხოლოდ ჭეშმარიტების გამოსარკვევად, არ შეუძლია თავის მოპირდაპირეს პირის გაღების საშუალება მოუხპოს. სოკრატე, მაგალითად, ცდილობდა ელაპარაკე-

ბინა მოწინააღმდეგე და არა ჩაეჩუმებინა იგი. ფილოსოფიური კამათის წინააღმდეგ მოვბა რუდინის მსგავს ადამიანთან სრულიად შეუძლებელი საქმეა.

თუ რა ზომამზე საშიშარი მოკამათეა რუდინი, ეს ნაჩვენებია რომანში პიგასოვთან რუდინის შედაგების სცენაში. კარგი მოკადრავის მსგავსად რუდინმა ორი-სამი მოხერხებული წინადადებით ჩინში მოაქცია საბრალო პიგასოვი (რომელიც, არსებითად, სიმართლეს ლაპარაკობდა) და მოსპო იგი მსმენელთა თვალში, რისთვისაც ისე ოსტატურად გამოიყენა საკმაოდ ცნობილი ერისტიკული ხერხი (*mutatio controversiae*), რომ ასეთი ოსტატობა კამათში გორგია სოფისტსაც შეეხარბებოდა, ხოლო პლატონს სოფისტის ნიმუშად გამოადგებოდა „ევთიდემისტის“.

4

ყველა იმიდან, რაც ითქვა, საკმაოდ ცხადი ხდება რუდინის არსება ტურგენევის კონცეფციით. რუდინი სოფისტია და არა ფილოსოფოსი, არა მოაზროვნე კაცი, რომლის ძირითად ნიშანს შეადგენს ის, რომ იგი აზროვნობს და ქმნის ახალ-ახალს, მანამდე უცნობ აზრებს რეალურ გარემოებათა შესაფერისად: როდესაც იცვლება გარემოება, იცვლება მოაზროვნე ფილოსოფოსის აზრიც, ვინაიდან ნამდვილი ფილოსოფოსის აზრი ეფარდება გარემოებას, არის ამ გარემოების ფუნქცია, არ არის გარემოებისაგან მოწყვეტილი, არ არის განუყენებელი ან „მეტაფიზიკური“. ასეთი ფილოსოფოსისაგან განსხვავებით, რუდინი თვითონ კი არ ქმნის აზრებს, არამედ სესხულობს მათ სხვებისაგან. ამიტომ რუდინის აზრებს არ აზის რუდინის ინდივიდუალობის ბეჭედი. იქ არ იმყოფება რუდინის „მე ვფიქრობ“, რომელიც, თანახმად კანტისა, არის ყოველი ორიგინალური აზრის პირობა: რუდინის აზრებს აკლიათ ორიგინალობა, ბუნებრივობა, გენიალობა, ვინაიდან ორიგინალობის გარეშე გენიალობა ხომ შეუძლებელია. ამიტომ, ტურგენევის კონცეფციით, ბასისტოვი ცდებოდა, როდესაც მან აღტაცებულად წამოიძახა: „რუდინი გენიალური ბუნებაა!“ („Рудин — гениальная натура“). ამ წამოძახილით ტურგენევის რუდინის გენიალობა კი არ სურს დაამტკიცოს, არამედ ბასისტოვის ახალგაზრდული აღტაცება, რომელიც ჰიპერბოლებს და სხვა შეცდომებს აჩენს ძალიან ხშირად. „გენიალობა მასში, თითქოს, მოიპოვება“, უპასუხა ბასისტოვს ლეჟნოვიცმა, „მაგრამ ბუნება... უბედურებაც ის არის, რომ სწორედ ბუნება აკლია მას“. ტურგენევის აზრით, არც ლეჟნოვიც იყო აქ მთლად მართალი, ვინაიდან, თუმცა ლეჟნოვიც კარგად მიხვდა, რომ რუდინს აკლდა ბუნება („натура“), მაგრამ ფილოსოფიური განათლების სიმციროს გამო ლეჟნოვის არ ესმოდა, რომ იქ, სადაც არ არის ბუნება („ნატურა“), არ შეიძლება იყოს გენიალობაც, ვინაიდან გენიალური და ბუნებრივი („ნატურალური“) ერთსა და იმავეს ნიშნავენ¹. ამრიგად, თუ ბასისტოვის ფრაზით „რუდინი გენიალური ბუნებაა“ ტურგენევიც ცხადპყო ბასისტოვის აღტაც-

¹ სიტყვა „გენიოსი“ წარმოდგება ლათინური სიტყვიდან *gigno*, რაც ნიშნავს დაბადებას, გაჩენას. გენიოსია ის, ვინც ბადებს, ახალს აჩენს. სიტყვა „ნატურა“ კი წარმოდგება სიტყვიდან *nascor*, რაც აგრეთვე ნიშნავს დაბადებას, გაჩენას. „ნატურა“ (ბუნება) არის ის, რაც ბადებს, ახალს აჩენს.

ცემა, ლეწნიოვის პასუხით „გენიალობა რუდინში თითქო მოიპოვება“ ტურგენი-
 ნემა ცხადყო ლეწნიოვში ფილოსოფიური განათლების ნაკლებობა და ორჯერ
 შემთხვევაში გამოიჩინა თავისი კალმის მოძრაობათა შეუღარებელი სისუსტე.
 ოლონდ ტურგენევის ნაწერს უნდა დაკვირვება და გაგება. მე იმის მომხრე ვარ,
 რომ ტურგენევის ტექსტი ნელა, დაკვირვებულად ვიკითხოთ.

როგორც რომანიდან ირკვევა, რუდინის აზრები არ გამომდინარეობდნენ
 არც რუდინის ხასიათიდან და არც იმ რეალური სინამდვილიდან, რომლის წრე-
 შიც უხდებოდა რუდინის ცხოვრება. ამიტომ ეს აზრები არც რუდინის გარშემო
 არსებულ სინამდვილეს ეთანხმებოდნენ და არც თვითონ რუდინის ხასიათს.
 მართალია, რუდინი მწიგნობარი კაცია, მას ბევრი წიგნი წაუკითხავს. მაგრამ
 რუდინს არ აქვს სწორი წარმოდგენა სინამდვილეზე, იგი არ იცნობს იმ ქვეყა-
 ნას, სადაც ცხოვრობს, ე. ი. არ იცნობს თავის სამშობლო რუსეთს, და ამაშია
 მისი უბედურება, ამის გამო მოსდის მას მრავალი მარცხი ცხოვრებაში და
 ვერც ერთი საქმე, რომელსაც იგი კიდებს ხელს, ვერ მიჰყავს სასურველ დასას-
 რულამდე. ერთხელ რუდინმა განიზრახა ვიღაც მდიდარი კაცის მამული პოეზი-
 რაციონალურ საფუძველზე, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მეორეჯერ განიზრახა
 რომელიღაც მდინარის გაღრმავება და ნავოსნობის მოწყობა, მაგრამ აქაც არა-
 ფერი გამოუვიდა. მესამეჯერ განიზრახა გიმნაზიის მასწავლებლობა, მაგრამ
 აქაც დამარცხდა. ტურგენევის წარმოდგენით, ყველა ამ მარცხის მიზეზი იყო
 ის, რომ რუდინი არ იცნობდა ცხოვრებას, არ ესმოდა მისი მოთხოვნილებები,
 ვინაიდან მისი აზრები წიგნებიდან იყვნენ ამოღებული და რეალურ სინამდვი-
 ლეს არ ეთანხმებოდნენ.

ამავე დროს ეს აზრები არც რუდინის ბუნებას ეთანხმებოდნენ. ის წყარო,
 საიდანაც რუდინი სესხულობდა თავის აზრებს, იყო გერმანული ფილოსოფი-
 ური ლიტერატურა, განსაკუთრებით კი ჰეგელის ნაწერები. მაგრამ ჰეგელის
 ფილოსოფიური აზრების გადამუშავება (ერთი მხრით — კონკრეტული რეალური
 სინამდვილის შესატყვისად, მეორე მხრით — თავისი საკუთარი ხასიათის შესა-
 ფერისად) რუდინს არ ეხერხებოდა, ვინაიდან იგი არ იყო მოაზროვნე ფილო-
 სოფოსი. ამიტომ რუდინის ხასიათსა და რუდინის აზრებს შორის, რუდინის
 საქმესა და რუდინის სიტყვებს შორის დიდი წინააღმდეგობა სუფევდა. სიტყვით
 რუდინი ჭადაგებდა ჰეგელის რომანტიკულ იდეებს, მაგრამ თავისი ხასიათით
 და საქმით ეწინააღმდეგებოდა იმას, რასაც სიტყვით ჭადაგებდა¹. და თუმცა
 რუდინი არასოდეს არ დაცემულა მოღწილინისებურ სისაძაღლემდე, რომ მის
 სიტყვებსა და მის აზრებს შორის ყოფილიყო წინააღმდეგობა, მაგრამ რუდინის
 ცხოვრებაში ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც მისი საქმე, მისი ყოფაქცევა
 არ ეთანხმებოდა მის სიტყვას. ასე, მაგალითად, რუდინი, რომელიც ტურგენე-

¹ განა გერცენსაც ასე არ მოსდიოდა? სიტყვით გერცენი იზიარებდა ჰეგელის დიალექ-
 ტიკას, მაგრამ პრაქტიკულად მან ვერ შესძლო დიალექტიკურად მიდგომადა რუსულ სინამ-
 დვილეს და შეექმნა ამ სინამდვილის დიალექტიკური თეორია. გერცენის „რუსული სოცია-
 ლიზმი“ იყო წმინდა წყლის მებტაფიზიკა. რომელსაც დიალექტიკოსი მარქსი დასცილოდა. ამ-
 რიგად, სოფისტის ელემენტებისაგან თავისუფალი არ იყო თვით უდიდესი ფილოსოფოსი
 რუსეთისა XIX საუკუნის პირველ ნახევარში


ვის თქმით „სრულიად ჩათლული იყო გერმანულ პოეზიაში და გერმანიის რომანტიკულ და ფილოსოფიურ სამყაროში“ (თ. VI), ქადაგებს რომანტიკის ცნობილ დებულებას, რომ კაცი უნდა გულს უჯერებდეს და არა მშრალი განსჯის კარნახს. მაგრამ პრაქტიკულად, თავის საკუთარ ცხოვრებაში, რუდინი მისდევს განსჯას და ცხოვრობს არა გულით, არა გრძნობით, არამედ ანგარიშით, თითქო იგი ჰელვეციუსის ან ბენტამის ერთგული მოწაფე ყოფილიყო. ამდენად მას უფრო ფსევდორომანტიკოსის სახელი შეეფერება, ვიდრე ჭეშმარიტი რომანტიკოსისა¹. გულსა და გრძნობას მცირე ადგილი ეჭირათ რუდინის არსებაში, სამაგიეროდ კი განსჯას ეკუთვნოდა იქ დიდი ადგილი, ასე რომ, პიგასოვის მახვილი შედარებით, რუდინი გავდა ჩინურ ტიკინას, რომელსაც თავი ვეებერთელა აქვს, ტანი კი ძალიან პატარა. თუ ფილოსოფოსი პოკორსკი ჰარმონიული არსებაა, სოფისტი-ორატორი რუდინი დისპროპორციული, დისჰარმონიული, არაბუნებრივი, დამახინჯებული, გაორებული და რთული ადამიანია, თუმცა სიტყვით იგი ქადაგებს ბუნებრივობას, ჰარმონიას, სილამაზესა და სიმარტივეს. და ეს წინააღმდეგობა ძალიან კარგად არის გაშუქებული რომანში, თუმცა მეორე მხრივ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ავტორი (ალბათ კენზორულ პირობათა გამო) სდუმს და არაფერს ამბობს იმ რეალური მიზეზის შესახებ, რომელმაც ასე დაამახინჯა რუდინი, და ამის გამო მკითხველს შეუძლია მცდარი დასკვნა გააკეთოს, თითქოს რუდინის დამახინჯების მიზეზი იყო ფილოსოფია. თვითონ ტურგენევიც ატყობდა ამ შესაძლებლობას და ასეთი მცდარი დასკვნისაგან მკითხველთა დასაცავად ტურგენევი ეუბნება მათ ლექსიონის პირით, რომ „არ შეიძლება ყოველგვარი უბედურება ფილოსოფიას დაეპარალოთ“ (თ. VIII). მართლაც, რუდინის უბედურებათა წყარო, რომანის უცნობი კონცეფციით, ის კი არ იყო, რომ რუდინი იყო ფილოსოფოსი, არამედ ის, რომ რუდინი ვერ იქცა ფილოსოფოსად და დარჩა მხოლოდ ფილოსოფიური თეორიის მცოდნედ და ისიც — ისეთი ფილოსოფიური თეორიის, რომელიც შოპენჰაუერიანელ ტურგენევის აზრით, არამც თუ რუსულ სინამდვილეს, არამედ საზოგადოდ არავითარ სინამდვილეს არ შეეფერებოდა. ერთიანობა ფილოსოფოსი, და სხვა აზრის ფილოსოფიური თეორიების მცოდნე, ფილოსოფიის ყოველი პროფესორი ან ფილოსოფიური თეორიების მცოდნე, მაგრამ, შოპენჰაუერს თუ დაეუჯერეთ (ტურგენევი კი უჯერებდა შოპენჰაუერს), იშვიათია შემთხვევა, როდესაც ფილოსოფიის პროფესორის თანამდებობა უჭირავს ფილოსოფოსს, ფილოსოფოსმა საინოხამ უარი განაცხადა ფილოსოფიის კათედრაზე, რომელიც მას შეაძლიეს, ჩერნიშევსკიმ და მარქსმა ფილოსოფიის

¹ სწორედ ამგვარად რუდინი სიტყვით იყო XIX საუკუნის რომანტიკოსი და დიალექტიკოსი ჰეგელიანელი, მაგრამ ხასიათითა და ქცევით იგი იყო XVIII საუკუნის მეტაფიზიკოსი და განმანათლებელი და ძალიან ჩამოგავდა ფსევდო-კლასიკოსს. არა რომანტიკული, არამედ ფსევდო-კლასიკური არსება აქვს რუდინს იგი უფრო ხელოსან სალიერის გავს, ვიდრე ხელოვან მოცარტს, და მასში გენიალობა უფრო ნაკლებად არის მოცემული, ვიდრე გენიალობისადმი მიბძევა. ამდენად რომანი „რუდინი“ შეიძლება შეფასებულ იქნეს როგორც ტურგენევის ბრძოლა იმ ლიტერატურულ მოვლენათა წინააღმდეგ, რომლებსაც გარეგნულობა ჰქონდათ რომანტიკული, მაგრამ არსება — ფსევდო-კლასიკური, მიზაბეული.

პროფესორის თანამდებობას არჩიეს ურნალისტის კარიერა, ვლ. სულგინი კი მხოლოდ ერთი წელიწადი დაჰყო უნივერსიტეტის კათედრაზე.

ფილოსოფოსი კი არა, არამედ ფილოსოფიური თეორიების მკოდნე კაცი იყო რუდინი, და ის აზრებიც, რომლებიც ჰქონდა რუდინს ცხოვრების შესახებ, იყვნენ არა ფილოსოფიური, არამედ წიგნებიდან ამოკითხული და რეალური სინამდვილისაგან მოწყვეტილი ან „მეტაფიზიკური“, არა-დიალექტიკური, არა-ფილოსოფიური აზრები. რუდინის მთელი სიბრძნე იყო მწიგნობრული და ნასესხები სიბრძნე, რომელსაც ჰერაკლიტე ეფესელის ენაზე ეწოდება „მრავალმკოდნეობა“ (πολυμαθία), არისტოტელეს ენაზე კი ეწოდება „მოჩვენებითი სიბრძნე და არა ნამდვილი“ (ასეთი სახელი მისცა არისტოტელემ სოფისტიკას), ხოლო თვითონ რუდინი იყო სოფისტი და არა ფილოსოფოსი, რომლის საქმეა აზროვნება და სინამდვილის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ახალი აზრების შექმნა, ვინაიდან, ჰერაკლიტეს თანახმად, სინამდვილე ყოველთვის ახლდება და ახალ აზრებს მოითხოვს. არა ახალი აზრების შექმნის, არამედ სხვებისაგან მზა-მზარეულად გადმოღებული აზრების გადაცემის ან გავრცელების დიდი ოსტატი იყო რუდინი. ე. ი., რუდინი იყო იმ საქმის დიდი ოსტატი, რომელიც ორატორის, პროპაგანდისტის, მასწავლებლის, განმანათლებელის ხელობას შეადგენს, და რომ ნიკოლოზ პირველის თვითმპყრობელურ რუსეთში ორატორებს, პროპაგანდისტებს და მასწავლებლებს ჰქონოდათ ფართო ასპარეზი თავისი მოღვაწეობისათვის, რომ ისინი შეზღუდული არ ყოფილიყვნენ თვითმპყრობელური დესპოტიზმით, რომელიც მოქალაქეობრივი თავისუფლების აჩრდილსაც კი არ ითმენდა და ყველაფერს თავისი სულთამბუთავი კონტროლის ქვეშ აყენებდა, მაშინ რუდინის ბედს ძალი ვერ დაყვავდა და რუდინიც ძალიან საჭირო კაცად იქნებოდა თავის წრეში ცნობილი. ნამდვილად კი რუდინი ვერ პოულობს ნიკოლოზ პირველის რუსეთში მისთვის სასურველ ასპარეზს და, როგორც „ზედმეტი ადამიანი“ რუსეთისათვის, კვდება პარიზის ბარიკადებზე.

ტურგენევის კონცეფციით, ეს იყო სრულიად უაზრო და ყოველგვარ გამართლებას მოკლებული სიკვდილი, რაღაც შენიღბული თვითმკვლელობა, ვინაიდან რუდინი მოკვდა ისეთი საქმისათვის, რომელიც, ტურგენევის წარმოდგენით, თვითონ რუდინს არ სწამდა. რუდინისათვის სრულიად უცხო იყვნენ პარიზის მუშები, რომლებმაც 1848 წელს მოაწყვეს აჯანყება თავისი კერძო ეკონომიური ინტერესების დასაცავად, ხოლო თვითონ რუდინი იმდენად უცხო იყო ამ მუშებისათვის, რომ ისინი მას თვლიდნენ არა რუსად, არამედ პოლონელად, რაც დიდი შეურაცხყოფის მიყენება იყო რუდინის ეროვნული პიროვნებისათვის: ჩაგვთვალა რუსი პოლონელად ან ფრანგი გერმანელად, ნიშნავდა იმას, რომ ძალიან გეწყენინებინა რუსისა და ფრანგისათვის. რუდინის სწკვდილის უაზრობისათვის რომ გაესვა ხაზი, ტურგენევი შეაქვს რომანში საჭირო დეტალები: რუდინი გამოჩნდება ბარიკადაზე სწორედ იმ დროს, როდესაც ბრძოლა უკვე წაგებული იყო და დამარცხებული ინსურგენტები გარბოდნენ ბარიკადიდან და მხოლოდ თავის გადარჩენაზე ფიქრობდნენ. ვარდა ამისა, ტურგენევი დააქვრინებს რუდინს ხელში დაჩლუნგებულ ნმალს — სასაცილო იარაღს თოფებით შეიარაღებულ რეგულარული ჯარის წინააღმდეგ, რომელიც უტევდა უკვე დანგრეულ ბარიკადას.



მიუხედავად ყველა იმისა, რაც ითქვა, რუდინი, ტურგენეის წარმოდგენით, სრულიადაც არ იყო უსარგებლო კაცი რუსეთისათვის.

მართლაც, რუდინი იყო მხოლოდ სოფისტი, ორატორი, სიტყვის ოსტატი, მაგრამ ეს სოფისტი, ორატორი და სიტყვის ოსტატი ძალიან სასარგებლო და ძალიან საჭირო საქმეს აკეთებდა რუსეთში და იგი სრულიად არ იყო საზოგადოებისათვის ზედმეტი ადამიანი, თუმცა მას სხვები უსარგებლო და ზედმეტი ადამიანად თვლიდნენ¹. პირიქით, რუდინი მით უფრო მეტად იყო საჭირო კაცი რუსეთისათვის, რაც უფრო ვიწრო იყო მოქმედების ის ასპარეზი, რომელსაც თვითმპყრობელური და ბიუროკრატიული რუსეთი უთმობდა რუდინს, და რაც უფრო მცირე იყო რუსულ საზოგადოებაში რიცხვი ისეთი ადამიანებისა, რომლებსაც რუდინი საჭირო კაცად მიაჩნდათ. ტურგენეის აზრით, რუდინი იყო საზოგადოების წინწამწევი ძალა. ანტიკური ჰელადის სოფისტის მსგავსად, რუდინი არყვედა რუსეთის ტრადიციულ ყოფა-ცხოვრების ბარბაროსულ საფუძვლებს და შემოაქვნიდა ახალი სიო, ახალი აზრები. მართალია, ეს არ იყო თვითონ რუდინის მიერ შექმნილი აზრები, მაგრამ რუსეთში ისინი რუდინზე უკეთეს პროპაგანდისტს ვერ იპოვიდნენ, ვინაიდან თვითონ რუდინი იყო ამ აზრებით გატაცებული. რუდინი ენთუზიასტი იყო იმ აზრებისა, რომლებსაც ქადაგებდა². ჩვეულებრივი ადამიანებისაგან განსხვავებით, რუდინი ისეთი მასალისაგან იყო შექმნილი, რომელსაც უფრო ადვილად ეკიდება სხვისი აზრები და უფრო ადვილად შეუძლია ამ აზრთა სინათლისა და სითბოს გამტარებელი იარაღად იქცეს. რომანში აღნიშნულია, რომ წიგნები უფრო ძლიერ მოქმედებდნენ რუდინზე, ვიდრე მის ამხანაგებზე: რუდინი უფრო ადვილად ითვისებდა ამ წიგნების შინაარსს და მეტი გატაცებით კითხულობდა მათ. შეიძლება ითქვას, რომ თითქმის მთელი თავისი ცხოვრება რუდინმა სწავლაში გაატარა. იგი

¹ პისარევი, მაგალითად, ამტკიცებდა, რომ რუდინი მავნებელი მოვლენა იყო.

² აღსანიშნავია, რომ ამ მუხლში რუდინის სახე მეტად თუ ნაკლებად განსხვავდება სოფისტის პლატონისებური სახისაგან. პლატონის მიერ წარმოდგენილ სოფისტებს ახასიათებდა სრული გულგრილობა აზრისადმი. მათ აინტერესებდა არა აზრი (ე. ი. ნათქვამის აზრისეული შინაარსი), არამედ სიტყვა (ე. ი. ნათქვამის სიტყვიერი ფორმა), ვინაიდან მათი სკეპტიკური შეხედულებით ყოველი აზრი იმდენადვე ჭეშმარიტია, რამდენადც მისი საწინააღმდეგო აზრი. მაგალითად, დებულება „სიკეთე სჯობს სიავს“ სოფისტისათვის იმდენადვე ჭეშმარიტი იყო, რამდენადც დებულება „სიკეთე არ სჯობს სიავს“. ამიტომ სოფისტები მზად იყვნენ ყოველნაირი აზრის დაცვა ეკისრებინათ თავის თავზე. თუ კი ამისათვის მიიღებდნენ ჰომოროარს: სოფისტები ვაჭრობდნენ აზრებით, როგორც ვაჭრობენ მკვდარი ნივთებით, რომლებთანაც გულით არ არიან დაკავშირებული. რაც შეეხება რუდინს, იგი ასე გულგრილი არ არის აზრის მიმართ: იგი არ არის (თეორიულად მაინც) სკეპტიკოსი, თუმცა მეორე მხრით ისიც არ უნდა იქნეს დაეწვებული, რომ რუდინის სიყვარული აზრისადმი სასურველ დონეს მაინც არ აღწევს. თვითონ რუდინიც ამბობს ზომ: „მე აზრს არ ვემსახურებოდი ისე, როგორც საჭიროა“ (ეპილოგი). და მართლაც, როგორც რომანის დანარჩენი ნაწილებიდან ირკვევა, აზრს რუდინი აფასებდა იმდენად, რამდენადც შეიძლებოდა მისი გამოყენება ლამაზი სიტყვის წარმოსაოქმედო და მსმენელთა მოსაჯადოებლად. ე. ი. რუდინს აზრი კი არ ყვარებია თავისთავად, არამედ ის შედეგები, რომლებსაც იგი ამ აზრის პროპაგანდისაგან მოელოდა. ამდენად რუდინი ემსგავსებოდა სოფისტებს.

სწავლობს ჯერ რუსეთში, მოსკოვის უნივერსიტეტში, შემდეგ მიდის ევროპაში და, შექსპირის ჰამლეტის მსგავსად, აგრძელებს სწავლას გერმანიაში, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში. ერთი სიტყვით, რუდინი ნასწავლი კაცია, ინტელიგენტია, და მთელი მისი ნაკლი და უპირატესობა, მთელი მისი ტრაგედია არის არა ფილოსოფოსის, არამედ ნასწავლი კაცის ან ინტელიგენტის ტრაგედია ნიკოლოზ პირველის თვითმპყრობელურ და ბარბ.როსულ რუსეთში, სადაც ნასწავლ კაცს არ აფასებდნენ და სადაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვან დაწესებულებად სახელმწიფოში ითვლებოდა პოლიცია და ყველაზე უფრო საჭირო ადამიანებად მიაჩნდათ ჟანდარმები. თავისი დიდი სწავლა-განათლების გამო, რუდინი განათლების შუქის გამავრცელებელი ლამპარი იყო, რუდინი იყო ხიდი აზრის პირველ წყაროსა (ასეთი წყარო იყო XIX საუკუნის რუსეთისათვის დასავლეთი ევროპა) და ამ აზრის ზემოქმედების უკანასკნელ ობიექტს შორის (ასეთი ობიექტი იყო ევროპული აზრისათვის XIX საუკუნის რუსეთი). რუდინები აკავშირებდნენ იდეოლოგიურად ბატონ-ყმურ რუსეთს ბურჟუაზიულ ევროპასთან. თავისი ტანით (ე. ი. ნივთიერად) რუდინი ცხოვრობდა რუსეთში, მაგრამ თავისი აზრით (ე. ი. გონებრივად) იგი ცხოვრობდა დასავლეთ ევროპაში. ეს დასავლეთი ევროპა იყო რუდინის გონებრივი სამშობლო, და სწორედ ამიტომ ჰქონდა რუდინის სხვებზე უფრო მეტი უნარი თვითმპყრობელური და ბატონ-ყმური რუსეთის ევროპეიზაციის ძლიერი აგენტი ყოფილიყო.

6

ზევით ჩვენ განვიხილეთ, რომ რუდინი იყო არა ფილოსოფოსი, არამედ სოფისტი. მაგრამ ამით გაგებულა მხოლოდ ერთი მხარე რუდინის ბუნებისა, სახელდობრ — მისი გონიერები არსება, რომელიც, ტურგენევის აზრით, არ არის ადამიანის ბუნების მთავარი ძალა. ადამიანის ბუნების მთავარი ძალები მისი გონების გარეშე იმყოფებიან, და ეს ძალებია გრძნობა და ნებისყოფა — ასე ფიქრობდნენ რომანტიკოსები, რომლებიც ოპოზიციაში ედგნენ კლასიციზმის ინტელექტუალიზმს, და ტურგენევიც იზიარებს რომანტიკოსების ამ შეხედულებას. ამიტომ, ტურგენევის აზრით, რუდინი მხოლოდ მაშინ იქნებოდა კარგად დახასიათებული, როდესაც წარმოდგენილი იქნებოდა მისი ნებისყოფა და გრძნობა. მართალია, რუდინის გონებრივ არსებაშიც მოჩანს უკვე, თუ როგორი იყო მისი ნებისყოფა და გრძნობა, მაგრამ მოჩანს მხოლოდ ბუნდოვანად, არა-პირდაპირ. საჭირო იყო, რომ უფრო ნათლად და გარკვეულად ყოფილიყო წარმოდგენილი რუდინის ბუნების ეს მხარე. და აი, რუდინის ნებისყოფისა და გრძნობის დასახასიათებლად ტურგენევიც, თანახმად თავისი ჩვეულებრივი ხერხისა, საუკეთესო საშუალებად ჩასთვალა სიყვარულთ გამოცდა, ვინაიდან ტურგენევიც, რომანტიკოსების მსგავსად, დარწმუნებული იყო, რომ სიყვარულში ყველაზე უფრო კარგად მქლავნდება ადამიანის ხასიათი, მისი ნებისყოფა და გრძნობის უნარი, და, მამასადამე, რომანი (ე. ი. მოახრობა სიყვარულზე) არის ყველაზე უფრო შესაფერისი ლიტერატურული ჟანრი ადამიანის ბუნების ასახვას. ასეთია ის კომპოზიციური მნიშვნელობა, რომელიც ეკუთვნის „რუდინის“ ცენტრალურ ნაწილს — ნატალია ლასუნსკაიას და რუდინის სიყვარულის

ისტორიას. ამ ნაწილში უნდა გამოვლენილიყო რუდინის ხასიათი, მისე ნებების კოფა და გრძობა. ამიტომ შევცდომამ მოუვიდათ დრუჟინინს და სკაბინკის როდესაც ისინი უსაყვედურებდნენ ტურგენევს, რომ „რუდინის ხასიათი მთელი თავისი სისრულით ვერ გამომჟღავნდა მკითხველთა წინაშე რომანის ძირითად კვანძში“ და ამის გამო ტურგენევს მოუხდა „სიზიფეს მსგავსად“ კვლავ დაეწყო მუშაობა და რომანის ეპილოგში მაინც რუდინის დახასიათებო. ეს საყვედური უმართებულთა, იმიტომ რომ რომანის ცენტრალურ ნაწილში რუდინის ხასიათი იმის გამო ვერ გამოჩნდა, რომ რუდინს არ აღმოაჩნდა ხასიათი, და სწორედ ამით რომანის ამ ცენტრალურმა ნაწილმა სანიმუშოდ შეასრულა ის, რაც მას უნდა გაეკეთებინა. რაც შეეხება რომანის ეპილოგს, ტურგენევი იტყობს „სიზიფეს მუშაობას“ კი არ ეწევა, არამედ სანიმუშო თანამიმდევრობით ამთავრებს რუდინის დახასიათების იმ საქმეს, რომელიც მას დაწყებული ჰქონდა წინა ნაწილში. ჩვენ უნდა დავეთანხმოთ დრუჟინინს, რომ „რუდინი არ არის ისეთი კაცი, რომლის მთელი არსება გამოჩნდება ვნებაში“. მაგრამ ეს გარემოება ტურგენევსაც დრუჟინინზე ნაკლებად არ ჰქონდა შენიშნული, და თუ მან საჭიროდ დაინახა რუდინის გამოცდა ვნებაში, ეს მან იმიტომ ჩაიდინა, რათა ეჩვენებინა მკითხველისათვის სწორედ ის, რასაც ამბობს დრუჟინინი, ე. ი. რათა ეჩვენებინა, რომ რუდინი არ არის ის კაცი, რომლის მთელი არსება ვნებაში გამოჩნდება, რომ რუდინი გაორებული კაცია, რომ მისი თავი არ ეთანხმება მის გულს.


რომანის ცენტრალური ნაწილი, რომელიც შეიცავს რუდინისა და ნატალია ლასუნსკაიას სიყვარულის ისტორიას, წარმოადგენს პოეტური შემოქმედების შედეგს. იგი იკითხება უდიდესი ინტერესით და იმდენ კმაყოფილებას აღწევს კაცს, რომ ვინც ერთხელ წაიკითხა ეს რომანი, მას არასოდეს არ მოშორდება მისი მოგონება და ცოცხალი სურვილი ამ ნაწარმოების ხელმეორედ გადაკითხვისა. უადგილობის გამო ჩვენ არ შეგუდგებით ამ ნაწილის დეტალურ გარჩევას და დავეკმაყოფილებით მხოლოდ მისი მთავარი მოქმედი პირების (რუდინისა და ნატაშას) შესახებ მოკლე შენიშვნებით.

რომანის ამ ცენტრალურ ნაწილში რუდინის სახეს საფუძვლად უდევს რომანტიკული გმირის სქემა. რუდინი მკლავდებდა აქ როგორც რეალისტური თვლით განგვრეტილი და გვირგვინ-ახილი რომანტიკული გმირი. ამ სახის შექმნით ტურგენევი იმიჯნებოდა თავისი ახალგაზრდობის რომანტიკული ვატაცებებისაგან და ცდილობდა დაეძლია ისინი მხატვრული შემოქმედების საშუალებით. ამდენად რუდინი ენათესავება „ჩაილდ-ჰაროლდის მოსასხამში გამოწყობილ მოსკოველებს“ — პუშკინის ონეგინს, და ლერმონტოვის პეჩორინს, რომლებსაგან ის მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ თავისი მოსასხამი მის ნასესხები აქვს არა ბაირონისაგან, არამედ ჰეგელისაგან: რუდინი ჰეგელიანურ მოსასხამში გამოწყობილი მოსკოველია, მას ჩაილდ-ჰაროლდის მოძველებული მოსასხამი ჰეგელის ახალი მოსასხამით შეუცვლია, ე. ი. მხოლოდ განუახლებია მასკარადი და არ უარუყვია თვით პრინციპი მასკარადისა. ამრიგად, რუდინი ღვიძლი ძმა არის ეგგენი ონეგინისა, რომელიც, თანახმად პუშკინის რომანისა, იყო ბუნებრივ ორიგინალობას მოკლებული „მიბაძვა“, უძლური ლანდი, უსისხლბორცო მოჩვენება ან „ჰაროლია“.

აწარმოებდა რა კლასიციზმის კრიტიკას, რომანტიზმი უსაყვედურებდა მას ბუნებისაგან განდგომას, განყენებულობას, ხელოვნურობას, რეალური სინამდვილის კანონების დარღვევას. მაგრამ მხატვრული რეალიზმის სამსჯავროს წინაშე აღმოჩნდა, რომ თვითონ რომანტიზმი იყო ბუნებისგან განდგომა და რეალური სინამდვილის კანონების დარღვევა, რომ თვითონ რომანტიზმი იყო ხელოვნური, არაბუნებრივი, განყენებული. რომანტიზმის ეს რეალისტური კრიტიკა დაწყებული ჰქონდა უკვე პუშკინს, რომლის პოემა „ბოშები“ გვირგვინს აცლის რომანტიკულ გმირს, ნათელჰჰოფს მის „უიმედო ეგოიზმს“ და ამასთან ერთად ამჟღავნებს რომანტიზმის ცალმხრივობას. თავისი პოემით „ბოშები“ პუშკინმა დაასრულა რომანტიზმის განვითარება რუსეთში და გზა გაუხსნა მხატვრულ რეალიზმს, ხოლო თავისი რომანით „ევგენი ონეგინი“ პუშკინმა კიდევ უფრო გააღრმავა რომანტიზმის კრიტიკა, ჩამოგლიჯა რომანტიკულ გმირს ლამაზი ნილაბი და ცხადპყო, რომ იგი არის „პაროდია“. რუდინის სახის შექმნით ტურგენევი აგრძელებდა გზას თავისი „ძვირფასი მასწავლებლისა“ (ასე ეძახდა ტურგენევი პუშკინს). ტურგენევის კონცეფციით, ონეგინის მსგავსად რუდინიც არის ერთგვარი „პაროდია“: იგი ვარიანტია იმ ადამიანისა, რომელსაც პუშკინი ეძახდა „თანამედროვე ადამიანს“ (современный человек)¹!, ხოლო ლერმონტოვი — „ჩვენი დროის გმირს“ და რომელსაც, დოსტოევსკის ენით რომ ვილაპარაკოთ, სხვადასხვა პირობათა გამო არ ჰქონდა მტკაცვე კავშირი თავის „ნიადგთან“, თავის ხალხთან, ამის გამო მოკლებული იყო ხასიათის სიმაგრეს, ნებისყოფისა და გრძნობის ძალას და უფრო მეტად მკრთალ ლანდს ჰგავდა, ვიდრე ცოცხალ ადამიანს.

სწორედ ეს ლანდისებური, ეს არაბუნებრივი და სინამდვილისაგან განყენებული არსება რუდინისა მოჩანს მის რომანში ნატალიასთან. რუდინის სიყვარული ნატალიას მიმართ უფრო სიყვარულის აჩრდილი იყო, ვიდრე ნამდვილი სიყვარული, ვინაიდან მას აკლდა ნამდვილი სიყვარულის ენერჯია. იმდენად სუსტი, იმდენად მერყევი და გაუბედავი იყო ეს სიყვარული, რომ არც კი იცით, შეიძლება თუ არა მას სიყვარულის სახელი ეწოდოს. ონეგინისა და პეჩორინის მსგავსად, რუდინი მოკლებულია სიმტკიცეს სიყვარულში: ერთის მხრით, მას თითქოს უყვარს ნატაშა, მეორე მხრით კი — თითქოს არ უყვარს: ასე უყვარდა ონეგინს ტატიანა, ხოლო პეჩორინს — თავადის ასული მერი. მართლაც, რუდინი ისეთ სიტყვებს ეუბნება ნატალიას და ისეთნაირად იქცევა მის მიმართ, რომ ახალგაზრდა, გამოუცდელი ნატალია მიდის დასკვნამდე, რუდინს ვუყვარვარო. მაგრამ როდესაც ნატალია მზად არის ცოლად გაყვეს რუდინს, უკანასკნელი შეშინდება და უკან დაიხევის. ასეთია რუდინის სიყვარულის სქემა, და ამ სქემით ვითარდებოდა აგრეთვე პეჩორინის სიყვარული ლერმონტოვთან. როგორც ონეგინი და პეჩორინი, რუდინიც მერყევია სიყვარულში, მას არ შეუძლია გაბედულად, თავდავიწყებულად მიეცეს სიყვარულს, თუმცა ძალიან სურს ეს: „Я отдаюсь весь, с жадностью, вполне — и не могу отдаться“, ამბობს რუდინი თავის შესახებ და, ტურგენევის აზრით, ამ შემთხვევაში რუდინი არ ცდებოდა, გასურდეს სიყვარული და არ გჭონდეს ძალა შეიყვარო, ეს ხომ

¹ „ევგენი ონეგინი“, თ. VII, სტრ. 22.



ჯოჯობეთური ტანჯვაა, დემონური განცდაა, და რუდინში არის რაღაც დემონური და საბედისწერო. რუდინიც თითქოს გრძნობს ამას ბუნდოვანად, და მისი საც ამბობს: „მე ჩემი ბედის მეშინიაო“. ლერმონტოვის დემონის მსგავსად, რუდინს აკლია სიყვარულის ძალა და იგი თავის თავშია ჩაქეტილი, თავისი „მე“-დან ვერ ამოდის. რომანში მრავალჯერ არის აღნიშნული რუდინის ეს „უიმედო ეგოიზმი“, რომელიც ამსგავსებს მას პუშკინის ალექსს, ლერმონტოვის პეჩორინს და მრავალ სხვა ბაირონისებურ გმირს.

ამრიგად, თავის სიყვარულში ნატალიას მიმართ რუდინი გამოჩნდა მკითხველთა წინაშე არა როგორც ბუნებრივი და ნამდვილი ვაჟკაცი, არამედ როგორც მისი. მკრთალი მიბაძვა. ზევით, როდესაც ესინჯავდით რუდინის გონებრივ არსებას, ჩვენ იმ დასკვნამდის მივდებით, რომ ტურგენევის წარმოდგენით რუდინი იყო ბრძენი კაცის ლანდი ან მოჩვენება. ახლა, როდესაც გავსინჯავთ რუდინის ნებისყოფა და გრძნობა, ჩვენ იმ დისკვნამდის მივდივართ, რომ რუდინი იყო ვაჟკაცის ლანდი ან მოჩვენება. თუ შევაერთეთ ეს ორი დასკვნა, მივიღებთ იმ ზოგად დებულებას, რომ რუდინი იყო ლანდი, მოჩვენება, მიბაძვა, „პაროდია“, რომ მას აკლდა სინამდვილე, ბუნებრივობა, თავისთავადობა, ე. ი. აკლდა ის, რის უმაღლეს მოვლენას წარმოადგენს გენიალობა.

აქედან გასაგები ხდება ის გარემოება, რომ ტურგენევი თავდაპირველად ფიქრობდა თავისი რომანისათვის მიეცა სათაურად „გენიალური აზრება“, რათა ამ ირონიული სათაურით ხაზი გაესვა რუდინის ძირითადი ნაკლისათვის, ე. ი. იმისათვის, რომ რომანტიკულ გმირების მსგავსად, რომლებსაც აწუხებდა „ორიგინალობის სურვილი“ და თავი მოჰქონდათ გენიოსებად, რუდინი მოკლებული იყო ნამდვილ ორიგინალობას, ნამდვილ გენიალობას, და ეს რომანტიკული პრეტენზიაც გენიალობაზე იყო არა ნამდვილი, არამედ მოჩვენებითი გენიალობა. რომანტიზმის მიმართ ოპოზიციურად განწყობილ რეალისტ ტურგენევის აზრით, ნამდვილი გენიალობის წყაროა თავის ხალხთან და რეალულ სინამდვილესთან კავშირი და არა ამაყი ინდივიდუალისტური განმარტობა. სწორედ ეს აზრი არის „რუდინის“ დედა-აზრი ან ძირითადი იდეა, და, ამრიგად, მთელი ეს რომანი მიმართულია ეროვნული მიმბაძველობის წინააღმდეგ და იცავს ეროვნული თვითგარკვევის, ეროვნული თავისთავადობის პრინციპს: ვინც კარგავს კავშირს თავის ხალხთან, ვინც ეთიშება თავის ეროვნულ საფუძველს და უცხოელთა შრმა მიმბაძველად იქცევა, ის აუცილებლად იფიტება და იღუპებაო.

„კოსმოპოლიტიზმი სისულელეა, კოსმოპოლიტი ნულია, ის ნულზეც უარესია. ხალხურობის გარეშე არ არის არც ხელოვნება, არც ჭეშმარიტება, არც სიცოცხლე“ — ასე მშენიანად გამოთქვამს ლეჟნიოვის პირით თვითონ ტურგენევი თავის რომანის დედა-აზრს, რომელიც მკიდროდ აკავშირებს ამ რომანს რუსული ლიტერატურის ისეთ კლასიკურ მოვლენებთან, როგორიცაა გრიბოედოვის „ვაი კუჟისაგან“, პუშკინის „ეგენი ონეგინი“ და ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“. ტურგენევის ზემომოყვანილ სიტყვებში ისმის მთელი რუსული ლიტერატურის უღრმესი და უძლიერესი აზრი, რომელმაც ქართველ მწერალს ილია ჭავჭავაძეს ათქმევინა, რომ „რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზეო“.



რუდინი არის ტურგენევის რომანის ცენტრალური ფიგურა. რომანის დასაწყისში მოქმედ პირთა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ნატალია ლასუნსკაია, რომლის სახე ტურგენევის გამოქანდაკებული აქვს მისთვის ჩვეული ოსტატობით.

ნატალია ლასუნსკაია ქალის იდეალად ყავთ ხშირად წარმოდგენილი. რამდენი დითორაში დაწერილა ამ ქალიშვილის სახატობოდ, ვინ ჩამოთვლის. მართლაც, ნატალიას ახასიათებს ბევრი კარგი თვისება. ერთი ასეთი თვისებაა ის, რომ ნატალიას არ აკმაყოფილებს მისი წრე და იგი ეძებს რაღაც უკეთესს. ქალის ცხოვრების განვითარებაში ასეთი ძიება ჩვეულებრივი მოვლენაა: როდესაც ქალი განსაზღვრულ ასაკს მიაღწევს (ფიზიოლოგიაში ამ ასაკს ეწოდება *nubilitas*), მას უკვე არ აკმაყოფილებს მისი ოჯახი, მისი ახლობელი წრე, და იგი ეძებს ახალ ოჯახს, ახალ წრეს. ჩვეულებრივ ენაზე ამის შესახებ იტყვიან ხოლმე „ქალს უნდა გათხოვებო“. მაგრამ, ჩვენის აზრით, ამ ბუნებრივი მოვლენის გამორკვევა ნატალია ლასუნსკაიას პირად ღირსებად და თითქმის მის მორალურ დამსახურებად შექველი გადაქარბება იქნებოდა, და ასეთი გადაჭარბება რეალისტ ტურგენევის ზრახვას არ შეეფერება.

ნატალია ლასუნსკაიას მეორე ღირსებად თვლიან ნებისყოფის ძალას და სითამამეს; მართლაც, ნატალია ლასუნსკაია ძალიან თამამი ქალიშვილია, იგი მზად არის გადალახოს დედის ნება-სურვილი (მამა ნატალიას მკვდარი ჰყავდა) და ცოლად გაყვეს უგვარო, უხარისხო და ღარიბ რუდინს. ერთის შეხედვით, ეს ძალიან სიმპათიური რამ არის. მაგრამ კრიტიკული თვალთ თუ გასინჯავს ვინმე ნატალიას ამ სითამამეს, შეიძლება მან იქ იმ თავნებობის ჩანასახი დაინახოს, რომლის მომწიფებულ ფორმას საოჯახო დესპოტიზმი. ტყუილ-უბრალოდ კი არ ეუბნება ლეჟინოვი თავის ცოლს ალექსანდრა პავლოვნას, რომლის ძმა, როტმისტრი ვოლინცევი, აპირებდა ნატალიაზე ჯვარის დაწერას: ჩვენს შორის რაღა დასამალავია, რომ ოჯახის მბრძანებელი იქნება ნატალია („*командовать будет она*“). რა საჭიროა ოჯახში მბრძანებლობა (*командование*), თუ ოჯახი სიყვარულზეა აშენებული? შესაძლებელია, რომ თავისი ქალური ინსტინქტით ნატალია ეძებდა რუდინში ისეთ ქმარს, რომლის მსგავსს გრიბოედოვის სოფიოც ეძებდა თავისათვის. აი ასეთ ქმრებს ეძახდა ჩაცკი

„ქმარი-მსახური, მონა ცოლისა,
და მისი კაბის კუდის მწვეელი“¹.

ცხადია, რომ რუდინი ამგვარი ქმრის როლში ვერ გამოდგებოდა.

შეძველად კარგს შთაბეჭდილებას სტოვებს მკითხველზე, ის გარემოება, რომ ნატალია სერიოზული აღამიანია, არ იბრანჭება, არ ეკუთვნის იმ ქარაფშუტა ქალიშვილთა რიცხვს, რომლებიც მთელი დღე-ღამე მხოლოდ თავის სილამაზეზე ფიქრობენ. ნატალიას აინტერესებს ლიტერატურა, აინტერესებს ცხოვრებისა და მეცნიერების დიდი საკითხები. დადებითი თვისებაა აგრეთვე ის, რომ ნატალიაზე ძლიერ მოქმედებენ რუდინის აღფრთოვანებული სიტყვები, რომ ნატალიას შეუძლია მამაკაცში შეამჩნიოს არა მხოლოდ მისი ფიზიკური,

¹ გრიბოედოვი, „ვი-ქუისაჲან“.



აღსანიშნავია, რომ ბევრი ამ მეორე წყებაში მოცემულ სიტყვათაგანი სრულებით არ გვხვდება სხვა რედაქციის ოთხთავებში. ასეთია, მაგალითად, სიტყვები: ფიჩჳ, გხუეკდენ, მელორენი, საყურძენი, ტავარი, ნიაქარი, მიმოღაი-სრუანვიდა, ყლავილი, ჰმალდა, მეონხეთა, კუელი, ატრბანა, იუსვლოდა, ზუზ-ლათა, მივტონტმანებდი, დაქოლეს და სხ. ამიტომ ბუნებრივი იქნებოდა, თუ მართლ ამის მიხედვითაც ვიტყვოდით, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს იმ, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ, რედაქციასთან.

მაგრამ მართლ ამის აღნიშვნა აქ არ კმარა. თუ ზემოთ წარმოდგენილი განსხვავებული ლექსიკური მასალა სხვა რედაქციისაა, მაშინ კითხვა ის-მემა: ხომ არ შეინიშნება მინც ამ ლექსიკურ სხვაობებში რაიმე ზოგადი კანონ-ზომიერება? ხომ არ შეიძლება გამოჩანულ იქნეს რაიმე ისეთი პრინციპი, რომელიც საფუძვლად უდევს ადიშური რედაქციის ამ განსხვავებულ ფორმებს?¹ გვგონია შეიძლება.

A. მისწრაფება ახალი ფორმებისაკენ

ერთ-ერთი ასეთი პრინციპი, რომელიც გატარებულია ადიშური რედაქციის აქ აღნიშნულ სიტყვიერ მასალაში, უნდა იყოს მთარგმნელის მისწრაფება ახალი ფორმებისაკენ. მართლაც, ადრის ოთხთავში, ძველს ქართულში საყოველთაოდ ცნობილი უძველესი ფორმების გვერდი ჩვენ უხვდებით განსაკვიფრებელი სიახლის ნაინიშნებელ ფორმებსაც. აიხსნება ეს ეპოქის სიახლით, რომელშიც ეს ძველი ითარგმნა, თუ მთარგმნელის ენი თავისებურებით (თვით ძველსავე ეპოქაში), — ამჟამად ძნელი გადასაწყვეტია. აქ ძრული საკითხის საფუძვლიდან გამორკვევისათვის საჭიროა კიდევ სხვა, დამატებითი მასალების მოხმობა, რაც ახლა არ წარმოადგენს ჩვენი კვლევის უშუალო საგანს².

ეს ახალი ფორმები თვალში გვეცემა კაცს, როცა ამ ძველის ფორმებს სხვა რედაქციის შესაბამ ადგილებს უდარებ. უმჯობელია, მაგალითად, ამ წყევალ გამო-

¹ როცა საკითხს ასე ვსვამთ, ჩვენ, რასაკვირველია, განზრახული არ გვაქვს, ადრის ძველის ენის დიალექტურ თავისებურებაზე ჩამოვადგოთ საუბარი. კიდევ რომ მოსაზრებელი ვყოფილიყო ყველა ზემოთ აღნიშნული ლექსიკური სხვაობა დიალექტურ ფორმებამდე დაკუყვანა. მაშინაც შესაძლებელი იქნებოდა ამ ზოგადი კანონზომიერების ძიება. მაგრამ საქმე ისაა, რომ ზემოთ წარმოდგენილ ლექსიკურ სხვაობათა მთლიანად დიალექტურ ფორმებამდე დაყვანა შეუძლებელია.

² ნ. მარი, მაგალითად, სინამდვილესთან უფრო ახლოდ ბირველ მოსაზრებას იტყობდა. ის წერდა: „Адишская (d) рукопись грузинского евангелия считается древнейшею по одной из двух дат; состояние текста показывает, что согласится с такой древнею датой, как IX век, нет никакой возможности“ (Христианский Восток, т. II, вып. III стр. 164). ამ დასკვნამდე ნ. მარი მივიდა უმთავრესად ძველის ლექსიკური მასალის ანალიზის საფუძველზე, თუმცა ნაინაღიზო მასალა მას ძალიან მცირე რაოდენობით ჰქონდა გამოყენებული.

თქმაში: „ქვად დაჰკრიბეს მას“ და „დაქოლეს იგი“ (ი. 10, 31) მეორე უფრო ახალია, ძველს ქართულში მის ნაცვლად თითქმის ყოველთვის პირველად გამოთქმა („ქვად დაჰკრიბეს მას“) იხმარება. ასევე დამახასიათებელია, რომ აღნიშნის ძველი გაურბის ძველი ქართულისათვის კარგად ცნობილი — „თუნიერ“-სიტყვის ხმარებას და მას ან „გარეშე“-თი ცვლის (მრ. 4, 34; ი. 1, 3), ანდა სათანადოდ სახელს უ—ო აფიქსებს ურთავს: თუნიერ იგავისა — უთკავოდ (მ. 13, 34); ორივე ეს სახე ახალი ქართულის დამახასიათებელი თვისებაა.

კიდევ უფრო დამახასიათებელია ერთი ძველი სიტყვის ბედი ჩვენს ძველში. ეს არის „დადგრომა“. ეს სიტყვა ოთხთავში ძალიან ხშირად იხმარება, მაგრამ აღნიშნის ძველში ის უმეტესად სხვა ფორმებით არის შეცვლილი, ამასთან ამ შემცვლელ ფორმებს უფრო მეტი სიახლე ახასიათებს. ასე, მაგალითად, „დაადგრა“—ს ნაცვლად ერთგან (ლ. 2, 9) „დაადგვა“ გვაქვს, მეორეგან (ლ. 1, 56; ი. 7, 9) — „დადგა“, ხოლო მესამეგან (ი. 11, 54) — „იქცეოდა“. „დაადგა“ და „დადგა“ მოგვაგონებს ახლანდელ ქართულს. აი, კიდევ ამ „დადგრომას“-ს სხვა შესატყვისებიც: დაადგერიოთ — ელოდეთ მრ. 14, 34; დაადგრა უტყუად — ღვა დადუმებული ლ. 1, 22; დაადგერ — იყავ ლ. 24, 29; დადგრომად — დაყოფად ლ. 24, 29; დაადგრეს — დაიყოფნეს ი. 1, 39; დაადგრა — იყო ი. 2, 12; 4, 40; დადგრომილ — დამკვდრებულ ი. 5, 38; დადგრომილ არს — დამკვდროს ი. 6, 56; დაადგრეს — დაიმკვდრის ი. 8, 35 (ორჯერ); დაადგრა — იყოფოდა ი. 10, 40; და-და-დადგრა — ადგილ-იყრა ი. 11, 6; დაადგრეს — დაშოეს ი. 12, 46; დაადგრეს — დამკვდროს ი. 14, 16; დაადგრეთ — დამტკიცებულ ძყენით ი. 15, 4; დაადგრეს — დამტკიცებულ იყოს ი. 15, 5; დაადგერიოთ — მტკიცედ ეგენით ი. 15, 9. ასე გაურბის ჩვენი ძველი ამ სიტყვას. და ამიტომ ვასაკვირია, რომ იშვიათად აქაც ამოტივტივდება ხოლმე ეს „დაწუნებული“ სიტყვა: დადგრომად — დადგრომად მრ. 4, 32; ნ. აგრეთვე ი. 1, 32, 33; 3, 36; 8, 44; 14, 23; 15, 4, 6, 7; 19, 31. მაგრამ უფრო საინტერესოა აქ ისაა, რომ ამითგან ერთ ადგილას ეს ფორმა სხვა რედაქციების სულ სხვა სიტყვის ნაცვლად არის გამოყენებული: ეგნენ — დაადგრენ (ი. 15, 7).


აქ აღარ გავაგრძელებთ საუბარს სხვა მსგავსი სიტყვების შესახებ. ქვემოთ ჩამოვთვლით მხოლოდ მათ ოთხთავის რიგის მიხედვით:

ტ

გან-რად-ავგზადეს
 ყურბალსა
 განიცადენით
 განიცდი
 ვროსავანნი
 წიღოვნებასა
 თქსავან
 შესწავებული
 შესათხვეული
 ერჩიან
 დ აბნეხა და ქალაქქმსა

ღ

განჰკვრვიდეს მ. 4, 21
 დაწუსა მ. 5, 39
 მიხედეთ მ. 6, 28
 იხელად მ. 7, 3
 ეროსა კაცნი მ. 8, 9
 სისხლისა დინებასა მ. 9, 20
 მარტოდ მ. 17, 1
 წარჩინებული მ. 27, 16.
 მონადირე მრ. 1, 17.
 დაეშორილენიან მრ. 1, 27
 და-და-ქლოაქთა მრ. 1, 38



განევთა	განიყოს მრ. 8, 24, 25
გამოუთარგმანის	განუშარტებნ მრ. 4, 34
განტუებულ იყო	შოელია მრ. 5, 29
აწუკდა	აძთულა მრ. 6, 45
გულ-პურობილ	მტკიცე მრ. 6, 50
ნამუსრევი	ნატენი მრ. 8, 19
დაჩჩუან	მოლბიან მრ. 13, 28
მაცხოვარი	მესნელი ლ. 2, 11
მამა და დედა	მშობელნი ლ. 2, 41
გულარძინლი	ძნელოვანი ლ. 3, 5
ტარიგი	კრავი ი. 1, 36
საესებელი	სარწყული ი. 4, 11
ერთბამად	ერთად ი. 4, 36
შე-ოდენ-რიკუნებოდა	დაბნელდა ი. 6, 17
ჰვიცს	დაშთეს ი. 6, 27
მომენი (соседи, ყოყხე)	მეზობელნი ი. 9, 8
ევოს	დგეს ი. 12, 34
არდავი	მწუარი ი. 13, 4
მეყეულად	მყის ი. 13, 32
ილუწიდეს	ჰბრძოდეს ი. 18, 36
ზოგად	ერთად ი. 20, 4
სათნელობად	თევზობად ი. 21, 3
კაბუე	ყრმა ი. 21, 18.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ კიდევ ერთ სიტყვას. ეს არის ცნობილი კომპოზიტი „მამა-დედა“, რომელიც უძველეს ტექსტებში და ოთხთავის ყველა ცნობილ ნუსხაში ამ სახითაა წარმოდგენილი: პირველ ადგილზე „მამა“, მეორეზე — „დედა“¹. მაგრამ მოგვიანო ხანის ძველ ტექსტებში შეტანილი შეტარებული სახით გვხვდება: პირველ ადგილზე „დედა“, მეორეზე — „მამა“. სწორედ ამ სახითაა მოცემული ეს საინტერესო სიტყვა ერთ ადგილას ჩვენს ძველშიც: „და აღდგენ შვილნი დედა-მამათა ზედა თჳსთა (მ. 10, 21)“. დანარჩენ შემთხვევაში ამ კომპოზიტს ისევ ახალი ტერმინი — „მშობელნი“ (ცვლის (ლ. 2, 27, 41, 43; ი. 8, 18, 20, 23)².

ამავე სახელზე მიუთითებს აგრეთვე ამ რედაქციის ენის ზოგიერთი სხვა (არა ლექსიკური) მხარეც; ამიტომ არ იქნება ზედმეტი ამ მხარეებზედაც მოვლედ აქვე შევჩერდეთ.

¹ შდრ. „ვრ. ხანძთელის ცხოვრებიდან“ ერთი ადგილი: „ესე იყო შვილი წარჩინებულთა დაღებულთა და მართლ-მორწმუნეთა მამა-დედათა (ვრ. ხანძთელის ცხოვრება, ბ. 27—28).

² გამონაკლისს შეადგენს ერთი ადგილი მარკონის თავიდან, სადაც ეს სიტყვა ძველბურთი სახითაა მოცემული: „მამა-დედათა“ (მრ. 13, 12). მაგრამ ამაზე ქვემოთ ცალკე ვივარაუდებ.



ა) უპირველეს ყოვლისა, ხაზი უნდა გაეუსვიათ ე. წ. ახალი (ეზ-იანი) მრავლობითის ფორმების სინჭირეს ოპიზურ რედაქციასთან შედარებით. ფორმებია:

ღ	ღ
ღორთაჲ	ღორებისაჲ მ. 8, 30
ღორთასი	ღორებისასა მ. 8, 31, 32
ერდოთა	ერდოებსა მ. 10, 27
უბანთა (ზა)	(ზა) უბნებსა მ. 11, 16; 12, 19
იგავნი	იგავები მ. 13, 53.
საფლავთა	საფლავებსა მ. 23, 29
წიგნი	წიგნები მ. 26, 54, 56.
რტოთა	რტოებსა მრ. 11, 8.
ნათესავნი	თესლები ლ. 1, 48 (?)
მეგობარნი	მეგობრებ ლ. 16, 9
დედათაჲ	დედებისაჲ ლ. 23, 27.
წიგნთა	წიგნებსა ლ. 24, 32
წიგნთა	წიგნებისა ლ. 21, 45
კაცთა	კაცებსა ი. 4, 28
წიგნთავან	წიგნები ი. 5, 39
კაცთა	კაცებთან ი. 6, 14.

არის შემთხვევები, როცა ოპიზური რედაქციის მხოლოდობითის ფორმების ნაცვლად აქ აშნაირივე ეზ-იანი მრავლობითის ფორმებია წარმოდგენილი, მაგალითად:

იგავი	იგავები მ. 21, 45
ტურთი	ტურთები მ. 23, 4
ერდოსა	ერდოებსა მ. 24, 17
თაფისა	თაფებისა ლ. 16, 9
რტოჲ	რტოები ი. 12, 13
თევზითა	თევზებითურთ ი. 21, 8
თევზითა	თევზებითა ი. 21, 11.

აღსანიშნავია, რომ აქ ეზ-იანი მრავლობითის ფორმით წარმოდგენილი მ სიტყვიდან 3 უკვე ზემოთ იყო აღნიშნული (რტოები, იგავები, ერდოები); ჩანს, ეს ეზ-იანი მრავლობითი პირველ ხანებში განსაზღვრულ სახელებზე ვრცელდებოდა მხოლოდ¹. უფკველია, რომ ზემოთ მოტანილი ორივე სახის მავალი-თები ვინის გარკვეულ სახელებზე ლაპარაკობენ.

¹ კ. დონდუა, О двух суффиксах множественности в Грузинском: Язык и мышление, გვ. 43—66.




ბ) ამასვე გვიჩვენებს პირველი ობიექტური პირის ნიშნად (მრ. რედაქციის პრეფიქსის ხშირი ხმარება იმ შემთხვევებში, როცა ოპიზური რედაქციის ნაღო ადგილებში მხოლოდ მ მოიპოვება:

დამიდგინა	დაგვდგინა მ. 20, 7
მეციო	გუეციო მ. 25, 8
შეშეწიე	შეგუეწიე მრ. 9, 22
მოიეც	მოგუეც მრ. 10, 37
დამიწერა	დაგვწერა მრ. 12, 19
მეწეა	გუეცნობა ლ. 2, 15 (?)
შემიწყალენ	შეგვწყალენ ლ. 17, 13
მეტყოდა	გუეტყოდა ლ. 24, 32
გამომითარგმანგებდა	განგვმარტებდა ლ. 24, 32 (?)
მიჩუენებ	გვჩუენო ი. 2, 18
მოძეა	მოგუეცა ი. 4, 12
მიტხრას	გუტხრას ი. 4, 25
მოიეც	გუეც ი. 6, 34
მიჩუენე	გვჩუენე ი. 14, 8, 9
მეტყეს	გუეტყეს ი. 16, 17.


გ) „პირდაპირი ობიექტი ჩვეულებრივ შეიძლება პირიან ზმნას ჰქონდეს ქართულში, ბრუნვიანს კი არა. მაგრამ უძველესი ძეგლების ენაში გვხვდება შემთხვევები მისი ხმარებისა ბრუნვიან ზმნასთანაც. სახელდობრ, როცა საწყისი ზმნისა ვითარებით ბრუნეაშია დაყენებული, მას, ევროპ. ენების ინფინიტივის მსგავსად, შეიძლება პირდაპირი ობიექტი ჰქონდეს, მაგ., „ბრძანა მიცემად იგი მას [რუსულად: велел дать ее (голову) ей]; „იწყეს მშენებად მცირე ტალავარი“ (რუსულად: начали строить маленький шатер) და მისთ. საშუალსა და ახალ ქართულში ასეთი კონსტრუქციის ნაცვლად სხვა იბმარება: ან საწყისი უნდა გადაკეთდეს პირიან ფორმად („ბრძანა, მისცენ იგი მას“), ან კიდევ პირდაპირი ობიექტი უბრალო დამატებად უნდა იქნეს გადაკეთებული („იწყეს მენება მცირე ტალავრისა“)¹. ამ უკანასკნელი მაგალითის ყალიბზეა ჩამოსხმული ქვემომოტანილი მაგალითები ადიშის ოთხთავიდან: აქ ყველგან საწყისთან მოცემული პირდაპირი ობიექტი გადასულია ნათესაობითს ბრუნეაში და უბრალო დამატებადაა გადაქცეული მაშინ, როდესაც შესატყვისი სახელი ოპიზური რედაქციის ნუსხებში ისევ პირდაპირ დამატებადაა დაჩენილი და დგას სახელობითსა ან მიცემითს ბრუნეებში. ეს მოვლენა ჩვენ ამ ძეგლის ენის ხიანლის კარგ მაჩვენებლად გვჩნდება.

ქვემოთ მოგვაქვს სათანადო საილუსტრაციო მასალა ახსნა-განმარტების გარეშე:

¹ ა. შანიძე, ძველი ქართული ენა (ა. შანიძე, აღ. ბარამიძე, ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, მე-7 გამოც., 1940, გვ. 277, § 60).



1. მოძიებდა ვალს ჰეროდე და წარწყმედად ყრმასა მავას — ეგვიპტის ჰეროდეს მოძიებდა ყრმისა მავის და წარწყმედად ვევე (მ. 2, 13);
 2. ჯერ-არს ჩემდა აღსრულებად ენი სიმართლევ — ესრე შეენის ჩუენდა აღსრულებად ყოვლისა სიმართლისა (მ. 3, 15);
 3. რომელსა უნდეს... მიღებდა კუარათი შენი — ... კუარათისა შენისა მიღებდა (მ. 5, 4);
 4. იწყეს მუსრვად თავსა ჭუვილისასა — ... თავისა ჭოვილისა (მ. 12, 1);
 5. რადსათვს ჩუენ ვერ შეუძლეთ განკურნებად მას — ჩუენ რად ვერ უძლეთ განკურნად მისა (მ. 17, 19);
 6. უბრძანა... გარდაგდად იგი — უბრძანა... გარდაგდად მისა (მ. 18, 25);
 7. ძალ-გიცა შესუმად სასუმელი — გიძლავს შესუმად სასუმელისა მის (მ. 20, 22);
 8. ... მოვიდა მიცემად სული თვისი — მოვიდა მიცემად თავისა თვისისა (მ. 20, 28);
 9. დაადგინა... მიცემად საზრდელი მათი — დაადგინა მიცემად როჭიკისა... (მ. 24, 45);
 10. ძალ-მიც დაბრუნევად ტაძარი ესე — შემძლებელ ვარ დაბრუნევად ტაძრისა მის (მ. 26, 61);
 11. ასწავებდით მათ დამარხვად ყოველი — ასწავებდით მათ დამარხვად ყოვლისა (მ. 28, 20);
 12. არცაღა ჯაჭუებითა ვის ჭელ-ეწითა შებორკილებად იგი — ვერღარავინ უძლის შეკრვად მისა (მრ. 5, 3);
 13. ... მიცემად შესაწირავი — მიცემად მსხუერპლისა (ლ. 2, 24);
 14. არა ჯერ-არს შენდა აღებდა ცხედარი შენი — არა წეს-იყო შენდა აღკიდებდა ცხედრისა მავის (ი. 5, 10);
 15. ვერ ჭელ-ეწითების დაჯსნად წერილი — ვერ ეგების დაჯსნად წერილისა ამის (ი. 10, 35).
- ამათ გვერდით უნდა განვიხილოთ ისეთი შემთხვევები, სადაც DE-ში ვითარებითს ბრუნვაში დასმული საწყისი არაა წარმოდგენილი, ხოლო C-ში მოიპოვება, და ბირდაპირი ობიექტი აქაც ნათესაობითს ბრუნვაშია დაყენებული. ჩუენ ასეთ მაგალითებსაც წარმოვადგენთ აქ:
16. ჰხუდა მას საკუმეველისა კუმევაჲ — ... კუმევაჲ საკუმეველისა (ლ. 1, 9);
 17. ჩნდა არავასი ჯერ-არს მოკლვაჲ — ჩუენდა არა წეს-არს მოკლვად არავისა (ი. 18, 31);
 18. არა ჯერ-იყო შენდაცა, რაშცა შეიწყალე მოყუახი იგი შენი — ... შეწყალებდა მოყუახისა მის შენისა (მ. 18, 33);
 19. მიუტევის ერსა მას პერობილი ერთი — ჩუეულ იყო ბჭე იგი მიტევაბად ერთისა პერობილისა (მ. 27, 15);
 20. მიუვლინეს მას და გამოჰხადოდეს [მას] — შეავლინეს ხადად მისა (მრ. 3, 31);
 21. და არა ქმნა მუნ ძალი არცა ერთი — და ვერ ჭელ-ეწითა მას ვერცა ერთისა ძალისა ყოფად (მრ. 6, 5);



22. ვარეჟე შემაგალი კაცსა არა შეაგინებს — ვერ შემალბედნარსა შმახი შებილწებად (მრ. 7, 18);

23. რაშ ია მოაქციეს და მისცეს დიდებად ღმერთსა — არა იპოვნეს მოქცე-
ვად და დიდებისა მიცემად ღმერთისა (ლ. 17, 18);

24. თქნ ჰკონებთ..., ვდ გაქუს ცხორებას საუკუნე — თქნ ჰკონებთ...
დაპყრობად ცხორებისა მის საუკუნოვანსა (ი. 5, 39);

25. უკუეთუ ვინმე ნებასა მისსა ჰყოფდეს — უკუეთუ უნდეს ვისმე ნებისა
მისისა ყოფად (ი. 7, 17).


აქ წარმოდგენილი მაგალითებიდან 10 ისეთია, სადაც ობიჟური რედაქ-
ციის ნუსხებში არცა გვაქვს ვითარებითს ბრუნვაში დასმული საწყისი, ვითა-
რებითი ბრუნვის ნაცვლად ახ სახელობითი ბრუნვაა მოცემული (16, 17), ანდა
საწყისი სრულებით არ არას წარმოდგენილი და პირდაპირი დამატება უშუა-
ლოდ ახლავს პირიან ზმნას (18—25); ამიტომ ამათ შეაბამისად ადიშურ ვერ-
სიასში ძიება ჩვენთვის საინტერესო ფორმებისა თითქოს მეოროდოლოგიურად
გაუმართლებელია. მაგრამ ზემო ი მოტანილი მაგალითებიდან მაინც გამოვძინა-
რობს, რომ ვითარებითს ბრუნვაში დასმულ საწყისთან დამატების გამოყენება
ნათესაობითში ხშირი მოვლენა და დამახასიათებელი თვისებაა ადიშური ოთხ-
თავისა. ჩვენთვის ამჟამად სწორედ ამას აქვს მნიშვნელობა.

დ) აღძრულ საკითხთანა დაკავშირებული აგრეთვე თვით ამ საწყისის
ბრუნვა. უძველეს ძეგლებში ასეთ შემთხვევაში (როცა ეს საწყისი ეგროპული
ენების ininitiv-ის როლს ასრულებს) ის ჩვეულებრივ ვითარებითში დგას
(იწყეს მუსრვად). მაგრამ შემდეგ და შემდეგ იგი თანდათანობით გადმოდის
სახელობითში (იწყეს მუსრვად). დღეს, როგორც ცნობილია, სახელობითი
ბრუნვაა ერთადერთი ფორმა ასეთი შემთხვევისათვის (მოსახლეობის აღწერა,
მტრის შეძლება, დამნაშავეს შეპყრობა...). ადიშური ოთხთავის დამახასიათე-
ბელი თვისებაა ამ საწყისის გიდმოსვლა სახელობითში, მაგალითად:

DE	C
ცხებად	ცხებად მრ. 14, 8
აღწერად	აღწერად ლ. 2, 1
ვნებად	ვნებად ლ. 17, 25
შობად	შობად ი. 3, 4, 7
მოძულებად	მოძულებად ი. 7, 7
შეპყრობად	შეპყრობად ი. 7 30
სიტყუად	სიტყუად ი. 8, 26
ბანად	ბანად ი. 13, 10.

ვევლა აქ აღნიშნული გარემოება (ა, ბ, გ, დ), ლექსიკის გარკვეულ ჩვენე-
ბებთან ერთად, უნდა გვეუბნებოდეს, რომ ადიშური რედაქციის ლექსიკასა და
ქნობრივ მოვლენებს ერთგვარი სიახლის ელემენტები ახასიათებენ, ვიდრე
ეს ობიჟურ რედაქციაში ან ოთხთავის სხვა რომელიმე ვერსიაში შეინიშნება.
ამ გარემოებას კი ამ ორი რედაქციის ურთიერთმიმართების საკითხის გადა-
წყვეტისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ამ მცოროვ გადახვევას შენდევ დაფუძრუნდეთ ისევე ადრეული რედაქციული ლექსიკის დასასიათებლად.



B. კონკრეტულობა

მეორე დამახასიათებელი თვისება, რომელიც ადრეის ხელნაწერის ზემოთ განხილულ განსხვავებულ ლექსიკას ახასიათებს, არის კონკრეტულობა. როდესაც ობიექტი და ადრეული რედაქციის სიტყვები, განსაკუთრებით სახელები და ზმინები, სხვაობენ, ადრეული რედაქციის სიტყვა ხშირად კონკრეტულად აღნიშნავს საგანსა თუ მოვლენას მაშინ. როდესაც ობიექტი რედაქციის ტექსტისათვის უფრო ზოგადობაა ნიშნული, როცა, მაგალითად, ქართული ოთხთავების ყველა რედაქციის ხელნაწერებში, ადრეულის გარდა, გადმოცემულია ხუთი გონიერი ქალწულის ამბავი. იქ ნათქვამია, რომ „ზრდენთა მათ მოიღეს მათ თანა ზეთი ჭურჭრითა მათითა სანთელთა მათთა თანა“ (მ. 25, 4). ეს ჭურჭერი, ცხადია, ზოგადი სახელია, ხოლო როცა ადრეის ძეგლში ამის ნაცვლად გვაქვს „სახეთითა“, აქაც ცხადია, რომ ეს „სახეთითა“ კონკრეტული ცნებაა და ყოველგვარი ნივთის ჭურჭლად აღარ გამოდგება, ასევე, ერთი მხრივ ყველა ნუსხაში გვხვდება „მწყემსნი“ (მ. 8, 33; მრ. 5, 14), ხოლო ერთადერთ ადრეის ნუსხაში არის ამის ნაცვლად „მელორენი“¹: მელორეც მწყემსია, მაგრამ გარკვეული ცხოველისა (ლორისა); ამ სიტყვის კონკრეტულობა აქ აშკარაა: მათეს თავის ორ ადგილას ობიექტი რედაქციის ნუსხებში (აგრეთვე ყველა სხვაში, გარდა ადრეულისა) გვაქვს სიტყვა „ყრმა“. „ყრმა“ (ბავშვი) ზოგადი სახელია ქალისაც და ვაჟისაც: ამ სიტყვაში რეალური სქესი არაა გარჩეული. და რადგანაც ადრეული რედაქციის მთარგმნელს სჩვევია, უფრო ზუსტად, უფრო კონკრეტულად გადმოცემა დედნის აზრი, ეს სიტყვა ერთ ადგილას „ქალი“-ს სახით აქვს დაკონკრეტებული (9, 24), ხოლო მეორე ადგილას „წული“-სა (17, 18).

ნივთთან ორიოდ მაგალითს ზმინებიდანაც იოვანეს სახარების მიხედვით ერთი კაცი ავად იყო 38 წლის განმავლობაში. მას სურდა იქვე ახლო მდებარე ტბაში შესვლა. გადმოცემის თანახმად, ვინც ამ ტბის აღეღებებს დროს შიგ შევიდოდა, ის განაკურნებოდა ყოველგვარი სენისაგან. მაგრამ ამ კაცს თვითონ არ შეეძლო სიარული: „კაცი არა მაქუს“-ო, ამბობს იგი და შემდეგ დასძენს: „ვე მე მივიდოდი, სხუანი უწინარეს ჩემსა შთაჯლიან და განაკურნიან“-ო (ი. 5, 7). ადრეის ძეგლში ხაზგასმული ფორმის მაგივრად სწერია: „მიეტონტმანებდი“. ნათელია, რომ ამ ზმინით უფრო მიახლოებით, უფრო კონკრეტულად არის გადმოცემული მოვლენის არსი: მართლაც, იმ კაცის სიარულს, რომელიც 38 წლის განმავლობაში იყო ავად, „მიეტონტმანებდი“ (დღევანდელი მიეტონტმანებდი) უფრო შეეფერება, ვიდრე „მივიდოდი“.

ასევე, ძუძუებზე საუბრისას უფრო კონკრეტულია „აწოეს“, ვიდრე „განზარდნეს“ (ლ. 23, 29): „განზარდნეს“ ყოველგვარ გამოკვებას გულისხმობს მაშინ, როდესაც „აწოეს“ მხოლოდ განსაზღვრულ (ძუძუს) კმევაზე ითქმის.

¹ შდრ. სომხური ოთხთავის *խოყყარობ*.

ქვემოთ ვიძლევიტ ამ ტიპის სხვა მაგალითებსაც ახსნა-განმარტების გარეშე

ტ	ღ
შეკრიბონ (ყურძენი)	მო-ნუ-ისტულიან მ. 7, 16
სამოსელი	კაოთი მ. 10, 10
სიტყუაჲ	წინაწარმეტყუელებაჲ მ. 13, 14
გამოგარჩიოთ	მოვჰმარგლოთ მ. 13, 28
მუშაკნი	მომკალნი მ. 13, 39
მოყუასსა	ძმასა მ. 18, 35
კოდვილთა	მეძავთა მ. 21, 32
მფრინველმან	ქათამმან მ. 23, 37
(ფურცელი) გამოვალნ	გამობუტკოინ მ. 24, 32
(ვე ქათმისა) ვმობადმდე	(ქათმის) ყივიდმდე მ. 26, 34
ალილოს (ჯუარი)	ალიკიდოს მ. 27, 32
აღმოჭდის (მდოგვსა მარტული)	აღმოსცენდის მრ. 4, 32
ყრმაო	ქალა მრ. 5, 41
მოდებად (თავი მისი)	მოკუეთაჲ (თავისა მისისაჲ) მრ. 6, 27
შეგინებული (კელი)	უბანელი მრ. 7, 5
თქუა	წინაწარმეტყუელებაჲ მრ. 7, 6
კაცისა	კმრისა მრ. 10, 2
განუტევა (სული)	აღმობერა მრ. 15, 37
მუშაკი	მორეწე ლ. 15, 19
განიკურნნესა (კეთროვანნი) E	განწმინდნეს (განბოკლებულნი) ლ. 17, 17
ეზოა	ბაკი ი. 10, 16
(ვმითა) დიდითა	მადლითა ი. 10, 43
ალილოს	მოჰკუეთოს (რტოა) ი. 15, 2
საჭურველითა	მახვლებითა ი. 18, 3.

თუ ზოგჯერ აღნიშნული ლექსიკური თვისებები ადრშის ძეგლისა იმ წყაროზეა დამოკიდებული, რომლიდანაც იგი ითარგმნა, ხშირად იგი თვით ძეგლის სპეციფიკურ თავისებურებას შეადგენს.

აღძრულ საკითხთან დაკავშირებულ ერთ გარემოებას გვინდა აქ მივაქციოთ ყურადღება: თვითონ დედანი, საიდანაც თარგმნიდნენ ჩვენი წინაპრები (თუნდაც, მაგალითად, ბერძნული), ერთნაირი არ უნდა ყოფილიყო. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ ზოგჯერ ჩვენს ხელნაწერებში ერთი და იგივე სათარგმნელი ცნება სულ სხვადასხვა, ერთმანეთისაგან მეტად დაშორებული, სიტყვითაა გადმოღებული.

შდრ., მაგალითად, ხატი DE და ელვაჲ C (ი. 5, 37), ხარკის მომწდელი DE და წარმართთაგანი C (მ. 18, 17).

რა აქვს „ელვასა“ და „ხატს“ საერთო? თითქოს არაფერი. აქ კი მსგავსი მაგალითები არც ისე იშვიათია.



C. ცალკეულ სიტყვათა შესატყვისობანი

როცა აღიშნის ოთხთავის ლექსიკის შესახებ ვლადპარაკობთ, არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ შემდეგ გარემოებასაც. არის მთელი რიგი სიტყვა და გამოთქმა, რომელიც ოთხთავის სხვა ნუსხებში ძალზე ხშირად იხმარება, მაგრამ ჩვენს ძეგლში ის ან სრულებით არ გვხვდება, ან გვხვდება, მაგრამ ძალზე იშვიათად; ამ შემთხვევაში მას აქ სხვა სიტყვა თუ სხვა გამოთქმა ცვლის და ეს ცვალბა გარკვეულ სისტემას მიჰყვება. ასეთებია:

1. ოთხთავებში ძალიან გავრცელებული ტექნიკური გამოთქმა „ამენ გეტყვ თქნ (შენ)“ აღიშურ რედაქციაში მხოლოდ 2-ჯერ გვხვდება¹; მას აქ ენაცვლება ორიგინალური გამოთქმა: „მართლიად გეტყვ (გეტყუ) თქნ || შენ“. დავასახელებთ მხოლოდ ადგილებს: მ. 5, 18, 26; 6, 5,² 16; 8, 10; 10, 15, 23, 42; 11, 11; 16, 28; 17, 20; 18, 3, 13; 18, 19³; 19, 23, 28; 21, 21, 31; 23, 36; 24, 2, 34, 47; 25, 12, 40, 45; 26, 13, 21, 34; მრ. 3, 28; 8, 12; 9, 1, 41; 10, 15, 29; 11, 23; 12, 43; 13, 30; 14, 9, 18 25, 30; ლ. 23, 43.

იოვანეს თავში, როგორც ცნობილია, „ამენ“ ორჯერ არის შესული ამ გამოთქმაში: „ამენ, ამენ გეტყვ თქნ“; რაც აღიშურ რედაქციაში ასეა გადმოცემული: „მართლიად მართალსა გეტყვ თქნ“. აქაც დავასახელებ მხოლოდ ადგილებს: 1, 51; 3, 3, 5, 11; 5, 19, 24, 25; 6, 26, 32, 47, 53; 8, 34; 51, 58; 10, 1, 7; 12, 24; 13, 16, 20, 21, 38; 14, 12; 16, 20, 23; 21, 18⁴.

2. იშვიათად გვხვდება სიტყვა „გუამი“. აღიშურ რედაქციაში იგი (სხვადასხვა ბრუნვის ფორმით) მოსალოდნელი იყო 24 ადგილას (მ. 5, 29, 30; 6, 22 (2-ჯერ), 23; 14, 12; 27, 52, 58 (2-ჯერ), 59; მრ. 6, 29; 15, 43, 45; ლ. 23, 52, 55; 24, 3, 23; ი. 2, 21; 19, 31, 38 (2-ჯერ), 40, 42; 20, 12). აქედან მოიპოვება მხოლოდ 4 ადგილას (მ. 5, 29, 30; 14, 12; მრ. 6, 29). სრულებით არ არის ერთ ადგილას (ი. 19, 42), სხვაგან მას ცვლის ფორმები: „ჯორცნი“, „ჯორცთა“⁵.

3. უნდა აღინიშნოს აგრეთვე სიტყვა „მეყსეულად“-ის შედარებით ნაკლები გამოყენება. აქ ეს სიტყვა შეცვლილია მეორე ამ მნიშვნელობის სიტყვით — „მუნქუეს“, „მუნქუესე“-თი. აი ამის მაგალითები: მ. 4, 20, 22; 20, 34; 21, 2, 3, 19; 24, 29; 25, 16; 26, 49, 74; მრ. 1, 10, 12, 18, 20, 42, 43; 2, 12; 4, 5, 16, 17, 29; 5, 2, 29, 42; 6, 27, 45, 50, 54; 7, 35; 9, 24; 10, 52; 14, 45; ი. 18, 27. ამ „მუნქუესე“-ს ჩუენი ძეგლის მთარგმნელი ძალიან ეტანება; ასე, მაგალითად, ზოგჯერ სხვა ნუსხებში არაა უკვე შესატყვისი „მეყსეულად“ ან სხვა მსგავსი ზმნიზნა, აქ კი ისევ ჩნდება ეს „მუნქუესე“ (ხან „მუნქუეს ოდენ“): მრ. 1, 21, 30; 2, 8; 3, 6; 5, 30; 6, 25; 11, 2; 15, 46; ი. 19, 33. ორჯერ ამ

¹ მ. 13, 17; 19, 9.

² მხოლოდ C-შია. DE-ში ამის მაგივრად იკითხება: ად გეტყვ თქუენ.

³ მხოლოდ C-შია. DE-ში ამის მაგივრად იკითხება: გეტყვ თქუენ.

⁴ ამას გარდა, ეს გამოთქმა DE-ში მოიპოვება და არ იკითხება C-ში შემდეგ ადგილებში: მ. 6, 2; მრ. 10, 23; 13, 2.

⁵ იმ ადგილას (მ. 27, 58; ი. 19, 38) ეს შესატყვისი მხოლოდ თითოჯერაა წარმოდგენილი, ნაცვლად ორ-ორისა.

„მეცხულად“-ს თანამედროვე „მცის“ ენაცვლება: მრ. 13, 36; ი. 13, 32, რაჯორი
 „ადრე-ადრე“: ლ. 17, 7; ი. 19, 34, ხოლო ერთჯერაც — მხოლოდ „ადრე“
 მრ. 11, 3. იშვიათად სულ არ არის „-ში ამ სიტყვის ბადალი: მ. 8, 26; 9, 7, 30;
 13, 20; მრ. 4, 37; ი. 13, 30. სხვა შემთხვევებში აქაც ვხედავთ ამ სიტყვას:
 მ. 8, 3; 13, 5, 21; 14, 22, 27, 31; 21, 20; 27, 48; მრ. 9, 8, 15, 20; ლ. 1, 64;
 2, 13; ი. 6, 21.

4. ძველში არის გატარებული ტენდენცია, რომ გამოთქმა „ჯერ-არს“ რაც
 შეიძლება ნაკლებად იხმარებოდეს. მას აქ სხვაგვარი ფორმები ენაცვლება. აი
 ამისი მაგალითები: ჯერ-არს — შეუენის მ. 3, 15; არ ჯერ-იყო — არა-მე ღირდა
 მ. 18, 33; არა ჯერ-არს ჩემდა — ანუ ვერ კელმეწიფების მ. 20, 15; ჯერ-არსა —
 წეს-არს მ. 22, 17; მრ. 3, 4; ი. 5, 10; ჯერ-იყო — გიღირდა მ. 23, 23; 25, 21;
 არა ჯერ-არს — არა ღირს მ. 27, 6; ი. 4, 20, 24; ჯერ-არს ძისა — თანა-იც ძესა
 ლ. 24, 7.

ხოგჯერ ეს „ჯერ-არს“ ადიშურ რედაქციაში სრულებით გამოშვებულია.
 ეს განსაკუთრებით მაშინ ხდება, როცა ამგვარ წინადადებაში ვითარებითს
 ბრუნვაში დასმული საწყისი მოიპოვება; როგორც ცნობილია, ვითარებითს
 ბრუნვაში დასმულ საწყისს ძველ ქართულში ნორმატიული მნიშვნელობა აქვს:
 იგი გადმოგვცემს იმ მოქმედებას, რომელიც მომავალში უნდა შესრულდეს,
 მაგალითად, მიცემად არს — უნდა მიეცეს შემდეგ, მოსლვად არს —
 უნდა მოვიდეს ამის შემდეგ, მომავალში. და სწორედ ამგვარი მნიშვნელობა
 აქვს დაახლოებით ამ „ჯერ-არს“-საც: ჯერ-არს — უნდა, საჭიროა; ჯერ-არს
 მოსლვად — უნდა მოვიდეს (ე. ი. მოსლვად არს). ამიტომ გასაგებია, თუ რატომ
 სწორედ ასეთ შემთხვევებში არის გამოტოვებული ეს „ჯერ-არს“. მაგალითები:
 ჯერ-არს მისი იშ-მდ აღსლვად — მისლვად იყო იშ-მდ მ. 16, 23; ჯერ-არს ძისა
 კაცისაჲ ვნებად — ძე კაცისაჲ ვნებად არს მ. 17, 12; ელიაჲსი ჯერ-არს ჰ-დ
 მოსლვად — ელია-ლა ჰ-დ მოსლვად¹ არს მ. 17, 10; მრ. 9, 11; ჯერ-არს... მიცე-
 შად — მიცეჲად არს მ. 17, 22; ჯერ-არს ესე ყოფად — ყოფად არს ესე ყ-
 შ. 24, 6; მრ. 13, 7. ერთ ადგილას ეს „ჯერ-არს“ თითქოს უკომპენსაციოდ არის
 გამოშვებული: ჯერ-არს ქადაგებად — იქადაგოს მრ. 13, 10. მაგრამ ეს „იქადა-
 გოს“-აც იმავე შინაარსს შეიცავს: ის ბრძანებითია: იქადაგოს, ე. ი. უნდა იქნეს
 ქადაგებული...

როგორც ვხედავთ, მთარგმნელი ჩვენი ძველისა ძალიან გაუბრბის ამ ფორ-
 მის ხმარებას: სადაც ოთხთავის სხვა ნუსხების მიხედვით მოსალოდნელია იგი,
 იქ არა გვაქვს; მაგრამ საინტერესო ისაა, რომ ეს ფორმა იქ წამოყოფს თავს,
 სადაც სხვა ნუსხებში ამის მაგივრად სხვა ფორმებია გამოყენებული, მაგალი-
 თად: რ შესაძლებელ იყო — რ ჯერ-იყო მრ. 14, 5; შესაძლებელ არს — ჯერ-
 არს მრ. 14, 35. ასეთ შემთხვევაში იშვიათად „ჯერ-ჩენა“ გვაქვს ხოლმე წარ-
 მოდგენილი: რაჲ ვნებაჲს — რაჲ ჯერ-გინს მ. 26, 66. დასასრულ, არის ისეთი
 ადგილებიც, სადაც ეს „ჯერ-არს“ („ჯერ-იყო“) უცვლელადაა ხოლმე დაცული:

¹ ხელნაწერში: მოსლვად (მრ. 9, 11).



მ. 12, 2, 4, 10, 12; 14, 4; 19, 3; 23, 16, 18, 26, 54; მრ. 2, 24, 26, 10, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 88, 89, 90, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100; ლ. 2, 49; 15, 32; 17, 25; ი. 3, 7, 14, 30; 9, 4; 10, 16; 12, 34; 20, 9.

5. ნაწილობრივ ეგვიპე უნდა ითქვას აგრეთვე „ველმწიფეების“ შესახებაც, რომელიც აღიწერს რედაქციაში არც ისე ხშირად გვხვდება, თუმცა ეს სიტყვა ოთხთავებში დიდი პოპულარობით სარგებლობს¹. ჩვენს ძველში ამ სიტყვას უმთავრესად „შეძლება“ და მისგან ნაწარმოები ფუძეები გადმოცემს, მაგალითად: ველ-ეწიფების — უძლის მ. 12, 79; მრ. 3, 27; ველ-ეწიფების — უძლოს მრ. 3, 24, 25; 9, 3; 10, 26; ი. 6, 60; ველ-ეწიფების — შეუძლოს მ. 19, 25; მრ. 3, 26; ველ-ეწიფების — შეუძლის ლ. 16, 13; ველ-ეწიფების — შეუძლოთ ლ. 16, 13; ველ-ეწიფა — უძლის მრ. 5, 3; ველ-გეწიფების — უძლოთ მ. 12, 34; ველ-გეწიფების — შეუძლოთ ი. 5, 44... ველ-ეწიფების — შემძლებელ არს მრ. 2, 7; 3, 23; ი. 3, 27; 6, 52; 9, 16; 10, 21; ველ-ეწიფების — შემძლებელ არიან-მე მრ. 2, 19; ვერ ველ-ეწიფების — ვერ შემძლებელ იყვნენ მ. 10, 28; ვერვის ველ-ეწიფებოდა — ვერვინ შემძლებელ იყო მ. 8, 28... ველ-მე-ეწიფებისა — ნუთუ ეგების მ. 9, 15; ვერ ველ-ეწიფების — ვერ ეგების ი. 10, 35... ვერ ველ-ეწიფა მათ ვერცაღა პურისა ჭამად — ვერ სცაღნ პურის ჭამადცა მრ. 3, 20... ველ-მწიფებაჲ — ფლობაჲ მრ. 3, 15; 6, 7; ი. 19, 10... ველმწიფებასა ზედა — საბრძანებელად მ. 8, 9; ველმწიფებისაგან — საბრძანებელისაგან ლ. 23, 7.

ძალიან გავრცელებულია ისეთი გამოთქმები, სადაც ეს „ველ-ეწიფების“ აღიწერს რედაქციაში სულ გამოწვებულია, ხოლო მასთან წარმოდგენილი საწყისი (სახელობაჲსა თუ ვითარების ბრუნვაში დასმული) ზმნის პირიან ფორმადა გადაკეთებული და უმეტეს შემთხვევაში (II) კავშირებითის ფორმითა მოცემული (იშვითად სხვა მჭკრივის ფორმითაც გვხვდება): ვერ ველ-ეწიფა დაფარვად — ვერ დაეუარა მრ. 7, 24; არღარა ველ-გეწიფების... მნობად — არღარა ყოფად ხარ ჩემდა ეზოჲს მოძღუარ ლ. 16, 2; ვერ ველ-ეწიფების (წილსლვად) — ვერ წილწდენ ლ. 16, 26; ვერ ველ-ეწიფების ხილვად სასუფეველი — ვერ შევიდეს სასუფეველსა ი. 3, 3; ვერ ველ-ეწიფების შესლვად — ვერ შევიდეს ი. 3, 5; ვერვის ველ-ეწიფების მოსლვად — ვერვინ მოვიდეს ი. 6, 65; ვერ ველ-გეწიფების მოსლვად — ვერ მოხვდეთ ი. 7, 34, 36; 8, 21, 22; 13, 33; ვერვის ველ-ეწიფების საქმედ — ვერვინ იქმოდის ი. 9, 4; არცა ვის ველ-ეწიფების მიტაცებად მათა — ვერვინ მიმტაცნეს იგინი ი. 10, 29; სოფელსა ვერ ველ-ეწიფების მოღებად — სოფელმან ვერ შეიწყნაროს ი. 14, 17; ნახსლევსა ვერ ველ-ეწიფების ნაყოფისა მოღებად — ენაჲჲჲ ვერ გამოიღოს ნაყოფი ი. 15, 4.

მაგრამ, როგორც ვთქვით, ეს საინტერესო სიტყვა აღიწერს რედაქციაშიც გვხვდება. აი ეს ადგილებიც: არა ქმნა — ვერ ველ-ეწიფა... ყოფად მრ. 6, 5; არა ჯერ-არს ჩემდა — ანუ ვერ ველ-მეწიფების მ. 20, 15; ძალ-გიც — ველმწიფე ხაროთ მრ. 14, 7. როგორც ვხედავთ, არც ერთ ამ სამ მაგალითთაგანში სხვა რედაქციებში (ოპიზუსის გარდა სხვაგანაც) არ არის ეს ფუძე, იქ სულ სხვა ფუძეებია ამის მაგივრად (ქმნა, ჯერ-არს, ძალ-გიც).¹ მეტად საინტე-

¹ ოპიზუსის რედაქციის ნუსხებში (აგრეთვე სხვებშიც) ეს ძირი (სხვადასხვა ფორმით) დაახლოებით 120-ჯერ გვხვდება.

რესოა ეს გარემოება: როცა სხვა რედაქციები დაჟინებით ხმარობენ ამ სიტყვას, ადიშური რედაქცია ასევე დაჟინებით გაუბრძის მას; ხოლო როცა ერთ სხვა რედაქციაში არ გვხვდება, ადიშურში მოიპოვება იგი. ასეთი ბედისაა არა მარტო „ველ-წიფების“, არამედ მთელი რიგი სხვა სიტყვაც, რომელთაგან ზოგი ზემოთ განვიხილეთ (დადგრომა, ჯერ-ყოფა), ხოლო ზოგსაც ქვემოთ შევხვებით. ხომ არ მოჩანს აქ მთარგმნელის ტენდენცია, მოგვეცეს რაც შეიძლება სხვა; დამოუკიდებელი თარგმანი, ვიდრე მანამდე არსებობდა?..

დასასრულ ალენიშნავ ისეთ შემთხვევებს, როცა ეს ფუძე (ველ-წიფების, ველ-წიფება და სხ.) ოპიზური რედაქციის მსგავსად ადიშურშიც გვხვდება.

აქ მივუთითებ მხოლოდ ადგილებს: მ. 7, 18, 29; 9, 6, 8; 10, 1; 20, 25; 21, 23, 24, 27; 28, 18; მრ. 1, 22, 27, 45; 2, 10; 6, 19; 10, 42; 11, 28, 29; 13, 34; ი. 1, 12; 3, 2; 5, 19, 27, 30; 6, 44; 7, 7; 17, 2; 19, 10, 11.


6. დაახლოებით ამავე მნიშვნელობისაა მეორე სიტყვაც — „ძალ-მიც“, რომელიც ადიშურ რედაქციაში მხოლოდ ერთ ადგილას (!) გვხვდება¹ (ძალ-გიც, მრ. 1, 40), თუმცა ოთხთავის სხვა რედაქციებისათვის ის მიუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს (გვხვდება მთელს ოთხთავში 27-ჯერ). ამ სიტყვის მაგივრად ადიშურ რედაქციაში წარმოდგენილია ანიგივე ფორმები, რაც ველმწიფებასთან დაკავშირებით იყო მოტანილი (შემძლებელ არს, უძლოს), ან კიდევ მეტად ორიგინალური გაფორმება იმავე ძირისა: მიძლავს, გიძლავს, უძლავს. აი მაგალითებიც: ძალ-მიც — შემძლებელ ვარ მ. 9, 28; 26, 53, 61; ძალ-გიც — შემძლებელ ხარ მ. 5, 36; 8, 2; ი. 8, 43; ძალ-უც — შემძლებელ არს ლ. 3, 8... ძალ-მიც — მიძლავს ლ. 16, 3; ძალ-გვც — გვძლავს მ. 20, 22; მრ. 10, 39; ძალ-ვიცა — გიძლავს მ. 20, 22; მრ. 9, 22, 23; 10, 38... ვერ ძალ-გიც — ვერ უძლეთ მ. 26, 40; ძალ-გიც — შეუძლოთ ი. 15, 5; 16, 12; ძალ-უც — უძლოს მ. 27, 42; ძალ-გიც D, ძალ-გვც E — შეუძლო შენ (sic) მრ. 8, 4; ძალ-გიც — ველმწიფე ხართ მრ. 14, 7. საინტერესოა ეს უკანასკნელი მაგალითი: აქ წამოშველებული სიტყვა „ველმწიფე“, როგორც ვნახეთ, თავის ადგილზე სხვა ფორმას უთმობს ზოლზე ადგილს, მას თითქოს განზრახ არ ხმარობს იქ მთარგმნელი, სხვაგან სხვა სიტყვის მაგივრად კი გვხვდება!

დასასრულ, ალენიშნავთ ძეგლის ენის საერთო ტენდენციის კიდევ ერთ გამოსახულებას, როცა ეს „ძალ-უც“ სულ ჩავარდნილია, ხოლო მასთან მდგარი საწყისი პირიან ფორმადაა გადაკეთებული: თავისა თვისა ვერ ძალ-უც ცხოვნებად — თავი თვისი ვერ იცხოვნოს მრ. 15, 31; ვერ ძალ-გიც მოსლვად — ვერ მომძღვედ ი. 13, 36; ვერ ძალ-მიც მიღვენებად — ვერ მაგდევდ ი. 13, 37.

7. იშვიათად იხმარება ამ რედაქციაში აგრეთვე სიტყვა „კულად“, რომელსაც აქ „მერმე“ ენაცვლება, მაგალითად: მ. 5, 33; 21, 36; 22, 4; 26, 42; მრ. 3, 20; ლ. 23, 20; ი. 4, 54; 10, 17, 19, 39; 11, 7, 8; 12, 28, 39; 14, 3, 16, 16, 19, 28; 18, 38; 19, 4; 20, 10; 21, 1².

¹ თითქოს მეორე გამოწაკლისაა ძალ-გიც — ძალ გისხენ (მ. 16, 3), მაგრამ ეს ფორმა სხვანაირადაც შეიძლება აიხსნას.

² იშვიათად ეს შეფარდება შებრუნებულადაც არის წარმოდგენილი: მერმე — კლდ (მ. 26, 72).



8. „კაცად-კაცად“ ფორმის ნაცვლად ადიშური რედაქცია ხმარობს „**თოეულს**“: მ. 25, 15; 26, 22; ლ. 2, 3; 16, 5; ი. 6, 7; 16, 32. სამჯერადაც გვხვდება ეს „კაცად-კაცი“-ც: მ. 16, 27; 18, 35; მრ. 13, 34. ერთჯერ ეს სიტყვა სხვა რედაქციების „კაცი“-ს ადგილასაა ნახმარი (მრ. 10, 7); ასეთი მიდრეკილება საერთოდ სჩვევია ძველის მთარგმნელს.

9. ესევე უნდა ითქვას აგრეთვე „უძლურ“-ის, „უძლურები“-ს შესახებაც. უქეტეს შემთხვევაში მათ ნაცვლად სხვადასხვა ფუძეა მოცემული: უძრულებათა — არაძლებათა მ. 4, 23; უძლური — სნეული მ. 25, 39, 43; ი. 11, 1; უძლურებასა — სნეული მ. 25, 44; უძლურთა — სნეულებს მრ. 6, 56; უძლურთა — სნეულთა ი. 5, 3; 6, 2; უძლურებაჲ — სნეულებჲჲ ი. 11, 4; უძლურებასა — სნეულებასა ი. 5, 5; უძლურმან — სნეულმან ი. 5, 7. მაგრამ ხანდახან ეს ფუძეც გამოჩნდება ხოლმე: უძლურ მ. 26, 41; მრ. 14, 38; უძლურებანი მ. 8, 17; უძლურთა — უძლურებათა მ. 9, 35.

10. ადიშური რედაქციის ტექსტი ხშირად „ცთუნება“ ფუძეს ხმარობს ოპიზური რედაქციის „დაბრკოლებ“-ის ნაცვლად: დაბრკოლდეს — სცოეს მ. 16, 6; დაბრკოლდიან — ცთის მ. 13, 21; დაბრკოლოს — აცთუნოს მ. 18, 6; მრ. 9, 42; დაბრკოლდებოდიან — ცთენ მ. 24, 10; დაბრკოლდიან — ცთიან მრ. 4, 17; დაბრკოლდებოდეს — სცთებოდეს მ. 13, 57; მრ. 6, 3; დაგაბრკოლდეს — გაცთუნებდეს მრ. 9, 43; 45. გვხვდება შემბრუნებული შეფარდებაც: საცთურ — დამაბრკოლებელ მ. 16, 23. დასასრულ, გვაქვს ისეთი შემთხვევები, სადაც ორივე რედაქციაში ერთი და იგივე „დაბრკოლება“-ა დატოვებული. აქ ვუჩვენებთ მხოლოდ ადგილებს: მ. 15, 12; 17, 27; 26, 31, 33; მრ. 14, 27, 29; ლ. 17, 2; ი. 6, 61.

11. ოპიზური რედაქციის „უკუეთუ“-ს ადიშურში მოკლე „თუ“ ენაცვლება: მ. 5, 20, 30, 47; 8, 2; 10, 13, 25; 11, 14; 12, 26; 16, 26; 17, 20; 18, 3, 19, 35; 19, 21; 21, 3, 21, 25; 23, 30; 24, 23, 43; 26, 39; 42; 27, 40; მრ. 1, 40; 3, 24, 25, 26; 7, 3; 9, 43, 45, 47; 11, 3, 31; 12, 19; 13, 21; ლ. 16, 12, 30; 17, 3; ი. 3, 2, 3, 27; 5, 19, 43; 6, 44, 53, 65; 7, 37, 51; 8, 16, 52, 54, 55; 9, 25; 31, 33; 10, 37; 11, 10, 21, 32, 40, 57; 12, 24, 26 (ორჯერ); 13, 8, 17; 14, 3, 7; 15, 4 (ორჯერ); 6; 18, 23, 30; 19, 11, 12; 20, 15, 25; 21, 23. ზოგჯერ „უკუეთუ“-ს შესატყვისი „თუ“ ადიშურ რედაქციაში კვეთს ზმნისწინს ზმნისაგან (ტმესი): უკუეთუ შესწირვიდე — შე-თუ-სწირვიდე მ. 5, 23; უკუეთუ გან-გუასხამ — გან-თუ-გუასხამ მ. 10, 31; უკუეთუ ჯერ-აჩს — ჯერ-თუ-აჩს მ. 19, 3; მრ. 10, 2; უკუეთუმცა შეუძლეს — შე-თუმცა-უძლეს მ. 24, 24; მრ. 13, 22; უკუეთუ ვინმე მოკუდეს — მო-თუ-ვინმე-კუდეს მ. 22, 24; უკუეთუ განუტყვევ — წარ-თუ-უტყვევ მრ. 8, 3; უკუეთუ შეიძინოს — შე-თუ-იძინოს მრ. 8, 36; უკუეთუ განუტყვევოს — და-თუ-უტყვევოს მრ. 10, 11; უკუეთუ ვინმე მიუტყვევო — მი-თუ-ვისმე-უტყვევო ი. 20, 23. ზოგჯერ ეს „უკუეთუ“ და ნაცვალსახელი „ვინმე“ გაძაღვს მეორე ნაცვალსახელს „რომელ“: უკუეთუ ვინმე — რომელმან მ. 10, 14; მ. 6, 50, 51; 13, 20; უკუეთუ ვისმე — რომელსა მ. 16, 25. იშვიათად „უკუეთუ“-ს ში სულ ჩავარდნილია ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე: მრ. 11, 25; ლ. 17, 2; 23, 6; ი. 3, 12. ასეთ შემთხვევაში „უკუეთუ“-ს ჩავარდნა უმთავრესად წინა-

დადების სხვანაირი კონსტრუქციით აიხსნება, მაგალითად: უკუეთუ ქოყანი-
საა გათხარ — ხოლო აწ ქუეყანისაა ესე-ღა ვარქუ თქუენ ი. 3, 12. ჟუაღიწიქ
შემთხვევაში მას სხვა კავშირი და ნაწილაკი ეფარდება: სადა მ. 10, 25; ვიდრე
მ. 12, 29; მრ. 7, 4; ძი: უკუეთუ შოვიდეს — მო-ძი-ვიდეს მ. 27, 49; მრ. 15, 36;
ვრმცა მრ. 10, 30; რქს შო. 14, 7; უკუე ი. 10, 38; რამეთუ მ. 27, 43; ი. 13, 32;
16, 23; და მ. 21, 24; ი. 20, 23. დასასრულ, აქაცაა ისეთი შემთხვევები, სადაც
„უკუეთუ“ ადიშურ რედაქციაშიცაა უცვლელად დატოვებული: მ. 5, 29, 46;
6, 1, 14, 15, 22, 23 (ორჯერ), 30; 7, 11; 10, 13; 12, 7, 10, 27, 28; 14, 28;
18, 8, 15 (ორჯერ), 16, 17 (ორჯერ); 19, 10; 21, 26; 22, 45; 24, 26, 48; 26, 63;
27, 42; მრ. 3, 2; 7, 11; 9, 50; 14, 35; ლ. 16, 11, 31; 17, 3; 28, 31, 35;
ი. 1, 21, 25; 3, 5; 4, 10, 48; 5, 31, 46, 47, 6, 62; 7, 4, 17, 23; 8, 19, 24, 31,
36, 39, 42, 46, 51; 9, 41; 10, 24, 35; 11, 9, 12, 48; 12, 24; 13, 14, 17, 35;
14, 2, 11, 15, 23, 28; 15, 7, 10, 14, 18, 19, 20 (ორჯერ), 22, 24; 16, 7 (ორჯერ);
18, 8, 23, 36, 73; 21, 22.

12. ნაკლებად არის გამოყენებული აგრეთვე „ოდეს“. უფრო ხშირად მის
ნაცვლად აქ წარმოდგენილია „რქს“, როცა ქარაგმა გახსნილია, „რამეთუ“
ან რასეთმს: მ. 9, 15; 13, 48; 15, 2; 24, 33; 27, 31; მრ. 4, 10, 32; 7, 17; 9, 9;
12, 27; 14, 12; 15, 20 (რასეთმს); ლ. 15, 30; 17, 10; ი. 1, 19; 2, 10, 22; 4, 21,
23, 25, 45; 7, 27, 31; 8, 28, 44; 12, 16; 16, 13; 20, 24. მთარგმნელი ისე ხელ-
გაშლილად ეკიდება ამ „რქს“, რომ უხერხულობას არ გრძნობს მაშინაც კი,
როცა იმავე წინადადებაში დროის გამოსახატავად „ჟამი“-ა უკვე ნახმარი:
„მოვიდენ ჟამნი, რქს...“ ი. 4, 21; ხ მოვლენან ჟამნი და აწვე არს,
რქს...“ ი. 4, 23. სხვა თითო-ოროლა შემთხვევაში ეს „ოდეს“ მრავალნაირი
შესატყვისით არის გამოხატული: ოდეს — მას ჟამსა ი. 12, 32; 13, 12; ოდეს —
ვრ ი. 2, 23; 6, 24; 21, 15; ოდეს — რ ი. 12, 41; ოდეს — ვა ი. 19, 8, 30;
ოდეს — ვე ი. 17, 12; 21, 18; არის შემთხვევები, როცა ეს „ოდეს“ სულ გამო-
შვებულია: ი. 9, 4; 10, 4. ერთჯერ შებრუნებული სახითაც არის მოცემული:
რქს — ოდეს ი. 14, 19; მოვალს ღამშ, ოდეს — მოვალს ღამშ, რომელსა ი. 9, 4.
დასასრულ, აქაც ვიწინებთ იმ ადგილებს, სადაც „ოდეს“ ადიშურ რედაქციაშიც
იმავე სახითაა დატოვებული: მ. 12, 3; 24, 3; 25, 37, 38, 39; 44; მრ. 8, 19;
13, 4 (ორჯერ), 33, 35; ი. 5, 25; 6, 25. მაგრამ ყველა ამ შესატყვისის შორის
ადიშური რედაქციისათვის დამახასიათებელი და ძირითადი მანც პირველი
წყების მაგალითებია (ოდეს — რქს):

13. ოპიზური რედაქციის ხ კავშირი აქ შეცვლილია და-თი: ი. 5, 29¹;
6, 18, 20, 71; 7, 2, 11; 8, 23, 27; 9, 15, 17, 38; 10, 6; 11, 18, 41, 46, 54;
12, 3, 29, 44; 13, 10, 30; 14, 24; 18, 3, 10, 15, 19, 20, 25; 19, 12, 15, 16,
23, 25; 20, 4, 25; 21, 1. ხანდახან ეს კავშირი (ხ) სულ გამოტოვებულია:
ი. 6, 6, 13, 15, 58, 63; 7, 29; 8, 23, 20, 59; 9, 9, 11, 12, 28, 31; 10, 7, 10;
11, 20, 29, 33, 38; 12, 6, 33, 48; 15, 3; 16, 10, 13.

¹ მაგალითები ამ პუნქტში მოტანილია მხოლოდ იოვანეს თავის მიხედვით.

ორიგენაირი მოპყრობა ამ ხ^რ კავშირისადმი მეტად დამახასიათებელია ადიშური რედაქციისათვის; ეს არაა შემახვევითი მოვლენა, არამედ კვეთლ წესადაა ქცეული. ამდენადვე მას რედაქციის საკითხის კვლევისათვის ერთგვარი მნიშვნელობა ენიჭება.

14. ჩვენი ძეგლი (ზუსტად: მისი ძირითადი ნაწილი, ე. წ. ადიშური რედაქცია) თითქოს გაურბის ებრ თანდებულის ხშირ ხმარებას; მის ნაცვლად აქ მოცემულია ზნნიზედა „მსგავსად“: მოძღვრებისა ებრ ხუცესთაჲსა — მსგავსად მოძღვრებისა მის მღდელთაჲსა, მრ. 7, 5; შჯულისა მის ებრ მოსესისა — მსგავსად შჯულისა მის მოსესისა ლ. 2, 22; სიტყუსა ებრ შენისა — მსგავსად სიტყუსა შენისა ლ. 2, 29; შჯულისა ებრ თქუენისა — მსგავსად შჯულისა თქუენისა ი. 18, 31; შჯულისა ჩუენისა ებრ — მსგავსად შჯულისა ჩუენისა ი. 19, 7.

15. სრულებით არ გვხვდება ადიშურ რედაქციაში შემდეგი სიტყვები: კეთროვანი, ხენეში, ვაშკარანი.

პირველი ამათვანის (კეთროვანის) მაგივრად აქ სისტემატურად არის გატარებული სულ სხვა ფუძის შემცველი ფორმა: „განბოკლებული“ მ. 8, 2; კეთროვანი — განბოკლებული მ. 11, 5; ლ. 17, 12; განკეთრებული — განბოკლებული მ. 1, 40; კეთროვანისა — განბოკლებულისა მ. 26, 6; მრ. 14, 33; კეთროვნება — განბოკლება მრ. 1, 42, მაგრამ არსად არ გვხვდება „კეთრ“ ფუძის შემცველი რაიმე სიტყვა.

არც „ხენეშ“ ფუძე გვხვდება ადიშურ რედაქციაში: მის ნაცვლად აქ „ჯერკუალი“-ა გამოყენებული: ხენეშ — ჯერკუალი (2-ჯერ) მ. 12, 33; ხენეში — ჯერკუალი მ. 7, 17; ხენეშმან — ჯერკუალმან მ. 7, 17; ხენეშსა — ჯერკუალსა მ. 7, 18; ხენეშისა — ჯერკუალისა მ. 7, 18.

„ვაშკარანი“-ს მაგივრად აქ „გულა“-ა მოცემული მ. 10, 10; მრ. 6, 8.

ამ სიტყვების გამოუყენებლობა ადიშურ რედაქციაში კარგი ნიშანი საერთოდ ამ რედაქციის საკითხების კვლევის საქმეში.

16. „სულ“-ის საბადლოდ (ბერძნ. ψαχί, სომხ. *սահ*) აქ ნახმარია „თავ“-ი: მ. 20, 28; მრ. 8, 35; 10, 45; ლ. 2, 35; ი. 6, 61; 10, 11, 15, 17; 1#, 37, 38.

17. მხოლოდ ერთჯერ გვხვდება ადიშურ რედაქციაში სიტყვა „ყური-მალი“ (მ. 26, 67). ყველა სხვა შემთხვევაში მის საბადლოდ აღებულია ფუძე ლაწუ: ყურიმალსა — ლაწუსა მ. 5, 39; ი. 18, 22; 19, 3; მოიყვანეს ყურიმლის ცემილ — სცემდეს ლაწუსა მრ. 14, 65.

18. ადიშის ძეგლში შეიმჩნევა მთარგმნელის ერთგვარი მიდრეკილება, რომ იმ საერთო ქართულ-სომხური ლექსიკური მარაგის ნაცვლად, რომელიც ორივე ერის ენაში უხვად მოიპოვება, უფრო საკუთრივ ქართული შეარჩიოს. ამიტომაც, რომ აქ გვაქვს „განთეთრებად“ და არა „განსპეტაკებად“ (მ. 5, 36; ი. 4, 35), როგორც ოთხთავის ყველა სხვა ცნობილ ნუსხაში არის ხოლმე წარმოდგენილი¹.

¹ მაგრამ შდრ.: ბრწყინვალე — სპეტაკი (ლ. 23, 11).

იშვიათად იხმარება აქ აგრეთვე „ტანჯვა“, რომლის საფარდოდაც „გვერდული“ მოცემული (მ. 8, 29; 10, 17), ორგან კი „არ“ ძირია გამოყენებული. სიტყვები — ვიარები (ლ. 16, 24) და იტანჯები — იარები (ლ. 16, 25)¹.

ამგვარი სიტყვებია აგრეთვე:

ბოროტი	ძვრ მ. 9, 4; 15, 4; 17, 15; 27, 23; მრ. 3, 4; 7, 10, 23; ლ. 16, 25; 23, 22; ი. 5, 29; 18, 30
ბოროტ	უკეთური მ. 12, 39; 18, 32; 20, 15; 21, 41; 24, 48
ბოროტნი	საზარელნი მ. 8, 28 ²
მუშაკი	მოქმედი მ. 10, 10; 20, 1, 8
მუშაკი	მორეწე ლ. 15, 19
მუშაკნი	მოქმალნი მ. 13, 39
ჯურღუმული	ჯნარკ მ. 12, 11 ³
ტომნი	ნათესაენი მ. 24, 30; ლ. 2, 36
ზუარაკი	ჯარი ლ. 15, 23, 27, 30
პატივ-ცც	თავ-უყავ მ. 15, 4, 6; 19, 19; მრ. 10, 19.

პირველი შეხედვით ასეთსავე მიმართებაში უნდა იყვნენ სიტყვები: ვაშ-ქარანი — გულდა (მ. 10, 10; მრ. 6, 8), მაგრამ „ვაშქარანი“ არა თუ არ გვხვდება ამ ადგილას სომხურ ოთხთავში (სომხურში ორივე ადგილას *պարկ* არის), არამედ მისი ეტიმოლოგია სრულებით არ არის ცხადი თვით სომხურში.

მაგრამ ამ ფაქტების საწინააღმდეგო მასალასაც წავაწყდებით ხოლმე ამავე წიგნებში, მაგალითად:

შესაკრებელსა	ურაკპარაკთა მ. 10, 17
მტილსა	აგარაკსა მ. 13, 31
ქუნა	აგარაკები მ. 19, 29
ველი	აგარაკი მ. 24, 40; მრ. 15, 21; ლ. 15, 25; 23, 26
უტევეანი	ასპარეხი ლ. 24, 13.

აქ ბოლოს და ბოლოს სამი სიტყვა გვაქვს არსებითად. თავიდან ბოლომდე გატარება ზემოთ აღნიშნული პრინციპისა, ჩანს, ვერ ყოფილა შესაძლებელი.

იგივე უნდა განგვეშეორებინა ისეთი შემთხვევების შესახებაც, როცა ადამიერი რედაქციაში დატოვებულია ეს საერთო სიტყვები:

A. ან ერთნაირი:

ტანჯონ სტანჯვიდენ მრ. 10, 34.

¹ მაგონ შდრ.: ტანჯონ — სტანჯვიდენ (მრ. 10, 34).

² მაგონ შდრ.: ბოროტნი — ბოროტნიცა (მ. 22, 10).

³ მაგონ შდრ.: ი. 4, 11, 12.

B. ან სხვადასხვა:

შფოთი აშხოხი მ. 27, 24
 ტაძრად ურაკაბარაკად მ. 27, 27.

ამავე თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ აგრეთვე ჩვენი ძეგლის დამოკიდებულება სხვა უცხო წარმოშობის სიტყვებისადმიც: ნაკლებ, მაგრამ მაინც აქაც იგივე ტენდენცია იჩენს თავს:

შდრ., მაგალითად: კუბასტნი — სამოსელნი მ. 23, 5.

19. შეიძლება კიდევ აღნიშნულ იქნეს ორი ზმნის ურთიერთმიმართება ჩვენს რედაქციებში. ეს ზმნებია: 1. ვალ || ვედ || ვიდ ფუძის მქონე, ერთი მხრით, და ჯედ (→ჯედ)-ისა — მეორე მხრივ; 2. ტჟუ ძირის შემცველი, ერთი მხრივ, და თჟუ — რჟუ-ისა, მეორე მხრივ. მაგრამ რაიმე გარკვეული დებულების წამოყენება ამ მხრივ ძნელია, რადგანაც საამისო მასალებს ჩვენი ხელნაწერები არ იძლევიან. მართალია, პირველი რიგის ზმნათა ანალიზისას ნ. მარი გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ „ჯედ“ („ჯედ“) ფუძის მქონე ფორმები გაცილებით უფრო არქაულია, ვიდრე ვალ || ვედ || ვიდ-ისა, რომელიც თითქმის თანამედროვე ქართულის ფორმებს მოგვაგონებს¹, მაგრამ ჩვენი ძეგლები ამ მხრივ ხელშესახებს არაფერს გვაწვდიან: ერთსა და იმავე ძეგლში თითქმის თანაბრად არის წარმოდგენილი ორივენაირი ფორმები. ისე შეიძლება შევნიშნოთ ამაზე, რომ ქართული ენის არც სხვა უძველესი ძეგლების (განსაკუთრებით ხანმეტრი და ჰემეტი ტექსტების) ჩვენება ჰყენს ამ საკითხს ნათელს.

ჩვენს ძეგლებში, სახელდობრ, ასეთი მდგომარეობაა:


ჯ	ღ
ვედ ვიდ	წედ გუ
აღვიდა	აღჯდა მ. 5, 1; 8, 23; მრ. 6, 51; ი. 6, 3
შევიდა	აღჯდა მ. 9, 1; მრ. 8, 10
მოვიდა (მისა)	მოღჯდა (მას) მ. 4, 11; 27, 58; მრ. 11, 27.
(მზღ) დაჰვიდოდა	დაჰჯდა მრ. 1, 32
განსლვად	განჯედ მრ. 9, 25
განსრულ არს	გამოჯდა მრ. 7, 29 და სხვ.

მაგრამ იქვე ვხვდებით შებრუნებულ ფორმებსაც, მაგალითად: მოღჯდა (მას) — მოვიდა (მისა) მ. 5, 1; 20, 20; მრ. 1, 40; 5, 27.

აღჯდა	აღვიდოდა მრ. 5, 18
გარდამოჯდა	გარდამოვიდა მ. 8, 1
წიაღჯდა	წარვიდა ი. 6, 1
გამოჯდეს	გამოვიდეს ი. 21, 9

გარდამოჯდა — გარდამოვალს ი. 6, 33; გარდამოჯდა — გარდამოსრული ი. 6, 50; გარდამოჯედ — გარდამოსრული ი. 6, 41.

¹ Христ. Вост., т. II, вып. II, стр. 173.



აქედან, კვლავ ვიპვიორებთ, არ შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რივე-
ლიც ნ. მარს მცირე მასალის ანალიზის საფუძველზე გამოჰქონდა.

ეგვე შეგვეძლო გვეთქვა, სხვათა შორის, აგრეთვე „მისდევა“ და „შე-
ულდა“ ზმნების შესახებაც: აქაც სავეებით იმნაირი მდგომარეობაა, როგორც
ზემოთ ვნახეთ, და ამიტომ აღარ ვანვავრობთ სიტყვას.

რაც შეეხება მეორე რიგის ზმნებს, ტყუ — თქუ || რქუ-ს, შეიძლებოდა
ერთგვარი შეზღუდვით ჰირველი (ტყუ) ოპიზური რედაქციის დამახასიათებლად
ჩავვეთვალა, ხოლო მეორე (თქუ || რქუ) ადიშურისად გვეცნო. მართლაც, მათ
შორის ასეთი შეფარდება¹:

ტყუ (ტ)- თქუ || რქუ (ღ): მ. 10, 19; 11, 17; 12, 24; 15, 1, 10; 17, 10;
20, 12; 22, 23, 31; 23, 3; 26, 39; მრ. 4, 21, 38; 5, 7, 12; 9, 1, 11; 12, 18, 36;
ლ. 1, 24; 16, 15; 23, 34, 40, 42, 47; ი. 1, 22; 4, 35; 5, 10; 6, 65; 7, 3f, 46;
8, 23, 25, 31; 9, 2, 16, 21; 10, 6; 11, 47; 16, 26; 18, 21, 23; 19, 21.

ხოლო ამის საწინააღმდეგო შეფარდება:

ტ ლ

- a) რქუ = ტყუ: მ. 9, 11; ლ. 2, 50; ი. 6, 65; 12, 19; 15, 20
- b) თქუ = ტყუ: მ. 15, 4; მრ. 5, 30; ლ. 2, 15; 23, 29; 24, 23; ი. 1, 30;
6, 59; 7, 39; 11, 13; 18, 40; 19, 6.

მაგრამ საერთოდ აქაც რისამე გადაჭრით თქა ძნელია: ეს ისეთი ზმნებია,
რომელნიც ენაში ყოველ ნაბიჯზე იხმარება, და როგორადაც არ უნდა იყოს
ერთი დამახასიათებელი ამა თუ იმ ძველისათვის, სულ ერთია, არ შეიძლება
მეორეზედაც ხელის აღება. ამიტომაც, რომ ორივენაირი ფორმა მაინც ხშირად
მოიპოვება ერთმანეთის შემცვლელად.

20. ადგილის გარემოების გადმოსაცემად ჩვენი ძველი უმთავრესად ვითა-
რებითს ბრუნვას იყენებს მაშინ, როდესაც ოპიზური რედაქციის ნუსხები ამ
შემთხვევაში მიცემითს ბრუნვას მიმართავენ. სიძველე-სიახლეზე ლაპარაკი აქ
ძნელია; აღსანიშნავია მხოლოდ ის, რომ ვითარებითი ბრუნვის გამოყენება ამ
მიზნისათვის ნიშნეულია ჩვენი ძველისათვის. მაგალითები:

ტ

შევიდა ტაძარსა
წარვიდეს... აგარაკსა
მოაქციე მახვილი ევე ადგილსავე თუსსა
გამოვიდა ზღუს კიდესა
მოვიდეს სახლსა
შოვედით უდაბნოსა
აღვიდა მთასა
გამოვიდა იგი გზასა

ღ

ტაძრად მ. 21, 12
აგარაკად მ. 22, 5
ადგილადვე თუსა მ. 26, 52
განვიდა... ზღუს კიდედ მრ. 2, 13
სახედ (სახიდ) მრ. 3, 20; 7, 24; 9, 33
ადგიდ უდაბნოდ მრ. 6, 31, 32
აღწდა მთად მრ. 6, 46
გზად მრ. 10, 17

¹ ვუზენგნებთ მხოლოდ ფუძეებს. სხვა ფორმები ამჟამად არ ჭვინტრეუვებს.



წინა-გიძღვს... გალილევს
დაშთა... იშშს
მოვიდის ნათელსა
არა შორს იყვნეს ქენსა

გალილევად მრ. 16, 7
ადვიდა... იშშს ლ. 2, 43
ნათლად ი. 3; 20, 21
ქმელად ი. 21, 8.

არის რამდენიმე შემთხვევა, როცა საქმის ვითარება შებრუნებულად არას წარმოდგენილი, მაგალითად:

მოვიდა... ქენდ

ქენსა ი. 3, 22

შევიდა... საფლაჳად

მოსრულ იყო... სამარესა ი. 20, 8

შთაიგლო თავი თჳსი ზღუად

შთავარდა ზღუასა ი. 21, 7

ვიდოდის ცხორებად

... აღმოდინებულისაჲ ცხორებასა ი. 4, 14

შეკრიბოს ნაყოფი ცხორებად საუკუნედ

ცხოვრებასა მას საუკუნესა ი. 4, 36.

თუ ვითარებითი ბრუნვა მაშინ იხმარებოდა, როცა მიმართულება იყო გამოხატული, ხოლო მიცემითი უფრო მაშინ, როცა — ადგილი (მდებარეობა), ზემოთ მოტანილ მაგალითებში მოცემულ განსხვავებას აქვს თავისი გამართლება. მართლაც, ამ წინადადებაში: „...ექმნეს მას შინა წყარო წყლის, რი ვიდოდის ცხორებად საუკუნოდ“ (ი. 4, 14 E) ხაზგასმული სიტყვა (ვიდოდის) მიმართულებას უჩვენებს; ამის შესაბამისი ადგილია C-დან: „...ეყოს მას წყარო წყლისა, აღმოდინებულისაჲ ცხორებასა მას საუკუნესა“, სადაც უკვე მიმართულებასთან აღარ გვაქვს საქმე და სწორედ ამიტომაც აქ ნახმარი მიცემითი ბრუნვა. ასევე შეიძლებოდა გვეთქვა მეორე მაგალითზედაც; აქ C-ში ვკითხულობთ: „რი მოვიდა ...საფლაჳად“, რასაც L-ში უდრის: „რლო მოსრულ იყო... სამარესა მას“; მიმართულება არც აქაა გამოხატული და ამიტომ ბუნებრივია აქ სწორედ მიცემითი... მაშასადამე, თუ აქ თითქო შებრუნებული მდგომარეობა გვაქვს ამ ორი ბრუნვის გამოყენების საკითხში, ეს გამოწვეულია ზმნის შინაარსით: ერთ შემთხვევაში ის მიმართულებას გამოხატავს (მოვიდა), მეორეში — ადგილს (მოსრულ იყო)... დანარჩენი ორი მაგალითი კი საერთო წესს ვერ შეცვლის.

დასასრულ, ძველის ენის კიდევ ერთ თავისებურებასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება. ეს არის ე. წ. ისტორიული აწმყოს გამოყენება (praesens historicum). მოთხრობა წარსულ დროში მიმდინარეობს, ზმნები წყვეტილისა და უწყვეტელის მწკრივებით არის ყველგან წარმოდგენილი და ერთბაშად აწმყოს მწკრივის ფორმები ჩნდება. საინტერესოა, რომ ნ ასეთი შემთხვევიდან 5-ჯერ ერთი და იგივე ზმნაა ამ ფორმით მოცემული, ეს ზმნაა: მოვიდა — მოვალს; ხოლო ერთ შემთხვევაში ამასთან ერთად აგრეთვე მეორე ზმნაც (ახარებს). არის წარმოდგენილი. მაგალითები:

1. მოვიდა დედაკაცი სამარიათ — მოვალს დედაკაც ერთ სამარიათ (ი. 4, 7);

2. მოვიდა სიმონ-პეტრესა — მოვალს სიმონ-პეტრესა (ი. 13, 6);

3. მოვიდა მუნ სანთლებითა და ლამპრებითა — მოვალს მუნ ლამპრებითა და სანთლებითა (ი. 18, 3);

4. ერთსა მას შაბათსა შარბამ მაგდალენელი მოვიდა — ერთსა მას შარბამ მაგდალენელი მოვალს (ი. 20, 1);

5. მოვიდა შარბამ მაგდალენელი თხროზად — მოვალს შარბამ მაგდალენელი და ახარებხს (ი. 20, 18).

მიუხედავად იმისა, რომ ექვსივე მაგალითი მხოლოდ იოვანეს თავში გვხვდება და სხვაგან ასეთი რამ არ მოიპოვება, მაინც იგი მეტად დამახასიათებელია მთელი ადიშური რედაქციისათვის.

რომ შევაჯამოთ ზემოთ ნათქვამი ჯრუჭ-პარხლისა და ადიშის ოთხთავების ლექსიკის შესახებ, უნდა დავადგეთ იმ დასკვნას, რომელიც ზემოთ ამ ლექსიკის განხილვის დასაწყისში უკვე იყო გამოთქმული, სახელდობრ: ამ ხელნაწერების სახით ჩვენ საქმე გვაქვს ორ, ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელ, რედაქციასთან; სხვა არის ჯრუჭ-პარხლის ხელნაწერთა ძირითადი სიტყვიერი მასალა, პრინციპი ამ სიტყვათა შერჩევისა და მოხმარებისა, და სხვა არის ადიშის ძეგლისა (მისი ძირითადი ნაწილისა); ამ უკანასკნელს მოეპოვება ლექსიკაში მთელი რიგი თავისებურება, რომელიც არ იცის ჯრუჭ-პარხლის ხელნაწერთა (საერთოდ ორ რედაქციის) ლექსიკამ.

VI. სიტყვათა წარმოება

მაგრამ მარტო ლექსიკის მონაცემებით როდი მტკიცდება ზემოთ წამოყენებული დებულება. ამასვე ადასტურებს აგრეთვე სიტყვათა წარმოების განსხვავებული სახეები და, განსაკუთრებით, წინადადებათა კონსტრუქცია, სახელისა და ზმნის ურთიერთშეწყობა. თუ ამ მხრივ გავსინჯავთ ჩვენი ხელნაწერების მასალებს, მათ შორის რედაქციულ სხვაობას უფრო აშკარად შევამჩნივთ. დღევანდელი „საქმელი“-ს გადმოსაცემად (пуща, *ხერასიქ*) ჯრუჭი და პარხალი „კამ-ად“-ს იღებს, ადიში — „კამ-ულ“-ს (მრ. 7, 19); ცხადია, აქ წარმოების სულ სხვადასხვა სახეა. ასევე სხვადასხვანაირად არის ნაწარმოები მე-სა-თხ-ევ-ლე და მ-თხ-ევ-არ (მრ. 1, 16), მ-წო-ლ-არ-ე და შთა-წვ-ენ-ილ-ი (ლ. 2, 16) და სხვა. ეგვიფი უნდა ითქვას აგრეთვე ზმნების წარმოების შესახებაც.

1. შევეხოთ პირველად სახელთა წარმოებას და ვუჩვენოთ ამ ხელნაწერთა ნაირნაირი ფორმები, რომლებიც ერთი რედაქციისათვის შეუთავსებელია. სახელთა ასეთი განსხვავებული წარმოების ფორმებია:

ს

ლ

არიშათიად

არიშათიელი ი. 19, 38

ბიჭი

ნაბიჭი მრ. 7, 28

ბრძანება

ბრძანებულ ლ. 17, 9

გალილეად

გალილეველ ი. 7, 52

განგრძობილად

განგრძელებულად მრ. 12, 40

განზადებულ

მზა მ: 24, 44; 25, 10

განძღვად

განძღომად ლ. 16, 21

გონიერი
 დიდძალი
 ერთობითა


გონებულად მრ. 5, 15; 12, 34
 დიდი მრ. 5, 11
 ერთად ი. 17, 23.

თივაჲ: იყო თივაჲ ფ'დ აღგილსა მას — იყო დიდად თივლოვან აღ-
 ვილი იგი ი. 6, 10.

თჳნიერ იგავისა
 ინაწით-მჯდომარეთაგანმან
 კრებულნი
 შალაღი
 მახულეებითა და წათებითა
 შეკერმენი
 შესათხველვ
 მოესვარი
 მწოლარს
 ნაშობი
 ნეტარ ხართ
 რისხვით
 რისხვით
 აავსებით
 ხაკიდურთა
 საუკუნოდ
 ხანღეფული
 ხუფევისა
 უშრეტსა
 უწინარეს
 უწინარეს
 უკელოვასა
 ყანები
 შეუძლებელ
 შრომილი
 ცხოვარი
 ძლევად
 წარწყმედილი
 წმიდა
 ჳამადსა
 ხუცესი

უიგავოდ მ. 13, 34
 შეინაწეთა მისთაგანმან ი. 13, 28
 შესაკრებელი მრ. 12, 39
 შალღოვ ლ. 16, 15
 მახულოსანნი და წათოსანნი მ. 26, 47
 კერმის მცვალეებლნი ი. 2, 14
 ნიხევარ მრ. 1, 16
 მთესველი ი. 4, 36
 შთაწვენილი ლ. 2, 16
 შობილი მ. 11, 11
 უსანატრელეს იყვნეთ ი. 13, 17
 მრისხანედ მრ. 3, 5
 განრისხებულნი ი. 11, 33
 საესე ი. 16, 24
 კიდეთა მ. 21, 46; მრ. 12, 10
 უკუნისამდე ლ. 1, 33, 55.
 სახლი ლ. 16, 4; ი. 4, 53
 შეუფებისა ლ. 1, 33
 დაუშრეტელსა მრ. 9, 43
 წინა მრ. 15, 42; ი. 1, 15; 12, 1; 17, 24
 წინადაწარ ი. 13, 1; 17, 5
 ერთველისა მრ. 9, 43
 ყანობირი ი. 4, 35
 ვერ შესაძლებელ მ. 19, 26
 ნაშრომი ი. 4, 38
 საცხოვარი ი. 10, 15; 21, 16
 მძლედ მ. 12, 20
 წარწყმედული ლ. 15, 24
 განწყედელი ი. 17, 19
 ჳამულთა მრ. 7, 19
 მოხუცებული მ. 27, 41; მრ. 11, 27.

ამ ფორმებს შესახებაც უნდა შევნიშნოთ, რომ მათში ბევრია ისეთი სა-
 ხის წარმოება, რომელიც უფრო დღევანდელ ენაში მოქმედ ნორმებს მოგვა-
 გონებს, ე. ი. აქაც კარგად გამოსჭვივის სიხალისის ის შუქი, რომელზედაც ზე-
 მოთ გვექონდა საუბარი. თქმა არ უნდა, მაგალითად, რომ მიმღეობის ისეთი



წარმოება, როგორცაა „ნა-შრ-ომ-ი“ (ი. 4, 38), „შრ-ომ-ილ“-თან შედარებით ახალი სახისაა; ასევე ახალია „მ-თეს-გ-ელ-ი“ (ი. 4, 35) მ-თეს-გ-არ“-თან შედარებით, „მო-ხ-უ-ც-ე-ბ-ულ-ი“ — „ხ-უ-ც-ეს“-თან შეპირისპირებით (ბერძნ. *πρωτο-πνευματικος*-ის ეკვივალენტი) და სხვა. ამნაირ შედარებით ახალ ფორმებზე შეიძლება მივიჩნიოთ აგრეთვე შემდეგნიც (ადრეუნიდან):

ს	ლ
საკიდურთა	კიდეა
გალილუაათ	გალილეველი
არიმათიაათ	არიმათიელი.

2. წარმოების თვალსაზრისით უფრო მეტი ნაირსახეობანი მოეპოვება ზმნებს. ეს შეიძლება ეხებოდეს ზმნის პირს, რიცხვს, გვარს, ქცევას, ზმნისწინს და ყველა სხვა კატეგორიას. მაგრამ განსაკუთრებით და მეტად ის ეხება ზმნათა მწკრივებს, რადგანაც ასეთ შენთხვევაში ბევრჯერ წინადადების მთელი კონსტრუქციის შეცვლა სწორედ რომ ზმნის მწკრივებზეა დამოკიდებული, განსაკუთრებით, თუ ეს მწკრივი სხვადასხვა სერიისაა. ავიღოთ, მაგალითად, *ს*-ს ასეთი წინადადება: „ფართო არს გზაჲ, რლ¹სა მიჰყავს წარსაწყმედელად“ (მ. 7, 13), ამას უდრის *ლ*-ში: „ერკელ არს გზაჲ, რ²ნი მიიყვანის წარსაწყმედელად“; ზმნის მწკრივის გამოცვლას (მიჰყავს — მიიყვანის) შედეგად მოჰყვამასთან შეწყობილ სახელთა ბრუნვების გამოცვლა (რომელსა — რომელმან). ამნაირივე ფორმებია აგრეთვე: რ³ნი ჰპოებენ მახ — რ⁴ლთა პოიან იგი (მ. 7, 14); ღრუბელი ნათლისაჲ აგრელობდა მათ — ღრუბელმან ნათლისამან დააგრილა მათ (მ. 17, 5); მეფენი ქ⁵ყნისანი ვითგან მიიღებენ ხარკსა ანუ ზუერსა — მეუფეთა ქ⁶ყნისათა რ⁷ლთა გამოიღიან ხარკი ანუ თუ ზუერი (მ. 17, 25); აქაც ზმნის მწკრივის შეცვლამ გამოიწვია მასთან პირის საშუალებით დაკავშირებულ სახელთა ბრუნვების შეცვლა: მეფენი ქ⁸ყნისანი — მეუფეთა ქ⁹ყნისათა, ხარკსა ანუ ზუერსა — ხარკი ანუ ზუერი... ასეთსავე შედეგს მივიღებდით, თუ ზმნის რომელიმე სხვა კატეგორია შეიცვლებოდა, მაგალითად: დედაქაცისა თანა იტყოდა — დედაქაცისა მას ეტყოდა (ი. 4, 27).

ქვემოთ ჩვენ ვუჩვენებთ ამ განსხვავებულ ფორმებს, მაგრამ, რომ საქუბარ გართულდეს, მათ არ დაგვაჯუფებთ ამ კატეგორიათა მიხედვით.

ზჩების ფორმათა ეს სახესხვაობანია: მათედან¹:

ს	ლ
შეინანეთ	ინანდით 4, 17
იბრუშა	იბრუშებდეს 5, 32
გოჰუარდელ	ჰუარობდით 5, 44
ჰყოფენ	ყვიან 5, 46

¹ მასალას ვალაგებთ ოთხთავის რიგის მიხედვით.

მიუღებებს	მიილიან 6, 2
იზრუნოს	ზრუნვიდენ 6, 34
მიჰყავს	მიიყვანის 7, 13
პპოებენ	პოიან 7, 14
ქროდეს	ანქრევდეს 7, 25
ისმინნეს	ესმნენ 7, 26;
ქროდეს	ქრიოდეს 7, 27
ვაოვე	მიპოვნიეს 8, 10
მოვლენან	მოვიდენ 9, 15; მრ. 2, 20; ლ. 17, 22; 23, 29;
მოიტაცონ	მოიტაცებენ 11, 12
ისმინენ	ესმოდენ 11, 15; მრ. 4, 9, 23
ისმინია	ესმინ 13, 20
მნებავს	მინებს 15, 32 (შდრ. უნებნ—ჰნებავენ მ. 27, 15);
ავრილობდა	დაავრიოდა 17, 5
მოგუცვსა	გამოსცის 17, 24
მიიღებენ	გამოილიან 17, 25
მოიძიოს	ეძიებდეს 18, 12
შეუვრდა	დავარდა 18, 29 (შდრ. ი. 11, 32)
დაიტენ	დაიტევდინ 19, 12
უფლებედ	ეუფლნიან 20, 25
მოსცენ	მისცოდნიან 21, 41
სწამებთ	ეწამებით 23, 31
აქმნა	იქმოდა 25, 16.

მარკოზიდან:

მიუწყობთ	ჰწყვიდეთ 4, 24 .
განხეთქის და შემესრის	განეხეთქა და შეემსრა 5, 4
უთხრობდეს	მოუთხრეს 5, 16.
შეეშინა	შეშინდა 5, 33
აცალებდეს	ჰცალნ 6, 31
ისმინეთ	გესმოდენ 7, 14; 12, 29
უფლებედ	ეუფლნენ 10, 42
აღესრულნენ	აღესრულებოდის 13, 4
წარსდგეთ	წარგადვინნენ 13, 9
ითქუმოდის	მიმოგანითქუას 14, 9.

ლოკადან:

იხარებდეს	უხაროდა 1, 58
განვიდეს	განვლოს 2, 35
სძულდეს	მოიძულოს 16, 13
განძღებად	განძღობად 16, 21
ვაპოვებ	ვაპოე 23, 14
ქმნა	უქმნიეს 23, 41
ეკონა	ჰკონებდეს 24, 37; ი. 20, 15.

იოვანედან:

მიჰხელა	ხედვიდა 1, 36
ესმის მისი	ისქენნ მისსა 3, 29
უხარინ	იხარებნ 3, 29
დედაკაცისა თანა იტყოდა	დედაკაცსა მას ეტყოდა 4, 27
პოვალს	მოვიდეს 5, 28
იქმ	ჰქმნე 6, 30
გვკნობიეს	გიკნათ 6, 69
წინადაიცუთის (კაცმან)	წინადას(ცუთით) (კაცსა) 7, 22
ცნეს	უენობიეს 7, 26
ისპინეს	ესმოდა 7, 40
ღამიტევა	დაუტევიებე 8, 29
ისმენთ	გესმის 8, 47
გიხილავსა	იხილვა 8, 57; 14, 7
ზინ და ითხოვენ	ჯდა და ითხოვდა 9, 8
განჯაღონ	განჯდეს 9, 22
რ'ი იტყუს შენ თანა	რ'ი გეტყუს 9, 37
ღაიძინა	სძინავს 11, 12
ღავარდა	შეურდა 11, 32 (შდრ. მ. 18, 29)
შეიზრახნეს	ზრახვიდეს 11, 53
გძულობს	მოგიძულოს 15, 18
ჰყუარობდა	უყუარდეს 15, 19
მიძლევიეს	ესძლე 16, 33
დაუმარხავს	ღაიმარხეს 17, 6
ვჰსცევდ	ღავიცვენ 17, 12
გნებავსა	ინებეთ 18, 39
ჰქვან	ერქუმის 19, 13, 17
გამოითრევედეს	მოეთრია 21, 8.

რომ დაეუკვირდეთ განხილულ მაგალითებს, შევნიშნავთ, რომ, რამდენადაც საქმე მწკრივებს ეხება, ადიშურს რედაქციაში ზმნის ფორმები ვადაქოცემულია უმეტესად პირველი სერიის მწკრივებით მაშინ, როდესაც ოპიზური რედაქცია უმთავრესად II სერიის მწკრივებს მიმართავს ხოლმე. ამიტომაც, რომ გვაქვს:

შ	ქ
აღესრულუნენ, მაგრამ:	აღესრულებოდის
ღაიძინა,	სძინავს
შეიზრახნეს,	ზრახვიდეს და სხ. (იხ. მაგალითები ზემოთ).

მსგავსი მაგალითებია (ღამატებით):

შ	ქ
წარვაველინო	წარვაველინებ მ. 11, 10; მრ. 1, 2
ღაიმარხეთ და ყავთ	ჰყოფდით და იმარხვდით მ. 23, 3

ლაპჯაშთ	ლაპჯსაეთ შ. 23, 14
მიუჯო	მიუჯებდა შ. 27, 12
წრფელ ყვენით	წრფელს ჰყოფდით შრ. 1, 3
უქადაგო	უქადაგებლუ შრ. 1, 28
შეაიწრონ	შეაიწრებდენ შრ. 3, 9
დაიშთვენეს	დაიშთვებოდეს შრ. 5, 13
ტელ-იწითა	ტელს-იწითებდა შრ. 6, 19
მზა-ჟყო პური	ტაძრობას ჰყოფდა შრ. 6, 21
ტანჯონ	სტანჯვიდენ შრ. 10, 34
აღპჯსნეს	აღჯსნიდეს 11, 4
განიხარონ	უხაროდის ლ. 1, 14
ჰკითხა	ჰკითხვიდა ლ. 23, 3
მოგივლინო	მივავლინებ 24, 49
წამა	წაჰებს ი. 1, 15; 5, 37
მოვილო	მოვილებ ი. 5, 34, 41
შემიწყნარეთ	შემიწყნარებთ ი. 5, 43
მოჰსცა	მისცემს ი. 6, 33
გწამო	გწამებ ი. 8, 14
წარჰკოცნა	წარჰკოცდა ი. 12, 3
მკითხოთ	მკითხვიდეთ ი. 16, 23
იკადრა	იკადრებდა 21, 12
შეგარტყან	შეგარტყმიდენ 21, 18
წარგიყვანონ	მიგიყვანებდენ 21, 18.

მაგრამ გვხვდება პირიქითაც: როცა აღიშურ რედაქციაში II სტრასის მწკრივია წარმოდგენილი, ხოლო ობიჟური რედაქციის ნუსხებში — პირველისა. ის კი უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი შემთხვევები ვაცილებით მცირეა, ვიდრე ზემოთ განხილულნი. მაგალითები:

ს	ღ
აქთუნებდენ	აქთუნენ შ. 24, 5; შრ. 13, 6
განჰკურნებდა	განკურნა შრ. 3, 10
უთხოზოდეს	მიუთხოვს შრ. 5, 16
მაჰსცემდა	მისცა შრ. 6, 7; 15, 23
შეიტყობდა	შეიტყბნა შრ. 10, 16
ვჰპოვებ	ვპოე ლ. 23, 14
წამებდა	წამა ი. 4, 44
მე მსახურებდეს	მე... მსახუროს, ი. 12, 26.

3. აღიშური რედაქციის ენის კიდევ ერთ თავისებურებად ის გარეგნობა ითვლება, რომ აქ ზმნები და სახელზმნები ძალიან ხშირად უზმნისწინოდ იხმარება. ზოგჯერ ზმნების ასე უზმნისწინოდ წარმოდგენა ეხანუშება გიდეც ყურს და არაშევიათად შეიძლება გაუგებრობის მიზეზიც ვახდეს; შდრ., მაგალითად,

ფორმები: განვიკთხე (ჯ) და ვიკითხე (ღ), სადაც უკანასკნელი ფორმა „გან-
კითხვის“ გარდა შეიძლება სხვა რაჟესაც აღნიშნავდეს; ასევე ითქმინა „ვიკითხე“
„მივსცე — ვსცე“, „მივიღეთ — ვიღეთ“ და მსგავსი ფორმათა შესახებაც. მაგა-
ლითები:

ჯ	ღ
შეუძლეთ	უძლეთ მ. 17, 19
მიიცვალე	იცვალე მ. 17, 20
შემიწყალენ	მიწყალენ მ. 20, 30
შემიწყალენ	გწყალენ მ. 20, 31
დაიმარხეთ	იმარხედით მ. 23, 3
მოოჯრებიისაჲ	ოჯრებიისაჲ მ. 24, 15
დასთესი	სთესი მ. 25, 24
მოავოს	(ადგილ) ავოს მრ. 9, 12 (შდრ. მ. 17, 11)
შემეწიე	მეწიე მრ. 9, 24
შემიწყალე	მიწყალე მე მ. 10, 47, 48
შეცოდოს	ცოდოს ლ. 17, 3
შეგინანე	გინანი ლ. 17, 4
ჯანვიკითხე	ვიკითხე ლ. 23, 14
შეიქმნა	იქმნა ი. 1, 10; შექმნა — ქმნა ი. 9, 13
დაჯდა	ჯდა ი. 4, 6
მივსცე	ვსცე ი. 4, 14
დაშფერით	შფერით ი. 4, 38
მომეც	გმეც ი. 6, 34
განწვალე	წვალე ი. 7, 43; 10, 19
განბანოლსა	ბანოლსა ი. 13, 10
არა შევესუა	არა ვსუა ი. 18, 11.

იშკაათად არის ხოლმე ისეთი შემთხვევა, როცა ზმნისწინიანი ფორმა
სწორედ ადიშური რედაქციის ზმნებს მოეპოვება. ხოლო ოპიზურისას — არა,
მაგალითად:

ჯ	ღ
ქსდგეთ	დასდგეთ მრ. 11, 25
თხოვილისა	განთხოვილისა ლ. 1, 27
ვსწავლო	განვსწავლო ლ. 23, 16

მაგრამ ასეთი შემთხვევები ძალზე მცირეა და ის არ შეიძლება ჩვენი ძეგლის
დაშახსიათებლად ჩაითვალოს.


4. ჩვენს ძეგლებში ხშირად ენაცვლებიან ერთმანეთს მარტივი და შედგე-
ნილი შემასმენლები:

ა) ოპიზურის მარტივი შემასმენელი ადიშურში შედგენილითაა გადმო-
ცემული:

ს	ლ
მოიყიდეს	სასყიდლის ყვეს მ. 27, 9
შებორკილა	კრულ-ყო მრ. 6, 17
შეეწალანეს იგინი	წყალობა-ყო მათ ზედა მრ. 6, 34
არცხუნოს	სარცხუნელ უჩნდეს მრ. 8, 38
იღვძებდით	მღვძარე იყვენით მრ. 14, 38
შეუღვგ	შედგომილ ვიყავ ლ. 1, 3
შეესმენეს	სასმენელ იქმნეს ლ. 1, 13
აღ იესოს	საღეს იესო ლ. 1, 15
უკვრდა	დაკვრებულ იყვნეს ლ. 1, 21
ეწოდა	წოდებულ იყო ლ. 2, 21
აღხოვნებს	ცხოელ ყვნეს ი. 5, 21
განსთავისუფლდეთ	თავისუფალ იქმნეთ ი. 8, 33
ნაყოფი გამოიღოთ	ნაყოფის გამოძღებელ იყვნეთ ი. 15, 16
გივნს	საჯვარ არს ი. 16, 30
ნუგეშინინ	ნუგეშინის-ცემულ იყვნეთ ი. 16, 33
შეიპყრნეთ	პყრობილ ჰყვნეთ ი. 20, 23.

ბ) კობიზურის შედგენილი შემასმენელი აღიშვრში მარტვიეთაა გამოხატული:

ს	ლ
გრძელ ყვიან	განიგრძვიან მ. 23, 5
ღაბრკოლებად ხართ	ღაბრკოლდეთ მ. 26, 31; მრ. 14, 27
შენ სათნო-გიყავ	მთნაე მრ. 1, 11
ზრახვა-ყვეს	ზრახვიდეს მრ. 3, 6
წმილ იესოს	განწმილდეს მრ. 9, 50
მღვძარე იყვენით	იღვძებდით მრ. 13, 33
მზა-მიყავთ	დაგვმზადდეთ მრ. 14, 15
წამს-უყოფდა	მოასწავებდა ლ. 1, 22
მუტლად-ილო	მიუღვე ლ. 1, 31
შეუგუანებელ არს	არა ეგების ლ. 17, 1
შთაფრდომილ იყო	შთა-შცა-ვარდა ლ. 17, 2
იქმნეს მეგობარ	იმოყურნეს ლ. 23, 12
შეადებულ იყო	შეეყენა ლ. 23, 25
შეშინებულ იქმნეს	შეშინდეს ლ. 24, 37
შეძრწუნებულ ხართ	შესძრწუნდებით ლ. 24, 38
შესაძლებელ არსა	ეგების-მე ი. 3, 4, 9
ცხად იყვნენ	განცხადნენ ი. 3 21
დადგროვილ არს	დაადგრეს ი. 3, 36
დამაშურალ არიან	დაშურეს ი. 4, 38
სწორ-ჰყოფდა	ასწარობდა (ასწორობდა?) ი. 5, 18



ლალად ყო	ლალდებდა ი. 7, 37
შე-ვე-ცთომილ ხართა	შესცეთით ი. 7, 47
აღდგომილ არს	აღდგეს ი. 7, 52
მოსრულ ვარ	მოვედ ი. 9, 39
წმიდა-ყო	განწმიდა ი. 10, 36
არა მომკუდარ იყო	არა მოკუდა ი. 11, 21
სავსებით იყო	აღივსოს ი. 15, 11
წმიდა-ვაჟყოფ	განვსწმედ ი. 17, 19
შობილ ვარ	ვიშვეე ი. 18, 37
შეკრებულ იყვნეს	შეკრბეს ი. 20, 26
წერილ არს	დაიწერა ი. 20, 31.

როგორც ვხედავთ, ადიშური რედაქცია ჩვეულებრივ მარტივ შექმასმენელს ანიჭებს უპირატესობას. ეს მიდრეკილება სიმარტივისადმი არა მარტო აქ იჩენს თავს, არამედ სხვაგანაც, სხვადასხვაგვარ სპეციფიკურ გამოთქმებსა თუ ჩვეულებრივს წინადადებებში. შდრ., მაკალითად, სასყიდლით დადგინებული — შორეწე ლ. 15, 17; სასყიდლით დადგინებული — სასყიდლით ი. 10, 12; გული ეტყოდა — სწადინ ლ. 15, 16; გული გითქუმიდეს — გწადოდის ლ. 17, 22; გეც მე წყალი — მასუ მე ი. 4, 10; გამოკიდებულ არიან — გამოაბენ მ. 22, 40; მუჯლნი დაიდგნა — იმუჯლნა მრ. 10, 17; ფერკი წარჰსცეს — უბრკუმეს ი. 11, 9; მამა და დედა — მშობლნი ლ. 2, 41; მომცა მცნებაჲ — მამცრო ი. 12, 49; ვალობაჲ წართქუეს და განვიდეს — ვალობით გამოვიდეს მ. 26, 30; შრომასა შეამთხოვეთ — დააშრობით მ. 26, 10; ისუ ბარბადასი — ბარაბა მ. 27, 16; შოლ-ტითა ჰსცა — გუჟმა მ. 27, 2^ა; შემდგომად სამისა დლისა — შესამესა დლესა მ. 27, 63; შეკრბა მუნ სიმრავლჳ ერისაჲ — შეკრბეს მრავალნი მრ. 2, 2; იყვნეს.. მარხვისა შინა — იმარხვიდეს მრ. 2, 18; თქუას გმობაჲ — ჰგმობდეს მრ. 3, 29; ვანცხადებულად მოვიდეს — განცხადნა მრ. 4, 22; ვერ ჯელ-ეწიფა დაფარვად — ვერ დაეფარა მრ. 7, 24¹; ზღულჳ გარე მოსდვა — შეზღულა მ. 21, 33; ჰურისა უფალჰან — მთავარჰან ი. 2, 9; რ-ლთა აქუნდეს საფასჳ — ფასიერნი მრ. 10, 23; რ-ნი საფასეთა ესვენ — ფასის მოსავნი მრ. 10, 24; რ-ნი იყვნენ ჰურიასტანს — ჰურიასტანისანი მრ. 13, 14; რ-ნი აწოვებდენ — მაწოვნებელნი მრ. 13, 17; ჟამსა მარჯოესა მიჰსცა — განმარჯუებულად მრ. 14, 11; ნწუხრი იყო — დამწუხრდა მრ. 14, 17; მივიდა შედგომად მისა — შეუდგეს მას ი. 12, 19; ჰრწმენეს. ჩემი — ვჰრწმენე ი. 14, 12; ვიტყოდი თქნ თანა — გეტყოდი ი. 14, 30 და სხ. ისეთი შემთხვევა კი, სადაც საქმის ვითარება შებრუნებულად იქნება წარმოდგენილი, იშვიათია. აი რამდენიმე მაგალითი ამისა:

მნჳ — ეხოას მოძღუარ ლ. 16, 1; სახელით იოსებ — რ-ლსა სახელი ერქუა იოსებ მ. 27, 57; სახელით იაროს — რომელსა სახელი ერქუა იაროს მრ. 5, 22; ასწაიებდა — ეტყოდა სწავლასა მრ. 12, 35; შეხუეული — წარგრაგნილი სახუე-ველთა ლ. 2, 12; ერისაგანი — ერისა კაცი მ. 8, 9.

¹ შდრ. VC 4, 5, 6; VI, 3.



5. არის შემთხვევები, როცა ზმნის პირიანი ფორმა ერთი რედაქციის მეორეში მიმღობის (ან მასდარის) სახით არის წარმოდგენილი და ადამიანთა

ა) ოპიზური რედაქციის ზმნის პირიან ფორმას ადამიანთა ენაცვლება სახელზმნა- (მიმღობა, მასდარი):

რ'ნი აწოებდენ	მაწოენებელთა მ. 24, 19
გამოჰხადოდეს	... ხადოდ მისა მრ. 3, 31
რაოდენთა-იგი ქამეს	მუჰამელნი მრ. 6, 44; ი. 6, 13
აგრილობდა მათ	მაგრილობელად მათა მრ. 9, 7
გამოეძიებდეს	სიტყუს გამოეძიებელად შედგომილ ივენეს მრ. 9, 14
რ'ნი საფასეთა ესვენ	ფასის მოსაენი მრ. 10, 24
შეჰრისხნა მათ	მიუჰო... რისხვით და ჰრქუა ლ. 23, 40
მეწამებით მე	მოწამე ხართ ჩემდა ი. 3, 28
რ'ნი ვიდოდის	აღმოდინებელი ი. 4, 14
რომელმან მოავლინა იგი	მომავლინებელი მისი ი. 5, 23 ¹
რომელმან-იგი აღიხილნა	აღიხილული ი. 9, 18
რბიოდა და მოვიდა	მაშინლა სრბით მივიდა ბ. 20, 2
რ'ნი მიგვეს შენ	მიმცემელი შენი ი. 21, 20.

ბ) ოპიზური რედაქციის სახელზმნებს (მიმღობას, მასდარს) ადამიანთა რედაქციაში ზმნის პირიანი ფორმა ენაცვლება:


მორწმუნისა	რ'ლსა ჰოწამს მრ. 9, 23
მსხდომარენი	რ' სხდეს ი. 2, 14; ი. 20, 12
მოფარდულნი	რ' ფრდიდეს ი. 2, 14
ტრედის მოფარდულთა	რ'ნი-იგი ტრედსა ფრდიდეს ი. 2, 16
მომავლინებელისა	რ'ნ მომავლინა შე ი. 4, 34; 5, 24 ² ; 7, 16; 9, 4; 12, 44; 14, 24
მომკლმან	რ'ნ მომკოს ი. 4, 36, 37
მიმცემელი მისი	რ'ნ მისცეს იგი ი. 6, 64; 18, 5
აქუს მსაჯული თუსი	არს, რ'ნ მსაჯოს იგი ი. 12, 48.

ასეთია ჩვენი ხელნაწერების წაკითხვათა განსხვავებანი ფორმათა წარმოების თვალსაზრისით. თუმცა აქ ჩვენ წინაშე ერთი და იმავე ძირის შემცველი მასალაა, მაგრამ მათ შორის არსებული ფორმალური განსხვავებანი ისე მკვეთრი ხასიათისაა, რომ ადვილად გვაგვარადებინებს მათ შორის რედაქციულ სხვაობას. მაშასადამე, როგორც ლექსიკის ანალიზმა, ისე ფორმათა წარმოების გაკვეთულმა ჩვენებამ ჩვენ ერთსა და იმავე დასკვნამდე მიგვიყვანა; ეს დასკვნაა: ჯრუჱ-ჰარხლისა და, საერთოდ, ოპიზური რედაქციის ხელნაწერები და ადამიანთა ძველი (ძირითადი ნაწილი მისი) ორი სულ სხვადასხვა რედაქციის ტექსტებს შეიცავენ.

¹ შდრ. ი. 5, 24.

² შდრ. ი. 5, 23.

VII. წინადადებათა კონსტრუქცია



მაგრამ სარელაქციო საკითხების კვლევისას ვადაშუქვეტი მნიშვნელოვან მანკ მთელი წინადადების კითხვას ეძლევა, ამ წინადადებათა კონსტრუქციას, იმ პრინციპებს, რომელთა მიხედვითაც არის აგებული წინადადებანი. წინადადებათა კონსტრუქცია კი სახელისა და ზმნის ფორმათა თავისებურებით განისაზღვრება. და რადგანაც ჩვენ ზემოთ დავინახეთ სახელთა და ზმნათა წარმოება ჩვენს ძველებში სხვადასხვანაირად არის წარმოდგენილი, ამიტომ აქ a priori უნდა დავვეჭვა, რომ ამ მხრივაც (მთლიან წინადადებათა კიანხვაშიც) მათ შორის დიდი განსხვავება იქნებოდა. ეს მართლაც ასე არის. ენახთ სათანადო მაგალითები ჯერ ცალკე წინადადებათა ან ოთხთავის ცალკე მუხლთა ფარგლებში, შემდეგ კი გაბმულ ტექსტში.

ა) ცალკე წინადადებანი (და მუხლები)

ტ

ღ

მ. 3, 16. და რქს იღმოვიდოდა წყლისა მისგან.

მუნქუესვე აღმოვდა მიერ წყლით.

მ. 8, 9. რ მეცა კაცი ვარ გელმწიფებასა ზა და მქონან ჩემ ქუეშე ერისაგანნი.

რ მეცა კაცი ვარ, და საბრძანებულად ჩემდა არიან ერისა კაცნი.

მ. 12, 25. იცნოდა იჯ ზრახვანი იგი გულისა მათისანი და ჰქა მათ: ყნი შეუფებაა, რი განევთის თავსა თუსსა, მოოვრდის; და ყნი ქლქი გინა სახლი, რი განევთის თავსა თუსსა, ვერ დაემტკიცის.

ვრ ცნა იჯ ზრახვა იგი მათი, ჰქა მათ: ყოველი სამეუფოა, გავთული თავსა ზა მისსა, აღოვრდის; და ყლი ქლქი ანუ სახლი, განყოფილი თავსა ზა თუსსა, ვერ დადგეს.

მ. 12, 26. და უკუეთუ ეშმაკი ეშმაკთა განასხამს, თავსა თუსსა განევთა; ვრ მტკიცე არს მეუფებაა მისი?

და თუ ეშმაკი ეშმაკსა განჰვდის, თავსა ზა თუსსა გავთულ არს; ვიარ-მე უკუე ვგოს მეუფებაა იგი მისი?

მრ. 3, 9. და ჰქა იჯ მოწაფეთა თუსთა, რა ნავი განუმზადონ მას ერისა მისთუს, რა არა შეეახლნენ მას და შეაიწრონ.

და ჰქა მოწაფეთა თუსთა, რა ნავი მცირე დაალოდონ მას ერისა მის გამო, რა არა შეაიწოებდნენ მას.

მრ. 3, 14. რ მრავალთა განჰქურნებდა, ვდ ზაცა დაესხმოდეს მას ეოი იგი, რა შეოდენ-ენენ. და რაოდენთა აქუნდა საღმობაა და შეენეს, განიქურნებოდეს.

რ მრავალნი განქურნა, ად ზაცა დაესხმიედ მას, რამცა შე-ნ ვრ-ანეს მას, რნი-იგი გუემულ იყვნეს.

მრ. 4, 10. და ოდეს იყო იგი თუსაგან, ჰკითხეს მას მოწაფეთა მისთა, ვდ: რაა არს იგავი ესე?

რავამს უკუე იყო მარტოდ. ჰკითხეს მას, რლ იყვნეს გარემოას მისსა ათორმეტითურთ, იგავები იგი.

მრ. 5, 3. რლსა საყოფლად აქუნდავე საფლავები. და არცალა ჯაქუებითა ვის ჰელ-მწიფა შებორკილებად იგი.

რი მყოფ იყო სამარობანსა. და ვერცა ჯაქუთა ვერლარავინ უძლის შეგრიად მისა.

მრ. 5, 4. რ მრავალ გზის ჯაჭვთა და ბორკილითა შეკრულ იყო იგი და განხეთქის და შემუსრის იგი, და არავის ეძლო დაყენებად მისა.

მრ. 6, 21. და ვა იყო დღს მარჯულს, ოდეს ჰეროდე ყმსა შობისა მისისასა მზა-უყო პური მთავართა მისთა და ასისთავთა მისთა და აზნაურთა გალილეადასათა.

ლ. 1, 65. და იყო შიში დიდი ყლთა ზა გარემო მკვდრთა მისთა და ყლთა მათ მითთ კერძოთა ჰურიასტანისათა, და მიმოიქმნოდეს ყნი ესე სიტყუანი.

ლ. 2, 42. და იყო რაჲ იგი ათორმეტის წლის, აღმოვიდეს იგინი იმდ, ვა ჩუეულ იყენეს დღესასწაულსა მას.

ლ. 2, 43. და აღასრულნეს დღენი იგი, და წარსლვასა მას მათსა დაზთა რა ყრმაჲ იმდს, და არა უწყოდეს მამამან და დედამან მისმან.

ი. 7, 15. უკრდა ჰურიათა მათ და იტყოდეს: ვა უკუე ამან წიგნი იცის უსწავლელად?

ი. 7, 30. ეძიებდეს მას შეპყრობად, და არავინ დაახნა მას ჯელნი.

ი. 13, 2. და ვა სერობაჲ იგი იყო, და ეშმაკი შესრულ იყო გულსა იუდაასსა, სიმონის ისკარიოტელისასა, რა განჰსცეს იგი.

ი. 20, 19. და ვა შემწუხრდა დღს იგი ერთშაბათთაჲ მათ, და კარნი დაჭულ იყენეს სადა-იგი იყენეს მოწაფენი დანილულ.

მსგავსი მაგალითების მოტანა აღნიშნულ ხელნაწერთა ყოველი თავიდან ბლომად შეიძლებოდა¹, მაგრამ ის, რაც აქაა წარმოდგენილი, უკვე საკმარისია

რ მრავალი ბორკილი და ჯაჭვითა შეკრიან იგი, განხეთქის და დაემუსრა, და არავინ უძლო დამორჩილებად მისა.

და იყო დღე მარჯუეჲ, ოდეს ჰეროდე შობისა თვისისასა ტაძრობას ჰყოფდა მდიდართა თანა და ათასისთავთა თანა და მთავართა თანა გალილეადასათა.

და დაეცა შიში დიდი ყლთა მათ ზა, რლთა ესმა ესე და რნი დამკვდრებულ იყენეს გარემო მათსა, და ყლსა მას მითთ კერძოსა ჰურიასტანისასა მიეთზრა ყლი ესე სიტყუაჲ.

და ვა დაეყენეს მისნი წელნი ათორმეტნი, აღსლვასა მათსა იმდ მსგავსად ჩუეულებისა დღესასწაულისა მის.

და ვა აღასრულნეს დღენი იგი და მოიქცეს, და აღვიდა ია ყრმაჲ იმდ, და არა უწყოდეს მშობელთა მისთა.

და დაუკვრდებოდა ჰურიათა მათ და იტყოდეს: ვა-მე წიგნი იცის ამან, რა უსწავივს მეტრ არა?

და ეგულვა მისი შეპყრობაჲ, და გამოვიდა ჯელთა მათთავან, და არავინ მიყო მისა ჯელი.

და ვა სერისა ჟამი იყო, ეშმაკსა შთაეგდო გულსა თვისსა, რა მისცეს იგი იუდა სიმონისმან, სკარიოტელმან.

და მწუხრი დღესა მას ერთშაბათთისასა შევიდა ია ბჭეთა ვშულთა, სადა-იგი შეკრებულ იყენეს მოწაფენი.

¹ შდრ. მაგალითად კიდევ: მ. 13, 32, 47; 16, 10; 24, 24; 26, 12; მრ. 1, 22, 23; 3, 11, 26, 4, 8, 30, 37; 5, 2, 5, 33; 6, 9, 33, 44, 49; 7, 3, 12, 21, 32; 8, 12, 52, 26; 9, 11, 38, 39, 42, 45, 47; 10, 11, 38, 39; 11, 25; 12, 6, 25; 14, 35, 36; 54, 65; ლ. 1, 1, 2, 3, 4, 5, 6; 2, 21; 17, 24; 23, 6, 38, 41; 24, 12, 13, 25; ი. 3, 3; 4, 14, 31, 39; 5, 19, 23, 29; 6, 1, 13, 15, 37, 38, 64; 7, 4; 10, 33; 11, 17, 33, 45, 49; 12, 50; 13, 27; 17, 5; 18, 38; 19, 12, 23 და სხ.

23. და მოიბთ ზუარაჟი იგი მსუქანი და დაკალთ და ეჭამოთ და ვიხარებდეთ.

24. რ ძმ ესე ჩემი მომკუდარ იყო და განცოცხლდა, წარწყმედილ იყო და იპოვა. და იწყეს განცხრომად.

25. და იყო ძმ იგი მისი უხუცესი ველსა გარე. და ეწა მოვიდოდა და მიეახლა სახლსა მას, ესმოდა წმამ სიხარულისა და განცხრომისა.

26. და მოუწოდა ერთსა მონათაგანსა და ჰკითხვიდა, ედ: რაჲ არს ესე?

27. ხ მან ჰქა მას, რ: ძმამ შენი მოსრულ არს, და მამამან შენმან დაკლა ზუარაჟი იგი ქამებული, რ ცოცხლებით მოიყვანა იგი.

28. ხ იგი განრისხნა და არა უნდა შინა შესლვად. ხ მამამ მისი გამოვიდა და ჰლოცვიდა მას.

29. და მან მიუგო და ჰქა მამასა თუსსა: აჰა ესერა ესოდენნი წელნი გმონენ შენ და არასადა მცნებასა შენსა გარდაეჰყედ; და მე არასადა მომეც თიკანი ერთი, რამცა მეგობართა ჩემთა თანა ვიხარე.

და მოიბთ ჯარი იგი უსხი და დაკალთ და ეჭამოთ და ვიხარებდეთ.

რ ესე ძმ ჩემი მომკუდარ იყო და ცხომდა, წარწყმედილ იყო და იპოვა. და იწყეს შეებად.

და იყო უხუცესი ძმ მისი აკარაკსა. ვრ მოვიდოდა და მოეახლა სახლსა მას, ესმა წმამ სანიობისა და პართ მეწღერთა.

და მოუწოდა ერთსა მონათა მისთაგანსა და ჰრქა: რაჲ არს ესე?

და მან ჰრქა მას, რ: ძმამ შენი მოსლულ არს, და დაკლა ჯარი იგი უსხი მამამან შენჲან, რ ცოცხალ იყო და იპოვა.

განრისხნა და არა უნდა შესლვის. და მამამ იგი გამოვიდა, ევედრებოდა მას.

მიუგო და ჰქა მამასა მას ნისსა: ესე რავდენნი წელნი არიან, ვინათგან გმონე შენ და არასადა გარდაეიგედ მცნებათა შენთა; თიკანი ერთი არასადა მომეც მე, რამცა ვიხარე მეგობართა ჩემთა თანა.

მეტ-ნაკლები ცვლილებით ასეთი შეფარდება სხვა ნაწილებს შორისა ჩვენ მიერ აქ მოტანილი ზოგიერთი მუხლი ორივე ტიპის ხელნაწერში თითქმის ემთხვევა ერთმანეთს (ლ. 15, 21, 26). ხოლო სხვა შემთხვევაში შეიძლება სავსებით ერთნაირი იყოს (მაგ., ლ. 17, 19 და სხ.). ამნაირი მდგომარეობა ტექსტის სხვა ადგილებშიც გვხვდება. რით უნდა აიხსნებოდეს ორი სხვადასხვა რედაქციის ტექსტებში ასეთი დამთხვევა? ეს შეიძლება აიხსნებოდეს ორი გარემოებით: 1. ერთი და იმავე ნაწარმოების ორი სხვადასხვა ავტორის მიერ თარგმნის დროს ასეთი დამთხვევები საერთოდ შესაძლებელია. მით უმეტეს უნდა ითქვას ისეთი წიგნის თარგმნის შესახებ, როგორც სახარებაა, სადაც ფორმულების სახითაა მოცემული მოკლე-მოკლე წინადადებანი. 2. მაგრამ აქ უფრო საყურადღებოა მეორე გარემოება: მართლაცდა ერთსა და იმავე დროს ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებლად ხომ არ ითარგმნებოდა ეს ძეგლი? ცხადია, ჯერ ერთი რედაქცია იყო შესრულებული, ხოლო მეორე, რაიმე სხვა მოსახრებით, საჭიროდ მიიჩნიეს სახარების ხელნაწალი თარგმანის მოცემა. ეს



ახალი თარგმანი, უეჭველია, ანაგორის გაუწევდა ყველა უკვე არსებულ თარგმანს და ზოგ ადვილსა და გამოთქმას პირდაპირ იქიდან ამოიღებდა. უფრო მეტად ამით უნდა აიხსნებოდეს, რომ სახარებათა ყველა ტიპის (რედაქციის) ტექსტები ძალიან ჰგვიანან ერთმანეთს.

ჩვენს შემთხვევაში პირველ (უფრო ადრინდელ) თარგმანად ოპიზური რედაქცია უნდა მივიჩნიოთ, შემდეგ გაუქმდებულად — ადიშური. ასეთ დასკვნაზე დადგომას გვაუალებს ის გარემოება, რომ სახარების უძველესი ხელნაწერები რედაქციულად ოპიზურთან მოდიან (ან: ოპიზური ჩიდის მათთან); ეს უკანასკნელი უახლოეს კავშირშია თვით სახარების ხანმეტი და ჰამეტი ტექსტების რედაქციასთან, მაშასადამე, უძველეს რედაქციასთან¹. დასასრულ, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ადიშური რედაქციის ენა, როგორც ვნახეთ, ოპიზურის ენასთან შედარებით შეიცავს ერთგვარი სიანლის ელემენტებს, რაც აგრეთვე მის შედარებით გვიან წარმოშობაზე მიგვითითებს.

საერთო დასკვნა, რომელიც აქამდე წარმოებულ კვლევის შედეგად უნდა გამოვიტანოთ, ასეთია: ადიშის სახარების ძირითადი ნაწილი რედაქციულად სავსებით განსხვავდება ოპიზური რედაქციის ხელნაწერებისაგან; ამ ძეგლთა სახით ჩვენ გვაქვს სახარების ორი, სრულიად სხვადასხვა რედაქცია. ეს რედაქციები განსხვავდება ერთმანეთისაგან ლექსიკით, სიტყვათა ფორმებით, წინადადებათა კონსტრუქციით. ოპიზური რედაქცია უფრო ადრე უნდა იყოს შესრულებული, ხოლო ადიშური — შედარებით გვიან.

VIII. ადიშის ძველის არაპირითადი ნაწილი

ამდენ ხანს ჩვენ საუბარი გვექონდა ოპიზურსა და ადიშურ რედაქციებს შორის არსებულ განსხვავებებზე. მაგრამ, როგორც თავში გვექონდა აღნიშნული, ადიშის ძეგლი და ადიშური რედაქცია ერთსა და იმავე ცნებას არ წარმოადგენს: პირველი უფრო ფართო შინაარსის შემცველი ცნებაა, რადგანაც ადიშის ხელნაწერი მთლიანად ეთა რედაქციას არ შეიცავს, იგი შედგება ორი რედაქციისაგან, რომელთაგანაც ერთი, ძირითადი ნაწილი, სწორედ ის რედაქციაა, რომელსაც ჩვენ პირობით საკუთრივ ადიშური ვუწოდებთ და რომელსაც შეეხებოდა ჩვენი აქამდე წარმოებულ კვლევა.

რალს შეიცავს მისი მეორე ნაწილი? ეს ნაწილი წარმოადგენს სულ სხვა რედაქციის ტექსტს, რომელიც არსებითად განსხვავდება თვით ადიშური რედაქციის

¹ შტრ., შავ. № 844 ხელნაწერის მრ. 9, 43—50; ლ. 15, 22—28; ი. 21, 7—17 (თბ. უნივ. მთაბმე, II); ხანმეტი ლექსიკონ. მ. 24, 29—35; 28, 7—20; მრ. 16, 2—8; ლ. 24, 1—33; ი. 20, 1—31; (თბ. უნივ. მთაბმე, IX); ჰამე. ტექსტ. მ. 9, 24—26; 11, 2—5; 12, 10—14; 14, 3—10; 17, 1—6; 17, 14—17; 18, 9—10; მრ. 2, 4—5; 2, 12—22; 3, 2—9; 5, 1—4; 5, 7—9; 5, 29—41; 6, 41—45; 6, 50—52; 7, 36—37; 8, 1—9; 10, 23—27; ლ. 1, 57—63; ი. 1, 35—39; 5, 33—38; 6, 63—69; 11, 42—43 (თბ. უნივ. მთაბმე, III).

ოპიზური და ადიშური რედაქციის სახარების ხანმეტ და ჰამეტ ტექსტებთან დამოკიდებულების შესახებ ცალკე გვაქვს საუბარი; ძირითადი დასკვნა ასეთია.

ტექსტისაგან; ეს არის რედაქცია, რომელსაც ჩვენ ზემოთ ურბნული ეწოდებოდა და რომელიც ჯერჯერობით სამი ხელნაწერით განისახლვრება (ურბნული ტბეთისა, პალესტინური)¹. თვით ეს რედაქცია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოადგენს ერთგვარ მსუბუქ გადაკეთებას, რომელიც რამდენადმე განსხვავდება ოპიზური რედაქციისაგან; განსხვავება ეტყობა ლექსიკას, სიტყვათა წარმოებას და, განსაკუთრებით, სიტყვათა დალაგებას წინადადებაში. ამ სწორედ ამ ურბნულ რედაქციას მიჰყვება აღნიშნის ოთხთავის მეორე, არაძირითადი ნაწილი.

ამიტომ არ მიგვაპნია სწორად ს. კაკაბაძის აზრი, რომ ეს ნაწილი თითქოს ჯრუჭისა და პარხლის ხელნაწერთა ტექსტს მიჰყვებოდეს. აღნიშნის ოთხთავის ამ მეორე, არაძირითადი ნაწილის ტექსტი ჯრუჭისა და პარხლის ხელნაწერთა ტექსტს იმდენად მიჰყვება, რამდენადაც საერთოდ ახლოს დგას ერთმანეთთან ოპიზური და ურბნული რედაქცია. მაგრამ ამ რედაქციებს შორის, როგორც აღვნიშნეთ, მაინც არის ერთგვარი განსხვავება, რომელიც გარკვეულ სისტემას მისდევს. ოპიზური ტიპისა და ურბნული ტიპის ტექსტები ერთმანეთს უნდა დაუბიძრისპირდეს, როგორც სხვადასხვა რედაქციის ტექსტები, მართალია, მსუბუქი რედაქციისა, მაგრამ მაინც რედაქციის ტექსტები². აქ კი აღნიშნის ოთხთავის ეს მეორე, არაძირითადი ნაწილი უსათუოდ ურბნულს უდგას გვერდში და არა ოპიზურს.

რის მიხედვით ვფარაუდობთ ჩვენ, რომ აღნიშნული თავები (ლ. 3, 9—15, 6 და 17, 25—23, 2) არა ძირითადს, ე. წ. აღნიშნულ რედაქციას, არამედ ურბნულს ეკუთვნის?

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნის ოთხთავის ამ ორ ნაწილს შორის არსებითად ისეთივე დამოკიდებულებაა, როგორიც იყო ერთი მხრივ აღნიშნის ძეგლის ძირითადს ნაწილსა და მეორე მხრივ ოპიზური რედაქციის ხელნაწერებს შორის (იხ. ზემოთ). მაშასადამე, თუ ჩვენი ზემოთ წარმოებულ კვლევა და მისი შედეგები სწორია, სწორი უნდა იყოს აგრეთვე დებულება, რომ ლუკას თავის აღნიშნული ადგილები არა აღნიშნის, არამედ სხვა რედაქციისაა. ეს „სხვა“ რედაქცია ამ შემთხვევაში ურბნულია.

მართლაც, ამას ადასტურებს კონკრეტულად შემდეგი გარემოებანი:

ა) ლექსიკა იორივე ძეგლისა (აღნიშნის არაძირითადი ნაწილისა და ურბნული რედაქციის შესაბამის ადგილისა) არსებითად ერთი და იგივეა. მთელი ამ 18 თავის (ლ. 3, 9—15, 6; 17, 25—23, 2) სივრცეზე 36 ლექსიკურად განსხვავე-

¹ ამ პალესტინური ხელნაწერის ანდერძში იკითხება: „დაიწერა წა ადგილსა ვესამანას, საფლავსა წისა ღთის მშობლისა, დედისაგან საბაწისა, განგებასა ზა ბერძულსა“ (საქ. მუხ. ხელნ. № 1741 A, ფურც. 297 r). სხვა ადგილას ვკითხულობთ: „ესე წესი და განგება საბაწისაა არს ბერძული. ვის ქათული უნდეს, კანონსა მიუღდეს და მისგან ისწავებულ დედასა ეწერა, მე იგი დამიწერია, წა და კჳწი დესი საბაწისაა (ფურც. 281 r). რა კავშირშია ეს ხელნაწერი და მასში მოხსენებული „დედა საბაწისა“ გიორგი მთაწმიდლის მიერ ნაწესნებ ტერმინ „საბაწმიდურ“-თან, ცალკე იქნება ნაჩვენები.

² იხ. ჩვენი „ჯრუჭ-პარხლის ოთხთავთა რედაქციული ურთიერთობისათვის“; ა. ს. კუშკინის სახ. თბილ. სახ. პედაგ. ინსტ. შრომები. IV.



ბული ფორმა თუ შეგვხვდება, მაშინ როდესაც ძირითადი ნაწილის ერთ-ერთი საშუალო 20—30 განსხვავებული ლექსიკური ფორმა არის ხოლმე (ობიზური რედაქციის მიმართ).

არ იქნება ზედმეტი აქვე ვუჩვენოთ ეს განსხვავებული ფორმები. პირველ სვეტში ისევ ობიზური რედაქციის (ამ შემთხვევაში ჯარუკ-პარხლის ხელნაწერთა) მასალა იქნება წარმოდგენილი, მეორეში — ადიშის ძეგლის არაძირითადი ნაწილისა. ეს ფორმებია:

C	C ₁ ¹
აღნიდგინებთურთ	ვახშითურთ 19, 23
გამოჩენა: გამოჩნდეს	გამოცხადნეს 17, 30
განგრძობილად	შორად 20, 47
განვთოვა: განეეთას	განეშოროს 12, 53
განთქუმა: განთქუან სახელი	განვადონ 6, 22
გარდაგდება: გარდაიდდე თავი შენი	გარდავარდი 4, 9
გარეშე	გარნა 13, 33
ფრთესა	გოდოლსა 4, 9
დაბუდება: დაიბუდეს	დაიმკვდრეს 13, 19
დამარხვა: დავიმარხო	დავიმკვდრო 10, 25
დარღუევა: დავარღვონ	განგადონ 19, 44
დაცბრომა: არა დაჰსცბოების	არა დააცადებს 7, 45
დაჯდომი: დაჯდა იჯ მას ზა	დასუეს მას ზა, 19, 35
ერთი	სხუაჲ 6, 10
თავნი	ველნი 21, 28
თხრობა: უთხართ	არქუთ 13, 32
იესუესთა	მისთა 7, 38
მეორესა	მერმესა 9, 37
მკლავითა	ველითა 4, 11
ნაწილი	ნაყოფი 10, 42
ორგულნი	მზაკუვარნი 12, 56
პოვა: პოვონ საზრდელი	იყიდონ 9, 12
პურისა ჭამადმდე	სადილობამდე 11, 38
ჟამი: მრავალ ჟამ	მრავალ გზის 8, 29
რქუმა: ჰქა მას	ჰკითხა მას 18, 40
საქუფთს	ბალანტი 22, 36
საყოფელი	საყოფელი ლ. 9, 58
სიცხს	ხორშაკი 12, 55
უკეთური	არაწმიდა 8, 2
უჭროას	უფალი 22, 27
ქუ: ხქმესა კაცისასა არა აქუს,	
სადა თავი მიიდრიკოს	... არა უჩს... 9, 58

¹ C₁ აღნიშნავს ადიშის ძეგლის არაძირითად ნაწილს (ლ. 3, 9—15, 6; 17, 25—23, 2).

ყუარ: ჟუჟარს	ჰნებავს 20, 46
ჟუჟარდეს	უნდეს 9, 24
წიელი	ძმ 14, 5
შთაერდომამ	შთასლუვაჲ 8, 31
ცხოვნება: აცხოვნოს	პოოს 9, 24
ძმ	ცხებული 9, 20
ძის ცოლი	სძალი 12, 53
ჭურჭრითა ნელსაცხებელი	ალაბასტრი ნელსაცხებლისაჲ 7, 37.

ასეთია ლექსიკური ხასიათის განსხვავებანი ერთი მხრივ ჯრუჭ-პარხლის ხელნაწერებსა და მეორე მხრივ ადიშის ძეგლის არაძირითადს ნაწილს შორის. თუ ამ მასალას შევადარებთ ურბნული რედაქციის სათანადო ადგილებს, ჩვენ დავინახავთ, რომ მისი მონაცემები აშკარად სცილდება ოპიზური რედაქციის აქ წარმოდგენილ სხვაობებს და ძირითადად ადიშის ძეგლის არაძირითადი ნაწილის ლექსიკურ ვითარებას ეკედლება. ასე, მაგალითად, ურბნულ რედაქციას საერთო აქვს ადიშის ძეგლის არაძირითადს ნაწილთან შემდეგი სიტყვიერი მასალა, რომელიც სულ სხვა სახით არის წარმოდგენილი ოპიზურ რედაქციაში¹ (ინ. მაგ. ზემოთ):

ს

ღ ც,

აღწადგინებითურთ	ვანშითურთ 19, 3
განეფთას	განეშოროს ² 12, 53
ჭანთჭუან	განჯადონ 6, 22
დავიმარხო	დავიმკჯდრო 10, 25
ერთი	სხუაჲ 6, 10
იესუესთა	მისთა 7, 8
უთხართ	არქუთ 13, 32
მეორესა	მერჰესა 9, 37
მკლავითა	ველითა 4, 11
პურის ჭამადმდე	სადილობადმდე 11, 38
მოავალ ჟამ	მრავალ გზის 8, 29
უკეთური	არაწმიდა 8, 2
ჟუჟარდეს	უნდეს 9, 24
შთაერდომამ	შთასლუვაჲ 8, 31
აცხოვნოს	პოოს 9, 24
ძმ	ცხებული 9, 20
ძის ცოლი	სძალი 12, 53
ჭურჭრითა ნელსაცხებელა	ალაბასტრი ნელსაცხებლისაჲ 7, 37.

¹ ურბნული რედაქციის მასალები აქ და ქვემოთ (ღუჯას თავიდან) მოცემულია მხოლოდ პალესტინურისა (I) და ურბნული (K) ხელნაწერების მიხედვით. ტბეთის ხელნაწერზე (B) ამ ნაშრომის წერის დროს, სამწუბართდ, ხელი არ მივიწვივდებოდა.

² განყოფილ K.

აქედან ჩანს, რომ ადიშის ტექსტის არაძირითადი ნაწილი სწორედ ამ ურბნულ რედაქციას მიადევს კვალდაკვალ. ამასვე ამტკიცებს აგრეთვე იმის და იმავე ლექსიკური მნიშვნელობისა, მაგრამ სხვადასხვანაირად ნაწარმოები ფორმები, როქელნიც ერთი სახითაა წარმოდგენილი ჯრუჭ-პარხლის ხელნაწერებში, ხოლო სხვანაირად — ურბნულსა და ადიშის არაძირითადს ნაწილში, მაგალითად:

ტ	9, C ₁
განხეთქნეს ღვინო... თხიერნი ელვია	განსთქდენ თხიერნი 5, 37
განსასუენებელსა	ელვარს 9, 29
სატურთველი	განსუენებასა 11, 24
აღმოსავალით და დასავალით ისმინენ	სატურთავი 11, 46
	აღმომავალი 12, 54
	ესმოდენ 14, 35.


ამ დებულებას, რასაკვირველია, ვერ შეარყევს ის გარეგნობა, რომ ადიშის ძეგლის არაძირითადს ნაწილში გვხვდება ისეთი ლექსიკური მასალა, როქელიც არ მოიპოვება ურბნული რედაქციის ხელნაწერებში, მაგრამ გვაქვს ოპიზური რედაქციის ნუსხებში, მაგალითად:

ტ C ₁	9
მახუედრებ დანვის სიკრუვისანი შემოიყვანენ შემახუედრებს (მახუედრებს C ₁).	შემამთხუევ 11, 7
	ასარის 12, 6
	უშჯულოებისანი 13, 27
	შემოხადე 14, 21
	შემამთხუევს 18, 5.

ამნაირი შეფარდება აგრეთვე ნაწარმოები ფორმების მიხედვითაც:

მაგასხებელისა	მასესხებელისა 7, 41
ალ-რე-გულე	ალდეგ, გულე 14, 10
განაქრიოს (განანქრიოს C ₁)	განაქარვოს 20, 18
ფასის საცავსა	ხაფასის საცავსა 21, 1
ქათამი ყივა	ქათამან იყივა 22, 60
წამება	მოწამე 22, 71.

ამ გარემოების ახსნა არ წარმოადგენს განსაკუთრებულ სიძნელეს: 100—150 წლის შემდეგ ერთისა და იმავე რედაქციის ნუსხებში შესაძლებელია ამნაირი ხასიათის ცვლილება მომხდარიყო, თუ განსაკუთრებით მხედველობაში გვიქნება, რომ აღნიშნული ხასიათის ლექსიკური სხვაობა რაღაც ერთ ათეულსაც არ შეიცავს.



მაგრამ არსებითად სხვა ხასიათისაა ის მდგომარეობა, რომ რიგ შემთხვევაში ადიშის ძეგლის არაძირითადი ნაწილი (C_1) შეიცავს ისეთი სტრუქტურულ მარაგს, რაც არ გვხვდება სხვა აქ აღნიშნულ ხელნაწერებში; ამ უკანასკნელებში, ნაცვლად ზემოთ აღნიშნული განსხვავებული ფორმებისა, ერთნაირი მასალა გვაქვს. ასეთი ხასიათისაა:

C_2 , 9	C_1
გამოჩნდეს	გამოცხადნეს 17, 30
ვანგრობილად	შორად 20, 47
გარდაივდე თავი შენი	გარდავარდი 4, 9
გარეშე	გარნა 13, 33
ფოთესა	გოდოლსა 4, 9
დაიბუდეს	დაიმკდრეს 13, 19
დავარღონ	განგაძონ 19, 44
არა დაჰსცხრების	არა დააცადება 7, 45
დაჯდა	დასუეს 19, 35
თავნი	კელნი 21, 28
ნაწილი	ნაყოფი 10, 42
ორგულნო	მზაკუვარნო 12, 56
პოეონ	იყიდონ 9, 12
ჰრქუა	ჰკითხა 18, 40
საჟუფთს	ბალანტი 22, 36
საყოფელი	საყუდელი ლ. 9, 58
სიცხს	ხორშაკი 12, 55
უფროას	უფალი 22, 27
აქუს	უჩს 9, 58
უყუარს	ჰნებაეს 20, 46
შვილი	ძ ³ 14, 5.

რით უნდა აიხსნას ეს მოვლენა? არა გვგონია შევეცეთ, თუ ვიტყვი, რომ ამ საქმეში არამცირედი წილი მიუძღვის ადიშის ძეგლის ძირითადს ნაწილს, ადიშური რედაქციის ლექსიკური მარაგის საერთო გავლენას. მართლაც, შეუძლებელი იქნებოდა, რომ როცა ძეგლის $\frac{1}{5}$ გარკვეულად განსხვავებული ლექსიკური მასალით იყო შედგენილი, მას ერთგვარი გავლენა არ მოეხდინა დანარჩენ $\frac{1}{5}$ -ზე, რომელიც ამ ძეგლში, ალბათ, იმიტომ შევიდა, რომ ადიშურ რედაქციას ამ დროს უკვე აღარ ჰქონდა სათანადო ადგილები. ამ გავლენის გამოძახილი უნდა იყოს, რომ აქ ზოგ შემთხვევაში გვაქვს სხვაობათა ისეთი შეფარდება, როგორიც ძირითადს ნაწილში იყო დადასტურებული, მაგ., გარდაივდე თავი შენი — გარდავარდი (შდრ. მრ. 4, 60); გამოჩინებად — გამოცხადებად (შდრ. ლ. 1, 79); ორგულნო — მზაკუვარნო (შდრ. მ. 22, 18; მრ. 12, 15); ჰრქა — ჰკითხა (შდრ. ი. 21, 20).

ამგვარად, ირკვევა, რომ ადრის ოთხთავის არაძირითადი ნაწილი (C) ლექსიკური მონაცემების მიხედვით არსებითად განსხვავდება ამავე ძირითადი ნაწილისაგან და მიჰყვება ურბნული რედაქციის ნუსხებს.

ბ) ცალკე უნდა შევჩერდეთ ზოგიერთი სიტყვის ხმარების თავისებურებაზე ჩვენს ძეგლებში. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს ისეთი სიტყვები, რომელნიც მხოლოდ არაძირითადს ნაწილში მოიპოვება და არ გვხვდება ძირითადს ნაწილში. ასეთებია:

1. საფლავი. ადრის ოთხთავის მიელს ძირითადს ნაწილში მხოლოდ 7-ჯერ გვხვდება ფუძე „საფლავ“ (მ. 23, 29; 27, 7, 60, 64, 66; 28, 1; ი. 20, 1), თუმცა მოსალოდნელი კი იყო სხვა რედაქციების მიხედვით 50-ჯერ. აწ სიტყვის მაგივრად იქ ერთ ძირზე აღმოცენებული ორი ფუძე გვაქვს: „სამარობანი“ და „სამარე“. პირველი მათგანი მათესა და მარკოზის სახარებაში 4-ჯერ იხმარება (სამარობნით მ. 8, 28; მრ. 5, 2; სამარობანსა მრ. 5, 3, 5) და თითქო „ბევრ საფლავს“, „საფლავებს“ აღნიშნავს. აღსანიშნავია, რომ სხვა რედაქციებში (მათ შორის ურბნულშიც) ამათ ნაცვლად „საფლავ“-ის მრავლობითი რიცხვის ფორმებია წარმოდგენილი: საფლავებისა მ. 8, 28; მრ. 5, 2; საფლავები მრ. 5, 3; საფლავებსა მრ. 5, 5¹. მეორე მათგანი („სამარე“) ყველა სხვა შემთხვევაში გვხვდება [მ. 23, 27, 29; 27, 52, 53, 60, 61; 28, 8; მრ. 6, 29; 15, 46 (2-რერ); 16, 2, 3, 5, 8; ლ. 23, 53, 55; 24, 1, 2, 12, 22, 24; ი. 5, 28; 11, 17, 31, 38; 12, 17; 19, 41, 4²; ი. 20, 1, 2, 3, 4, 6, 8, 11 (2-ჯერ), 13, სულ 37-ჯერ]². ადრის ძეგლის არაძირითადს ნაწილში არსად გვხვდება არც „სამარე“, არც, მით უმეტეს, „სამარობან“-ი. აქ ყველგან იგივე ფუძეა გამოყენებული („საფლავ“), რაც ჩუქულებრივად იხმარება სახარების სხვა რედაქციებში, მათ შორის ურბნულშიც. აი ეს ადგილები: ლ. 8, 27; 11, 44, 48. ცხადია, ეს ადგილი არ მისდევს ძირითადს ტექსტს, თორემ აქ არა „საფლავ“-ი, არამედ „სამარე“ ან „სამარობან“-ი გვექნებოდა.

2. ასევე ითქმის აგრეთვე „მამა-დედა“ კომპოზიციის შესახებაც. ძირითადს ნაწილში იგი მხოლოდ ერთჯერ გვხვდება ამგვარად (მრ. 13, 12), ერთჯერაც მოიპოვება გადასებული სახით: „დედა-მამა“ (მ. 10, 21), სხვა შემთხვევაში მას ცვლის აქ აღი ქართულის „მშობელი“ (ლ. 2, 27, 41, 43; ი. 9, 18, 20, 23). არაძირითადს ნაწილში კი ეს ტერმინი გვხვდება სწორედ იმ სახით, როგორც

¹ აქად. ა. შანიძის აზრით „სამარობანი“ შემდგენიარად ნაწარმოები სიტყვა უნდა იყოს: სამარ-ობანი. სადაც „ობანი“ იგივე ელემენტია, რაც დღევანდელი „ობა“, რომელიც ვალექტიურობას, ჯგუფს, სიმრავლეს აღნიშნავს (ახალგაზრობა, გლეხობა, სტუდენტობა). „ობა“-ს დღევ. „ნ“ უნდა ჰქონდეს ჩამოცილებული (ობა ← ობან); ეს „ნ“, ან, უკეთ. „ნ“ შეიძლება წარმოშობით მრავლობითობის ნიშანი იყოს. ასეთი აზრი ავტორმა განთავსა ილ. აბულაძის მოსაყენების გამო („სარედაქციო მუშაობა ძველად ჩვენში“), რომელიც უნივერსიტეტის უარყოფილი ვნის კათედრის საჯარო სხდომაზე იქნა მოამბენილი (24/IV, 1942) და რომელშიც მსგავს ფორმებზე იყო ლაპარაკი.

² გარდა ამისა, სხვა რედაქციების ჩვენების თანახმად, ეს სიტყვა მოსალოდნელი იყო კიდევ სხვა 3 ადგილას: მ. 28, 2; ლ. 24, 12 (ერთჯერაა, 2-ჯერ უნდა ყოფილიყო); ი. 20, 5, მაგრამ სულ გამოშვებულია. სამაგიეროდ C, P რედაქციათა „მოსასვენებელ“-ის ნაცვლად C-ში იქითხება „სამარებსა მას“ (მ. 23, 29).

ურბნულ რედაქციაში (აგრეთვე ყველა სხვა რედაქციაში) და ძველ ქართულში საერთოდ, სახელდობრ: „მამა-დედათა“ (ლ. 8, 56; 18, 29; 21, 16). ეს განიხილება ცხარე მითითებებს, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს სხვა რედაქციასთან.

3. სოულებით არ გვხვდებოდა ძირითადს ტექსტში, როგორც ვნახეთ, აგრეთვე სიტყვები: „კეთროვანი“, „ხენწი“, „ვაშკარანი“; მათ იქ „განბოკლებული“, „ჯერკული“, „გუდაჲ“ შეეთარღებოდა შესაბამისად (ნ. ზემოთ, გვ. 18). არაძირითადს ნაწილში კი ისე, როგორც ურბნულ რედაქციაში (და აგრეთვე სხვაგანაც) წარმოდგენილია ისევ „კეთროვანი“, „კეთროვნება“ (ლ. 4, 27; 5, 12, 13; 7, 22), „ხენწი“ (ლ. 6, 43), „ვაშკარანი“ (ლ. 9, 3; 10, 4; 22, 35, 36).

4. გამოოქმა „პურისმტედ-პურისმტედ“ მათესა და იოვანეს სახარებაში საერთოდ არაა, ის მოიპოვება მხოლოდ მარკოზისა და ლუკას თავში. ამათგან მარკოზთან ეს გამოოქმა ასე იკითხება: „მეონნედ-მეონნედ“ (მრ. 6, 39), ხოლო ლუკასთან (9, 14) იმ სახითვეა მოცემული, როგორც ის ურბნულსა და სხვა რედაქციებშია დაცული, ე. ი. „პურისმტედ-პურისმტედ“.

5. ძირითადს ტექსტში არსად არ გვხვდება ურბნული რედაქციის „სახლისა უფალი“. მის ნაცვლად აქ „მამასახლისი“-ა მოცემული (მდრ., მავ.: მ. 10, 25; 13, 27, 52; 20, 1, 11; 21, 33; 24, 43; მრ. 14, 14)¹. არაძირითადს ნაწილში კი ისევ „სახლისა უფალი“-ა წარმოდგენილი (ლ. 12, 39; 13, 25; 14, 21).

6. მხოლოდ სამს სახარებაში მოიპოვება გამოოქმა ერთი „მახლებითა და წათებითა“ (მ. 26, 47; მრ. 14, 43; ლ. 22, 52); იოვანეს სახარებაში ამის მაგთვრად იკითხება: „საქურველითა“ (18, 3). ასეა ეს წარმოდგენილი ურბნული (და ობიჟოი) რედაქციის ხელნაწერებში. აღიშნის ოთხთავის ძირითადს ნაწილში ამათ ნაცვლად გვხვდება ასეთი ორიგინალური ფორმები: „მახლოსანი და წათოსანი“ (მ. 26, 47), „მახლოსნები და წათოსნები“ (მრ. 14, 43). ლუკას თავში კ, რომელიც რედაქციულად არაძირითადს ნაწილს მიეკუთვნება, ისევ ჩვეულებრივი (ურბნულისა და სხვა რედაქციებისათვის დამახასიათებელი) ფორმითაა დატოვებული: „მახლითა და წათებითა“ (22, 52)².

7. რთული ხმის „ძალ-მიც“ (ძალ-გიც...), როგორც ვნახეთ ზემოთ (გვ. 197), მთელს ოთხთავში 27 ადგილასაა მოსალოდნელი. ასეა ეს, ყოველ შემთხვევაში, ურბნულ რედაქციაში (აგრეთვე სხვაგანაც). ამ 27 შემთხვევიდან 25 მოდის აღიშნის ძეგლის ძირითადს ნაწილზე, 2 — არაძირითადზე. მაგრამ ძირითადს ნაწილში ის მხოლოდ ერთჯერ გვხვდება (მრ. 1, 40)³, სხვაგან მის საბადლოდ მოცემულია „მიძლავს“, „შემძლებელ“ ვარ, „კელმწიფე“ ხარ და სხ. ერთჯერაც მის სანაცვლოდ გვხვდება „ძალ-ვისხენ“ (მ. 16, 3), რომელიც შეიძლება „ძალ-გიც“-ზე არც დავიყვანოთ. მაგრამ გადავცოვებით თუ არა ძირითადი ნაწილის მიჯნას, ჩვეულებრივი გამოოქმა ძალაში რჩება და ჩვენც ვხედავთ ამ ძალ-

¹ ერთჯერაც (მ. 20, 8) მას „უფალი საყრომნისაჲ“ ენაცვლება.

² აქ საინტერესოა აღიშნის „შემძლებელ“ გარემოება: იოვანეს სახარებაში ამ ადგილას აღიშნის ძეგლში „მახლებითა“ გვაქვს (13, 3) მაშინ, როდესაც სხვა ფურსებში, მათ შორის ურბნულშიც, ამის ნაცვლად იკითხება: „საქურველითა“. აღიშნის ძეგლის ძირითადს ნაწილში ეს სიტყვა უფრო კონკრეტული სახითაა მოცემული.

³ ეს შემთხვევა ცალკე უნდა აიხსნას.

შიც (ლ. 11, 7). ძალ-გოც (ლ. 5, 12) და ძალ-ჟც (ლ. 11, 8)¹ ფორმებს, ისევე
 კარგი მანიშნებელი უნდა იყოს ამ ორ ნაწილს შორის არსებული დიფერენციალური
 ციული ზღვარისა.

8. ურბნული რედაქციის (აგრეთვე ოპიზურისა და სხვების) „გელმწიფება“
 არაძირითადს ნაწილში არც ერთჯერ არაა შეცვლილი სხვა ფორმებით, რო-
 გორც ამის ადგილი აქვს ძარ: თავს ნაწილში (უძლის, შემძლებელ არს, ჰვიან,
 ფლობა...); აქ ყველგან ისევე იგივე ფორმაა (გელმწიფება, გელ-მწიფების...)
 შეცვლილად დატოვებული 25-ჯერვე (!)².

9. ყველა რედაქციის ოათხთავში გვხვდება „ამენ გეტყ თქუნ“ („ამენ
 ამენ გეტყ თქუნ“). ადიშურ რედაქციაში, როგორც ვნახეთ (გვ. 194), ამის
 ნაცვლად გვქონდა: „მართლია გეტყ თქუნ“ („მართლიად მართალსა გეტყ
 თქუნ“)³. აქ კი, არაძირითადს ნაწილში, ისევე საყოველთაო „ამენ გეტყ თქუნ“
 მოიპოვება (ლ. 4, 24; 7, 9; 12, 37, 44; 18, 17, 29).

10. უნდა აღინიშნოს აგრეთვე შემდეგი მეტად მნიშვნელოვანი გარემო-
 ება; არც ერთჯერ ადიშური რედაქციის „გორცნი“ („გუამ“-ის მაგივრად)
 არ გვხვდება არაძირითადს ნაწილში, აქ ყველგან „გუამი“ მოიპოვება⁴ [ლ. 11,
 34 (2-ჯერ), 36]; არც „კაცად-კაცადი“-ა შეცვლილი „თითოეულით“⁵ (ლ. 4, 40;
 13, 15), არც „მეყსეულად“ — „მუნქუ-სვე“-თი ან სხვა რაიმე ხშირებით⁶ (4, 39;
 5, 13, 25; 8, 44, 55; 9, 39; 12, 36, 54; 13, 13; 14, 5; 18, 43; 21, 9), არც
 „ოდეს“ — „რუს“-ით ან რაიმე სხვა შესატყვისით⁷ (ლ. 4, 25; 6, 3, 13, 22;
 11, 22; 12, 11; 14, 12, 13; 17, 30; 21, 7, 9; 24, 35), არც „უქუეთუ“ — მოკლე
 „თუ“-თი ან რაიმე სხვა საკომპენსაციო ფორმით⁸ [ლ. 4, 3, 7, 5, 12; 6, 11, 32,
 33, 34; 10, 6 (ორჯერ); 11, 18, 19, 20, 34, 36; 12, 26, 28, 39, 45; 18, 3, 5,
 9, 23; 14, 3, 28, 32, 34; 19, 8, 31, 42; 20, 5, 6, 28; 22, 42, 49, 67 (ორჯერ), 68]⁹,
 არც „უძღური“ — „სნეული“-თ¹⁰ (ლ. 4, 40; 5, 15; 8, 2; 9, 2; 10, 9; 18, 11, 12),
 არც „ჯერ-არს“¹¹ (4, 43; 5, 38; 6, 2, 4, 9; 11, 42; 18, 14, 16; 14, 3; 18, 1;
 19, 5; 20, 22; 22, 37), არც „დადგრომა“¹² (ლ. 9, 4, 12; 19, 7; 22, 28) — რაიმე

¹ მეტად საგულისხმოა, რომ ამ „ძალ-ჟც“-ის ნაცვლად **ჯ, ჟ** რედაქციების ნუსხებში
 „ედლოს“ მოიპოვება და არა „ძალ-ჟც“.

² ლ. 4, 6, 32, 36; 5, 21, 24, 34; 6, 39; 7, 8; 9, 1; 10, 19; 12, 5, 11; 14, 20, 26, 27, 33; 18, 26;
 19, 17; 20, 2 (2-ჯერ), 8, 20, 36, 22, 25, 53. მაგრამ შდრ. ამას თვით ლუკას თავიდან: 16, 2, 13
 (2-ჯერ), 26; 23, 7.

³ ორ გამონაკლისზე (მ. 13, 17; 19, 9) ხემათ უკვე გვქონდა საუბარი.

⁴ იხ. ხემათ გვ. 194.

⁵ იხ. ხემათ გვ. 198.

⁶ იხ. ხემათ გვ. 194—195.

⁷ იხ. ხემათ გვ. 199.

⁸ იხ. ხემათ გვ. 198—199.

⁹ ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს ლ. 4, 9. მაგრამ ეს ადგილი გადაუხეცილია ტა
 ტექსტი მერმეა აღდგენილი.

¹⁰ იხ. ხემათ გვ. 198.

¹¹ იხ. ხემათ გვ. 195—196.

¹² იხ. ხემათ გვ. 186.



სხვა ფორმებით, არც „ყურჩილი“¹ — „ლაწკ“-თ (ლ. 6, 29) და არც „სავენავე“² (ლ. 20, 13, 15) — „საყურძენი“-თ. ყველა აქ აღნიშნული სიტყვის ამნაირი ბედი აღიძის ოთხთავში არსებული ორი რედაქციის სასარგებლოდ ლაპარაკობს; სხვანაირად ძირითადი ტექსტის როპელიმე ამ სიტყვათაგანი უმკველად ამოყოფდა თავს არაძირითადი რედაქციის ფარგლებში.

11. აღიშის ოთხთავის ძირითადს ნაწილში, როგორც ზემოთ ვნახეთ (ლექსიკონი — „ლოცვა“), ურბნული რედაქციის „ლოცვა“-ს „თაყუანის-ცემა“ ვნაცვლებოდა. არაძირითადს ნაწილში კი ისევ „ლოცვა“ იხმარება ამ მნიშვნელობით („МОЛИТВА“), მაგ.: ლ. 20, 47; 22, 40, 45, 46 და სხ.

12. ერთი ცნობილი ადგილი ასე იკითხება ურბნულ (და ყველა სხვა, გარდა აღიშურისა) რედაქციაში: „აჰა ესერა მე წარვევლინო ანგელოზი ჩემი წყე შენსა, რწ განმზადნეს გზანი შენნი წყე პირსა შენსა“ (მ. 11, 10; მრ. 1, 2; ლ. 7, 27)³, ხოლო აღიშის ოთხთავის ძირითადი ნაწილის ორსავე ადგილას ეს მუხლი ასეა გადმოცემული: „აჰა წარვევლინებ ანგელოზსა ჩემსა წყე პირსა შენსა, და განმზადროს გზაჲ შენი წყე პირსა შენსა“ (მ. 11, 10; მრ. 1, 2). აქ ჩვენს ყურადღებას იქცევს აღიშის ძველისათვის (ძირ, ნაწ.) დამახასიათებელი ორა გარემოება:

a) მომავალი დრო (я почилю) გადმოცემულია ახალი ქართულის ნორმების შესაგვარად („წარვევლინებ“) და არა ძველებურად („წარვევლინო“);

b) პირდაპირი დამატება მხოლოდობითს რიცხვშია აღებული და არა მრავლობითში: „გზაჲ“ და არა „გზანი“, აქედან: „განმზადროს“ და არა „განმზადნეს“.

ეგვევ ადგილი ამავე ძველის არაძირითადს ნაწილში არა ამნაირად, არამედ სწორედ ისეა გადმოცემული, როგორც ის ურბნულსა და ყველა სხვა რედაქციაში. გარდა თვით აღიშურისა, მოიპოვება, სახელდობრ: „აჰა ესერა მე წარვევლინო ანგელოზი ჩემი წყე შენსა, რწ განმზადნეს გზანი შენნი წყე შენსა“ (ლ. 7, 27).

13. აღიშის ძველში 17-ჯერ გვხვდება სიტყვა „ნუთუ“ (მ. 9, 15; ლ. 17, 9; ი. 4, 12, 33; 7, 26, 31, 47, 48, 51, 52; 8, 22, 53; 9, 27; 10, 21; 18, 17, 25, 35). და ეს მაშინ, როდესაც DE-სა (და სხვა რედაქციებშიც) იგი სრულგვით არ მოიპოვება. აქ ამ „ნუთუ“-ს ცვლის „ნუთუჲ“ (ლ. 17, 9; ი. 7, 26, 31, 51; 8, 22, 53; 10, 21; 18, 17, 25, 35), „ნუ“ (ი. 4, 12; 7, 48, 52), „ანუ“ (ი. 9, 27), კითხვ. ნაწილ. „მე“: ჯელ-მე-ეწიფებისა (მ. 9, 15), მო-ვინ-მე-ართუა (ი. 4, 33), „უჟუე—ა“: თქუენცა უჟუე შე-ვე-ცთომილ ხართა (ი. 4, 47). მაგრამ არც ერთ-ჯერ არ გვხვდება ეს „ნუთუ“ აღიშის ძველის არაძირითადს ნაწილში, თუმცა ზემოაღნიშნული შესატყვისობის მიხედვით კი იყო მოსალოდნელი (3, 15; 5, 34; 1, 11, 35; 12, 7, 58; 14, 8, 12, 29; 21, 8, 34).

¹ იხ. ზემოთ გვ. 200.

² იხ. ლექსიკონი „ვენაკი“, „სავენავე“.

³ პალესტინურ ოთხთავს შემთხვევით აკლია მათეს თავში ამ მუხლის შემდეგი ნაწილი: „რწ განმზადნეს გზანი შენნი წყე პირსა შენსა“.

14. სიტყვა „რად“ ოპიზურ რედაქციაში მხოლოდ ერთხელ გვხვდება (ი. 7, 45); ხოლო ადიშურში 15-ჯერ (მ. 8, 26; 9, 4, 14; 17; 19; 21, 25; 27, 46; მრ. 2, 7, 8; 4, 40; 7, 45; 8, 43; 9, 28; 11, 5; 20, 13, 15). ოპიზურ რედაქციაში ის 5-ჯერ „რახასა“-თი ვადმოცემული (მ. 8, 26; მრ. 2, 8; 4, 40; ი. 20, 13, 15), 7-ჯერ მას ცვლის „რახასათჳს“ (მ. 9, 4, 14; 17, 19; 21, 25; 27, 46; მრ. 9, 28; ი. 8, 43), ერთჯერ — „რახა“ (მრ. 11, 5), ერთჯერ ოპიზურში ნას არ მოგვპოვება რაიმე შესატყვისი (მრ. 2, 7), ხოლო ერთადერთ შემთხვევაში ოპიზურშიც იგივე „რად“ მოგვეპოვება (ი. 7, 45). მაგრამ ადიშის ძეგლის არაძირითად ნაწილში ამ სიტყვის ჭაჭანიც არ ისმის; თუმცა სხვა შემთხვევაში მისი შემცვლელი ფორმები კი მოიპოვება: „რახასა“ — 7-ჯერ (ლ. 6, 2, 41; 7, 24, 25, 26; 12, 57; 22, 46), ხოლო „რახასათჳს“ — 8-ჯერ (ლ. 6, 30, 33; 13, 7; 19, 23, 31, 33; 20, 5, 23).

15. სრულებით არ გვხვდება DE-ში (და არც სხვაგან) C-ს წაკითხვა „ზატიკა“, რომელსაც აქ ცვლის ან ქართული „ვენება“ (მ. 26, 2, 17, 18, 19; მრ. 14, 12; ი. 12, 1), ან კიდევ ბერძნული „პასქაჲ“ (ი. 19, 14) და „პასკეი“ [ლ. 2, 41; ი. 11, 55 (2-ჯერ); 13, 1, 18, 28], რომელსაც სამჯერ იქვე ახლავს ისევ ქართული „ვენება“-ს შემცვლელი ვანმარტება (ლ. 2, 41; ი. 11, 55; 13, 1). მაგრამ აქ ჩვენთვის საინტერესო ისაა, რომ ადიშის ძეგლის არაძირითად ნაწილში არსად არ ჩანს ეს „ზატიკი“, თუმცა მოსალოდნელი კი იყო 6 ადგილას (ლ. 22, 1; 7, 8, 11, 13, 15).

დასკვნა, რომელსაც ამ მუხლში (VIII, ბ, 1—12) წარმოადგენილი მასალების განხილვის შემდეგ უნდა დავდგეთ, ასეთია: ადიშის ძეგლის მეორე, არაძირითადი ნაწილი საესებით სტილდება ძირითადს ტექსტს და სხვა რედაქციას წარმოადგენს. ეს სხვა რედაქცია ურბნული რედაქციაა.

გ) ამ უკანასკნელ დებულებას განსაკუთრებით უჭერს მხარა ორივე ძეგლის წინადადებებში სიტყვათა ერთნაირი წყობა, რითაც ურბნული რედაქცია, მაშასადამე, ადიშის ოთხთავის არაძირითადი ნაწილიც, ერთგვარად უპირისპირდება ყველა სხვა რედაქციას, მათ შორის — ოპიზურსაც. თუ ამ უკანასკნელთან ურბნულ რედაქციას ერთგვარი ნათესაობა ჰქონდა ლექსიკის დარგში, ეს დაანლოვება აქ წყდება და ორივე რედაქცია თავ-თავის გზას მიჰყვება. ამიტომაც, რომ როცა ადიშის არაძირითადი ნაწილის წინადადებებში სიტყვათა წყობა განსხვავდება ოპიზური რედაქციისაგან, ურბნული რედაქციაც ყველა ამ შემთხვევაში სტილდება ოპიზურს და ადიშის არაძირითადს ტექსტს ემხრობა.

მაგრამ უმჯობესია ამ დებულების ნათელსაყოფად წარმოვადგინოთ საილუსტრაციო მასალა.

მოვიტანოთ მაგალითები ცალკე წინადადებათა სახით:

რ ა ბურ იქმნეს, 11 ილიუხ ილიუღი... რ ა იქმნენ პურ ლ. 4, 3
 ელწიფებამ, ამის ყოვლისა... ამის ყოვლისა ელწიფებამ 4, 6
 წიერადმდე მთისა მის წაღსა ჭაჲ წიერადმდე მის მთისა რ ლხა 13, 1
 დაწინებულ იყო ჭაღაქი ხეი მათში; ლაქი იგი მათი დაწინებულ იყო 4, 29



კეთილსა უყოფდეთ კეთილის მყოფელ-
თა თქნთა

მივიდა და შეახო ცხედარსა მას
არა მომკუდარ არს ყრმაჲ ეგე
საქმე იგი, მის მიერ რნი იქმნებოდეს
ყნი სოფელი
გზასა ზა ნუვის მოციოთხავთ
მოახლებულ არს სასუფეველი ღა
თქნ ზა

არარაჲ გავნოს თქუენ

თვსსა კარაულსა
მიძსცა ორი დრაჰკანი
შენცა აგრევე ჰყოფდ
დაფარულად დადვის
ყივე წმიდა არს თქნი
ნაწილი მისი დადვას ურწმუნოთა თანა

ლირსი რაჲმე
მოვედ მიფენად
პილატე სისხლი შეჰრია
არს სამი წელი
იწყონ მისა კიცხევად
ხუთი-და სხუაჲ სასწოროი
სასუმელი ესე თანა-წარსლვად ჩემგან

სამ გზის უფარ-მყო მე

თითქო საწინააღმდეგო ჩვენებას

ს, C₁

არა ხ თუ პურითა
კრებულა დიდი მეზუერეთაჲ და სხუა-
თაჲ
შევიდა თავადი (იესუ C₁) შესაკრე-
ბელსა მათსა

ერი... იყო ქალაქისაჲ მის თანა
ძლიერი შეჭურვილი
იყო სიტყუაჲ იგი დაფარულ
თქნ შს
ჩინმე ერთმან მათგანმან

კეთილის მყოფელთა თქნთა
უყოფდეთ 6, 33

მოვიდა ცხედარსა მას და შეახო 7, 14
ყრმაჲ ეგე არა მომკუდარ არს 8, 52
საქმე იგი, რნი მის მიერ იქმნებოდეს 9, 7
სოფელი ყნი 9, 25
ნუვის გზასა ზა მოციოთხავთ 10, 4
მოახლებულ არს თქნ ზა სასუფეველი
ღა 10, 9

არარაჲ თქუენ გავნოს C₁ არარაჲ თქუენ
გვენოს IK 10, 19

კარაულსა თვსსა 10, 34
ორი დრაჰკანი მისცა 10, 35
ჰყოფდ შენცა ეგრეთვე 10, 37
დადვის ფარულად 11, 33
ყნი თქნი წმიდა არს 11, 41
ნაწილი მისი ურწმუნოთა თანა დადვას
12, 46

რაჲმე ლირსი 12, 48
მიფენად მოვედ 12, 49
სისხლი პილატე შეჰრია 13, 1
სამი წელი არს 13, 7
იწყონ კიცხევად მისა 14, 29
სხუაჲ-და ხუთი სასწოროი 19, 18
თანა-წარსლვად სასუმელი ესე ჩემგან
22, 42

უფარ-მყო მე სამ გზის 22, 61.

იძლევა ქვემოთ მოტანილი მასალა:

ლ

არა პურითა ხ 4, 4
კრებულა მეზუერეთაჲ დიდი და სხუა-
თაჲ 5, 29
შევიდა შესაკრებელსა მათსა თავადი
6, 6

... იყო მის თანა ქალაქისაჲ 7, 12
შეჭურვილი ძლიერი 11, 21
იყო დაფარულ სიტყუაჲ იგი 18, 34
შს თქნსა 22, 27
ჩინმე მათგანმან ერთმან 22, 50.

მაგრამ ამ ტიპის მავალითები ძლიერ ცოტაა; შემდეგ, მათგან უმეტესად ხობას ერთობ მარტივი სახე აქვს; უმეტესად ორი თუ სამი სიტყვისაგან შედგები, ხოლო ასეთ შემთხვევაში სიტყვათა გადასმა გაცილებით უფრო ადვილი შესაძლებელია.

დ) რომ ადიშის ძეგლის არაძირითადი ნაწილი რედაქციულად ურბნულს მისდევს, ამას ნათლად გვიჩვენებს სიტყვათა ერთნაირი მეტნაკლებობა ორივე ძეგლში. ამით ისინი უპირისპირლებიან ოპიზური რედაქციის ნუსხებს, მავალითად:

ა. ორივე ძეგლი ერთნაირად უმატებს¹: იყოს შენდა | + ყი 4, 7; ღისა | + ცხოველისა 4, 41; დაუკრდა | + საოწმუნობაა იგი მისი 7, 9; დაღტობად | + ცრმლთა 7, 38; აწ თქუ | + შენ 7, 42; + ლთისა [მოდისა 8, 28; ივლტოდეს] + და შევიდეს 8, 34; + მეყსეულად [განიკურნა 8, 47; + ხ [ივინი ჰბას-რობდეს 8, 53; რაოდენთა უქმა] + განკურნებაა [განპკურნება 9, 11; ჩემ-თვს] + ყოფად 9, 18 IK, ყოფაა C₁; შეეშინა | + მათ 9, 34; + რ [უმცირესი 9, 48; + მისლვად და [დაფლვად 9, 59; წარმართებულ არნ] + სასუფეველსა ღთისასა 9, 62; ფარისეველნი | + ორგულნი 11, 43; ვისიმე | + მდიდრისაა 12, 16; კეთილი | + დაუნჯებული 12, 19; + თქუნ [ნუ ეძიებთ 12, 29; დედა-კაცი] + იყო 13, 11; გლოცავ | + შენ 14, 18; აწმა | + ზეცით 17, 29; ისკარიო-ტელი | + ერთი ათორმეტთაგანი 22, 47.

ბ. ორივე ძეგლი ერთნაირად აკლებს: საქმს — შენი 4, 23; ნავი ვეე 5, 4; იყო მას ქალაქსა 5, 12; მას იესუ 5, 13; შორის 5, 19; მუნ 5, 29; ეგრევე 5, 33; ყოფაა 6, 9; თვსთა 6, 20; შენ 6, 29; ივინი 7, 12; — და [შოში დეცა 7, 16; სოფლებსა] — მისთვს 7, 17; იესუ 7, 21, 41; 20, 23; იგი 7, 38; 11, 28; და იტყოდა 7, 39; — და [პოქუა დედაკაცსა მას 7, 50; დაფარის] — იგი 8, 16; კაცი იგი 8, 39; კაცნი — იგი 9, 14; ვა ელია ყო 9, 54; მიერ 10, 10; თქუნნი 12, 4; მოწყუნა — ივინი 13, 4; ადრე 14, 23; ფქვილსა 17, 35; გდ 18, 36; და მიეპატოს 19, 26; სამკვდრებელი — ესე 20, 14; სასუნელი — იგი 22, 20; მოილო 22, 20; თქუნ 22, 30.

გ) ორსავე შესაძარებელ ძეგლში (IK—C₁) ხმნის ერთნაირი ფორმებია მოცემული, მაშინ როდესაც ოპიზური რედაქცია სხვანაირ (ამთგან განსხვავებულ) ფორმებს ვეაწვდის: ცხონდეს (C) — ცხონდების (L) 4, 4; დაუკრდებოდა — უკრდა 4, 22; ჰქონდეს (უძლურნი) — აქუნდა (უძლურები) 4, 40; მოგეტევოს — მოგეტევენ 6, 37; დაუკრდა — უკრდა 7, 9; (ნეტარ) არს — (ნეტარ) იყოს 7, 23; შემი-ყუარა — შეიყუარა 7, 47; შეუძლეს — ეძლო 8, 19; განალკებდეს — განალკდეს 8, 24; პნებაეს — უნებს 9, 23; დააკუეთის — დაპკუეთის 9, 39; დააკუეთა — და-პკუეთა 9, 42; არას ილუწი — არა ილუწი 10, 40; აღაშენებთ — აშენებთ 11, 47; გამოიძიოს — იძიოს 11, 51; ეძიებენ სლვად — ეძიებდენ შესლვად 13, 24; რაა მოგავონ — რაამცა მოგავეს 14, 14; ისმინენ — ესმოდენ 14, 35; შეურაცხ-პყოფ-დეს — შეურაცხ-პყოფდენ K. შეურაცხ-პყოფენ C₁ 18, 9; დუმნენ — დადუმნენ 19, 40; ეტყოდეს მას — იტყოდეს მისთვს 22, 65.

¹ საფუძვლად (რასაც უმატებს, აკლებს...) აღებულია DE ხელნაწერი.



ვ) ერთნაირია ბრუნვათა შერჩევა: განტევებად — განტევებისა 4, 18; თევზისა 5, 36; შეკრებებოდა მას — შეკრებებოდა მისა 8, 42; უწყრა და უყრმასა მას — ... უყრმასა მისა 8, 54; ვაჲ თქუენდა, შჯულის მოძღუართა — ... შჯულის მოძღუარნო K, რჩულის¹ მოძღუარნო C₁ 11, 52; ქუაბად — ქუაბ 19, 46; მართალს — მართალ C₁ მართლად IK 20, 20.

ზ) ერთნაირია სახელთა რიცხვის შერჩევა:

ა. მრ.—მხ.: სიტყუათა — სიტყუასა 5, 1; ზრუნვითაგან — ზრუნვისაგან 8, 14; ნათესაეთა... მეუფებათა — ნათესავსა... მეუფებასა 21, 10.

ბ. მხ.—მრ.: ქვასა ამას — ქვათა ამათ 4, 3; სნეულებისაგან — სნეულებათაგან 7, 21; საზღვრისაგან — საზღვართაგან 8, 37.

კიდევ შეიძლებოდა ზოგი სხვა ამგვარი ნიშნის დასახელება, მაგრამ აქ მოტანილიც საკმარისია იმისათვის, რომ ადიშის ძეგლის არაძირითადი ნაწილის ტექსტი ურბნული რედაქციის მიმდევრად ვალიაოთ.

ამგვარად, შეიძლება მოკლედ დავასკვნათ:

1. ადიშის სახელწოდებით ცნობილი ძეგლი რედაქციულად მთლიანი არ არის, იგი შედგება ორი რედაქციისაგან. ამათგან ერთი, ძირითადი ნაწილი, მოიცავს მათეს, მარკოზისა და იოვანეს სახარებათ მთლიანად, ნაწილს აგრეთვე ლუკას სახარებიდან, სახელდობრ: 1, 1—3, 8; 15, 7—17, 24; 23, 3—24, 53; მეორე, არაძირითადი ნაწილი შესულია ლუკას სახარებაში, ის შეიცავს სახელდობრ შემდეგ ადგილებს: 3, 9—15, 6 და 17, 25—23, 2.

2. ადიშის ძეგლის ძირითადი ნაწილი წარმოადგენს საესეებით დამოუკიდებელ რედაქციას. მას შეიძლება საკუთრივ ადამური რედაქცია ვუწოდოთ.

3. ადიშის ძეგლის მეორე, არაძირითადი ნაწილი რედაქციულად საესეებით განსხვავდება ძირითადი ნაწილისაგან; იგი ურბნულ რედაქციას მისდევს.

სტალინის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ძველი ქართული ენის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1944. VII. 17)

¹ ადიშის ოთხთავის ამ, არაძირითადს ნაწილში ეს სიტყვა სხვაგანაც არ ხვდება წარმოდგენილი („რჩულ“-ი).

И. Имнайшвили

Адишский четвероглав в редакционном отношении

Резюме

1. Предварительное изучение доступных нам древнейших грузинских рукописей четвероглавов эпохи до Георгия Мтацмидели показывает, что имеются три редакции евангелий, которые обозначаются литерами **Ц**, **Ч**, **ჭ**. Редакция **Ц** представлена в 6-ти рукописях, известных под названиями: опизская (913 г.), джручская (936 г.), пархальская (973 г.), Феодора (X в.) и „анбан-диди“¹ (X в.). Редакция **Ч**, представляющая собой незначительную переделку редакции **Ц**, имеется в трех рукописях: урбниской (X в.), тбетской (995 г.) и палестинской (1043 г.). Редакция же **ჭ** представлена в адишском четвероглаве, но не во всей рукописи, а только в одной ее части.

Этим редакциям условно можно дать следующие наименования: первой (**Ц**) — опизская, второй (**Ч**) — урбниская, а третьей (**ჭ**) — адишская.

Латинскими буквами обозначаются отдельные рукописи: А — опизская, В — тбетская, С — адишская, Д — джручская, Е — пархальская, F — Феодора, G — Гавриила Патарай, H — „анбан-диди“, I — палестинская, K — урбниская.

2. По своему составу адишский четвероглав не является редакционно единым. В нем содержатся две друг от друга резко отличающиеся редакции: одна заключает в себе большую часть четвероглава, т. е. евангелия от Матфея, Марка и Иоанна в целом и часть евангелия от Луки, приблизительно 6 глав, именно: Лк. 1, 1—3, 8 и 23, 3—24, 53. Вторая редакция представляет меньшую часть, а именно: Лк. 3, 9—15, 6; 17, 25—23, 2, приблизительно 18 глав, или же одну пятую часть всего четвероглава. Для краткости первую назовем основной частью, а вторую — неосновной.

3. Основная часть адишского четвероглава (независимая редакция) в сущности отличается как от опизской, так и от урбниской редакций. Различие имеет место в лексике, в словообразовании и в конструкции предложений.

А. Примерами лексических различий можно назвать следующие слова²:

¹ Крупными буквами.

² В ниже приведенных примерах на первом месте стоит чтение редакции **Ц**, на втором — **ჭ**.



სამოსელი — ფიჩ (Мф. 5, 40) „верхняя одежда“; ენაი — სანაღებო (Мф. 21, 41) „виноградник“; შვარი — ბევი (Мф. 23, 4) „плечо“; მუსოვად — სხურტად (Мр. 2, 23) „срывать“; თხიერ — გარეშე (Мр. 4, 34) „без“, „кроме“; მიმოხედვიდა — მიმოდაისტუხენიდა (Мр. 5, 32) „смотрел вокруг“; განუკრდებოდა — ჰმალდა (Мр. 6, 2) „изумились“; გოდორი — კელი (Мр. 8, 19) „корзина“; საწნებელი — ტავარი (Мр. 12, 1) „точило“; მწული — ფშიტი (Мр. 12, 42) „лента“; ტფებოდა — იქუსვოდა (Мр. 14, 54) „гребся“; წყლულება — ზუზაა (Лк. 16, 21) „струя“; ვიტანჯები — ვიარები (Лк. 16, 24) „мучаюсь“; კრეტსამელი — ეზოა (Лк. 23, 45) „завеса“; ხარწყული — ტაქუი (Ио. 2, 6) „кувшины“, „водонос“; უბოლხინე იქნა — მოჰქირდა (Ио. 4, 52) „стало ему легче“; ილაღვიდეს — ჰვდებოდეს (Ио. 6, 52) „стали спорить“; ეზოა — ბაკი (Ио. 10, 16) „двор“, „скотный двор“ и др.

В. Различия в отношении словообразования:

а. имена:

მალაღ — მალლოღ Лк. 16, 15; მახულებითა და წათებითა — მახულოსანნი და წათოსანნი Мф. 26, 47; მესათხეველ — მიხვეარ Мр. 1, 16; მწოლარს — შთაწვენილი Лк. 2, 16; წარწყმედილი — წარწყმედული Лк. 15, 24; შრომილი — ხაშრომი Ио. 4, 38 и т. д.

б. глаголы:

მიჰყავს — მიიყვანის Мф. 7, 13; ქროდეს — ანქრევდეს М. 7, 25; მოსცენ — მისცოდინან Мф. 21, 41; მოკლეს — მოაკუდინეს Мф. 26, 59; აცალეზდეს — ჰკალან Мр. 6, 31; ითქუმოდის — მიმოგანიოქლას Мр. 14, 9; ჰრქვან — ერქუმის Ио. 19, 13 и т. д.

С. Приведенные различия в отношении имен и глаголов (вместе с определенными лексическими указаниями) вызывают по внутренней своей необходимости также *отличия и в строении предложений*. Образцами таких различий являются: რაქამს აღმოვიდოდა წყლისა მისგან Ⴀ — მუნქუესვე აღმოვდა მიერ წყლით Ⴀ, Мф. 3, 16; რომელსა საყოფლადვე იქუნდა საფლავები; და არცაღა ჯაჭუებითა ვის კელ-ეწითა შებოროტოვებდა იგი Ⴀ — რომელი მყოფ იყო სამარობანსა; და ვერცა ჯაჭვთა ვერლირაინ უძლის შეკრავდ მისა Ⴀ, Мр. 5, 3 и т. д.

4. Неосновная часть адишского памятника почти буквально придерживается урбнисской редакции (4), которая, как мы отметили, в свою очередь представляет собой незначительную переделку опизской редакции. Это подтверждается следующим:

А. Лексика неосновной части адишского памятника и соответствующей части урбнисской редакции одна и та же.

В. Равным образом это подтверждается и формами, севдინებისა однородными, но различными по образованию. Так, например:

ს	ღ C ₁
ელვაჲ	ელვარჲს ლკ. 9, 29
განსასუნებელსა	განსუნებასა ლკ. 11, 24
სატურთველი	სატურთავი ლკ. 11, 46 и т. д.

С. В неосновной части адишского четвероглава имеются такие слова и выражения, которые в основной части встречаются редко, или вовсе отсутствуют, но зато содержатся в опизской и урбнисской редакциях. Таковы: საფლავი (в осн. სამარე, სამართბანი) „могила“, „гроб“; კეთროვანი (в осн. განბოკლებული) „прокаженный“; ვაშკარანი (в осн. ვუღაჲ) „сума“; სახლისა უფალი (в осн. მამასახლისი) „хозяин дома“; ძალმიც (в осн. მიძლავს, შემძლებელ ვარ) „могу“; ამენ გეტყვ თქუნ, ამენ ამენ გეტყვ თქუნ (в осн. მართლად გეტყვ თქუნ, მართლად მართალსა გეტყვ თქუნ) „истинно говорю вам“, „истинно, истинно говорю вам“ и мн. др.

Д. Наличие связи неосновной части адишского четвероглава с урбнисской редакцией особенно резко сказывается в тождественности построения слов в предложениях, тогда как в опизской редакции имеет место несколько иная расстановка тех же слов, например: რომელსა ზედა დაშენებულ იყო ქალაქი იგი მათი ს — რომელსა ზედა ქალაქი იგი მათი დაშენებულ იყო ღ C₁, ლკ. 4, 29; კეთილსა უყოფდეთ კეთილს მყოფელთა თქუნთა ს — კეთილს მყოფელთა თქუნთა კეთილსა უყოფდეთ ღ C₁, ლკ. 6, 33 и др.

Е. Оба памятника в одинаковой мере:

а) либо прибавляют слова и выражения, как напр.: დატობადი + ცრემლითა ლკ. 7, 38 и др.

ბ) либо опускают их: შეავლინე — ნავი იგი ლკ. 5, 4 и др.

с) в обоих памятниках глагол дается в одной и той же форме, тогда как в опизской редакции употребляется иная форма:

დააკუეთა ს	დააკუეთა ღ C ₁ ლკ. 9, 42
ცხონდეს ს	ცხონდების ღ C ₁ ლკ. 4, 4 и др.

д) однородность в выборе падежей:

განტყვებად ს	განტყვებისა ღ C ₁ ლკ. 4, 18
იგავსაცა ს	იგავითცა ღ C ₁ ლკ. 5, 36 и др.

е) однородность в выборе грамматического числа:

სიტყუათა ს	სიტყუასა ღ C ₁ ლკ. 5, 1
ზრუნეთაგან ს	ზრუნებისაგან ღ C ₁ ლკ. 8, 14 и др.



5. Сама адишская редакция (редакция основного текста) не совсем однородна: следы редакции Ψ несколько заметны в главе XIV евангелия от Матфея, частично в главах XII—XIII евангелия от Марка, а также кое-где и в других главах, но во всех этих случаях эта часть настолько перемешивается с основным текстом, что трудно сказать с уверенностью — к какой из 3-х перечисленных редакций (Σ , Ψ , Γ) принадлежит она.

Восстановление текста основного евангелия от Марка в адишском варианте. В основу положены следующие варианты: Σ (Лк. 11, 24) и Ψ (Лк. 11, 24).

В основной текст основного евангелия от Марка в адишском варианте внесены следующие изменения: Σ (Лк. 11, 24) и Ψ (Лк. 11, 24). В основном тексте основного евангелия от Марка в адишском варианте внесены следующие изменения: Σ (Лк. 11, 24) и Ψ (Лк. 11, 24).

В основном тексте основного евангелия от Марка в адишском варианте внесены следующие изменения: Σ (Лк. 11, 24) и Ψ (Лк. 11, 24). В основном тексте основного евангелия от Марка в адишском варианте внесены следующие изменения: Σ (Лк. 11, 24) и Ψ (Лк. 11, 24).

В основном тексте основного евангелия от Марка в адишском варианте внесены следующие изменения: Σ (Лк. 11, 24) и Ψ (Лк. 11, 24). В основном тексте основного евангелия от Марка в адишском варианте внесены следующие изменения: Σ (Лк. 11, 24) и Ψ (Лк. 11, 24).

Восстановление текста основного евангелия от Марка в адишском варианте. В основу положены следующие варианты: Σ (Лк. 11, 24) и Ψ (Лк. 11, 24).

В основном тексте основного евангелия от Марка в адишском варианте внесены следующие изменения: Σ (Лк. 11, 24) и Ψ (Лк. 11, 24). В основном тексте основного евангелия от Марка в адишском варианте внесены следующие изменения: Σ (Лк. 11, 24) и Ψ (Лк. 11, 24).

თქვენი მიზანია შევინახოთ ამ უცხოეთში ინტელიგენციის
დასახელები და მათი საქმიანობის შესახებ მათთვის
დასაინტერესოებელი ინფორმაციები გავუზიაროთ
მათ და მათი ქვეყნის მოსახლეობას.
№ 1, XI კვანძი (კვანძის ანბანი)

6. კვანძი

ქართული ენის შესახებ მათთვის მათთვის
დასაინტერესოებელი ინფორმაციები გავუზიაროთ
მათ და მათი ქვეყნის მოსახლეობას.
№ 1, XI კვანძი (კვანძის ანბანი)

ΑΛΛΗΛΕΙΣ

ჰომეროსის პოემებში რამდენჯერმე იხმარება ზმნა *ἀλλεπάζειν*. რაც ქართულად ნიშნავს დარბევას, ათხრებას, დაქცევას, მოსრევას, გაძარცვას, დაცობვას და სხვა. ეს ზმნა „ილიადის“ პირველ სიმღერაშივე გვაქვს მოცემული შემდეგი სახით: *ἔξ ἀλλεπάζειν* || *ἀλλεπάζειν*-ის აორისტიის ინფინიტიურ ფორმაში.

პირველად ჩვენ მას ვხვდებით პოემის იმ ნაწილში, სადაც მოთხრობილია ამბავი აქილეესის რისხვის წარმოშობისა და მოყვანილია ვოცელი დიალოგი ამაყ აგამემნონსა და აქილეესს შორის.

აპოლონის მიერ შემუსრულ აქაველთა მოსარჩლე აქილეესი ურჩევს აგამემნონს, დაუბრუნოს შეილი ქრიხეიდა აპოლონის ქერუმს, ქრიხეს, და თუმცა, ამჟამად, რაც ათხრებულ ქალაქებიდან ნადავლი წამოიღეს ბეოძნებმა, ყველაფერი გაუოთილია და აგამემნონს სამაგიეროდ ვერ დააჯილდოებენ, მაგრამ შემდეგ აქაველები მას ერთი-სამად, ერთი-თხად გადაუხდიან დანაკლისს, თუ კი ზევსი მათ მიანიჭებს მყარ კედლებიან ტროის დარბევას.

ეს უკანასკნელი წინადადება გამოხატულია შემდეგნაირად:

αὐτὸς καὶ ποῦτι Ζεὺς

δῆσι πόλει Τροίηνι εὐτείχῃσι ἔξ ἀλλεπάζει (ილ. I, 129).

უკანასკნელი სიტყვა რომ დაეშალოთ მორფოლოგიურ ელემენტებად, მივიღებთ შემდეგს: *ἔξ* პოვეერბია, *ἀλλεπ* — ძირი, *άζ* (γ) — თემატური ნიშანი და *σαι*, აორისტიის ინფინიტივის მაწარმოებელი.

ძირი *ἀλλεπ*, როგორც ჰომეროსთან ისე შემდეგ, სხვა მწერლებთან გვხვდება ზმნებში. აქედან უფრო გვიანდელი მაწარმოებია სახელები, რომელთაგან ყველას, ერთის გარდა, დაკარგული აქვს პირვანდელი მნიშვნელობა, მაგრამ შინაარსობლივად ეს სახელები ისე დაკავშირებული არიან ამ ძირთან, რომ ნათესაობის ცნობა ადვილად შეიძლება.

ყველაზე უფრო უხვი ხმარება ამ ზმნისა აქვს ჰომეროსს. ჰომეროსთან დომინანტური მნიშვნელობა შემდეგია: მოსრევა, აკლება, გაჩანაგება, გაძარცვა, დაქცევა, დანგრევა, და ეს დაკავშირებულია თითქმის ყოველთვის სიტყვასთან *πόλις*, *ἡσθα* (ქალაქი), გარდამავალი მნიშვნელობით:

„თუ ზევსი მოგვანიჭებს მყარ კედლებიან ქალაქის, ტროის, დარბევას“ (ἐξάλαπαῖξαι πῶλιν) ილიადა I, 129.

„როდესაც ღმერთები არგოსელებს უბოძებენ პრიამის დიდი ქალაქის აკლებას, მაშინ აქილეუსს შეეძლება ხომალდის უხვად დატვირთვა სპილენძითა და ოქროთი და იგი თავისი თვალით დაინახავს, თუ როგორ გაიყოფენ ნადავლს მეომრები“

(ἄστει ἀλαπαῖξαι) ილიადა IX, 136.

„მალე გაიგებ ღვთის ნებაა თუ არა, რომ შენ ქალაქს ვერ ანგრევ“ (πῶλιν οὐκ ἀλαπαῖξεις) ილიადა II, 367.

„თორმეტი ხომალდით მრავალკაციანი ქალაქები ავაობრე“ (πῶλειξ ἀλαπαῖξ) ილიადა XII, 67.

ენებთი გვარის ფორმით:

„ვიდრე მე ჩემი თვალებით დავინახავ ქალაქ [ტროას] აობრებულს და გაჩინაგებულს, ჯობს აიღს ჩავიდე“ (ἀλαπαῖξομένην τε πῶλιν) ილიადა XXIV, 245.

ἀλαπαῖξεν არა მარტო ქალაქის აობრება-აკლებას ნიშნავს ჰომეროსთან, არამედ სხვა საგნებზეცაა გადატანილი:

„მამაცმა ენემ შეამჩნია იგი, შემშუსრველი ტროელთა მწყობრისა“ (ἀλαπαῖξοντα) ილიადა V, 166.

„ჭექტორი მათ შორის მძვინვარებდა, ლახვარით და სწრაფი ჯირითით ანადგურებდა დანაელთა რიგებს“ (ἀλάπαξ) ილიადა XI, 503.

„მეც ვიყავი ერთ ღროს ბედნიერი და მდიდრული სასახლის მფლობელი, მაგრამ ზევსმა გამალარიბა [გამაჩინაგა] (ἀλάπαξ) ოდისეა XVII, 424; XIX, 80.


„მე მოესპობდი ორივე აქტორილებს“ (ἀλάπαξ) ილიადა XI, 750.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ჰომეროსის შემდეგ ეს სიტყვა ველარ იჩენს გამძლეობის უნარს, შემდეგ მწერლებთან თითქმის იდიომატურ გამოთქმად იქცევა და იხმარება უმთავრესად იმ კონტექსტში, რომელიც ჰომეროსთან ამ სიტყვის მთავარ, უძველეს მნიშვნელობას გამოხატავდა: ἀλαπαῖξαι πῶλιν — დარბევა ქალაქისა.

სხვა კონტექსტში ვხვდებით ჰომეროსის შემდეგ ყველაზე უფრო ადრინდელ მწერალთან, ჰესიოდესთან: μαῖρα ἀλαπαῖξαι — ბედი გაანადგურებს (ჰესიოდე frg. 81) და პანიასთან (V ს. ეპიკოსი):

„სრულიად განდევნის დარდს გულისაგან“ (ἀλαπαῖξαι) Athen. II—37b.

თეოგნიდე (VII ს. ჩვ. წ—მდე) ხმარობს ჩვენთვის ცნობილ კონტექსტში



„მაღალ კედლებს თავს დავეხენი და ქალაქი კი არ ავაოხრო“ (πῆλιν ὀρθ. ἀλάπαξ) თეოგნიდე 951.

ესქილე „ავამემნონში“:

„დადგება დღე და განადგურდება ბოიამის ქალაქი და უხვ ჭონების, რაც სასახლეებში და ხალხშია დაეროვილი, მოირა გააჩინაგებს“ (ἀλαπαξ) ავამემნონი 129.

ქსენოფონტი „ანაბაზისში“:

„რომელ ქალაქშიც მივიდით, ავაოხროთ“ (ἐξ ἀλαπαξίμων) ანაბაზისი VII, 1, 29.

ქსენოფონტის შემდეგ ეს ზნა ბერძნულ მწერლობაში აღარ გვხვდება, თუ ჰხედველობაში არ მივიღებთ ჰალიმაქე ალექსანდრიელს (III ს. ჩვ. წ—მდე). ეს ცნობილი მეცნიერი პოეტობდა კიდევ, მაგრამ პოეზია მისთვის იმდენად თვითმიზანი არ ყოფილა, რამდენადაც სწავლულობის გამოქვეყნების საშუალება. ამიტომ იგი თავის ლექსებს ტვირთავდა სხვადასხვა სიბრძნით და ცდილობდა შეეჭინა იმა თუ იმ თანრის სრულყოფილი, მეცნიერულად გამართლებული სახე. ჯალიმაქე განზრახ ხმარობდა არქაულ გამოთქმებს, რომ უფრო მოხერხებულად მიეძახა იველ შემოქმედთათვის. ბუნებრივია, რომ მასთან ἀλαπαξίμων-ის არსებობა ამგვარი არქაიზმისათვის მიბაძვად უნდა გავიგოთ და არა ისე, რომ მის დროს ეს სიტყვა იხმარებოდა და გარკვეულ ცნებას აღნიშნავდა თანამედროვე ენაზე.

შედარებით მეტ გამძლეობას იჩენენ ამ ძირისაგან ნაწარმოები სიტყვები. ზნები: λαπαξία, λαφύστω, λάπτω; სახელები: λαπαρά, λαπαρძე, λάπαμι, λάπαჯი, ლაფურა და სხვ.

როგორც ძველი, ისე ახალი დროის მკვლევართა ნაწილი ცნობს ἀλαπαξ-ს ნათესაობას ლაფუსთა, ლაპთა-სთან. აქ იგივე ძირია აღებული, მაგრამ მნიშვნელობა სხვა ხასიათს განეითარებული, გამახვილებული. ასე, მაგ., ლაფუსთა ნიშნავს იგივე განადგურებას, გაჩინაგებას, დაცარიელებას, მაგრამ გადატანილია სხვა საგანზე, სახელდობრ მიუთითებს ცხოველის მიერ საჭმელის გაჩინაგებაზე, ხარბად გადაყლაბეაზე. უკვე ჰომეროსთან გვაქვს:

„ქელს მოუგრებს, ძლიერ კბილებს მოუჭერს და შემდეგ სისხლსა და შიგნეულს გადასანსლავს“ (ლაფუსთეს) ილია XI, 175.

ფორმითა და შინაარსით ძირითადი ზნის იდენტურია ლაპაქა, ეს უფრო გვიანდელი შექმნაა, ჰომეროსთან იგი არ გვხვდება. იმის ახსნა, თუ რამ გამოიწვია ალაპ ძირისაგან π-ს დაკარგვა, ადვილად შეიძლება ბერძნული ენის კანონებით. აქ ა ძალიან ხშირადაა გამოყენებული სიტყვის თავსართად — სხვადასხვა

მნიშვნელობის გამოსახატავად. ეს თავსართი ხან უარყოფას აღნიშნავს (a privativum), ხან ერთობლიობას (a copulativum), ხან მნიშვნელობას აძლიერებს (a intensivum) და სხვა.

ამ თავსართის მქონე სიტყვებს ადვილად შეიძლება ჩამოშორდეს *α* და უთავსართო სიტყვამ დამოუკიდებლად განაგრძოს არსებობა.

ამან გამოიწვია ის, რომ ანალოგიით ზოგჯერ წინა *α* მოეკვეცათ ისეთ სიტყვებს, რომელთაც ფუძისეულ ხმოვნად ჰქონდათ იგი გამოყენებული და სიტყვას ორგანული ნაწილი ჩამოცილდა. ამის ნიმუშებია:

ἀγαμαι — მივირს, მიხარია — *γαίω, γάμαι, γήθη* (იგივე მნიშვნელობა)

ἀμύνη — თავს ვიცავ — *μύνομαι* " "

ἀπαρῆ — გეტუნებ — *παίρω* " "

ἀλείφω — ვიხეღ (მალამო) — *λείπω, λείπω* (მალამო).

ასეთივე მოვლენასთან გვაქვს საქმე *λαπαῖ* ზმნის წარმოშობის დროს. აქ *αλαπ-*ში *α* გავებულ იქნა შეცდომით როგორც სიტყვის მოძრავი ნაწილი და იგი ზედმეტად იქნა ჩათვლილი. ეს ახალი შექმნილი ზმნა პირველად ესპიტესთან იწეს თავს:

„კადმელთა ქალაქის გაძარცვა“ (*λαπαῖ*)

შვიდნი 47.

პროლოგისთანაც გაძარცვაზე, დაცარიელებაზე მიუთითებს. შემდეგ დროინდელელები მას აიგივებენ დაცარიელებასთან, დასუსტებასთან, ღონისაგან დაკლასთან, არსებობს როგორც მოქმედებითი, ისე ვნებითი გვარის ფორმა.

განსაკუთრებული უფლებები მოიპოვა ამ უკანასკნელმა მნიშვნელობამ მედიცინასა და ფილოსოფიაში. ჰიპოკრატე მას უამრავ ადგილას იყენებს ორივე გვარში: დამაცარიელებელი და დაცარიელებული. აგრეთვე გალენი ამბობს: *λαπαχμή* ნიშნავს უბრატესად დაცარიელებასო. არისტოტელესთანაც ეს აქტიური სიტყვაა და არა გლოსა (Probl. 935 b, 30; 23; 39). მასთან იგი აღნიშნავს ღონის მოხდას, დასუსტებას. ამ უკანასკნელი მნიშვნელობისაგან, რი სუფიქსის საშუალებით ნაწარმოებია ზედსართავი სახელი *λαπαρῆ* — სუსტი, დაღუული, (როგორც *φαίω* ვამჟღავნებ — *φαειρῆ* ცხადი; *ἀισχῆ* ვარცხნივ — *αἰσχρῆ* სამარცხვინო, ასევე *λαπαῖ* ვასუსტებ — *λαπαρῆ* სუსტი).

ძირითადი ზმნის *ἀλαπαῖ*-ს შინაარსს ძალიან უაბლოვდები ამ *λαπ*, *λαφ* ფუძისაგან შექმნილი სახელი *τὸ λαφαρῆ*, რაც ნიშნავს ნადავლს, ომში ნაშოვნს, მოხატანს.

მესამე საუკუნის შემდეგ ჩვენი წელთაღრიცხვით ამ ფუძისაგან შექმნილ სახელთა უმეტესობა შემონახულია მხოლოდ ლექსიკოგრაფებთან, ექსცერპტების შემკრებებთან, კომენტატორებთან, ეტიმოლოგისტებთან.

ძველები იძლეოდნენ მხოლოდ ამ სიტყვების ნათესაობის ფაქტს და შინაარსობლივი ანალიზის საფუძველზე ამტკიცებდნენ მათ ურთიერთ კავშირს. ათენაიოსი (III ს. ჩ. წ.), ცდილობს ახსნას ეს სიტყვები და მონათესავე გამოთქმებს დაუკავშიროს. მისი აზრით *λαπαρῆ*-ისაგანაა *λαπαρῆ*. *λαπαρῆ* კი

ნიშნავს აოხრებას, განადგურებას. დარბევას პოეტები *ἀλαπαΐειν*-ს უწოდებენ. აქედანვეა მიღებული *λᾶψαρα*, რაც არის ნადავლი დარბევის დროს. *ἡλαπύειν* *λαψάρσσειν* ამასვე ეკუთვნის და მიუთითებს გაჩანაგებაზე, დაცარიელებაზე.

სვიდას მიხედვით (X ს.) მცენარისა და ორმოს საერთო სახელისაგან, *λᾶπασιον*-ისაგან, წარმოიშვა ჰომეროსის ზმნა *ἀλαπαΐειν*, რაც ნიშნავს დაობევას, აოხრებას, გატიალებას. აქედან კი *λᾶψαρα* მტრებისაგან წამოღებული ნადავლია.

XII საუკუნის ეტიმოლოგიური ლექსიკონი *Etymologicum Magnum* იძლევა *λᾶπασιον*-ის ხალხურ ეტიმოლოგიას, მისი ახსნით ეს სიტყვა ორი ნაწილისაგან შეესდგება: *λα* და *παΐειν* — ავადმყოფობა. აქ აღნიშნულია, რომ დემოკრიტე მონადირეების მიერ ვაკეთებულ ორმოებს *λᾶπασιον*-ს უწოდებდა, და ამ სიტყვიდან პლეონასტური *α*-ს საშუალებით მიღებულია *ἀλαπαΐειν*, რაც უპირობესად ნიშნავს დაცარიელებას.

როგორც ათენაიოსი, ისე E. M. გამოყენებული აქვს ევსტათის (XII ს.). თავის კომენტარებში იგი კვალდაკვალ მიჰყვებოდა ჰომეროსის პოემების ლექსებს და ყოველ სიტყვასა და ადგილს, რომელიც მისი აზრით შესანიშნავი ან თანამედროვეთათვის გაუგებარი იყო, ხსნიდა. ჩვენი სიტყვა მას სადაც კი უნახავს, ვრცელი კომენტარები დაურთავს. ევსტათიც წინა მკვლევარების მსგავსად პროცესს პირუკუ წარმოიდგენს და მისი გაგებით *α*-ს დართვით *λαπ* ფუძეზე მიღებულია *ἀλαπαΐειν*. იგი იმეორებს E. M. სიტყვებს, რომ ამ ზმნისათვის ძირითადი მნიშვნელობა არის გაჩანაგება, დაცარიელება და არა საკუთრივი მნიშვნელობით ინმარება ქალაქის დარბევის აღსანიშნავად. ამის დასამტკიცებლად ევსტათის მოჰყავს „ოდისეის“ ერთი ადგილი, სადაც ეს ზმნა გამოხატავს არა ქალაქის დარბევას, არამედ უბრალოდ დაცარიელებას. მენელაოსი ამბობს:

„მე ვაპირობდი ოდისევსის თთავიდან წამოყვანას
და ჩემ ქალაქთაგან ერთის მისთვის დაცარიელებას“
(*ἔξ᾽ ἀλαπαΐειν*) ოდისეა IV—176.

ევსტათის აზრით მენელაოსი არ დაარბევდა ქალაქს, რომელიც მის გამგებლობაში იმყოფებოდა. აქ უბრალოდ ქალაქის დაცლაზე, „ვეაკუირებაზე“ ლაპარაკი. ეს სიტყვა წარმოშობილია *λᾶπειν*, *λαψάρσσειν*-ისაგან, რაც აღნიშნავს ცხოველების მიერ სწრაფ ქამას. აქედან ცნობილი *λέλαφα* (პერფექტუმი). შეიძლება, რომ ამ *λέλαφα*-ისაგან ან *ἡλαπσιον*-ისაგან (II აორისტი) მივიღოთ *λᾶψαρα*, რაც არის მონატაცი, ნადავლი ქალაქის აოხრების დროს. ამავე ფუძეს უკავშირებს *λαπαρά*, *λᾶπασιον*-ს (ევსტ. 1413, 2—ოდ. I—126; 65, 26 ილ. I—129; 336, 61 ილ. XI—175; 1490, 58 ილ. 4, 176 და სხვ.).

ჩვენთვის მეტად საინტერესო ცნობას იძლევა IV—V საუკუნის გლოსოგრაფი ჰეზიხი, რომელიც *ἀλαπαΐειν*-ს თვლის ქუჩულ კიბროსიდან შესულ სიტყვად ჰომეროსის ლექსიკაში.

ახალ მკვლევართაგან დიდი ინტერესი არავის გამოუჩენია ამ სიტყვისადმი. უმთავრესად კმაყოფილებოდნენ ძველების ნათქვამით, მაგრამ აქა-იქ გაკვრიო



მინც ვნედებით ამ სიტყვის სასხვათაშორისო ლოკალიზაციის ცდას, რაღაც სხვა მიზნისათვის დასჭირდებათ ხოლმე.

კარლ ბრუგმანი¹ ცდილობს, რომ *λαφαρον* დაუკავშიროს ძველ ინდურ *labhate* „იგი ფლობს“, „მას ხელთ უყრია“ და ლიტ. *lobi*-ს „სიმდიდრე“, „ფლობა“. იმ საბუთით, რომ ძველი ინდური ხი ტოლია ძველ ბალტიურ-სლავურ ხ-სი, როგორც ძველი სლავურთ: *bojati* SE ვთანაბრება *sich fürchten*-ს და გუთური *blandan sik* — *sich vermischen*-ს.

შარპენტეი² ბერძნულ *λαφασσα*-ს, ლათინურ *lambō* (ლოკვა), ძველ ზემო გერმანულ *laifan*-ს (სლაქვა), ძველ სლავურ *lōbъzati* (კოცნა)-ს ერთი ეტიმოლოგიისად თვლის და ექვად გამოსთქვამს შეხედულებას, რატომ არ შეიძლება ეს სიტყვები დაფუძავშიროთ *lab* — ტუნსო.

ბართოლომეს³ სომხური *lap'el* (ლოკვა), ძველი ზემოგერმანულ *laifan*, ლათინური *lambere* ერთ საერთო ძირამდე *laph* დაჰყავს.

დებრუნერი⁴ *λαπασσα*-ს არსებობას *λαπαζა*-ს გვერდით ხსნის იმით, რომ ამ ზმნის თემატური ნიშანი აქ გუტურალური წარმოშობისაა და არა დენტალურისა. მისი აზრით *λαπαζა*, *λαπαჯა* უფრო ძველი ფორმაა და შემდეგ არის შექმნილი *λαπασσα* აორისტის მიხედვით.

ახალი დროის ეტიმოლოგისტები, ბერძნული ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონის შემდგენნი ბუაზაკი და პრელვიცი აღიარებენ, რომ ერთი და იგივე ძირისაგანაა წარმოშობილი *πλαπαζა*, *λαπαζა*, *λαπαρα*, *λαπαரச*, *πλαπαზის* და ამათ უკავშირებენ ძველ ინდურ *lapah* — „პატარა“, „საშუალო“, „სუსტი“, ლიტ. *alpi* „სუსტი“ და ლათ. *lepus* „კურღლეი“. ასეთი ეტიმოლოგიის დროს მხედველობაში არაა მიღებული ის ვარემოება, რომ *πλαπα* ძირისათვის პირვანდელი მნიშვნელობა არის „დანგრევა“, „დაზრევა“ და შემდეგ აქედან იქნა მიღებული ის შინაარსი, რომელიც დაცარიელებამე, დასუსტებამე მივითოთებს. ასე რომ აქ ბერძნული ზმნა ვერ გამოვა ძველი ინდური *lapah*-ის მოზიარე.

ბერძნულ-გერმანული ლექსიკონის შემდგენი პაპე ცნობს ნათესაობას *πλαπαჯა* — *λαφασσα* — *λαπα* და *λαπ* ფუძისაგან ნაწარმოებ ყველა აქ ჩამოთვლილ სახელებს შორის.

ზემოხსენებული შეხედულებანი *πλαπα* ძირის ქეშმარიტ და დამავერებელ ეტიმოლოგიას ვერ იძლევიან და ამიტომ საჭიროა, რომ ძიება სხვა გზით იქნეს წარმართული. ამისათვის კარგ გეზს იძლევა ბერძნული დიალექტების მკვლევარი ოტტო ჰოფმანი. ჰოფმანი იმეორებს ჰეხიხის შეხედულებას ჩვენი ზმნის კიპროსული წარმოშობის შესახებ⁵. მისი აზრით კიპროსის წარწერების ამოშიფრვა დიდ მასალას იძლევა ჰომეროსის ლექსიკის ახსნისათვის, რადგან ირკვევა, რომ

¹ Griech. Gr. I 521.

² KZ 40, 439 1907 წ. Zur arischen Wortkunde.

³ B. B. B. 10, 289 1881 წ. „Beiträge zur armenischen Lautlehre“.

⁴ JF 1907, 224. Zu den konsonantischen io Präsentien.

⁵ B. B. B. 15, 95 1889 წ. Die kypr. Glossen als Quellen der kypr. Dialekte.



დორიულთან ერთად კიბროსულ დიალექტს იმ დროს, როდესაც იონიურ-ბაბილონში მას შეესატყვისება *ἄσ*. *ἀσπᾶσζ* აორისტში და *ἀσπᾶσζ* მყობადში შეგვედგინოთ იმაზე, რომ პრეფიქსის *ἀσ* მიღებულია *αἴσ* და არა *ἀσ*-საგან. ეს კი, როგორც ზემოთ ითქვა, დამახასიათებელია არკადულ-კიბროსული დიალექტისათვის.

რაკი ეს სიტყვა ნამდვილად კიბროსულია და რაკი იგი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მსგავსი ფორმითა და შინაარსით გვხვდება რამდენიმე ენაში, მონათესავეში და არა მონათესავეში, ანტუან მეიესი არ იყოს¹, ჩვენ პირველ რიგში უნდა ვიკითხოთ ხომ არაა ეს შედეგი ერთი ენიდან მეორეში სესხებისა. სემიტურ გარემოცვაში მყოფ კიბროსისათვის აუცილებლად სავარაუდებელია სემიტური ძირის სესხება.

მართლაც, იმ დროს, როცა ინდოევროპელებს ხარის აღსანიშნავად ჰქონდათ საერთო სიტყვა ხნსკრ. *gnaus* < *gauhi* < *gaus* < *ḡn̥s*, სემიტები ამავდროულად აგრეთვე საერთო სიტყვას ხმარობდნენ, რომელიც ძალიან ძველ ბერძნულშიც გვაქვს შემონახული იმის წყალობით, რომ ბერძნებმა აწმანი სემიტებისაგან ისესხეს. ბერძნული ანბანის პირველი ასოს სახელწოდების აწმანი ბერძნულ ნიშნავზე არ ხერხდება. „აღუა“ შეესატყვისება ფინიკიურს, დისავლეთ სემიტურ სიტყვას „აღუფ“, იქ ეს აღნიშნავდა ხარს და ასოს დაერქვა იმიტომ, რომ მისი მოყვანილობა ხარის თავს წაავადდა. ებრაულში ხარს უწოდებდნენ *elep* და *alapim* (*im* პლურალის ნიშანია). უკანასკნელი სიტყვა ნიშნავს საერთოდ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს. ფინიკიურში ეს ხარის *alp*, ასურულში *alpu*². ასევე აქადურში (ასურულ-ბაბილონურში) *alpu*, მრავლობითი რიცხვი *alpē*³.

ყოველი ენა ვითარდება იმის წყალობით, რომ ერთი საგნის დასახელება მეორეზე გადადის. თუ სიტყვა დღეს ერთი საგნის ნიშანია, ხვალ მეორე საგნის ნიშნად იქცევა. თუ დღეს ერთ ცნებას გამოხატავს, ხვალ მეორე ცნებას გამოხატავს იქნება და ძველი მნიშვნელობა გაუგებარი ხდება. აქედან წარმოიშობა საჭიროება სიტყვის ისტორიის შესწავლისა. ბუნებრივია, რომ სიტყვა ადგილის ცვლის დროს უახლოეს სივრცეში გადადის, ე. ი. ერთი საგნის სახელი ისეთ მეორე საგანს ერქმევა, რომელიც შინაარსობლივად პირველთან მჭიდრო კავშირში იმყოფება. შემდეგ კი დროთა განმავლობაში შეიძლება, რომ თანდათან მოხდეს მივიწყება ამ საგნების ურთიერთკავშირისა. ეტიმოლოგიური ძიების მიზანია, რომ აღადგინოს ეს კავშირი და სიტყვის პირვანდელი ფორმა — შედგენილობა.

ზემოხსენებული სემიტური სიტყვაც ასეთსავე შინაარსობლივ ცვლილებას განიცდიდა. გარდამავალი საფეხური იმისა, რომ *alp* ხარის გარდა სხვა რაიმესაც აღნიშნავდა, ჩვენ გვაქვს ასურულში. ასურულ წარწერებში, როდესაც რომელიმე მეფე ლაბარაკობს ქვეყნის დარბევა-აოხრებაზე და ნადავლის წამოღებაზე,

¹ A. Meise, *Введение*, 381.

² W. Gesenius, *Hebräisches und Aramäisches Handwörterbuch*, 1910, გვ. 44.

³ Fr. Delitzsch, *Assyrisches Handwörterbuch*, 1896, გვ. 75.

ერთ-ერთი, უდიდესი ადგილი alpu-ს უჭირავს, რაც უკვე ხარს კი არ აღნიშნავს, არამედ უფრო ზოგად მნიშვნელობას იღებს: მსხვილფეხა რქოსან საქონელს ასეთი წარწერის ტრაფარეტული ფორმა, რომელიც ყოველთვის მეორდება — ალის: alpē u sieni u sesamima = მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და წვრილ-ფეხა პირუტყვი წამოვიყვანე; alpē იმდენად უკავშირდება ამ კონტექსტს, რომ ადგილი წარმოსადგენიო (და ალბათ იმდროინდელებს უკვე ასე ჰქონდათ ეს გააზრებული), რომ მას მიეღო მნიშვნელობა უბრალოდ ჩადავლისა, მონატაციის, ნაძარცვის, რადგან მაშინ ომების დავლას უმთავრეს შემთხვევაში საქონელი შეადგენდა. ყოველ შემთხვევაში მნიშვნელობის ეს ნიუანსი (რომელიც უკვე, როგორც ეს წარწერა გვიჩვენებს, თვითონ სემიტებსაც გარკვეული ჰქონდათ) მიიღო ბერძნულმა ენამ სემიტებისაგან კუნძულ კიპროსზე და თავის მხრივ განავითარა.

ხემათქმულიდან ჩანს, რომ ბერძნულ ἀλαπίδι-ს „ვარბევ“, „ვაობრებ“, „ვატარიელემ“, „ვაჩინაგებ“. „ვძარცვე“ ეტიმოლოგია სემიტურ alap „ხარი“, „ნადავლი“ ძირში უნდა ვეძიოთ და არა სნსკო. alpah „სუსტი“, „საშუალო“ და როგორც H. Möller-ი ფიქრობს (ინდ. ევრ. და სემიტურ ენათა შედარებითი ლექსიკონი), ებრ. არამ. Hal-სა „სუსტი“ და Halasa-ში „საცილადვი“.

ღანამძღვლებით არ შეიძლება ითქვას, მაგრამ ადგილი შესაძლებელია, რომ ἄλας. ἄλασισ, როგორც მკვლევართა უმრავლესობა ფიქრობს, დაკავშირებული იყოს ჩვენ ზმნასთან, ესეც დაცარიელებას და გაჩინავებას ნიშნავს, მაგრამ ამ შინაარსში სხვა საგნები მონაწილეობენ. შეიძლება აქ როლი ითამაშა იმ გარემოებამ, რომ სემიტური alap მიუთითებდა ხაობზე, ცხოველზე და ამიტომ ცხოველთან დაკავშირებულ მოქმედებასაც ეს სახელი დაერქვა. ასეთივე ხაზით წავიდა ამ სიტყვის განვითარება სხვა სემიტურ ენაშიც. შემთხვევითი არაა ის ამბავი, რომ ხარის საქმელს, თივას, არაბულში ჰქვია „ალაფი“, შემდეგ ალაფია იგრეთვე საერთოდ ცხოველის საქმელი, ულუფა და ზენა „ალაფ“ ნიშნავს „აქმევს ცხოველს“. ეს არაბული სიტყვა უსუნსებითა სპარსელებს და სპარსული გზით შემოვიდა ქართულ ენაში XI ს.—დან.

XI ს.—მდე სიტყვა „ალაფი“ არ არსებობს ქართულ ლიტერატურაში. ადრინდელ საეკლესიო მწერლობის ძეგლებში იგი არ უნდა იყოს ნახპარი. იგი ჩნდება მხოლოდ იმ ხანიდან, როდესაც სპარსულ-ქართულმა გაცხოველებულმა სამწერლობო ურთიერთობამ ბიძგი მისცა ქართული საერო ლიტ. წარმოშობას. ეს ფაქტი ადსტურებს იმას, რომ სწორედ სპარსული გზით შემოვიდა ჩვენში ეს სიტყვა და არა არაბულის ან სხვა რომელიმე ენის გზით.


ეს სიტყვა ძალიან ხშირად იმსარება „ქართლის ცხოვრებაში“, „ცეცხლის ტყაოსანში“, „შაანამეში“ და შემდეგდროინდელ მწერლებთან, ვახუშტი ბატონი-შვილის „საქართველოს ცხოვრებაში“, „არჩილიანში“ და სხვ.

„და განსრულ იყო გუნდი ვახტანგისი ალაფობად“

(ჯუანშერი 350 M.).

„ხოლო ვახტანგ მეფე აყენებდა მიძულებად სპათა მათ მეალაფეთისა“.

(ჯუანშერი, იქვე).



„მათ უკუე ლაშქართა ესევეთართა ალაფითა სავსეთა მიმავალთ,
წინა დაემთხვივნეს ამირანი დიდნი“.

(დ-თის ისტ-სი 513).

„არამედ დაესხა თურქთა რახსის პირსა მდგომთა და მოსრა
სიმრავლე მათი ურაცხვი და წარმოიღო ტყუე და ალაფი“.

(დ-თის ისტ-სი 532).

„მეფე შვეიციარ, მოგივალ მე ალაფიან ტყვიანად.“

(ვ. ტ-ნი 463, 4).

„ალაფობდეს საქურჭლესა მისსა ვითა ნათურქაქალსა“.

(ვ. ტ-ნი 51, 1).

ქართველებს ეს სახელი სიუხვის, ულუფის გაგებით შეუთვისებიათ. ამ სიტყვისათვის „ნადავლის“ მნიშვნელობის მინიჭება გამართლებულია შინაარსობლივად, რადგან ნადავლს უწოდეს იგივე სახელი, რაც არაბულში ვრქვა ულუფას, ვინმეს ზეედრს ე. ი. მონაპოვარს, აქედან მიიღეს ბრძოლაში მონაპოვარი, ნადავლი (ამას ააღვილებდა კიდევ ის, რომ სიტყვა სიუხვს, სიმრავლეს აღნიშნავდა, რაც აშკარად ნადავლის თვისებაა). დაახლოვებით ასეთ ნიუანსზე მიუთითებდა ეს სიტყვა არაბულ-სპარსულში, მაგრამ უფრო მკაფიოდ შინაარსის მიცემა, გარკვეულობის შეტანა და მნიშვნელობის გადატანა სხვა საგანზე, უკვე ქართულ ნადავზე მოხდა.

მეორე მხრით ქართველებს პირდაპირი მნიშვნელობითაც მიუღიათ ეს სიტყვა (ცხოველის საქმელი), მაგრამ არა ლიტერატურული, არამედ ზეპირი გზით (შეიძლება არაბებისა და შეიძლება სპარსელებისაგან). ამას ამტკიცებს ინგილოურის „ალაფი“ (ძაღვის საქმელი) და ქართლური „სალაფავი“.

ზემოთქმულიდან შემდეგი დასკვნის გამოტანა შეიძლება:

I. ჰომეროსის ზმნა *ἄλαφός* კუნძულ კიპროსიდან შესული სიტყვაა ჰომეროსის ლექსიკაში. ამას ამტკიცებს გარდა ჰეზიხის და ჰოფმანის მოწმობისა (უკანასკნელნი კი იმას ეყრდნობიან, რომ ეს სიტყვა ნამდვილად არსებობდა კუნძულ კიპროსზე) ისიც, რომ ზმნაში გუტურალური თემატური ნიშანი — ალ (γ) კიპროსის დიალექტის სპეციფიკურობას წარმოადგენს.

II. ეს სიტყვა გვხვდება რამდენიმე მონათესავე და არა მონათესავე ენებში (უპირატესად სემიტურ ენებში, ბერძნულში, სპარსულში, ქართულში), ამიტომ მისი არსებობა ზოგან სესხებით უნდა აიხსნას. კიპროსის დიალექტისათვის კი სავარაუდებელია სემიტური სიტყვის სესხება, რადგან კიპროსი სემიტურ გარემოცვაში იყო უძველეს ბანიდან.

III. ბერძნებს ეს სიტყვა ფინიკიელების საშუალებით უნდა მიეღოთ რომელიმე სემიტური ენისაგან. სიტყვის სემიტურობას ამტკიცებს შინაარსობლივი და ფორმალური თანმთხვევა. აგრეთვე ისიც, რომ ბერძნულ ნადავზე ვერ ხერხდება *ἄλαφ* ძირის ეტიმოლოგიის გარკვევა. უსესხებითაა ძირი „ალაფ“ იმ მნიშვნელობით, რომელიც სემიტურში „ხარზე“, „ნადავლზე“ მიუთითებდა. ეს აშკარაა იმიტომაც, რომ უძველესი სახე კიპროსული ზმნისა მჭიდროდაა დაკავ-



შირებულ შინაარსთან: „დარბევა“, „ნადავლის წამოღება“. და ეს შენაშენებელი თითქმის ერთადერთია ზმნისათვის. ამიტომაც, რომ ამ ზმნით გამოხატული მოქმედება („დანგრევა“, „დარბევა“) ყოველთვის დაკავშირებულია სიტყვასთან „ქალაქი“ და ზმნა ვაყენულ კონტექსტში იხმარება *ἀλαττειν πῶλι* (დარბევა, ალაღებვა ქალაქისა).

IV. დროთა განმავლობაში ბერძნებს დავიწყნიათ, რომ სიტყვა ნასესხები იყო და იგი შეუცვლიათ მრავალგვარად. უწარმოებიათ ამ ძირიდან ზმნები და სახელები და ფუძისეული ა-ც კი ჩამოუცილებიათ სხვა ბერძნული სიტყვების მიბაძვით.

V. არაბულიდან სპარსულ ენაში შესული სიტყვა „ალაფი“ ქართველებს მიუღიათ XI ს-ში, სპარსული ლიტერატურული გზით, „ნადავლის“ მნიშვნელობით.

VI. ქართველებს ზეპირადაც შეუთვისებიათ ეს სიტყვა, მაგრამ მეორე, არაბულ-სპარსულისათვის უფრო პირდაპირი აზრით („ცხოველის საჭმელი“).

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კლასიკური ფილოლოგიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1946. IX. 10).

კ. ლამგაშიძე

ინგილოური კილო

1. ტექსტები

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოქვეყნებული მასალები ინგილოური კილოს შესახებ ჯერჯერობით ძალიან მცირეა. ინგილოური მეტყველების ნიმუშები ლექსიკონითა და ცოტადენი გრამატიკული მიმოხილვით პირველად დაბეჭდა მ. ჯანაშვილმა „ძველ საქართველოში“¹. ამ შრომის კრიტიკული განხილვა მოათავსა ა. შანიძემ რუსეთის ორიენტალისტთა ორგანოში². გამოქვეყნებულია აგრეთვე სტ. მენთეშაშვილის შრომა „ჰაემეტობა ინგილოურში“³.

აქ იბეჭდება ტექსტები, რომლებიც, ორიოდე გამოჩაკლისს გარდა, ადგილობრივ ჩაწერვ 1944—45—46 წლებში, როდესაც მე სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის მიერ (ქართული ენის კათედრის შუამდგომლობის თანახმად) გაგზავნილი ვიყავ სამეცნიერო მივლინებით საინგილოში იქაურ ქართულზე სამუშაოდ.

ინგილოური ორ კილოკავად იყოფა. ესენია: კაკური (ანუ კახური) და ალიაბადური. აქ წარმოდგენილი მასალები მხოლოდ კაკური მეტყველების ნიმუშებია. რაც შეეხება ალიაბადურ კილოკავს, სათანადო ტექსტების გამოქვეყნება მომავლისთვისა მაქვს გათვალისწინებული.

რადგანაც ინგილოური კილო ძალიან დაშორებულია სხვა ქართული კილოებისაგან და სალიტერატურო ენისაგან და ამ კილოზე ჩაწერილი ტექსტები არა ინგილოთათვის საერთოდ ძნელი გასაგებია, ამიტომ საჭიროდ ვცანი, რომ რამდენიმე ტექსტს თარგმანი დაპროდოდა.

აქვე ვურთავ წათქვამთა სიას:

1. აბულაშვილი ვანო სოფ. კახიდან, 35 წლისა.
2. ნადირაშვილი თანდილა მასიკოს ძე სოფ. კახიდან, 32 წლისა.
3. ოთარაშვილი დავითი სოფ. კახიდან, 75 წლისა, ზეწავლელი.

¹ „ძველი საქართველო“, ტ. II, ტფ. 1911—1913 წ., გვ. 181—276.

² Записки Восточного Отделения И. Русского Археологического общества, т. XXII, стр. 344—357.

³ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. X, 1940 წ.



ქართული ენის ენციკლოპედია

4. **ოთარაშვილი თამარ** ვასილის ას. სოფ. კახიდან, 23 წლისა, სტუდენტი.
5. **ოთარაშვილი ივარდო** გერასიმეს ძე სოფ. ალაბეგლოდან, 19 წლისა.
6. **ხუჯაშვილი არჩილ** სოლომონის ძე სოფ. ალაბეგლოდან, 65 წლისა, უსწავლელი.
7. **ტარტარაშვილი ანა** თევდორეს ას. სოფ. კახიდან, 45 წლისა, უსწავლელი.
8. **ტარტარაშვილი ნათელა** გიორგის ას. სოფ. კახიდან, 21 წლისა.
9. **ფიროსმანიშვილი თინა** სოფ. ალაბეგლოდან, ამჟამად კახში მცხოვრები, 50 წლისა.
10. **ფიროსმანიშვილი არჩილ** ნიკოს ძე სოფ. კახიდან, 20 წლისა, მოწაფე.
11. **ყულოშვილი წიწიკო** არჩილის ძე სოფ. კახიდან, 17 წლისა, მოწაფე.
12. **ჭირიჭაშვილი არჩილ** მოსეს ძე სოფ. კახიდან, 25 წლისა, 10 კლასის ცოდნით.
13. **ხუცოშვილი მარო** მიხეილის ასული სოფ. კახიდან, 26 წლისა, უმაღლესი განათლებით.

კ ა კ უ რ ი კ ი ლ ო კ ა ვ ი

1. **არსენა და ვახილი** ნადიროვან წახტლავა

არსენას და ვახილის სანადიროვან წახტლავა

კაკთან გარც ერ სოფელ არის. ემ სოფელს ყუმ ებნევიან. ემ სოფელი თავშიაც კიდემ ერ პატრა ლეკვევი სოფელ არის. ემ სოფელს კი ჩინაროჟუ ებნევიან (ჩინაროიან თქმავს). ჩინაროჟუ დროთიანი წაბლ, ვაშლ, სხალ, შუნდ, სიმარტყლ, ბუთუმყურა მეგვაშაშაათ კვტევისყ. საც ბეჭურ მეგვაშაშაათ იქნეე, ადათი, იქ ბეჭურ დათ, ღორ, ფურსუყიც იქნევისყ. ემ ყუმში და ჩინაროჟუმი ჩონ ჰენგილაფთაფთაჲ პაშმეშა ნადიროვან მიდიანყ.

კაკთან ახლოს ერთი სოფელი არის. ამ სოფელს ყუმს ეძახიან. ამ სოფლის თავშიც ერთი პატარა თათრების სოფელია. ამ სოფელს კი ჩინარუს ეძახიან (ალვის ხეებიან ადგილს ნიშნავს). ჩინარუს ირგვლივ წაბლი, ვაშლი, მსხალი, შვინდი, ზღმარტლი, ყოველგვარი ხილი მოიპოვება. სადაც ბევრი ხილია, წესია, იქ ბევრი დათვი, ღორი, მაჩვი არის. ამ ყუმში და ჩინაროჟუმი ჩვენ ინგილოთაგან შულამ სანადიროვან მიდიან ხოლმე.

ერდეფა კაკით ნადიროვან არსენა და ვასილ მიდიან ყოფილ. არსენა და ვასილ დიდ ვაშკაც, გულედ კაც ყოფილ, იმვე ვაშკაც, რუმ ხუთფუთიან ტუმარას ცუტყულუთ კრით შინ მიაქონდაყ, ამმა იგრეე კი ფალირ, ჰეჩრამ არ ნაქნარ, დახალში ნაცხოვრ რაჲმ ეყო. ვასილ ჰეჩ არსენს არ მინგავს ყოფილ: კლემ. ეანი დუტტულუ რამ ყოფილ.

ერთხელ კაკიდან სანადიროვან არსენა და ვასილი წახტლავან. არსენა ძალიან დიდი ვაშკაცი, გულადი კაცი ყოფილა, ისეთი ვაშკაცი, რომ ხუთ-ფუთიანი ტომარა წისქვილიდან სახლში მხრით მოჰქონდა ხოლმე, მაგრამ ისე კი ღარიბი, არაფრის მქონე, ქოხში მცხოვრები ვინმე ეყო. ვასილი არსენას სრულებით არ ჰგავდა თურმე: გამხდარი, სულ მთლად უშნო ვინმე ყოფილა.

ერ დღე ე ვასილ ებნევის არსენას: მოჲ, ნადიროვან წახტლავა. არსენა ებნეე: აში, რაჲ ლაპარაკობ, შენ შიშარ რამ ხარ, შენთან ნადიროვან წახტლავაში ინსანს ხათაჲ არ ღაკლდევა.

ერთ დღეს ვასილი ეუბნება არსენას: მოდი, სანადიროვან წახტლავათ. არსენა ეუბნება: ეჰ, რას ლაპარაკობ, შენ შიშარა ვინმე ხარ, შენთან სანადიროვან წახტლავას, ადამიანს საფრთხე არ ასცილდებაო.

— ჰალა მე ვერ მცნოვ, ჩემ ჰემაგ
კლეოვას ნუ შაჰხედავ, განაჰირევე დროზე
ინსან დანაგდევ მეც არ ვარ, — ებნევის
ვასილიც.

ავრ-ივრ, ყარაზ მასლაათოვენ.
არსენაჲ უნდომურ-უნდომურ დგევის.
მიდიან ჩინაროჲ თავში, იჲ დიდ წაბლ
ქო უდევთან. ფაჲზი ცივ ლამეჲ ყოფილ.
ისენ ლამაზა ჩოფუხევეში იხვეიან, აყო-
ლევენ წაბლ მოკალევაჲ. შუალამეჲთი
გადადის ყოფილ. არსენაჲ დგევის, ნადი-
რიბე წააპარეველა შიგ. ბეჰრ ეტარევე,
ცოტაჲ ეტარევე, უკანაჲ ჯოლდაშთან
დაბრუნევაში ხედავს: თავიან ნაჲდომ
წაბლთან გორც ერ კოტმანივი რამ
დგას, წაბლ შჰამს. არსენაჲ კაჲგორა
ეჰჰუტრე, ხედავს რაჲ? ერ დათი. ერ
ტყჰურს ესრჰს. დათს ხტრე ტყჰოჲ,
ამმა არ კდრვის, ვადის, შიგ. არსენაჲც
ავდევს, მოდის. ვასილ ებნევე: — რაჲ
ჰქენი ვადა, უკანაჲ მოსუხარ, ვერ დაგი-
ნახი, თუ შაგშინევი, ვერ ვისროვნი არ
ვიჲ? — აბეთუმ შამშინეოდა, შენ ოჲჲდ
ნუ გაქრეს, ვესროვენ, სათჰჲჲ სწორო
მირას ეყო, მანახტომ ტყჰეჲ ბუჰხე
ჰისაბ არ ქნა, უჰუმრა ჩაჰუნჰურდა,
ზეჰტყენ გავ, წაჰდა.

— აში, ნუ ლაპარაკოვ, სენ ალლა,
იქნევე შიში დავისტენი, ესლა მოსუხარ
ჩემთან, იქებეხარ — ებნევის ვასილ. —
თუ ჰემაგა კაჲ, დილლაჲჲ ნოხავთ, ნო-
ხოთ, ნასროვენ ადგილში სისხლ არის,
თუ აარაჲ. ემ ეჰლაბევი თქმი-თქმი კე-
დემ აყოლევს არსენაჲ წაბლ მოკალევის.

დილლაჲ თენდევ, ვასილ ებნევე:
ადეჰი, კოლს უკან წაჰდეთაჲ. არსენაჲ
კიდემ რხრწოვის: ვასილ, ჰე დათ ჩემ
ნახან რამ არა, დათ კი აარ. ჰე მირას
ერ პატრა ქოხი სწორო რაჲმი. მავას

— ჯერ მე არ მიცნობ, ჩემს მამაჲ
სიგამხდრეს (მჰლეობას), ნუ შეჰხედავ
გაკირეებისას ადამიანის მიმტოველი
არც მე ვარ, — ეუბნება ვასილიც.

აქეთ-იქით, ერთი სიტყვით მასლა-
თობენ. არსენა ზანტად (მოჰუნდომე-
ლად) დგება. მიდიან ჩინაროჲს თავში,
ერთ დიდ წაბლის ქეჰე სხდებიან.
შემოდგომის ცივი ლამე ყოფილა. ისინი
ლამაზად ნაბდის მსგავს წამოსახამეჰში
იხვევიან და იწყებენ წაბლის მოხალევის.
შუალამეჰჲ გადაცილებულა. არსენა
დგება, ნადირის წასაპარებლად მიდის.
ბევრს იელის, ცოტას იელის, უკან ამ-
ხანავთან დაბრუნებისას. იმ წაბლთან
ახლოს, რომელთანაც თვითონ იჯდა,
ხედავს: ერთი ბალახის გროვის მსგავსი
რაღაც დგას, წაბლს ჰამს. არსენა კარ-
გად აკვირდება, ხედავს რას! დათვია.
ტყვიას ესვრის. დათეს ხედება ტყვია,
მაგრამ არ კვდება, ვადის, მიდის. არ-
სენაც თავს ანებებს და მოდის. ვასილი
ეუბნება: რა ჰქენი ბიჰო, უკანეჲ ოომ
მოსულხარ, ვერ ნახე, თუ შეგეშინდა
და ვერ ესროლე? — რატომ უნდა შემ-
შინებოდა, შენი ოჲჲხი ნუ გაქრეს,
ვესროლე, სათივის ოდენა ტიალი იყო,
მოხვედრილი ტყვია არაფრად ჩაჲგდო,
უხმოდ ჩაჰუნჰულდა, ზევეთკენ წავიდა.

— ერთი ნუ ლაპარაკობ, შენი ქი-
რიმე, იქნება შიშით დააცდინე, ახლა
ჩემთან მოსულხარ და იკვინი, — ეუბ-
ნება ვასილი. — თუ ეგრე, კარგი, დი-
ლაზე ვნახავთ, ვნახოთ ნასროლ ად-
გილში სისხლი არის, თუ არა. ამ
სიტყვების ლაპარაკით არსენა კიდევ
წაბლის მოხალევის იწყებს.

დილა თენდება, ვასილი ეუბნება:
ადეჰი, კვალს გაჲყვეთო. არსენა კიდევ
ეხვეწება: ვასილ, ამისთანა დათვი მე
ჯერ არ მინახავს, დათვი კი არა, ეს
ოხერი ერთი პატრა ქოხის კოლა

უკან წასულაფთი ჩონბე ხემარ არ საქ-
 ნელი. ჩონბე ხათაჲ ექნევ. მე სასროგ-
 ნენარ, შენ ვერ გადახორწნენბარ, შენ
 მე ვი ცუტკუა განარბენ რამ არ ხარ,
 დათ მასლრლი, ჩონ ორნიმი თავ და-
 ატყრელი, ხევა-ხევა, წიწიმი-წიწიმი და-
 ფათრელი, დაგდეველი. ის კახს, ეე-
 მაგო უკანაყავ დოჭბრუნდეთავ. სისხ-
 ლით ეცნევ, დათ ზეჭტყენ წასულ, ჩონ
 გრმ ვართ. ექ დათიბე სროვნაჲ წოორ
 საქნეჲ არა; დამიყერ, მე ვიცივარ ნა-
 დირი ყადაჲ, მოჲ ჰე ზემთ ვაჭდეთ,
 ზემთი ვესრონროთ, ჰე უკანაყ შინ დოჭ-
 ბრუნდეთავ, თუარდემ ჩონბე ხათაჲ
 ონსუბა საქნელიჲ.

ვასილ ებნევე: აში. ზაალაჲ ნუ
 წაჲლ, თუ ოსრუჲ, ესროენ, აარ კი თოფ
 ექ შემეცევე, კაკით ჩინარუში მოტდე,
 ნადროსაც თოფ მუახრდრო, დეკაც კი
 არ ვარ, შინ ცამ-ცარიალ წაჭდეჲ.
 არსენასაც დაჲ თავ უჭირდევის, რაუქ
 ექნას, ვასილი ნათქომიგნი ვერ გადაჲს,
 დეგვის, მიდის. გზაზე ვასილ ებნე-
 ვის: — ჩემ კელში ჰენ ერ აერად არა,
 ჰე შენზე დანაკიდევ დიდ დანაჲც ეყო,
 მე ნამივ. არსენაჲც ემი ნათქომისებრა
 ჩელის, ათაარაც ებნევე, უმიოუფიქირე-
 ველა ისხნის დანას, ვასილს ჰკიდევს.
 ცოტაჲ, მეტრ მიდიან, ხედენ, დათ ღე-
 ლეჲ შუაზე ეის, ბოშევი მანახტომ
 ტყურა აეროს ილოკავს. არსენაჲ თოფს
 ბოზე ააქს, უთუშზრეს დათს. თოფ გა-
 ვარდნიდათჲ თუთან ღელეფათი პირში
 ხტევე, ვასილ კი თავი ჰევაშოვაფთი
 თელეფათი ვერ გადადის, ღელეშოჲე ჩე-
 დათი ყადაჲს: ვაჲ ხეზე იქნეს, ვაჲ
 თაში იქნეს, იმა თუ გინდ მაახრდრ,
 არ მაახრდრ, თოფი კმაზე ხეზე იქნა,
 ჩემაკარდნელი, თაში იქნა — დაგორე-
 ველი. ეფლაც არსენაჲ თოფი კმაზე
 ღელეჲს უკან გოროგე-გოროგ მოდის,
 დეგვინიაც ვასილ უხტრე: წაწვენითავ

რამეჲ. მაგის უკან გაყოლა ჩვენ ხეორს
 არ მოგვეცემს, ხიფათი შეგვემოხვედრე-
 მე ვესვრი, შენ ვერ გაიქცევი, შენ ვაქცევი,
 შენ მარდად გმქცევი არ ხარ, დათვი
 მოვა, ჩვენ ორივეს დავგიქერს, ნაგლეჯ-
 ნაგლეჯ, ნაკუწ-ნაკუწად დავგეთათრავს
 და დავგეტოვებს. ის სჯობია, ასევე
 უკანვე დავბრუნდეთო. სისხლიდან ემწ-
 ნევა, რომ დათვი ზევითვენ წასულა,
 ჩვენ კი ჰევე ვართ. აქ დათვისთვის
 სროლა სწორი საქმე არაჲ; დამიჯერე,
 მე ვიცი ნადირის ჩვეულება, მოდი, ან
 ზევით ვავიდეთ, ზეიდან ვესროლოთ, ან
 უკანვე შინ დავბრუნდეთ, თორემ ჩვენ
 უსათუოდ ხიფათი შეგვემოხვევაო.

ვასილი ეუბნება: ეჲ, ნუ მომაბეზრე
 თავი, თუ ესვრი, ესროლე, თუ არა და
 თოფი აქ მომეციო, კაკიდან ჩინარულში
 მოვიდე, ნადირსაც თოფი მოვახვედრო,
 ქალი კი არ ვარ, შინ სულ მთლად
 ცარიელი წავიდეო. არსენასაც რა უნდა
 ექნა, იძულებული ხდება, ვასილის სიტ-
 ყვას ვერ უზვევს, ღვება და მიდის.
 გზაში ვასილი ეუბნება: მე ხელში არა-
 ვითარი იარაღი არ მაქვს, ეგ შენზე
 ჩამოკიდებული დიდი დანა რომაჲ, ის
 მაინც მომეციო. არსენაც იმის ნათქვა-
 მივით იქცევა, მოუფიქრებლად რხნის
 დანას, ვასილს ჰკიდებს. ცოტას, ბევრს
 მიდიან, ხედავენ, დათვი ღელის შუაზე
 ზის, ფერდებში მოხვედრილ ტყვიის
 წყლულს (ნატყვიარს) ილოკავს. არსენა
 თოფს იღებს, უმიზნებს დათვს. თვი-
 თონ თოფის გავარდნისთანავე ღელიდან
 ნაპირზე ხტება. ვასილი კი თავისებური
 აუჩქარებლობით ღელიდან ვერ გადა-
 დის, ღელეშივე რჩება. დათვის ჩვეუ-
 ლებაჲ: გინდ ხეზე იყოს, გინდ მთაში
 იყოს, იმას გინდა მოახვედრე, გინდა
 არა, თოფის ხმაზე, თუ ხეზე იქნა, ჩამო-
 ვარდება, თუ მთაში იქნა, დაგორდება.
 ეფლაც არსენას თოფის ხმაზე ღელისა-

დათ ვასილი თავ ყუფნავს, ორ ფეხზე დგევ. ვასილ ევხლაც ლაპარაკოვსუ — ერ მაგრა მიჭირედა, ჰა-ჰა-ჰაჲ ეყო, წელი ზოლ მიწყდევოდავ. ემი დანახაში არსენაჲ მორბის, დათს უკანი ყურევი იჭერს, ზინყზე აქდრხავს, იწყოვს დევთან შაქიდნაჲ. არსენაჲ ერ ყურტუს, ერ ყურტუს, გადა ვასილ, გემეშროლო, დანაჲ მამ, ჰკლრვ ვერ ჰხედავა?

ამმა სადაჲ. ვასილ ემ ჰარაჲ-წარაჲში გადახორწნილ, ერ ხი ბუთალზე დამყდარ, იქითთი არსენას კმაჲ ექცევ: ეს ვასილ ჰაჲ, ყურევი მაგრა დაჲჭირ, ყობიში არ ჩავგადასავ. აგრ-იგრ, ახირი არსენაჲ შროვ, დათი ფეხევი ქრ ვარდევ.

დათს კედემ ერ ხასიათ აქ: ინსანთან თუ შაჲქიდნა, აქცევსუ, ყურს გულზე აღრვსუ, ნოხო, ნეფესს აქსავ. თუ ინსანმა ნეფეს ალა, იცის, რუმ ეს არ მამკდარ, ამოგნი ერ ხათაჲ მაქავ, აყოლევს კედემ დაღერდნა — დაფათრას. თუ ინსანიგნი ნეფესს არ იქნა, იცის დაჲ მამკდარავ. ზედ ხეს, ფოთოლს, ქეჲ-მქეს, ზირთ-ზიბილს აყრის, რუმ დამჲავდეს სხო დროზე შიქმელა.

არსენასაც გულზე აღრვს ყურს. არსენაჲ, რათარაც კაჲ მენადირე კაც, ნეფესს წყრტავს, დათსაც აგრ გონი მოკდოავ, ზედ ფოთოლ-მოთოლს, დუნქ-მუნქს (ხი ქოთუქ) აყრის, თუთან გადის მიდის. ემ დროზე ვასილს ჩინარუში ხაზარ მოუღი ყოფილ. ჩინარუელ არსენაჲ ყონალ მოდის, ემ დათს კლავს. არსენას კი ურემზე აწონან, მოჰყონენ კაკში. გზაზე ლაპარაკოვს: ვასილმა მიჩუღლაჲ. სოფლი ბოლოზე მოწეწინიჲ არსენაჲ კლრვ.

კენ გორაობით მოდის, დეღეღეღე ვასილი უხედება, დაწეწინისაჲ ვასილს თვი ვასილს ეხევა, ორ ფეხზე დგება. ვასილი ეხლაც ლაპარაკობს ხოლმე: ისე მაგრად მიჭირებდა, ის-ის იყო წელის ძვალი მიტყდებოდაო. ამის დანახვისას, არსენა მორბის, დათვს უკნიდან ყურებით იჭერს, უკანა ტანზე მაგრად სვამს და დევთან შეჭიდებას იწყებს. არსენა ისე ყვირის, ისე ყვირის: ბიჭო ვასილ, მომეშველე, დანა მომეცი, გვედები, ვერ ჰხედავა?

მაგრამ აბა, ვასილი ამ არეულ-ღარეულობაში გაქცეულა, ერთი ხის ტოტზე დამჯდარა, იქიდან არსენას ეძახის: აბა არსენ, აბა, ყურებით მაგრა დაიჭირე, თხრილში არ ჩავგადოსო. აქეთ, იქით, ბოლოს, არსენა ილლება, დათვს ფეხებში უფარდება.

დათვს კიდევ ერთი ჩვეულება აქვს. ადამიანს თუ დაეჭიდა, აქეწევს, ყურს გულზე ადებს, ენაო, თუ სუხთქხესო. თუ ადამიანმა ისუხთქა, იცის, რომ ეს არ მომგვდარა, ამისაგან კიდევ საფოთზე მოშელისო. და იწყებს ისევ დახრას, დაგლეჯვას. თუ ადამიანმა არ ისუხთქა, იცის, რომ მომგვდარა; ზედ ხეს, ფოთოლს, ქვას, ნაყარ-ნუყარს აყრის, რომ დამჲავდეს სხვა დროზე ხაქმელად.

არსენასაც გულზე ყურს ადებს. არსენა, როგორც კარგი მონადირე კაცი, სუხთქვას იკავებს, დათვსაც ჰგონია, რომ მოკვდაო და ზედ ფოთოლს, ნაფოტებს აყრის. თვითონ კი მიდის. ამ დროს ვასილს ჩინარუში ამბავი მოუტანია. არსენას ჩინარუელი მასპინძელი მოდის და ამ დათვს კლავს. არსენას კი ურემზე აწეწენ და მოჰყავთ კაკში. გზაზე ლაპარაკობს: ვასილმა მიღალტაო. სოფლის ბოლოზე მოწეწინამდე არსენა კვდება.

ჰენგილავევი მისალაჲს: წყლი ყბ წყალზე გააქეწევ- დედაჲ ზუზუჲთი მოსხლეტას უკან არსენაჲ ჰამმეშა ნადი- როვან ყოფილ, 'ადრუნუჲს შინ ხათა- სუზ მასლრლ ეყო? ახირი, იმასაც ახირ ექონეოდა.

არჩილ ჭირიტაშვილი

2. IX. 46 წ.

სოფ. კახი.

2. მოლლაჲ თავ მოტყუებაჲ

ყოფილ ერ მოლლაჲ, უგემასთან გორც მრზობლაერ შეჲლ კაც-დეკაც ყო- ფილან. ე მოლლაჲც თურმენი ერ ბე- ზარ რამ ყოფილ, დეკაცი თავ შაჭუხევი ჰარ წყალზე გასჭლამო: ამლამაც ეყო თქონსა მჟალავ, სადამ-მადამში არ ჰოქო. ჰერაბ, შენ კაც შინ საქნელიავ? ახირი დეკაცს ჩარაჲ უწყდეგ, თავი კაცს ებ- ნევ: მოლლაჲ დინჲა არ მესხენევაჲ- კაცსაც უთქომ: ფიქირ არა, ერცხო მოლლას უთხარ, ფატონ მამ, კაცი თავ ბაზარში გოჭზგავნო. კელე შენ ნათქომ იქნესავ. მოლლასაც გაგევაში უხარიან ყოფილ. ოჰსაათ ფატონს ქმანზავს, ზგავნის დეკაცისა.

დეკაცი და კაც მასლაათ ჩედიან, ამბოვენ: მოლლაჲ ჰუმ მოვ, მე ბაზრი უკანაჲ დაბრუნევარ, ბითამდინ შინ რამ-მამ დამჩომიავ. კარ დატრავუნევაში შენ მოლლას უთხარ, ექ ყოჲ კიდბანში დამილას, უჩუმრა დადგეს, ჰერ კვა- ჭკოჲ არ ქნას. მართლაც მოლლაჲ მოდის, ჰამს, ლევს, დიად უხარიან ყო- ფილ კაც შინ არ ქნოვაგენი.

ერთიცი ნავახტან შინაჲ კარ იკ- როვ. მოლლაჲ ებნევ დეკაცს: ე რა ხაბარიავ? დეკაც ებნევ: რაუმ იქნეს? ჩემ კაც საქნელი, მინ იცის რა აზრიბე დაბრუნებულავ. მოჲ ჰიგინა ემ კიდ- ზანში ჩაჲვ, თუარდემ მენ და შენ თავ


ინგილოების ანლაზა: წყლის ტუ- ქელი წყალზე გატყდებო. დინის მარს- დან მოშორების შემდეგ არსენა. მუდამ სანადიროდ ყოფილა, შინ უხიფათოდ რა დრომდინ მოვიდოდა? ბოლოს, იმა- საც ბოლო ექნებოდა.

მოლლას მოტყუება

ყოფილა ერთი მოლა. ამასთან გვერ- დით მეზობლად ერთი ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ყოფილან. ეს მოლა თურმე ისეთი აბეზარი ვინმე ყოფილა, რომ ქალი შეუწუხებია ყოველ წყალზე გას- ვლისას: ამლამ მაინც მოვალ თქვენსა, არსად არ სთქვა; ნეტავი, შენი ქმარი შინ იენებო? ბოლოს ქალი იძულებული ხდება და ქმარს ეუბნება: მოლა თავს არ მანებებსო. ქმარსაც უთქვამს: მეო- რედ მოლას უთხარი — ფაიტონი მო- მეცი, ქმარს ბაზარში გავგზავნი, მერე კი შენ ნათქვამსავით იყოსო. მოლას გაგებისას გაჰხარებია. მაშინვე ფაი- ტონს კანზავს, გზავნის ქალისას.

ცოლი და ქმარი მასლაათობენ, [ქმა- რი] ამბობს: მოლა როდესაც მოვა, მე ბაზრიდან უკანვე დავბრუნდები, ვი- თომდა შინ რამე დამჩოო. კარის და- კატუნებისას შენ უთხარი მოლას, აქ მდგარ სკივრში დაიმალოს, ჩემად დად- გეს, სრულებით ხმა არ გაიღოს. მართ- ლაც მოლა მოდის, ჰამს, ლევს, ძალიან უხარია თურმე კაცის შინ არ ყოფნა.

ერთიცი უეცრად სახლის კარებს აკა- კუნებენ. მოლა ეუბნება ქალს: ეს რა ამბავიაო? ქალი ეუბნება: რა უნდა იქ- ნეს, ჩემი ქმარი იქნება, ვინ იცის რა ჭირისთვის დაბრუნებულაო. მოდი, ჩქა- რა ამ სკივრში ჩადიო, თუარა მეც და



ჭენგილავეფი მისალაჲს: წყლი ყაბ წყალზე გაჲკეჩევაჲ. დედამ ზუნუათი მოსხლეტას უკან არსენაჲ ჰამმეშა ნადიროვან ყოფილ, 'ადრუნენას შინ ხათასუზ მასსლოლ ეყო? ახირი, იმასაც ახირ ექონეოდა.

არჩილ ჭირიტაშვილი
2. IX. 46 წ.
სოფ. კაზი.

2. მოლლაჲ თავ მოტყუევაჲ

ყოფილ ერ მოლლაჲ, უგემასთან გროც მრზობლა ერ ჟელ კაც-დეკაც ყოფილან. ე მოლლაჲც თურმენი ერ ბეზარ რამ ყოფილ, დეკაცი თავ შატუტხევი ჰარ წყალზე გასტლაში: ამლამაც ეყო თქონსა მჟალავ, სადამ-მადამში არ ჰოქო. ჰერაბ, შენ კაც შინ საქნელიავ? ახირი დეკაცს ჩარაჲ უწყდეგ, თავი კაცს ებნევ: მოლლაჲ დინჟა არ ჰესხენევაჲ. კაცსაც უთქომ: ფიქირ არა, ერცხო მოლლას უთხარ, ფაეტონ მამ, კაცი თავ ბაზარში გოჭზგავნო. კედე შენ ნათქომ იქნესავ. მოლლასაც გაგევაში უხარიან ყოფილ. ოჰსაათ ფაეტონს კმანზავს, ზგავნის დეკაციისა.

დეკაცი და კაც მასლაათ ჩედიან, ამბოვენ: მოლლაჲ ჰუმ შოგ, მე ბაზრი უკანაჲ დაბრუნევარ, ბითამდინ შინ რამ-მამ დამჩომიაჲ. კარ დატრაჲყუნევაში შენ მოლლას უთხარ, ექ ყოჲ კიდბანში დადმალას, უჩუმრა დადგეს, ჰერ კმაჲკოჲ არ კნას. მართლაჲც მოლლაჲ მოდის, ჰამს, ლეგს, დიად უხარიან ყოფილ კაც შინ არ ქნოვაგანი.

ერთიც ნავახტან შინაჲ კარ იკროვ. მოლლაჲ ებნევ დეკაცს: ე რა ნაბარიავ? დეკაც ებნევ: რაჲმ იქნეს? ჩემ კაც საქნელი, მინ იცის რა აზრიბე დაბრუნებულავ. მოჲ ჰივინა ემ კიდზანში ჩაგე. თუარდემ მენ და შენ თავ

ინგილოების ანდაზაჲ: წყლის ჰორ-ქელი წყალზე გატყდებო. დედამ მუდამ დან მოშორების შემდეგ არსენა. მუდამ სანადიროდ ყოფილა, შინ უხიფათოდ რა დრომდინ მოვიდოდა? ბოლოს, იმასაც ბოლო ექნებოდა.

მოლლას მოტყუეზა

ყოფილა ერთი მოლა. ამასთან გვერდით შეზობლად ერთი ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ყოფილან. ეს მოლა თურმე ისეთი აბენარი ვინმე ყოფილა, რომ ქალი შეუწუხებია ყოველ წყალზე გასვლისას: ამლამ მაინც მოვალ თქვენსა, არსად არ სოქვა; ნეტავი, შენი ქმარი შინ იენებაო? ბოლოს ქალი იძულებული ხდება და ქმარს ეუბნება: მოლა თავს არ მანებებსო. ქმარსაც უთქვამს: მეორედ მოლას უთხარი — ფაიტონი მომეცი, ქმარს ბაზარში გავგზავნი, მერე კი შენ ნათქვამსავით იყოსო. მოლას გაგებისას გაჰზარებია. მაშინვე ფაიტონს კაზმავს, გზავნის ქალისას.

ცოლი და ქმარი მასლაათობენ, [ქმარი] ამბობს: მოლა როდესაც მოვა, მე ბაზრიდან უკანვე დავბრუნდები, ვითომდა შინ რამე დამჩაო. კარის დაკაჲუნებისას შენ უთხარი მოლას, აქ მდგარ სკივრში დაიმალოს, ჩუმად დადგეს, სრულებით ხმა არ გაიღოს. მართლაჲც მოლა მოდის, ჰამს, ლეგს, ძალიან უხარია თურმე კაცის შინ არ ყოფნა.

ერთიც უეცრად სახლის კარებს აკაკუნებენ. მოლა ეუბნება ქალს: ეს რა ამბავიაო? ქალი ეუბნება: რა უნდა იქნეს, ჩემი ქმარი იქნება, ვინ იცის რა კირისთვის დაბრუნებულაო. მოდი, ჩქარა ამ სკივრში ჩადიო, თუარა მეც და

მე ჰეჩრაამიგნი არ მეშინიანე. დეკაციე ებნევიან: თუ არ გეშინიან, ეი შამფურ წაძლ, ფულან სამარუანი ერ სამარეზე დასოაე?

ე დეკაციც დგევის, მერყი დერ-დიბე შამფურს ააქს, მიდის სამარუვანიში, იკუნტევის. სამარეზე შინფურ დასმაში მახზარ შამფურქო ეტანევის. ახლა უკანაყ ბრუნდევე შინ მასლარლა. რაჲ?! შამფურს მახზარ დოჭქერი, დეკაც ტრიალოეს, ამმა ვერ იხროვის. შიში ყურუს, მართლააც რუმ არ დამიქირე საე. შიშით თოლქო სხოყურ-სხოყურ რამეევიც ეჩრნრვიან. დეკაც ერ თაარი ეხწევის, მოდის შინ. სამ დღე წოვ, კლოვ.

არჩილ კირიტაშვილი

28. IX. 46 წ.

სოფ. კახი.

4. ჩობნევი დამერუნაე

ერ დროზე, ერ გრილო ქო ჩობ-ნევი ყიან, ერთმერთთან ვოჯათ წევენ ყოფილ. ერთ ამბოვს: — მე არ მეშინიან. ის ერო ამბოვს: მე ჰეჩრაამიგნი არ მეშინიან. ჰევიგ დაავაში ყოფილან თურ-მენი. ახერი ორ ჩობან ერთმერთთან თითო ყოჩზე შარო ჩედიან. ერთ ებნევე: მე ფულან ადგილში ნაქნარ ზოლ სამარუვანი ერ ზოლ სამარეზე დაქედევე, პურს, კორცს შოკშქამე. იკერენ ემ ჩობანს, შიქმელ რამ-მამს ახლევენ, ჩობან გადის, მიდის. ემ ჩობანთან დანა-შერენ ის ერ ჩობან სხო გზი მიდის. იმ ჩობან მოსტლინეახ თუთან სამარეში ჩადის, წოვ. ე ჩობანიც მოდის, ზედ ქდევის, აყოლევს კმას. ემი პურ კმაში შიგავათი ის ერ ჩობან კელს აჩილა-ყევს, ქოშავათი ზეპტყენ აწლეს, ჰენი მეც მამ შკომოაე. ერ დეფა ახლევეს, მეორე დეფააც ახლევეს, მესამე დეფა

არაფრის არ მეშინიო. ქალევი ეტანე-ბიან: თუ არ გეშინია, ეს შამფურს ილე, ამა და ამ სასაფლაოს ერთ სამარეზე დასვიო.

ეს ქალიც დგება, ნაძღვეის გულის-თვის ილეშ შამფურს, მიდის სასაფლა-ოზე, იხრება. სამარეზე შამფურის და-სობისას წინსაფარი შამფურის ქვეშ ეტანება. ეხლა უკან ბრუნდება შინ მოსასვლელად. მაგრამ რა?! შამფურს დაუქერია წინსაფარი. ქალი ტრია-ლობს, მაგრამ ვერ იძვრება. შიშით ყვირის, მართლა ხომ არ დამიქირესო? შიშით თვალწინ სხვადასხვაგვარა რა-ლაცაეებიც ეჩვენება. ქალი ძლივ-ძლივო-ბით ეხწევა, მოდის შინ. სამი დღე წეება, კვდება.

მწყემსების დანაძღვეება

 მეგლან ორიბე ომოსტლინეჟახ კიდემ კუკურს უყრიან. მეორე რქს დღეს უჟან
 დანაყარ კუკურ ლურჯა ჩეგ. ჭიევესაც ბუთუმს ნახავ, ქელღევ ატყოყიავ, დგა-
 ნან. ამმაშინ დეკაცეგ ამბოვენ, ჩონ ჭიას ორიბე ზინავავ. სამიბე ომოსტლინეჟახ
 ჭიას ჩაფრევეში დოვონ. სამიბე ომოსტლაში ჭიას გაარად წრტლ ბუთღევ უჟ-
 რიან. სამიბე ომოსტლას უჟან ჭიას გარაქ საცახეჟ აჟამან, ამიბე, რუმ ჭიად
 თავი თავ ვაზღოს. პარკ დუდრტუნ იქნეს.

ოთხიბე ომოსტლას უჟან, ორ სამ დღეს აციღევენ, მეგლან ჭიას ცახენ.
 ოთხიბე ამნასულ ჭიად აყარხე, ჰე მიწაზე ტოლ-ტოლ ფენენ. ზედ ტოლევზე
 ჭიად აქ-იქ პარკს ქნის. პარკ შაქნად თუ დაინახა ქუმჩუ დეკაციმ, ამმაშინი
 იწყოვს ჭიად დაცახას.

ჭიად დაცახიგნი წინ ტოლევი შიგადთი არჩევენ დუდრტუნ ჭიევეს, ჰენი
 ყოჩევეს. ყოჩევე ჭიევეზენი მალე პარკს ქნიან. იწყოვის ჭიად დაცახად. ჭიას ორ-
 ყურა ცახით ცახენ. ერყურას ბოლოკად, მეორე ყურას კი ბარინე ეზახთან
 ბარინეს ტოლის ერ თარაფით ერ დესტას ყუღევენ. ტოლი მეორე თარაფით.
 მეორე დესტას. ცახი წორცხს ერთმერთზე აწონონ. ბარინეს ცახი ზირზე, ან
 ცახის არადთი არაში ბოლოკას აზღევენ, რუმ ჭიად მანასწროვეჟა დაბლა შაქნას,
 გუან ნაქნარევე ზეჟთ გაჭუნენავ. დაცახი კურტუს თავზე იწყოვენ დარჩევეს. თუ
 დროჟთი გადაჭდა, პარკ იპეპლევის.

ჩონთან სამყურა ჭიად არის: იტალიან, თეთრ დუდრტუნ პარკი; ყირკი-
 ნად, წრტლ, ყუთოლ, წითელ ფერზე პარკი; ერთიც კაპუნ, ჰენი წონე პარკ.

ჰენგილავევ ბუთუმ არ ინახავს ჭიას, ამიბე, რუმ ზოგს ბაღჩეჟ აქ, ზოგს —
 აარ. ბაღჩეჟ არ ნაქნარ ერ ცოტას თავიბე ყაჟ-მაჟიბე, კედ გააქითეველ დერ-
 დიბე ფარაქალს ინახავს.

18. ლოყმან ჰაქიმ

ერ დროზე ერ ჰაქიმ ყოფილ, სახელად ლოყმან. ე ჰაქიმ ბეტრ ინსანს ამ-
თელღეს ყოფილ. ერდეთა ერ ავატყოფ მიდის ლოყმან ჰაქიმთან, ლოყმან ებნეც:
შენზე წამალ არ აღისავ.

ავატყოფ ებნეც: აჲ ჰაქიმ, მე ჰედრე, ერ ზოლი და ერ ტყავ დვაგარ, ჩემზე
ერ ჩარაჲ ქენიე.

ბეტრიც შამაჯხრო, რადე გინდ ჰქნო, შევზე ჩარაჲ არა, შინ წადე. კაც
ქორ ფუშმან ბრუნდევ შინ. მაგრა ცხელ ყოფილ. გზაზე თორმეტდენა ქეჩის ერ
პატრა ყმაწულ აზტეგს ყოფილ. ემ ყმაწულს ებნეც ე ავატყოფ: აჲ შულო, ერ
ცოტა ზეჲ მამიწროლ, ავად ინსან ვარ, გულ იწოვის, დოტლიოავ. ყმაწულ ებნეც:
აჲ ბიზა, ჭურჭელ არ მაქ, ჭურჭელ მაგილ, მოქცეავ. ავატყოფ აგრ-იგრ სხრია-
ლოვს, კუდბაჯანაჲ ბაქან პოჭლოვს, მიაქს, შიგ აწოლინეგს ზეს, ერ ცოტას
ლეგს. ზეში ნაგდომ ბაქან და ახალ მანაწროლ ზეჲ კრუალ ყოფილ. ბუთუმს ვერ
ლეგს, მიაქს წყლი პირში, წყალში დრეგს. თუთან პირში ჯდევ. წყლი შიგაჲთი
ერ გრლ მოდის, ზეს ლეგს, წყალში თმაშოვს, მევლან ზეს უქანაყავ შიგ ბაქანში
ასხამს, თუთან ავდეგს, მიდის. ავატყოფ ჰქროტავს, ახირი აშოვს: ლოყმანმა
მითხრა, მასაკდომეხარავ, ე ზეჲ გრლმა დალივა, ჰეგ ვიც ავლუჲანი, მოჲ დოტ-
ლეგ, რადე იქნეც. იქნეც. იქერს ამ ზეს, ბუთუმს ლეგს. კაც ააქავ ზილში ვარ-
დევ, საღმოჲ ხან ელუზევის, ზედაგს რაჲ? კედემ ჟინზე მოდის. ააქათიავ ბრუნ-
დევის, მიდის ლოყმანთან, ებნეც: შენ უმ მითხარ, მასაკდომეხარავ, მა აყურა
ჭავთელდიე? ლოყმან ებნეც: მე ვიცი ვარ, რაჲჲრადე ვამთელეუხარ. შევზე
საჭიროჲ ეყო თორმეტ ქეჩიჲ ზეჲ, შულ წლი ნარჩომ კუდბაჯანაჲ ბაქან. ამ ბა-
ქანში მოწოლუოიყნრან თორმეტ ქეჩიჲ. მევლან ე ზეჲ-გრლს დეეღივას გარაქ,
უქანაყ ეერწყივას ი ზეჲ, მევლან შენ დეეღივას, რუმ გამოღლეულიყავ. მე კი
მაგიზე არ ცალიანდა. შაჰნედ, შენ თავ რაქთონ ღმერთს უნდ ყოფილა, რუმ
შევზე ჰეგენ ღმერთს მოქწყოვ. ავატყოფ ებნეცის: წოორი ჰაქიმო, შენ ნათქომ-
ჲურაჲთი იქნავ.

არჩილ კიოიტაშვილი

12. IX. 45.

სოფ. კახი

19. ფაჰჩაჲ და მეზროხეჲ ნადილ

წადანდელ დროზე ყოფილ ერ ფაჰჩაჲ. იმა ჰქონი ოციდაცხრამეტ დე-
კაც. ემ სოფელში კედემ ერ მეზროხეჲ ყოფილ, ერ ქალ ჰქონი. ფაჰჩას უთქომ:
მე ორმოც დეკაც მექონას გარაქ, ე მეზროხეჲ ქალ მე წოჲყონო. ფაჰჩაჲ მაქაჲ-
ლეგს ზგაენის მეზროხესთან, ამმა მეზროხეს ქალ მიცემაჲ არ უნდ ყოფილ,
მაქაკლეგს ებნეცის: ქალს არ მიჰკცემაჲ. მაქაკლეგს მაჰტევიან, ჩევიან. ამბოვენ:
‘აბე არ აზლევა ჰემგე ფაჰჩას?’

მეზროხეჲ ებნეცის: დღე ფაჰჩაჲს, ამმა ხუალ მე ვერ ვი, რაჲ საქნელი,
მევლან ჩემ ქალი თავ მინ საცხოვრეველია, ჰეგ ერ უსტაჲ არა, ფაჰჩაოვით გა-
სულას უქან რაჲთუმ აცხოვრას ჩემ ქალ.



ფაჩჩაჲ მეზროხეჲ ემ ჟუღაბზე ერ ქეჩაჩისთან მივ, ქეჩაჩიოვას უსწავლეს ვის. კედე ერ დროზე ზგავნის მაჭაკლევს მეზროხესთან. მაჭაკლევს ენევიანს. ფაჩჩაჲ ერ უსტაჲს, ნაბდევეს რამს აქეთევს. მეზროხეჲ დაა რაზიჲ კეპტევ. ფაჩჩაჲ ქალს მიჰყუნს.

ერ დღე ფაჩჩაჲ თავი ოლქაში ეტარეჲ თავი ოლქაჲ დაათორიალეველი. ზედაც სხოჟურა ტანსომოზ იკომს, ნუ მიცნანავ.

ერთიკ ერ შაარში ერ ისტალავაში შადის. ე ისტალავაჲ იმჟურა ყოფილ, რუმ იქ შანუსულ ინსან თელ ვერ ბრუნდევის, ბჷთუმს ჰკლრნ ყოფილ. ე ისტალავაჲ სახლევ ერ გაჭქეთევიყ ყოფილ, ფეჲ დაბიჭვევითავ დაატონკვევლი, კაციკ ოსსაათ ზერზემში ეხწევ. ფაჩჩაჲ შესტლაში ისტალავაჲ პატრონ მოჲდა, ფაჩჩაჲ იქითიან სახლში გადაყუნა. ფაჩჩაჲც ფეჲ დაბიჭვევითავ ზერზემში ჩავარდა. პიწწა ხანს უკან ფაჩჩაჲ ხედავეს, მაკლრლა მოდინან, ოხრწრავყ: ნუ მკლავთ, ჩემზე თქონ მინ მანითს ააღეხართ, მე ლაფ კაჲ ნაბდეჲ ოქეთევ. ისენ უჟერევენ, უსწორევენ ერ კაჲ ადგილს, მატყლსაც მოჭტანენ, ფაჩჩაჲ იწყევს ნაბდევი გაქეთევაჲ, ისინიკ მიაქრნ, ჰყიდიან. მართლაც ბეჭრ მოგევაჲ კეპტევ.

ემ ფაჩჩას თურმენი სცოდნი საკნეტნი წერაჲ, ერთიკ ემი ვეზირს. ერ დღე ერ ნაბად ერ ვეზირს უვარდევის, აჭტანს, იკითხავს: ფულან-ფულან შაარში, ფულან-ფულან ზერზემში ჩაჭგდიყ ჩემ თავ, მოჯთ, მემესწართ!⁴

ემ ვეზირს გაჭტურევი, აჭყონი ფაჩჩაჲ ყომინ, წასულ. ექ მოსტლაში ბჷთუმს იკერენ, გომოჰყონენ ფაჩჩას, ხალღს კი აკროვენ, ზოგსაც ტუჰსალ უჭრიან. ფაჩჩას უხარიან, ამბოვის: მართლაც რუმ მეზროხეჲ ქეჭტან ყოფილ ჩემზენი, მე ე სანაათ არ მეცოდინას, ეხლა ჩემ ზოლიც არ იქნეოდა, მეზროხეჲ არ ყოფილიყო დღეს, დოჯღუბეოდივ.

დავით ოთარაშვილი

20. I. 45.

სოფ. კახი.

24. ქაჩალ

ყოფილ ერ ქაჩალ. ემა ჰქონი ერ დედაჲ. თუთანაც ფადირა ცხოვროვდნენ ყოფილ. გიმეზზე გასტლაში ემ ქაჩალს ჰამმემა რიშხნა იგდევედნენ. ერ დროზე ქაჩალმა თქო: დედექით, თქონ თავზე რაჲ მასაღევარ.

ერ დროჲ კეპტევ, ქაჩალ მიდის ბაზარში, ჰყიდლოვს ერ ქეჩის, ორ ცხორს, სრფლი ეზა-პირახლ მოლღავს, მოდის, მინდორში ჰყრის, აქეჲ აგდევეს. ერ დროზე ქაჩალ წაჭდა, მაჯკლივა თავი ქეჩიჲ და ცხრრზე. ნახა, რუმ არც ქეჩიჲს, არც ცხორ რამ. მიდის, გორც ყოფ ტურაზე ერ ჟოხს ფრეწავს. ამბოვის: ჩემ ცხრრზე შენ გიქამია? ტურაჲ ამბოვის: მე კი აარ, ჟანაჲვარს უქამი, ოჭვი ჟანაჲვარ.

ქაჩალ მიდის ჟანაჲვართან, ებნევ: ჩემ ქეჩიჲ, ცხრრზე შენ გიქამი ყოფილა, ეხელითავ მაკლრვარ შენ თავ. ჟანაჲვარ ამბოვის: ერჟე ნუ მკლავავ, ოჭვი დეთალ, ხეღავა, ემ დეთალში ერ ყიზილი ქოჩრიან თოხლ არის. მე იმა შაპარეჲვარ, ჩემს უკან ბჷთუმ ჩობნევ, ზადლეჲ რამ გამაჲკლდომელნი, ადმაშინ შენ დეთალ წმეჲვარ, წაჲ. იქნეს შენზე ცხრრზე, ქეჩიჲ.

— დაედა კად, — ამბოვს ქაჩალ.

ჟანავერ წოჭდა, ყიზილი ქოჩრიან თოხლ მაეპარა. მენაპარ დროზე ჟანავერ მირბის, უკანითაც ზალღევ, ჩობნევ. ქაჩალმა წმადყარა ყოჩ, მილღავს წოროა სრფელი შუადთი, ყბაპირანყ მიდის, წოროა რზრში ჰყრის. სრფლრლრვ ებნევიან: ად ქაჩალ, ე შენ ცხორ სადთი იქნა, რათაარ იქნა, სადთი იპოენი, სადთი იყილი?

— გაგონდევყა, მე ერდენა ქეჩიდ, ორ დენა ცხორ მაქონდა? ისენ მინდორში გეშეშო, ადქ დაეზნრნ, დაეზარდნენ იქნა ჩემზე დეთალ, თქრნ კი დავიპერიდაყ ზროხნევ, რზრდთი დანზე არ უშოვთ, ჰამმეშა რზრში ჩავიყრიდაყ.

ერ დროე იქნა სრფლრლრვმა თქრს: ჩონ კი 'აბე ვაჟინიანეუერთა? ჩონც წოდეჟონთ ჩონ ცხორ, მინდორში დოჰყროთ, დეგემ ბეჭრდევის, ჩონც ქეთხუდაე ჰქენეთ: სრფლრლრვმა ზროხნევ გაყრეს. ერ წელს უკან წოჭდნენ მავღელა, რად? არც ზროხნად არის, არც ჰეჩრამ. ვაჟეარეუღან, უთქომყ: მოე, ემ ქაჩალს ერ თოხ დოჭეპროთავ. ერ დღე ლამაზა ქაჩლი სახლს უნთევენ, სწრნ. ქაჩალ ამბოვს: ფეჭირ არა, ჩემ პატრა სახლ ეყო, დედექით, თქრნ ბუთუმი სახლევ თქრნ კეღითავ დასაწრვინევეარ.

ქაჩალმა ადლა ერ მეშუკში ნახვერ მეშუკ ქომურ ჩაყრა, წოჭდა გზაზე. ქაჩალსაც ჟიბეში აქ ყოფილ სამდენა ყიზილ. ერ სრფრლს მიჭწვივა; ექ ერ სახლს წინ დადვა. შინ ყოფევს უთხრდაყ: ამლამ ყონალა ამიყონით, რად იქნევა? ქაჩალი თავ შადყონეს. ექ ემან თავი ბიჟოვად მიავგონა. ჟიბეში ყოფ სამდენა ყიზილით ერთ რზრში დარგოზასთან დაავდა. ერთ ორღბისიან, ერთაც გზაზე, ცოტა იქითყენ დაავდა, ქომური მეშუკ დამალა. დილღად ვათენდა, ქაჩალმა დაპავად დოჭწყო სახლი პატრონს: ჩემ ყიზილ მინმა მაეპარავ? ამ რზრში თქრნგნი ყვეარი ჰენინამ არა, მე ეხლიდათავ ფაჰასთან წაასლრვარ, საჩიღევეარ.

სახლი პატრონ ებნევ: ამან, ჟან, ჰეჩსადამ ნუ მიიდიზარ, ჩონ შენ ყიზილს შადეგევეართ. მართლაც მიჰყეს ემა ყიზილ, ვააცილეს. ქაჩალმა ერ კად სახლ დადვა, სრფლრლრვ ყბად ვახმულ დარჩნენ: ად ქაჩალ შენ ე სახლ 'ადთი დადგე, სადთი იქნა, 'ოგო იქნა? — გაგონდევყა, თქრნ უმ ჩემ სახლ დაჭწუთ, მე ამში ქომურ წოფლ, ყიზილზე ბარაბრა გოჰყოლ. ჟამათმა თქო: ჩონც ჰეემაჯრ ჰქნოთ. ჩაჭნთეს ბუთუტმ სახლევს, დაწრს, ადკიდეს ქომური მეშუკევ, წაჭდნენ. ბეჭრ იყტრეს: ქომურ ყიზილზე ჰელუთავ. ამმა ბუთუტმ ექციეოდნენ: თქრნ სემად ხართა, ქომურზე ყიზილს მინ მოქცემსყა? ბეჭრ იტრიალეს აგრ-იგრ, ქომურ ვერ გაცილრს, მოჭდნენ სოფელში, თქრს: მოე ემ ქაჩალს დედამ მოჭქლოთ. მართლაც ემი დედა ჰკლრნ. ქაჩალს ერ ჟავრ მოოდის, ამმა დედას არ მარკავს, იკიდევს ბეჭევზე სოფლი გადის. ბეჭრ მიდის, ცოტად მიდის, ერგან ერ ცუტქულზე რასტ კეჭტევ. დედას ყუღევს კარში, თუთან შადის კელევ ვაათბოველა. ქაჩალ ვათბოვას უკან ებნევაყ ცუტქულში ყოფევს: ჩემ დედამ ადქ კარში მრლრდრვის, არ იქნევისა. იმი თავიცი მოდეჟონო ვაათბოველა? მეცუტქულესაც ორდენა ქალ ჰქონი მეცუტქულეს უთქომ: შენ დაე, ვათებ, ქალემ წოჭდენ, მადყონენ. ქალევ წაჭდნენ მადყონელა, ბლენ ლამეე ყოფილ. 'ათა-არაც კელ მეეკიდაყ, დედამ წაქცეულეყო. ქაჩალ გომოდის, ერ ყურუტს, ერ ტირის: ჩემ დედამ მოჰკალით თქრნ, მე ეხლა რად ჰქნოა, 'ათაარ ჰქნოა მე?

მეტუტკუტულემ ებნევის: ფიქირ არა, ნუ ჰტირხარ, ად ემ ორ ქალის ერ ქალ შინბე იქნეს დედად კოლა, დედასაც ჩონ დოჰმარხავთ, ქაჩალიც ერ ქალ შინბე მოდის წოორა სოფელში.

— ქაჩალ, ე ქალ სადთი იქნა?

— მა რაად გეგონაყა, დედად მოჰკალით, გეგონაყ ჰერაბ უქალო დაარ- ჩომელი უა? მე კდარ წოაყონ, თელზე გოჰკოლ.

• სრფლრლრგმაც წგმადკიდეს მინაკდომეგ, ჩავარდნენ სრფრლში, იზახიან, კდარს თელზე ჰკლუთავ. სხო სრფლრუ ჟამათ ჟავროვენ: სემად ხართა, თელს კდარზე მინ მოქცემსყა? სრფლრლრგ ბრუნდევინ, ამბოვენ: ე ქაჩალ რად გო- გიკდა ჩონ. მოდ მოჰკალით, ადმაშინ არხადნ საქნელვართ.

იქერენ ერ დღე, სწინჩ ერ გოდორს, ქაჩალს აგდევენ შიგ, ჰკიდევენ ორ კაცს, ებნევიან: ემი თავ ღრუმ დელეში გადაადღით, მოკდრს ადჰ. ე კაცეგ იკი- დევენ, მიჰყონენ. ბეჰრ მიდიან, ამთონ მიდიან, შრრვიან. ერ ღროზე ერ მოხაქრ ისრნრვენ. მინასრნრგ დროზე ემ ორნიმ კაცევს ეზინევაყ. ქაჩალ გოდორშიდა. ერთიკ ხელავს, ერ ჩობან ცხორს აშუგეს დუჰტავ დაკრუ-დაკრუ. ქაჩალ ჩობანს ეზახის მალივი: ად ჩობან. ექ მოდ, ერ რამ გითხრო. მე ესენ ერ კად შაჰარში მიმყონენ. იქ წასჰლაად მე არ მინდ. მოდ, შენ ემ გოდორში ჩად, ე ჩემ ტანს- მუხ შენ ჩადც, შენ ტანსმუხ მე მემეც, მე ჩოაყო. მე საყურევარ შენ ცხრრგ, შაჰარი დაბრუნევის უკან დაა შენ ცხორს კედემ შენ დოჰჰატრონდ. ჩობან დარაზივდა, გოდორში ჩაჰდა. ქაჩალმა ადლა დჰუტავ, დაკრუ-დაკრუ დადგა. ი დანაზინეგ ქაჩლი წანაყონეგ კაცეგ გემადღეჰუნენ, გოდორ წმადკიდეს, წოჰდ- ნენ. ერ ღრუმ დელესთან გოწენაში გოდორს ადმაგრ რსრუან დელეში, და- ბრუნდნენ, მოტუნენ.

ერ დროად იქნა, ქაჩალ ცხორს მოლლაეს, სოფლი ყბაპირანყ მოდის. სრფ- ლრლრგ ებნევიან: ად ქაჩალ, ე რადსა?

— თქონ დამიჰირით, გადმაგდით, ამმა არ იციხართ იქ რა დრვლათ არი- საყ. სოფლელეგმა თქრს: ჩონ ოგო სემად ვართა, ჩონ წასსლრლ ადგილში ქა- ჩალ გოჰგავენით. მასლაათ ჩედინ დიდ, წრუტლეგ. მიდიან ემ დელეგთი თავიან თავ ესრუან დრვლათ მააგეველა, ამმა ბუთუმ ბოცევიან. ქაჩალ ჩევის მამ- შარტოდ, სჰამს ერჟებირი, ქეფტოგს.

ვანიჩა აბულაშვილი

13. II. 45.

სოფ. ვანი.

21. ერ პაპი და ერ ბებერ

ყოფილ არ ყოფილ ერ პაპი და ერ ბებერ. ისენ ცხორ პირანყ წასჰლაში ერ ქეჩიად ჰყიდლოვენ. ამა ლამაზა ასუტევენ, ტებრუხ თუ დეგეკრასყ ი, ქონ ჩომოჰლოდა, ადმაგრ სუჰქან ეყო. ამათ ფიქირში აქონდაყ ე ქეჩიად ახალ წლი დეეკლასყ. ახალ წლოვადზე იდგა შუდ კურუა ნახევერ. ე შუდ კურუად მალე გაჰდა, მოჰდა ახალ წლოვი დამეგ. ესენ ღამი ქეჩიად დააკლრლ იქნენ. ღამაზა დეევიგ რამ შაჰარეს, ზლიგ წააქცივეს, ქეჩიადს. ბებერს კისრი უქერი ყოფილ,

პაპიც ცუდი ჰკლავს. ყოჩს ჰკლავდა, ბებრი თით მოჰპირა, ყოჩიც ერ ზულუში დაჰკლავს, გაკადეს, დაამარილეს, დადრს თექნაში. თუთან დახინეს.

ლამეულა ორნიმ აღდგენ, წაჭდნენ შიშამბე. პატა გზად წაჭდნენ, კიდი ზედათი ვერ გოდოჭდნენ, უკანაყავ დაბრუნდნენ. შიშამბე წასჭლაში ემათ ერ კაც უხტრვაყ, ებნევაყ: სა მიიდითა?

— სა წასლგვართა, ბებრანთა, ჩონ შინ არ შახტდე, ამბა ჰაჩარ სახლი თავზედა. კაც აშბოვს:

დუნუაში იქ არ შვალ. ლამიზა მოდის ე კაც, ე ჰაჩარსაც ააქს, შადის შიგ, შვამს კორცს ბუთუმს, ზოლევს შიგ ალაგევს, ხურავს, მიაქს, ადგილზე დრვს. ლამიზა კარევს ჰკლევტავს, გადის, მიდის.

მოდინ პაპი და ბებერ, უვლიან თექნას, ხედენ, ჰაბაა, კორც არ აღის. ამ თექნათი ერ ბუხ ფრინდევ, ანბოვენ: ხედავა, მირასო, ბუხს უჭამი. ე პაპ ლამიზა კარს უკანი ააქს ცულდს, ებარევ ამ ბუხს, ე ბუხიც უის კორთეზე. პაპ ააქს ცულდ, კორთეს ჰკრავს, ბუხს ჰკლავდა, კორთედ ინგრევ, ჰურჭელ იკეჩევ-ბუხ მივ ბუხარანე უდევ. პაპ კედემ ერ ცულდ ჰკრავს, ბუხარად ინგრევ. ფრინდევ ბუხ, იშკაფზე უდევ, ჰკრავს ცულდს, იშკაფ ზერი-ზუფად მივ. ბუხ აქად ფრინდევ ბებრი ლაფ ცხტრზე უდევ. ბებერ პაპს ეზახის: ცხტრზედავ, პაპ უჭუმრა ებარევ, ამი ცხტრში ერ ცულდი ყუად ჩულავს, პა-პა მომჭკალ ამბოვს. სადაა? ბუხ გაფრინეულ, თურმენი ბებერ მოჭკლავ.

ერ კიდზე გვდოჭდილიდი, ორ ვაშლ მაქონდა. ერთ ჩემ ველდამს მჭკსც, ერთ კი კევში ჩამივარდა, წაჭ.

წიწიკო ყულაშვილი

5. X. 46.

სოფ. კახი.

22. დერდ არ ნაქნარ ინსან

ყოფილ ერ ფაჰჩაა. ამ ფაჰჩას ერ შულუგნი მეტ ჰეჩმინამ არ აქ ყოფილ. ე შულ ავად კდევ. ამ დობტურს მოჰყონენ, იმ დობტურს მოჰყონენ, ამიბე ჩარად არ კეჭტევ. ერ დროზე ერ სემა დობტურს მოდის. ფაჰჩას ებნევ: შენ შულ თუ დერდ არ ნაქნარ ინსანი პერანგს ჩადცომს, ოგემაშინ გაამთოლეველიავ. ადამაშინავ ფაჰჩაა თავი ვეზირ-ვექილევს ზგავნის, ებნევაყ: თქონ მიბოვნით ამგე ინსან, რემენსაც რუმ დერდ არ ექონსავ.

ვეზირ-ვექილევ ბეჭრ მიდიან, ცოტად მიდიან, დერდ არ ნაქნარ ინსან ვერ ჰპოვლოვენ. უკანაყ შინ დაბრუნევაში ერ ზოლ სახლთანი ივლიან. შიგათი ერ კაციგნი ერ შულაბს იგევენ: „ტკბილ რიწყ მიჭამი, კაა ტკბილ ზილით დოჯინევა“. ვეზირ-ვექილევ ანბოვენ: ემიგნი უდერდო ინსან საამ იქნესავ? შადიან კაც დააჭერელა შინ. შინ შადიან, ხედენ, ერ კაცი, ზედ ზოლ ჩოფუზ ჩატკომ, ჩოფუზისიც ერ წინა კალთაა დგას, ერთიც უკანა კალთაა. კაცს იჭერენ ააქავ, ებნევიან: ჩადც სხო რადმიც, ფაჰჩასთან მიგყონავთავ. კაც ებნევ: მე რაადც დედათი გაჩენუვარ, ემიგნი სხო ჰეჩრამ არ დამინახიავ. — შენ ნიფხავ, პერანგ, ფაფაყ სა არისავ? კაც კიდემ ებნევ: თქონ ვერ იგევთა, რუმ მე ვემმეტ სხო რან ვერ დამინახიავ?

ვეზირ-ვექილევს ჩარაჲ უწყდევაჲ, აჰყონენ, მიჰყონენ ამ კაცს ფაჰჩასთან, ფაჰჩაჲ მიჰყონავს თავი შუღლთან, შუღლს ებნევე: შუღლო, ხედავა, დუნჭიჭიჭი ჩიჭიჭი არ ინსნევე არიანა? ესენ თუ თავი ყისმათივნი რახიანი, ჰეჩრამს არ დერდოვენ, დემერთზე ფიქიროვენ, შენ ემ იხტიარში რაჲმე ფიქიროვა, რუმ ჩაზერდიანეველ ავად ხარ.

ფაჰჩაჲ ემ ყუღაბზე გადაჲ დაჲ კაჲ კეჰტევე. ამ დღემთი წყრტავს, რუმ ის ავად არა, თავი თავს ჰამმეშაჲ კაჲ თლუს. ამ ჩიფლასკაც ბეტრ ყიზილ-მიზილს აზღევენ, ფაჰჩაჲ ჰამმეშაჲ არ ივიწყევს ყოფილ.

არჩილ ქორიტაშვილი

18. IX. 45.

სოფ. კაზი.

23. სახლი დანადგამ უსტაჲ ნაზარ

ერ მამაჲ და ერ შუღლ ყოფილან ერ დროზე. მამაჲ სახლევ დანადგამ უსტაჲ ყოფილ. შუღლსკაც თავი სანათს ასწავლევს. ერ დროზე ე შუღლ ოც, ოცი-დახუთ წლის კეჰტევე. ჰენი დეკაც მაყონელ დროჲ მოოდის. აგრ-იგრ, მამაჲ სოფლით ამიბე ერ კაჲ ქალ თხოჴლოვს.

ერ დროზე შუღლუ და მამაჲ სხო ფაჰჩაალუღში სამუშავენელა მიდიან. ერ ფაჰჩასთან სახლევ დგამენ ყოფილ. ფაჰჩაჲ ხედავს, რუმ თავისებრა ზორ სახლევ ჰეჩმინამს არ აქ. თავი ფახილოვადთი, ჰენი ამ კაცევეჲ სხუბეთკაც ნუ დადგანავ, ამ კაცევი თავ დააკოცელ ფიქირში მოდის. აშკარა ებნევაჲ: ამ სახლევ დახწყვითავ, თქონ თავ დააკოცევაოვ. უსტაჲ ებნევე: 'აჲც გინდ ქენ, გინდ დოგაკოც, გინდ ნუ, ჩონ ფინ საქმეს კი ვერ გავაქითევეთავ. სახლის ერ სუველ დაჩჩომაში უსტაჲ ებნევის: ფაჰჩა, ჩონ სუველ საქნელ მალავე შინ დოგჩომიაგ. ფაჰჩაჲ ებნევე: 'აქთონიც გინდ ბანაჲ, შანაჲ ჰენო, შენ თავ შინ განაშომ არ ფარ, ზალევე მალეველა სხო ინსანს გატეგავნითავ.

მართლკაც იქერენ ერ კაცს, ზგავნიან ამ უსტაჲ მალავე მალეველა. ფაჰჩაჲ ებნევე უსტას: შინ ისმარიშ ნუმ არ გაქავ? უსტაჲ ებნევე: რუგო არა? წანასულ კაცს აბარევეს: ჩემ ზალს უთხარ ჩონ ოზოში ნაქნარ მამალ ყაზ ქოხში ჩაავდას, თუღქუ-მუღქუმ არ კამასავ.

ე კაც მოდის, უსტაჲ კარს ჰკრავს, წინ ზალ გომოდის, კაცს ჰკითხავს: რა დერდ გაქავ? შინ შომოდ. კაც ებნევე: სალოლ, მე არ მოჴდივარ, შენ მამამთელი მალავეიბე მოსუვარ, მემეცივ.

— დილ კაჲ, ამჲ მამამთილიგნი ერ ისმარიშ უქნელა, როგო უმ მოქცეა?

— რუგო არა, ისმარიშ უქნი, მამალ ყაზ ქოხში ჩაავდივ, უთქომ.

ამი გაგევითავ ზალ თავში ვარდევ, კაცს უჰირევს თავს: ნაჲჲბ შინ არ შომოდინხო, ჩარაჲ არა, ვარაქ შენ ჩონსა ყონალა მოხუდევე. მამამთილთან მე შენ პირ ცარიალ ვერ დგაბრუნევე, სტრცხუღუ. კაცსკაც ჩარაჲ უწყდევ, შადის შინ. ზალ რამ-მამი გაქითევი ბანაჲთი კარში გადის, კარევს ყუფული ჰკლეტავს, არხანა ღდევ. ერ დღე ოლრდრე ფაჰჩაჲ, ორ დღე, ერ კურუბად, მალავეიბე წანასულ კაც აღარ მოდის. ფაჰჩაჲ ერ კაცს აჰყონავს, მალავეიბე თუთან

მოდის. ფაჰჩაჲ ებნევე უსტას: ისმარიშ ნუშ არ გაქავ? უსტად ებნევე: ჰო, ებნეველი
 ღას უთხარ, ვიც, ყაზ ქოხშიდა, ჩონ პატრა მამალიც და დიდ მამალიც და მამალიც
 ჩაავდას, ჩონ მოსლინეხს ტურ-მურამ არ შქამასავ, ფაჰჩაჲ მოდის, კარ ჰკრავს,
 გომოდის წინ ზალ. ფაჰჩას მოსლაჲ ხაბარს ჰკითხავს, ფაჰჩაჲც ელაპარკევის,
 ჰემაც ებნევის უსტად გამნაზგაუნ ისმარიშს. ზალ ამასაც თავში ვარდევის, ფაჰ-
 ჩას ეხრწრე: დიდ თავაჰყად გექტევე, ჩონსა ერ იგრევეც იყო ცხენი ჩომოდ, რუმ
 მამამთილ ნუ გამიჟავრდეს, თუ არ ჩომრხრლ, ვიც, ჩემ თავ შინაჭროვადთი გასა-
 ვდეველი. ფაჰჩასაც ეცოდიევის ე ზალ, ერ ცოტა ხნიბე ამათა ყონაღა შადის.
 ზალიც აგრ-იგრ შტერდევე, ბითამდინ რამ მამ მოაქავ, კარში ვადის, კარევეს
 გარეთიანი რახავს. ელოდევიან ფაჰჩას, ამმა ფაჰჩაჲ სადამ-მადამში არა. უსტად
 ებნევე: აქში, მე ექწორ სახლევე დავიდევ, არ ვოდოჯხორწ, ერ მალაევე მალე-
 ველა გოდოჯხორწევი? წაქდე, მალაევე მოდლო, კიდემ რადც გინდ მიყავითავე.
 ესენიც მასლაათ ჩედიან, უსტას უშმენ შინ. უსტად შულ ყარიშულ მოდის
 შინ, ზალს ჰკითხავს: ყაზი და მამლევე ჩაგეყრიავ? ზალიც ამბოვს: ჰაზირი, რა-
 ხანც ვინდ, დაჰკალივე. უსტად მოშკას იზროვს, შადის ფაჰჩასთან. ებნევე: შენ
 სულ ეხლა მის კელშიდაავ? ფაჰჩაჲ ებნევე: ეს შენ საქმეჲ არ ეყო, შენ იმ ზალი
 თავ დაფიც, თუ ის არ ქნილიყოს, იმი ადგილზე სხო ინსან გაქონდეს ზალა,
 შენიც, შენ შულუ ზოლევიც ემ დრომდინ აღარ იქნეოდავე. პალალი ჩემ სისხლ
 შენ ზალიბე, ჰადც ვინ მიყავივე. უსტად აღარ ჰკლავს ფაჰჩას, უშომს.

არჩილ ქირიტაშვილი

18. X. 46.

სოფ. კახი.

24. ჰენგილავევი ალათევ

ჩონ ჟედლ ქალევე ყარადაზზე რაქთონ დანხილ მოჰტანთყ, რუმ შიქმელ-
 შიქმელი, გაყიდელაც ჩევაყ. ამმა ჰენგილავევი ქალევე ჰარ ყარადაზზე თუ არ
 წოჭუნენ, დუნუა ქრ არ დადგევიანყ, ჰამმეშა მიდიანყ, ჰკრეფენყ, მოჰტანენყ,
 ჰყიდიანყ.

ზაფხული დიალ ბეჭრ მუშუოვთყ, ზამთრიბე ოგრუეფთყ, შუგრვთყ, კედმ
 ზამთრი შკომთყ. ფადაზზე საქმე-ყოფად არ კეჰტევაყ, ემ დროზე ქორწილევე
 კეჰტევაყ; ამმაზე, რუმ იმაშინ ბოლ დროეს, უგემაზედაც ქალევე უგემაშინ
 თხოვდევიანყ. ჰენგილავევემა სხოყურ ქორწილ იციანყ. ქორწილი წინა დამი მემ-
 ზანაგევე კეჰტევაყ, მორორე დღე ქორწილ იწყრვაყ. ქალ ჩომოფხუტულ კეჰტე-
 ვაყ. ქალ გათხუტევას უკან ერ კურუა ჩომოფხუტულ კეჰტევაყ, ერ კურუა გასტ-
 ლს უკან მამამთილს ფეყევე რამ ბანავსყ დამი, კედმ ორ კურუას უკან ორღმე
 რამში გომოდისყ.

ნათელა ტარტარაშვილი

12. X. 46.

სოფ. კახი.

25. ნალიღ

ერ ზამინაზე ერ კაცი და დეკაც ეყნონ. ემ დეკაციბე ყმაწულ არ კეპტე-
 ოდა. ე დეკაც ერ დღე თავი მოზობლისა წაჭდა, უთხრა: შენ ექთონ ყმაწუ-
 ლეგ ვაქ, ჩემზე 'აბე არ კეპტევისა? უგემ მოზობლი დეკაცმა დაასწავლა: ერ
 ბაკან ფრტ ატან, თავ ქრ დედევ; შენბე ყმაწულ საქნელიავ.

აჲ დეკაც შინ წოჭდა, დაღამდა, ერ ბაკან ფრტ ჩაყრა, თავთან დადო.
 დიღლაზე გამაღლხა, დაღნახა შინაჭროვად ყმაწულევი გაჭედულ; ე დე-
 კაც ადგა, ყმაწულეგ დედიღინენ. ერთ პურ ჰთხოვეს, ერთ წყალ ჰთხოვეს, ჰემაგ
 დეკაც ეღან შაბენდა. დეკაც გაუავრ და: ამან, 'ოგო შეფად ყოფილა ყმაწულევი
 ქნაჲც. არ მინ, ყმაწულევი შანახად ჩემ საქმედ არა, 'ოგო შეფად ყოფილა ყმა-
 წულეგ შანახად.


ახლა წაჭდა ეღან სხო მოზობლისა, უთხრა: ჩემ ყაწულეგ 'ათარ დოჰ-
 კოცოა, თავ გამჭირვეი. უგემ მოზობლი დეკაცმა დაასწავლა, რუმ დიღლითავ
 ადე, ცოცხი გაავგ, ბუთუმ დააკოცელი. უგემ დეკაცმა უთხრა: შენ ეენაგ
 დაგიკოცია, მე უმ მასწავლევა? მოზობლი დეკაცმა უთხრა: მე კი ადრიში, მეც
 ეენაგ არ მიქნია?

კედე დეკაც წაჭდა შინ, ერ დიდ შავ მახსწრო, ერ რამ გტს, ერ რამ გტს,
 შინავროვად, მიწად რამ ეღან ომოთხარა, ომოყრა. ემ ჩავჭაში ერ ფრტ იშ-
 კაში ვარდეგ. ე დეკაც ნავგ რამ ჰყრის, შინ შომოდის.

ერ დროჲ კეპტეგ, კაციბე ხორავ რამ წაღვეელ კეპტეგ. დეკაცს ეჟაფი-
 ვის, ამბოგს: მემ მოჰკდრგ, ახრიბე ჩოჭგავი? ერ ყმაწულ ჩემ კაციბე ხორავს
 წაღვედა, 'აბე დოჰკოცი?

ბატა ხანს უკან ყმაწულმა იშკაფი შიგადაი იყურა: დედა, მე ექ ვარავ. —
 უუ, ჟან შულო, შენ 'ოგო დარჩინხარა? გომოჲ, ალა, გომოჲ, მამადბე ხორავ
 წაღ. შულ გემოჭდა. დედამ ბოხჩად ჩაღაგა, შულთან მამადბე ვაზგაენა.
 შულმა მამასთან გოჭწივა, მამას წინ დოჭდო, ესიცი შკამს ხორავს. ვაღად ხურ-
 მახე გაჭდა. ერ დროზე ერ დეგ მოჭდა. უთხრა: აჲ ვადა, ჩემ მოზობრლ არ
 ხარა, ჩემზე ერ დიდ ბუთად ხურმაჲ ჩემავად. ვაღამ ერ ბუთად ჩემავად,
 დეგმა არ მაღწონა, თქო: 'აშე მინდა მიწაზე ჩამნავდეგ რამ, კელი მემეც. ვა-
 ღამ მოკეჩა ერ დიდ ბუთად, კელში მიჰცა. ემამ დაჲთორივა ვაღად თავ, მეშუკში
 ჩავად, ყბად მოჰკრა, თუთან ბიწწა იქითყენ წაჭდა. ერ დროს უკან მოჭდა.
 მეშუკ წმავკიდა, შინაყ წაჭდა. შინ გოჭწივა, შორსაჲთიავ (დარვოზაჲთიავ)
 იყურა: ქალეო, წყალ შადგით, ინსან მოჰყუნავგ. ერ დროზე მაღა, მეშუკ
 დაავდა; დაკუწელ დროზე მეშუკ ვასხნეს, ხედენ, შიგ ნაფოტეგ არის. ვაღად
 ვაღახორწნილ.

ერ დროჲ კეპტეგ: დეგ მიღის ვაღად თავ დანაჭერ ადგილში. ვადი თავ
 იჭერავს, მოჰყონავს შინ: ქალეო, ევხლა კი აადულით წყალ, ვაღად თავ მომი-
 ყუნი. ერ დროჲ კეპტეგ, სხნიან ქალეგ მეშუკს, ხედენ რაჲ? ბუთუმ ქევეი შიგ,
 ვაღად არა. დეგ გაუავრდა თქო: ევხლა კი თუ არ მოდყუნ, იმი კორც თუ არ
 შკომ, დუნჭაში ვერ გოჭწილეგ. დეგ კედემ იჭერავს, მიჰყუნავს დუშ შინ, აგდეგს.



ქალღეს ებნევაყ: ევხლა კი მართლანდნაც ნამიყუნი. ქალღეს ჰიგინ-ჰიგინა წყალ დგმენ. წყალ აადღუღეველ დროზე დღე საქმეზე მივ.

გადად იგერაესყ ქალღეს თიჰ-თითო ქობში ჰყრისყ, აქითღეს ქალღეიგნი დღეიბე ჰეგანულს. დღე მოდის, ხედაეს, დიდ მიუმა კორც არის. დღე ლამაზა შკამს, ამბოგს: რა გემრიალ კორც აქა ემ გადას. გადად კი ჰეგაშა საკნი ში-ვაათი ზორო, წიბლანკ ხანჯალს ტამარში უსომს, დღე ადქავ იქცევე. ე გადად ჰიგინა-ჰიგინა მივ შამასთან, ებნევის: ადმაგ, ადმაგ ჰქონ, მოლად, ლამაზა უც-ხოვროთ დღეი სახში, დღეი შინაჭროვაში. ე გადად დეკაცსაც პოჭლოჯს, ლამაზა ღზას მიდიან, თაფიანთუნ ცხოვროვენ. ისენ იქ დარჩნენ, ჩონც ექ.

ტარტარაშვილი ნათელა

14. I. 45.

სოფ. კახი.

26. მალაჟა დახევა

ჰენგილავევი ადათი, ერ ინსან ავად თუ გაკდა, იმას თუ ჰეჩსადთი ჩარად არ ექონა, დობტური წამალმა არ დაეჭირა, ავატყოფი პატრონე მასლაათო-ვენ, ერთმერთს ებნევიან: — ჩონ ავატყოფ იქნევე დაკრულ, სადამ ვაჭყრომი-ლოვად აქავ. ამიბე მალაჟას ახევენ. თუ იქნა, შუდ წლი ქალს მოჰყონენ, ად-მიბე, რუმ ყმიწულ თაფთად ანგელოზიავ. თუ ყმიწულ თაფთად არ იქნა, ბერ დეკაცმა გარაქ დაახივას მალაჟად. მალაჟად დახევედაზე საქიროდს ერ ჟამ წყალ-წყალს ჟამ ყარიშულ დოვენ. შაქონ ჩალად მასრავეს. მასრაზე ახევენ ბამბას. ბამბად ორნიმ წორევე გარაქ ბარაბარ იქნეს. სიპტანდელ დახეულ მასრად ლმერთი სახელზე კეტევე, მევლანდელ მასრად, სხო სალოცავი სახელზე, ემენ-ზეაც შაქს შაქონ.

დანახევე მასრავეზე ზედათი ხურენ ბოშყავს. ცოტა ხანს უკან ბოშყავს კლიან, სიპტა იწყოვენ ლმერთი სახელზე დანახევე მასრად გასხნას. გასხნაში თუ ბამბად დეეხწივა ჩალად მასრას, ადმაშინ ამბოვენყ, რუმ ამას ლმერთ ვაჭყრო-მიავ. იმას პირდევინ სიპტა მამალ ვარაფთი, წითელ ხონჩადთი, საქმელ-სანთ-ლით. უკანყ ახევენ, დოვენ ადგილზე. მევლან იწყოვენ მეორე მასრად გასხნას. მასრად თუ არ დახწევი ბამბადგნი, იმაშინ ამბოვენყ, რუმ ეს არ ვაჭყრომიავ.

იწყოვენ ახლა მესამე, მეოთხეს და ემეავრ სხნიან ბუთუმს. ვანაწყრომს პირდევინ, უკანყ ახევენ. არ ვანაწყრომსაც სხნიან, იმასაც იმეურადთიავ ახე-ვენ. დახევედ სამდღეა გარაქ იქნეს. დაპირევად სიპტა ცოტადთი იწყოვენ, მევლან დიდზე უწევენ.

სამხტოდ მარტო ქათამით ვარიად იქნევე, ცხოველ თაფთადთ კი დედალ რამ არ იქნევაყ. სამხტოდ გარაქ დანაპირევე დროდ ვადაზე დაკლას, თუ არ დაქლა, დანაპირევე მევალეე ჩევე, დადა მაგრა ავად კდევის.

ჩონ ჰენგილავევს გოქ დაპირეველ ადგილვე: ლმერთ, დიდ საყტარ, კასრი საყტარ, ხუციან ოჟად, ქიტინ ოჟად, ბარბაროდ, კურუ ზალ და სხო და სხო ადგილვე.

არჩილ ჰირიბაშვილი

18. IX. 45.

სოფ. კახი.



27. ფაჩჩაე შუღლუ ნალილ

ერ ფაჩჩას ერდენა შუღლ ჰქონი. ის ერჟურა გოჭუნდიაყ, ნუმ ჰეჩმეთ დუ-
 ნუაჲ არ უჩრნრვიაყ, ჰამმეშა შინ ყოფილ. ერ დღე გოჭუშუაყ შინაათი. გადაჲ
 გასულ ორღბეში, გამათეულ, რაჲც დოჭუნახი. ხედავს, ერ დედეკაცს გოზაჭრ
 ოჭკიდევი, წყალ მიაქს. გადაჲ ყურუქს: შაჰხედით ალა, დეკაცზე 'აჲ შამეღარა?
 იმა ვერ დოჭუნახი ყოფილ წყალ წალღეჲჲ რამ. ოჭლი ერ ქტამ, დეკაციბე უს-
 როგნი, დეკაცი გოზაჭრს მოხტომი, ვაკეწულ; იმ დეკაცს უთქომ: — რაჲმ დაგ-
 წყევლო, დედ-მამაჲს ერდენაჲ ხარ, შენამ ანდრეს-მანდრეს ქალი აზარში ჩა-
 ვარდ. ემ გადასაც უთქომ: — ეს რაჲმ იქნეს, ანდრეს-მანდრეს ქალ გარაქ
 უბოგნო.

ამდგარ ე გადაჲ, ჰეჩ დედ-მამაჲბე არ მოჭკითხავ, გასულ შინაათი-ენ-
 ჟურა ქალი დაახებნელა.

წასულ ბეჭრ ცოტაჲ ადგილ, ერ ბებრი ოზრში შასულ. ამ გაღი დედ-
 შამაჲ შუღლუ დაკარგიხენი ამოზნ, ამოზნ ტირიან, თოლღე უბრუბეღღეჲყ. ე
 გადაჲ კი წასულ, ბებრი ოზრში შესულ, ემ ბებრიბე უთქომ: — იცი მე ექ რაბე
 მოსულღარა. მე გარაქ ანდრეს-მანდრეს ქალ მიპოგნო, მე იმი დერდიბე ვეტა-
 რღე. ბებერს უთქომს: ი ქალ ჩონ მზაზბელ, ჰერ მე წაგეყონოაჲ. ბებერს ე
 გადაჲ ემ ქალთან წოჭყონი. ქალს დიად მოჭწონევი. ი გადაჲ აგე ლამაზ ყო-
 ფილ ამნასულ ზეჲ, ჩანასულ თორღე. თუთან ქალიც ერ ბალიმარცოლ ქალ
 ყოფილ. ე ქალ ემ გადასთან გათხუეულ. უქნიაყ ერ კაჲ ქორწილ, დაჭკრაგეჲ
 ერ ნალრა-ზურნაჲ, დოჭუნახნიაყ ხალღ, ყამაათ. ე გადაჲ ექ დარჩიღლ ერ რათა
 წელს. ემათ ემ რათა წელში ერ ყმაწულუც გაჭჩენიაყ.

ერ დღე ესენ გაჭწორეულან გაღი დედ-მამასთან წასლრლა. წასულაში
 გზაზე ერ გრილოში ჩომოსულან. ექ ერ ქეღრიბიც ყოფილ. მისრნრვაში ემ
 კაცს დაახინევი. ქალი მუკლზე ქელლაჲ დოჭდრღვი, დოჭზინინი. ემ ქეღრიბზე
 ერ ქალ მოსულ წყალ ამაჲვსრველა, წყალში გოზაჭრ ჩაჭკი, ვერ ოჭსი. აგრ
 იგრ აჩხლაჲფუნევეს ყოფილ. ანდრეს-მანდრეს ქალს უთქომ: ჰაბე ჰეღი ემაჲ,
 'ებე ლამაზა არ ავსევა? იმ ქალს უთქომ: მაღაჲ შენ ამაჲვს.

იმას თურმენი ნდომევი იმ კაცთან გათხუევაჲ, ემ ქალი თავი ქეღრიბში
 ჩაგღევაჲ. ანდრეს-მანდრეს ქალი წყალ აჭსრვაში ემ ქალს კელ უქინევი, შიგ
 ქეღრიბში ჩაჭგღი, მოსულ ჰეგინ-ჰეგინა, იმ კაცი თავ ოჭლი, თავი მუკლზე
 დოჭდრღვი, დამედარ. ყმაწულს უწრიაღნი; მამას გომოჭღღუხევი, უთქომ: რა
 ხაბარია, რაჲსა ეეს?

— არაჲფერ, ეშაქმა გააროყინაჲ, მეც გოჭუშავღ, ყმაწულსაც შეეშინდაჲ,
 ვეღარ მცნოვსაჲ. კაც დაფუშზანეულ, დეკაც ლაფ აჲბიჭრიხენი აჲბიჭარ მოჭ-
 ჩონრღვი.

ემ არალოღით ოთხ-ხუთ დღეჲ გასულ. ემ ქეღრიბზე ომოსულ ერ ყავარ-
 ე ყმაწულ ემ ყავართან წასულაში ყავარს ყუჭღავს ყოფილ, თუარღემ იგრეჲ
 ჰამმეშა ტირის ყოფილ, ჰეჩ არ ტყუეღღეჲ ყოფილ. ამ ვერ დედას დოჭუნახი,
 თავში ჩავარღნიღ, თავი დეღაზე გამნასულ ყავარიაჲ. ემ ყავარს აჭრეღინევეს.

ე მანაჰერ ყავარ კედემ დეკაცა იქცევ. ყმაწულ ზედ ვარდევის; ერთმეორის ყუჟღენ. დედეკაც კაცს ელაპარიკევის თავი თავზე მანასოლს. ე კაც მანასოლის შინ ემ დედეკაცს. იმ შინ ყოფ დეკაცი თავ ამბავს ერ ხამ კუსუ კულზე. უშომს ერ დიჭრიან ტყეში. ე დედეკაც იქ კდრვ. ისენ ექ კარგა კეპტევიან. ბახტავარ ცხოვროვენ.

თ. ფიროსმანიშვილი

3. IX. 45.

სოფ. კახი.

28. დიდ საყტარზე გასჭლაჲ

დენგილავეე საყტარზე გასლაში დილლითავ გადიანყ. ერ ურემ დატკრფულ კეპტევ ერ თობუნზე. ემ ურემზე კეპტევაყ დანაპირევ ყოჩ ზოგის, მამალ ვა-რიაჲ, ჰინდაჭრ, ჰემაგ ბუთუმ საკლავევიზგნი კეპტევაყ. დენგილავეევი დეკაცივ არხოლოღევი შარახტულ, შაკმანზულ კეპტევიანყ, ჟედლ ქალევ კი ურემს უკან ფეყი მიდიანყ. საყტარზე გადიან, იქ კეპტევ ნალრა-ზურნაჲ, გარმუნ, ჩუნგურ, სიფსიჲ, კედე იქ შიპროვენ.

ერდეფა საყტარზე გვეელით ბუჭოტუმ. მეც ვარ ჩემ დოლდაშევეთან აქ რტარევ, გაპ შკომთ, გაპ უდრვით. ჩონ სამ ქალ ვართ ერთა ნატარ. ჩონ ნა-შიპარ ადგილთან გორც არ მივდით, გცხრნიან, შორსადით შკორტავთ. ერ დროზე ერ დოლდაშმა მითხრა: შენ დილ შად ქალ ხარ, ნაჟაბ არ შიპროვ, მოლაჲ, უშუპროთ.

ეემაგერ ზორი მაშიპრეს, შაბაშიც მამცეს. კაჲ დაღევაჲ, ყაიმათ იქნა. ერ პაშტა ხანს უკან ხალყ შინხყ დევაშ-დევაშ ისწევის დაა. ჩონც ოჟღექით, მევე-ლით შინ.

ნათელა ტარტარაშვილი

8. XII. 46.

თბილისი.

29. ას-მარცოლაჲ

ყოფილ ერ დროზე ერ დეკაცი და ერ კაც. ამათ ორ შულ აქოყ ყოფილ. ერ დღე მამაჲ მიდის სამკალ გაათიბელა. ერ კურუაჲ შიკმელიც მიჰქს, მივ. წასტლაში დეკაცს ებნევ: კურუუს თავზე დიდ შულმა შიკმელ მამილას, მე ჩემ წანასულ გზაზე ხეევს გაათლევარ, განათალ ნიშანს უკან მოჭდესაჲ. კაც გადის, მიდის. კურუუს თავზე დიდ შულ აქს შიკმელს, მივ. მამი ნათქომ ნიშ-ნევს იჭერავს. ბეჭრ მივ, ცოტაჲ მივ, ერგან ერ დიდ სახლთან მიდის. თურ-მენი, მამაჲ დანადრვ ნიშნევ დევს რაჭმალი, თავი სახლისყენ წაისლოლ გზაზე ნიშნევ გაჭქევევი. გადაჲ კმაჲ ექცევის სახლი პატრონევს. წინ ერ ბებერ გო-მოლის. გადაჲ ბებერს ებნევ: ექ ჩემ მამაჲ სამკალ თიბავს, უთხარით, მოჭდესაჲ; შიკმელ მამილი, წაატანასაჲ. ბებერ ებნევ: აჲ შულო, შენ რუმ არ გასემიეფუ-ხარაჲ, ექ დევ ცხოვროვს, ექაჭროვაჲ დევისი. გადაჲ ამბოვს, შენ ტყუეხარ, თუ დევისი, წაჲ, უთხარ, ექ მოუღესაჲ. ბებერ მივ, დევს ებნევ: კარზე ერ სემაჲ მოსულ, ამბოვს, ჩემ მამაჲ ექ სამკალ თიბავსაჲ. მე ვებნევ, ექ დევ



ცხოვროვსავე, ყარაზ ველარ ვოგეინევე. ახირი მითხრა: დევ მე ვერ ვდგინებ, წაა, დაჭახან, ექ მოუდესავე. დევიც დგევის, მიდის ორღბეში, გადას ებნევე: მოა, მამაა ყოროდშიდავე, სამკალ თიბავესავე. გადაა რზოში შომოსულითავე გადას ხურყინს ართომს, გრილოში ჟდევ, მამაბე ერ კურუშუ რამ ბუთუშს ჭაშს, ზოლვეს უყრის გადას. ჭმას უჟან გადასაც კაგგორა ტრპავეს, ავდევეს ქოხში.

ჰარაათი ერ კურუშაა გადის, შულ შინ არ ბრუნდევე. დედაა ამბოვეს: ჰელბეთ კაა სამკალი, მამაავე თავისთან ათიბინვესავე. მეორე შულსაც ორ ინსინიბე ერ კურუშაა მიჭმელს უდრვეს, ზგავნის. ისიც დევი ნიშანს უჟან მიდის. დევიც იმ ერ გადაა ეურაათი ექცევე, ავდევეს ქოხში. გადის ჰარაათი ერ თრ. მამაა ნოდის შინ, დეკაცს ებნევე: შენ რაჟურა ინსან ხარა, სამ კურუშაას შერ ვარ, მიჭმელ არ გამიზგავნი. დეკაც ებნევე: შენ რუმ არ გასემევეუხარ, მე ორნიმ გადაა გამიზგავნი, შენ რაა უჟავიყავე? მამაა ებნევე: ჩემთან არც გადაა, არც ჰეჩმინამ არ მოსულ.

ამაშინს უჟან მამაავე, დედაავე შულვე დაკარგააზგანი ხაჟალათდევიან. ერდევა ამათთან ერ კითხავე მოდის, ებნევის: თქონ შულვე დევი კელში არიან. მე თქონ ას მარცოლ პურს მოქცემე, თქონ ას მარცოლით ერ პატრა კოკოა დააკარით, ჭანით. თქონბე ერ გადაა გააჩენელი, სახელიც ას-მარცოლაა დაჭახანით. ამას ხუთ წლამდინ ჰეჩრამ არ გააჩავოთ. ხალყის ერ წელში განაზარდ, თქონისაა კი ერ დღეში გააზარდელიავე. ხუთ წელს უჟან ის წაასლრლი, დევეს მიაკლრლი, თავი ზმევესაც ააყონელი, მიასლრლიავე.

მართლაც, ას მარცოლით აკრზნ კოკოს, კაც-დეკაც იყოფენ, შუკმენ. კითხავე ნათქონისებრა ამათ ერ გადაა უჩნდევავე. ე გადაა ერ წლის ქნუაში, ოკ წლი ვაშკაცევეს აქცევეს ყოვილ. ხუთ წლი ათიევაში ეს ერ ჟანიან კაცთან იჭიდნევე. ამ კაცს ავე აჰყონავეს, ახეთქევეს მიწაზე, რუმ კაც ხივა-ხივა კეჭტევე, კდრ. ამ კაცი დედაა წყეველის ას მარცოლას: დმერთმა შენამ შენ ზმევეთან წავიყონასავე. ას-მარცოლაა მოდის, დედას ებნევის: დედა, მე დიად მაგრა ზუზუა ჩამდომევი. დედაა ებნევე: აა შულო, შემბე სურცხულ არაა, ექწორა ვაშკაც ხარ, ეხლა ზუზუა მოსწოენრაავე. ას-მარცოლაა ებნევე: ჩარაა არა, ჰე მამაწოვ, ჰე კი შენ თავ მასაკლრვარავე.

დედას ჩარაა უწყდევე, გამააქს ზუზუს, უდევეს ას-მარცოლას ყბაში. ას-მარცოლაა ზუზუა ყბაში ჩადევითავე მაგრა კბილევი უჭირევეს, ებნევე: ჩემ ორ ზმაა სა არისა, მითხარივე.

დედაა ებნევე: შენ ორ ზმაა ვერ უცუვარ, ერ კითხავემა თქო, რუმ დევეთან არიანავე.

ას-მარცოლაა დევეის, ააქს თავი მერალ-მერალს, გადის, მიდის. ბეურ მივე, ცოტაა მივე, ახირი დევისა უწევეს. დევი რზოში შასულაში ბებერ ებნევე: შულო, ექ ნუ მოსუხარ შენ. დევ თუ მოჭდა შენ თავ მაკლრლი: ის კაას ეხლითავე გაა, წაავე. ას-მარცოლაა ებნევე: ორ ზმაა უწაჰყონელა ექათი არ წავალავე.

საღმოზე დევ მოდის, ხედენ, ერ კარზე ევერან აქ, ერ კარზე კი ერ დიდ ჩინარ. რზოში შომოდის, ხედავეს, რუმ ერ დიდ ვაშკაც კაც აგრ-იგრ ეტარევის. ერთმერთან სალამ-ქალამ ჩედიან. დევ ებნევე: შენ შომოხედნაში ვაშკაცს მინგავებარავე. მეერ რამ გითხრო შენ: თუ გინდ ევერან გაჰკად, კორც-ზოლ და-

ტყავს, ტყავს გაართბ, თუ არ გინდ, მე შედრან გავკედი, შენ კელით ჩინარ დაკუწი, დაკუწი. ასმარცოლა ებნევე: შედრან გაკედა-დაკუწიგინ ჩინარ დაკეჩად, ასმარცოლა აქს ჩინარს, აგე ახეთქევეს, რუმ ჩინარ ნაფოტ-ნაფოტ კეპტევე-დევი ამი დანახითავ ებნევე: შედრანიც შენ გაპკად, დაკუწიგ.

ას-მარცოლა კისერთანი ცოტა ტყავს ჟიფგნავს, შიგ უბერავს, ტყავს წდრვ. კორცსაც მანათუთქ ქათამივი წიწვნავს, ყრის თიანში, ხარშენ; ასმარცოლა ორ ზმასაც მოჰყონენ. საღმოზე იწყოვს კმა-დალევად. დევ ებნევე ას-მარცოლა ზმევს: ზოლ თქრნ, კორც ჩონავ. ას-მარცოლა ებნევე: აარ, კორც მე, ზოლევ კი შენავ. დევ უჩუმრა ჩევ. ჰერამ ვერ ებნევის.

საღმოზე დააწოლელ დროე კეპტევე. დევ ებნევე ას-მარცოლა ზმევს: თქრნ — ტყავ-მავე, ჩონ — ფართალ-მართალივ. ას-მარცოლა ებნევე: აარ, ტყავ-მავე შენ, ფართალ-მართალ ჩონავ. დევ დგევის, მიდის ქონში დააწოლელა.

ასმარცოლა და თავი ზმევ ფართალში წოვიან, ზმევს ებნევაყ: მე თქრნ ზმად ვარ, თქრნ თავ წაყონელა მოსუვარავ. იმათ იქერავსყ, სხო ოთალში აწონავსყ; თუთან ზმევ დანაწოლ ოთალი კართან დეფინჟს თიპკა აყენევს, ზედ ფაფაყ ხურავს, შიგაც თიპკა შოშკას ურჭომს. თუთან გადის, რზრში ერგან წრვ. დევ ამბოვს: ამამ მე ბუთუმ რადმით ვადმამეტა, მოე, მე წაჭდე, ვე ჰოჭკლო, ვშკომო. დევ ხედავს, ასმარცოლა თიპკა დვას, ახომს ყბას, დეფინჟს, ფაფაყს, შოშკას თქამს. შოშკად ჩათქმითავ დევი მუცელ იკუწიგ, კდრვ. ას-მარცოლა თავი ზმევს, დევი იხტიარს აქს, მოჰყონს. გზაზე ერგან ჟდევიან. ას-მარცოლა ებნევე ზმევს: ზმეო, მე დანშროვარ, ვე მუხაბე მისაყუდევარ; ცოტა დააზინევარ, თქრნ არ დამავდოთ. არ წახუდრთავ. ასმარცოლა დაზინევაში ზმევ ერთმერთს ებნევიან: ჩონ დევთან ხუთ წელი ვართ. ხუთ წელში ჩონ დედ-მამას ექწორა შულ სადთი გეზარდავ? ეს ჰელბეთ სხოვს. დევი თავ თუ ევმავრ მოკლა, ჩონ ჰევ არ მოგუსონრვსავ. იქერენ ას-მარცოლას, სკელ ჟინჟირით მუხაზე ახევენ, კრნ. თუთანაც დგევიან, მოდიან შინისყენ. ერთიც ას-მარცოლა ილწხევეს; მავრა სწაფავს მუხას, ზირი გლეფავს, მუხაყარიშულლ მოდის. ზმევ ხედენ, უკანი ერ კაც თავ წორა ხედ აჭკიდევი, მოდის. ასმარცოლა ეწევაყ, ჰერამ არ ებნევაყ ზმევს. მოდიან შინ. ექ მუხას ახეთქევეს მიწაზე, დედ-მამას უბნევაყ: ესენ თქრნ შულღევი, მე მივდივარავ. ვადის, მიდის. დღესაც ვერ იციან, ას-მარცოლა სა არისავ.


აოჩილ კირიტაშვილი

21. IX. 45.

სოფ. კაზი.

30. სემა ზმად ხაზარ

ყოფილ არ ყოფილ ორ ზმად. ერთ პიწწა სემა-ყოფილ, ერთ კი — ჰკუან. ამათ ერ ფურ ჰქონიაყ. ერ დღე ჰკუან ზმად ებნევის სემა ზმას: წადყუნ ვე ფურ, ვაყიდ. ამბოვს: კად. მიჰყუნს მეორე დილლაზე, ხედავს, ერ ხეზე ერ მიშოვლ. სემა ზმად ფურს მოჰყუნს, აგრ-იგრ ეტარევის, ამ ფური ნაყიდ არ კეპტევე. მიდის, ამ მიშოვლს ებნევის: ე ჩემ ფურ ჰყუდი, იყილია? მიშოვლიც ჰამეშა თავ განარყევ რადმი, თავს იქნევეს. — მა იყილია? სემა ამბოვს. მიშოვლ



კიდემ თავს იქნევს. — ხტალ მოჰდეა მა თეთრ წაღველა? მიშრვლ თაგოქნევს
კიდემ. სემა ზმაა ამბავს ფურს, ექ აგდევს, მივ თუთან.

ჭკუან ზმაა ებნევის: 'აქონა გაჰყიდი? მის მისცი? — ვალა. ამაგ,
ამაგ, მიშრვლ იქდა ხეზე, თქო, რუმ მე ჰყუდლოვავ. მეც ექ ღუამბ, ხტალ
მივდ თეთრ ააღველა.

თენდევ მეორე დილლაა. მიდის სემაა დუხ მიშველთან. ებნევის: თეთრ
მაგილია? ისიც თავს იქნევს. ამბოვს: დეე მააც. მიშველ კიდემ თავს იქნევს.
ამბოვს: მააც, თუარ მააკლრგარ შენ თავ.

სემაა ხედავს, აღარ კეჰტევ, ეს თავ ქნევი-ქნევი დარჩილ, ეს მანაცემ
რაამ არა. ააქს ქრმათი ერ შიშას, რსრტს მიშრვლს, ამა არ ხტრგ, ხეს ხტრგ,
უქანაყ ვარდევ. სემაა შინ ბრუნდევის. ჭკუან ზმაა ამასთან იკიდნევის.

თურმენი ამით გაჰქეთევიავ დოვლაა. ემ ჭკუან ზმას თავი წილ დოვლაა
მაღედთავ უქამი, სემა ზმაა კი უქანახენში შქამს, ჰემაც ჭკუან ზმასთან იკიდნევი;
ე ჭკუან ზმაა ერ ფენდს გონოვს. ერ დროზე თავი სემა ზმაა დოვლაში ფეყ
სცემს. სემა ზმაა თავი ზმას ლამაზა ჰკლავს. სხოვემა ნუ ნახანავ, მოზობლრ-
ვის ახსალ წიკოა იქერს, ჰკლავს, თავი ზმი კოლა მარხავს, ზმას კი ძანზე აგ-
დევს. ერ დროზე მოდიან მილიაციდაარაათი, ემ სემას გომოჰყუნენ, ლამაზა
მილიციამ მიჰყუნს, ტუჰსალში აგდევს.

ივარდო გერასიმეს ძე ოთარაშვილი

17. VIII. 46.

სოფ. ალათემური.

31. სამ ზმაა

ერ ფაჰას ჰქონდა სამ შულ. ამ სამ შულს ჰუთხრა: ადემ ვაშლქრ სამ
კოჰობ ყიზილ დამინარხავ, მე მააკდომვარ, თქონ ვერ საცხოვრებენართ, გამა-
ლით ე ყიზილებ, თითოებე თითო კოჰობ. ერ დროა გაკდა, მოკდო ფაჰაა.
ე პატრა შულმა სამინი კოჰკებ ზმეზიგნი მალივი გამაძლა, წაძლა, -დამარხა-
სხალქრ. ერ დროზე დაქესბდნენ, თქონ: მოათ, ყიზილებ გემოძლოთ, დაფ-
ყოფოთ. წაჰდნენ, მოჰთხარეს, ვერ იპოვნეს. მაეკლივეს. პატრა ზმამ უთხრა
დიდ ზმას: შენ დაგიმაღავ. დიდ ზმამ უთხრა შუალას: შენ დაგიმაღავ, შუა-
ლამ კი პატრას: შენავ. ადგნენ, სამინი ზმებ სულში წაჰდნენ.

ერ სოფელში გოჰწივეს. იქ დოჰხტოყ ერ არაბოლლია. ამამ თქო: ერ
დევაა დამიკარგავ, ნუმ არ დაგინახავ. ამ სამ ზმამ უთხრა: ჩონ ვერ დოგუნა-
ხავ. პატრამ უთხრა: შენ დევაა სალინა თოლით ბრუმად ნუმ არა?

— ჰოჰ, სა ეყო?

— ვერ დამინახავ. პატრა წაჰდნენ, ემ შუალა ზმამ უთხრა: სალინასიან
ქონ, სოლადასიან თაფლ ნუმ არ ეყო?

— სა დაძნახი, წოორო, ჰემაგრ ეყო?

— ვერ დამინახი.

დიდმა თქო: შენ დევაზე გუმანნუ დეკაც ნუმ არ ეყო?

— მართალი, სა დაძნახი?

— ვერ დამინახი. — დედექით, — თქო; არაბოლლია წაჰდა გორც, — მაშ

ე ნიშნებ 'ოგო წოორა ამბობთა, დევად კი ვერ დოვუნახია ამბობთა? — სუღში მივლით ჩონ. — ჰერით, მეც მოჰედ: ადგნენ, წაჰდნენ სუღში. სუღია შინ არ ეყო. სუღიას შინ ერთ კაც აქონდა. ემ კაცმა თქო: შინ არ აღისავ, თქონ დერდ მე მითხარითავ. არაბოლლიმ უთხრა: ერ დევად დამიკარგი, ნიშნებ წოორა ამბობენ, თუთან კი ამბობენ: ვერ დოვუნახავ. ემ კაცმა მოჰკითხა იმ სამ ზმას. პატრა ზმამ უთხრა: მე იქიათი ვიცოდინი, დევად იქიათი წანასულ, სოლადასიანი არ მეეზოვნა, სალინადასიანი მეეზოვნა, იმითი ვიცოდინი. დევად სოლოდაათი ბრუმაქს. შუალა ზმას მოჰკითხა: შენ რად იცოდინი, იქიათი დევად წანასულ?

— მე იმით ვიცოდინ, დევად დაწოლილეყო, სალინადასიან თაფლ ეყო დაღრულ, სოლადასიან ქონ ეყო. თაფლზე ბუზ დაადროდა, ქონზე ჟინკოლაებ. დიდს უთხრა: შენ რა იცოდინი გუმიანუ დედაკაც ქნად იმ დევაზე.

— მე იმით ვიცოდინი, წყალ დეელივა, კელებ დეებუჟა წყლი პირში, წყალ ემაგრ დეელივა.

ემ კაცმა უთხრა: წოორ ამბობენა? — წოორიავ. არაბოლლიმ წაჰდა. ზმებ კი დარჩნენ ერ კურუას. კურუუს თავზე სუღია მოჰდა. სუღია საღმოზე დაწო ფართალში. უთხრა დიდ ზმას: მოა, ჩემზე ერ საათ ყარაჟლ ვასწიგმისცა კმალ, დადგა. სუღია დაზინებაში აყრით აზრაჰილ ჩემოჰდა. ვაღამ დაჰტირა, დაკუწა. ამ ფაჰად დანაწოლ ლოგინ ქრ შააზრუნა. ემაშინ სუღიამ ვამადღუზა. ხედავს, ვაღამ კმალ სწმენდავს. კმად უყო შუალა ზმას: ე ზმად ვავეს კარში, შენ მოა ცოტა ხან. დადგა, უთხრა: წაა, შენ დიდ ზმას კისერ ვაავდებინ, მევლნი მოლა. უმამ ზმად ვერ ვაჰქერა, ვერ მოკლა, ვაავდა, მოჰდა. მოსტლაში თქო: ვერ ვაჰქერ. ესიც ვაავდა. პატრა ზმად მოჰდა; მოჰდა, — ვაა, — უთხრა, შენ ორნიმ ზმებ დაჰკოც, მოლა. პატრამ თქო: ჰემაგრ არა საქმეა? — მა 'ათარია?

— ჩონ საქმეა იმაგრა, რუმ ერ ფაჰასავ ნაცოდნ ჩიტ ჰქონდავ, ი ჩიტ ვაჰშოავ, წაავ, უთხრავ, დედამიწაზე ეტარ, მოლა. წაჰდა, ეტარა დედამიწაზეავ, სამ კურკოა ალა, მოჰდავ. ფაჰას წინ დაწყო ე კურკოებევ. ფაჰამ შაჰხედა, ნოხომავე, მევეად კურკოა. დოჰზახა ბალმანჩიდა, თქოავ: ესენ წაღლ, ჩაყარ, ნოხო, რად ვომოდის. ჩაყრა ბალმანჩიდავ, დიდ ვაშლებ იქნა. მორორე წელს დაახა ამამ ვაშლ. ე ბალმანჩი მოწყუტა ე ვაშლ, მიჰტანს ფაჰასთან საჩონბელა. ი ფაჰასაც ერ დუშმან ვეზირ ჰქონდა. ი ვეზირმა თქოავ: რადსა რადსა ეს? — შარს ფაჰას კურკოა მევეცა, იმით ვამნასულ ვაშლი. ვეზირმა უთხრა: მაღლ, წოაღლოავ. შინ ყმაწულებმა წახან, მევლნი წაჰტან, ფაჰას მევეც.

მისცა ამ ბალმანჩიმ. წაღლა ვეზირმა სახში, ნემსით ავღუე ვარივა შიგ. ვამაღლა, უკანებლა ბალმანჩის მისცა. ამამ წაღლა, ფაჰას წინ დადო: ეჰ, ეს რა კად მევეავსა? — ე შენ ნაცოდნ ჩიტი მანაღებ კურკოათი ამნასულ ვაშლიავ. ეს დაჰტირეს, ვაქცნოს, ყბაში ჩადებაში ეს არ ვაჰშოს შიჰმელა თავი ნოქრობმა. ვამაღლეს, კატას მისცეს, ვატაა ოსსათ მოკდო, ზაღლს მისცეს, ზაღლიც მოკდო, ცხენს აჰმევენეს, ცხენიც მოკდო. ამ ვეზირებმა თქოს: ემეურა რამ მოჰედ მოა, მაგი თავ მოჰაქლოთ. მებაღემ უთხრა: ერ წელ მორლათ



მემეცით. ამ მებაღეს ჰქონდა ას წლი დედად და მამად. წლის თავი ვეღარ
სამდენა ვაშლ დაახსა, ერ ვაშლ ადღა, გაცქნა, თავი დედ-მამას აჭმევდა.

ას წლი თავი დედ-მამად ამ ვაშლმა გააყვდღა, მევლანი თქო: ჰაა, შარბ-
ვაშლებ, რუმ ვეზირმა წაღღა, მოხიბღა, გამაღღა ი ვაშლ, მაღღა, მისცა ფაჭ-
ჩას, უთხრა: ფაჭაღა ას წლი კაც ეყო. ესიც კმაში გაყვდღა. ეხლა შენ ამბო-
ბავ, სუდიას ებნებ, შენ ზმებთ თავ მოჰკალივ, შენზე ჩამნასულ აზრადღი თავ,
მოჭკლავ იმ ზმას, შენ ამბობ — მე მკლავდავ.

იმაშინსუკან ზმებმა უთხრეს, რუმ ჩონ ერ კოჭობ ყიზილ დაეკარგა, არ
ვიციოთ ჩონ სამ ზმაში რემენტანა, ამაზე მოსულგართ შენთან, შენ გარჩივ ჩონ
საქმედ, ნოხოთ 'ემენტანა.

სუდიად დაფიქრდა. მოვლანი თქო, რუმ თქონ ყიზილ პატრა ზმას მოჭ-
პარი, სხალ ქრ დოჭმარხი.

სუდიამ ყასტიბე თქო, თურმენი მართლაც ყიზილებ მანაპარ პატრა ზმა
ყოფილ.

არჩილ სუყაშვილი

23. IX. 46.

სოფ. ალიბეგლო.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ძველი ქართული ენის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1947. I. 15).

ილია აბულაძე

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან

2.* „გა[ნ]ქიქება“

«ვეფხისტყაოსნის» ეს სიტყვა, რომლის შინაარსის დადგენას აქ ჩვენ მიზნად ვისახავთ, პროლოგის ერთ-ერთს სტროფში გვხვდება. იგი შემდეგნაირად იკითხება:

„ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია;
ესე მიჩნს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია,
ფეია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია;
მისი სახელი შეფარვით, ქვემორე შითქვამს, მიქია“.

(საიუბ. გამოც. მე-19 სტროფი).

«ვეფხისტყაოსნის» პირველი ბექდური გამოცემის დროიდან მოყოლებული აღნიშნული სტროფი, როგორც წაკითხვით, ისე ამათუმი სიტყვის გაგებით, ცილობას იწვევდა ტექსტის დამდგენთა და მკვლევარ-კომენტატორთა შორის.

წაკითხვის მხრით, მაგალითად, ვახტანგისეული გამოცემა, ანგარიში რომ არ გაეუწიოთ ორთოგრაფიას, ასეთ სხვაობებს გვიჩვენებს: 1. ესე მიჩნს| ეს მიჩანს; 2. შეფარვით| შეფრქვევით.

პროფ. იუსტინე აბულაძის გამოცემანი თითქმის ისევე წარმოადგენენ ტექსტს, როგორც ეს საიუბილეო გამოცემაშია, ვარდა ერთისა. აქაც, ისე როგორც ვახტანგისეულს გამოცემაში, იკითხება „ესე მიჩნს“-ის ნაცვლად „ეს მიჩანს“.

აკად. ნ. მარო ერთ დროს¹ პირველი სტრიქონის ბოლოს ასე მართავდა: „მას ვაქებ, ვინ ცამ იქია“, ხოლო შემდეგში² ასეთს შესწორებაზე ხელი აიღო. სამაგიეროდ ბოლო სტრიქონის უკანასკნელი სიტყვა — „მიქია“, — რაც პირველად ხელუხლებლად გაუშვა, შემდეგში ასე დაანაწევრა: „(მითქვამს) მი-ქია“; გამოყოფილი „ქია“ კიდევ სპარსული *qaya* არისო, ე. ი. მეფეო. ამას გარდა ამავე სტრიქონის „შეფარვით“ მოცემული აქვს „შეფრქვევით“-ად.

* პირველი წერილი იხ. სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XXVIb, 1944, გვ. 225—229.

¹ Н. Марр, Вступительные и заключительные строфы Витязя в барсовой коже Шоты из Рустава...: ТР по арм.-груз. филологии, кн. XII, СПб, 1910, стр. 2.

² Н. Я. Марр, К Rustaveliana: Известия АН СССР, 1927, стр. 366.

აღნიშნული გარემოება ძველი ქართული ძეგლების მოწმობათაგან ირკვევა ისეთი კონტრესტებიდან, უმთავრესად პროზაული ნაწერებისა, რომლებსაც დროით ახლოს დგას პოემის აღმოცენების ხანასთან. თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ (XI ს.) ბერძნულიდან შესრულებულ ერთ-ერთ თარგმანში, რომელსაც ძამათა ცხოვრება ეწოდება, ისეთ მარჯვე ადგილს („თხრობას“) ვპოულობთ, საიდანაც ნათლად ირკვევა ჩვენთვის საინტერესო სიტყვის შინაარსი. თხრობა მოკლეა, მოვიყვანთ მას მთლიანად:

„სხუა ვინმე ძამა ბრძოლილ იქნა სიძვითა, და წარვიდა ღამითვე ბერისა ვისამე და მიუთხრა მას გულის-სიტყუანი მისნი. ხოლო ბერმან ჯანამკნო იგი და ნუგეშინის სცა მას, და სარკებელ ვყო ძმასა მას, და წარვიდა სენაკად თვსად. და ამა ესერა კჟალადცა მოუკადა მას ბრძოლად იგი და კჟალადცა წარვიდა ბერისა მის, ესე მრავალგზის ყო. ხოლო ბერმან არაოდეს შეაწუხა იგი, არამედ ახარებენ უმჯობესსა და ეტყვნ: „ნუ სულმოკლე იქმნები, ძმარ, ნუცა დაჰსინდები, არამედ უფროსსა რაოდენცა გებრძოდის მტერი, მოხვდოდე და განაჰქიქებდი მას, და თვთ ივლტოდის იგი შენგან ძალითა ჳრისტესითა. და რამეთუ არარაჲ ესრეთ მოაუძღურებს მტერსა, ვითარ გამოცხადებდა საჰმეთა მათთაჲ და კჟალად არარაჲ ახარებს მათ ესრეთ, ვითარ დაფარვად მათ მიერთა მათ გულის-სიტყუათაჲ“ [საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა A ფონდი. № 1105, 138 r-v].

ამ თხრობიდან ჩანს, რომ მონაზონი, რომელსაც ღამით გონებაში ებრძვის ეშმაკი, რათა აღჭუროს ის ცუდი ზრახვებით, არ იმარხავს თავის გულში მტრის აზრებს, არამედ ზედიზედ მიდის სხვა ბერთან, უტყდება მას ყველაფერში და უამბობს მას ეშმაკისაგან შთაგონებულ აზრებს. სოყვასი ბერი ამხნევებს მას ნიადაგ და უნერგავს აზრს, — კარგად იქცევი შენ, შემდეგშიაც ნუ დაიზარებ ხოლმე მოსვლასა და ყოველთვის მტრის განქიქებას, რადგანაც ისე არაფერი არ აუძღურებს ეშმაკს, როგორც მისი საქმეების გაცხადება, გამოქვეყნება, გამოაშკარავება თუ გამხელა. და ისე არაფერი არ ახარებს მას, როგორც შთაგონებული აზრების დაფარვაო. აქიდან, არ შეეცდები, თუ დავასკენი, რომ 1. ამ თხრობის მიხედვით განქიქება ნიშნავს, როგორც იქვეა ნათქვამი, გაცხადებას, ან გამჟღავნება-გამოაშკარავებას, და 2. განქიქება-გაცხადების საწინააღმდეგო ცნება დაფარვა ყოფილა¹.

გაცხადება, თუ გამჟღავნება-გამოაშკარავება, აქ ერთ პირთან ხდება, მაგრამ ამავე ძეგლის ერთი სხვა ადგილიდან („თხრობიდან“) ირკვევა, რომ ის საჯარო ან საქვეყნო ხასიათისაც ყოფილა, მრავალთა საჩვენებლად, ხშირად საკიცხელი ფორმით. თხრობა, რომელიც ამას გვიმოწმობს, ასეთია:

„მოგვითხრა ჩუენ თავისათჳს თვისსა ზამამან მაკარი, ვითარმედ: ოდეს ვიყავ კაბუჯ და ვჯდო სენაკსა შინა ჩემსა ეგვპტეს. შემოპყრეს მე და წარმიყვანეს, და მაკურთხეს ხუცად ქალაქსა შინა. და ვინათგან არა მენება მე თავს დებად, ვივლტოდე სხუასა ადგილსა. და მოვიდა ვინმე ჩემდა გულსმოშიში ერისკაცი და წარიღებნ კელთსაქმარსა ჩემსა და მმსახურებნ მე.

¹ მსგავსი შინაარსით ჩანს ხმარებული განქიქება ძველი ქართულის სხვა ტექსტებშიც. ასე, მაგ., სინის მთის ერთ-ერთ ხელნაწერში (იხ. ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 233), რომელშიც დატულია თხზულება „პირველი სწავლაჲ წმიდისა ეფრემისი მონაზონთა მიმართ“, იკითხება: „უწისაგან განქიქებების ცნობაჲ, ვითარმედ არაგინ ჰხედაეს, და იგი სიტყუათაგან განცხადის“.

პასუხს სტროფის უკანასკნელი სტრიქონი უნდა იძლეოდეს, სადაც ნათქვამია ჩემი თავი ან სახელი კი არა „მისი (ე. ი. ვისაც ავტორი ქებას უძღვრის) სახელი შეფარვით (ე. ი. დაფარვით) ქვემოთ მითქვამს, მიქიაო“.

გა(ნ)ქიქება (ანუ გაცხადება) და დაფარვა, რომლებიც ზემოთა ცხოვრების შემომოყვანილი თხრობიდან ურთიერთის დაპირისპირებით საწინააღმდეგო ცნებების გამოსახატავად იყენენ ნახმარი, აქაც დაპირისპირებული ჩანან: თავი (ე. ი. ჩემი მე, სახელი) მე არ გამიცხადებია, დაფარე ან შევაფარე კი მისი (შესაქები არსების) სახელია:

„ესე მიჩნს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია...“

მისი სახელი შეფარვით, ქვემოთე მითქვამს, მიქია“.

ასეთი კომენტარიდან ძალაუნებურად ის დასკვნა გამოამდინარეობს, რომ «ვეფხისტყაოსანში» ავტორის, შოთა რუსთაველის, სახელი თუ პიროვნება გაცხადებული, ე. ი. გამჟღავნებული არ არის, ხოლო მისი ხელმკმნელისა, ე. ი. თამარისა, შეფარვით არის თქმული და შექებული.

თუ აღნიშნული განცხადება პოემას პროლოგ-ეპილოგიანად ეხება, მაშინ ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ 1. ადგილები, რომლებშიც რუსთაველი იხსენიება (და ეს კი პროლოგ-ეპილოგშია მხოლოდ სამგან), ყალბია და მხარს უჭერს იმათ მტკიცებას, რომლებიც ასეთ სტროფებს მეტწილად ყალბად მიიჩნევენ (ნ. მარისა, პ. ინგოროყვასა და სხვ...), 2. ზედმეტია შიგნით რომელიმე გმირი მამაკაცის სახეში ავტორისა და 3. თამარი კი (ვისდამიც პოემაა შიშვნილი) ამოსაკითხავია გმირი ქალების წყებაში.

* * *

„განქიქებას“ ძირი ქიქ არის. უნებლიეთ იგი გვაგონებს „ქექა“-ს, რომლის ძირია ქექ, რაც ხმოვანშენაცვლებულიც შეიძლება ვივულოთ: ქიქ. ამ ქექ თუ ქიქ-ს განქიქების ქიქ-თან შინაარსობლივი კავშირიც უნდა ჰქონდეს, მთლად შემთხვევითი არ უნდა იყოს ამ ორი სიტყვის ძირის ზგერობლივი შეხვედრა.

ფონემურად მსგავსი ძირი მოეპოვება სომხურსაც. ეს არის *քեր*, რომელიც დამოუკიდებლად არ იხმარება, არამედ დატულია წარმოქმნილს მეტად აშვიათ სიტყვაში, *քերուნი*-ში, რაც „დამცინავ სიცილს, ხარხარს“ აღნიშნავს სომეხი ლექსიკოგრაფების ახსნით.

ამას გარდა სომხურში ყოფილა ხმარებული, როგორც ეს ჩანს ერთ-ერთი ძველი ლექსიკონიდან, რომლის ავტორია XVII ს-ის მოღვაწე ერემია ვარდაპეტი (გამოცემულია 1698 წ.), *քրքի*, რაც განმარტების თანახმად შიშვლობას (*ძიქსანა*-ს) აღნიშნავს, სომხეთის მეცნიერებთან აკადემიის ნ. წ. პროფ. პრ. აჭარიანს ძველ სომხურ მწერლობაში ამ სიტყვის ხმარების მხოლოდ ერთი მაგალითი აქვს შენიშნული, მაგრამ არა ერემიასაგან ნაჩვენები მასდარის სახით, არამედ აბსტრაქციული სახელის ფორმით: *քրքიქი* (აღსანიშნავია ისიც, რომ ამ უკანასკნელს ვარიანტად ჰქონია ნუსხებში *քრქიქი*). მითითებული მოწმობის მიხედვით პროფ. პრ. აჭარიანი მის შინაარსს ზედ-



მიწვევით ვერ აღგენს: „საფიქრებელია ჟურცხვობა, შეურაცხყოფა და სხვა-სხვაში ერემიას ახსნა კი მას მართებულად არ მიაჩნია: „ის წინამავალი სიტყვის მიდევნებისაგან წარმოდგება უცილობლად“. ერემიას მიერ მოყვანილი ფორმითა და პროფ. პრ. აჭარიალისაგან დამოწმებული წყაროს სახით ამ სიტყვებს აღგილი უპოვია ვაბაშაძისა და სომხურ ლექსიკონში (გამოცემულია კოსტანტინეპოლს, 1910 წ.), სადაც ისინი განმარტებულია „შეურაცხყოფელ და ცინვად ან უგუნურ სიცილად“, რაც პროფ. პრ. აჭარიალის თქმით (იხ. მისი ეტიმოლოგიური ლექსიკონი, VI, 1469 გვ.) *ქს.კო.მ.*-იდან მომდინარეობენ.

ზემოთ აღნიშნულიდან ნათელია, რომ პროფ. აჭარიალი შინაარსობლივ ორგანულ კავშირს ვერ ხედავს *ქს.კო.მ.*-სა და *ქს.ქსი.ქს.* თუ *ქს.ქსი.ქს.*-ს შორის. მაგრამ თუ მოვიგონებთ ზემოთ „გა(ნ)ქიქებასთან“ დაკავშირებით მოყვანილ მოწმობებსა და ჩვენ განმარტებებს, აშკარა გახდება, რომ სომხურშიც საქმე გვაქვს ერთისადაიმავე სიტყვის ერთნაირ ხმარებასთან: ერთ შემთხვევაში — *ქს.კო.მ.* = და ცინვასთან — და მეორე შემთხვევაში — *ქს.ქსი.ქს.* თუ *ქს.ქსი.ქს.* = გაშიშვლება-გამოაშკარავებასთან. ამასთან მართალი ჩანს ერემიას ვარდაპეტის ახსნაც, თუნდ იმ მოწმობიდანაც, რომელიც პროფ. პრ. აჭარიალს მოჰყავს: *სი. სერაფიმანსაჲ დაჲ ძს. ქსი.ქს. სან. სიჲ ქს.ქსი.ქს. სან. (var. ქს.ქსი.ქს. სან.) აკბი.ქს.ამრ.*, სადაც *ქს.ქსი.ქს.* თუ *ქს.ქსი.ქს.* უნდა აიხსნას არა *აკბი.ქს.ამრ.*-თან დაკავშირებით, არამედ *ძს.ქსი.ქს.სან.*-თან.

დიდად შეზღუდული ხმარება ჩვენთვის საინტერესო სიტყვის ძირისა სომხურში და მისი შედარებით მკაფიო შინაარსი და დღევანდელი ხმარება ქართულში ამ სიტყვის ქართულობას გვაგვარაუდებინებს. რამდენად მართებულია ჩვენი გუჟანი, ეს მომავლის საქმეა, როცა უფრო მეტად გაგვიმრავლდება მავალი-თები და ჩატარდება მიმოკითხვაც ამ სიტყვისა ქართულის მონათესავე ენებში.

სტალინის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ძველი ქართული ენის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1947. IV. 5).

И. В. Абуладзе

Из лексики Вепхисткаосани

2. „განქიჭება“

Автор ставит целью представить новое толкование слова *განქიჭება*, встречающегося в одной из строф пролога Вепхисткаосани. В указанном месте, по мнению автора, *განქიჭება* означает не „опозорить“, как это трактуется у Н. Я. Марра, Ю. Абуладзе, П. Ингорок-ва и др., а „опубликовать, оглашать, показать или открыть“. Последнее автор устанавливает на основе привлечения показаний других грузинских текстов, с сличением некоторых из них с армянскими материалами. При этом увязывает также корень *ქიჭ* слова *განქიჭება* с корнем армянских слов *քիքևութիւն* или *քիքութիւն* и *քիքումն*.

მაკარ ხუბუა

სალექსიკოლოგიო მუშაობის ისტორიისათვის სპარსული¹


ცნობილია, თუ როდენ დიდი სიძნელები ახლავს თან მართებულ ფორ-
მებში წარმოებულ სალექსიკოლოგიო ხასიათის მუშაობას საერთოდ. ხოლო გან-
საკუთრებული გულსყური და დიდი ენერგია სჭირდება ვრცელი ლექსიკონების
შედგენას ისეთ ენათა მიმართ, როგორცაა, მაგალითად, სპარსული, ქართული
და ა. შ. კერძოდ, ქართულში ხსენებული მიმართულებით სათანადო მუშაობის
ჩატარების შესახებ განთქმული ლექსიკოგრაფი სულხან-საბა ორბელიანი თავის
„ანდერძანამავში“ შენიშნავს:

„ფრიადი შრომა დამიცს ამა წიგნსა ზედა, რამეთუ ქართულთა ენათა
ლექსიკონი აღარა იპოებოდა...“ და სხვა.

მართალია, სპარსულ ენაზე ლექსიკონები საკმაოდ მოიპოვება, მაგრამ
გაზრდილ მოთხოვნილებას (ამომწურავ ცნობათა მოწოდების მხრივ) ვერც ერთი
მათგანი ვერ აკმაყოფილებს. ეს გარემოება ყველაზე უფრო მწვავედ არ შეიძ-
ლებოდა არ ეგრძნო ამავე ენის საუკეთესო სპეციალისტს, აწ განსვენებულ
იური მარს, რომელმაც, სათანადო ობიექტის ღრმად და ყოველმხრივ
შესწავლის შემდეგ, მოჰკიდა ხელი სპარსული დოკუმენტირებული ლექსიკონის
შედგენას.

სათანადო სპეციალისტებისათვის ცნობილია და საბჭოთა საზოგადოებრი-
ობისთვისაც არ არის უცხო იური მარსის ღვაწლი, მამართული სრული სპარ-
სული ლექსიკონის შედგენისაკენ; ვინცობთ აგრეთვე პრაქტიკულად მის მიერ
ამ მხრივ გადადგმულ ნაბიჯებს, მის მიერვე დეტალურად დამუშავებულ გეგმას
და სხვა. ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ის გარემოებაც, რომ ხსენე-
ბული გეგმის ცხოვრებაში განსახორციელებლად საბჭოთა კავშირის ირანისტებ-
თან ერთად აქტიური მონაწილეობა უნდა მიეღოთ სათანადო ორგანიზაციათა
წარმომადგენლებს, თუ დაინტერესებულ პირებს, თვით ირანში, სადაც მეოცე
საუკუნის დამდეგიდან უკვე მკვეთრად გაისმის საგანგაშო ხმები სპარსული
სალიტერატურო ენის დაკნინებისა და ხალხურ ცოცხალ მეტყველებათა საუნ-
ჯის უგულვებელყოფის შესახებ.

¹ წაკითხულია მოხსენებად სპარსული ენის კათედრაზე 1936 წ. იური მარსს გარდაცვა-
ლებიდან ერთი წლის თავზე.



ამ პრობლემასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა კარგა ხანია რაც სათანადო სპეციალისტთა ყურადღების ცენტრში დგას, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე თვით ირანში.

იმის საილუსტრაციოდ, თუ თვით ირანში როგორი შეხედულებისა არიან დამკვიდრებული სალიტერატურო ენის ნორმათა და სალექსიკოლოგიო ხასიათის მონაცემთა დამუშავების შესახებ, საკმარისია მოვიყვანოთ მაჰმუდ ერფანის წერილი, რომელიც მოთავსებულია ირანულ ჟურნალის „შაჰანდე“-ს 1927 წლის № 7-ში და რომელიც ითარგმნა ჩემ მიერ, განსვენებული იური მარის რჩევის თანახმად.

გარდა იმისა, რომ ავტორი იძლევა ერთ-ერთი განთქმული სპარსული ლექსიკონის მკვეთრ დახასიათებას და თან ამაზვილებს მკითხველის ყურადღებას სპარსული სალიტერატურო ენის დაცემისა და დაცინების საკითხებზე, წერილი მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ ის ეკუთვნის ფერდოუსის იუბილესთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირში ჩამოსულ აკადემიკოს სეჟიდ ნაფესის მამას.

ფარჰანგე ფარსი

ბე ყალამე ალნაჟე მაჰმუდ ერფან

დო სალ ყაბლ მოსნაფირი აზ ჰენდუსთან ბე თეჰრან ანად ვა აზ ჯომლტეჟე ქეთაბჰაჟე ქე ჰამ რაჰ დეშთ „ფარჰანგე ანანდრაჟ“ ბუდ. ნეგარენდე ჩუნ ესმე ჩენინ ქეთაბრა შანიდე ბუდამ ვა მაალ დეშთამ ონრა ბე ბინამ, ბე ეშთისეი თამამ მოსნაფირრა მაჰათამ ვა ქეთაბრა ბე არიათ გერეფათამ.

ინ ქეთაბ პავიჟე ლოლათე ფარსი ვა არაბი ვა თორქი ვა ჰენდისთ ქე თადრიჯან ვარედ ზაბანე ფარსი გარდიდე ვა თაყრიბან ბისთ სალ ყაბლ ბე ჩანთე სანგი დარ სე ჯელდ დარ ჰენდუსთან ბე თაბე რასიდე ვა ყანთე ვა ზახანთ ჰარ ჯელდი ბარაბარე „ფარჰანგე ანჯომენეარნაჟე ნასერი“ ასთ.

აზ ზამანი ქე სოლთან მაჰმუდ ყახნაჟე მამლაქათე ფაჰანგარე ჰენდუსთანრა დარ ნავარდიდ, ზაბანე ფარსი დარ ონ სარზამინ ჰრქუმათ ჰარდ ვა ჰარ შერე ბოზურგი ქე ხასთ აჟარე ხიშრა დარ სოლოქე ნაჰმ ბი ოვარდ ზაბანე ფარსირა ეხთარ ნომუდ. ბე ჰადი ნოჟუზ ინ ზაბან დემანა გერეფათ ქე აქსარე დავინე შოარნაჟე ფარსი ვა აყლაბე ფარჰანგჰაჟე ფარსი დარ მათაბეჟე ჰენდუსთან ბე ჩანთე რასიდ. ვალი ბად ბახთანა ინ როვნაყ ვა შოქუჟე ზაბანე ფარსი დარ ჰენდუსთან დირ ნაფჰაიდ ვა აზ მაქ ყარნ ყაბლ ჰამ შოარანი ქე დარ ჰენდ ნაშიმან დარანდ ქამთარ შეერე ფარსი გოჟათე ვა ჰამ ქოთობე ფარსი ქამთარ ბე თაბე რასიდე ბე თოჯრი ქე ჰარ გაჰ ქეთაბჰაჟე ფარსირა ქე ამრუზ დარ ჰენდუსთან თაბე მიშავად ბაჟანჯაჰ სალ ყაბლ მოყაჟესე ქონიმ, მითავონ გოჟათე ფანჯაჰ მართაბა თანხილ ქარდა ასთ¹.

¹ შადდ ბაჟი თასავორ ქონანდ ქე აგარ მათბუათე ფარსი დარ ჰენდუსთან თანხილ ნომუდ, დარ ირან თარაჟი ჰარდა, მაჟნი ქეთაბჰაჟე ქე სანეჟან დარ ჰენდ ჩანთე მიშოდ, ამრუზ დარ ირან ბე თაბე მირასად. ვალი ნა ჩენინ ასთ. დარ ჰენდუსთან თარჯომაჟე თარიხე თაბარი,

შაჰანგე, ნეჰამი, მანჟეჰრი, მასნაჟი ვა დივანე მოლნაჟე რუმი, სენარ, ათარ, ჰაჟე ვა სადი, სანე თაბრიზი, ბორჰანე ყანთე, ყიჟასოლ ლოყათ ვა ლაჟარ ჩანთე მიშოდ. ვალი ამრუზ დარ ირან რო-



საბეყან ზაბანე ფარსი ბე ყადრი დარ ჰენდუსთან ეყთებარ ვა რაგანე დანით ქე მომქენ ასთ ბე გუჟიმ, პარ გაჰ თაგორ შანერე მადრუჰ ვა მოსსერე ჰენდ დარ დო ყარნ ყაბლ მი ზისთ, ყესმათი აზ მანზუმანთე ნლამგირე ხოდრა ბე ზაბანე ფარსი მი სორულ. ამა ამრუჰ ქე ინ ზაბან შოქუჰე სანბეყრა აზ დასთ დანდ თანელიჰ ვა თაბეე ქეთანბე მოკსელი მანანდე ფარჰანგე ნანდრაჯ ბანეს თაყა-

ჯობე ნეგარენდა გარდიდ ვა ჩუნ დიბანაჰე ონრა რანდამ, მაყლუმ შოდ ქეთანბე მაზბურ დარ ფართოვე თაშვიყ ვა ჰემანთე აქ ნაფარ აზ რაჯაჰანდე დანეშე

დუსთ ნავეშთან შოდან ვა ჰამონ რა რანჯანდე ბოლანდ ჰემათ მახარეჯე თაბე ვა ნაშრე ონრა ნიზ ბე აჰდე გერეჰათ ასთ. ნეგარენდს ათლ ნა დანთან ქე დარ თეჰრან აქ ნაფარ ჰამ მი თავანად ვუჯულ დანთან ბანად ქე ბედუნე ჰიჩ აჯრო ბედუნე ჰიჩ გუნს ჰემანთე ვა თაშვიყ ომრე ხიშრა დარ თალიჰე ფარჰანგი სარჰ ქონად ქე ჰამ ჯანმეჰნათარ ვა ჰამ მარლუბთარ აზ „ფარჰანგე ნანდრაჯ“ ბანად.

ინ ფარჰანგე გომნამ ქე მოალეფაშ მარჰუმ მირზა ალი აქბარ ხან ნანემ-ოლ ათებანსთ დარანი სად ო ფანჯანჰ ო ჰამთ ჰანარ ვა სი სად ო ჰამთანდ ო აქ ლოლათ მი ბანად ქე ფანჯანჰ ო ჰამთ ჰანარ ო ჰამთსად ო ჰაჰთანდ ლოლანთე ონ ფარსი ვა მანბაყი არაბი ვა ბანუხი ლოლანთე თორქი ვა ფარანგი ასთ ქე დარ

ზაბანე აშე ვარედ შოდან მესლე ანილყე ვა სანმეგარ.

ინ ქეთანბ დარ სე ჯელდ ვა სე ჰანარ ო დევისთ ო ფონზდეჰ საჰჰა თამამ მიშავად ვა მანანდე ექსარე ქოთობე ლოლანთ ბე ჰურუჰე აბთინსი მანზომ გარდიდს ვა ლოყანთე არაბი ვა სანიჩ ლოლანთე ბიგანერს დარ ზემენე ლოლანთე ფარსი ზაბთ მიქონად ვა ჩუნ ლოლანთირს ზეჰრ მი ნომანდე თამამ ლოლანთ მოთარადეჰე ონრა ყაჰდ მი ქონად ვა ბარანდე ინ ქე ლოლანთე ფარსი აზ არაბი მო-

შანხას ბანად ჯელოვე ლოლანთე არაბი ჰარჰ (ჲ) ვა ჯელოვე ლოლანთე ფარსი სე ნოყთს გოზარდანასთ. მასალან დარ ლოლანთე თ(ა)ჰ მინავისად:

„თ(ა)ჰ გარმი ვა ჰარანრათ ვა როჯნაყ ვა ფართოვე ვა ბოხარ ვა ლობარ ვა ოჰენათ ვა ფუსიდაგრ ვა განდ“.

ქანბოლ ვა აქ მოშთე ქოთობე ქელასი ქე ჰანდე ონან ბარ ჰამან მადლუმ ასთ ბე თაბე მირასად აგარ დარ ქეთანბანდე ქელასიე თეჰრან ნახირ აქ დასთა თამლიჰე ნაჰის ნლანე მირზან აბდოლ აზიმ ხან გერეგანჩ ვუჯულ დანთან ბანად ენჰეთანთე მათბუნთე თეჰრანრა სალბ ნამიქონად, ზირს

ბე ყოველ თოლანბე ყადიმ „ჰოქმ ბარ ნყლად ვარედ მიშავად“ ვა აგარ ჰემთე აყყანჰ „გიბბ“ ვა მოსთაშრეყინ ნყლამაყან ნა ბულ, ქეთანბანდე ზიყიმათე ფარსი ქე დარ ფარანგესთან ჩანუ შოდადე ფარსის მომჰსერე ბულ ბე ქეთანბანი ქე სანბეყან დარ ჰენდუსთან ბე თანბე რასიდა ვა ქეთანბანი ქელასი ვა რომანანი ქე ამრუჰ. დარ თეჰრან ჩანუ მიშავად ვა მიანენე მარდომ მონთანშერ ასთ.



დარ ქნლემიდე არაბი ავალ ბე ზეკრე მინნი ვა ესთერან ასლი ონ ფარდანსა სეფენს მაჭჳმირან ქე დარ ზაბნენე წარსი ფედენე ქარდასთ ზეკრ მი ქონად. მისალან დარ ლოლნთე ქენნაა მი ნავისად.

„ე ქენნაა გოჭთანე სოხანი ქე ბარ ღნორე მოვზუეზოდ დალნლათ ქონად ვა და ლაჭზ გოჭთან ვა ლადრ მადლულადე ონრა ერნდა ქარდან ვა და გოჭთანე სოხანი ბე ლაჭზი ქე მაყნიდე ჰაყიყი ვა მაჯუზიე ონ ჰარ ღო ბარნბარ ბაშად.

• : ქენნაა (1) მაყხუზ აზ თაზი სოხანი ქე ბარ ლადრე მაყნიდე მოვზუე ხოდ დალნლათ ქონად ვა სოხანე ფუშიდნ ქე მაყნიდე ონ სარიჰ ვა ზაჰერ ნა ბაშად.

ჩენანჩე ინ წარჰანგ ბე თაბე რასად ბარნდე ადაბინთე წარსი ვა მაყნიე სოხანნი ქე ამრუზ მაყმულ ასთ ჰამ აზ წარჰანგჰანდე წარსი ვა ნა არაბი მოთა-

სარაჭე ონრა ნა გარდიდნ მიდბიმი ვა ჩუნ ინ ქეთაბ ბადე აზ მორაჯაა ბე ქოთობე ლოლნთი ქე ამრუზ დარ დასთრასე მასთ თაყლიჭ გარდიდნ აზ ჯამყნვა-

რიდე წარჰანგჰანდე მოთაადეღ მოსთაყნი ხაჰიმი ბულ. მისალან ქალემბდე თაჭრანქე დარ ჭოყეე ზეკრ ქარდიმი აგარ ბე წარჰანგე ბორჰანე ყნთე რაჯე ქონიმი ნაეიშთას ასთ:

„თა ბე წათჰე ავალ ვა სოქუნე სანი ბოხარ ვა ჰარნრათ გარმირან გუდანდ ვა როჯშანი ვა ფართოჯრან ჰამ გოჭთაბანდ ვა ბე მაყნიე ოჭუნათ ჰამ ჰასთ ვა ბე ზამე ავალ აბე დაჰან ანდნხთან ბაშად“.

დარ წარჰანგე ანჯომან არნდე ნასერი მი ნავისად:

„თა ბელწათჰ ბოხარ ვა გარმი ვა ბე მაყნი ბე როჯშანი ვა ფართოჯ ნიზ ომიდა... წარჰანგე ანჯომან არნ ბარნდე ჰარ დაქ აზ ლოლნთე მოთარნდეჭე (თა) შეყლ შაჰედ მი ავარად.

წარჰანგე მალჰჰემე შირზან ალი აქბარ-ხან მინანდე ქოთობე ლოლნთე მოჭანლე ურუფენი ჰარ-ჰარჭირან ინ გუნან შორუ მი ქონად.

„შ“ ჰარჭე შონხდაჰომი აზ ალენჰანა აბჯალი ვა ონრა შინ თალაჭოზ ქონანდ ვა შინე მაყუთა ვა შინე მოყჯამა ვა შინე ყორეშათ ნიზ ნამანდ ვა დარ ჰესნბე ჯომანლ სისად ბაშად“.

ხოშბახთანა დარ ოსულე თაყლიჭ ვა თანზიმი ინ ქეთაბ ბიშ აზ სე ნაყს ნა შითაგონ დაჭთ:

ავალ-ჩუნ ლოლნთირან ზეკრ მი ქონად ნა ბარნდე ონ ვა ნა ბარნდე ლოლნთ მოთარნდეჭამ შავაჰედე ზეკრ ნა მი ნომიდად აგარ ბარნდე ჰარ ლოლნთი ვა ჰალ მოთარნდეჭე შაჰედე აზ ნაზმი და ნასრე ასთიდე სოხან მი ავორდ ბარ ეყთებარე ქეთაბ აჭხულან მიშიდ.

ლოგომ-პარ გვპ ბარაშე პარ ლოდნთი მოთაეაზენი ზეჟრ მი ქარდჳ მანკარდჳ
ნავეშთა მიშოდ:

„თაჟ ბარ ვაზნე ქაჟ“ ან თჟ ბე ჭათჟე ავალ ვა სოქუნე სანი. პარ ჩანდ
ჰეჟმე ქეთანბ მი აფხულ ვალი ბე ჰამან ანდნაზა არზეშე ონრა ზინდ მი ქარდ
ავარ ჩე მოალეჟჳ პარ ლოდნთირან ბა ეგრანბ ზაბთ ჭარმულა, ვალი ეტეებარე
ზეჟრე ვაზნ ბიშ ან ზამთე ეგრანბ ასთ; ბე ელღვა მომქენ ბულ ჰამ ეგრანბრან ზაბთ
ქარდ ვა ჰამ ვაზნე ლოდნთირან ზეჟრ ნომულ.

სეგომ-ჩენანჩა დარ მათნ ან მოყადამაჟე ქეთანბ ქოთობი ქე მაყხან ვა
მორაჟაჟე მოალეჟჳ ბულდასთ ანდ დანთ შოდან ბულ აჰამიდათე ქეთანბ ჩანდინ
ბარანბარ ბიშ მიგარდიდ ან ყარანე მახჟურ მოალეჟჳ ბან ჰემათე ონ ფას ან
ჰარანლათ ან ქარ დარ ნაზარ დანთანასთ ნოყადამაჟე მოჰასალი დარ ხოსუსე
თარინე ზაბან ვა სარჰონაჰვე ონ ვა ქოთობი ქე ასნდე ქეთანბ. ბულდასთ ბე
ნეგარად, ვალი ჰამანა ბან უ დარი ნა ქარდან ვა აჯალ მოჰლათ ნა დანდასთ ვა
ჩუნ მოსავადაჰანე მოალეჟჳ ბან ქეთანბჰანე ირანი ვა არაბი ვა ჭარანგი ქე დარ
თალიჟე ქეთანბ მოსთანად ბულდასთ მაჰჟუზ ვა მანზომ ბანყი მანდან ონ ნაყისარან
დარ მოყყე თაბეჟე ქეთანბ მითავონ რაჟჳ ქარდ.

ბან ონ ჰალ ბან ქეთანბე მაზბურ ბეჰთარინ ვა ჯანმეყთარინ ჭარჰანგი ასთ
ქე დარ ზაბანე ჭარსი ნავიშთან შოდან ვა პარ ქას ბე თაბეჟე ონ მომანდარათ
ქონად ბე ჰამონ ანდნაზა ქე მოალეჟჳ ბოზორგევრან ბე ჭარსი ზაბანან მენათ
დარად უ ნიზ ბან ონ ზაბან ხედმათ ქარდან ასთ.

თარგმანი.

სპარსული ჭარჰანგე

ორი წლის წინათ ინდოეთიდან თეირანს ჩამოვიდა ერთი მოგზაური და იმ
წიგნთა შორის, რომლებიც გზაში თან ჰქონოდა, იყო „ჭარჰანგე ანანდ-
რანჳ“. ამ სტრიქონების ავტორს როგორც კი მესმა ასეთი წიგნის სახელწო-
დება, მოვიწადინე მისი ნახვა და დიდი ინტერესით მოვეძებნე მოგზაური, რომ-
ლისგან წიგნი დროებით მივიღე.

ეს წიგნი შეიცავს სპარსულ, არაბულ, თურქულ და ინდურ სიტყვებს, თან-
დათან შესულს სპარსულ ენაში; და დაახლოებით ოცი წლის წინათ გამოიცა
ინდოეთში ლითოგრაფიულად სამ ტომად, რომელთაგან თითოეული ფორმა-
ტითა და სისქით უდრის წიგნს:

„ჭარჰანგე ანჯომენე არანჟე ნანსერი“.



მის შემდეგ, რაც სულთან მაჰმუდ ლაზნაველმა დაიპყრო ინდოეთის უდიდესი ქვეყანა, სპარსულმა ენამ პოვა ფართო გავრცელება მთელ სახელმწიფოში; და ყოველი დიდი პოეტი, რომელიც მოისურვებდა პოეტურ ფორმებში გამოეთქვა თავისი აზრი, ამისათვის ირჩევდა სპარსულ ენას. ასეთი გავლენის შედეგად იყო ის, რომ ირანელი პოეტების ლექსთა კრებულის უმრავლესობა და სპარსული წარმანების (ლექსიკონების) უდიდესი ნაწილი ინდოეთში იბეჭდებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, სპარსული ენის ამ ბრწყინვალე აყვავებამ დიდხანს ვერ იარსება ინდოეთში. რომ ავიღოთ ის პოეტები, რომლებიც ასი წლის წინათ ცხოვრობდნენ და მოქმედებდნენ ინდოეთში, მათი ხელიდან ცოტა გამოსულა პოეტური ნაწარმოები და სპარსული წიგნებიც ცოტა დაბეჭდილა; ასე რომ, ის სპარსული წიგნები, რომლებიც ამჟამად იბეჭდება ინდოეთში, რომ შევადაროთ მძას, რაც იყო ორმოცდაათი წლის წინათ, შეიძლება ითქვას — [მთელი ეს საქმე] ორმოცდაათჯერ ჩამოქვეითებულია¹.

წინა ხანებში სპარსული ენა იმდენად სარგებლობდა ავტორიტეტით და იყო ხმარებაში, რომ, შეიძლება ითქვას, თანამედროვე სახელგანთქმულ ინდოელ პოეტ თავორს რომ ეცხოვრა ორი საუკუნით ადრე, თავის პოეტურ ქმნილებათა ნაწილს დაწერდა სპარსულ ენაზე. ხოლო ამჟამად კი, როდესაც ამ ენამ¹ დაკარგა თავისი ყოფილი სიდიდე, ისეთი საფუძვლიანი წიგნის შედგენა და გამოცემა, როგორც არის „წარმანე ანანდრაჯ“, იქცევა [ამ სტრიქონების] ავტორის გაკვირვების მიზეზად. როგორც კი გავეცან მის წინასიტყვაობას, ცხადი შეიქნა, რომ ხსენებული წიგნი დაწერილა ერთ-ერთი მეცნიერების მოყვარული რაჯა-განის წახალისებისა და მფარველობის სხივთა ქვეშე და რომ თვით ამ მალალ [ზუნებოვან] რაჯას თავის თავზე მიუღია ამ წიგნის ბეჭდვასა და გამოცემასთან დაკავშირებული ხარჯები. [ამ სტრიქონების] ავტორს არ ჰქონდა ცნობა, რომ თეირანში შეიძლება მოინახოს ისეთი კაცი, რომელიც უსასყიდლოდ, სხვისაგან წახალისებისა და მზრუნველობის გარეშე, თავის ცხოვრებას მოანდომებდა ისეთი

¹ შეიძლება ზოგიერთმა წარმოიდგინოს, რომ თუ კი ირანული წიგნების ბეჭდვა ინდოეთში დაკნინებულია, იქნებ ირანში ვითარდებოდეს წარმატებით ეს საქმე! ე. ი. ის წიგნები, რომლებიც წინათ იბეჭდებოდნენ ინდოეთში, ახლა ქვეყნდება ირანში! მაგრამ ეს ასე არ არის! ირანულ წიგნებიდან ინდოეთშია დაბეჭდილი: ტაბარის ისტორიის თარგმანი, შაჰნამე, ნეზამი, მანუჩქარი, მესნევი და დივანი ჯელალედინ რუმის, სენაი, ატტარი, ჰაფიზ, საადი, საებ თაბრიზი, ბორჰან ყათე, გიასთალლუფა [ცნობილი ლექსიკონები] და სხ. ხოლო ამჟამად კი ირანში იბეჭდება რაჯამბოლ [ფრანგული ავანტიურისტული რომანები] და სახელმძღვანელოთა უმნიშვნელო რიცხვი, რომელთა „ღირსება“ ყველასათვის ცნობილია. თუ რომ თეირანის სახელმძღვანელოთა შორის გამოერევა ხოლმე ღირსშესანიშნავ ნაწარმოებთა სერია, როგორც, მაგალითად, მირზა-აბდოლ აზიმ-ხან გერეგანი, ეს გარემოება არ შეიძლება გამოყენებულ იქნას თეირანის ბეჭდვითი საქმის დაცემის უარსაყოფად, რადგანაც ძველი სასკოლო (ტრადიციული) თქმისდა მიხედვით „დასკვნა კეთდება სიმრავლის მიხედვით“, და რომ არ ყოფილიყო წიგნთა საგამომცემლო საზოგადოება — „გიბზ“-ის მალალი ზრახვები და მფარველობანი, მაშინ ის ძვირფასი ირანული წიგნები, რომლებიც ევროპაში იბეჭდება, დავიწყებას იქნებოდა მიცემული და ამჟამად დაბეჭდილი ირანული წიგნები შეიძლებოდა განსახლდრეულიყო იმით, რაც დაიბეჭდა ინდოეთში და იმ სახელმძღვანელოებითა და რომანებით, რაც ახლა იბეჭდება თეირანში და ვრცელდება საზოგადოებაში.

ფარპანგის შედგენას, რომელიც შეიძლება ყოფილიყო უფრო მეტი მნიშვნელობისა და მისაღები, ვიდრე წარპანგე ანანდრაჯ.

ეს უცნობი ლექსიკონი, შედგენილი განსვენებულ მირზა ალი აქბარ-ხან ნახემ-ოლ-ეთებას მიერ, შეიცავს ას ორმოცდა თერამეტ ათას სამას ოთხმოცდა ერთ სიტყვას, რომელთაგან 58870 სიტყვა ირანულია, ხოლო დანარჩენი არაბული, რამდენიმე კი თურქული და ევროპული, შესული ხალხურ თქმებში და ხმარებული ყველა ენაზე, როგორც, მაგალითად, დაილალი, სანოვარი და სხვ.

ეს სამტომიანი წიგნი შედგება სამიათას ორას ორმოცდაათ გვერდისაგან და, ლექსიკონთა უმრავლესობის მსგავსად, სიტყვები დალაგებულია ალფაბეტზე. არაბული და სხვა უცხო სიტყვები ირანულ სიტყვებშია შეტანილი და როდესაც ახსენებთ რომელიმე სიტყვას, ყველა, ალფაბეტებზე მომდევნო, სიტყვები შეტანილია მასთან ერთად, ხოლო, რადგანაც ირანული სიტყვები განიხივეთ არაბული სიტყვებისაგან, ამიტომ ამ უკანასკნელთა წინ დასმულია ასო „ე(ც)“; ირანული სიტყვების წინ კი სამი წერტილი. მაგალითად სიტყვა „თაფ — სითბო, სიცხე, ალი, სხივოსნობა, სინათლე, ბრწყინვა, სხივი, ორთქლი, მტვერი, სიმყრალე, სიღამპლე, დაშლა-დარღვევა“.

არაბულ სიტყვებთან, მათ ცნებათა და ძირითად მეტაფორულ მნიშვნელობათა დასადგენად, პირველად მოცემულია სიტყვის ძირი, ხოლო შემდეგ მოხსენებულია ის შინაარსი, რომელიც შეეფარდება სპარსულ ენაში აღმოჩენილ გაგებას. ასე, მაგალითად, სიტყვა „ქენაჯე“ (მეტაფორა)-ს შესახებ ის წერს:

„ე [არაბული]“ ქენაჯე (მეტაფორა) [ნიშნავს] — ისეთი სიტყვის თქმას, რომელიც მიუთითებს, ანდა იგულისხმებს სხვა მნიშვნელობას, ვიდრე იმას, რაც მასში ჩვეულებრივად მიიჩნევა ხოლმე, და ენიჭება მას სხვა აზრი გადაკვრით თქმაში. (სხვანაირად რომ ითქვას, ეს ნიშნავს) ფრაზაში ისეთი სიტყვის ხმარებას, სადაც მისი ნამდვილი და მეტაფორული მნიშვნელობა თანაბარია.

სიტყვა „ქენაჯე“ ნახესხებია არაბულიდან და მიუთითებს სულ სხვა მნიშვნელობაზე, ვიდრე (ჩვეულებრივად) იგულისხმება ხოლმე მასში; და (ეს ისეთი) სიტყვაა, რომლის ფარული მნიშვნელობა ვერ არის სავსებით ცხადი და განსაზღვრული.

როდესაც ეს ლექსიკონი დაიბეჭდება, მაშინ ირანული ლიტერატურისა და ამჟამად ხმარებულ სიტყვათა მნიშვნელობისათვის ჩვენთვის საჭირო აღარ იქნება დღემდე დაბეჭდილი ლექსიკონები არც ირანული, არც არაბული. გარდა ამისა, ჩვენ აქ ვპოულობთ მნიშვნელობას ისეთი არაბული სიტყვებისას, რომელთაც ირანულში მიუღიათ მეორადი მნიშვნელობა, რა სახითაც ჩვენ მათ ვერ ვპოულობთ ვერც ერთ ლექსიკონში, ვერც ირანულსა და ვერც არაბულში, რადგანაც ეს წიგნი დაიწერა სხვა ლექსიკონთა შემდეგ, რომელიც ასე საკმაო რაოდენობითაა ჩვენს განკარგულებაში. და თუ, მაგალითად, სიტყვა „თაფ“-ის განსაზღვრისათვის, რომელიც ზემოთ მოიხსენიეთ, მივმართავთ „ბორპანგ ყათე“-ს, (იქ) წერია:

— „თაფ დათბით თავში და მომდევნო სუქუნით გაგებულია, როგორც ორთქლი, სიცხე, სითბო, აძლევენ აგრეთვე სიმყრალის მნიშვნელობას, ხოლო უკეთეს თავში დაესმის ზამმა, მივიღებთ „ფურთხება“ (დაფურთხება)-ს.



„ჭარჰანგე ანჯომენე არაჲე ნასერი“-ში სწერია:

„თაჲ ჭათჰით ნიშნავს ორთქლს, სითბოს, იხმარება აგრეთვე და სხივის მნიშვნელობით... ჭარჰანგე ანჯომენ არა ალებულ სიტყვის (თაჲ) თითოეულ მომდევნო მნიშვნელობისათვის ასახელებს ლექსებს.“

განსვენებულ მირზა ალი აქბარ ხან, ევროპულ ლექსიკონთა მსგავსად, თითოეულ თანხმომავანს იწყებს ამნაირად:

„შ — მეთექვსმეტე ასოა სპარსული ალფაბეტით, ხოლო ოცდა პირველი აბჯედით. უწოდებენ მას — შინ — უხმობენ აგრეთვე — შინ მანყუთე („შ“ წერტილიანი), შინ მომჯამე და შინე ყორომათ-საც სახელს დებენ; რიცხვის მნიშვნელობით უდრის — 300“.

საბედნიეროდ, მასალათა დალაგებისა და განაწილების მხრივ ამ წიგნის ძირითად ნაწილში მე ვერ აღმოვაჩინე სამზე მეტი ნაკლი:

პირველი — როდესაც (ავტორი) ახსენებს რომელიმე ტერმინს, არც მისთვის და არც მომდევნო სიტყვათათვის არ მოყავს ამხსნელი მაგალითები, ხოლო მას რომ მოეყვანა მაგალითები ლექსებიდან და პროზულ ნაწარმოებებიდან, როგორც თითოეულ ტერმინისა, ასე მომდევნო სიტყვათათვის, მაშინ წიგნის მნიშვნელობა გაიზრდებოდა.

მეორე — ყველგან თითოეულ სიტყვისათვის მოხსენებული აქვს პარადიგმა ლექსთაწყობისათვის; მაგალითად, სწერია: „თაჲ ბარ ვაზნე ქაჲ“. ანდა, თაჲ ჭათჰით თაჲში და მომდევნო სუქუნით.

[ყველა ეს] რამდენად ადიდებს წიგნის მოცულობას, იმდენადვე აძვირებს მის ღირებულებას. თუმცა ავტორი იძლევა თითოეული სიტყვის გრამატიკულ ანალიზს, მაგრამ ზომის [მეტრის] აღნიშვნა გრამატიკულ ანალიზზე უფრო მნიშვნელოვანია; პირიქით, შეიძლებოდა გრამატიკული ხასიათის გარჩევაზე ლაპარაკი და მასთან ერთად მოხსენებული ყოფილიყო სიტყვების ზომაც.

მესამე — წიგნის ღირსება გაიზრდებოდა გამოყენებულ ლიტერატურაზე რომ ყოფილიყო მითითებული ტექსტში ან წინასიტყვაობაში. ავტორს განზრახვა ჰქონია მოეცა წიგნის დამთავრებისას დაწვრილებითი ცნობები სპეციალურად ენისა, გრამატიკისა და გამოყენებული ლიტერატურის შესახებ, მაგრამ ჟამთა სვლას მისთვის მეგობრობა ვერ გაუწევია და სიკვდილს ამისი საშუალება არ მიუცია. როდესაც დადგენილი და წესრიგში მოყვანილი იქნება ავტორის ჩანაწერები წიგნის შედგენის საფუძვლად დადებულ სპარსულ, არაბულ და ევროპულ წყაროთა შესახებ, მაშინ ეს ნაკლოვანებანი შეიძლება იქნეს აკლებული.

ამ სახითაც ხსენებული წიგნი საუკეთესო და უსრულესი ლექსიკონია სპარსულ ენაზე დაწერილთა შორის. და ვინც კი მისი დაბეჭდვისათვის იზრუნებს, ისეთივე სამსახურს გაუწევდა სპარსულ ენას, როგორც გამოუჩენია მის მიმართ დიდად ნამაგარ ავტორს.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ირანოლოგიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1940. XI. 27).

აღ. ბარამიძე

„ქართლის ცხოვრების“ რუმინანცევისეული ხელნაწერის გამო *

(წინასწარი შენიშვნები)

ე. წ. რუმინანცევისეული «ქართლის ცხოვრება», აწ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი № 2080 H, ბევრჯერ ყოფილა მკვლევართა ყურადღების საგანი. საერთო აზრით, რუმინანცევისეული ხელნაწერი უნდა შეიცავდეს ვახტანგისეული რედაქციის «ქართლის ცხოვრების» ერთ-ერთ უაღრესადღეს ტექსტს. ჯერ კიდევ მ. ბროსემ აღნიშნა, რომ რუმინანცევისეული ხელნაწერი «ქართლის ცხოვრებისა» გადაწერილია ვახტანგის ქართლში გამგებლობის დროს, 1709 წელზე ადრე. თვითონ ხელნაწერს დაუტავს ბროსეს შენიშვნა, რომელიც გამოქვეყნებული აქვს აღ. ხაჩანაშვილს¹: „Ce manuscrit paraît être antérieur à l'année 1709“. ბროსეს შენიშვნა ემყარება ხელნაწერის აშინის მინაწერს: „ვახტანგის² სიმამრი ლეონ მაკელი. ლეონიდან ამ ქორონიკონს ტჳზმდის არის წელიწადი ათას-ას-ოთხმოცდა რვა“-ო (გვ. 136 v). ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს ეს მინაწერი, ცხადია, რომ ის დაწერილია ქორონიკონს ტჳზ-ს, ე. ი. 1709 წელს. მაშასადამე, თვითონ ხელნაწერი უფრო ადრინდელია. ამრიგად, რუმინანცევისეული «ქართლის ცხოვრების» ხელნაწერი გადაწერილია 1703—1709 წლებს შუა. ამ დათარიღებას იძლევა ხელნაწერის ყველა აღმწერილი³.

რუმინანცევისეული «ქართლის ცხოვრების» ნუსხის აღმწერლებს აღნიშნული აქვთ, რომ ხელნაწერის აშინებზე, ნაწილობრივად საკუთრივ ტექსტშიც, მოიპოვება სხვადასხვა მინაწერ-ჩანაწერები. ამ მინაწერების თაობაზე ბროსემ ამბობს⁴: „ყველა ეს შენიშვნა შესრულებულია ერთიდაიმავე ხელით, რომელიც,

* წაკითხულია ნოზსენებად 1946 წლის 23 დეკემბერს.

¹ აღ. ხაჩანაშვილი, Грузинские рукописи Румянцевского Музея, М. 1897, стр. 8, прим. 1; იხ. აგრ. მ. ბროსე, Histoire de la Géorgie, I, 1849, გვ. 199, შენ. 1.

² იგულისხმება ვახტანგ გორგასალი.

³ აღ. ხაჩანაშვილი, Грузинские рукописи... 12—13; ე. თაყაიშვილი, Описание рукописей, II, 46, 111; ს. ყაუხჩიშვილი, ანასეული ქართლის ცხოვრება, თბ. 1942, გვ. XXXIV, და სხვ.

⁴ ქართლის ცხოვრება, I, 1849, გვ. 237, შენ. 2.

მე ვფიქრობ, სხვა ხელია, ვიდრე ვახტანგისა; მაგრამ ისინი (შენიშვნები) ჩართულია იმის (ვახტანგის) დროს და, შეიძლება, იმისივე ხელმძღვანელობისაა.

აღ. ხახანაშვილის სიტყვით (იქვე, გვ. 12): „На полях встречаются хорографические и хронологические заметки, отмечены факты, заслуживающие внимание, и набросаны впечатления читателя, быть может, самого царевича Теймураза“². თარიღის გამრკვევი მინაწერი, აღ. ხახანაშვილის სიტყვით, შესრულებულია სხვა ხელით. ე. თაყაიშვილი ბროსზე დამყარებით ასკვნის: „В Румянцевской рукописи сделаны и другие записи (გარდა ლეონ მაკელის თაობისა — ა. ბ.), исправляющие текст и слова, и по справедливому замечанию Броссе, если они не принадлежат самому Вахтангу, то во всяком случае сделаны по его указанию“³.

რუმინანცვეისეული ქართლის ცხოვრების ხელნაწერს მართლაც მოეპოვება სხვადასხვა მინაწერები. ამ მინაწერთაგან ჩვენს ინტერესს იწვევს ორი პირის ხელი. ერთი, როგორც ნაწილობრივად უკვე აღვნიშნეთ იყო შენიშნული, ვახტანგ VI-ის ხელია. კერძოდ, ვახტანგს უნდა ეკუთვნოდეს მინაწერი ლეონ მაკელის შესახებ. უეჭველად ვახტანგისაა ზოგიერთი რედაქციული „ჩაღბის“ ნაკვალავი. ასე, ერთგან ტექსტში აღდერკის დედის თაობაზე იკითხება: „წარვიდა სომხითს, მუნ შვა ყრმაჲ, უწოდეს სახელი აღდერკი, და იზარღებოდა იგი მუნ“ (21 v). ამ ტექსტის გასწვრივ აშიაზე ვახტანგის ხელით მიწერილია (შავი მქრალი მელანია): „წითლური. ე მეფე“. საქმე ისაა, რომ ხელნაწერის აშობებზე ჩვეულებრივად სინგურით (წითლურით) აღნიშნულია ხოლმე მეფეთა რიგი. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ეს წესი დარღვეულია. ვადაძვრს, ჩანს, დავიწყებია აღდერკის რიგის აღნიშვნა. ვახტანგი აგონებს მდივანს სათანადო კორექტივის საჭიროებას (სხვათა შორის, მსგავს ხერხს მიმართავდა ვახტანგი ქილილა და დამანას ტექსტის რედაქტირების დროსაც).

იქ, სადაც მოთხრობილია ფარსმან ქველისა და შირდატის ამბავი (29 r), ვახტანგი აშიაზე ურთავს: „მეორე ფარსმან“-ო⁴. „მეათევიდმეტე მეფე ფარსმან ძე აღამისის“ შესახებ აშიაზე ვადაძვრის მიერ მიწერილია წითურით: „მეორე ფარსმან“ (32 r). ვადაძვრს გაიმორჩინია ფარსმან ქველი, ის სათვა-

¹ Toutes ces notes sont de même main, que je crois autre que celle de Wakhtang, mais ont été mises de son tem[ps], et peut être sous sa direction“.

² ეს ხელნაწერი რესტავრირებულია თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ. ხელნაწერის თავფურცლიდან ჩანს, რომ ის თეიმურაზს მიუძღვნია გრაფ ნიკოლოზ პეტრეს-ძე რუმინანცვეისათვის. აქედან არის მიღებული ხელნაწერის პირობითი სახელწოდება „რუმინანცვეისეული“. როგორც კ. გრიგოლიამ გამომარკვია, საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი № 3226 S არის დასაწყისი ნაწილი რუმინანცვეისეული ქართლის ცხოვრებისა. კ. გრიგოლიამ, ქართლის ცხოვრების ჩუბინაშვილისეული ნაწყვეტი და მისი ადგილის საკითხისათვის: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შთამბეჭ. ტ. V, № 9, 1944, გვ. 945—949.

³ ე. თაყაიშვილი, Описание рукописей общества распространения грамотности среди грузинского населения, II, 46.

⁴ კვადრატულ ფორმულაში ჩასმული ასოები ჩამოუჭრიათ ხელნაწერის აკინძვის დროს.

ლავში არ ჩაუგდია. ვახტანგს ფარსმან ქველი ჩაუთვლია მეორე ფარსმანად, ხოლო ადამის-ძე ფარსმანი მესამე ფარსმანად, და გადაწერის „მეორე მეთესს“ წორებია „მესამე“-დ.

მოტანილ მაგალითებს ვიკმარებ. ჩვენი მიზნისათვის სურათი ნათელია. ვახტანგს გულდასმით გადაუკითხავს ხელნაწერის ტექსტი და ზოგიერთი, შედარებით უმნიშვნელო, რედაქციული შესწორებანი შეუტანია საკუთარი ხელით. საკითხის ამგვარი ვითარება კი გვაძლევს შორს მიმავალი დასკვნების გამოტანის საშუალებას. ჩანს, რუმინანცვეისეული «ქართლის ცხოვრება» საგანგებოდ ვახტანგისათვის ყოფილა დამზადებული „სწავლულ კაცთა“ მიერ. ვახტანგს განუხილავს და მკირეოდნად შეუსწორებია კომისიის ტექსტი. საფიქრებელია, რომ თვითონ ვახტანგს უნუქლო მონაწილეობა არ მიუღია „სწავლულ კაცთა“ კომისიის მუშაობაში, ე. ი. ქართლის ცხოვრების კრიტიკული ტექსტის დადგენაში. ამ მხრივ სავსებით დასტურდება ვახუშტი ბატონიშვილის ცნობილი მოწმობა¹: „ხოლო აღუწერიათ «ცხოვრებაცა [ქართლისა]» სახელითა ლევანის-ძისა მეფის ვახტანგისათი, რომელი არა საგონებელ არს მის მიერ: განა თუმცა ბრძანებითა მისითა არს, არამედ მას თვით არღარა განუხილავს ვითარება მისი“-ო.

ვახუშტი ბატონიშვილის ეს შესანიშნავი მოწმობა ისე უნდა გავიგოთ, რომ ვახტანგ VI-ს მონაწილეობა არ მიუღია «ქართლის ცხოვრების» საკუთრივ ტექსტის დადგენაში. ტექსტი დაუმუშავებია საგანგებო კომისიას („სწავლულ კაცებს“). კომისიის მიერ დადგენილი ტექსტის გადათეთრებულ ცალს წარმოადგენს რუმინანცვეისეული «ქართლის ცხოვრება». როგორც აღენიშნეთ, ეს ხელნაწერი დაუმზადებიათ ვახტანგისათვის, ვახტანგს ის უნახავს, ერთგვარად კიდევაც „განუხილავს“ მისი „ვითარება“, მაგრამ დაკმაყოფილებულა უმნიშვნელო შენიშვნებით და ტექსტის არსებითი გასწორებისაგან თავი შეუკავებია. ვახტანგი პრინციპული მომხრე იყო კოლექტიური წესით მუშაობისა, ის თავის გარშემო იკრებდა სხვადასხვა დარგის მცოდნე, განსწავლულ პირებს, აძლევდა მათ შესაფერის დავალებებს. ვახტანგი იყო გონიერი სახელმწიფოებრივი მოღვაწე, მას არ ჰქონდა დრო და საშუალება პირადად დამუშავებინა სახელმწიფოებრივი სამართალი, ისტორია, ადმინისტრაციული წესდებულება, ამასთან ეთარგმნა წიგნები, გაეწყო სტამბა და ა. შ. ამავე დროს ღირსეულად გაძლოლოდა ქვეყნის საერთო საქმიანობას. ვახტანგის დიდი ღირსება ისაა, რომ ის ყოფილა ენერგიული და ინიციატივიანი მოღვაწე მან აამოქმედა, აამოძრავა ქვეყნის მთელი სასიცოცხლო ძალა. ყველას თავისი ნიჭისა და მოწოდების შესაფერისი საქმე მიუჩინა. ასე უნდა წარმოვიდგინოთ ვახტანგის მუშაობა «ქართლის ცხოვრების» ტექსტზე. ვახტანგი უნდა ყოფილიყო საქმის წამომწყები, ინიციატორი; მას გარკვეული სახელმძღვანელო მითითებანი უნდა მიეცა ტექსტზე მომუშავე აპარატისათვის. მაგრამ, ვიმეორებ, არ ჩანს ვახტანგის მხრივ ტექსტზე უშუალო მუშაობის კვალი.

¹ ქართლის ცხოვრება, II, 1854, გვ. 2.



ვახტანგს ბევრი ჩინებული თანამშრომელი ჰყავდა. ვახტანგის თანამშრომელი მელთაგან მაინც საგანგებოდ გამოირჩეოდა მისი აღმზრდელი და მასწავლებელი ქირში და ლხინში განუყრელი, მრავალ კულტურულ წამოწყებათა სულის ჩამდგმელი და იდეური ხელმძღვანელი სულხან-საბა ორბელიანი.

რუმინცივისეული «ქართლის ცხოვრების» ხელნაწერს დაუცავს ამ უკანასკნელის რამდენიმე ჩანაწერიც. სულხან-საბა ორბელიანის ხელი ახლა კარგად არის ცნობილი და ამ საგანზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ¹. სულხან-საბას მინაწერების ავტოგრაფულობა უეჭველია. ხელნაწერს შემოუნახავს სულხან-საბას ოთხი მინაწერი. მოგვაქვს მათი სრული ტექსტი:

1. ოდეს ქართლი მოაქცია წმიდამან ნინო, ქრისტეს ამალღებიდამ გარდასრული იყვნეს წ[ელნი] სამას-ოცდათვრამეტნი (43 v).

2. მირიანიდამ აქამომდე გარდაკდა წელნი ორასნი და მეფენი [იყვნეს] იბ (139 v).

3. ამის ჟამში იყო წმიდა გიორგი მთაწმიდელი მთარგმნელი. თან ახლდა დედოფალს მარიამს, ქრისტეს აქათ ჩაჰ (204 r).

4. ამისა ჟამთა შვეიდენ მთარგმანებლნი წიგ[ნი]თანი ეფრემ მცირე, და თეოფილე, და არსენ იყალთოელი და იოვანე ტაიკის-ძე, ქრისტეს აქათ ქ[რ]ს ჩროდ (229 r).

სულხან-საბა ორბელიანის ციტირებული მინაწერები თავისდათავად ვერაფერს მატებს «ქართლის ცხოვრების» კრებულს. საყურადღებო ას არის, რომ «ქართლის ცხოვრების» ტექსტი ყოფილა გამოჩენილი მეიგავის დაკვირვებისა და შესწავლის საგანი². სულხან-საბა ორბელიანს ხელთ ჰქონია «ქართლის ცხოვრების» სწორედ ის ცალი, რომელიც ვახტანგისათვის იყო განკუთვნილი. «ქართლის ცხოვრების» ამ ყოველმხრივ შესანიშნავ ცალს, აწ რუმინცივისეულის სახელით ცნობილს, შემოუნახავს ქართული კულტურის ორი დიდი მოამაგის, ვახტანგ VI-ისა და სულხან-საბა ორბელიანის, საკუთარი მინაწერები. ეს გარემოება სრულიადაც არ არის შემთხვევითი. სულხან-საბა ორბელიანი იყო ვახტანგის უმახლობელესი მრჩეველი და თანამშრომელი. ლიტერატურულ-იდეური თანამშრომლობის მთელი ის პერიპეტეები, რაც აღბეჭდილია, მაგალითებრ, «ქილილა და დამანას» ქართული ვერსიის ტექსტზე, საუცხოოდ ამხელს იმ დიდსულიერ ნათესაობასა და მშობლიური მწერლობისადმი სიყვარულს, რაც თანაბრად ახასიათებდა მასწავლებელსა და მოწაფეს, სულხან-საბა ორბელიანსა და ვახტანგს.

ის გარემოება, რომ სულხან-საბა ორბელიანის მინაწერები მოეპოვება სწავლულ კაცთა კომისიის მიერ დამზადებულ ტექსტს, აგრეთვე საფიქრებელს

¹ აღ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, 1945, გვ. 270, შენიშვნა 3.

² შკვი ს. ყაუხჩიშვილმა აღნიშნა, რომ სიტყვა „ფანდაკის“ განმარტებაში საბასს მოჰყავს ციტატა «ქართლის ცხოვრებიდან» (იხ. ანასეული ქართლის ცხოვრება, გვ. LXXXI, შენ. 1).



ხდის — არც სულხან-საბა ორბელიანს უნდა მიეღო მონაწილეობა ქართული ცხოვრების ტექსტის წინასწარ დამუშავებაში. მაგრამ, მეორე მხრით, სულხან-საბას მინაწერები უსათუოდ გვიდასტურებენ სახელგანთქმული ქართველი მწიგნობრის ინტერესთა წრის დიდ სიფართოვესა და სიღრმეს. ყველაფერ აღნიშნულთან ერთად ახლა ახალი მასალა გვეძლევა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის წყაროების ძიების საქმეში.

ჩვენი ამ მცირე წინასწარი შენიშვნების შემდეგ კიდევ უფრო მეტი ფასი ეძლევა ქართლის ცხოვრების დღევანდლამდინაც მნიშვნელოვნად მიჩნეულ რუმინეცვისეულ ხელნაწერს. ეს ხელნაწერი ღირსია სპეციალისტი ისტორიკოსის შემდგომი გაღრმავებული შესწავლისა.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ძველი ქართული ლიტერატურის
ისტორიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1947. V. 7).

წ. კიკნაძე

პირველი სერიის მწკრივთა წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები

I

ქართული ზმნის მწკრივები, როგორც ცნობილია, „ფორმათა წარმოების თვალსაზრისით და აგრეთვე სინტაქსურ თავისებურებათა თვალსაზრისითაც“¹ სამ ჯგუფად იყოფა, რომელთაც სერიებს ვეძახით². მწკრივთა სერიებად დაყოფას აქვს როგორც მორფოლოგიური, ისე სინტაქსური საფუძველი.

როდესაც მწკრივთა სერიებად დაყოფის მორფოლოგიურ საფუძველზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს ის ნიშნები, რომელთა ნიხედვითაც ამა თუ იმ სერიაში შემავალი მწკრივები ერთმანეთს ჰგვანან და რომლებითაც ერთი სერიის მწკრივები მეორისაგან ძირითადად განსხვავდებიან. მაგალითად, პირველი სერიის ოთხი მწკრივისათვის ახალ სალიტერატურო ქართულშიც და ძველშიც დამახასიათებელია დ ან ოდ სუფიქსი.

აბ. ქართ.: უწყვეტელი — ავსებ-დ-ა, I კავშირებითი (აწმყო-სი) — ავსებ-დ-ეს, I ხოლმეობითი — აავსებ-დ-ა, I კავშირებითი (მყოფადისა) — აავსებ-დ-ეს.

ბგ. ქართ.: უწყვეტელი — აღავსებ-დ-ა, I კავშირებითი — აღავსებ-დ-ეს, უწყვეტლის ხოლმეობითი — აღავსებ-დ-ის; I ბრძანებითი — აღავსებ-დ-ინ.

აბ. ქართ.: უწყვეტელი — ივსებ-ოდ-ა, I კავშირებითი (აწმყო-სი) — ივსებ-ოდ-ეს, I ხოლმეობითი — აივსებ-ოდ-ა, I კავშირებითი (მყოფადისა) — აივსებ-ოდ-ეს.

ბგ. ქართ.: უწყვეტელი — აღივსებ-ოდ-ა, I კავშირებითი — აღივსებ-ოდ-ის, უწყვეტლის ხოლმეობითი — აღივსებ-ოდ-ის², I ბრძანებითი — აღივსებ-ოდ-ინ.

¹ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები. I, გვ. 212.

² ოდ სუფიქსიანი ზმნების I კავშირებითისა და უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმები ერთმანეთს ემთხვევა, რადგან ამ ზმნებში ერთი და იგივე სუფიქსი ი გვევლინება კავშირებითობისა და ხოლმეობითობის მაწარმოებლად.



ეს სუფიქსები მეორე სერიის მწკრივებში არ გვხვდება. მართალია, აქვე მოხსენიებულია ოდ არა გვაქვს აგრეთვე პირველი სერიის ორი მწკრივის (ახალ ქართულში აწმყოსა და მყოფადის, ძველ ქართულში — აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითის) ფორმებშიც, მაგრამ ეს იმით აიხსნება, რომ აწმყო ძირითადი მწკრივია პირველი სერიის მწკრივთა შორის და მისი თანდათანობითი გართულების გზით არის წარმოშობილი ამ სერიის სხვა მწკრივები — უწყვეტელი და I კავშირებითი, აგრეთვე უწყვეტლის ხოლმეობითი (ძვ. ქართულში). რაც შეეხება ახ. ქართულის მყოფადს, იგი, როგორც ცნობილია, წარმოების მიხედვით არაფრით არ განსხვავდება აწმყოსაგან და მისგან არის წარმომდგარი მხოლოდ ზმნისწინის დართვით ისევე, როგორც უწყვეტლისაგან I ხოლმეობითი წარმოდგა და აწმყოს კავშირებითისაგან — მყოფადის კავშირებითი (ძვ. ქართულის აწმყოს, უწყვეტლისა და I კავშირებითის ზმნისწინიან ფორმათაგან ახალ ქართულში სამი ახალი სათანადო მწკრივი მივიღეთ)¹. ძვ. ქართულის აწმყოს ხოლმეობითი წარმოების მხრივ იგივე აწმყოა: ორივე ამ მწკრივს ერთი და იგივე ფუძე აქვს (ადიდებ-ს, ადიდებ-ენ — ადიდებ-ნ, ადიდებ-ედ; იტყვ-ს, იტყვ-ან — იტყვ-ნ, იტყვ-ედ...). მათ შორის განსხვავებას მხოლოდ ის ქმნის, რომ მესამე სუბიექტური პირის აღსანიშნავად აწმყოში სხვა პირისა და რიცხვის ნიშნებია გამოკენებული (ს, ენ/ან), აწმყოს ხოლმეობითში — სხვა (ს, ედ). I ბრძანებითი ძვ. ქართულში წარმოების მხრივ არსებითად უწყვეტელს წარმოადგენს, რამდენადაც პირველი მეორისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ მეორე პირის ფორმებში I ბრძანებითში (როგორც II ბრძანებითშიც) სუბიექტის ნიშანი არ ჩანს, ხოლო მესამე პირის ფორმებში სუბიექტის პირისა და რიცხვის გამოსახატავად ნ, ედ სუფიქსებია წარმოდგენილი (როგორც აწმყოს ხოლმეობითშიც) ა, ეს სუფიქსების ნაცვლად: ხ-ადიდებდ(ი) — ადიდებდ(ი), ხ-ადიდებდით — ადიდებდით; ადიდებდ-ა — ადიდებდ-ი-ნ, ადიდებდ-ეს — ადიდებდ-ედ... როცა მეორე სუბიექტური პირის ნიშანი არც უწყვეტელში ჩანს, მაშინ უწყვეტელსა და I ბრძანებითს მეორე პირის ფორმებში აღარაფერი აღარ განასხვავებს (მაგალითად, „ადიდებდი“, „იტყოდე“ უწყვეტლის ფორმებიც არის და I ბრძანებითისაც).

პირველი სერიის მწკრივებს მეორე სერიის მწკრივთაგან ისიც განასხვავებს, რომ მოქმედებითი და საშუალო გვარების ზმნათა უმრავლესობას და ვნებითი გვარის ყველა ზმნას აწმყოში აქვს სუფიქსი, რომელიც პირველი სერიის სხვა მწკრივებშიც ჩანს², რადგან, როგორც ითქვა, აწმყო ამ სერიის ძირითადი მწკრივია და მისგან არის წარმომდგარი სხვა მწკრივები. I სერიის მწკრივთა-

¹ დაწერილებით ამის შესახებ იხ. А. Шанидзе, Изменение системы выражения категоривы в грузинском и его последствия: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, III, 1942, № 9; მისივე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1942, გვ. 255—272.

² საშუალო და ვნებითი გვარების ზმნათა უწყვეტლისა და I კავშირებითის ფორმებში ოდ'ის წინ ი სუფიქსი ჩვეულებრივ არ ჩანს (რაც ფონეტიკური მიზეზით აიხსნება), მაგრამ, რომ ამ ფორმებშიც უნდა ყოფილიყო ი (თრთ-ოდ-ა — თრთ-მ-ოდ-ა, დგებ-ოდ-ა — დგებ-მ-ოდ-ა...), ამას ადასტურებს ძვ. ქართ. „მირბიოდეს“ (მათე 28გ. გვხვდება დღესაც ზოგ კილოში), „ქრიოდეს“ (მათე C. 7კ) ფორმები.

თვის დამახასიათებელი სუფიქსებია ავ, ამ, ებ, ობ, ი, ოფ, ემ, ჩვეულებრივ მოქმედებითი გვარის ზმნებში გვხვდება, მაგრამ ზოგი მათგანი (ავ, ებ, ობ, ი) საშუალო გვარის ზმნებშიც გვაქვს. ვნებითი გვარის ზმნათა აწმყოს ფორმებში, აგრეთვე აწმყოს ხოლმეობითსა (ძვ. ქართულში) და მყოფადში (ახალ ქართულში) ფუძის დაბოლოებად გვევლინება ი, რომელსაც წინ უსწრებს ებ (სამივე ტიპის ვნებითებში), ობ, ოფ, ემ, ვ (←ავ), მ (←ამ), ემ (ინ-ენიან ვნებითებში).

აღნიშნულ სუფიქსებს უნდა გავუთიანებროთ ან, ენ, უნ, ოლ, ომ, რომლებიც გვხვდება საშუალო გვარის ზმნებში, ამ ზმნათა მისდარულ ფორმებში და ამ უკანასკნელთაგან ნაწარმოებ სამივე გვარის ზმნებში¹.

არის გარკვეული ჯგუფი ზმნებისა, რომელთაც აწმყოში არავითარი თემატური სუფიქსი არ გააჩნიათ. ამ ჯგუფს შეადგენს ე. წ. ფუძედრეკადი ზმნები, აგრეთვე „წერ“ ტიპის რამდენიმე ზმნა. ასეთ ზმნებს პირველი და მეორე სერიების ძირითადი მწკრივები — აწმყო და წყვეტილი მაინც განსხვავებული აქვთ, რადგან მათ წყვეტილში I—II პირის ფორმებში აქვთ ე სუფიქსი (III პირის ფორმაში ეს ე მოკვეცილია, მაგრამ ამ შემთხვევაში წყვეტილის ფორმა მაინც არ ემთხვევა აწმყოსას: განსხვავებას ქმნის ის, რომ აწმყოში III სუბიექტური პირის ნიშანია ხ, წყვეტილში — ა: წერ-ხ — წერ-ა...), ფუძედრეკადი ზმნების აწმყო და წყვეტილი იმითაც განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ ამ ზმნებს აწმყოში (და პირველი სერიის დანარჩენ მწკრივებში) აქვთ ე-ხმოვანი, ხოლო წყვეტილში (აგრეთვე მეორე სერიის სხვა მწკრივებშიც) — ი (კრებს — კრიბა...). აქ თითქოს ე და ი ხმოვნების მონაცვლეობა გვაქვს და თითქოს ამით განსხვავდება ამ ზმნათა პირველი და მეორე სერიების ფორმები ძირითადად ერთმანეთისაგან (ა. ჩიქობავას აზრით „აწმყოს ფუძეს აწარმოებს აგრეთვე მეალტერნაციე ე-ც: კრებს — კრიბა; გრებს — გრინა...“)², მაგრამ ამ ზმნებში ფუძის დრეკადობა — I—II სერიების მწკრივთა ფუძეების მიხედვით ხმოვანთა მონაცვლეობა მოჩვენებითია³.

ფუძედრეკად ზმნებში გამოყოფილი ებ, ეპ, ეტ, ედ... სუფიქსების შესახებ (კრ-ებ-ს, ღრ-ეპ-ს, ქულ-ეტ-ს, კმ-ედ-ს...) ვ. თოფურიას ნათქვამი აქვს, რომ „მათი ფუნქცია დაახლოებით ისეთივეა, როგორც -ებ, -ავ და სხვა სუფიქსებისა“⁴ (აღიდ-ებ-ს, ხატ-ავ-ს...), მაგრამ ეს უკანასკნელი I სერიის მწკრივთა-

¹ ამ სუფიქსთა შესახებ დაწვრილებით იხ. ლ. კიკნაძე, ძირეული და ნასახლარი ზმნები ქართულში. I: თ. ს. უ. შრომები, XXVIII, 1946.

² ა. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, 134.

³ ფუძედრეკადი ზმნების საკითხი დაწვრილებით არის განხილული ჩემი სადისერტაციო ნაშრომის („ძირეული და ნასახლარი ზმნები ქართულში“, 1942 წ.) ჯერ გამოუქვეყნებელ ნაწილში, სადაც მოცემულია ამ მოჩვენებითი ხმოვანმონაცვლეობის ახსნის ცდა. ამ ზმნებში I სერიის მწკრივთა ფუძეებში არსებული ე II სერიის მწკრივებში ი ხმოვანით კი არ იცვლება, არამედ I სერიის მწკრივებში ეს წინ გაუჩინარებულია გარდამავლობის (კრ-ებ-ს — კრ-ე-ებ-ს...), რომელიც გამოჩნდება II სერიის მწკრივებში (კრ-ე-ბ-ა — კრ-ე-ებ-ა...), როცა უკვე ე იკარგება.

⁴ ვ. თოფურიას ფუძედრეკად ზმნათა სუფიქსაციისათვის: ტფილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, III, 1936, გვ. 233.



თვის არიან დამახასიათებელი და II სერიაში არ ჩანან, ხოლო ფუძეფორმები ზმნათა აღნიშნული სუფიქსები შეკუმშული სახით (ე ხმოვნის დაკარგვით) II სერიის მწკრივებშიც ჩანან.

II სერიის ძირითადი მწკრივი წყვეტილია და ამ სერიის დანარჩენი მწკრივების საფუძველს წყვეტილის ფუძე წარმოადგენს: II კავშირებითი და II ხოლმეობითი წყვეტილის „ბაზაზე“ არიან „აგებულნი“, რომ აღარაფერი ვთქვათ II ბრძანებითზე (ძვ. ქართულში), რომლის ფუძე წყვეტილისას ემთხვევა მთლიანად.

წყვეტილის ფუძეს ან არავითარი დაბოლოება არა აქვს (იგულისხმება მწკრივის დამახასიათებელი სუფიქსი), ან აქვს ე სუფიქსი, რომელიც ისეთ ზმნებსაც მოუღიბთ, რომელთაც აწმყოში თემის ნიშანი აქვთ (ვ-ხატ-ავ — ვ-ხატ-ე...), და ისეთებსაც, რომელთაც აწმყოში არავითარი თემატური ნიშანი არა აქვთ (ვ-წერ — ვ-წერ-ე...). იმ ზმნებს, რომელთაც წყვეტილში დაბოლოება არა აქვთ¹, აწმყოში ყოველთვის აქვთ თემატური სუფიქსი: ვ-სუ-ამ — ვ-სუ, ვ-კლ-ავ — მო-ვ-კალ, ვ-ჭრ-ი — და-ვ-ჭერ, მი-ვ-ს-ც-ეშ — მი-ვ-ე-ც, ვ-ყ-ოფ — ვ-ყავ...

საერთოდ I სერიის მწკრივთაგან უნიშნო შეიძლება იყოს მხოლოდ აწმყო, აგრეთვე (ძვ. ქართულში) აწმყოს ხოლმეობითი და (ახ. ქართულში) მყოფადი, II სერიის მწკრივთაგან — მხოლოდ წყვეტილი. თუ ზმნა აწმყოში უთემისნიშნოა (იგულისხმება მოქმ. გვარის ზმნები), მას წყვეტილში აუცილებლად ექნება ე სუფიქსი; თემის ნიშნთან ზმნათა ნაწილს წყვეტილში ე დაბოლოება აქვს, ნაწილს კი არავითარი დაბოლოება არა აქვს (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ახ. ქართულის მოვკალ-ი, ვსვ-ი, დავჭერ-ი, მივეც-ი... ფორმებს).

II კავშირებითში, როგორც ცნობილია, მწკრივის მაწარმოებელ სუფიქსად გვევლინება ა, ო ან ე (მოვკალ-ა, დავხატ-ო, მივსც-ე...).

II ხოლმეობითის ნიშანია ი, რომელიც ყველა ზმნაში გვხვდება განურჩევლად იმისა, თუ რომელი გვარისა თუ ტიპისაა ზმნა (მოვკალ-ი, დავხატ-ი, მივსც-ი...).

აწმყო რომ I სერიის ძირითადი მწკრივია, ნათელია, რადგან დანარჩენი მწკრივებში გარკვევით მოჩანს აწმყოს ფუძე (ადიდებ-ს — ადიდებ-ნ, ადიდებ-დ-ა, ადიდებ-დ-ე-ს, ადიდებ-დ-ი-ს, ადიდებ-დ-ი-ნ...).

II სერიის ძირითად მწკრივში — წყვეტილში ყოველთვის როდი გვაქვს ამ მწკრივის დამახასიათებელი ე სუფიქსი (ისევე, როგორც არც აწმყოშია ყოველთვის თემატური ნიშანი), მაგრამ წყვეტილის ეს სუფიქსი არც იმ ზმნათა II კავშირებითისა თუ II ხოლმეობითის ფორმებში ჩანს, რომელთა წყვეტილის ფუძე ეთი ბოლოვდება (ვადიდ-ე — ვადიდ-ო, ვადიდ-ი...).

ამ შემთხვევაში შეიძლება იმის აღნიშვნით დავკმაყოფილებულიყავით, რომ წყვეტილის ე ო (II კავშირებითში) და ი (II ხოლმეობითში) ხმოვანი

¹ ახალ სალიტერატურო ქართულში ასეთ ზმნებთან მკვიდრდება ი სუფიქსი: შღრ. ძვ. ქართ. „მოვკალ“, „მოვკუდ“ — ახ. ქართ. „მოვკალ-ი“, „მოვკედ-ი“ (ამ უკანასკნელში ი სუფიქსი ფუძესაც კი კუმშავს).

სუფიქსების დართვის გამო დაიკარგაო¹, მაგრამ არის ერთი გარემოება, რომლის გათვალისწინება უფრო დაგვირწმუნებს იმაში, რომ II კავშირებითი და II ხოლმეობითი წყვეტილის ფუძეს ემყარება: ობიექტის მრავლობითობის $\bar{5}$ ($\leftarrow \bar{5}$) სუფიქსი II კავშირებითსა და II ხოლმეობითში წინ უსწრებს მწკრივის ე, ი ნიშნებს (ვალიდ- $\bar{5}$ -ე — ვალიდ- $\bar{5}$ -ი, მოვკლ- $\bar{5}$ -ე — მოვკლ- $\bar{5}$ -ი...), ხოლო წყვეტილში ერთვის მხოლოდით ობიექტიანი ხმის ფუძეს: თუ ეს ფუძე ეთი ბოლოვდება, მაშინ $\bar{5}$ სუფიქსი $\bar{5}$ 'ს სახით არის წარმოდგენილი (წყვეტილის ე'სთან შეხვედრისას ენ'ის ე იკარგება)²; ხოლო, თუ წყვეტილის ფუძეს დაბოლოება არა აქვს, მაშინ (I—II პირის ფორმებში) ობიექტის მრავლობითობაა ენ გვიჩვენებს (III პირის ფორმაში ეს ენ $\bar{5}$ 'ს სახით წარმოვადგება, რადგან მას კუმშავს ა, ეს სუფიქსები): ვალიდ- $\bar{5}$ -ე, მოვკლ- $\bar{5}$ -ე... როგორც ჩანს, ვალიდ- $\bar{5}$ -ე, ვალიდ- $\bar{5}$ -ი, მოვკლ- $\bar{5}$ -ე, მოვკლ- $\bar{5}$ -ი... ფორმებისათვის ამოსავალი ყოფილა ვალიდ- $\bar{5}$ -ე, მოვკლ- $\bar{5}$ -ე... ფორმები და, მაშასადამე, II კავშირებითის (ვალიდ- $\bar{5}$, მოვკლ- $\bar{5}$...) და II ხოლმეობითის (ვალიდ- $\bar{5}$, მოვკლ- $\bar{5}$...) მხოლოდითის ფორმებისათვისაც საყრდენია წყვეტილის ფუძე.

ამგვარად, წყვეტილის ფუძისეული ე უნდა გვექონოდა II კავშირებითისა და II ხოლმეობითის მწკრივებშიც, მაგრამ იგი ამ მწკრივებში ფონეტიკური მიზეზების გამო არ ჩანს.

ზემოთ მოკლედ იყო განხილული ის ნიშნები, რომელთა მიხედვითაც I სერიის მწკრივები II სერიის მწკრივთაგან განსხვავდებიან საერთოდ. ამასთან ნაჩვენები იყო ის განსხვავებაც, რომელიც I და II სერიების ძირითად მწკრივებს — აწმყოსა და წყვეტილს შორის არსებობს.

რაც შეეხება III სერიის მწკრივებს, მათ შესახებ უნდა ითქვას, რომ ისინი შედარებით გვიან არიან ჩამოყალიბებულნი და მათში წარმოების თვალსაზრისით განსაკუთრებული არაფერია, რამდენადაც ესა თუ ის მათგანი I ან II სერიის ანა თუ იმ მწკრივის მოგვაგონებს.

II

ძველ ქართულში პირველი სერიის ექვსი მწკრივიდან მხოლოდ ოთხია „უნაკლო“, ისეთი, რომელსაც სამივე სუბიექტური პირის ფორმები მოეპოვება. ეს მწკრივებია აწმყო, უწყვეტელი, უწყვეტლის ხოლმეობითი და I კავშირებითი. დანარჩენი ორი მწკრივი (აწმყოს ხოლმეობითი და I ბრძანებითი) პირნაკლია: აწმყოს ხოლმეობითს სუბიექტურ პირთაგან მარტო მესამის ფორმები მოეპოვება, I ბრძანებითს კი პირველი პირის ფორმები აკლია.

¹ ისევე, როგორც თვით წყვეტილის III პირის ფორმაშია დაკარგული ე III სუბ. პირის ნიშნის ა'ს წინ (ალიდ- $\bar{5}$ — ალიდ- $\bar{5}$ -ა...).

² ამ შემთხვევაში შეიძლება აგრეთვე დაკარგულად ჩაგვეთვალოს არა ენ'ის ე, არამედ წყვეტილის ე, როგორც ა: ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ფ ი ქ ო ბ ს (იხ. მისი გამოკვლევა — „რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითში დასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველს ქართულში?“ ტ. უ. მ. IX, 114). იმის გადაჭრით თქმა, თუ ორი ე'ს შეხვედრისას რომელი იკარგება, ძნელია. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ წყვეტილის ე ობიექტის მრავლობითობის $\bar{5}$ ($\leftarrow \bar{5}$) სუფიქსის შემდეგ არ ჩანს.



უწყვეტლის ხოლმეობითი შედარებით გვიან ჩამოყალიბებული მწკრივი იგი „უძველეს ძეგლებში არ გვხვდება“¹. ა. შანიძის სიტყვით ეს პირნაკლია².

„ეს ახალი მწკრივი, წარმოშობილი I ხოლმეობითის დასუსტების ნიადაგზე და მის შესაცვლელად, X ს.-ის ძეგლებშიც გვხვდება“ (მაგ., გრ. ხანძთელის „ცხოვრებაში“), მაგრამ „იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრებაში“ იგი „დამთავრებული სახით არის წარმოდგენილი“³.

აწმყოს ხოლმეობითის რომ მხოლოდ მესამე სუბ. პირის ფორმები აქვს, ეს გასაგებია, რადგან ამ მწკრივის საკუთარი ფორმა არა აქვს და, როგორც ითქვა, მისი ფუძე იგივე აწმყოს ფუძეა.

უწყვეტლის ხოლმეობითის კი, რაკი მას საკუთარი ფორმა აქვს (მისი ფუძე, როგორც II ხოლმეობითის ფუძეც, ი სუფიქსით ბოლოვდება), სამივე პირის ფორმები უნდა ჰქონოდა. ამას გვაფიქრებინებს „ვიკითხვით“ ფორმა (ვსხედით ერთობით და ვიკითხვით წამებასა წთასა და გვკვრნ მოთმინება მათი. კიმენი I, 37₁₂), რომელიც აშკარად უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივისაა (უწყვეტელი იქნებოდა „ვიკითხვით“).

უძველად უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმაა აგრეთვე „ხვლოდი“ (ოდეს იყავ ჰაბუჯ, შეირტყი თავით თვისით და ხვლოდი, ვიდრეცა გნებაგნ. ი. 21, 18 DE), რომელიც უწყვეტლისაგან („ხვლოდე“) აშკარად განსხვავდება. „ხვლოდი“ I კავშირებითის ფორმაც არის, მაგრამ ამ შემთხვევაში კილო თხრობითია და ეს ფორმა აქ უწყვეტლის ხოლმეობითისად უნდა ჩაითვალოს.

საკუთარი ფუძე, როგორც აღვნიშნეთ, არც I ბრძანებითს აქვს. „მას წარმოების მიხედვით უწყვეტელთან აქვს კავშირი (ისე, როგორც II ბრძანებითს — წყვეტილთან)“⁴.

I სერიის საკუთარი ფუძის მქონე მწკრივებია აწმყო, უწყვეტელი, I კავშირებითი და უწყვეტლის ხოლმეობითი. ამათგან უძველესია პირველი სამი.

ამ სამი მწკრივიდან, როგორც ითქვა, ძირითადია აწმყო, რომლისაგანაც იწარმოება უწყვეტელი, ხოლო ამ უკანასკნელისაგან — I კავშირებითი და უწყვეტლის ხოლმეობითი. აწმყოსაგან განსხვავებით ამ უკანასკნელ სამ მწკრივში არის და ან ოდ სუფიქსი, რომელთაც ა. შანიძე სავრცობ ელემენტებს ეძახის.

მას შემდეგ, რაც ა. შანიძემ გაარკვია სამი მწკრივის (უწყვეტლის, I კავშირებითისა და I ბრძანებითის) წარმოების თავისებურებანი ძველ ქართულში, ნათელი გახდა, რომ „უწყვეტლისა და I კავშირებითის წარმოებისას ძველ ქართულში ერთმანეთს უპირისპირდება ზმნები იმის მიხედვით, თუ რა მოუღის მათ სავრცობ ელემენტად: დ თუ ოდ. ეს დაპირისპირება ყველგან

¹ ა. შანიძე, მწკრივთა მოძღვრებისათვის, I. სამი მწკრივის წარმოების თავისებურებანი ძველ ქართულში: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VI, № 10, 1945, გვ. 835.

² იქვე, გვ. 835.

³ ა. შანიძე, გიორგი მთაწმიდლის ენა იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების მიხედვით, 73 (გიორგი მთაწმიდელი. ცხოვრება იოვანესი და ეფთვიმესი. გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯავახიშვილმა. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, 1946).

⁴ ა. შანიძე, მწკრივთა მოძღვრებისათვის, I, 839.

არის გატარებული, გარდა უწყვეტლის მესამე სუბიექტური პირისა, სადაც იმა-
თაც და ამათაც ერთნაირი ფორმები აქვთ ორსავე რიცხვში, და I ბრძანებით
არის მესამე პირისა მრ. რიცხვში¹. „თუ დ-ონიანებს უწყვეტელში I-სა და II
პირში არაფერი აქვთ ან აქვთ ფონეტიკურად განვითარებული ი, ოდ-იანებს ე
აქვთ; სმაგიეროდ, I კავშირებითში საწინააღმდეგო მოვლენაა: დ-ონიანებს ნიშ-
ნად ე აქვთ, ოდ-იანებს კი — ი“².

დ და ოდ სუფიქსები I სერიის ოთხ მწკრივში გვხვდება (I ბრძანებითის
მათელით), როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული. ერთიც და მეორეც უწყვეტ-
ლობას გამოხატავს. რაკი I კავშირებითი და უწყვეტლის ხოლმეობითი (აგრეთვე
I ბრძანებითი) შინაარსით ახლოს არიან უწყვეტელთან (უწყვეტლობის გაგება
მათაც აქვთ), ისინი ფორმითაც ჰგვანან მას. ამიტომ არის, რომ უწყვეტლის
ფუძეს (რომელშიც აწმყოს ფუძეც არის წარმოდგენილი) ემყარება როგორც
I კავშირებითი, ისე უწყვეტლის ხოლმეობითი, მაგრამ ერთსაც და მეორესაც
აქვს განსაკუთრებული ნიშანი, რომლითაც ეს მწკრივები განსხვავდებიან უწყ-
ვეტლისაგან.

დ'ონიან ზმნებს უწყვეტელში დ'ს შემდეგ მწკრივისათვის დამახასიათებელი
არავითარი ნიშანი არა აქვთ („ან აქვთ ფონეტიკურად განვითარებული ი“),
ოდ'იანებს კი ოდ'ის შემდეგ ერთვის ე: ე-ტირ-ოდ-ე, ს-ტირ-ოდ-ე...³

უწყვეტლისა და წყვეტილის მწკრივებს შორის წარმოების პრინციპის მი-
ხედვით არის რაღაც მსგავსება (თუმცა მათ შორის, როგორც ვნახეთ, განსხვა-
ვებაც დიდია): ზმნათა ერთ ნაწილს წყვეტილის ფუძე ე'თი აქვს დაბოლოებ-
ული, მეორე ნაწილი კი უნიშნოა (ვადიდ-ე — მოვკალ...); უწყვეტელშიც ზოგ
ზმნას (ოდ'იანებს) ე აქვს ფუძის დაბოლოებად, ზოგს — არაფერი (ან უფუნქ-
ციო ი): ვიტყ-ოდ-ე — ვადიდებ-დი).

მსგავსება შეინიშნება აგრეთვე უწყვეტლის ხოლმეობითსა და II (წყვეტი-
ლის) ხოლმეობითს შორის: მწკრივის ნიშანი ორივეგან ი არის (ადიდებ-ი-ს —
ადიდ-ი-ს...).

I კავშირებითის ნიშანია (დ'ონიან ზმნებში) ე (ადიდებ-დ-ე-ს...). ეს ე
II კავშირებითშიც გვაქვს, მაგრამ II კავშირებითის ა და ო I კავშირებითში არ
ჩანს. ა. შანიძის გამოკვლევის შემდეგ (მწკრივთა მოძღვრებისათვის, I.) ნა-
თელი ვახდა, რომ I კავშირებითში (ოდ'იან ზმნებში) მწკრივის ნიშნად ი'ც
გვექონია (ტირ-ოდ-ი-ს...), რომელიც უთუოდ II კავშირებითშიც უნდა გვექონოდა
(სპეციალური დაკვირვების შედეგად იქნებ ი სუფიქსიანი II კავშირებითის ფორ-
მებიც გამოვლინდეს!).

I სერიის მწკრივებში ნათლად გამოიყოფა დ და ოდ სუფიქსები და აქ
თითქოს საექვო და გამოსარკვევიც არაფერია, მაგრამ ზოგჯერ ოდ'ს შლიან
და ო'ს ფუნქციას ცალკე ეძებენ, ხოლო ავ'იან და აშ'იან ზმნებში (ჰკით-

¹ მწკრივთა მოძღვრებისათვის, I. 838.

² იქვე, 839.

³ მესამე სუბ. პირის ფორმაში ამ ე'ს კვეცავს პირის ნიშანი ა (ტირ-ოდ-ა — ტირ-ოდ-
ე-ა...) ისევე, როგორც წყვეტილის ე'ს კარგავს იგივე სუფიქსი (ადიდ-ა — ადიდ-ე-ა...).

ხვიდა, განასხმიდა... და წინ ი სუფიქსს გამოჰყოფენ (ან ი'სა და დას ერთად იდ სუფიქსად აცხადებენ).

ნ. მარს იქებ-ო-დი, ჯღებ-ო-დი — იქებ-ო-დე, ჯღებ-ო-დე ფორმებში, რომელთაგან პირველი ორი მის ნამყო უსრულად (უწყვეტლად) მიაჩნია და მეორე წყვილი კი ნატვრითად (I კავშირებითად)¹; გამოყოფილი აქვს „ო რო-გორც ნამყო უსრულისა და ნატვრითის სუფიქსი“². ამ ო'ს შესატყვისად აწმყოში ნ. მარს ი მიაჩნია (იქებ-ი, ჯღებ-ი)³.

ვ. თოფურიასაც დაშლილად აქვს წარმოდგენილი ოდ სუფიქსი: „ქართულსა და მეგრულში ნამყოუსრულს -დ აწარმოებს (თუ, რა თქმა უნდა, -ი სუფიქსიან გარდაუვალებში გამოვლენილ -ო-ს [ვდი-ო-დი, ტირ-ო-დ-ა] მხედველობაში არ მივიღებთ)“⁴. ო'ს ფუნქციის შესახებ კი იგი არაფერს ამბობს.

ნ. მარის აზრს იმეორებს ა. ჩიქობავა, როცა იგი „ქროდა“, „კუდებოდა“ ფორმებში ო'ს გამოჰყოფს (ქრ-ო-დ-ა, კუდებ-ო-დ-ა) და მას ქრ-ი-ს, კუდებ-ი-ს ფორმათა ი'საგან მიღებულად თვლის⁵. მას, როგორც ჩანს, არ გაუზიარებია რ. გაგუას შენიშვნა, რომ „ო-ყოველთვის არაა აწმყოს ი-ს შემცვლელი. არის შემთხვევები, როდესაც აწმყოს ი ნამყოში გადმოსულია და შემდეგად დართული „ო“⁶ (დამოწმებულია „ადმოსდიოდა“, „მირბიოდეს“ ფორმები).

ო არასოდეს არ არის „აწმყოს ი-ს შემცვლელი“: „ი არ → ო ქართულში არცერთ შემთხვევაში. ქრ ოდა ქრ იდა'საგან კი არ მიგვიღია, არამედ — ქრ-ო-დ-ა'საგან“⁷.

ნ. მარის მოსაზრებაზე დაყრდნობით რ. გაგუაც ცალკე განიხილავს ო'ს, თუმცა მისი ფუნქციის შესახებ გადაჭრით ვერაფერს ამბობს: „ნამყოში, როგორც მარის მიერ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, აწმყოს ი იცვლება ო-თი. ამდენად, ი-ს შეპირისპირება ო-სთან შეუძლებელი არაა. თუ ი აწმყოში ვნებითობას გამოხატავს, მისი შემცვლელი ო-ც შესაძლებელია ვნებითობას დაუკავშირდეს. მაგრამ ამის საწინააღმდეგოდ შემდეგის თქმა შეიძლება: 1) ო-დ-იანი წარმოება საშუალო გვარის ზმნებსაც აქვს, ე.ი. ო-ს მხოლოდ ვნებით გვარს ვერ დაუკავშირებთ. 2) ო- ვნებითობას რომ გამოხატავდეს, ის სხვა დროებშიც უნდა გვხვდებოდეს. 3) ო ყოველთვის არაა აწმყოს ი-ს შემცვლელი...“⁸. მიუხედავად ამისა ეს ო თურმე „მაინც გვართან უნდა იყოს დაკავშირებული“⁹.

¹ ნამდვილად „იქებოდი“ ძვ. ქართულში I კავშირებითია, ხოლო „იქებოდე“ — უწყვეტელი.

² Н. Марр. Грамматика древнеит. груз. языка, 135.

³ იქვე.

⁴ ვ. თოფურია, სვანური ენა. I. ზნა, 105.

⁵ ა. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართვ. ენებში, 223.

⁶ რ. გაგუა, ნამყო უწყვეტელისა და კავშირებითი პირველის წარმოება ძველს ქართულში: სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული. I. 1941, გვ. 198.

⁷ ლ. კიკნაძე, ძირეული და ნასახელარი ზმნები ქართულში. I. გვ. 174.

⁸ რ. გაგუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 198.

⁹ იქვე.

როგორც ჩანს, ოდ სუფიქსიანი ფორმებიდან ო დ სუფიქსიანი მწკრივისპირების შედეგად იქნა გამოყოფილი, მაგრამ ასეთ გამოყოფას არავითარი გამართლება არა აქვს, როცა აუხსნელი რჩება ამ ო-ს ფუნქცია.

თუ ოდ-ის დაშლა შეუძლებელია, სამაგიეროდ მოქმედებითი და საშუალო გვარის ზმნათა ერთი ნაწილის — ავ და ამ სუფიქსებიანი ზმნების I სერიის ოთხ მწკრივში (უწყვეტელსა, უწყვეტლის ხოლმეობითსა, I კავშირებითსა და I ბრძანებითში) უწყვეტლის დ სუფიქსის წინ გამოიყოფა ი ხმოვანი, რომელსაც ზოგი მკვლევარი ცალკე სუფიქსად თვლის, ზოგი კი მას დ-სთან ერთად განიხილავს და იდ-ს მიიჩნევს უწყვეტლის მაწარმოებელ სუფიქსად. ეს ი I კავშირებითისა და უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმებში ყოველთვის ჩანს, უწყვეტელსა და I ბრძანებითში კი მხოლოდ მესამე სუბიექტური პირის ფორმებში გამოიყოფა, ამასთან I ბრძანებითში მესამე პირის ფორმაშიც არ ჩანს ყოველთვის: მხოლოდ ბითში არ არის.

იმ ფორმებში, რომლებშიც უწყვეტლის დ სუფიქსის წინ ი გვაქვს, ავ და ამ სუფიქსები ვ-სა და მ-ს სახით არიან წარმოდგენილი, ხოლო იქ, სადაც დ-ს წინ ი არ არის, ავ, ამ-ის ნაცვლად გვაქვს ევ, ემ.

უნდა გაირკვეს, თუ რა იწვევს ამ სუფიქსთა სახის შეცვლას და რატომ წარმოვიდგება სხვადასხვაგვარად ავ და ამ სუფიქსები ერთი და იმავე მწკრივის სხვადასხვა პირის ფორმებში, ერთი და იმავე პირის სხვადასხვა მწკრივებში და თვით ერთი და იმავე მწკრივისა და ერთი და იმავე პირის სხვადასხვა რიცხვის ფორმებში (ვჰკითხ-ევ-დ(ი), განვასხ-ემ-დ(ი) — ჰკითხ-ვ-ი-დ-ა, განასხ-მ-ი-დ-ა; ვჰკითხ-ევ-დ(ი), განვასხ-ემ-დ(ი) — ვჰკითხ-ვ-ი-დ-ე, განვასხ-მ-ი-დ-ე; ჰკითხ-ევ-დ-ი-ნ, განასხ-ემ-დ-ი-ნ — ჰკითხ-ვ-ი-დ-ედ, განასხ-მ-ი-დ-ედ...).

ვიდრე ამ კითხვებზე პასუხს ვაგეძმდეთ, წარმოვიდგინოთ ავ, ამ სუფიქსებიან ზმნათა სრული სურათი ბირველი სერიის მწკრივებში.

III

I სერიის მწკრივებში, როგორც ითქვა, ძირითადია აწმყო, რომლის ფუძე, თემის ნიშნიანი თუ უთემისნიშნო, წარმოდგენილია ამ სერიის ყველა დანარჩენ მწკრივში: აწმყოს ხოლმეობითის ფუძე იგივეა, რაც აწმყოსი; უწყვეტლის ფუძე, რომლის მაწარმოებელია დ ან ოდ-ე სუფიქსები, აწმყოს ფუძის გართულებულ სახეს წარმოადგენს: უწყვეტლის ხოლმეობითის ნიშანი ი უწყვეტლის ფუძეს ერთვის; I კავშირებითის მწკრივში ისევ უწყვეტლის ფუძე ჩანს, რომელსაც ამ მწკრივის მაწარმოებელი ე ან ი სუფიქსი ერთვის (იმის მიხედვით, თუ როგორია ზმნა — დ-ონიანი თუ ოდ-იანი); I ბრძანებითის ფუძე არაფრით არ განსხვავდება უწყვეტლის ფუძისაგან.

რაკი აწმყოს ფუძე ამ სერიის ყველა დანარჩენ მწკრივში ჩანს, რა თქმა უნდა, აწმყოს თემბატური სუფიქსებიც გამოჩნდება სხვა მწკრივებში.

ებ, ობ, ი, ოვ, ემ სუფიქსები ყოველთვის გამოვლინდება როგორც აწმყოს ხოლმეობითში, ისე უწყვეტელში და მისგან ნაწარმოებ დანარჩენ მწკრივებში¹.

¹ თლიანდ, როგორც ზემოთაც იყო შენიშნული, ოდ სუფიქსის წინ ი იკარგება.

დღევანდელ სალიტერატურო ქართულში ავ და ამ სუფიქსებიანი ზმნების აწმყოს ფუძე არავითარ ცვლილებას არ განიცდის I სერიის მწკრივებში და ამ¹ იც უცვლელად არის წარმოდგენილი უწყვეტელსა და აწმყოს კავშირებითში (აგრეთვე პირველ ხოლმეობითსა და მყოფადის კავშირებითში). რაკი „დ საერცობიანი ზმნების უღლების ნორმა... ასე თუ ისე, ერთნაირია ქართული ენის წერილობითი ისტორიის მთელს მანძილზე“¹, მოსალოდნელი იყო, რომ ავ და ამ სუფიქსებიანი ზმნების აწმყოს ფუძე უცვლელი იქნებოდა ძველი ქართულის I სერიის მწკრივებშიც, მაგრამ ძველ ქართულში ავ და ამ ხან ვ'სა და მ'ს სახით წარმოგვიდგება, ხან ევ'ისა და ემ'ის სახით². ეს სუფიქსები ერთნაირად განიცდიან ცვლილებას იმის მიხედვით, თუ რომელია მწკრივი; რომელი პირია სუბიექტი და რომელ რიცხვშია ეს სუბიექტი.

ავ → ვ, ამ → მ 1. აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითში მესამე სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის ფორმაში, 2. უწყვეტელში მესამე სუბიექტური პირის ორივე რიცხვის ფორმებში, 3. უწყვეტლის ხოლმეობითში, 4. I კავშირებითში და 5. I ბრძანებითში მესამე სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის ფორმაში.

ავ → ვვ, ამ → ვემ 1. უწყვეტელში პირველი და მეორე პირის ორივე რიცხვის ფორმებში და 2. I ბრძანებითში მეორე სუბიექტური პირის ორივე რიცხვისა და მესამე სუბიექტური პირის მხოლოდობითი რიცხვის ფორმებში.

როცა ავ → ვ, ამ → მ, უწყვეტლის, უწყვეტლის ხოლმეობითის, I კავშირებითისა და I ბრძანებითის ფორმებში დ სუფიქსის წინ ჩნდება ი ხმოვანი.

დავიმოწმით ძველი ქართული ენის ძეგლები და წარმოვადგინოთ ავ და ამ სუფიქსებიანი ზმნების ფორმები I სერიის მწკრივებში³.

ა წ მ ყ ო

ავ → ვ, ამ → მ

ბრმანი აღიხილვენ (მ. 11, 5); არა სთესვენ (მ. 6, 26); ხედვენ და არა ხედვენ. (მ. 13, 13. შდრ. მ. 18, 10); ესრე ზრახვენ (მარკ. 2, 8); საფასეთა ესვენ (მარკ. 10, 24); აღსძრვენ ჩნ ზა რისხვასა (კიმენი I. 241, 30); შესწირვენ მსხურბლსა (იქვე, 243, 27); გორვენ ქვანი პატიოსანნი (იქვე, 23, 5); მოჰკლვენ მას (იქვე, 40, 6); მოწაფენი იოვანესნი იმარხვენ (ლ. 5, 33); ჰფარვენ მარადის (ხანძთ. პდ 16).

მოწაფენი შენნი ჭამენ და სუმენ (ლ. 5, 33); ძენი თქუენნი რომლითა განასხმენ? (მ. 12, 27. შდრ. ლ. 11, 9).

¹ ა. შანიძე, მწკრივთა მოძღვრებისათვის, I, 838—839.

² ამ სუფიქსთა ასეთი ცვლილებადობა შეინიშნება დღევანდელი ქართულის ბევრ კილოშიც, მაგრამ ვერცერთი ამ კილოთაგანი ვერ წარმოგვიდგენს ზუსტად იმ კანონზომიერებას, რომელიც ძველ ქართულს ახასიათებს ამ სუფიქსთა გამოყენების მხრივ.

³ ჩვენთვის საინტერესო ფორმების შემცველი წინადადებები არასრულად არის წარმოდგენილი აქ.

აწმყოს ხოლმეობითი

აგ → ვ (ამ → მ)

განგრძობილად ილოცვედ (ლ. 20, 47 DE); ოდეს დაფარის მათგან, ვერას ზრახვედ (კიმენი I, 17, 35).

უწავებელი

აგ → ყგ, ამ → ემ

გისტუნევდით თქუნენ, და არა ჰროკვედით (მ. 11, 17); ვხედვედ მე ეშმაკსა (ლ. 10, 18); მშუდლობასა ცოდვილთასა ვხედვედ (კიმენი I, 65, 1); განვიხილევდით კორცთა წთა მათ მწმთსა (იქვე, 30, 18); თავთა თვსთა განვიკითხევდით (იქვე, 57, 16); ამას განვიზრახვედით (იქვე, 24, 2); ვილოცვედით ღთისა მიმართ (იქვე, 35, 30); შემდგომად ამისა კლად ვილოცვედ (იქვე, 214, 8. შდრ. 41, 1)); ვხხედით და ვზრახვედით (იქვე, 166, 2); ვჯად და ვიკითხევდ (იქვე, 207, 27); ვიკითხევდით მიზეზსა (ზარზმ. 163, 23).

ეშმაკთა განვასხემდით (მ. 7, 22); ვკამდით წინამე შენსა და ვსუემდით (ლ. 13, 26).

აგ → ვ, ამ → მ

იფარვიდა თავსა თვსსა (ლ. 1, 24 DE = იმალვიდა თავსა თვსსა C); სიტყუასა სთესვიდა (მარკ. 4, 14 E); ილოცვიდა და იტყოდა (მ. 26, 39 DE); მიმოიხედვიდა იესუ (მარკ. 5, 32 DE = მიმოლადა ისტუანვიდა იესუ C); როკვიდა ასული (მ. 14, 6); ჰრისხვიდა მათ (მ. 20, 31 DE); იმარხვიდა ორბეოც დღე (მ. 4, 2 E); ჰკითხვიდა მოწაფეთა თვსთა (მ. 16, 13); იკითხვიდა მათგან (მ. 2, 4 C); იტყოდა და ჰხედვიდაცა (მ. 12, 22 E); გორვიდა და პეროოდა (მარკ. 9, 20 E, C); რომელსა-იგი ესვიდა (ლ. 11, 22); მიმოლაზრუნვიდა მრავლისათვს მსახურებისა (ლ. 10, 40); ერსა აღსძრვიდა (კიმენი I, 278, 4); მოხლუდვიდა და შეაყენებდა და იქმოდა ტბურებსა (იქვე, 115, 4); ზიდვიდა რაჲ ესრეთ ბოროტი იგი (55, 14); მიიზიდვიდა მისა მძლავრებით (55, 11); ისარი იგი კლვიდა (36, 14); მათ შჯიდა და სტანჯვიდა (17, 2); იხილვიდა ჩუნენბასა და იტყოდა (280, 22); ჰფარვიდა მას (ხანძთ. 20 7); კანდელი იგი იოვანესი ბრწყინვიდა (ზარზმ. 166, 15); პეროოდა და ფრინვიდა (კიმენი I, 304, 34); ხურინვიდა (იქვე, 314, 17); შეკრვიდა ეშმაკსა მას (336, 27); გამოსახვიდა სახესა (256, 32); ელვიდა (236, 26); დრტუნვიდა (206, 8); რწყვიდა (173, 11); შესწირვიდა (196, 5); ურჩთა მოსრვიდა მახვლითა (169, 30); მიფრინვიდა და იტყოდა (164, 28); გამოვიდა და ხლოცვიდა (ი. ჯავახიშვილი, ხანმეტი ტექსტები, გვ. 384); მიკბამძვიდა კეთილთა საქმეთა (საბა ასური, 11, 29); მიითუალვიდა მახვლსა (ჰაბო, 74, 1).

ჰკითხვიდეს მას (მ. 12, 10); დასთრგუნვიდესცა ურთიერთას (ლ. 12, 1 C); ჰრისხვიდეს მას მრავალნი (მარკ. 10, 48); მუსრვიდეს



ველითა და ჰამდეს (ლ. 6, 1); დრტვნვიდეს ფარისეველი (ლ. 5, 30 DE); დაჰკლვიდეს (მარკ. 14, 12 DE); თანა-ზრახვიდეს მას (მ. 17, 6 DE); იგინი განიზრახვიდეს (მ. 16, 7 D, C); ჰხედვიდეს (მ. 15, 31 E); ჰნერ-წყუვიდეს პირსა მისსა (მ. 26, 67 DE); რნი მირეწვიდეს მე დღისა რო-ჰიკსა (კიმენი I, 147, 13); ჰკუერვიდეს (იქვე, 40, 27); ეშმაკნი ისტუნდეს და უბერვიდეს (225, 19); აღვირნი მისნი ბრწყინვიდეს (282, 26); არცა მსოფლიონი ერის-კაცი ახლვიდეს (ხანძთ. ზ 43); მგორინველი... მოფრინ-ვიდეს (საბა ასური, 6, 6); მოსრვიდეს (ჰაბო, 76, 30); შესწირვიდეს (იქვე, 80, 3); არა ესვიდეს კულად ხილვასა მისსა (ზარზმ. 170, 10); ქვითა ქოლვიდეს (კიმენი II, 13, 9).

გარდაასხმიდა ღელვათა ნავსა მას (მარკ. 4, 37 C); არცა ჰამდა, არცა სუმიდა (მ. 11, 18); გული უთქუმიდა ხილვად (მ. 13, 17); ეშმაკთა განა-სხმიდა (მარკ. 1, 39 DE); სისხლსა მას გამომდინარესა მოჰლოშნიდა და შესუმიდა (კიმენი I, 289, 17); განუცუმიდა სადგისსა (იქვე, 194, 10); მოართუმიდა მოძლუარსა (166, 32); ჰაბუკი იგი აყენებდა მათ და რისხვით უთქუმიდა (ზარზმ. 159, 20); ასუმიდა მით წყალსა (კიმენი I, 16, 9); აღგვთქუმიდა ყლსა კეთილსა (იქვე, 43, 8).

ჰამდეს და სუმიდეს (მ. 24, 38); მოართუმიდეს მას ყრმებსა (მარკ. 10, 13 C); უბნებსა ზედა დასდგმიდეს (მარკ. 6, 56 C); ასუმიდეს მას და იტყოდეს (მარკ. 15, 36 DE); თავსა გარდაასხმიდეს (კიმენი I, 163, 17); წყალსა ტფილსა და გრილსა აღმოასხმიდეს (იქვე, 96, 5).

უწყვეტლის ხოლმეობით

ავ → ვ (ამ → მ)

ვსხედით ერთობით და ვიკითხვიდით წამებასა წთასა და გვეკრნ მოთმინებაჲ მათი (კიმენი I, 37, 12); განგრძობილად ილოცვიდით (მ. 23, 13 D). გრიგოლის თუალნი ხოლო ხედვიდიან მას (იქვე, 130, 30); ცრემლით შესწირვიდიან ვედრებათა (ზარზმ. 174, 26).

I კავშირებით

ავ → ვ, ამ → მ

ვხედვიდე მე (კიმენი I, 163, 12); ყლთა დღეთა ვიკითხვიდე (იქვე, 43, 31); ვიხილვიდე საღმრთოსა პირსა თქუენსა (ზარზმ. 172, 11); ვზრუნ-ვიდე თ სულთა ჩნთა-თვს (კიმენი I, 43, 24).

რაჟამს ილოცვიდე, შევედ (მ. 6, 6 D); რაჟამს იმარხვიდე... (მ. 6, 17); უკუეთუ შესწირვიდე შენ... (მ. 5, 23 DE); რაჟამს იხილვიდე მას, დაიდვინებდე (კიმენი I 51, 24); რაჟამს ილოცვიდე თ... (მ. 6, 7); რა-ჟამს იმარხვიდე თ, ნუ იყოფით (მ. 6, 16); ხედვით ხედვიდე თ და არა იხილოთ (მ. 13, 14 D); უკუეთუ მოიკითხვიდე თ... (მ. 5, 47 DE); რითა საწყაულითა მიხუწვიდე თ... (ი. ჯავახიშვილი, ხანმეტი ტექსტები, გვ. 375); მოწაფეთა თქუენთა მოითუალვიდე თ (ხანძთ. მა 12).

ძალი მალღისაჲ გ ფ არ ვ ი დ ე ს შ ე ნ (ლ. 1, 35); ხვალე იგი ზ რ ო ნ ე წ ი დ ე ნ ი (მ. 6, 34. შდრ. მ. 6, 27; ლ. 12, 25); რომელი აღმოიკითხვიდეს (მ. 24, 15 E, C); რომელი ჰხედვიდეს დედაკაცსა (მ. 5, 28 DE); შეჰმუსრვიდეს კლდეთა (კიმენი I, 178, 16), იგიცა ვილოდის და მიჰბაძვიდეს სლვასა მისსა (იქვე, 216, 37); არა ფუცვიდეს სახელსა ოღლისასა (228, 22); ერთი მღდელთაგანი შესწირვიდეს (ზარზმ. 181, 11); არა ზ რ ა ხ ვ ი დ ე ს მ ა ს (საბა ასური, 8, 4).

მაშინ იმარხვიდენ (მ. 9, 15); მოჰკლვიდენ მათ (მარკ. 13, 12 DE; მ. 10, 21); წარმართნი ესვიდენ (მ. 12, 21 D, C); გ ტ ა ნ ჯ ვ ი დ ე ნ თ ქ უ ე ნ (მ. 10, 17 DE; მარკ. 13, 9); ორნი ფქვიდენ ფქვილსა (მ. 24, 41 DE); ჰნერწყუვიდენ მას (მარკ. 10, 34 DE); რომელი აღმოიკითხვიდენ (ჰაბო, 56, 27); რ ა ჰ ბ ა ძ ვ ი დ ე ნ მ ო ნ ა ზ ო ნ ე ბ ს ა მ ის ს ა (კიმენი I, 16, 6); ვერ იტვრთვიდენ მთანი (იქვე, 178, 15); რ ლ ნ ი ე ს ვ ი დ ე ნ მ ა თ (51, 33); დასთრგუნვიდენ... გუელთა და ღრიანკალთა (237, 36); რ ა ჰ ფ ა რ ვ ი დ ე ნ შ ო შ ი შ ო ა მ ის თ ა (22, 7); იქცეოდინ და ილოცვიდენ (საბა ასური, 7, 31); იმარხვიდენ და იქცეოდინ (იქვე, 6, 8); ზ რ წ ყ ი ნ ვ ი დ ე ნ პ ი რ ს ა ყ ო ვ ლ ის ა ს ო თ ლ ის ა ს ა (ზარზმ. 148, 20).

რომელსა მე შევსუმიდე (მ. 20, 22).

იწყოს გუემად... ჰამდეს და სუმიდეს (მ. 24, 49); უკთუ ვინმე ჰამდეს კორცსა ანუ სუმიდეს ღვნოსა (კიმენი I, 57, 23); არა სუმიდეს ღვნოსა (იქვე, 230, 17).

რაათა განასხმიდენ მათ (მ. 10, 1 DE); მოვიდოდინ და ინაკ-იდგმიდენ (მ. 8, 11 DE); ინაკ-იდგმიდენ სასუფეველსა ღმრთისასა (ლ. 13, 29 DE); შეგარტყმიდენ და მიგიყვანებდენ (ი. 21, 18 C).

I ბრძანებითი

ავ → ევ, აშ → ეშ (ავ → ვ, აშ → შ)

იღვებდით და ილოცევდით (მ. 26, 41 DE); საზოდელსა შოირე-წევდით (კიმენი I, 266, 30); ფრინევდით და მომიკსენეთ მე (იქვე, 115, 16); ჰბაძევდით შურსა ამას ჩემსა და მოლუაწებასა (კიმენი II, 82, 9).

ზ რ წ ყ ი ნ ე ვ დ ი ნ ნ ა თ ე ლ ი თ ქ უ ე ნ ი წ ი ნ ა შ ე კ ა ც თ ა (მ. 5, 16 DE; შდრ. ჰაბო 67, 22).

ეშმაკთა განასხემდით (მ. 10, 8; კიმენი I, 223, 24).

მოვედინ ჩემდა და სუემდინ (ი. 7, 37).

სურათი რომ უფრო ნათელი იყოს, ავიღოთ თითო ავ'იანი და აშ'იანი ზმნა და წარმოვადგინოთ მათი I სერიის მწკრივთა ფორმები სუბიექტის პირისა და რიცხვის ცვლით.

აწმყო

აწმყოს ხოლმეობითი

- მზ. 1. შევკრავე განვასხამ
 2. შეჰკრავე განასხამ
 3. შეკრავეს განასხამს
- მრ. 1. შევკრავთ განვასხამთ
 2. შეჰკრავთ განასხამთ
 3. შეკრავენ განასხამენ

- მზ. 1. _____
 2. _____
 3. შეკრავენ განასხამს
- მრ. 1. _____
 2. _____
 3. შეკრავენ განასხამენ

უწვევბელი

უწვევბელის ხოლმეობითი

- მზ. 1. შევკრეველ(ი) განვასხემლ(ი)
 2. შეჰკრეველ(ი) განასხემლ(ი)
 3. შეკრევილა განასხმილა
- მრ. 1. შევკრეველით განვასხემლით
 2. შეჰკრეველით განასხემლით
 3. შეკრევილეს განასხმილეს

- მზ. 1. შევკრევილი განვასხმილი
 2. შეჰკრევილი განასხმილი
 3. შეკრევილის განასხმილის
- მრ. 1. შევკრევილით განვასხმილით
 2. შეჰკრევილით განასხმილით
 3. შეკრევილიან განასხმილიან

I კავშირებითი

I ბრძანებითი

- მზ. 1. შევკრვილდე განვასხმილდე
 2. შეჰკრვილდე განასხმილდე
 3. შეკრვილდეს განასხმილდეს
- მრ. 1. შევკრვილდეთ განვასხმილდეთ
 2. შეჰკრვილდეთ განასხმილდეთ
 3. შეკრვილდენ განასხმილდენ

- მზ. 1. _____
 2. შეკრეველ(ი) განასხემლ(ი)
 3. შეკრეველინ განასხემლინ
- მრ. 1. _____
 2. შეკრეველით განასხემლით
 3. შეკრევილედ განასხმილედ

ცალკე უნდა იქნეს განხილული „კურთხევა“ და „კიცხევა“. ორივეში ვგ სუფიქსია, მაგრამ ეს ევ არ არის ავ'ისაგან მიღებული: ის უცვლელად გვხვდება როგორც საწყისში, ისე I სერიის ყველა მწკრივში.

„კურთხევის“ ევ'ს ახალ ქართულში ებ სუფიქსი შეესატყვისება (ზღრ. კურთხ-ეზ-ა, ა-კურთხ-ეზ-ს), თუმცა ახალ ქართულში გვხვდება „კურთხეულიც“, რომელშიც ე ევ'ის ნაშთია: კურთხ-ე-ულ-ი ← კურთხ-ეგ-ულ-ი.

იმ ფორმებში, რომლებშიც ახალ ქართულში ებ სუფიქსია მოსალოდნელი, ძველ ქართულში ევ გვაქვს: აკურთხევედა მათ (მარკ. 10, 16 DE; ზღრ. ლ. 1, 64: აკურთხევედა ღმერთსა); აკურთხევედეს ღმერთსა (ლ. 2, 20 DE); აკურთხევედიო... და ილოცვედიო მათთვის (მ. 5, 44 DE); გაქებ და გაკურთხევე (კიმენი II, 49, 29).

ახალი ქართულის კიცხევა'ს ძვ. ქართულში კიცხევა შეესატყვისება და I სერიის მწკრივებშიც ავ'ის ნაცვლად ყველგან ევ სუფიქსია: მისცენ იგი წარმართთა კიცხევად (მ. 20, 19); არავის ვეკიცხევე (კიმენი I, 70, 17); მართლიად იქმს, რომელ ეკიცხევეს (იქვე, 70, 19), ეკიცხევედ მას (მ. 27, 29 C); ეკიცხევედა და ჰხაბრობდა (კიმენი I, 70, 29); ეკიცხევედეს მას (მ. 9, 24); ჰეკიცხევედეს მას (ა. შანიძე, ჰამეტი ტექსტები, გვ. 366);

ეკი ცხვედენ მას (მარკ. 10, 34). ეს ზნა იმითაც არის საინტერესო, რომ მას აქვს ე პრეფიქსი, რომელიც ჩვეულებრივ ვნებითი გვარის ზნებში გვხვდება და სხვა გვარის ზნებში იშვიათია.

როგორც დავინახეთ, ავ და ამ სუფიქსები მხოლოდ ორ მწკრივში (უწყვეტლის ხოლმეობითსა და I კავშირებითში) წარმოგვიდგება ყველა ფორმაში ერთნაირად (ვ'სა და მ'ს სახით). აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითში გვაქვს როგორც ავ და ამ, ისე ვ და მ, ხოლო უწყვეტელსა და I კავშირებითში ავ, ამ სუფიქსები ევ, ემ'ის სახითაც გვხვდება და ვ, მ'ს სახითაც. საერთოდ ეს სუფიქსები I სერიის მწკრივებში სამი სახით გვხვდება (ავ || ევ || ვ — ამ || ემ || მ) და ეს სხვადასხვაობა დამოკიდებულია როგორც მწკრივზე, ისე სუბიექტის პირსა და რიცხვზე. თუ რატომ განსაზღვრავს ეს სამი კატეგორია აღნიშნული სუფიქსების ცვალებადობას, ამას შემდეგ დავინახავთ; ახლა კი სქემის მიხედვით წარმოვიდგინოთ, თუ რომელი მწკრივის რომელი პირისა და რომელი რიცხვის ფორმაში რა სახე აქვთ ამ სუფიქსებს.

	პირველი სუბ. პირი		მეორე სუბ. პირი		მესამე სუბ. პირი	
	მხ.	მრ.	მხ.	მრ.	მხ.	მრ.
აწმყო	ავ ამ	ავ ამ	ავ ამ	ავ ამ	ავ აპ	ვ მ
აწმყოს ხოლმეობითი	—	—	—	—	ავ ამ	ვ მ
უწყვეტელი	ევ ემ	ევ ემ	ევ ემ	ევ ემ	ვ მ	ვ მ
უწყვეტლის ხოლმეობ.	ვ მ	ვ მ	ვ მ	ვ მ	ვ მ	ვ მ
I კავშირებითი	ვ მ	ვ მ	ვ მ	ვ მ	ვ მ	ვ მ
I ბრძანებითი	—	—	ევ ემ	ევ ემ	ევ ემ	ვ მ

იმის მიხედვით, თუ რა სახით გვხვდება ავ, ამ უწყვეტელში, უწყვეტლის ხოლმეობითში, I კავშირებითსა და I ბრძანებითში, ამ მწკრივებში გვაქვს ერთი მხრივ ევ-დ — ემ-დ ყალიბის ფორმები, მეორე მხრივ — ვ-ი-დ — მ-ი-დ ყალიბისა.

ავ და ამ სუფიქსების ცვალებადობას და უწყვეტლის დს წინ ი ხმოვნის გამოვლენას ნ. მარის ყურადღება მიუქცევია ორმოცი წლის წინათ. შემდეგ ამ საკითხების შესახებ გაკვრით აქვთ გამოთქმული აზრი ვ. თოფურთას, ა. ჩიქობავას და ვ. ფანჩიძეს. შედარებით დაწვრილებით იხილავს საკითხს რ. გაგუა. მაგრამ აღნიშნული ზნები სპეციალურად დღემდის არავის შეუსწავლია და მათი ნამდვილი და სრული სურათიც არავის მოუცია.



ნ. მარის „ძირითად ტაბულებში“¹ I სერიის მწკრივები („დროთაჲ ნარჩხველი ჯგუფი“) მხოლოდ აწმყოთი, უწყვეტლითა და I კავშირებითი² არის წარმოდგენილი. ავ და ამ სუფიქსებიან ზმნათაგან ნაულებია ვსტავ³, ვირთავ⁴, ვწყლავ, ვხარშავ, ვბრუნავ⁵, ვკლავ⁶, ვწვავ, ვდგამ, ვსუამ, ვირტყამ და ვასხამ⁶. თუ როგორ ჰქონდა ნ. მარს წარმოდგენილი ამ ზმნათა I სერიის მწკრივები, ჩანს ქვემოთ მოყვანილი ფორმების მიხედვით.

აწმყო	1-ლი ნამყო უსრული	2-ე ნამყო უსრული (ნატვრითი)
ვკლავ	ვკლვიდი	ვკლვიდე
კლავ	კლვიდი	კლვიდე
კლავს	კლვიდის/ა	კლვიდეს
ვკლავთ	ვკლვიდით	ვკლვიდეთ
კლავთ	კლვიდით	კლვიდეთ
კლვენ	კლვიდიან	კლვიდენ
ვსუამ	ვსუმიდი	ვსუმიდე
სუამ	სუმიდა	სუმიდე
სუამს	სუმიდის/ა	სუმიდეს
ვსუამთ	ვსუმიდით	ვსუმიდეთ
სუამთ	სუმიდით	სუმიდეთ
სუ(ა)მენ	სუმიდიან	სუმიდენ

ვარდა იმისა, რომ აქ არსად ჩანს მეორე პირის სუბიექტური ნიშანი, ძველი ქართულის ნორმებს არ შეესაბამება 1-ლი ნამყო უსრულის (უწყვეტლის) აქ მოყვანილი ფორმებიც: პირველი-მეორე პირის ფორმებში ვ-ი-დ — მ-ი-დ'ის ნაცვლად ვვ-დ — ვმ-დ უნდა იყოს; ამავე პირების მხოლოდითის ფორმებში დ სუფიქსის შემდეგ ი ფრჩხილებში უნდა იყოს ჩასმული, რადგან იგი ხან გვგვდება და ხან არა; „კლვიდა“ და „სუმიდა“ სწორია, მაგრამ „კლვიდის“ და „სუმიდის“ უწყვეტლის ხოლმეობითია და არა უწყვეტელი ისევე, როგორც „კლვიდიან“ და „სუმიდიან“. აწმყოს და 2-ე ნამყო უსრულის (I კავშირებითის) ფორმები სწორია, ოღონდ სუ(ა)მენ'ში ზედმეტია ფრჩხილებში ჩასმული ა.

„ძირითად ტაბულებში“ ვვ-დ — ვმ-დ ყალიბის ფორმები არსად გვგვდება: ყველგან ვ-ი-დ — მ-ი-დ'იანი ფორმებია მოცემული. ტაბულებისათვის წამძღვა-

¹ Н. Марр, Основные таблицы к грамматике древнелитературного грузинского языка. С.-ПБ. 1908.

² აღნიშნულ ნაშრომში უწყვეტლის შესატყვისია „1-ое прошедшее несовершенное“, ხოლო I კავშირებითისა — „2-ое прошедшее несовершенное (желательное)“.

³ ტაბ. XIII a.

⁴ ტაბ. XIII b.

⁵ ტაბ. XIII c.

⁶ ტაბ. XIII d.



რებულ შენიშვნებში ნათქვამია, რომ ვკლავდი — ვკლავდე, ვირთავდი — ვირთავდე, ვასხამდი — ვასხამდე ფორმების პარალელურად გვხვდება ვკლვიდი — ვკლვიდე, ვირთვიდი — ვირთვიდე, ვასხმიდი — ვასხმიდე, რომლებშიც დაკარგულია ა და აღდგენილია ი ხმოვანი (ავ > 'ა'ვი, ამ > 'ა'მი)¹. ტაბულებში წარმოდგენილია უკანასკნელი, „უფრო არქაული“ ფორმებიო — წერს ნ. მარი².

შემდეგ ნ. მარი შენიშნავს, რომ ზოგიერთ ზმნას, როგორცაა, მაგალითად, სუმა, მესამე პარალელური ფორმაც აქვს, რომელშიც ა ხმოვანი ეთია შეცვლილი (ვსუემდი — ვსუემდე), და იძლევა „ვესავ“ ზმნის ნაირნაირ ფორმებს ნამყო უსრულსა (უწყვეტელსა) და ნატვრითში (I კავშირებითში): ვესავდი — ვესავდე, ვესევდი — ვესევდე, ვესვიდი — ვესვიდე³.

როგორც ჩანს, ნ. მარი ძველ ქართულში უწყვეტელსა და I კავშირებითში ავ და ამ სუფიქსებიანი ზმნების სამგვარ ფორმას არჩევს: 1. ავ-დ — ამ-დ, 2. ევ-დ — ემ-დ და 3. ვ-ი-დ — მ-ი-დ ყალიბისას. სინამდვილეში ავ-დ — ამ-დ ყალიბის ფორმები შეუფერებელია ძველი ქართულისათვის (ახალი. სალიტერატურო ქართულისათვის კი ჩვეულებრივია). ევ-დ — ემ-დ და ვ-ი-დ — მ-ი-დ ყალიბის ფორმები კი, როგორც ვნახეთ, მართლაც გვაქვს ძველ ქართულში, მაგრამ ევ-დ — ემ-დ მხოლოდ ზოგიერთ ზმნაში როდია.

„ძირითად ტაბულებში“ სწორად არ არის წარმოდგენილი ძველი ქართულის ვითარება ავ და ამ სუფიქსების მიხედვით, რადგან მხედველობაში არ არის მიღებული ის განსხვავება, რომელიც ერთი და იმავე მწკრივის სხვადასხვა პირის ფორმებს შორის და ერთი და იმავე პირის სხვადასხვა მწკრივის ფორმებს შორის არსებობს: ნ. მარი I კავშირებითის ვ-ი-დ — მ-ი-დ ყალიბის მიხედვით წარმოგვიდგენს უწყვეტლის სამივე პირის ფორმებს (ვესვიდე — ვსუმიდე, ვესვიდი — ვსუმიდი...), ხოლო უწყვეტლის პირველი — მეორე პირის ევ-დ — ემ-დ სუფიქსებიანი ფორმების მიხედვით იძლევა I კავშირებითის ფორმებს (ვესევდი — ვსუემდი, ვესევდე — ვსუემდე...). ამასთან ავ, ამ სუფიქსების ხმოვანშეცვლილი სახე (ევ, ემ) სრულებით არ არის მოცემული ტაბულებში, რადგან ეს ხმოვნის შეცვლა თითქმის მხოლოდ ზოგიერთ ზმნას ახასიათებს.

„ძველი ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკაში“ ნ. მარს ვ-ი-დ — მ-ი-დ ყალიბის ფორმები აღარ აქვს განხილული, მაგრამ სამაგიეროდ მას ამჯერად ევ-დ სუფიქსებიანი ფორმები აქვს მოცემული ნამყო უსრულსა და ნატვრითში (უწყვეტელსა და I კავშირებითში) მწკრივისა და პირის გაურჩევლად: ნამყო უსრული — ვ-იმარხევ-დი, იმარხევ-დი-ს, იმარხევ-დ-ეს; ნატვრითი — ვ-იმარხევ-დე, იმარხევ-დე-ს, იმარხევ-დ-ენ⁴. ამჯერადაც შეცდომაა დაშვებული: ამ ექვსი ფორმიდან მხოლოდ პირველი შეეფერება ძველი ქართულის ნორმას: არც უწყვეტლის მესამე პირის ფორმებში, არც I კავშირებითში არა გვაქვს ევ-დ, ამასთან უწყვეტლის მესამე სუბიექტური პირის ფორმაში არ შეიძლება დ'ს ი ერთვოდეს და სუბიექტის ნიშნად ს იყოს.

¹ Основные таблицы..., გვ. 12.

² იქვე.

³ იქვე.

⁴ Н. М а р р, Грамматика древнелитературного грузинского языка. Л. 1925. გვ. 159.



ძველი ქართულის (არც ახალი ქართულის) ნორმას არ შეეფერებოდა აგრეთვე არც ვ-სყიდ-ევ, ვ-ბრწყინ-ევ, ვ-ბრუნ-ევ¹ ფორმები, რომლებშიც ნ. მარპის² სუფიქსი ალბათ იმიტომ შეცვალა ვვ-ით, რომ, რაკი უწყვეტლის პირველი-მეორე პირის (მისი აზრით — აგრეთვე უწყვეტლის მესამე პირისა და I კავშირებითის) ფორმებში ვვ გვაქვს ავ-ის ნაცვლად, თითქოს აწმყოშიც ვვ უნდა გვექონოდა.

ვ. თოფურია სვანური ზმნის უწყვეტლის ფორმანტია განხილვისას, სხვათა შორის, წერს: „გამოდის, რომ ძირითადი ფორმანტია -ჯდ... მაგრამ -ჯდ-ის ძირითად მაწარმოებელ ფორმანტად დაშვებას მთელი რიგი საფუძვლიანი მოსაზრებებისა ეწინააღმდეგება. მოძმე ენებთან შედარება მაინც -დ-ს სასარგებლოდ წყვეტს საკითხს და -ჯ-ს განვითარებულად... მიგვაჩვენებს“³. ამასთან დაკავშირებით იგი ეხება ავ და ამ სუფიქსებიან ზმნებს: „დამაფიქრებელია ძველს ქართულსა და დილექტებში ნამყოფსრულისა და კონიუნქტივი I-ის წარმოებისას -ავ და -ამ სუფიქსიან ზმნათა ფუძის შეცვლა, სახელდობრ: შესწირ-ევ-დ მადლობასა (ანტ.-რავახი, 89³²⁻³³) — შესწირ-ვ-იდ-ე-თ (სამ-ლუდელმოძლ., გ 1), შესწირ-ევ-დ-ი თავსა თვსსა მსხუერპლად (ძვ. სას. პ., რომ 16-17), შესწირ-ვ-იდ-ა მსხუერპლთა სულიერთა (ib., ლგ 33), გამასთელ-ევ-და (კვეს., 122²²)... კლ-ევ-დ-ეს, უბ-ემ-დ-ა, უბ-ემ-დ-ით, ფარ-ვ-იდ-ა, დგ-მ-იდ-ა (ფერეიდ. 211)... და ასე ზემოთმართულსა, ჯავახურსა და სხვაში. თუ დამტკიცდა, რომ: შესწირვიდა ← *შესწირ-ავ-იდ-ა, ხოლო შესწირ-ევ-დ ← *შესწირ-ავ-იდ, ე. ი. ბირველ მაგალითში -ა-ს რედუქციას აქვს ადგილი და მეორეში კი ამოღებული -ი-ს მიერ წინამავალი -ა-ს დამსვავებას, მაშინ ქართ. ნამყოფსრულის მაწარმოებელ *-იდ ფორმანტის შესატყვისად სვანურში -ჯდ თავისუფლად დაიშვება“⁴.

უკანასკნელი დროის ერთ ნაშრომშიც ვ. თოფურიას „ჰირისხვიდეს“ ფორმა *ჰირისხავიდეს-ისაგან მიღებულად მიაჩნია⁵ და, როგორც ჩანს, იგი შესაძლებლად თვლის უწყვეტლის მაწარმოებლად ქართულში იდ ფორმანტის გამოყოფას, მაგრამ, ეს მოსაზრება რომ დამაჯერებლად მივიჩნიოთ, გაუგებარი იქნება, თუ რატომ მხოლოდ ავ და ამ სუფიქსებიან ზმნებში გვხვდება იდ ფორმანტი და რატომ არის, რომ განსხვავებული ფორმები გვაქვს მწკრივისა, პირისა და რიცხვის მიხედვით (შესწირ-ევ-დ, შესწირ-ვ-იდ-ე, შესწირ-ევ-დ — შესწირ-ვ-იდ-ა, შესწირ-ევ-დ-ინ — შესწირ-ვ-იდ-ე...): თუ შესწირ-ვ-იდ-ე, შესწირ-ვ-იდ-ა-ში მართლაც იდ სუფიქსი გვაქვს და ეს იდ ისე კუმშავს ავ-ს, რომ თვითონ მას არაფერი მოსდის, რატომ არის, რომ შესწირ-ევ-დ, შესწირ-ევ-დ-ინ ფორმებში იგივე იდ მხოლოდ იმსვავსებზ ავ-ს (აქცევს ვვ-ად) და თვითონ კი ი-ს კარგავს (იდ → დ)?

¹ Н. Марп, Грамматика древнелитературного грузинского языка, გვ. 151 (შდრ. აგრეთვე გვ. 134).

² ვ. თოფურია, სვანური ენა, I. ზმნა. გვ. 107.

³ იქვე.

⁴ ვ. თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში: „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, I, 1946, გვ. 66.

თუ იღ ფორმანტის შესახებ ვილაპარაკებთ, პასუხი უნდა გაეცეს ამ იღის ხეობის, მაგრამ, რაკი ეს შეუძლებელია, თვითონ იღის საკითხი უნდა მოხსნას.

ვ. ფანჩვიძე ერთ სიბრტყეზე აყენებს „აკურთხევდეს“ ზმნის ეგ სუფიქსს და „გუხედევდ“. „განვიზრახვედით“ ფორმების ეგ-ს, რომელიც ავსისაგან მივიღეთ ხმოვნის შეცვლის შედეგად (შდრ. გუხედ-ავ, განვიზრახ-ავ-თ): „-ეგ || -ივ თემის მაწარმოებლის მორფოლოგიური თვისებები საერთოდ ცნობილია... იგი საკმაოდ გავრცელებული აფიქსია ძველ ქართულში, ახალ სალიტერატურო ქართულში და კილოებშიც. აღსანიშნავია მხოლოდ ის, რომ ძვ. ქართულში და ზოგ კილოში ეს აფიქსი უფრო გავრცელებულია, ისტორიულად მას მეტი გამოყენება უნდა ჰქონოდა...“¹ (იქვე დამოწმებულია აკურთხევდეს, გუხედევდ, განვიზრახვედით ფორმები ძველი ქართულის ძეგლებიდან).

აკურთხევ-დეს ზმნის ეგ-ის გათანაბრება გუხედ-ევ-დ, განვიზრახ-ევ-დით ზმნების ეგ-თან შეცდომაა; არც ის არის სწორი, რომ ვ. ფანჩვიძე ამ ზმნებს განიხილავს აკმევს, ასმევს, აცმევს; აკვლევინებს, ახვენევენებს, აჭრევენებს, ადგმევენებს ზმნებთან ერთად² და ეგ-ს ყველგან ერთი ფუნქციის მქონედ თვლის.

„აკურთხევდეს“ ზმნის ეგ, აგრეთვე „გუხედევდ“, „განვიზრახვედით“ ზმნების ეგ (←ავ) აწმეოს თემატური სუფიქსია, რომელიც, როგორც საერთოდ ხევა მსგავსი სუფიქსებიც, II სერიაში არ გვხვდება და არც ივ-ით იცვლება. „აკმევს“... „აკვლევინებს“... ზმნების ეგ კი (ცალკე თუ ინ-თან ერთად) შუალობითი კონტაქტის (კაუზატივის) მაწარმოებელია, რომელიც, მართლაც, „ძველსა და საშუალ ქართულში უფრო გავრცელებული იყო“³ (შდრ. კნ-ავ-ს — ა-კნ-ვ-ეგ ს).

ავ და ამ სუფიქსებიან ზმნებს ეხება რ. გაგუა, რომელიც ვ. თოფუა-რიას აღნიშნული მოსახრების განხილვის შემდეგ წერს, რომ „ძველ ქართულში შეიძლება დადასტურდეს -იდ ფორმანტის არსებობა“, მაგრამ გადაჭრით ვერც ამ შემთხვევაში ამბობს რამეს: „-იდ ფორმანტის დასადასტურებლად მტკიცე საბუთებია საჭირო: სანამ არ დადასტურდება, რომ 1) -ავ და -ამ აწმეოს სუფიქსს არ ჰქონდა ვი- და მი-ს სახე (ილოცავს და არა „ილოცვის“) და 2) ი-ს დაკარგვის კვალი ნამდვილად აღმოჩნდება დანარჩენ ზმნებთან, — მანამ -იდ ფორმანტის სასარგებლოდ ვერაფერს ვიტყვი“⁴.


ღ-ს წინ ი-ს არსებობის კვალი არც ძველ ქართულში ჩანს, არც ახალში (და არც არასოდეს აღმოჩნდება): წერ-ღ-ა, აღიდებ-ღ-ა... ფორმებში ღ-ს წინ ი არასოდეს არ ყოფილა. ავ და ამ სუფიქსებს კი ვი-სა და მი-ს სახე არასოდეს არ ჰქონიათ (ილოც-ავ-ს და არა ილოც-ვი-ს...), მაგრამ იდ ფორმანტის სასარ-

¹ ვ. ფანჩვიძე, კაუზატივის -ეგ || ვ სუფიქსი უღუზნია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მოამბე, ტ. I, № 6, 1940, გვ. 489.

² ვ. ფანჩვიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 490.

³ ვ. ფანჩვიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, II, გვ. 348.

⁴ რ. გაგუა, ნაშრომის უწყვეტელისა და კავშირებითი პირველის წარმოება ძველს ქართულში, გვ. 201.



გებლოდ მაინც არაფრის თქმა არ შეიძლება (ილოცვიდა არ არის მიოცული...
*ილოცავიდასაგან...).

ა. ჩიქობავა იმის დასამტკიცებლად, რომ თითქმის „პერმანსივის ფუძე აწმყოს ფუძის მაგივრობას ეწვევა და ნამყოურსულის საწარმოებლადაა გამოყენებული“, „ჰკითხვიდა“, „განასხნიდა“ ზმნებსაც იმოწმებს: „ძვ. ქართ. ჰკითხვ-ი-ღ-ა... განასხ-მ-ი-ღ-ა ტიპის წარმოებაში პერმანსივის ფუძისეული -ი- ზნდა იყოს წარმოდგენილი: ჰკითხ-(ა)ვ-ი-ნ... განასხ-(ა)მ-ი-ნ წარმოებაა ამოსავალი“.

ჰკითხ-(ა)ვ-ი-ნ, განასხ-(ა)მ-ი-ნ ტიპის ფორმები არ იცის არც ძველმა, არც ახალმა კართულმა, მაგრამ, ასეთი ფორმების არსებობა თეორიულად მაინც რომ დაგვეწვა და ისინი ჰკითხ-ვ-ი-ღ-ა, განასხ-მ-ი-ღ-ა-სათვის ამოსავლად მიგვეჩნია, საინტერესოა, რა ფორმები უნდა ყოფილიყო ამოსავალი ვჰკითხ-ვე-ღ, განასხ-ემ-ღ, ჰკითხ-ვე-ღ-ი-ნ, განასხ-ემ-ღ-ი-ნ ზმნებისათვის?

როცა „ჰკითხვიდა“, „განასხნიდა“ ზმნებში დ'ს წინ არსებულ ი'ს პერმანსივის (ხოლმეობითის) სუფიქსად აცხადებს, ა. ჩიქობავას, როგორც ჩანს, არა აქვს გათვალისწინებული, რომ ძველ ქართულში არა მარტო ვ-ი-ღ — მ-ი-ღ ყალიბის ფორმები გვაქვს, არამედ — ვე-ღ — ვე-ღ-ისაც. ამასაც რომ უფრადღება არ შეეპქიოთ, როგორ შეიძლება დავიჯგროთ, რომ მეორე სერიის ერთ-ერთი მწკრივის — II ხოლმეობითის ფორმებში ი სუფიქსის წინ აღმოჩნდა ავ'ისა და ამ'ის ვ და მ, როცა აწმყოს თემატური სუფიქსები მეორე სერიის მწკრივებში საერთოდ არ ჩანს? ან როგორ შეიძლებოდა „პერმანსივის ფუძეს აწმყოს ფუძის მაგივრობა გაეწია“ ისე, რომ ფორმასთან ერთად პერმანსივის ერგატიული კონსტრუქცია ნომინატიურით შეცვლილიყო (შდრ. მან იცის იგი — იგი განასხამს² მათ)?

ავ და ამ სუფიქსებიან ზმნებს, როგორც სხვა ზმნებსაც, გარკვეული ფორმა აქვს აწმყოშიც, უწყვეტელშიც, II ხოლმეობითშიც (და საერთოდ ყველა მწკრივში) და არავითარი საჭიროება არ არის იმისა, რომ „პერმანსივის ფუძემ აწმყოს ფუძის მაგივრობა გასწიოს“.

„ჰკითხვიდა“, „განასხნიდა“ ზმნებში პერმანსივის ი'ს ძებნა უშედეგო აღმოჩნდა და დ'ს წინ არსებული ი'ს საკითხი ისევ აუხსნელი დარჩა. მეორე მხრივ ამ ზმნების მიხედვით იმ დებულების უსაფუძვლობა გამოიმკლავნდა, რომლის დასამტკიცებლადაც იმოწმებს მათ ა. ჩიქობავა.

როგორც ვნახეთ, ვ-ი-ღ — მ-ი-ღ ყალიბის ფორმებში გამოვლენილი ი არც დ'ს მიეკუთვნება (იღ სუფიქსის შესახებ ლაპარაკი არ შეიძლება), არც

¹ ა. ჩიქობავა, პერმანსივის („ხოლმეობითის“) ისტორიული ადგილისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. IV, № 1, 1943, გვ. 95.

² ამ ზმნის II ხოლმეობითის ფორმაა განასხნის (მან იგინი), რომელიც ფორმითაც და სინტაქსური კონსტრუქციითაც დიდად განსხვავდება აწმყოსაგან. პერმანსის რომ აწმყოს მაგივრობა გაეწია, არც ფორმა უნდა შეცვლილიყო და არც კონსტრუქცია (ჰკითხვის განასხნის მან და არა *ჰკითხვინ, *განასხმინ იგი). აქ ისიც უნდა შევინიშნოთ, რომ *ჰკითხვინ, *განასხმინ მაინც არ იქნებოდა არც აწმყო, არც II ხოლმეობითი რადგან ამ მწკრივებში მესამე სუბიექტური პირის ნიშანია ს და არა ნ.

ვალკე სუფიქსია (უსაფუძვლოა ის მოსაზრებაც, თითქოს „ჰკითხ-ვ-ი-ფუძვლ-ის-მ-ი-დ-ა ტიპის წარმოებაში“ პერმანსივის ფუძისეული -ი- უნდა იყოს წარმოდგენილი“). ამ ის ვერც ვსა და მს მივაკუთვნებთ¹. მაგრამ ფაქტია, რომ ძველ სალიტერატურო ქართულში (აგრეთვე ახალი ქართულის მიუღწეველ რიგკილოებში) ვ-ი-დ — მ-ი-დ ყალიბის ფორმებში თემის ნიშნისეულ ვ, მსა და უწყვეტლის დ სუფიქსს შორის ი ჩანს, და ამ ფაქტს ახსნა უნდა.

ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ ავ და ამ სუფიქსები ხან უცვლელად გვხვდებოდა, ხან ხმოვანწველილი სახით წარმოდგენილი, ხან კიდევ — უხმოვნოდ. ისიც დავინახეთ, რომ ამ სუფიქსების ესა თუ ის სახე დამახასიათებელია როგორც ერთი მწკრივისათვის, ისე მეორისათვის, როგორც ერთი პირისათვის, ისე მეორისათვის, ერთი რიცხვისათვისაც და მეორისათვისაც: ამ სუფიქსთა ცვალებადობისა ანგარიში არ ეწევა არც მწკრივს (ავ — ამ აწმყოშიც გვაქვს და აწმყო ხოლმეობითშიც; ევ — ემ უწყვეტელშიც არის და I ბრძანებითშიც; ვ — მ კი ყველა მწკრივის ფორმაში ჩანს), არც პირს (ავ — ამ || ევ — ემ || ვ — მ სამივე პირის ფორმაში გვხვდება), არც რიცხვს (ავ — ამ, ევ — ემ I—II პირის ფორმებში მხოლოდითშიც გვაქვს და მრავლობითშიც; ვ — მ სამივე პირის ორივე რიცხვის ფორმებში ჩანს). ამიტომ არ შეიძლება ითქვას, რომ ამ სუფიქსების ცვალებადობას რაიმე მორფოლოგიური საფუძველი ჰქონდეს.


I სერიის ოთხი მწკრივის (უწყვეტლის, უწყვეტლის ხოლმეობითის, I კავშირებითისა და I ბრძანებითის) ფორმებში ვ, მსა და დს შორის ის გამოვლენაც არ აიხსნება მორფოლოგიურად, რადგან არც ეს ი უწევს ანგარიშს მწკრივს (და, რა თქმა უნდა, არც პირსა და არც რიცხვს)²; ი ამა თუ იმ მწკრივში ხან ყველა ფორმაში გამოვლინდება (უწყვეტ. ხოლმ., I კავშ.), ხან მხოლოდ მესამე სუბ. პირის ფორმებში (უწყვეტელში), ხან კიდევ მხოლოდ მესამე სუბ. პირის მრავლობითი რიცხვის ფორმაში ჩანს (I ბრძანებითში).

ამგვარად, როგორც ავ, ამის ცვალებადობის, ისე ის გამოვლენის ასახსნელად ფონეტიკური მიზეზები უნდა ვეძებოთ.

როგორც ზემოთაც ითქვა, უწყვეტლის ხოლმეობითსა და I კავშირებითში, აგრეთვე უწყვეტლისა და I ბრძანებითის იმ ფორმებში, რომლებშიც ავ, ამ ვსა და მს სახით არის წარმოდგენილი, დს წინ ი ხმოვანი ჩნდება. ამჟამად, რომ ამ ის გამოვლენა განპირობებულია ავ და ამ სუფიქსების კუმშვით: ავ-დ → ვ-ი-დ, ამ-დ → მ-ი-დ. ისიც ამჟამად, რომ ეს ი თანხმოვანთა გასაყარად ჩნდება დსა და ვ, მს შორის, როცა ამ უკანასკნელთა წინ ას დეკარგვის შედეგად ხმის ძირისეული თანხმოვანი ხვდება და სამი ან მეტი თან-

¹ ძნელი სათქმელია, თუ რას გულისხმობდა ნ. მარო, როცა ვკლვი დვ, ვასხმი დე აგრეთვე „ვკლვიდი“, „ვასხმიდი“ ფორმებში „ი ხმოვნის აღდგენის“ შესახებ ლაპარაკობდა (Основные таблицы..., გვ. 12). ჭკველ შემთხვევაში, ეს ვითომდა აღდგენილი ი არც ავ: ამის ნაწილია, არც დს ეკუთვნის და არც დამოუკიდებელი სუფიქსია.

² თუ მორფოლოგიური თვალსაზრისით მივუდგებოდით როგორც ავ, ამის მონაცვლეობას, ისე ამ ის გამოვლენას, ყურადღებას მხოლოდ მწკრივზე შევანერგდით. მაგრამ სურათის სისრულისათვის ზემოთ ლაპარაკი იყო იმ განხილვაზე, რომელიც სხვადასხვა პირისა და რიცხვის ფორმათა მიხედვით ჩანს ავ და ამ სუფიქსებიან ხმებში.



ხმოვანი იყოს ერთად თავს (შეკრ-ვ-ი-ღ-ა — შეკრ-ვ-ღ-ა — შეკრ-ვ-ღ-ა-ღ-ა...), განასხ-მ-ი-ღ-ა — განასხ-მ-ღ-ა — განასხ-ამ-ღ-ა...), გამოსარკვევია იწვევს ავ და ამ სუფიქსების კუმშვას I სერიის ყველა მწკრივის (მაგრამ არა ყოველთვის სამივე პირისა და ორივე რიცხვის) ფორმებში და რატომ არის, რომ უწყვეტლისა და I ბრძანებითის გარკვეულ ფორმებში ავ → ვვ, ამ → ემ.

თუ დავაკვირდებით ავ და ამ სუფიქსებიან ზნაათა I სერიის ფორმებს, დავინახავთ, რომ ეს სუფიქსები უხმოვნოდ (ვ, მ'ს სახით) წარმოგვიდგება იქ, სადაც უშუალოდ მათ შემდეგ ან უწყვეტლის და შემდეგ ხმოვანი სუფიქსია: ა ხმოვნის დაკარგვას იწვევენ მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობის ენ (აწმყოში), ედ (აწმყოს ხოლმეობითსა და I ბრძანებითში), ეს (უწყვეტელში) სუფიქსები, მესამე სუბიექტური პირის ნიშანი ა (უწყვეტელში), ხოლმეობითის ი და კავშირებითის ე.

როგორც ვნახეთ, მესამე სუბიექტური პირის მრავლობითის ფორმებში ავ და ამ I სერიის ყველა მწკრივში უხმოვნოდ გვაქვს: მხოლოდ ამ ფორმებშია ყოველთვის ხმოვანი სუფიქსი (ან მრავლობითობის ენ, ედ, ეს, ან ხოლმეობითის ი თუ კავშირებითის ე), რომელიც კარგავს სუფიქსისეულ ას¹.

I სერიის მწკრივებში ავ, ამ სუფიქსთა ხმოვნის დაკარგვა შემთხვევითი როდია: ეს სუფიქსები ას კარგავენ ყოველგვარი ხმოვნის დართვის შედეგად და ვ, მ'ს სახით არიან წარმოდგენილი საწყისსა და მიმლეობებშიც: შეკრ-ვ-ა, შემკრ-ვ-ელი, შესაკრ-ვ-ელ-ი, შეკრ-(ვ)-ულ-ი; თქუ-მ-ა, თქუ-მ-ულ-ი... ვ და მ გვაქვს I თურმეობითშიც (შემიკრ-ვ ან, განმისხ-მ ან იგინი...).

ავ და ამ სუფიქსების ა რომ ხმოვნის დართვის შედეგად იკარგება, ეს აღნიშნული აქვს ვ. თოფურიას: „ა უთუოდ ამოიღება... ზნის ავ და -ამ სუფიქსებში, აუ მათ ხმოვნით დაწყებული ბოლოსართი დაერთვის: ჰბაძე: ბაძე-ა, ჰბაძე-იდა; მოჰკლავ: მოკლვ-ა, მოჰკლვ-იდეს; დაჰფარავ: დაფარვ-ა, ჰფარვ-იდა... სუამ: სუმ-ა, სუმ-იდა, სა-სუმ-ელი...“².

საწყისის ასა და მიმლეობის ელთან ერთად აქაც იდ სუფიქსია გამოყოფილი, რომელიც, როგორც ჩანს, ვ. თოფურიას მიაჩნია ას დაკარგვის მიზეზად „მოჰკლვიდეს“, „სუმიდა“... ფორმებში.

საწყისის ა რომ ავ'ის ას კარგავს, ეს დიდი ხნის წინათ აქვს აღნიშნული ა. შანიძეს³.

¹ შეკრ-ვ-ი-ღ-ენ, განასხ-მ-ი-ღ-ენ... ფორმებში ე ნამდვილად კავშირებითის ნიშანია. თითქოს შეიძლებოდა ეს ფორმები ისე დაგვეშალა, რომ ე ნსთან ერთად მესამე სუბ. პირის მრავლობითობის ნიშნად მიგვეჩნია (შეკრ-ვ-ი-ღ-ენ, განასხ-მ-ი-ღ-ენ...) და ამ ენ'ის წინ კავშირებითის ე ჩავეთვალა დაკარგულად, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ როგორც პირველ, ისე მეორე კავშირებითში ან || ნ (— ან) გვაქვს და არა ენ (მოვიდოდ ი-ან, ადიდ-ო-ნ — *ადიდ-ო-ან, მოკლ-ან — *მოკლ-ა-ან...), აქ დაკარგულად უნდა ჩაითვალოს ანის ა (შეკრ-ვ-ი-ღ-ენ — *შეკრ-ვ-ი-ღ-ენ...).

² ვ. თოფურიას, რედუქციისათვის ქართველურ ენებში, გვ. 71.

³ ა. შანიძე, წელიწადის ეტიმოლოგიისათვის: ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწადეული. I—II, 1923—1924, გვ. 11.


აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითში რომ იკარგება ავ, ამის აწმყოს დართვის შედეგად, ეს ადვილი გასაგებია; რადგან ამ ა'სა და ენ, ელ'ს შორის ამ ფორმებში მხოლოდ ერთი ბგერაა (ვ ან მ), მაგრამ შეიძლებოდა თუ არა, რომ უწყვეტელში, უწყვეტლის ხოლმეობითსა, I კავშირებითსა და I ბრძანებითში ა, ეს, ი, ე, ელ სუფიქსებს გამოეწვიათ ავ, ამის ა'ს დაკარგვა, როცა ამ ა'სა და აღნიშნულ სუფიქსებს შორის ვ'ს ან მ'ს გარდა დ'ც არის? ესეც შეიძლება: არის შემთხვევები, როცა ხმოვანი სუფიქსის დართვა ფუძის შეკუმშვას მაშინაც კი იწვევს, როცა ამ სუფიქსსა და „დასაკარგავ“ ხმოვანს შორის ორი ბგერაა: ღმერთ-ის → ღმრთ-ის → *ღმთ-ის → ღვთ-ის... მკერდ-ის → მკრდ-ის...¹. ძვ. ქართ. რცხ-ი-ს, რცხ-ა — ან. ქართ. რეცხ (ავ)-ს, რეცხ-(ვ)-ა... ზრდ-ი-ს ← *ზარდ-ი-ს, ი-ზარდ-ებ-ოდ-ა → ი-ზრდ-ებ-ოდ-ა²; ფრდ-ი-დ-ეს (ი. 2, 14—16 C) ← *ფარდ-ი-დ-ეს (შდრ. მოფარდულნი, იქვე, DE); წარ-მ-ი-ძელუ (ანტიოქ. 53, 21) — წარ-მ-ი ძელუ-ე. „ვარქუ“ ზმნის ა'ს საში ბგერის შემდეგ დართული ხმოვანიც კი კარგავს: ვარქუ — ჰრქუა, ჰრქუეს; არქენ — ჰრქუედ; ვარქუ — ვჰრქუა, ვჰრქუ (ვჰრქუი)...

როგორც ითქვა, ვ-ი-დ — მ-ი-დ ყალიბის ფორმებში ი თანხმოვნთა გასაყარად გაჩენილი ხმოვანია. ეს ი რომ არ გაჩენილიყო, მაშინ შესაძლებელი იყო, რომ რამდენიმე თანხმოვნის თავმოყრისას თვით ვ ან მ დაკარგულიყო. ამას გვაფიქრებინებს დღევანდელი ზემოიშვრის დახატ-და (← დახატ-ვ-და), შეკერ-და (← შეკერ-ვ-და)... ფორმები. მსგავსი შემთხვევები დასტურდება ძვ. ქართულის ძეგლებშიც: აღიშის ოთხთავში არის „კუმილდეს“ ფორმა (კუმილ დეს კუმილვათა ღამისათა... ლ. 2, 8 C = კუმილ ვ ი დ ე ს კუმილვასა ღამისასა DE). მოსალოდნელი იყო კუმილ-ვ-ი-დ-ეს (← კუმილ-ვ-დ-ეს ← კუმილ-ავ-დ-ეს), რიგორც ჯრუჟ-პარხლის ძეგლებშიც ჩანს სათანადო ადგილას, მაგრამ ავ'ის ა'ს დაკარგვის შემდეგ ვ'ც დაკარგულა და დ'ს წინ ი აღარ გაჩენილა, რადგან საჭირო აღარ იყო.

აღიშის ძეგლშივე გვხვდება „ჰნერწყვდენ“ (ჰნერწყვდენ მას... მარკ. 10, 34 C). უნდა ყოფილიყო ჰნერწყუ ვ ი დ ე ნ, როგორც DE-შია. თუ ჯ'ს ადგილას მის შესატყვის უი'ს ვიგულისხმებთ „ჰნერწყვდენ“ ფორმაში, მაშინ ჰნერწყუ-ი-დ-ე ნ ფორმის არსებობა უნდა დაეუშვათ, მაგრამ ეს შეუძლებელია, რადგან დ'ს წინ ი მაშინ უნდა გაჩენილიყო, როცა ავ'ის ა დაიკარგებოდა და ვ დარჩებოდა, და, რაკი აქ აღარც ვ გვაქვს, ი'ს ჩართვა საჭირო აღარ იყო. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში უ ჟმარცვლო უ'ს ადგილას არის ნახშირი (რაც C-ში ხშირი შემთხვევაა)³, და „ჰნერწყვდენ“ უნდა წავიკითხოთ ასე: ჰნერწყუ დ ე ნ. მაშინ ეს ფორმა ასე დაიშლება: ჰნერწყუ-დ-ე-ნ (← ჰნერწყუ-ვ-დ-ე-ნ ← ჰნერწყუ-ავ-დ-ე-ნ).

კუმილ-დ-ეს, ჰნერწყუ-დ-ე-ნ ფორმებში ვ (← ავ) აღარ არის და ამიტომ აღარც ი ჩანს დ'ს წინ (ვ რომ არ დაკარგულიყო, მაშინ ვ'სა და დ'ს შორის ი ჩაერთოდა).

¹ შდრ. ა. შანიძე, წელიწადის ეტიმოლოგიისათვის, გვ. 11.
² შდრ. ვ. თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში, გვ. 71.
³ შდრ. ა. შანიძე, ქართული ოთხთავის გამოცემის წინასიტყვაობა, გვ. 049.



ჯრუტის ოთხთავში არის „ასუმდა“ ფორმა, რომელშიც აშ'ის მ არ არის დაკარგული, მაგრამ ი მაინც არ ჩანს მ'სა და დ'ს შორის (უნდა ა-სუ-მ-ი-დ-ა და ასეც არის E, C-ში), რაც იმით აიხსნება, რომ ამ ფორმაში მ'ს წინ არის ძირისეული უ (უმარცვლო), რაც მაინც ხმოვანია, და, რაკი არსებობდა აქ მხოლოდ ორი თანხმოვანი (მ და დ) ხვდება ერთმანეთს, დ'ს წინ ი'ს ჩართვა აუცილებელი არ იყო¹.

როგორც ვნახეთ, ვ-ი-დ — მ-ი-დ ყალიბის ფორმებში ავ, აშ'ის ა'ს დაკარგვის იწვევს დ'ს შემდეგ არსებული ხმოვანი სუფიქსი და არა დ'ს წინ გამოვლენილი ი: ეს ი მიზეზი კი არ არის ა'ს დაკარგვისა, არამედ სწორედ ამ ა'ს დაკარგვის შედეგად არის გაჩენილი ვ'მ'სა და დ'ს შორის: ავ-დ — ამ-დ → ვ-დ — მ-დ → ვ-ი-დ — მ-ი-დ.

თუ ევ-დ — ემ-დ ყალიბის ფორმებს დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ავ, აშ'ის ხმოვანი ე'თია შეცვლილი იმ ფორმებში, რომლებშიც დ'ს შემდეგ არაერთარი ხმოვანი სუფიქსი არ არის, მაგრამ არის უფუფქციო ი, რომელიც თანხმოვანთა გასაყარად უნდა გაჩენილიყო უწყვეტის I—II პირის მრავლობითის ფორმებში (შეგკრ-ევ-დ-ი-თ, განასხ-ემ-დ-ი-თ...), რადგან „დ და თ'ს ერთად თავის მოყრა ფონეტიკურად აუტანელი იყო“², აგრეთვე I ბრძანებითის II პირის მრავლობითისა და III პირის მხოლობითის ფორმებში. შემდეგ ეს ი I—II პირის მხოლობითის ფორმებშიც მკვიდრდება.

როგორც ჩანს, ამ ი'ს გამოუწვევია ავ, ამ სუფიქსების ხმოვნის შეცვლა: მას იმდენი ძალა არ ჰქონია, რომ ა სულ დაეკარგა, მაგრამ დამსგავსებით მაინც დაუმსგავსებია: ავ-დ — ამ-დ → ევ-დ — ემ-დ (განასხ-ამ-დ-ი-თ → განასხ-ემ-დ-ი-თ, ბრწინ-ავ-დ-ი-ნ → ბრწინ-ევ-დ-ი-ნ...). მართალია, უწყვეტის I—II პირისა და I ბრძანებითის II პირის მხოლობითის ფორმებში ევ, ემ მაშინაც გვხვდება, როცა დ'ს შემდეგ ი არ არის (ვხედ-ევ-დ, განასხ-ემ-დ), მაგრამ ესეც ადვილად აიხსნება: მრავლობითში ი ყოველთვის არის და მხოლობითშიც გვხვდება (ვხედ-ევ-დ-ი-თ, ვხედ-ევ-დ-ი-ნ...) და, რაკი I—II პირის მხოლობითისა და მრავლობითის ფორმები ჩვეულებრივ ერთმანეთისაგან მხოლოდ თ სუფიქსით განსხვავდებიან და სხვა მხრივ ისინი ერთმანეთს ჰგვანან (შდრ. ვხედ-ავ — ვხედ-ავ-თ, ვადიდ-ემ — ვადიდ-ემ-თ, ვადიდ-ე — ვადიდ-ე-თ...), ვხედ-ევ-დ, განასხ-ემ-დ... ფორმებში ევ, ემ'ის გამოვლენა უმთავრესად ვხედ-ევ-დ-ი-თ, განასხ-ემ-დ-ი-თ... ფორმების გავლენის შედეგია.

¹ შეიძლება გვეფიქრა, რომ ა ს უ მ დ ა ' შ ი ი არის გამოტოვებული, მაგრამ აქ გადამწერის შეცდომასთან არ უნდა გვექონდეს საქმე: ა ს უ მ დ ა ' ც ესმოდა ალბათ მას და ა ს უ მ ი დ ა ' ც (იმის მიხედვით, თუ ვინ როგორ გამოთქვამდა უს, ერთი ფორმის არსებობაც შეიძლება და მერისაც). ა ს უ მ ი დ ა ' ს პარალელურად შეიძლება და ა ს უ მ დ ა ' ც ყოფილიყო, მაგრამ განასხმ ი და, და დ გ მ ი და ' ს გვერდით არ შეიძლება ყოფილიყო განასხმ და, და დ გ მ და: აქ უყვე ოთხი თანხმოვანი იყრის თავს და დ'ს წინ თანხმოვანთა გასაყარი ი არის საქარო.

² ა. ჩიქობავა, რით არიბ წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითში დასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველს ქართულში? გვ. 113.

უფუფქციო, რომ ვამბობთ, იგულისხნება მორფოლოგიური ფუნქცია.

უნდა აღინიშნოს, რომ ავ, ამ სუფიქსები ნა და სა პრეფიქსებიანი მწკრივების ფორმებში ზოგჯერ ევ, ემ¹ის სახითაც გვხვდება, მაგრამ ეს მოვლენა შემთხვევითია და ევ-დ, ემ-დ ყალიბის ფორმათა გავლენით აიხსნება. ჯრუჭ-პარხლის ოთხთავში იკითხება „ნასხლევი“ (განვარდეს გარე, ვითარცა ნასხლევი... ი. 15, 6); იგივე ფორმა გვხვდება „ელიანოსის მარტილობაშიც“, რომელიც კ. კეკელიძემ გამოაქვეყნა კიშნის II ტომში (... ზევიდა კონაფრთი ნასხლევი ვენაკისაჲ, რაჲთა განყიდოს იგი შეშად... 36, 14). ნასხლევი (საბას განმარტებით — „რტო მონაკუთი“) არის სხლ-ავ ზმნის მიმღეობის ფორმა. უნდა ყოფილიყო ნასხლავი, საბას ლექსიკონში არის სასხლევიც (იქვეა ამ ძირის სხვა სიტყვებიც — გასხლვა, ვსხლავ, ვსხლევდი).

ვ. თოფურიას დამოწმებული აქვს „აღნათქემები“ (არ ჩანს, საიდან)², რომელშიც ა შეცვლილია ე¹ით.

ძველ ქართულში ავ და ამ სუფიქსების ცვალებადობა I სერიის მწკრივებში, როგორც ვნახეთ, გარკვეული კანონზომიერებით ხასიათდება. ეს კანონზომიერება XI საუკუნის ძეგლებშიც შეინიშნება (გიორგი მთაწმიდლის „იოვანეს და ფთვიმეს ცხოვრებაში“, მაგალითად, ავ და ამ სუფიქსებიანი ზმნების I სერიის ფორმები ისეა მოცემული, როგორც აღრიხდელ ძეგლებშიც). შემდეგ იწყება ევ-დ — ემ-დ ყალიბისა და ვ-ი-დ — მ-ი-დ ყალიბის ფორმათა აღრევა („ვეფხისტყაოსანში“ ერთი ყალიბის ჰარალელურად მეორეც გვხვდება ერთსა და იმავე ფორმებში)². დღევანდელ კილოებში, როგორც ზემოთაც ითქვა, აღნიშნული ზმნები არ წარმოადგენენ ძველი ქართულის ვითარებას, თუმცა ავ, ამ¹ის ცვალებადობა ახასიათებს მთელ რიგ კილოებს. ხეესტურულსა, ზემონიერულსა და გურულში შეინიშნება ამ ორი ყალიბის ფორმათა უნიფიკაციის დასრულებული პროცესი: ხეესტურულსა და ზემონიერულში მხოლოდ ევ-დ — ემ-დ ყალიბის ფორმები გვაქვს, გურულში კი — მხოლოდ ვ-ი-დ — მ-ი-დ ყალიბისა. ფერეიდნულში ორივე ყალიბის ფორმები გვხვდება, მაგრამ უწყსრიგოდ.

დ ა ს კ ვ ნ ა

1. პირველი სერიის ძირითადი მწკრივი არის აწმყო (ისევე, როგორც მეორე სერიის მწკრივთა შორის ძირითადია წყვეტილი). აწმყოს ფუძე, თემის ნიშნინი თუ უთემისნიშნო, წარმოდგენილია პირველი სერიის ყველა მწკრივში (გნებითი და საშუალო გვარის ზმნებში ოდ სუფიქსის წინ აწმყოს ფუძის ი იკარგება: დღებ-ოდ-ა ← *დღებ-ი-ოდ-ა, მირბ-ოდ-ა ← მირბ-ი-ოდ-ა...).

2. აწმყოს ფუძისაგან იწარმოება უწყვეტლის ფუძე, რომელსაც ემყარება უწყვეტლის ხოლმეობითისა (ძვ. ქართულში) და I კავშირებითის ფუძეები. I ბრძანებითი (ძვ. ქართულში) ფუძის მიხედვით არ განსხვავდება უწყვეტლისაგან (ა. შანიძე).

¹ ვ. თოფურია, მესამე ტომის ვნებითის წარმოება ქართულში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. III, № 9, 1942, გვ. 970.

² ამ მხრივ დამახასიათებელია საბას ლექსიკონში წარმოდგენილი პარალელური ფორმები: მბაქედი — ჩემს ბაძს იქვოდი; მბაქვილი — იგივე; მბაქვილა — ბაძი ავლო; მბერევა — ბერვას მიქნიდა; მბერვიდა — უბერევა; მლოცვიდა — ლოცევა...



3. უწყვეტელში და მისგან ნაწარმოებ მწკრივებში გამოიყოფა უწყვეტლის დ. ოდ სუფიქსები (ა. შიანიძის სიტყვით — „სავრცობი ელემენტები“). ოდ სუფიქსის დაშლა (ნ. მარი, ვ. თოფურია, ა. ჩიქობავა) გაუმართლებელია.

4. ავ და ამ სუფიქსებიან ზმნათა პირველი სერიის მწკრივთა ფორმების მიხედვით ძველსა და ახალ სალიტერატურო ქართულს შორის ფვალსაჩინო განსხვავებაა: ახალ სალიტერატურო ქართულში ავ და ამ სუფიქსები უცვლელია ზმნურ ფორმებში, ძველ ქართულში კი ეს სუფიქსები ხან უცვლელად გვხვდება, ხან კი ხმოვანშეცვლილი სახით (ავ → ევ, ამ → ემ), ხან კიდევ უხმოვნოდ წარმოგვიდგება (ავ → ვ, ამ → მ). ამასთან უწყვეტელში და მისგან ნაწარმოებ მწკრივებში, როცა ავ, ამის ა იკარგება, დ სუფიქსის წინ ჩნდება ი ხმოვანი.

ავ და ამ უცვლელია აწმყოს პირველისა და მეორე სუბიექტური პირის ორივე რიცხვისა და მესამე პირის მხოლობითის ფორმებში და აწმყოს ხოლმეობითის მესამე პირის მხოლობითის ფორმაში.

ავ → ევ, ამ → ემ უწყვეტლის პირველისა და მეორე პირის ორივე რიცხვის, I ბრძანებითის მეორე პირის ორივე რიცხვისა და მესამე პირის მხოლობითის ფორმებში:

ავ → ვ, ამ → მ აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითის მესამე პირის მრავლობითის, უწყვეტლის მესამე პირის ორივე რიცხვის, I ბრძანებითის მესამე პირის მრავლობითისა და უწყვეტლის ხოლმეობითისა და I კავშირებითის ფორმებში.

5. იმის მიხედვით, თუ რა სახით გვხვდება ავ, ამ სუფიქსები უწყვეტელში, უწყვეტლის ხოლმეობითში, I კავშირებითსა და I ბრძანებითში — ხმოვანშეცვლილად თუ უხმოვნოდ, ამ მწკრივებში გვაქვს ორი ყალიბის ფორმები: ევ-დ — ემ-დ ყალიბისა და ვ-ი-დ — მ-ი-დ ყალიბისა.

6. ვ-ი-დ — მ-ი-დ ყალიბის ფორმებში დ'ს წინ არსებული ი არ არის არც „აღდგენილი ი ხმოვანი“ (ნ. მარი), არც *ოდ სუფიქსის ნაწილი (ვ. თოფურია) და არც „პერმანსივის ფუძისეული ი“ (ა. ჩიქობავა). ამ ი'ს მორფოლოგიური ფუნქცია არა აქვს: იგი ვ, მ'სა და დ'ს შორის თანხმოვანთა გასაყარად გაჩენილი ფონეტიკური ჩანართია: ვ-ი-დ ← ვ-დ ← ავ-დ; მ-ი-დ ← მ-დ ← ამ-დ (ჰკითხ-ვ-ი-დ-ა ← ჰკითხ-ვ-დ-ა ← ჰკითხ-ავ-დ-ა; განასხ-მ-ი-დ-ა ← განასხ-მ-და ← განასხ-ამ-დ-ა). დ'ს წინ ი მაშინ ჩნდება, როცა ავ, ამის ა იკარგება დ'ს შემდეგ არსებული რომელიმე ხმოვანი სუფიქსის (ა, ეს, ი, ე, ედ) გავლენით და ამის შედეგად თავს იყრის სამი ან მეტი თანხმოვანი.

7. ევ-დ — ემ-დ ყალიბის ფორმებში ავ, ამის ევ, ემ'ად გადაქცევის მიზეზია დ'ს შემდეგ არსებული უფუნქციო ი ხმოვანი: ვჰკითხ-ევ-დ-ი-თ ← ვჰკითხ-ავ-დ-ი-თ, განასხ-ემ-დ-ი-თ ← განასხ-ამ-დ-ი-თ; ბრწყინ-ევ-დ-ი-ნ ← ბრწყინ-ავ-დ-ი-ნ, სუ-ემ-დ-ი-ნ ← სუ-ამ-დ-ი-ნ...

8. ავ და ამ სუფიქსების ცვალებადობა დღესაც შეინიშნება ზოგ კილოში (გურული, ხევსურული, ზემი. იმერული, ფერეიდნული), მაგრამ არც ერთ კილოში

არ ჩანს ის კანონზომიერება, რომელიც ძველ ქართულში ახასიათებდა მხოლოდ ერთ ნულ ზმნებს: გურულში მხოლოდ ვ-იდ — მ-ი-დ ყალიბის ფორმები გვევს, ხევსურულსა და ზემოიმერულში მხოლოდ ევ-დ — ემ-დ ყალიბის ფორმებია, ფერეიდნულში კი ერთი ყალიბის ფორმებიც არის და მეორისაც, მაგრამ ეს სხვადასხვაგვარი ფორმები ერთმანეთშია არეული და უწყვიტოდ იხმარება. გურულში, ხევსურულსა და ზემოიმერულში ამ ორი ყალიბის ფორმათა უნიფიკაციის პროცესი, რომელიც დიდი ხნის წინათ უნდა დაწყებულიყო მათი აღრევის შედეგად, დასრულებულია: ერთგან ვ-ი-დ — მ-ი-დ ყალიბის ფორმებია გაბატონებული, მეორეგან — ევ-დ — ემ-დ ყალიბისა.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ძველი ქართული ენის კ. თედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1947. V. 4).

Л. Кикнадзе

К образованию скрив первой серии в грузинском языке

Резюме

В статье затронуты некоторые вопросы, связанные с образованием скрив первой серии грузинского глагола.

Касаясь суффиксов **დ**, **ოდ** (**d**, **od**), имеющих в формах прошедшего несовершенного и производных от него скрив, автор рассматривает попытку выделить **o** из суффикса **ოდ** и квалифицировать его, как отдельный, самостоятельный суффикс (Н. Марр, В. Топурия, А. Чикобава), и считает ее необоснованной.

Дается полная картина спряжения глаголов с тематическими суффиксами **ავ**, **ამ** (**av**, **am**) в древнегрузинском литературном языке; эти глагольные формы отличаются от соответствующих форм современного литературного языка тем, что в скривах первой серии в древнегрузинском эти суффиксы встречаются в трех видах (**ავ—ამ**, **ევ—ემ**, **ვ—მ**), тогда как в современном грузинском литературном языке они не подлежат фонетическим изменениям, притом в древнегрузинском в определенных формах перед суффиксом **დ** выявляется гласный **o** (**i**): ჰქიახ-**ვ-ი-დ-ა**, განასხ-**მ-ი-დ-ა...**



Автор не разделяет ни одного из предположений, высказанных в связи с этими глаголами в специальной литературе (Н. Марр, В. Топурия, А. Чикобава).

Выявление гласного *o*, не имеющего никакой морфологической функции, между согласными *z*, *ʒ*, с одной стороны, и *ɖ*, с другой, автор объясняет скоплением нескольких согласных, для разделения которых появился гласный *o* (ჰკობნ-ვ-ო-ღ-ა ← ჰკობნ-ვ-ღ-ა ← ჰკობნ-ავ-ღ-ა...).

Гласный *o* (ა) суффиксов *ავ*, *ამ* выпадает из-за стяжения основы (განახნ-მ-ენ ← განახნ-ამ-ენ, განახნ-მ-ო-ღ-ა ← განახნ-მ-ღ-ა ← განახნ-ამ-ღ-ა...).

Изменение суффиксов *ავ*, *ამ* (→ *ევ*, *ემ*) следует рассмотреть, как результат ассимиляции гласного *o* с гласным *e* (ვხედ-ევ-ღ-ო-თ ← ვხედ-ავ-ღ-ო-თ, სუ-ემ-ღ-ი-ნ ← სუ-ამ-ღ-ი-ნ...).

ქეთევან კოჭენიძე

ემვატიკური ხმოვანი ძველ ქართულში

ძველ ქართულში საზოგადო სახელები მხოლოდითი რიცხვის მიცემით, ნათესაობითა და მოქმედებით ბრუნვებში, ხოლო თან-იანი მრავლობითის ყველა ბრუნვაში ბრუნვის ნიშნის შემდეგ დაირთავს -ა ხმოვანს, ნ. მარის მიხედვით მიღებულს ჩვენებითი ნაცვალსახელიდან (ჰა) მეტი გამოხატულების ანდა განსაზღვრულობისათვის. აქედან მარისვე ტერმინი ემვატიკური¹ — მეტი გამოხატულებითი ძალის მქონე².

ნ. მარს მიცემითის, ნათესაობითისა და მოქმედებითის აფიქსების შემდეგ დართული -ა ხმოვანი ერთნაირ მორფოლოგიურ ოდენობად არ მიაჩნია. მას ემვატიკური -ა ნხოლოდ ნათესაობითისა და მოქმედებისათვის აქვს გამოყოფილი, მიცემითის -ა'ს კი ბრუნვის ნიშნად მიიჩნევს — ქართულის სემიტურთან ნათესაობითის დებულებიდან გამოდის და იმიტომ მიცემითის ფორმანტია -ას, რომელიც ჩვეულებრივად -ა'ს გადასმით იხმარება: კაცსა, პეტრესა → კაცას, პეტრეას (ნ. მარი, იქვე § 36).

ემვატიკური -ა მსაზღვრელი ნაწილაკის (ე. წ. ნაწევრის, ანუ ართრონის) ნაშთია — ასე ხსნის მას აკ. შანიძე³. ამდენად, იგი ფუნქციით ევროპულ ენებში ხმარებული განსაზღვრული ნაწევრის საბადლოა.

ძველი ქართულის ტექსტებზე დაკვირვებიდან ცხადი ხდება, რომ ემვატიკური -ა დაცულია ყველგან, სადაც მას ძველი ქართულის ნორმები მოითხოვს. მაშინაც კი, როცა ემვატიკური ხმოვანი არ გვხვდება, ძველი ქართულის მოქმედ ნორმებთან გვაქვს საქმე და არა ამა თუ იმ ძველის თავისებურებასთან.

როდის არა აქვს საზოგადო სახელების მიცემით, ნათესაობითა და მოქმედებით ბრუნვებს ემვატიკური დაბოლოება? პასუხისათვის საილუსტრაციოდ წიგმართოდ პავლეს ეპისტოლეების (X L ძველის) ჩვენებას.

¹ Н. Марр. Грамматика древнелитературного грузинского языка, Лигр. 1925, § 34.

² ა. ჩიქობავა, ისტორიულად განსხვავებული ორი მორფოლოგიური ტიპისათვის ქართულ ბრუნვათა შორის: საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, № 6, გვ. 619, შენ. 2.

³ ა. შანიძე, მარჯალოკია, თბილისი, 1930, გვ. 24; ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1942, § 57.



მიცემითი ბრუნვა

... არა ვიყენებ ჩუენ გულს-მთქუმელ ბოროტისა: I კორ. 10, 6.

... მოგიწერე ქრისტე ჯუარს-ცუმული: გალ. 3, 1.

და მერნე შესცოდეს... თანაჯუარს-ცუმაღ თავი მათი ძესა ღმრთესასა: ებრ. 6, 6.

... ნუ საძაგელის შემძინელ... არამედ თავს-მდებელ მსგავსად მოძღურებისა მის: ტიტე, 1, 8.

დასახელებულ მაგალითებში მიცემითი ბრუნვა კომპოზიტის შემადგენელი I ნაწილია და ამით უნდა აიხსნას, რომ მას ემფატიკური დაბოლოება არ სჭირდება და არც აქვს. ამგვარი მიცემითი ხომ მეორე სახელთან ერთად ერთ ცნებას ქმნის, სხვა ახალ მნიშვნელობას გამოხატავს, ამიტომ ემფატიკური ხმოვანი რთულ სიტყვაში სათანადო ადგილას ბრუნვის ნიშნის შემდეგ გვაქვს მხოლოდ. იმგვით შემთხვევაში ემფატიკური ხმოვანი არა აქვს მიცემითს, როცა ის ადგილის გარემოების ფუნქციითაა ნახმარი¹.

C ხელნაწერში (ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერი № 176) ვკითხულობთ:

ყოველი, რომელი სამზარეულოს ისყიდებოდის, ჭამეთ: I კორ. 10, 25.

AB ხელნაწერებში კი (საქართველოს მუზეუმის საეკლესიო ფონდი, ხელნაწერი № 407 და № 1138) სათანადო ადგილას ემფატიკური -ა დაცულია.

C ხელნაწერში -ა'ს დაკარგვა, ალბათ, მიცემითში დაყენებული ადგილის აღმნიშვნელ საკუთარ სახელთა ანალოგიით უნდა აიხსნას.

მიცემითს ემფატიკური ხმოვანი არ აქვს, როცა ის შედგენილი შემასმენლის ნაწილია:

... გულის-სიტყუანი შესამენდნენ, ანუ სიტყუას-უგებდნენ: რომ. 2, 15.

... უფალი იგი დიდებისად ჯუარს-აცუეს: I კორ. 2, 8.

... სიტყუას-გიგებთ წინაშე ღმრთისა: II კორ. 12, 19.

... ჯუარს-ეცუა უძღურებით: იქვე: 13, 4.

თავს-იდებდით ურთიერთას: კოლ. 3, 13.


მოცემულ მაგალითებში მიცემით ბრუნვაში დაყენებული სახელი წარმოშობით პირშიმართი ობიექტია, მაგრამ განიაზრება შედგენილი შემასმენლის ნაწილად და ემფატიკური ხმოვანი არა აქვს. ამ მხრივ საანალოგო მასალას შედგენილ შემასმენელს კომპოზიტები უნდა აწვდიდეს.

ნათესაობითი ბრუნვა

ემფატიკური ხმოვანი არ აქვს ნათესაობით ბრუნვასაც, როცა იგი კომპოზიტის შემადგენელი პირველი ნაწილია:

სავსე იყენეს... კაცის კლვითა..., ბოროტის ჩუეულებითა..., ძკრის მეტყუელებითა: რომ. 1, 29.

¹ ა. შანიძე, გიორგი მთაწმიდლის ენა, ცხორება იოვანესი და ვფთვმესი. თბილისი, 1946, გვ. 72.



არავენ არს გულისხმის-მყოფელ: იქვე, 3, 11.

... შენ ველური ზეთის ხილი იყავ: იქვე, 11, 18.

... სტუმრის მოყუარებასა შეუდევით: იქვე, 12, 13.

... კორცთა ზრახვასა ნუ ჰყოფთ გულის-სათქუმელ: იქვე, 13, 15.

... მოიკითხვედით ურთიერთას ამბორის-ყოფითა წმიდითა: I კორ-
16, 20.

ყველგან მართულსაზღვრელიანი კომპოზიციები გვაქვს. კომპოზიციის პირ-
ველი ნაწილი, რომელსაც ემფატიკური ხმოვანი არ აქვს, მხოლოდობით რიცხვშია.
ემფატიკური ხმოვანი არ აქვს კომპოზიციის შემადგენელ ნათესაობით ბრუნვას.
მრავლობით რიცხვშიაც (მარი, § 57):

ძმათმოყუარებითა ურთიერთას სურვიელად მოყუარე იყვენით:
რომ. 12, 10.

... მიიწერა კორინთში ფვბესთვს დედათ დიაკონისა: იქვე, 16, 24.

... ფლტოდეთ კერპთმსახურებისაგან: I კორ. 10, 14.

... თუაღთღება არა არს მის თანა: ეფეს. 6, 9.

... განიცადეთ მოციქული იგი და მღდელთმოდლუარი: ებრ. 3, 1.

რათა განაბრძნობდეს ჭაბუკთა ქმართმოყუარებად, შვილთ-
მოყუარებად: ტიტე, 2, 4.

აქა-იქ რთული სიტყვის ნათესაობით ბრუნვას როგორც მხოლოდობით,
ისე მრავლობით რიცხვში აქვს ემფატიკური დაბოლოება და ვლდებულობით პარა-
ლელურ ფორმებს:

რამეთუ მთავარი იგი არა არიან საშინელად კეთილის მოქმედთა-
ხვს: A, რომ. 13, 3.

B ხელნაწერში კი იკითხება: კეთილისა მოქმედთათვს, ხოლო C-ში არის:
კეთილმოქმედთათვს.

„კეთილ“ რომ კომპოზიციის ნაწილი არ ყოფილიყო, ბრუნვის ნიშნის და-
ქარგვა შეუძლებელი გახდებოდა.

... ღმრთისა მსახური არს შურისმძიებელი: AB, რომ. 13, 4. ამავე
ადგილას C ხელნაწერში იკითხება ღმრთის.

... რომელსა აქუს დიდი სასყიდლისა მოგება: ებრ. 10, 35. BC ხელ-
ნაწერში კი ნახმარია სასყიდლის მოგება.

აღბათ, დასახელებულ მაგალითებში ემფატიკური ხმოვნის ქონა იმით
აიხსნება, რომ კომპოზიტად ქცევის პროცესი ჯერ კიდევ არ დასრულებულა.

მოქმედებითი ბრუნვა

ჩვეულებრივად, მოქმედებით ბრუნვას ემფატიკური ხმოვანი არა აქვს,
როცა ის 1) კომპოზიციის პირველი კომპონენტია:

და აღკოცნა ჩუენთვს კელით წერილნი ბრძანებითა: კოლ. 2, 14.

... უსრულესითა კარგითა კელით უქმნელითა: ებრ. 9, 11.

... არა მოსრულ ხართ თქუნ მთასა მას კელით შესახებელსა:
იქვე, 12, 18.



2) დაწყებითის ფუნქციითაა ნახმარი კითხვაზე საიდან?

- ... გამოჩინებად არს რისხვად ღმრთისაჲ ზეცით: რომ. 1, 18.
- ... უკუე-მიღირდა-მე-ა სოფლით გამოსლვად: I კორ. 5, 10.
- ... სარკუმლით სარგნითა გარდამოვკედ ზღუდესა: II კორ. 11, 33.
- ... არა სადა ანგელოზთაჲთ იწყო: ებრ. 2, 16.
- ... მიიწერა ლავდიკიჲთაჲთ ფრიგვაჲსა დედაქალაქით: I ტიმ. 6, 22.

აკ. შანიძის მიხედვით საჭურველობითისა და დაწყებითის ფუნქციით ნახმარი მოქმედებითი სხვადასხვა წარმოშობისაა: საჭურველობითის ფუნქციით ნახმარ მოქმედებითს ემფატიკური -> ჰქონდა (ვღებულობდით სუფიქსს -ით-ა), ხოლო დაწყებითის ფუნქციით ნახმარი მოქმედებითი -ით-ი სუფიქსის ან მოკვეცილ მიიღებოდა¹. ასეთი მოქმედებითი დაშორებითობას გამოხატავდა და მსახლერელ ნაწილას, რომლის პირველი ხმოვანი პირველ პირთან სიასლოვს აღნიშნავდა, ბუნებრივია, თუ არ საჭიროებდა.

3) ვითარების გარემოებას გამოხატავს კითხვაზე როგორ?

- ... ჭეშმარიტებაჲ სიცრუით აქუნდა: რომ. 1, 18.
- ... სასოებით ვცხოვრდებით: იქვე, 8, 26.
- ... მოთმინებით მოველით: იქვე, 8, 26.
- რომელნიმე შურით და კდომით... ქრისტესა ქადაგებენ: ფილ. 1, 15.
- ... მშვიდობით და ყუდროებით ვცხოვრდებოდით: I ტიმ. 2, 2.

მოქმედებითი, რომელიც ვითარებას აღნიშნავდა, ზმნიზედური მნიშვნელობისა იყო, მას იგივე ღირებულება ჰქონდა, რაც ზმნიზედებს ძლიერ, უკეთ, უფრო... ამიტომ მსახლერელ ნაწილას არ დაირთავდა და, ბუნებრივია, თუ არც ემფატიკური ხმოვანი ჰქონდა.

ასეთი მოქმედებითის გვერდ-გვერდ გვხვდება ემფატიკური დაბოლოებინი მოქმედებითიც, თუმცა მეტად იშვიათად:

- ... არა სიტყვთა არს სასუფეველი ღმრთისაჲ: AC, I კორ. 4, 20 (თავი ბ). B ხელნაწერში კი იკითხება სიტყვთ.

შურითა ვსდევნიდ ეკლესიათა: BC, ფილ. 3, 6. A ხელნაწერში გვაქვს: შურით.


ასეთი პარალელური ფორმების არსებობა იმით უნდა აიხსნას, რომ ერთი ხელნაწერი ბუნებრივად მიიჩნევა ამ შემთხვევაში კითხვას რით და ხმარობდა ემფატიკურ დაბოლოებიან მოქმედებითს, ხოლო მეორეს ბუნებრივად მიიჩნდა კითხვა როგორ და მოქმედებითსაც ემფატიკური ხმოვნის გარეშე ხმარობდა.

4) თანდებულები, რომლებიც მოქმედებით ბრუნვას მოითხოვენ (გან, გამო, მიერ, კერძო, წიად, ჟრთ) დაერთვიან მას ემფატიკური ხმოვნის გარეშე:

- ... რომელმან გამოძირჩია მე მუკლითგან დედისაჲთ: ვალ. 1, 15.

... და კნაჲ იყო ღრუბლით გამო: მათე, 15, 5 (სამი შატბერდული ოთხთავი, აკ. შანიძის გამოკემა, თბილისი, 1945).

¹ აკ. შანიძე, გიორგი მთაწმიდლის ენა, § 16, გვ. 72; აკ. შანიძე, წელიწადის ეტიმოლოგიისათვის: წელიწადული, გვ. 5.



ხოლო ივინი წარვიდეს ადრე მიერ საფლავით: იქვე, 28, მკაცრულად
... მოუკდა იგი ზურგით კერძო: იქვე, 9, 20.

... განიშორეთ ძუელი იგი კაცი საქმითურთ მისით: კოლ. 3, 9.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ თუ საზოგადო სახელების მოქმედებით ბრუნვას დართულ თანდებულებთან ემფატიკური -> შეუთავსებელია, მიცემითსა და ნათესაობითს დართულ თანდებულებთან იგი მიუცილებელია¹:

მიცემითი ბრუნვა

- თანა ... დიდებასა თანა: II ტიმ. 2, 10
- წინაშე ... წინაშე პირსა ეკლესიათასა: II კორ. 8, 24.
- ზედა ... ისრაჲლსა ზედა; რომ. 2, 11 (თავი ბ)
- შინა ... ყანასა შინა: მთ. 13, 14
- ქუეშე ... შჯულისა ქუეშე: გალ. 5, 13.
- შორის ... კრებულსა შორის: I კორ. 6, 4.

ნათესაობითი ბრუნვა

- გან ... სარწმუნოებისაგან: გალ. 2, 21
- მიერ ... ღმრთისა მიერ: I კორ. 1, 3
- თვნიერ ... შჯულისა თვნიერ: რომ. 7, 8
- თვს ... სიყუარულისათვს: II კორ. 1, 14
- ებრ ... ნებისაებრ: II ტიმ. 2, 26
- წილ ... ბოროტისა წილ: I თეს. 5, 15
- ჭერძო ... ჭემმართველისა კერძო: II კორ. 13, 1
- მიმართ ... დიდებისა მიმართ: I კორ. 15, 45 (თავი დ)
- თანა ... ღმრთისა თანა: რომ. 2, 11
- წინაშე ... ღმრთისა წინაშე: გალ. 3, 11
- ზედა ... სარწმუნოებისა ზედა: რომ. 6, 1
- ქუეშე ... შჯულისა ქუეშე: გალ. 4, 5.

როგორც ვხედავთ, მიცემითსა და ნათესაობით ბრუნვებში თანდებულებთან ემფატიკური -> ყოველთვის დაცულია; მოქმედებითთან კი იგი შეუთავსებელია. რით უნდა აიხსნას ასეთი მკვეთრი სხვაობა? ალბათ იმით, რომ მოქმედებითი ბრუნვა ემფატიკური დაბოლოების უქონლად იხმარებოდა დაწყებითის მნიშვნელობით და თანდებულებმაც, რომელთაც სივრცეში ან დროში მოქმედების დაწყების პუნქტი უნდა აღენიშნათ, მართეს მოქმედებითის ის ფორმა, რომელსაც ემფატიკური დაბოლოება არც ჰქონდა და არც სჭირდებოდა².

დაწყებითის მნიშვნელობით რომ -გან თანდებულებანი ნათესაობითიცაა ნახმარი და ემფატიკური -> მასთან ყოველთვის დაცულია?

¹ ნითარებით ბრუნვას მსახლწერილი ნაწილაკი არ დაერთოდა, ამიტომ არც ემფატიკური ხმოვანი ჰქონია.

² -ურთ თანდებულის მიმართ ანალოგიის ფაქტთან უნდა გვქონდეს საქმე.



... ორგულო, აღმოიღე პირველად ღირს თუაღისაგან შენისა.
 მთ. 7, 5.

მოქმედებითან -გან თანდებულს რომ ემფატიკური -ა არ შეეგუებინა ამის საფუძველს დაწყებითის ფუნქციით ნახმარი მოქმედებითი იძლეოდა, ნათესაობითს ასეთი საფუძველი არ გააჩნდა. დაწყებითის ფუნქციას ნათესაობითი მხოლოდ -გან თანდებულთ იძენდა. ემფატიკურ ხმოვანს მისთვის ამ მხრივ არავიჰარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ამიტომ თანდებული მას ყოველთვის იგუებდა. ემფატიკურ ხმოვნიანი მოქმედებითი საქურველობითის მნიშვნელობით იხმარებოდა, ემფატიკური ა'ს გარეშე კი — დაწყებითის ფუნქციით. ბუნებრივია, თუ თანდებულსაც ასეთი მოქმედებითი მიეჩნიათ ამოსავლად, რომ მეტი შესაძლებლობა მისცემოდათ თავისი ფუნქციის გამოსახატავად.

სტალინის სახელობის
 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 ძველი ქართული ენის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1947. V. 10).

3. როგვანა

დისიმილაციური დეზაფრიკაციის ერთი სახეობა
 ზანური*

აღუნიშნავთ, რომ რიგს შემთხვევაში ქართულ რ-ს შესატყვისება ზანურში ჯ.

ქართ.	პირ-ი	ზან.	პიჯ-ი	„პირი“
„	მხარ-ი	„	ხუჯ-ი	„მხარი“
„	ხარ-ი	„	ხოჯ-ი	„ხარი“
„	ფურ-ი	„	ფუჯ-ი	„ფური“
„	ლორ-ი	„	ლეჯ-ი	„ლორი“
„	ყურ-ი	„	ყუჯ-ი	„ყური“
„	ქმარ-ი	„	ქომონჯ-ი	„ქმარი“ და სხვა ¹ .

ასეთი შესატყვისობა დასტურდება მხოლოდ აფიქსებში: ქართ. ხარ-ი || ზან- (ზნ-ავ-ს ← *ზან-ავ-ს) = ზან. ხ-ოჯ-ი || ხ-ონ (ხ-ონ-უნ-ს „ხნავს“) და სხვა.

ყველა ასეთ შემთხვევაში ივარაუდება ერთი და იმავე მასალის ფონეტიკური ვარიანტები და არა სხვადასხვა აფიქსები, რამდენადაც ამ მაგალითებში აღვლილ აქვს აფიქსეული ხმოვანი ელემენტების ან დამთხვევას ანდა შესატყვისობას: ქართ. პ-ირ-ი = ზან. პ-იჯ-ი, ქართ. ფ-ურ-ი = ზან. ფ-უჯ-ი, ქართ. ხ-არ-ი = ზან. ხ-ოჯ-ი და სხვა...²

ერთი შეხედვით გამოჩნდისად შეიძლება მიგვეჩინოს ქართ. ლ-ორ-ი და ზან. ლ-ეჯ-ი „ლორი“, მაგრამ აქაც ამოსავალში ისევ ხმოვანთა დამთხვევასთან უნდა გვქონდეს საქმე: ზან. ლ-ეჯ- უნდა მომდინარეობდეს *ლ-ოჯ-ისაგან.

ზან. ჯ, როგორც თანხმოვანი ელემენტი აფიქსისა (-აჯ, -ეჯ, -იჯ, -ოჯ, -უჯ), ისე მისი ქართული შესატყვისი რ (-არ, -ერ, -ირ, -ორ, -ურ) სახელის

* წაკითხულია მოხსენებად აკად. ნ. მარის სახელგობის ენის ინსტიტუტის ქართველურ განყოფილების სხდომაზე 1946 წ.

¹ А. Цагарели, Мингрельские этюды, Опыт фонетики мингрельского языка, Петербург, 83-86.

² ვ. თოფურიძე, -ენჯ სუფიქსი მეგრულში: ენიმკის მოამბე, ტ. I, თბილისი-1937, გვ. 42.

ფუძესთანაა დაკავშირებული. ასეთი სუფიქსები, ე. წ. სუფიქს-დეტერმინანტები, არსებითად სახელურ აფიქსებადაა მიჩნეული¹. ესენი, ისე როგორც სხვა სუფიქს-დეტერმინანტები, გვხვდება ზმნის ფუძეებშიც, მაგ., ზან. სვ-ანჯ-|| შვ-ანჯ-|| შვ-აჯ- (ი-სვანჯ-უ „სვენებს“) ფუძე².

მეგრულში, როგორც ცნობილია, -ენჯ || -ინჯ სუფიქსი გამოყენებულია მიმღეობის საწარმოებლად. იგი ქართული მიმღეობის -არ სუფიქსის მორფოლოგიურ და ფონეტიკურ ეკვივალენტადაა მიჩნეული³. მიმღეობის სუფიქსები კი ქართველურ ენებში, როგორც გარკვეულია, იმავე სახელის ფუძის სუფიქსებია⁴. ზემომოყვანილ მაგალითებში ზანური ჯ. ქართული რ-ს შესატყვისი, მყარი ბგერაა; ფუჯ-ი („ფური“), პიჯ-ი („პირი“), ღეჯ-ი („ღორი“) და სხვაგან ჯ უცვლელად რჩება.

მაგრამ გვაქვს სხვა რიგის მაგალითებიც. სადაც იმავე ქართული რ ბგერის შესატყვისი ჯ-ს პარალელურად იხმარება დ ბგერა. მაგ., ზან. ჩხვინჯ-ი || ჩხვინდ-ი || ჩხინდ-ი „ცხვირი“, შდრ. ქართ. ცხვირ-ი, ზან. ქაჯ-ი || ქანჯ-ი || ქანდ-ი „ბუზი“, შდრ. ქართ. მწერ-ი⁵ და სხვა.

ასეთ შემთხვევებში დ, სრულიად სამართლიანად, ჯ ბგერის დეზაფრიკატიზაციის ნიადაგზე მიღებულიადაა ცნობილი⁶.

ზანურში, ისე როგორც სხვა ენებშიც, ცნობილია პირუკუ პროცესიც — დ-ს აფრიკატიზაცია, დ → ჯ, მაგ., მეგრ. ხინჯ-ი ← ხიდ-ი, ზან. ღორღოჯ-ი || ღორღონჯ-ი ← *ღორღოდი⁷ და სხვა...

პირველი პროცესი — ჯ-ს დეზაფრიკატიზაცია — შეიმჩნევა მხოლოდ ზანურში და ისიც განსაკუთრებით მეგრულ კილოში. მეორე პროცესი კი, დ (თ ტ)-ს აფრიკატიზაცია, საერთო მოვლენაა.

ჩვენი დაკვირვებით, ამ შემთხვევაში ჯ-ს დეზაფრიკატიზაცია არ უნდა იყოს სპონტანური ხასიათისა. იგი გარკვეულ ფონეტიკურ წესს უნდა ემორჩილებოდეს, სახელდობრ, აქ დისიმილაციის ერთ თავისებურ სახეობასთან უნდა გვქონდეს საქმე.

როგორც ირკვევა, მეგრულში ჯ მჟღერი შიშინა აფრიკატი გადადის დ ბგერაში მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როცა სიტყვის ძირი შეიცავს რომელსამე ყრუ აფრიკატს — ჩ, ჭ, ც, წ-სა ანდა ყრუ წინაენისმიერ სპირანტს — ხ, შ-ს. მაგალითები:

¹ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში. თბილისი, 1942, გვ. 121.

² არნ. ჩიქობავა, კანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. თბილისი, 1938, გვ. 361.


³ იქვე.

⁴ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართ. ენებში, გვ. 101.

⁵ Н. Марр, К вопросу о ближайшем родстве армянского языка с иверским: Записки Вост. Отдел. Импер. Русского. Археологического Общества, т. XIX, პეტერბურგი, 1909, გვ. 072.

⁶ И. Книшидзе Грамматика мингрельского (иверского) языка. პეტერბურგი, 1914, გვ. 392.

⁷ არნ. ჩიქობავა, შდრ. ლექსიკონი, გვ. 103.



1. ზან. ჩხვ-ინდ-ი || ჩხინდ-ი ← ჩხვ-ინჯ-ი „ცხვირი“. შიღრ.
ქართ. ცხვ-ირ-ი.

საყურადღებოა ვ. ბერიძის მიერ იმერულში შენიშნული სიტყვა ცხვინჯა („დიდი და უშნო ცხვირიანი“)¹. ამ შემთხვევაში ძირეული მასალა ქართულია ცხვ-, ხოლო აფიქსი — ზანური -ინჯ. შესაძლებელია, დაისვას კითხვა: აქ რეგრესულ დისიმილაციასთან ხომ არა გვაქვს საქმე? (ცხვინჯა ← *ჩხვინჯა?).

2. მეგრ. ქანდ-ი ← ქანჯ-ი „ბუზი“, წდრ. ქართ. მწერ-ი. მეგრულში ორივე ვარიანტია შემონახული, ქანურში კი მხოლოდ ამოსავალი სახეობაა დაცული — *ქაჯ-ი².

3. მეგრ. ჭკ-უდ-ი ← ჭკ-უჯ-ი „ჭურჭელი“. ეს ფუძეც ორივე ვარიანტითაა მეგრულში დაცული³. მეგრ. ჭკ-უჯ-ი = ქართ. ჭ-ურ-ი⁴.

4. მეგრულ მიმღებობებში:

- ა) მა-ჩამ-ინდ-ა ← მა-ჩამ-ინჯ-ა „მკებნარა“;
 - ბ) უ-რჩქ-ენდ-ი ← უ-რჩქ-ენჯ-ი „უცოდინარი“;
 - გ) ჭყორ-ინდა ← ჭყორ-ინჯა „მწყრალი“ და სხვა...
- ააგვარ მიმღებობათა ორივე სახე დაცულია მეგრულში⁵.

5. მეგრ. ც-უნდ-ი ← ც-უნჯ-ი = ქართ. ცვ-არ-ი. მეგრ. ც-უნჯ-ი და ქართ. ცვ-არ-ი სიტყვებში ბგერათა შესატყვისობა მხოლოდ აფიქსებში ჩანს. ცუნჯ-ი || ცუნდ-ი ფორმის გვერდით იხმარება სუნჯ-ი || სუნდ-ი⁶. გვევ ძირი უნდა გვქონდეს სვანურში, დუსორ „ცვარი“. ამ ფუძეში დ(უ) აფიქსი უნდა იყოს, ს ← სვ- — ძირი, ხოლო -ორ ← *ვარ — სუფიქს-დეტერმინატი.

6. მეგრ. წვ-ანდ-ი ← წვ-ანჯ-ი = ქართ. წვ-ერ-ი.


7. მეგრ. ორცხონ-დ-ი ← ორცხონ-ჯ-ი „სავარცხელი“. ეს ფუძეც მიმღებობური წარმოება ჩანს⁷.

8. მეგრ. ცხენ-ენდ-ი ← ცხენ-ენჯ-ი „ცხენოსანი“.

9. მეგრ. მო-შვ-ანდა ← მო-შვანჯ-ა „მოსვენება“. მეგრულშივე იხმარება ამ ფუძის სხვაგვარი ვარიანტებიც: მო-სვ-ანდ-ა || მო-სვ-ანჯ-ა აქაც შეიძლება მო-სვანჯ-ა იყოს მიღებული მო-შვანჯ-ა-საგან იმავე რეგრესული დისიმილაციის საფუძველზე.

ქანურში ცნობილია ამ ფუძის მხოლოდ ერთი სახეობა — შვაჯ (ქამუი-შვაჯეს „დაისვენეს“)⁸.

1 ვ. ბერიძე, სიტყვის-კონა იმერულ და რაჭულ თქმათა: Материалы по яфетическому языкознанию, VI, პეტერბურგი, 1912, გვ. 61.
 2 Н. Марр, Грамматика чанскогв (лазского) языка. პეტერბურგი, 1910, გვ. 224.
 3 И. Кипшидзе, Грам. мингр. языка, გვ. 392.
 4 ვ. თოფურია, -ენჯ სუფიქსი მეგრულში: ენიშის მთაბზე, ტ. I, გვ. 143.
 5 იქვე.
 6 И. Кипшидзе, Грам. мингр. языка, გვ. 371.
 7 ვ. თოფურია, -ენჯ სუფიქსი მეგრულში: ენიშის მთაბზე, ტ. I, გვ. 144.
 8 არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექსიკონი, გვ. 363.



10. მეგრ. ის-ინდ-ი ← ის-ინჯ-ი = ქართ. ისარ-ი. მეგრ. ის-ინჯ-ფუძის ამოსავალი სახეობა უნდა იყოს *ის-ოჯ-, ქართ. ის-არ

ყველა ზემომოყვანილ მაგალითებში დისიმილაციის საფუძველზე ჯ აფრიკატის გადასვლა დ-ში ეხება აფიქსისეულ ელემენტებს. მაგრამ ეგვე წესი ვრცელდება სხვა შემთხვევებშიც, მაგალითები:

1. მეგრ. სინჯა || სინდა „სიძე“. ვარაუდობენ, რომ ქართ. სი-ძე ფუძის შედგენილობაში შედის ძე-ფუძე¹. სინდა უნდა იყოს მიღებული სინჯა-საგან.

2. მეგრ. ქაქვინჯ-ი || ქაქვინდ-ი (სოფელია ზუგდიდის რაიონში). ვახუშტის ჩვენებით გვაქვს ქაქვით-ი².

ამოსავალი სახეობა უნდა იყოს ქაქვინჯ-ი, თუ მართლა ამ სიტყვის შედგენილობაში გვაქვს ქვინჯ- „ფსკერი“ ფუძე, როგორც ეს ი. ყიფშიძეს აქვს დადგენილი: ქაქვინჯ-ი ← ქა ქართ. „ქა“ + ქვინჯ-ი „ფსკერი“³.

3. მეგრ. წენჯიხა || წენდიხა — სოფელი წალენჯიხა მეგრული გამოთქმით. ი. ყიფშიძის ეტიმოლოგიით წალენ-ჯიხა ← ჭან- „ჭანის“ + ჯიხა „ციხე“, არნ. ჩიქობავას მიხედვით კი წალენჯიხა ← წალენ „ქვემოთური“ + ჯიხა „ციხე“⁴. წენ-დიხა ← წენ-ჯიხა.

ანგვარად, ჩვენს მაგალითებში ჯ-ს დეზაფრიკატიზაციის დ-ში გადასვლის მიზეზია წინამავალი ყრუ აფრიკატი ან წინანისმავერი სპირანტი. თუ წინამავალი აფრიკატი ან სპირანტი მჟღერია, დეზაფრიკატიზაციას არ ექნება ადგილი. მაგალითები:

1. მეგრ. ჯინჯ-ი = ქართ. ძირ-ი.

2. ქართ. ძერა სახელის ზანური შესატყვისი უნდა იყოს გურულ კილოში შემონახული ჯაჯა „ძერა“⁵. ქართ. ძერა = ზან. ჯაჯა. ჯაჯა ფუძისაგან უნდა იყოს ნაწარმოები გვარები ჯაჯანა-შვილი, ჯაჯანი-ძე, შდრ. ქორ-ი-ძე, ქურ-ი-ძე, მეგრ. ქირ-ია, ძერ-ია და სხვა...

3. მეგრ. ჯგუნჯგი „სარი“.

4. მეგრ. ზოჯუა „ბრძანება“ და სხვა...

თუ კი ჯ ბგერა გვხვდება რომელიმე ყრუ აფრიკატის ან წინანისმიერი სპირანტის წინ, დეზაფრიკატიზაციას არ ექნება ადგილი. მაგ.:

მეგრ. ჯაქვ-ი და არა *დაქვ-ი, მეგრ. ჯარ-წუფა (იხმარება „მწიფეს“ მნიშვნელობით, მაგ. გამოთქმაში, ჯარწუფა-ცალი თხირი „ჯარ-

¹ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართვ. ენებში, გვ. 9.

² ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ. 1941, გვ. 167, 15.

³ И. Кипшидзе, Грам. мингр. языка, გვ. 387.

⁴ იქვე, გვ. 377.

⁵ არნ. ჩიქობავა, წარ-პრევერბის მნიშვნელობისათვის. ქართულში: ენიკი-ს მოამბე, თბილისი, 1937, ტ. I, გვ. 45.

⁶ გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი; იხ. გურული, ზემოივერული და ლეჩხუმური ლექსიკონები, თბ. 1938, გვ. 95 (← ჯაჯაი ძერა).

წუფა-სავით თხილი“) და არა *დარწუფა, მეგრ. ჯაშქვიდუ (მცენარეა „ინвойник“ (ი. ყიფშიძე), მეგრ. ჯიშთი „ძველი თოვლი მთაში“ და სხვა).

ამ მხრივ განსხვავებული ჩანს მეგრ. ჯირჩე (საწამლავი მცენარეა, წაავას ნიორს), რომლის პარალელურად იხმარება დირჩე. ჯ ამ შემთხვევაში შესაძლებელია დ-საგან მომდინარეობდეს, ჯირჩე ← დირჩე, თუ ჯირჩე არაა მიღებული ჯინჯი + (რ)ჩე, ე. ი. ძირი + თეთრი, ძირ-თეთრა.

წარმოდგენილი ფონეტიკური პროცესი მეტად თავისებური ჩანს: ა) დისიმილაციით დეზაფრიკატიზაციას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როცა დისიმილატორი და დისიმილირებული ბგერები ერთიმეორისაგან განსხვავებული ფონეტიკური მონაცემებია: დისიმილატორი უნდა იყოს ყრუ ბგერა (აფრიკატი ან წინაენისმიერი სპირანტი), დისიმილირებული (ჯ) კი მჟღერია.

ჩვეულებრივ კი, დისიმილაცია ხდება მაშინ, როცა სიტყვაში ორი ერთიდაიგივე ბგერა იხმარება (რაჭულ-ი ← *რაჭ-ურ-ი).

ბ) არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ადგილს. დისიმილატორი წინამავალი ბგერაა, დისიმილირებული კი მომდევნო.

დისიმილაციას განიცდის მხოლოდ მჟღერი სახეობა ჯ. ამავე რიგის სხვა ბგერები ჩ, ჭ, ანდა სისინა რიგის აფრიკატები — ძ, ც, წ. არ გადადიან სათანადო მარტივ ხშულებში (თ, ტ).

ამიტომ იბადება კითხვა: ხომ არა აქვს მნიშვნელობა იმ ფაქტს, რომ დასახელებულ მაგალითებში ჯ აფრიკატი აფიქსისეული ბგერაა, ქართული აფიქსისეული რ-ს შესატყვისი; ამ შემთხვევაში კი ჯ-ს რეფლექსი დ-ც კი აფიქსისეულია; ხომ არ არის ჯ და დ ამ შემთხვევაში რალაც მესამე ამოსავალი თავისებური ბგერის რეფლექსი?

ამ ვარაუდს აქარწყლებს ის, რომ ეს პროცესი არ უნდა იყოს მაინცადა-მაინც უძველესი დროისა, ჭანურში მხოლოდ ერთ მაგალითში შეიმჩნევა ჯ-ს ვადასვლა დ-ში, ჭან. ჩხვინდ-ი ← ჩხვინჯ-ი „ცხვირი“, და რაც მთავარია, მეგრულშივე ადგილი აქვს თითქოს არააფიქსისეული ჯ-ს დეზაფრიკატიზაციას. მეგრ. წენ-დიხა ← წენ-ჯიხა, სინდა ← სინჯა.

ჩვენ მიერ აქ დადასტურებული ფონეტიკური მოვლენა შეიძლება გამოდგეს ზოგ შემთხვევაში ზანურ სიტყვათა პირვანდელი სახის აღსადგენად. მაგალითად, მეგრ. წინდა „ჭუჭყი“ უნდა იყოს ქართული წვირ-ე-ს შესატყვისი. წინდა-ს წინა სახეობა უნდა იყოს *წვ-ი(ნ)ჯ-ა, ქართ. წვირ-ე = მეგრ. *წვ-ი(ნ)ჯ-ა. -ირ- და -იჯ აქ აფიქსებად გამოიყოფა. -ჯ სუფიქსიანი ვარიანტი კი (წვ-ი(ნ)ჯ-ა) მეგრულში დაკარგულად უნდა მივიჩნიოთ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ენის ინსტიტუტი

(შემოვიდა რედაქციაში 1947. V. 7).

გ. ახვლედიანი

თანხმავანთა აქცესიური კომპლექსების საკითხისათვის
ქართულში

ჯერ კიდევ „ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხებში“ მივა-
ქციე ყურადღება საარტიკულაციო წერტილების თანამიმდევრობას ქართულ
თანხმოვანთა შეერთებისას¹. მაშინ თანხმოვანთა შეერთების სხვადასხვა თანა-
მიმდევრობა, რომელსაც ვუწოდებ იქითურა (როცა კომპლექსში პირველი
წინაწარმოებისაა) და აქითურა (როცა კომპლექსში პირველი უკანაწარმოე-
ბისაა), გამოვიყენებ მარცვალთვასაყარის დადგენისათვის. შემდეგ, როცა დად-
გენილ იქნა გუტურალთა რეგრესულ-დისიმილაციური დაკარგვა ქართულში
(1944), აქითურა თანამიმდევრობის აღნიშვნა (მაგ., ვდ ტიპისა) გამოდგა იმის
ასახსნელად, თუ რატომა გვაქვს, მაგ., „გრგოლი < რგოლ“ -ში რეგრე-
სული დისიმილაცია (და არა პროგრესული); 1945 წ., როცა იმავე თანამიმდე-
რობის თავისებურებამ ახსნა ძველი ფრანგულის $ct > it$, ამ თანამიმდევრობას
დაერქვა სახელად აქცესიური (აქითური), ხოლო საწინააღმდეგოს — დეცე-
სიური (იქითური). მიმდინარე წელს აქცესიური თანამიმდევრობის საფუ-
ძველზე ახსნა აგრეთვე დღემდე აუხსნელი (ისე როგორც აუხსნელი იყო ძველი
ფრანგულის $ct > it$) დაგრძელება ხმოვნისა ისეთი -tt-ს წინ, რომელიც მიღე-
ბულია *xt-საგან.

ამდენად თანხმოვანთა წარმოების აქცესიურ-დეცესიური თანამიმდევრო-
ბის განსხვავებულობის გათვალისწინება რეალური დასაყრდენი აღმოჩნდა ზოგი-
ერთი ფონეტიკური ცვლილების ახსნისათვის.

როგორც ჩანს, მრავალი ფონეტიკური საკითხი შესაძლოა გადაწყდეს ამ
მოვლენის უფრო ღრმა შესწავლის ნიადაგზე — საერთოდ ყველა ენაში.

ამ შემთხვევაში შევხებით აქცესიური კომპლექსების ზოგიერთ ვითარებას
ქართულ ენაში.

პირველია საკითხი იმის შესახებ, თუ რომელ ექვს გზათაგანს მიმართავს
ქართული ენა აქცესიური კომპლექსების თავიდან ასაცილებლად: 1. გადასმა

¹ გ. ახვლედიანი, ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები, თბ. 1938,
გვ. 119 და შემდ., 146 და შემდ.



(როგორც, მაგ., სერბულში გვაქვს $kto > lko$), 2. გასპირანტებას (რუსულში $xto < kto$) ან გახმოვნებას (გასპირანტების გზით — $\gamma de < ide$), 3. მსკრპის ცვალთვასაყარის შექმნას (აგ-ღია, $лок-тя, ног-тя$), 4. ასიმილაციას ($octo > otto$ იტალიურში), 5. კომპლექსში პირველი თანხმოვნის დაკარგვას ($rde < de$) თუ ნ. წარმოთქმის მკაფიოობას.

ჯერჯერობით ფაქტები გვიკარნახებს დავასკვნათ, რომ ქართულის მკაფიო წარმოთქმა, დაკავშირებული მარცვალთვასაყარის შექმნასთან, და აქცესიური კომპლექსის პირველი კომპონენტის დაკარგვა — ეს ორი გზაა, რომელსაც ქართული მიმართავს აქცესიური კომპლექსის წარმოთქმის გასაადვილებლად. მეგრული, მაგ., მიმართავს გადასმასაც: ფირქი, წინგი და სხვა.

ქართულში საკმაოდ ხშირია მეტათეზისი, მაგრამ აქცესიური კომპლექსისათვის იგი გამოყენებული არაა: როგორც ჩანს, იშვიათად ქმნის უხერხულობას აქცესიური კომპლექსი ქართულში იმის გამო, რომ წარმოთქმა მკაფიოა, და, სადაც საჭიროა (მაგ., სიტყვის შიგნით: მაგ-და, რეკ-და, ბეგ-თაბეგი, აქ-ტი და სხვა) მარცვალთვასაყარი იქმნება, ან იკარგვის პირველი კომპონენტი.

სხვა საკითხია, ჩანს თუ არა რომელსაღმე ბეგრათცვლილებაში აქცესიურ-დეცესიურ კომპლექსთა განსხვავებული შედეგები. ჯერჯერობით დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ აქცესიური კომპლექსებისათვის უმეტესად ჩვეულებრივია პროგრესული ასიმილაცია სახმო სიმების მოქმედების მიხედვით, ხოლო დეცესიურისათვის — რეგრესული.

ა. აქცესიური: ქდ > ქთ (გასუქდა > გასუქთა), კდ > კბ (ატოკდა > ატოკბა), ყდ > ყბ (გატყდა > გატყბა), ხდ > ხთ (გახდა > გახთა), თბ > თფ (გათბა > გათფა).

ამ ნიმუშების მიხედვით მოსალოდნელი იყო გთ > გდ, მაგრამ გვაქვს ხშირად ქთ; მაშასადამე, რეგრესული ასიმილაცია: ამ ხანაგ თან ან ამ ხანა-ქ თან.

ფიქრობ, რომ აქ სემანტიკური ფაქტორი დიდ როლს ასრულებს თანდაცვაში: -თან იმდენად დამოუკიდებელი და ხშირად ხმარებული თანდებულია — როგორც სიტყვასთან უცვლელი სახით (დედასთან, ორმოსთან...), ისე სიტყვის თავში (ე. ი. წინა ბგერის გავლენის გარეშე) და ცალკეც კი (თან წაიყვანა, თანვე ჰქონდა...), რომ მისი დაცვა უზრუნველყოფილია; პირიქით: მან თვითონ მოახდინა გავლენა წინა თანხმოვანზე.

როგორ შეიძლება აიხსნას პროგრესული ასიმილაცია აქცესიურ კომპლექსში?

ფიქრობთ, რომ წარმოთქმის მკაფიოობა აქცესიურ კომპლექსში უფრო ძლიერდება, რადგანაც უმისოდ პირველი კომპონენტი (ქ ქდ-ში) დაკარგვის ან დასუსტების საფრთხეშია. მისი არტიკულაციის გაძლიერება კი იწვევს მისი სიყრუის (მკვეთრობის) შენარჩუნებას მომდევნოსთვისაც.

კიდევ ნიმუშები: ხბ > ხფ (ხბო > ხფო), ტბ > ტპ (ტბა), კბ > კპ (კბილი), ყბ > ყპ (ყპა)...

ბ. დეცესიური: თგ > ღგ (მათგან > მადგან), თკ > ტკ (ქვეტყვიანი კვიტიკური), დხ > თხ (სად ხარ > სათ ხარ, სხედხართ > სხეთხართ...).

ამის ახსნა არ მოითხოვს ბევრ მსჯელობას: ესაა ჩვეულებრივი რეგრესული ასიმილაცია, როდესაც მომდევნო ბგერის არტიკულაცია (აქ სახმო სიმების მოქმედება) შედის ძალაში ადრე, ჯერ კიდევ მის წინ მყოფი ბგერის წარმოებისას. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ აქ ბგერათა არტიკულაციის ჩვეულებრივზე მეტი მკაფიოობა საჭირო არაა, რამდენადაც დეცესიური კომპლექსი მეტი ბუნებრიობით წარმოითქმის, ვიდრე აქცესიური (იხ. ზემოთ).

ამ ფაქტს (ე. ი. აქცესიურ კომპლექსში პროგრესული ასიმილაციის უპირატესობა და დეცესიურში — რეგრესულისა) უაღრესად პრინციპული ღირებულება აქვს.

თუ მოვიგონებთ ზემოთ აღნიშნულ ცნობასაც რეგრესული დისიმილაციის შესახებ (რომ დისიმილაციის რეგრესულობა განსაზღვრა აქცესიურმა კომპლექსმა), შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხშირად თანხმოვანთა ასიმილაციისა და დისიმილაციის მიმართულება დამოკიდებულია არა ენის მიდრეკილებაზე პროგრესულისა თუ რეგრესული ასიმილაცია-დისიმილაციისადმი, არამედ ამა თუ იმ ენის კომპლექსებში შემავალ თანხმოვანთა თანამომდევრობაზე და აგრეთვე სემანტიკურ ფაქტორზე.


მოვიყვან რამდენიმე ნიმუშს თქმულის ნათელსაყოფად:

1. იმერული ადღომა < ადღომა.

წმინდა ფონეტიკურად გაუგებარია, თუ რატომ დაიკარგა გ (ღგ კომპლექსში) და არა ღ (ღღ კომპლექსში).

თუ დაკარგვაზე შეიძლება ფიქრი, უნდა დაკარგულიყო ღ, როგორც აქცესიურ ღღ კომპლექსში შემავალი: მაგრამ არ დაიკარგა, რადგან ღ სპირანტია და არა ხშული (ზოგიერთ ენაში, მაგ., რუსულში, გერმანულში და სხვაგან, აქცესიური კომპლექსის განმარტივების ერთ-ერთი გზაა უკანა ხშულის გასპირანტება). სრულიად აშკარაა, რომ გ-ს დაკარგვის სახით ჩვენ გვაქვს პროგრესული დისიმილაციის შემთხვევა. რამ განსაზღვრა ასეთი მიმართულება? ცხადია, არა კომპლექსმა, რადგანაც ღგ არ საჭიროებს გამარტივებას, როგორც დეცესიური კომპლექსი. ვფიქრობთ (და სხვა შესაძლებლობა ახსნისა არა ჩანს), რომ აქ სემანტიკური ფაქტორი აპირობებს დისიმილაციის მიმართულებას. მთქმელის ცნობიერებაში „ადღომა“ აღარაა დაკავშირებული „ადღომა“-სთან; იგი დღესასწაულის საკუთარ სახელად იქცა ისე, როგორც, მაგ., „пасха“, რომელსაც არაგითარი კავშირი არა აქვს „воскресение“-სთან. ასეთ პირობებში საჭირო იყო ღ-ს გამოყენება სწორედ სადიფერენციაციო საშუალებად, რათა ადღომა არ დამსგავსებოდა ადგომა-ს. სრულიად ბუნებრივია, რომ გ-ს ეკარგებოდა სემანტიკური როლი და ამით მისი ფიზიოლოგიური მხარეც სუსტდებოდა, რის შედეგადაც გვაქვს მისი პროგრესული დისიმილაციის ფორმა.

საუურადღებოა, სხვათა შორის, რომ, თუ დგომა სიტყვაში ძირია მხოლოდ გ (გ. თოფური), ადღომა-ში ჩვენ ძირის წარმომადგენელი აღარ შეგვრჩენია, ე. ი. გვაქვს ძირის არმქონე სიტყვა.



2. დაწყებითი ანუ გამოსვლითი ბრუნვის დაბოლოება -იდან.

ამ ბრუნვის (ა. შანიძე) დაბოლოების განვითარება ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: -ითგან, -იდგან, -იდან. „იდან“ რომ ფონეტიკური გზითაა მიღებული „ითგან“-ისაგან („იდგან“-ის ვავლით), ცხადია¹, მაგრამ გასარკვევია, თუ რატომ დაიკარგა გ და არა დ? ზემოთ დადგენილი წესის თანახმად დგ (და არა თქ) მართებულია, რადგან დეცესიურ კომპლექსში უნდა გვქონოდა რეგრესული ასიმილაცია. მაგრამ დეცესიური კომპლექსის (აქ დგ) გამარტივებას მეორე კომპონენტის დაკარგვით საჭიროება არ მოითხოვდა.

შუქველია, რომ აქაც სემანტიკურ ფაქტორთან გვაქვს საქმე: ფონეტიკურმა ცვლილებამ (თ > დ: „ითგან“ > „იდგან“-ში) გამოიწვია მაგ. „სახლიდგან“-ის კავშირის შეწყვეტა მოქმედებითს ბრუნვასთან (სახლით); ამდენად -გან თანდებულმაც დაკარგა აქ თავისი ძირითადი ფუნქცია და იქცა ბრუნვის დაბოლოების ნაწილად: მას დაეკარგა კავშირი თვით -გან თანდებულთან; მხოლოდ ამიტომ შეიძლებოდა გ-ს დაკარგვა დეცესიურ დგ-კომპლექსში.

ფუძესთან დაბოლოების შერთვისას რომ ფონეტიკურად უფრო ადვილად იცვლება არა ფუძე, არამედ დაბოლოება, ამის კარგი ნიმუშია ქართულის მიცემით ბრუნვაში მიცემითის მაჩვენებელი ს თანხმოვნის დაკარგვა: მოსალოდნელი გულ-ს-თან-ის ნაცვლად გვაქვს გულ-თან (შეად. დედა-ს-თან, ორმო-ს-თან და სხვა)². რომელიმე სიტყვებში რელს-თან, ნემს-თან, უელს-თან თანხმოვანთა სწორედ ისეთივე დაჯგუფება (ლსთ, მსთ) გვაქვს, მაგრამ ს არ იკარგება, რადგანაც იგი ფუძის ელემენტია და ამიტომ სემანტიკურად შეტად დატვირთული.

3. ე. წ. „მიწევნითი ბრუნვის“ დაბოლოება.

ა. შანიძე, რომელმაც დაარქვა ამ ბრუნვას სახელი, ასე მოგვითხრობს მისი ფორმირების შესახებ: „ვითარებით ბრუნვას ძველად მიმართულებითის ფუნქციაც ჰქონდა (წარვიდა გალილუად = წავიდა გალილუას). მიწევნითის გადმოსაცემად კი მას ერთოდა თანდებულს მდე ან მდის, მიღებული იყო ჯგუფი ად-მდე (ად-მდის) ან დ-მდე (დ-მდის), სადაც ორ დ-ს მარტო მ ჰყოფდა, რაც სიძნელეს ჰქმნიდა გამოთქმისათვის. ამიტომ პირველი დ დაიკარგა გამოთქმაში“...³

ამ ბრუნვის ჩამოყალიბების პროცესი დადასტურებულია წერილობითი ძეგლებით. არ ჩანს მხოლოდ, თუ რატომ დაიკარგა დ. ა. შანიძის „ორ დ-ს მარტო მ ჰყოფდა“ საკითხს ვერ გადაწყვეტს⁴.

¹ იხ. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები I, 1942, 72.

² შეად. ა. შანიძის ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 68: „გამოთქმის გაადგილების მიზნით ენამ ხელი აიღო ისეთ ელემენტზე. ურომლისობა აზრის გაგებას ხელს არ უშლის“.

³ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 73.

⁴ იგივე აზრი აქვს გამოთქმული ა. შანიძეს სტატიაში „მდე თანდებულის გენეზისისათვის“: საქ. მეცნ. აკად. მოამბე. III, № 4, გვ. 368. თვით გენეზისის საკითხს არ ვეხებით.

უფრო ადრე ამავე საკითხის შესახებ აზრი აქვს გამოთქმული ზ. ჩიქობავას: „ყურადღებას იქცევს -მდე თანდებულის წინ გარდაქცევითი ბრუნვის დ ნიშნის დაკარგვა... რას უნდა გამოეწვია დ-ს დაკარგვა -მდე, მდის თანდებულის წინ?.. ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ დ-ს დაკარგვა ასეთ შემთხვევაში გაადვილა იმ გარემოებამ, რომ მხოლოდ -ა- საკმარისი იყო — გარკვეულს დიალექტებში მაინც — გადაქცევითი ბრუნვის საწარმოებლად!“¹.

ა. შანიძის თანახმად, ერთ-ერთი დ უნდა დაკარგულიყო, ხოლო ა. ჩიქობავას აზრით — სწორედ პირველი. ა. შანიძე განაზავს პროცესის ფონეტიკურ მხარეს, ხოლო ა. ჩიქობავა — ფსიქოლოგიურს.

საკითხი, ვფიქრობ, ადვილად წყდება წმინდა ფონეტიკურ ნიადაგზე: საკმარისია მივუთითოთ, რომ -დმ- კომპლექსი — დმდ-ში აქცესიური თანამიმდევრობისაა, და დ-ს მიდრეკილება დასუსტებისა და შემდეგ დაკარგვისადმი სრულიად ბუნებრივად მოგვეჩვენება — მით უმეტეს, თუ ამას კიდევ სხვა ფაქტორი (ა. ჩიქობავათი ფსიქოლოგიური) შეუწყობდა ხელს.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ზოგადი ფონეტიკის კათედრა

(შემოვიღა რედაქციაში 1947. V. 15).

¹ ა. ჩიქობავა, „მინაროულეებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის: ენიმკის მოაზრე I, 1934, გვ. 19. თუ ა. ჩიქობავას კონცეფცია სწორია, რასაც არ ვეჭვბი, დ-ს დაკარგვის გაადვილება, მართლაც, შეიძლება აიხსნას.

38. ზანდვიჰი

აბსოლუტიზმის ფორმები, მათი წარმოება და ფუნქციები უღურ ენაში

უღური ენის პირველმა მკვლევარმა ა. შიფნერმა გამოჰყო უღურში აბსოლუტიზმის (რუს. «деепричастие» და მსგავსი ფორმები) კატეგორია. ამ კატეგორიის გამოყოფის აუცილებლობის დასაბუთება ა. შიფნერს არ მოეპოვება. მას მოჰყავს სათანადო ფორმები, როგორც თავისთავად საგულვებელი და აღნიშნავს: „ამ ძირიდან [ინფინიტივის] ფუძიდან — ვ. ფ.] იწარმოება აგრეთვე სან-ზე დაბოლოებული სუპინი: მაგ. ბიესან — ბიესუნ-ისაგან (მოკვდომა), აჩიფსან — აჩიფსუნ-ისაგან (თამაშობა), ცუხტესან — ცუხტესუნ-ისაგან (შერტობა)“¹ და შემდეგ „მეორე სუპინი იწარმოება კონიუნქტივის ფუძიდან მა-ს დართვით, რომელიც მოვავაგონებს ოსურს ma (mä) — მდე, თან (იხ. Sjögren, Oss. Sprachlehre, გვ. 54) და აგრეთვე გვაქვს სიტყვებში ემა — რამდენი, ტემა — იმდენი; მაგ., ბოშშამა — გაძღოამდე, ელამა — მოსვლამდე, ბაქამა — გახდომამდე“². ამ ორი სუპინის დამატებით ა. შიფნერმა გამოჰყო ერთი ფორმაც გერუნდიუმის სახელწოდებით, რომელიც მან მიიჩნია ნასესხებად. იგი ამბობს: „ტან-ზე დაბოლოებული გერუნდიული ფორმა ემყარება სესხებას, მაგ., თალატან — მოსვლისას, im Gehen“³. შრომის სინტაქსურ ნაწილში ა. შიფნერი ეხება ამ სამი ფორმის ფუნქციას, მათი გამოყენების წესებს⁴.

როგორც აღვნიშნეთ, ა. შიფნერს არ მოუცია იმის დასაბუთება, თუ რატომ უნდა მივიჩნიოთ ეს ფორმები სუპინის ანდა გერუნდის ფორმად, ამგვარი დასაბუთების საჭიროება კი ცხადია, რადგანაც ზემოაღნიშნული კატეგორიები შემუშავებულია ინდოევროპულ ენათა (კერძოდ ლათინური ენის) სინამდვილის მიხედვით და მათი გადმოტანა კავკასიურ ენათა სფეროში ეგების მიუღებელი აღმოჩნდეს... ა. შიფნერს არც მასალა აქვს სისრულით წარმოდგენილი, რამდენადაც მას არ განუხილავს მსგავსი ფუნქციის სხვა ფორმები (სავარაუდოა

¹ ა. შიფნერი, Versuch, § 117, გვ. 28, «ინფინიტივის» შესახებ იხ. ჩვენი: „ინფინიტივის ფორმათა წარმოება...“: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, № 2, გვ. 199 შმდ.

² ა. შიფნერი, Versuch, § 118, გვ. 28.

³ იქვე, § 121, გვ. 28.

⁴ იქვე, § 184, 185 და 192.

იგი ან ფორმებს არც იცნობდა) და მათი წარმოება. ეს გარემოება ნათელი ხდება, როდესაც გავითვალისწინებთ კერძოდ უღურის მეორე მკვლევარის ა. დირის მონაცემებს ამავე საკითხის შესახებ: ა. დირს ამ რიგის ფორმათაგან განხილული აქვს უკვე 7 ფორმა. ა. დირმა სულ სხვაგვარი კვალიფიკაცია მისცა ამ ფორმებს და სხვაგვარა ფუნქციაც დაუძებნა მათ.

ნახმარ სახელებში ინფინიტივისა და მიმღობის გვერდით ა. დირმა გამოჰყო კიდევ „მეორე რიგის განუსაზღვრელობითი კილო“ და „მიმღობათა ნაწარმოები ფორმები“. ა. შიფერის I სუპინი ა. დირმა შეიტანა პირველ კატეგორიაში, ხოლო II სუპინი და გერუნდი — მეორეში. სახელდობრ, ა. დირმა ამგვარად წარმოადგინა საქმის ვითარება. იგი ჯერ განიხილავს ზმნის ფორმას, რომელსაც მიწარმოებლად უნ აქვს და რომელიც მიჩნეული იყო ინფინიტივად¹. მან მას უწოდა „დაბოლოებიათი განუსაზღვრელობითი კილო“ (конечное неопределенное наклонение — „infinitiv terminaison“)². ამ ფორმის საპირისპიროდ მან გამოჰყო ოთხი ფორმა — „მეორე რიგის განუსაზღვრელობითი კილოს“ სახელწოდებით. ეს ფორმებია:

a. პირველი — infinitif radical, რომელსაც ასე განმარტავს: „Неопредел. наклон. — корень (infinitiv radical) представляется собственно сокращенным неопред. наклонением. Чтобы образовать эту форму, отбрасывают **უნ** в первообразном (primitif) неопред. наклонении и восстанавливают в конечном неопред. наклон. (infinitif terminaison) гл. **ე**, выброшенный в полной форме“³.

b. მეორე — „Неопределенное наклон., оканчивающееся на **ან** (оно выражает намерение или цель), напр. აქსან **чтобы** видеть, ბიყსან **чтобы** схватить“⁴.

c. მესამე — „Неопредел. наклонение оканчивающееся на **ან** — это винительный падеж коренного неопределен. наклонения (infinitif radical), напр.: ბიყსან **держат**, გაათფესან — **говорить**“⁵.

d. მეოთხე — „Неопределенное наклонение, оканчивающееся на **სან**, представляется мне творительным пад. (instrumentalis), имеющим значение деепричастия“⁶.

როგორც ჩანს, მოყვანილ ფორმებში მოხვედრილია ის ფორმაც, რომელიც ა. შიფერს მიჩნეული ჰქონდა I სუპინად: ბიყსან — რომ დაიჭიროს, დასაჭერად... და იგი მიჩნეულია ინფინიტივის თავისებურ სახეობად. ამ ფორმათა ცალკეული ანალიზი ქვემოთ გვექნება მოცემული, აქ უნდა აღინიშნოს მხოლოდ ის, რომ ა. დირს საერთოდ არა აქვს დაზუსტებული იმ ცნებათა

¹ ჩვენი: «ინფინიტივის» „ფორმათა წარმოება...“. გვ. 200.


² ა. დირი. Грамм., გვ. 41.

³ იქვე, გვ. 43.

⁴ იქვე, გვ. 44.

⁵ იქვე.

⁶ იქვე.



შინაარსი, რომელთაც ხმარობს, და იმდენად არაა სწორი ამ ფორმათა კვლი-
ფიკაცია, რომელთაც იგი არჩევს.

მეორე მხრივ ა. დირი განიხილავდა მიმღეობათა წარმოებას უდურში,
მათ ფუნქციას და მათ გვერდით გამოჰყო „მიმღეობათა ნაწარმოები ფორმები“
(„Производные формы причастия“). იგი ამბობს: „Производные прича-
стия на (а)მა, ხუნ и ტან. Три суффикса ама, хун, тан прибавляются
к причастию настоящего времени, теряющему всегда свое л, напр.:
თაღატან, თაღახუნ; ეღალ: ეღახუნ, ეღამა, ეღატან“¹. ამრიგად, ამ ფორ-
მებში მიხედვრილია ა. შიფნერის II სუბინი და გერუნდივი.

ამგვარია საერთო ვითარება ამ ფორმების შესახებ უდური ენის მკვლე-
ვართა მიხედვით. აღნიშნული ფორმები დადასტურებულია თანამედროვე უდურ-
შიც და მათი ზოგადი აღწერილობა და ხმარების წესები ლიტერატურაში
წარმოდგენილია ასე თუ ისე სწორად. მაგრამ არაა დაზუსტებული მათი კვალი-
ფიკაცია, ზოგ შემთხვევაში კი ამ ფორმებს მიეწერება სრულებით უმართებულო
ფუნქცია. მასალის ანალიზი გვიჩვენებს სხვა ვითარებას.

1-ლი ფორმა, რომელსაც ა. დირი „ძირ-განუსაზღვრელობით კილოს“
(infinitif radical) უწოდებს, წარმოადგენს თავისი ფუნქციით მასდარს სხვა-
დასხვა ბრუნვაში. იგი წარმოადგენს არსებით სახელად გავებულ ზმნის წმინდა
ფუძეს და იბრუნვის ჩვეულებრივი არსებითი სახელის მსგავსად:

ვარაშნული: მხოლ. რიცხვი

სახ.	ქარხეს — ცხოვრება
ერგატ.	ქარხეს-ინ
ნათეს.	ქარხს-ა
მიც. I.	ქარხს-ა
მიც. II.	ქარხს-ახ...

როგორც ჩანს, ეს ფორმები ა. დირმა მიიჩნია ინფინიტივად იმიტომ,
რომ რუსულ თარგმანში მას შეესატყვისება ინფინიტივი:

მაგალითად:


ამმა ეკა-ტუ-ბაქოი ბეს? Дгр. 44₁ — но что она могла сделать?
მაგრამ რა შეეძლო ექმნა? (ქმნა).

ამმა სა-ალ თე-ტუ-ბაქი მცელუხ ბიყეს — но он не мог поймать
мышь, მაგრამ არც შეეძლო თავის დაჭერა.

ცხადია, ასეთი კვალიფიკაცია არაა მართებული, ამ ფორმებს ვერ მივიჩ-
ნევთ ინფინიტივად. ამის მიხედვით ადვილად გადაწყდება საკითხი 3. და 4.
ფორმისაც: ეს ფორმები წარმოადგენენ მიცემითი II-ისა და მოქმედებით-
ბრუნვის² ფორმებს.

¹ ა. დირი, Грамм., გვ. 14.

² ამ ფორმისათვის ა. დირი არასწორად გამოჰყოფს -ს ინ ფორმანტს, -ინ-ის ნაცვლად.



მაგალითად:

ვა4 ევახ-თე ჯინუხ ქევენეკი, ლაღენ ბურეკი აი თფესახ
და რორგორც კი ავი სული განაგლო, მუნჯამ დაიწყო ლაპარაკი:

მე აქლაჰინ ბულ ტუნკურიფსინ თაცინე, სა ქურრუ-ბოშ ბითი.
R 11₂₋₃ — ამ როკაპის თავი ტრიალ-ბზრიალით წავიდა, ერთ ორმოში ჩავარდა.

ამდენად, ცხადია, ამ ფორმათა გამოცხადებაც განუსაზღვრელ კილოდ უმართებულა: ამ შემთხვევაში წარმოდგენილია ჩვეულებრივი დამატება, რომელსაც მართავს ზმნა სხვადასხვა ბრუნვაში. ა. დირს, როგორც ჩანს, შეუნიშნავს მხოლოდ ეს ბრუნვები. მაგრამ ამ მასდარს შეიძლება ჰქონდეს სხვა ბრუნვებიც და მაშინ „განუსაზღვრელი კილოს“ ფორმების რიცხვი გაიზრდებოდა. მაგალითად, ხშირია მასდარის ხმარება თანაობით ბრუნვაში:

ისუს ხაჩესხოლან ტესაჰათ ქერინე ხენახო. მთ. 3, 16 — იესო მონათვლისთანავე იმ წამს გამოვიდა წყლიდან.

თავისებური ვითარება დასტურდება იმ ფორმის დროს, რომლის მაწარმოებელია -ან სუფიქსი და რომელსაც ა. დირი აგრეთვე განუსაზღვრელობით კილოდ მიიჩნევს. ეს სწორედ ის ფორმაა, რომელსაც ა. შიფერი I სუბინს უწოდებდა. ეს ფორმა შეიძლებოდა მართლაც მიგვეჩინა აბსოლუტივად. და მას ქვემოთ განვიხილავთ. აბსოლუტივის ფორმებს უნდა წარმოადგენდნენ აგრეთვე ა. დირის მიერ გამოყოფილი მეორე ჯგუფის ფორმები (-ამა, -ხუნ, -ტან ფორმანტებით). მათ ნაწილობრივ ეხებოდა ა. შიფერიც. ვნახოთ როგორია მათი წარმოება და ფუნქციები.

ა. განსახილველ ფორმათა შორის ყველაზე ნათელია წარმოება ფორმისა -ან სუფიქსით, რომელსაც პირობით ვუწოდებთ I აბსოლუტივს. იწარმოება ეს ფორმა ზმნის I სერიის ფუძიდან¹ და გამოხატავს მოქმედების მიზანს. იგი ემთხვევა ძველი ქართულის მასდარს ვითარებითს ბრუნვაში, ხოლო ახალი ქართულით გადმოიცემა მიმღებობით აგრეთვე ვითარებით ბრუნვაში. გვაქვს:

მასდარი: ქარხეს-უნ — ცხოვრება.

აბსოლ. I. ქარხეს-ან — საცხოვრებლად, ცხოვრებად.

მაგალითად:

ამმა შეტინ გენა ყადაღანები შოტლოხ ფესან, თე შოტლო აბაყო, თე შონო ხრისტოს-ნე. ლკ. 4, 41 — მაგრამ მან კი აუკრძალა მათ თქმად, რომ მათ იციან, რომ ის ქრისტე არის.

იოანენ ელაღტლო იხ-ტოღლოღლ ხაჩესან ხალხნუ ფინე. ლკ. 3, 7 — იოანე მასთან მოსანათლავად მიმსვლელ ხალხს უთხრა.

ვა4 არეან შოტუ ბულკოწბესან. მთ. 2, 2 — და მოვედით, მას თავი მოვუხაროთ (მოსახრელად).

¹ ჩვენი: დრო-კილოთა წარმოების პრინციპი. უღურ ენაში: საჭ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. IV, № 2 (1943), გვ. 179 შმდ.

მა ჭიჭირბანან, თე ზუ არეზ ფასბესან ზაკონლობ ე ფეხამბარლობ.
ძთ. 5, 17 — ნუ იფიქრებთ, რომ მე მოველ და რღვევად (დასარღვევად) კანონთა ანდა მოციქულთა.

ვაჲ შინ-თე ზორბაინ ვახ თაისან სა მწწხილ, უნ თაქე შოტხოლ პაჲ.
ძთ. 5, 41 — და ვინც გაიძულეს შენ წასვლად ერთ მანძილს, შენ გაიარე მისთან ორი.

ბილაზარუნ ელაყუნ ხიბ ხინწრ ოწკალფესან — შუადლისას მოდიან სამი ქალწული საბანაოდ.

რას წარმოადგენს გენეტურად -ან სუფიქსი? უშუალოდ იგი დღევანდელს ბრუნვის ნიშნებს აღარ უკავშირდება. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ ს. ვართაშენში დადასტურდა თავისებური ფორმები, რომლებიც ლიტერატურაში ცნობილი არ იყო და არც სხვა ტექსტებში შეგვიმჩნევია, სახელდობრ: -ან-ის პარალელურად იხმარება -ანქ.

მაგალითად:

შოტხო-ოჲშა-გენა თაყუნსა იჩხოენქ უქსანქ — ამის შემდეგ კი მიდიან თავისთან საჭმელად.

ულ ყან შუვე თაყუნსა ლენახ უჲყ გირბესანქ იჲფენენქ — მგელი და დათვი ყოველ დღე მიდიან ნიგვზის მოსაგროვებლად ზამთრისათვის.

იშუ თანესა ჩწლი ბიყსანქ — კაცი მიდის თევზის საჭერად.

თუ აქ არა გვაქვს შემთხვევითი კონტამინაცია და ინდივიდუალური ფაქტი, მაშინ -ან || -ანქ დაუკავშირდება განკუთვნიებით ბრუნვას (Causativus), რომელიც მოქმედი ბრუნვაა თანამედროვე უძურში და რომელიც გვაძლევს თავის თანდებულის სემანტიკას. აბსოლუტივი I იქნება შეკვეცილი მასდარის კაუზატივი ბრუნვა, რომელსაც ეკარგება უკანაენისმიერი ქ (რაც საზოგადოდ შესაძლებელია უძურში). გვექნებოდა:

სახელ. ცამფეს — წერა.

კაუზატ. ცამფეს-ანქ → ცამფესან — წერისათვის → წერად...

შდრ. სახელ. ადამარ.

კაუზატ. ადამარ-ენქ (← ადამარენკენა) — ადამიანისათვის...

ნიჯურში I აბსოლუტივი თავისებურებას არ გვაძლევს...

ბ. მეორე ფორმა, რომლის ძირითადი ფორმანტია ლიტერატურაში აღნიშნული -ამა სუფიქსი, დასტურდება სხვადასხვა სახით ჯერ თვით ვართაშნულში და შემდგომ ნიჯურშიც.

სახელდობრ, ვართაშნულში: -ამა || ამინ || -ტა-ამა → ტა-ამა || — ტა-მინ; ნიჯურში: -ამა || ამენ || ამენჯა... იწარმოება ეს ფორმა ზმნის მეორე ფუძიდან ჩვეულებრივ, ზოგჯერ კი ნამყოს მიმღეობიდან. ეს ვარიანტები დამახასიათებელია ცოცხალი მეტყველებისათვის. მნიშვნელობით იგი გადმოგვცემს ძირითადად ქართ. -მდე თანდებულის სემანტიკას, ზოგჯერ კი ვიდრე, მანამ კავშირის სემანტიკას. ვუწოდოთ მას აბსოლუტივი II. გვხვდება:

ვართაშნული:

მასდარი: ქარხ-ეს-უნ — ცხოვრება.

აბსოლუტივი II: ქარხ-ამა || ქარხ-ამინ — ცხოვრებამდე, ვიდრე ცხოვრობს...

ქარხი-ამა || ქარხი-ტა-ამა || ქარხი-ტამა || ქარხი-ტამინ.

მაგალითად:

მან ჯაფა-მან ზაფე ქაბაქამა ვაჲ ეკალ თე-მან-ბიყე. ლკ. 5, 5 — ჩვენ ვმუშაობდით გათენებამდე და ვერაფერი დავიჭირეთ.

შეათანენ აკესნედი შოტუ ბჷთუნ რლქინ ფასქაღლულა ფულ ყინქ-ტამა. ლკ. 4, 5 — სატანამ აჩვენა მას მთელი ქვეყნის მეუფება თვალის მიწვდომამდე.

თე შოტუ ნუტ აკალტუ ბიესუნა ხრისტოს ბიხოლო აქამა. ლკ. 2, 26 — რომ იგი ვერ იხილავს სიკვდილს (ე. ი. არ მოკვდება) ქრისტე ღმერთის ხილვამდე.

თაყუნდი შოტუ წი ისუს, ჭარიშტინენ ფიო შონო ბუქუნე ბაქამა. ლკ. 2, 21 — მისცეს მას სახელი იესო, ანგელოზისაგან ნათქვამი ჩასახვამდე (ვიდრე ის ჩასახებოდა).

ვაჲ ბანექი ბეფან განხოხ ტე ლენალ-ცირიკ იჩ აკედამა იბრაილა. ლკ. 1, 80 — და იყო უდაბნოში გამოჩენამდე (ვიდრე გამოუჩნდებოდა) ისრაელისათვის.

ტია ბაქა ზუ ვახ უკამა. მთ. 2, 13 — იქ იყავ ჩემ თქმამდე (ვიდრე მე შენ გეტყვი).

შოტოღონ სუნსუნახ ბესამა აშკარ-რე-ბაქე, თე შეტაჲ ბუტაჲ ბუქუნე ივეალ ელმუღოხო. მთ. 1, 18 — მათ ერთმანეთის შერთვამდე (ვიდრე შეერთეს) გამოიჩვენა, რომ მას მუცლად უღია წმინდა სულისაგან.

ტია ბანექი იროდ ბიამა. მთ. 2, 15 — იქ იყო იროდის სიკვდილამდე.

ეყყარა-თე თე-ნე-ფასბაქო გრგ ყან ოჩალ, თჷქს იოტა ე ხაზალ ნუტ ხარაბბაქალღე ზაკონახო ბუთუნ ნუტ თამბაქამა. მთ. 5, 18 — როგორც არ დაირღვევა ცა და მიწა, კანონის ერთი იოტი ან ხაზი არ დაირღვევა ყველფრის განსრულებამდე.

შელ-ლე ვენკენა, თე ვი ბათკანე სა ბარ ლაშაგუნ, ბჷთუნ ვი ლაშაგ ბაჭტამა გეენუნ არლო-ბოშ. მთ. 5, 29 — კარგრა შენთვის, რომ დაიღუპოს ერთი წილი სხეულისა შენი მთელი სხეულის ჩავარდნამდე გეჷენის ცეცხლში.

მეტლონ ქეყსაყუნ, კაწესაყუნ, ბოყუნხესა ვიჩი ელამა — ესენი (ამათ) ატყავებენ, სჭირან, ხარშავენ ძმის მოსვლამდე.

მე პაჲ ლარახ აყაზბო, უნ თაღამა ვი მალღუხ ყორმიშყუნბო — ამ ორ ვაჟს ვაყვზავნი, შენ წასვლამდე შენ საქონელს მოუღებდიან.

ბართანან ქალბაქსან პაღენტუნ საგალა ეხბამა. მთ. 13, 30 — დაეხე-ნით, გაიზარდნენ ორივე ერთად შკამდე.

დადალენ ბაღ-ქარან ელკამა ხიბ-ქარან ქულაყალღუ ზახო. მრკ. 14, 72
 მამლის ორჯერ ყივილამდე სამჯერ უარსყოფ მე (ხელს აიღებ ჩემზე)
 უნ თაცი, ბაპამინ ჰაზირბაქალღე — შენ წადი, მოსვლამდე გა-
 ამზადე.

სალი ბიბაბაქამინ უყუნქესა, ქეწყუნბესა — ერთ დღეს დაღამე-
 ბამდე ჰამენ, ქეიფობენ.

ყეარიტუ თაღამინ ზა თაღამინ, შონო შელ თე-ნე? — ვიდრე სხვას
 მისცემდე (მიცემამდე), მე მომცე, კარგი არაა?

უნ კალკამინ ზუ ჩხარუჯო — შენ დაძახებამდე მე გავათავებ.

ბეზ ვიჩი კადაბქი, ეღამინ უნ კუა არცა — ჩემი ძმის დაბრუნება-მო-
 სვლამდე შენ სახლში იჯექი.

მე ქანღზხ ცამკამინ ზუ გარზგ ბაზ ყეარი აშ — ამ წერილის დაწე-
 რამდე მე უნდა გავაკეთო სხვა საქმე.

ქარხიამა შჰპარზ ეღმუღოხო დურუსნებაქე — ქალაქს ცხოვრებამდე
 ჯანსაღად იყო (пока жил в городе, был здоровым).

თაციტამა ბეღ-ნე-თაასა — სანამ მიდის (სიარულამდე), წინ
 მიწივებს — чем дальше (идет), тем вперед идет.

აღლახ შელ უქესტიტაამა აეღლ შელ ბაქალღე — სანამ ბავშვს კარ-
 გად აქმევს (ქმევამდე), ბავშვი კარგად იქნება — ребенка сколько хорошо
 покормить, ребенок хорош (здоров) будет.

ქარხიამა || ქარხიტაამა კუა აშ შელტათაცე — пока он жил в доме,
 дела хорошо пошли для него — ვიდრე შინ ცხოვრობდა (ცხოვრებამდე),
 საქმე კარგად მიდიოდა.

მე აშლახ ჩხარკესტამინ შონო ბურენე — ამ საქმის გათავებამდე
 ის მოკვდა.

რაც შეეხება ამა ფორმანტის გენეზისს, საფიქრებელია, მართალია
 ა. შიფნერი, როდესაც იგი მას უკავშირებს „ოდენ“-ს სიტყვებში მემა —
 ამდენი, ტემა — იმდენი, ემა? — რამდენი?

ამ სიტყვებშიც უნდა გამოიყოფოდეს — ამა: ემა ← ე-ამა — რა —
 ოდენ... ტემა ← ტე-ამა — ეს-ოდენ... ოღონდ უნდა მოვიგონოთ, რომ იგივე
 -ამა თითქოს თანდებულადაც გვაქვს და მიახლოებებიტ გამოხატავს „მდე
 resp. ოდენ“-ს.

მაგალითად:

ჯაფაზაფი, აბუზბანე იჩ ბოღუხ საკოღკნიკუნ-ამა. მთ. 6, 27 — ცდილობს,
 ვადაამეტოს თავის სიმაღლეს ერთ წყრთამდე || ერთ წყრთა ოდენ.

II აბსოლუტივის ფორმაში, საფიქრებელია, სწორედ თანდებული უნდა
 გვიარაუდოთ პირველყოვლისა.

ამ ფორმანტის ვარიანტები კი მიღებული უნდა იყოს სხვადასხვა ვითა-
 რების მიხედვით. ამინ || ამენ — ეგების წარმოადგენენ ნათესაობითში მეორე-
 ულად გაფორმებულს ოდენობას (-ინ || -ენ ნათესაობითის ფორმანტია. შდრ.



ქართული მღე || მღ-ის...), ტა-ამა || -ტამა-ს -ტა || -ტ ელემენტი უნდა იქონიოს წარმოადგენდეს დეტერმინანტს, რომელიც ამ შემთხვევაში გამართლებულია, რადგანაც მიმღეობა გამოყენებულია სუბსტანტიურად¹.

სახელ. ქარხი-ო

ქარხი-ტა-ამა ← ქარხი-ტ-აჲ-ამა...

ნიჯურის თავისებური ფორმანტი-ამენჯა შედგება იმავე საერთო — აშინ → აშენ ფორმანტისაგან, რომელსაც ერთვის -ჯა ელემენტი. ეს -ჯა დადასტურებულია ნიჯურში რიცხვითსა და ზედსართავ სახელებშიც და თითქოს აღნიშნავს ცალ-ს. მოგვყავს ნიჯურისათვის საილუსტრაციო მასალა.

თოჯი, თატუნსტა დუქანჩინა კო ბაჩ მანეთ ბუჲ-ბაქამენ. (N) — გაყრდა, აძლევს მდღუქნეს ხუთასი მანეთის გასრულებამდე.

მოტინ სოლო კოწბამენ ზუ პოალო, ხიბო კოწგზბო (N) — მის მიერ ერთის მოლუნვამდე, მე ორს, სამს მოლუნვავ.

ბიჯაბაქამენ მოტოლონ ეზ-ტუმ-ბგსა (N) — დაღამებამდე ისინი ხნავენ.

ზჷპარჷ კოჯახუნ ქელამენჯა ბეჷინჷ იზ ტერაცუნანხუნ მილა სეჷჷანენ (N) — ზჷპარას სახლიდან გამოსვლამდე მღვდელი მისი დიაკვნით იქვე არის.

თჷჷანგჷ ჰჷყი, კრჷჷ ქელამენჯა ბეჷინჷ ტინესტა ძანსა განუხუნ (N) — თოფი აიღო, გარეთ გასვლამდე მღვდელი გარბის სახიფათო ადგილიდან.

ჷუ ბეზ განუხუნ ჰაჷჷამენჯა ჰარი, ბანეცი ბეზ ჯოლდამ ტაშდამირ (N) — ჩემი ადგილიდან ადგომამდე, შემოვიდა ჩემი ამხანაგი ტაშდამირი.

ხუჷარ მუაღეწე უსენენ ბაქამენჯა ჩურედალ გელენეჷ (N) — ქალიშვილის თერამეტი წლის გახდომამდე მსურველი ბევრია.

C. მესამე ფორმა — III აბსოლუტივი, რომლისათვის დასტურდება მხოლოდ ერთი აფიქსი -ახუნ || -ხუნ, მარტივია წარმოების მხრივ და გარკვეული სემანტიკის თვალსაზრისითაც. იწარმოება III აბსოლუტივი ზმნის დროკილოთა მეორე ჯგუფის ფუძიდან და გამოხატავს თანადროულობის სემანტიკას; უდრის ქართულს ნანათესაობითარ მიცემითს:

I მასდარი: იხტილჷთ-ბესუნ — საუბარი.

III აბსოლ.: იხტილჷთ-ბ-ახუნ — საუბრისას, საუბრის დროს.

აღსანიშნავია, რომ სუბლექტიურ ზმნებში გამოყენებულია მყოფადის ფუძე. საყურადღებოა აგრეთვე, რომ ქვემოთ მოხსენებული (გვ. 372) მიზეზის გამო ნიჯურში იგი არ გვხვდება.

მაგალითად:

ნიკო აჩიკახუნ ნიკონახ ჰჷგი თადაჷყუნ, ააღულო ბეზ ჩუქი ნიკონუნ განუ ბონესა. R 7₁₀ — ბურთის თამაშისას თუ ბურთს გვიან მისცემენ, ბავშვებს თავს აგლეჯს, ბურთის მაგივრად ისვრის.

¹ ჩვენი: ჩვენებითი ნაცვალსახელი უღურ ენაში: საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე. ტ. V, № 8 (1944), გვ. 842.

ისა ზუ ფურკალზე, ჰარ სასბახუნ სა ფუთ ხე, სა ფუთ ეყ ბეზ კომო
 ნ-ზოსო. R 15₁₆ — ახლა შე გავფორინდები, ყოველი და ძახებისას ერთ ფუთ
 წყალს, ერთ ფუთ ხორცს ჩემ პირში ჩამიდებ (ჩამიდებ).

ბაპალ განუ ახრუნ ფუთტუნ ენაჲ ბოსახუნ ეყ თარახანე. R 15₁₇ —
 მისალწვე ადგილას უკანასკნელი ფუთის ჩაგ დებისას ხორცი გადავარდა
 (ასცდა).

შე სანდულუნ ტოლოახო ქებაქახუნ თაცი სანდულუნ-ბოშ. R 18₁₄ —
 ამ კილობნის გვერდით გავლისას შევიდა კილობანში.

გალილეუნ დარიანახო იშა^{III} ქებაქახუნ შეტუ ატუქი პაღ ვიჩენ.
 მთ. 4, 18 — გალილეის ზღვის ახლოს გავლისას მან დაინახა ორი ძმა.

კუა გენა ბაჲლახუნ ცუნარი უფანან შოტუხ. მთ. 10, 12 — ხოლო სახლში
 შესვლისას სალამი უთხარით მას.

აჭრეკახუნ მა უფანან აბუზუნ ათურუხ. მთ. 6, 7 — ლოცვისას ნუ
 იტყვიო ზედმეტ სიტყვებს.

ღარ თანეცი, შახსნამი კუა ბაპახუნ დრვენ უკალო-ქენა კალლეფი.
 Δ Γρ, 94₂₅ — ვაჟი წავიდა, შახსენემის სახლთან მიღწევისას დევის ნათქვა-
 მისებრ დაუძახა.

ზახ ბეზ ბაბან უკახო ქებაქესტახუნ კიწყე ვიჩენ ულენ თანეშა —
 ჩემი მამაჩემის მიერ მდინარიდან გამოტანისას პატარა ძმა მგელს მიაქვს.

ნანა იტუბაქსა, მეტლონ იხტილჷთბახუნ იჩენ ოანენება — დედას ეს-
 მის, მათი საუბრისას თვითონ ტირის.

შონო ელახუნ მე აშლახ ჩხარხუკსაჲ — მისი მოსვლისას ამ საქმეს
 ვათავებდი.

რას უნდა წარმოადგენდეს -ახუნ || -ხუნ აფიქსი? ა. დირი ვარაუ-
 დობდა, რომ იგი ბრუნვის ნიშნიდან უნდა მომდინარეობდესო¹ და ამ ბრუნვას
 პოულობდა სიტყვაში ღენახუნ — დლისით. ა. დირის ვარაუდი ამჟამად
 შეიძლება დამტკიცებულად მივიჩნიოთ. ნიჯურში შესატყვისი ბრუნვა მოქმედია
 და ამ ფორმანტის ფუნქციაც ნათელი. სახელდობრ, -ხუნ აწარმოებს ნიჯურში
 ორი ბრუნვის ფორმას: დაშორებითისა და თანაობითის ფორმას, რომელსაც
 ვართაშნულში შეესატყვისება ორი ცალკეული ფორმა:


ნიჯური:

ვართაშნული:

სახელ.	ღარ	ღარ — ვაჟი, ძე
დაშორებ.	ღარ-ახუნ	ღარ-ახო — ვაჟისაგან
თანაობ.	ღარ-ახუნ	ღარ-ახოლ — ვაჟთან (ერთად).

თანაობითის სემანტიკა სრულად ემთხვევა III აბსოლუტივის სემანტიკას.
 ამდენად მათ შორის უნდა ვივარაუდოთ გენეტური ურთიერთობაც. საყურად-

¹ ა. დირი, Грамм., გვ. 74.



ღებოა, რომ ნიჯური თანაობითის ფორმა ვართაშნულში არა გვაქვს, ხოლო III აბსოლუტივის ფორმა ნიჯურში არ დასტურდება, მის ფუნქციას უსრულყოფილობს IV აბსოლუტივი.

მ. მეოთხე ფორმა — IV აბსოლუტივი — თავისი სემანტიკით შეესატყვი-
სება III აბსოლუტივის: ესეც გამოხატავს თანადროულობას მოქმედებისას. სხვა-
ობა თითქოს იმაში მდგომარეობს, რომ III აბსოლუტივი ჰგულისხმობს აწ-
მყოს, ხოლო IV აბსოლუტივი ნამყოს. IV აბსოლუტივის მაწარმოებელია
-ატან || -ტან სუფიქსი. იწარმოება ორგვარად: დრო-კილოთა მეორე ფუძიდან
ანდა მიმღეობის ფორმიდან. გვაქვს:

I მასდარი: კადაბაქსუნ — დაბრუნება.

IV აბსოლუტივი: კადაბაქ-ა-ტან — დაბრუნებისას.

კადაბაქ-ი-ტან — დაბრუნების დროს.

აღსანიშნავია, რომ ეს ფორმები უფრო გავრცელებულია ნიჯურში, ვიდრე
გართაშნულში.

მაგალითად:

ვართაშნულში:

რუსტამენ ეხნე, თე ეყ ქამბაქიტან იჩ ბუდდუხო ბონეტე. R 167 —
რუსტამი ეუბნებზ, რომ ხორცის დაკლებისას თავისი ბარძაყიდან მოიჭრა.
ბიასუნ გერგეცა თალატან ვი ვიჩიმუდოხ ვახოლ თაშა. შფნ. § 192 —
სალამოს საყდარში წასვლისას შენი ძმები შენთან წაიყვანე.

თალატან სა აქა ვარ ხაბ-ნე-ლამანდი ზალ. შფნ. § 192 — გავლი-
სას დიდი ცოფიანი ძალი მეცა.

შოტუხ კადატან მან ბუთუნ მუაკანბაქი — მისი დაბრუნებისას
ჩვენ ყველამ გავიხარეთ.

ბაბახ აკიტან ზუ კუა-ზუ — მამის დანახვისას მე შინ ვიყავ.

შდრ. ბაბახ აკახუნ ზუ ტისტესა შეტა-ტოალოალ — მამის დანახვი-
სას მე გავრბივარ მასთან.

ჰარაჰ-ბაქიტან ბუთუნ კუა-ყუნი — დაძახებისას ყველა შინ იყო.

შდრ. ჰარაჰბაქახუნ ქექენან ტოშ — დაძახებისას გამოდით გარეთ.

ნიჯური:

ბეაინშინ ჩუჭუხ ბიჰატან გარჰა ენე ჩუჭუხ ნუ ჰაყანე (N) — მღვდლის
ცოლის სიკვდილისას კვლავ ცოლი არ უნდა მიიყვანოს (მღვდელმა).

შოტაჰ აყეა უქატან უყენ იზ ყოყე ტაყესა (N) — მისი ღორცის ქა-
მისას ძვალი ყელში გაეჩხირა.

ვი ბავაჰაქ გარანშინ ეე ეჩატან ბონესტა, იზ ჭილ ხოხებაქსა (N) —
შენი მამისათვის საფლავის ქვის მოტანისას დაეცა, ბარძაყი დაემსხვრა.

თავაკ-ყა-ზ-ბესა ვახ, თალატან ზა-ალ თაშშა (N) — გემუდარები შენ,
წასვლისას მეც წამიყვანე.

სა დოყაზახუნ ქევაქატან ბეაზლი სა მჰილნე ეშყარ-ჩულო დავანებუ-
(N) — ერთ ქიშკართან გავლისას ვხედავ, ერთ ეზოში ქმარი-ცოლი ჩხუბობენ.

ბეზ ბავან-ალ იზ გორდინა დორჰანა ჭარკატან დორჰანგ ხე ბიადენსუნ
ჯოგებაქსა (N) — მაჰაჩემიც თავისი ხმლის ზღვარზე გაქნევისს
წყალს შუაზე ჰყოფს.

საუსენინ ბაქატან დახ-ალ ყუჭკალე (N) — ერთი წლის გახდომისან
ჩვენც გადავყლაპავს.

ფის აოლდაშინ ჩომოლ თალატან — ჩომო კაფეი, კომა ბალატან —
შულა კოწბი, ოყა-ნე-ბეალო. (N) — ცუდი ამხანაგის კარზე მისვლისას,
კარს აღებს, შინ შესვლისას თავს ხრის, ქვემოთ იყურება.

ა. შიფენერმა — ტან ფორმანტი მიიჩნია თურქულიდან ნასესხებად¹. ეს
ახრი განიმეორა ა. დირმაც². დასაბუთება ამ მოსაზრებისა არც ერთს არ
შოუცია. თანამედროვე თურქულში მსგავსი ფორმანტი მსგავსი ფუნქციით არ
დასტურდება³ და ამდენად მისი ნასესხობა საეჭვოა. არც თვითონ უღურის
წინადადებზე ჩანს მისი გენეზისი. საკითხი ისმის ოლონდ: — ტან ხომ არ უკავშირ-
დება I აბსოლუტივის -ან-ს სუფიქსს? ამის შესახებ სხვაგან.

ე. სხვა ნაზმნარი სახელის: მასდარისა და მიმლეობის მსგავსად — აბსოლუ-
ტივიც მართავს ლოგიკურ სუბიექტსა და ობიექტს იმავე ბრუნვებში, რომლებ-
საც მოითხოვს ზმნის პირიელი ფორმა.

მაგალითად:

ზახ (მიც. II) ბეზ ბაბან (ერგატ.) უკახო ქებაქესტახუნ კიწკე ვი-
ჩეხ ულენ თანეშუა — მე ჩემმა მამამ მდინარიდან გამოყვანისას ჰატარა
ჩქა მგელს მიაქვს.

ამ ფრაზაში „ზახ“ მიცემით II-შია, როგორც პირდაპირი ობიექტი,
ხოლო „ბაბან“ ერგატივში, როგორც სუბიექტი გარდამავალ ზნასთან. პირი-
ელი ფორმით რომ გამოგვეხატა, სათანადო ნაწილი იქნებოდა ამგვარად:

ზახ ბეზ ბაბან უკახო ქებაქესნედი — მე ჩემმა მამამ მდინარიდან
გამომიყვანა.

როდესაც კონსტრუქცია იცვლება და პირიელი „ქებაქესნედი“-ს
მაგვრად გვაქვს აბსოლუტივი „ქებაქესტახუნ“ — გამოყვანისას, სუბიექტი
და ობიექტი ინარჩუნებს იმ ბრუნვებს, რომლებიც გვაქვს პირიელ ფორ-
მასთან, ქართულში ასეთ შემთხვევაში ნათესაობითი ბრუნვაა (genetivus
subiectivus და genetivus obiectivus), ანდა თანდებულობის ბრუნვა.


სახელს მართავს ყველა აბსოლუტივი, რის საილუსტრაციოდ მოგვყავს
მაგალითები (ზოგ შემთხვევაში მხოლოდ ერთი წვერი ჩანს და, ცხადია, მარ-
თვაც ამდენად აისახება):

ა. მა ჭიქირბანან, თე ზუ არეზ ფასხესან ზაკონდოხ (მიც. 11),
ეფეხამბარლოხ. მთ. 5, 17 — ნუ იფიქრებთ, რომ მე მოველ დარღვევად
(დასარღვევად) კანონთა, ანდა მოციქულთა.

¹ ა. შიფენერი, Versuch, § 121.

² ა. დირი, Грамм., გვ.

³ ვემყარებით დოც. ს. ჯიქიას ჩვენებას.



ვაა არეიან შოტო (მიც. I). ბულ კოწბესან. მთ. 2, 2 — და შეიქმნა მას თაყვანი ვსტეთ (თაყვანის საცემად).

b. ტია ბაქა ზუ ვახ (მიც. II) უკამა. მთ. 2, 13 — აქ იყავ, ვიდრე მე შინ გეტყვი (თქმამდე).

შოტლონ (ერგატ.) სუნსუნახ (მიც. II) ბესამა აშკარ-რებაქე, თუ შეტაა ბუტაა ბუქუნე ივეალ ელმულობ. მთ. 1, 18 — მათ ერთმანეთი ვიდრე შეირთეს (შერთვამდე), გამოირკვა, რომ მას მუცლად ჰყავს წმინდა სულსიგან.

მე აშლახ (მიც. II) ჩხარკესტამინ შონო პურენე — ამ საქმის გათავებამდე ის მოკვდა.

c. ნანა იტუბაქსა, შეტლონ (ერგატ.) იხტილვთ ბახუნ, იჩნობნენება — დედას ესმის, მათი საუბრისას თვითონ ტირის.

შონო (სახელ.) ელახუნ მე აშლახ ჩხარზუქვა — მისი მოსვლისას ამ საქმეს ვათავებდი.

d. ბაბახ (მიც. II) აკიტან ზუ კუა-ზუ — მამის დანახვისას მე შინ ვიყავ.

შდო. ბაბახ (მიც. II) აკახუნ ზუ ტისტესა შეტა-ტობლობლ — მამის დანახვისას მე გავრბივამ მასთან.

ბეზ ბავახ-ალ იზ გორდინა (მიც. I) დორაანბ ჭარკატან დორაანგნ. ხე ბიბაგხუნ ჯრეგებაქსა (N) — მამაჩემიც თავისი ხმლის ზღვაზე გაქნევისას ზღვის წყალს შუაზე ჰყოფს.

ასეთია უღურში ამ ფორმათა წარმოება, რომლებსაც სხვა ენებში ვარკვეულ შემთხვევებში შეესატყვისება აბსოლუტივის ფორმები. ცალკე საკვლევია, როგორი უნდა იყოს ამ ფორმათა ზუსტი კვალიფიკაცია თვით უღური ენის თვალსაზრისით: რამდენად შეიძლება მათი მიჩნევა აბსოლუტივის ფორმებად? ცალკე საკითხია აგრეთვე ამ ფორმათა მიმართება მიმლეობის ფორმებთან. ამ საკითხებს სხვაგან დავუბრუნდებით.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კავკასიურ ენათა კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1947. V. 10).

Вл. Панчвидзе

Образование и функции форм абсолютива в удинском языке

Резюме

На основании данных диалектов удинского языка выявлены 4 формы абсолютива:

- I. С суффиксом -ან: ცამუე'ან — чтобы написать
- II. С суффиксамм: -ამა || -ამინ
 -ტამა || -ტამინ: ცამტამა — до написания
- III. С суффиксом -ხუნ: ცამტახუნ — при написании
- IV. С суффиксом -ტან: კამბაქატან — при возвращении,
 после возвращения.

Высказывается предположение, что эти суффиксы генетически восходят к падежным формантам.

Заслуживает особого внимания то, что формы абсолютива управляют именами (суб'ектом и об'ектом) в тех падежах, которые свойственны им при личных формах глагола.

Точная квалификация этих форм требует дополнительных разысканий.

შემოკლებანი:

შუნ. = ა. შიუნერი, Versuch = A. Schiefner, Versuch über die Sprache der Uden. St.-Petersbourg 1863.

Д Гр = ა. დირი, Грамм. = A. Дирр, Грамматика удинского языка. Тбилиси 1903.

R = უღური ზღაპარი «რუსტამი»: Сб. МПОМПК, Вып. VI, 1888.

მთ, მრკ, ლკ, იოპ = «უღური ოთხთავის» თავები: Сб. МПОМПК, Вып. XXX, 1902.

«ოთხთავისთვის» პირველი ციფრი აღნიშნავს თავს, მეორე — მუხლს; სხვა შემთხვევაში შესაბამისად — გვერდს და სტრიქონს. დანარჩენი მასალა ჩვენი ჩანაწერებიდანაა: N — უღურის ნიჯურს, ხოლო მიუთითებელი — ვართაშნულს.

თ. შაუხჩიშვილი

ბერსუმა პიტიახუს წარწერისათვის

არმაზში წარმოებულ არქეოლოგიური გათხრების დროს სხვა ძეგლთა შორის 1940 წლის 23 ნოემბერს აღმოჩენილ იქნა ვერცხლის თასი, რომლის ქუსლის გარშემოც არის ბერძნული წარწერა, ამოჭრილი პუნქტირებით. წარწერა თავის დროზე დამუშავებული და გამოცემული იყო ს. ყაუხჩიშვილის მიერ¹, ხოლო თვით ნივთი ამჟამად ინახება საქართველოს მუზეუმში. წარწერა ასეთია: *Εγώ ηασιλευς Φλ' Δαδης; εχαρισαμην Βερσσυμα πατιαζη*, ორთოგრაფიული ნიშნების მიხედვით წარწერა II—III საუკუნისა უნდა იყოს, ხოლო ქართულად იგი ასე ითარგმნება: „მე, მეფე ფლ(ავიოს) დადესმა, ვაჩუქე [ეს თასი] ბერსუმა პიტიახუს“.

სახელმა „ბერსუმამ“ მაშინვე მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღება, რადგან ასეთი სახელის მატარებელი პირი ქართულ სინამდვილეში სხვა წყაროებით მანამდე ცნობილი არ ყოფილა. იგივე სახელი შემხვდა უკანასკნელი წლების ერთ ჟურნალში, სახელდობრ: *Byzantion 1942—43 (1944), v. XVI, fasc. I* არის წერილი Ernest Honigmann-ისა (pp 20—80) სათაურით: „The Original Lists of the members of the Council of Nicaea, the Robber-Synod and the Council of Chalcedon...“ ამ წერილის იმ თავში, რომელიც იწოდება „the original List of the Robber-Synod of Ephesos 449 a. D“ (p. 37) № 146-ის ქვეშ მოხსენებულია: *Βερσσυμαξ; παρσφύτσειος και ἀρχιμυαυθρίτου* (P¹³¹ ΦCXXXIII, σ 113). თუ სადაური არქიმანდრიტია ეს ბარსუმა, ამის შესახებ აქ არაფერი სწერია; „ბერსუმა“ და „ბარსუმა“ ერთი და იგივე სახელი უნდა იყოს.

სათანადო ლიტერატურის შემოწმების შემდეგ დადასტურდა, რომ ასეთი სახელი (ბარსუმა || ბერსუმა) ჯერჯერობით სხვაგან არსად გვხვდება, მაგრამ არის ზოგი მისი მსგავსი სახელი, მაგალითად:

1. *Βαρσαμύς* (აქ. მართეს) — ბერძენთა მთავარი (ერისთავი — *ἀρχαυς*), რომელიც 626 წელს იბრძოდა ირაკლი კეისრის წინააღმდეგ ნინევისთან².

¹ ს. ყაუხჩიშვილი, არმაზში აღმოჩენილი ბერძნული წარწერები: საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემიის შრომებე, ტ. II, № 1—2, 1941, გვ. 83. 169—176.

² Theophanes, *Chronographia*, ed. de Boor 319. 14—19, ს. ყაუხჩიშვილი, გეოგრაფია IV (1941), გვ. 102—104; F. Justi, *Iranisches Naimenbuch*, გვ. 64.



2. Βερσαβιδης (v. l. Βερσαβιδης) nobilis Persa (Procopii de Bello gothico IV, 15: ἦν δὲ τις ἐν Πέρσαις Βερσαβιδης θύομα λόγιμος τῆς βασιλευσῆος τῆς καὶ Χοσρόης βασιλῆϊ ἐς τὰ μέγιστα φίλος).

აქვე გვავიწყდება ათონის მონასტრის აღაპებში მოხსენებული „იოანე ბანცუა“.

3. ბანცუა: „დეკნებრსა: თ, ვითა ზემო დავწესებია იე ბანცუა მახათხს, ორი ლიტრაჲ ზეთი მიეცემოდის უფროასითა, ვინცა მას დღესა ეამსა წირვიდეს მისთვის, ვინცალა დეკანოზი იყოს, ტრაპეზარსა უთხოვდეს, ხუთთა მამასახლისთა ქუეშე მორჩილი ყოფილა და დიად მსახურეული: ხუთავემცა მათ მამათა მადლითა კანონსამცა ქუცშე არს, ვინცა ესე ჩუენი ვაგებული შეცვალოს და აწყინოს რაასათხსცა მიზეზისათხს; ვინცა კარგად მისცვდდეს (? მისცემდეს თუ მისცვიდდეს), ღმერთმან აკურთხოს“ (A 558, გვ. 404 და „ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი აღაპებით“, თბილისი, 1901 წ. გვ. 257).

ჩანს, ათონის მონასტერში მოღვაწე ამ პირს იოვანე ბანცუა რქმევია¹.

ყველა ეს სახელი, აღმოსავლეთის სინამდვილიდან არის:

ბერსუმა — ქართველი პიტიაზნია; ბარსუმა — არქიმანდრიტი, გაურკვეველი წარმოშობისაა, მაგრამ ეფესოს ყრილობაზე მოცილი ქრისტიანული სამყაროდან იყვნენ წარმომადგენლები, ამდენად საფიქრებელია მისი აღმოსავლური წარმოშობა; ბარსამუსე — იბერიელი წარჩინებულია; ბერსაბუ — სპარსელი დიდებულია; იოვანე ბანცუა ათონის ივერიის მონასტრის მოღვაწეა (შესაძლებელია ქართველი).

ბერსუმა-ბარსუმას ეტიმოლოგია ჯერ ჩემთვის უცნობია. შესაძლებელია მისი პირველი ელემენტი იყოს ხარ, რაც ებრაულად ნიშნავს „შვილს“, „ძეს“ (ისევე, როგორც ნავალითად სახელში „ბარნაბა“), ხოლო მეორე ელემენტი (— სუმა) ამ სახით ჯერ სარკვევია.

სტალიანის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კლასიკური ფილოლოგიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1947. IV. 10).

¹ გვხვდება მსგავსი დაწვრილობის გეოგრაფიული სახელებიც: Βαρσοβια — ქალაქი პოდგორციაში, Βερσιμα — ქალაქი მესოპოტამიაში ეფრატზე (იხ. Pape, Wörterbuch der griechischen Eigennamen III, S. S. 199, 207) და სხვ.

Т. С. Каухчишвили

По поводу надписи питиахша Берсума

Резюме

Автор приводит материалы к толкованию имени „Берсума“, встречающегося в армазской надписи: Εγω βασιλευς Φλ' Δαδης εχαρισαμην Βερσουμα πιτιαξη (см. статью С. Каухчишвили в „Сообщениях“ АН ГССР за 1941, стр. 169—176):

1. Βαρσουμας — архимандрит, участник эфесского собора 449 г. (Byzantion, v. XVI, p. 37).

2. Βαρσαμοισης (= μούσης) — архонт иверов, взятый в плен Ираклием в 626 году в битве при Ниневии (Theophanes, Chron. ed. de Boog, p. 319).

3. Βερσαβους — знатный перс (Procorius, BG IV, 15).

4. Иоани Банцуа — упоминаемый в Синодике иверского монастыря на Афоне (αποκοινος κρηβυλλο, Тф. 1901, стр. 257).

5. Ряд названий местностей на Востоке — Βαρσουβαι, Βερσυμα и т. д.

На основании этого материала автор приходит к заключению, что Βερσουμα — имя восточного происхождения и, поскольку его носителями являлись и иверийские архонты, то армазский питиахш „Берсума“, надо полагать, — ивер; да и титул его πιτιαξης соответствует грузинскому ერისთავი и позднему αρχων.

არს. ჩემობაზე

აქუს - ფუძის უცნობი ვარიანტებისათვის ძველ ქართულში¹

აქუს ზმნის უღვლილებისა ფუძე ძველ ქართულში რყევას განიცდის -
დასტურდება ფუძის ვარიანტები:

- აქუ -, - აქუნ -, - ქონ -. ასე მაგალითად:

- აქუ - : აქუ - ს მას იგი
გ - აქუ - ს შენ იგი
მ - აქუ - ს მე იგი || ჩუენ იგი
გუ - აქუ - ს ჩუენ იგი

- აქუნ - : აქუნ - დ - ა მას იგი
გ - აქუნ - დ - ა შენ იგი
მ - აქუნ - დ - ა მე იგი || ჩუენ იგი
გუ - აქუნ - დ - ა ჩუენ იგი

ასევე: აქუნ - დ - ე - ს მას იგი
გ - აქუნ - დ - ე - ს შენ იგი...


- ქონ : ჰ - ქონ - ან მას იგინი
გ - ქონ - ან შენ იგინი
მ - ქონ - ან მე იგინი || ჩუენ იგინი
გუ - ქონ - ან ჩუენ იგინი.

ნამყო უსრ. : ჰ - ქონ - დ - ე - ს მას იგინი
გ - ქონ - დ - ე - ს შენ იგინი...

რა იწვევს ფუძეთა სხვაობას? რა ვარიანტია ამოსავალი?
როგორია ვარიანტთა ისტორიული ურთიერთობა?

საგანგებოდ ეს საკითხები სპეციალურ ლიტერატურაში განხილული არ
ყოფილა. გაკვირვებულნი ვართ აქუს - ზმნის უღვლილების თავისებურებებს შეხებიან
ნ. მარი, აკ. შანიძე, გ. დეტერსი.

¹ ამოღებულია მოხსენებიდან, რომელიც წაკითხულ იქნა ვენის ინსტიტუტის პირველ
სესიაზე 28. V. 1944.



ნ. მარისტვის - ქენ - სამთანხმოვნიანი ძირია; ქენ-ძირის გამარტრებული სახეობაა ქე...¹

აქ. შანიძე ქონ - ვარიანტს ქუან-ისაგან მიღებულად თვლის და - ან სუფიქსად მიაჩნია: ჰქონან ← ჰ-ქუ-ან-ან...²

გ. დეეტერსი აქუს და ჰქონან-ის ურთიერთობას ფონეტიკურ ნიადაგზე ხსნის: ძირეული ხმოვანი სუსტდება საქცევო ხმოვნის გამოვლენისასო: მქონან — მაქუს. ამისდა კვალად ამოსავალი ქონ - ჩანს³.

აქუს — ზმნის ფუძეთა ვარიანტების ისტორიულ ურთიერთობას ცხადსა ხდის ერთი ძველი ხელნაწერის ჩვენება, სახელდობრ, აქუს - ზმნის დღემდის უცნობი ფორმები, რომლებიც ამ ხელნაწერს დაუცავს.

ესაა დეფექტური ოთხთავი, ასომთავრული დამწერლობისა; მიჩნეულია X საუკუნისად (უნდა იყოს ძველი დედნიდან გადაწერილი). ინახება საქართველოს სსრ ცენტრალურ საარქივო ფონდის ხელნაწერთ-საცავში, № 107. დაბრუნებულია ლენინგრადიდან სიძველეთა რეევაკუაციის დროს; აქვს მარი ბროსეს მინაწერი.

ოთხთავში დაცულია ლუკა 8₄₈-დან და იოანე ბოლომდის; სულ 192 ფურცელი. მ. ბროსეს მინაწერიდან ყდაზე ირკვევა, რომ იმ ხანად ხელნაწერს კლებია მათე მთლიანად და მარკოზის პირველი ოთხი თავი. მეორე მინაწერი სხვა ხელითაა შესრულებული, ფანქრით. მაშინ ხელნაწერი იმ სახითვე ყოფილა, რაც მას ამჟამად აქვს.

ხსენებულ ხელნაწერში მოგვეპოვება ძველი ქართულიდან ცნობილი ჩვეულებრივი ვარიანტები: აქუ-, აქუნ-, -ქონ; გარდა ამისა: -აქვ-, თუ სხვაობა გრაფიკული არაა: აქვ- = აქუ და აქ-.

... ჰასაკი აქუს, თავისა თვისისათჳს იტყოდენ ... 139 v ინ 9₂₁⁴

... ჰასაკი აქუს, მას ჰკითხეთ ... 139 v ინ 9₂₃

... ყლი რაოდენი აქუს მამასა ჩემი არს ... 168 v ინ 16₁₅

... რლსა აქუს ხუთი პური ქრთილისაჲ ... 120 v ინ 6,

... წელი მრავალი აქუს უძრულებასა (!) შნა ... 115 r ინ 5,


... მპარავი იყო და გუადრუცი იგი აქუნ მას და შთასადებელი მას ჰკიდენ ... 151 v ინ 12₆.

¹ იხ. Н. Марр, Грамматика древне-грузин. литерат. языка — Ленинград, 1925 წ. §§ 214, 216; იხ. აგრეთვე: Н. Марр et M. Brière, La langue géorgienne, Paris, 1931, § 147, სადაც აქუს — აქუნს და ქუნ განმარტებულია, როგორც „ხელი“.

² ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, თბილისი, 1920, § 34, გვ. 72, შენიშვნა 2; აგრეთვე „ქართული გრამატიკა“, I, მორფოლოგია (1930), § 171₆, გვ. 180.

³ C. Deeters, Das kharthwelische Verbum, Leipzig, 1930, § 203, გვ. 117.

⁴ პირველი ციფრი ხელნაწერის ფურცელზე მიუთითებს; მახარობელთა შემდეგ ნაჩვენებია თავისა და მუხლის სათვალავი.



ჰკიდავენ ზმნის -5 გვაფიქრებინებს, რომ ამავე ფრაზის აქუნ-ში ნ ძველი
 S₃-ია და ს-ს ადგილი უპყრია.

- ... სთქუთ ვ'დ წუშაჲ მოაქუს და არს ეგრეთ ... 32 v ლკ 12₅₄
- ... რ სიყუარული ღ'ა არა გაქუს ... 119 r ინ 5₄₂
- ... და სიტყუაჲ მისი არა გაქუს თანადადგრომილ 118 v ინ 5₃₈
- ... ვ'დ ცხორებაჲ გაქუს საუკუნე ... 119 r ინ. 5₃₉
- ... გაქუს რაჲ აქა ჭამადი ... 95 r ლკ 24₄₁ •
- შდრ.: ნურაჲ გაქუნ გზასა ზა ... 2 v ლკ 8₄₉—9
- ... ფ'დ მაქუს და თქ'ნ (!) სიტყუად ... 168 v ინ 16₁₂
- ... ცოდვამცა არა აქუნდა ... 166 v ინ 15₂₂
- ... მორაჲ აქუნდა მეუფებაჲ თვისი ... 64 v ლკ 19₁₅
- ... ვ'ა ჩუეულებაჲ აქუნდა ... 82 r ლკ 22₃₉
- ... სიმონ პეტრეს აქუნდა მახუილი ... 174 v ინ 18₁₀
- ... ცოდვამცა არა გაქუნდა ... 141 r ინ 9₄₁
- ... ვეცხლი შენი რ'ლი მაქუნდა დაკრძალული სუდარსა ... 65 r ლკ 19₂₀
- ... აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ ... 123 v ინ 6₄₀ (ეგვევ 125 r)
- ... ხ' მე მოვედ რ'ა ცხორებაჲ აქუნდეს და უმეტესად აქუნდეს ...
 142 r ინ 10₁₀
- ... რ'ა აქუნდეს მათ სიხარული 171 r ინ 17₁₃
- ... აწ რ'ლსა აქუნდეს საქუთუთე აღიდენ ... 81 v ლკ 22₃₅
- ... რ'ა ცხორებაჲ გაქუნდეს ... 119 r ინ 5₄₀
- ... ჰქონან მუნ მოსე და წ'ტყლნი ისმინედ მათნი 54 r ლკ 16₂₉
- ... რ'ლსა ჰქონდენ მცნებანი ჩემნი დაიმა[რ]ხნეს ივინი ... 162 r ინ 14₂₁
- საკმაოდ ხშირად წერია: აქვს, გაქვს, მაქვს ... აქვნდა ... აქვნ-

დეს...

- ... ხ' აწ მიზეზი არა აქვს ცოდვათა მათათვის 166 v ინ 15₂₂
- ... უფროჲსი სიყუარული არა აქვს ამისსა ... 165 v ინ 15₁₃
- ... არა გაქვს კელმწიფებაჲ ... 179 v — 180 r ინ 19₁₁
- ... სოფელსა ამას კირი გაქვს ... 171 r ინ 16₃₃
- ... ვიდოდეთ ვ'ე ნათელი გაქვს ... 154 v ინ 12₃₅
- ... არა გაქვს ნაწილი ჩემიანა ... 157 r ინ 13₃
- ... მე ჭამადი მაქვს ჭამად რ'ი თქ'ნ არა იცით ... 112 r ინ 4₂₂

- ... ჩნ შჯული გუაქვს ... 179 v ინ 19₁
 ... ნუ წარგუაქვნი ბალატი ... 13 v ლკ 10₄
 ... აქვნი დეს ნათელი ცხორებისა ... 132 r-v ინ 8₁₂
 ... ცოდვამცა არა აქვნი და ... 166 v
 ... ოთხი დღე აქვნი და საფლავსა შნა ... 146 v ინ 11₁₇.

აქვს, გაქვს, მაქვს, ერთი შეხედვით, მთის კილოებიდან ცნობილ ფორმებს ემთხვევა: აქვის¹, გაქვის, მაქვის... მაგრამ აქ უმარცვლო უ-ს უნდა გადმოგვეცემდეს და არა ჭ-ი კომპლექსს: ამავე ძეგლში გვაქვს ისეთი მაგალითი, როგორცაა ჯუარ-ცმად, სადაც კ არ შეიძლება უი-ს გადმოსაცემად იყოს გამოყენებული.

უმარცვლო უ არა ჩანს ორიოდ შემთხვევაში:

- ... და მიაქნიდა (= მიაქუნდა) შემდგომად იჯსა ... 88 r ლკ 23₂₆
 ... და გამოაქნიდა (= გამოაქუნდა) რაჲ იგი ... 91 r ლკ 24₁.

ძველი ქართულის სხვა ძეგლებში ასეთი გამარტივებული სახეობა არა ჩანს. მაგრამ განსაკუთრებით საგულისხმოა შემდგომი ორი უცნობი ვარიანტი: აქუა- და აქუან-.

აქუა-:

- ... უკუეთუ აქუას რა კმა ეყოს აღსრულებადმდე. ხელნაწ. № 107, 43 v ლკ 14₂₈.

შდრ. ჰადიშ.: უკუეთუ აქუნს ... რა კმა ეყოს მას ვე აღსრულებამდე.

- ... ვდ ძნად შევიდენ სასუფეველსა ღთისასა რლთა აქუას საფასე ... იქვე, 61 r ლკ 18₂₄.

შდრ. ჰადიშ.: ძნად შევიდეს სასუფეველსა ღრისასა რლსა აქუნდეს საფასე.

- ... და რლთა კელმწიფებაჲ აქუას მათ ზა ქველის მოქმედ ჰრქვნი ... იქვე, 80 r ლკ 22₂₅.

შდრ. ჰადიშ.: და რლთა კელმწიფებაჲ აქუნს ქველის მოქმედ ჰრქუან.

- ... მელთა კურელი უჩს და მფრინველთა ცისათა საყოფელი: ხ ძესა კაცი-სასა არა აქუას სადა მიიდრიკოს თავი ... იქვე, 12 r ლკ 9₃₈.

შდრ. ჰადიშ.: მელთა კურელი უჩს და ფრინველთა ცისათა საყუდელი ხ ძესა კაცისასა არა უჩს სადა თავი მიიდრიკოს...

- ... რნ შეურაცხმყოს მე და არა შეიწყნარნეს სიტყუანი ჩემნი ჩემნი (!) აქუას მსაჯული თვისი ... იქვე, 155 v ინ 12₄₈.

¹ „იარად არხთიონს... სრუ მუდამ წელზე აქვის“: წელიწდეული, 124₂₀.

პადიშ.: რ^ნ შეურაცხმყოს მე და არა შეიწყნარნეს სიტყუანი ჩემნი
 არს რ^ნ საჯოს იგი...

... უკუეთუ გუამი შენი ყ^{ლი} ნათელ არს და არა რაჲ აქუას ადგილი
 რაჲმე ბნელისაჲ ... იქვე, 25 რ ლკ 11₃₆.

პადიშ.: უკუეთუ გუამი შენი ყ^{ლი} ნათელ არს: და არა რაჲ აქუნ-
 დეს ადგილი რაჲმე ბნელისაჲ.

... განიცადენით ყორანნი რ^ნ არა სთესვენ არცა მკიან რ^{ლთა} არა
 აქუას საუნჯე ... იქვე, 28 რ ლკ 12₂₄.

პადიშ.: განიცადენით ყორანნი: რ^ნ არცა სთესვენ არცა მკიან. რ^{ლთა}
 არა აქუნს საუნჯეც.

... ლუინოჲ არა აქუას ... იქვე 102 v ინ 2₃.

პადიშ.: ლუინოჲ არა აქუნს...

... რ^ნ არა რაჲ აქუას რაჲმცა მიგაგეს შენ ... იქვე, 41 რ ლკ 14₁₄.

პადიშ.: რ^ნ არა რაჲ აქუნს რაჲმცა მიგაგეს შენ.

... მიეცით რ^{ლსა} აქუას ათი სასწორი ვეცხლი და მათ ჰქ^ნ მას ო^{რო}
 აქუს ათი სასწორი ხ^ნ გეტყუი თქ^ნ რ^{ლსა} აქუნდეს მიეცეს ხ^ნ
 რ^{ლსა} არა აქუნდეს და რ^{ლლა} იგი აქუნდეს მოვეედოს მისგან
 იქვე, 65 v ლკ 19₂₄₋₂₆.

პადიშ.: მიეცით რ^{ლსა} იგი აქუს ათი სასწორი ვეცხლი და მათ ჰქ^ნ
 მას ო^{რო} აქუს ათი სასწორი ხ^ნ გეტყუ თქ^ნ რ^{ლსა} აქუნდეს მიეცეს: ხ^ნ რ^{ლსა}
 არა აქუნდეს და რ^{ლლა} იგი აქუნდეს მოვეედოს მისგან.

... არცა სავესებელი გაქუას და ჯურღმული ესე ღრმა არს ვინაჲ გაქ^კ
 შენ წყალი ცხოველი ... იქვე, 109 v ინ 4₁₁.

პადიშ.: შენ სარწყული არა გაქუს და ჩურღმული ესე ღრმა არს აწ
 ვინაჲ გაქუს შენ წყალი ცხოელი.

... ხ^ნ თქ^ნ აწ ჰირი გაქუას და მერმე კულად ვიხილნეთ თქ^ნ ... იქვე,
 169 v ინ 16₂₀.

პადიშ.: და თქ^ნ აწ მწუხარე ხართ ხ^ნ მერმე ვიხილნს.

... ესმა რაჲ ესე ი^ნს. ჰქ^ა მას ერთილა ვაკლს შენ ყ^{ლი} რაჲ გაქუას
 განყიდე და მიეც გლახაკთა ... იქვე, 61 რ ლკ 18₂₂.


პადიშ.: ესმა რაჲ ესე ი^ნს ჰრქუა მას ერთილა ესე ვაკლს შენ ყ^{ლი}
 რაჲ გაქუს განყიდე და მიეც გლახაკთა.

... მრავალი მაქუას შე თქ^ნდა სიტყუად ... იქვე, 133 v ინ 8₂₆.

პადიშ.: მრავალი მაქუს თქ^ნთვს სიტყუად...

... არა მაქუას სადა დავკრიბო ნაყოფი ესე ... იქვე, 27 რ ლკ 12₁₇.

პადიშ.: არა მაქუს სადა დავკრიბო: ნაყოფი ესე ჩემი...



... არა იცია რ კელმწიფებაჲ მაქუას ჯუარ ცჳმად შნდა დეკემბერ-
ფებაჲ მაქუს (!) განტეებად შენდა ... იქვე, 179 v ინ 1916

ჰადიშ.: არა უწყი რ ფლობა მაქუს ჯუარს ცჳმაჲ შენი და კელმწი-
ფების განტეებაჲ შენი...

-აქუან-:

... გინა დედაკაცსა რლსა აქუანდეს ათი სატირი და წარწყმიდოს
სატირი ერთი არამე აღანთის სანთელი ... და ეძიებდეს გულმოდგი-
ნედ ... იქვე, 45 v ლკ 15_გ.

ჰადიშ.: გინა დედაკაცსა რლსა აქუანდეს დრაქმჲ ათი და რლ არს
სატირი რნ წარწყმიდოს დრაქმჲ ერთი...

... და გაქუანდეს საუნჯე ცათა შინა ... 61 r ლკ 18_{ჲჲ}.

შდრ. ჰადიშ.: და გაქუანდეს საუნჯე ცათა შინა.

ამრიგად, დასტურდება;

აქუას — 10-ჯერ	} სულ 18 შემთხვევაა, რომ „ზედმეტი“ ა გვაქვს შედარებით ჩვეულებრივ ფორმებთან.
გაქუას — 3 „	
მაქუას — 3 „	

აქუანდეს — 1-ხელ
გაქუანდეს — 1 „

სწორედ ეს ა-ნიანი ფორმები უნდა ყოფილიყო ამოსავალი წინა საფეხური
ძვ. ქართულში დადასტურებული სახეობისა, ოღონდ შეუბღალავად ჩვენს
ძეგლში (№ 107) ეს დაცულია ნამყო უსრულისა და კავშირებითის ფუძეში:
აქუან-დ-; აწყყოში კი ბოლოკიდური ნ დაკარგულია, წინამავალი -ა-ლა
შემოგვრჩა: -ან სუფიქსის ადგილას მხოლოდ -ა- ჩანს.


ზემოთქმულის მიხედვით აქუს-ზმნის უღვლილების ძველი სახეობა ასე
წარმოგვიდგება:

აწყყო: 1

მას	-ა-ქუ-ან-ნ (→ აქუნ-ნ → აქუ-ნ)	იგი
შენ	გ-ა-ქუ-ან-ნ	იგი
მე	მ-ა-ქუ-ან-ნ	იგი
ჩუენ	გუ-ა-ქუ-ან-ნ	იგი

მას	-ა-ქუ-ან-ან (→ ჰქუან-ან → ჰქონ-ან)	იგინი
შენ	გ-ა-ქუ-ან-ან	იგინი
მე	მ-ა-ქუ-ან-ან	იგინი
ჩუენ	გუ-ა-ქუ-ან-ან	იგინი

¹ ვიღებთ IX—X საუკუნის პრეფიქსაციას ობიექტის მესამე პირისათვის.



ნამეა უსრული:

მას	-ა-ქუ-ან-დ-ა (ი-ს) (→ ჰქუანდა → ჰქონდა)	იგი
შენ	გ-ა-ქუ-ან-დ-ა (ი-ს)	იგი
მე	მ-ა-ქუ-ან-დ-ა (ი-ს)	იგი
ჩვენ	გუ-ა-ქუ-ან-დ-ა (ი-ს)	იგი
მას	-ა-ქუ-ან-დ-ეს (-ი-ან) (→ ჰქუანდეს → ჰქონდეს)	იგინი
შენ	გ-ა-ქუ-ან-დ-ეს (-ი-ან)	იგინი
მე	მ-ა-ქუ-ან-დ-ეს (-ი-ან)	იგინი
ჩვენ	გუ-ა-ქუ-ან-დ-ეს (-ი-ან)	იგინი

კავშირებითი I:

მას	-ა-ქუ-ან-დ-ეს (→ ჰქუანდეს → ჰქონდეს)	იგი
შენ	გ-ა-ქუ-ან-დ-ეს	იგი
მე	მ-ა-ქუ-ან-დ-ეს	იგი
ჩვენ	გუ-ა-ქუ-ან-დ-ეს	იგი
მას	-აქუ-ან-დ-ენ (→ ჰქუანდენ → ჰქონდენ)	იგინი
შენ	გ-აქუ-ან-დ-ენ	იგინი
მე	მ-აქუ-ან-დ-ენ	იგინი
ჩვენ	გუ-აქუ-ან-დ-ენ	იგინი

რა ცვლილებებია აქ შემდეგ მომხდარი?

აქუან - ფუძეს დაუკარგავს ა- ხმოვანიცა და ბოლოკიდური \bar{N} -ც აწმყოს მხოლოდობითში.

აქუან → აქუ... (ნ დაცულია, თუ ის ბოლოკიდური არაა: ჰქონ-ან... აქუნ-დ-ა...).

როდის უნდა დაკარგულიყო ნ? ცხადია, მაშინ, როდესაც S_3 -ად ჯერ კიდევ არ იყო -ს: ეს უკანასკნელი რომ დართვოდა, ნ- ბოლოკიდური აღარ აღმოჩნდებოდა. (შდრ. დაბან → დაბა, ძამან → ძმა...). მაგრამ ბოლოკიდურ პოზიციას ერთად ერთ მიზეზად ვერ დავსახავთ. ფონეტიკურ ვითარებას შეემატა სხვა გარემოება: S_3 -ად ძველად ნ იყო...

პირის ნიშანი ნ და წინამავალი ნ აირია ერთმანეთში სწორედ ისევე, როგორც სახელობითის -ი და ფუძისეული ბოლოკიდური -ი უნდა იყოს ერთმანეთში ძველთაგანვე არეული; შედეგი: ი-ზე დაბოლოგებული ფუძეები სახელებში აღარ შემოგვრჩა. მხოლოდ ნასესხებ მასალაში თუ შევხვდებით ასეთ ფუძეს და იქაც სამწერლო ენის ზემოქმედებამ რომ არა, ფუძისეული -ი სახელობითისაში აირეოდა (მოვიგონოთ: ბასილი, გრიგოლი — ძვ. ქართულში ჯერ კიდევ -ი ფუძიანები ჩანან, ახ. ქართულში თანხმოვან ფუძიანებში მოექცნენ: ბასილ, გრიგოლ... ანდა გურული: ჩას (← ჩაის, მიცემ...). იხ. აგრეთვე ვაზეთებში: ტრიპოლში (ნაცვ. ტრიპოლიში-სა), გორკში (ნაცვ. გორკიში-სა).

ამრიგად: ბოლოკიდური -ნ აქუან - ფუძეს დაეკარგა S_3 -ის ნიშნად -ს-ის გაბატონებამდის, S_3 -ად -ნ-ს ხმარების პირობებში.



ნამყო უსრულის ფუძეს -6 შერჩა: მომდევნო -დ- სუფიქსის წყაღობით $\text{მომდევნო-დ-სუფიქსის წყაღობით}$
-6 არც ბოლოკიდური იყო და არც ერთსახე მეზობელი ფორმანტი გზაჩნდსსტა
იმიტომ.

აწმყოში ძვ. ქართულში ყველაზე ხშირია აქუ-ს, უფრო იშვიათია აქუ-6;
ამ უკანასკნელში -6 S_3 -ია (და არა სუფიქსისეული) ისევე, როგორც არ-6, ზი-6,
ვალ-6... მაშასადამე, ამოსავალია აქუ-ფუძე. მაგრამ მესამე ვარიანტიც მოგვე-
პოება აქუ-ს (იხ. ჰადისის ოახთავის ზემოთ მოყვანილი ადგილები:

... რლთა არა აქუნს საუნჯეც ... ჰადის. ლქ 12₂₄

... რ არა რაჲ აქუნს რაჲმცა მიგაგეს შენ ... ჰადის. ლქ 14₁₄

... რლთა კელმწიფებჲჲ აქუნს ... ჰადის. ლქ 22₂₅

... ღუნოჲ არა აქუნს ... ჰადის. იხ 2₃...¹

კაცი იფიქრებდა, აქუნს კონტამინაციური წარმოებისაო: ძველი S_3 -6
და მერმინდელი ს ერთად იყრის თავსაო, მაგრამ არა: აქუნ სწორედ ფუძის.
ძველი ვარიანტია, რომელიც ნამყო უსრულშია დაცული (აქუნ-და), ხოლო აწ-
მყოში ეგევე ფუძე 6-ს მოკვეციტაა შემონახული (-აქუ-).

ეს -6-ს დაკარგვისათვის: აქუან \rightarrow აქუა ... მაგრამ აწმყოში ა-ც ხომ
გაუჩინარდა! აქუნ სპორადულად მაინც გვხვდება, აქუა ფუძე მაინცა და
მაინც მხოლოობითში არა ჩანს: აქ იგი უკვალოდ გამქარალა (ჩვენს ძეგლს ეს
-ა- რიგ შემთხვევაში დაუცავს).

რამ დაკარგა -ა? რატომ აქუა \rightarrow აქუ? რატომ სხვა ძეგლებში არ დას-
ტურდება აქუა?

მიზეზი იგივეა, რამაც რიგს სხვა ზმნაშიც გამოიწვია მგავსივე შედეგი:

ჩან-ს — მაგრამ: მი-ჩნს (\leftarrow მი-ჩანს) \rightarrow მი-ჩს

კამ-ს — „ მი-კმს \leftarrow მი-კამს

დგა-ს — „ მი-დგს (\leftarrow მი-დგას)

ძევ-ს — „ მიძ-ს \rightarrow მიცს \rightarrow მიც

ერთმარცვლიანი ფუძე ხმოვნიან პრეფიქსს ირთავს და მაინც ერთმარც-
ვლიანი რჩება: მახვილი ამ პრეფიქსისეულ ხმოვანზე გადადის, —
ესაა ინტენსიური მახვილი და მისი ფუნქციაა ფუძისეული
ხმოვნის დაკარგვა (ფუძის შეკუმშვა).

აქუან \rightarrow აქუნ \rightarrow აქუ-

რა უსწრებს რას: 6-ს დაკარგვა ა-სას თუ, პირუკუ, ა-სი? ერთი მეორით
შეპრობებული არაა, ეს ორი პროცესი განვითარების ერთს ხაზზე არ ივარა-
უდება; ისე კი ა-ს დაკარგვა უნდა იყოს უფრო ადრე მომხდარი: ბოლოკიდური
-6 უფრო შემოგვენახა, ვინემ მის წინამავალი -ა.

¹ ჰადისის სტამბურ გამოცემაში, რომელიც აკ. შანიძის რედაქციითაა შესრულებული,
ტექსტი ყველგან აქუს იკითხება, აქუნს სქოლიოშია ჩამოტანილი.

თუმცა, ვიმეორებთ, ა-ს დაკარგვა და ფუძის შეკუმშვა გარკვეულ დიალექტურ (resp. ენობრივ) წრეში ნ-ს დაკარგვის შემდეგ შეიძლებოდა მომხდარიყო.

ამრიგად: -ან სუფიქსმა ა დაკარგა მახვილის გადანაცვლებით თავკიდურ მარცვალზე.

მაგრამ თავკიდური ა-ც რომ იკარგება? აქუს მას იგი — მაგრამ: ჰქონან მას იგინი (უფრო ძველი სუფიქსით: ჰქონ-ედ მას იგინი).

ასეთ ფორმას ვერ მივიღებდით, თუ მახვილს ისევ თავკიდური ა შეინარჩუნებდა: მახვილი ან მეორე მარცვალზე უნდა გადასულიყო (აქუანედ || აქუანან) ანდა ბოლო მარცვალზე (აქუან-ედ || აქუან-ან).

ორივე შესაძლებელია (მახვილიანი -ა-ს წინამავალ ე-სთან შერწყმის მაგალითია: თქო ← თქვან ← თქუან). უფრო საფიქრებელია, რომ მახვილი ამ ა-ზე მოდიოდა: ჰ-ქუან-ედ ... ჰქონდა, ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს (ზოგს ძველ დიალექტში ჰქუან-ედ-იც ვერ გამოირიცხება).

თავკიდურ ა-ს დაკარგვის შემდეგ მეცხრე საუკუნის ძეგლებში ზმნას ბუნებრივად დაერთო ჰ- პრეფიქსი. აქუს და ჰქონან მორფოლოგიურად განსხვავებული ოდენობა (სხვადასხვა ქცევა!) არაა, სხვაობა ფონეტიკური ბუნებისაა.

აქუს ზმნის უღვლილება ძვ. ქართულში მოძრავი მახვილის მოქმედების კარგი ილუსტრაციაა.

ინტენსიური მახვილის არსებობას ძვ. ქართულში ვარაუდობდა ჯერ კიდევ დეეტერსი (1927 წ.). არაა ოლონდ საფიქრებელი, რომ ასეთი მახვილი დამატებითი ყოფილიყო ძვ. ქართულში წარმოდგენილი ყველა კილოსათვის (აქუან- ფუძის დადასტურება ამ მხრივაც საინტერესოა).

-აქუან- ფუძის შედგენილობასთან რიგი საკითხია დაკავშირებული. მათ ცალკე დავუბრუნდებით.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტი

(შემოვიდა რედაქციაში 1947. VI. 12).

Арн. Чикобава

Неизвестные донныне варианты глагольной основы აქუ-ს akw-s в древне-грузинском языке¹

Резюме

1. Основа глагола -აქუს -akw-s „имеется то у него“ в древне-грузинских памятниках IX—XI в.в. предлежит в виде 1. -აქუ- -akw-, 2. -აქუბ- -akwп-, 3. -ქობ- -kop-:

1. აქუ-ს (|| აქუბ) იგი მას akw-s (|| akw-п) igi mas „имеется то у него“.
2. აქუბდა იგი მას akwп-d-a igi mas „имелось то у него“.
3. ჰქობან იგი მას h-kop-an igini mas „имеются те (реальн. объект множ. ч.) у него“.

2. В дефектном четвероглаве, относимом М. Броссе к X веку и, по всей видимости, являющимся списком весьма древнего оригинала¹, фиксируются донныне неизвестные по другим древнегрузинским памятникам полногласные варианты основы данного глагола -აქუა- -akwa- и -აქუან- akwan-:

აქუა-ს akwa-s вместо обычного: აქუს akws, აქუანდეს akwan-des вместо обычного: აქუნდეს akwп-des.

3. Тем самым документально устанавливаются исходные формы спряжения данного глагола и выявляется характер происшедших изменений:

- აქუ-ს (|| აქუ-ბ) ← აქუა-ს ← აქუან-ბ ← ჰაქუან-ბ akw-s (|| akw-п) ← akwa-s ← akwan- ← akwan-п „имеется то у него“.
- ჰქობან ← ჰქუან-ან ← ჰაქუან-ან h-kop-an ← h-kwan-an ← hakwan-an „имеются те (RO мн.) у него“.
- აქუნდეს ← აქუან-დეს ← ჰაქუან-დეს akwп-des ← akwan-des ← hakwan-des „чтобы имелось то у него“.

4. Отпадение конечного -ბ -п -აქუან akwan- → აქუა -akwa- было обусловлено двумя обстоятельствами: а) тенденцией к исчезновению конечного б п в древне-грузинском языке и б) в особенности, наличием субъект. суфф. 3 л. -ბ- -п-, непосредственно следовавшего за соглас-

¹ Рукопись возвращена из Ленинграда, находится в рукописн. фонде Центра Архива Грузии. ССР за № 107.

ным основы აქუან-ნ, akwan-п, что вело к метаанализу основы акван-п в конце основы был воспринят, как субъектный суффикс третьего лица.

Выпадение же гласных основы (стяжение основы) результат влияния ударения:

აქუან akwan → აქუნ ákwп

აქუან-ან akwanan → ჰქუანან hkwanan → ჰკონან → hkónan.

Интенсивное ударение в древне-грузинском языке предполагалось еще Деестерсом (в 1927 г.); вряд ли оно было характерным для всех диалектов, представленных в составе древне-грузинского языка (см. აქუან- akwan-).

Ударение вне сомнения было подвижное.

Ряд вопросов состава восстановленной основы нуждается в специальном рассмотрении.

დომ. მგელაძე

საგან-სიტყვის მნიშვნელოვანების გამო.

პროფ. ვუკ. ბერიძის გამოკვლევით¹ სიტყვა საგან-ი აღნიშნავდა არა თანამედროვე საგან-ს — objectum — предмет, არამედ მიზანს, უფრო ძველად კი — ადგილს. პატივცემული ავტორის მიერ მოცემული მასალა, მისი ეტიმოლოგიურ-სემანტიკური ანალიზი და დოკუმენტაცია სავსებით დამაჯერებელი და ნათელია.

ერთი შეხედვით თითქოს დიდი მანძილია, შინაარსის მხრივ, საგანსა და ადგილს შორის და ამ ორ ცნებას არავითარი კავშირი არა აქვს ერთმანეთთან. მაგრამ მით უფრო საინტერესო ხდება, როდესაც სიტყვის თანამედროვე გაგებას და მნიშვნელობას უძველეს ხანაში სულ სხვა რაიმე ასახვად მოვიხილავთ. ყველა ენა იძლევა ამის ნიმუშს და ბევრი ფაქტის დასახელებაც შეიძლება იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად შორდება რომელიმე სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობა მის ძველ გაგებასა და შინაარსს.

პროფ. ვუკ. ბერიძის დებულება, რომ საგან-ი ძველად აღნიშნავდა ადგილს, ჩვენ გვინდა დავადასტუროთ ერთი ენობრივი მასალით, რომელიც მოიპოვება გურულში, განსაკუთრებით სოფლის კაცის სიტყვათხმარებაში, უმთავრესად მიწასთან, სივრცესთან დაკავშირებით. წინათ ხშირად (ახლა კი შედარებით იშვიათად) გაიგონებდით, უმთავრესად მოხუცისაგან, ასეთ გამოთქმას: კაი განი ადგილი მოგიხნავს, კაცო, შენ დღეს; კაი განი ადგილი დუღუნავს, მარა მაგიორში ხარებიც კაი ყავს; კაი განზე დავითესავს; კაი განი მიწა წუთულია წყალს და სხ. აქ საინტერესოა ის გარემოება, რომ გან-ის პირველადი მნიშვნელობა როგორც ადგილისა (პირველ ორ მაგალითში) — უკვე დაკარგულია, აღარ იგრძნობა (უაზრობაა ადგილი-ადგილი) და ეს სიტყვა ნახმარია სივრცის, ფართობის გაგებით. ასეთი მაგალითი, ე. ი. თავისი პირველადი მნიშვნელობის და შემდეგ დიფერენცირებული სიტყვებით ერთად ხარვეზობის შემთხვევა მოიპოვება, სხვათა შორის, რუსულ ენაშიც.

მაგ., „А князь Ингваръ Игоревичъ... не успѣ пріити къ нимъ на пиръ той злыи не оу бо еще приспѣло время (Никон. лет. 6725 г.)¹“

¹ ვუკოლ ბერიძე, საგან-სიტყვის ეტიმოლოგიისათვის: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. III, № 4, 1942, გვ. 381—388.

² Срезневский, Материалы для словаря древне-русского языка, т. III, стр. 1107, изд. 1912 г.

სიტყვა *ოუ ძველ რუსულში* (აგრეთვე ძვ. სლავურშიც) ნიშნავს *ეხე-ს*, *მაგრომ* მისი ეს მნიშვნელობა, როგორც ამას გვიჩვენებს მოცემული მაგალითი უკვე დავიწყებულია, რის გამოც ის ნახმარია სიტყვა *ეხე-სთან*, რომელიც იმეორებს *ოუ-ს* მნიშვნელობას. სიტყვა *კაი-ს* აღნიშნულ მაგალითებში გამაძლიერებელი ნაწილაკის მნიშვნელობა აქვს და არა ზედსართავი სახელისა (გურ. *კაი=კარგი*).

პროფ. ვუკ. ბერიძე თავის ნაშრომში აგრეთვე წერს: „რა არის *განგება-შეგნება*? ორიენტაცია ადგილში, ადგილმდებარეობაში. რას ნიშნავს *შეგნება*? რისაზე გაგებას, постигание, რისაზე მიღწევას“¹. სიტყვა *постигание-ს* ეტიმოლოგიაც ადასტურებს მკვლევარის მოსაზრებებს სიტყვა *განი-ს* გაგებაში: *постигание-ს* ძირია *стиг-*, რომელიც რუსულში რეფლექტირებულია როგორც *стеж-* || *зг-* (—*a*) ადგილის, *გზის* გაგებით. მაგ., „Тьма... такая, что и зги не видно“ (Лесков); „Скоро такое столпотворение пойдёт, что зги божьей за тучей проектов не видно будет“ (Салтыков-Щедрин)²; *стиг-* ის შესაბამისად გვაქვს: ძვ. სლავ. *стыза* (< **стыг* — *ja*), *сты* (*b*) *г*—*на* (*ქუჩა* — *улица*), სერბ. *стаз-а*, ჩეხ. *stez-e*, გუთ. *staig-a*, გერმ. *Steig* (*тропа, путь*), ლათ. *ve-stig-ium* (*ступня, подошва; след., место*); ბერძნ. *σταζειν* (*идти*), სანსკ. *stigh* — და სხვ. ამგვარად, *постигание* პირველად ყოვლისა ნიშნავს ადგილის, გზის გამოხატვას, პოვნას, შემდეგ კი — *შეგნებას* იმდენად, რამდენადაც მეხსიერებაში, საზოგადოდ აზროვნებაში, შეგნებაში მოინახა ადგილი იმისა, რის გაგება, შეგნება საჭირო იყო.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რუსული ენის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1947. IV. 15).

¹ ვ. ბერიძე, *ი. ს.* გვ. 386.

² М. И. Михельсон, *Русская мысль и речь*, т. I, стр. 692.

გუგოლ ბერიძე

ვეფხისტყაოსნის კარლოზის ერთი ნაწილის შედგენილობისათვის

ვეფხისტყაოსნის როგორც სალექსო სტრიქონთა, ისე სტროფთა ურთიერთობის შესახებ შემდეგი მოსაზრებაა გამოთქმული და განმტკიცებული.

«თითოეული სტროფი შედგება ოთხი სტრიქონისაგან. ყოველი სტრიქონი წაირისა წარმოადგენს როგორც რიტმულ, ისე შინაარსულ მთლიანობას. სტრიქონი სტრიქონს არასდროს არ უერთდება. არ უერთდება მაშინაც კი, როცა საუბარია, თუმცა ერთი წინადადების სივრცეზე დამთავრებული აზრის გამოთქმა, ისიც საუბრის დროს, მეტისმეტად ძნელი საქმეა...»

«ერთი სტრიქონის აზრის დასასრულებლად სიტყვა მეორე სტრიქონში არ გადადის».

რაც შეეხება სტროფს, იგი ცალკეული შინაარსის შემცველია და წინა სტროფი მომდევნოს სრულიად არ ერთვის (პ. ბერაძე, რუსთაველის ლექსის რიტმი, 222—5).


ამგვარივე აზრი გამოთქმული აქვს სტრიქონთა და სტროფთა ურთიერთობის შესახებ ალ. სლოვინსკისაც თავის სადოქტორო შრომაში — *Художественное построение Вепхисткаосани*: «თითოეული სტრიქონი ისეა შეკრული და დამოუკიდებელი, რომ enjambement ვეფხისტყაოსანში, ორის გარდა, არსად არ მოიპოვება».

ასეთივე ხაზია გატარებული ვეფხისტყაოსნის თითქმის ყველა ბექტურ გამოცემაში.

იგივეა დადასტურებული საიუბილეო გამოცემაშიაც. ერთი სიტყვით: არამცთუ სტროფი, სტრიქონიც შეკრულია.

რამდენად სწორია ეს მოსაზრება-დებულება?

ვეფხისტყაოსანი დამოუკიდებელი სტროფებისაგან შემდგარ მთლიანობას წარმოადგენს უპირატესად. მიუხედავად ამისა, ვეფხისტყაოსანში სტრიქონი სტრიქონში გადადის და სტროფი სტროფს გრამატიკულად უერთდება: მეტიც: შიგასტრიქონული ანუამბიგუანიც ხშირად გვხვდება. და ჩვენც საკითხის განხილვასაც სწორედ აქედან დავიწყებთ, ე. ი. თავდაპირველად, შევხებით «გარდამავლობის» საკითხს ერთი სტრიქონის ფარგლებში.



ცნობილია, რომ ვეფხისტყაოსნის სალექსო სტრიქონი ორ მთავარ ცენტრალურად იყოფა, თითოეული ორ ცალკეულ დამოუკიდებელ სინტაქსურ მოვლს წარმოადგენს, სხვაგვარად: სტრიქონის თითოეულ ნახევარში სინტაქსური და მეტრული (რიტმული) დანაწევრება სიტყვებისა ერთმანეთს ემთხვევა, არაა ჯარღვევა მეტრსა და აზრს შორის.

ასე —

ნახეს უცხო მოყმე ვინმე,
შავი ცხენი სადავითა
ხშირად ესხა მარგალიტი
და ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა

მას ტანსა კაბა ემოსა
ვეფხის ტყავისა ქუდივე
ხელსა ნაქედი მათრახი
და ნახეს და ნახვა მოუნდა

ჯდა მტირალი წყლისა პირსა.
ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა.
ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა.
გულსა მდღღრად ანატირსა. (84)

გარე თმა ვეფხის ტყავისა,
იყო სარქმელი თავისა.
ჰქონდა უსხოსი მკლავისა.
უცხოსა სანახავისა. (85)

ასე მწყობრად და სიმეტრიულად განლაგებული სტრიქონებისაგან შედგება ვეფხისტყაოსნის სტროფთა უმრავლესობა... მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ აბსოლუტურად ყველა სტროფი აგრეთაა გაწყობილი!

ჩვენ გვაქვს შემთხვევები, როდესაც სინტაქსური და მეტრული (რიტმული) დანაწევრება სტრიქონის სიტყვებისა არ ემთხვევა ერთმანეთს: სიტყვა სინტაქსურად სტრიქონის პირველ ნახევარს ეკუთვნის, ხოლო რიტმულად იგი შეკრილია სტრიქონის მეორე ნახევარში.

მაგ., „მე გადასრულვარ, სიბერე მჭირს, ჭირთა უფრო ძნელია“. (36). რიტმულად ეს სტრიქონი ორ თანაბარზომიერ ოდენობად იყოფა:

- ა. მე გადასრულვარ, სიბერე
- ბ. მჭირს, ჭირთა უფრო ძნელია.

მაგრამ აზრობრივად აგრეთაა გაკვეთა არ შეიძლება, არაშედეგად:

- ა. მე გადასრულვარ, სიბერე მჭირს,
- ბ. ჭირთა უფრო ძნელია. (რიტმი დარღვეულია!).


სტრიქონთა სიტყვების ამგვარი განლაგება რომ ხშირი იყოს, იგი რომ სისტემად იყოს ქცეული, ეს უთუოდ უდიდესი ნაკლი იყნებოდა ყოველი ლექსისა, ვეფხისტყაოსნისა.

მაგრამ პოეტი ხანდახან რაიმე მიზნობრივი განწყობის მიხედვით, განგებ, შეგნებულად არღვევს ლექსის ჩვეულებრივ წყობას, რომ მოულოდნელი გარდატეხა მოახდინოს მკითხველისა და მსმენელის ყურადღებაში, გაამახვილოს მისი ყურადღება რაიმე ფაქტის მიმართ, მკვეთრად გამოაჩინოს ფაქტი და შთააქვრტოს იგი (მკითხველი) ამ ფაქტზე.

ამ შემთხვევაშიაც აგრეთაა.

მარტო რიტმს რომ მივაქციოთ ყურადღება და ლექსი ასე წავიკითხოთ:

- ა. მე გადასრულვარ, სიბერე
- ბ. მჭირს, ჭირთა უფრო ძნელია



არავითარი აზრი არ გამოვა, მაგრამ პოეტი ისეთის თანამიმდევრობით, რა რეალური თის ხერხით ალაგებს სტრიქონის სიტყვებს, რომ ორი მათგანი მკვეთრად გამოიყოფა და აზრიც მახვილდება.

მე გადასრულვარ, სიბერე მჭირს, კირთა უფრო ძნელია.

აქ განსაკუთრებული მახვილი სიბერე - სიტყვაზე უნდა მოვიდეს. აზრის მიხედვით. მაგრამ ცალკეულად აღებული სიბერე, შემასმენლის უმისოდ, ვერავითარ აზრს, მაშასადამე, ვერავითარ ლოგიკურ მახვილს ვერ შექმნის. შემასმენელი კი რიტმული ერთეულის მეორე ნახევარშია. აზრობრივად იგი პოეტმა პირველ ნახევარს დაუკავშირა, ამით ჩვეულებრივი რიტმი ვეფხისტყაოსნის ლექსისა დაარღვია და მკითხველმაც იგრძნო არაჩვეულებრივი რამ, და „აკვიტა ყური“: ლექსიც უფრო ემოციური, უფრო დამაგნებელი შეიქნა!

შემდეგი მაგალითი ავიღოთ.

მონათა ჰკადრეს: მართალსა გკადრებთ და ნუ გემცდარებით (80). აქაც იგივე ამბავია.

ა. მონათა ჰკადრეს: მართალსა — ერთი რიტმული ერთეულია.

ბ. გკადრებთ და ნუ გემცდარებით — მეორე.

მაგრამ სინტაქსურად რომ დავყოთ, სულ სხვა ერთეულებს მივიღებთ:

ა. მონათა ჰკადრეს: მართალსა გკადრებთ

ბ. და ნუ გემცდარებით.

აქ სიმართლეზეა ლაპარაკი, მაშასადამე, მახვილიც მართალსა - სიტყვაზე უნდა მოვიდეს, ჩვეულებრივი წყობით კი ეგ არ ხერხდება, პოეტმა სტრიქონის მეორე ნახევრის სიტყვა მოიხმო და სინტაქსური ერთეული მკვეთრად გამოჰყო:

მონათა ჰკადრეს: მართალსა გკადრებთ და ნუ გემცდარებით.

მიზანიც მიღწეულია!

შემდეგ: თინათინი მოლარეს ეკითხება მამის ამბავს: ძინავს თუ ღვიძავსო?

მან მოახსენა: „დაღრეჯით ზის, სჭირსო ფერ-შეცვლილია“.

მოლარემ უნდა დაუდასტუროს თინათინს, რომ მამა მოწყენილია, დაღრეჯილია. სიტყვა დაღრეჯა კი ცეზურას ამთავრებს.

დამოუკიდებლად იგი აზრს ვერ ჰქმნის, მაგრამ მეორე ნახევრის პირველ სიტყვასთან შეერთებით მკაფიოდ გამოიყოფა.

მან მოახსენა დაღრეჯით ზის, რასაც აძლიერებს მეორე ნახევარშივე სხვაგვარი მხატვრული სახით მოცემული იგივე დაღრეჯა: სჭირსო ფერ-შეცვლილია.

კიდევ მაგალითი.

„ხმს თუ კაცი არ შეუდრკეს კირს, მიუხდეს მამაცურად“.

ცხადზე უცხადესია, რომ პოეტმა შეგნებულად, განზრახ დაარღვია რიტმი. ყოველ შემთხვევაში, იგი გაკვირვების არაა! გაკვირვებაზე რომ ყოფილიყო მიმდგარი საქმე, პოეტი ადვილად დააღწევდა თავს, თუნდაც ასეთის ლექსის გაწყობით.



„ხანს თუ კაცი არა შედრკეს, ჭირს მიუხდეს მამაცურად“ აქ სინტაქსური და რიტმული დანაწევრება სტრიქონის სიტყვებისა სავსებით ემთხვევა ერთმანეთს.

მაგრამ პოეტი არა საერთოდ არ შედრკომაზე ლაპარაკობს, არამედ ჭირის არ შედრკომაზე, ამიტომაც შექმნა სათანადო სინტაქსური ერთეული და ჩვეულებრივი რიტმის დარღვევით ყურადღება გაამახვილა.

„ხანს თუ კაცი არ შეუდრკეს ჭირს, მიუხდეს მამაცურად“.

კიდევ ორი მაგალითი და ვიკმაროთ!

მას ყმასა (ავთანდილს) თავი არ მისცა (ასმათმა), ჭვრეტადცა
 ვიბლწებოდა,

ვითა კაკაბი არწივსა || ქვეშე, მიდამო ძრწებოდა,
 ტარიელს ვისმე უზზხდა || მწედ, თუმცა არ ემწებოდა (232).

ავთანდილს ღმერთმა წადილი || მისცა, გულისა ღზინება (248).

ყველა ეს მაგალითი ცენტრული enjambement-ი იყო, ასე ვთქვათ, შიგა-სტრიქონული.

„შევებოთ ისეთ გარდამავლობას“, როცა იგი მეორე და ხშირად მესამე სტრიქონში მთლიანად გადადის, სავსებით სწვდება.

1. მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა,
 ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე-კბილისა,
 ბროლ-ბადანშისა თლილისა, მით მიჯრით მიწყობილისა (5)

მიჯრით მიწყობილი ბროლ-ბადანში აქ ბაგე-კბილების განსაზღვრებაა და უშუალოდ უკავშირდება მას. ბაგე-კბილების გარეშე „მიჯრით მიწყობილი“ გაუგებარია და წარმოუდგენელი: ორივე სტრიქონი ერთს გრამატიკულ მთელს წარმოადგენს.

ან:

2. იყო არაბეთს როსტევან მეფე ღვთისაგან სვიანი,
 მალაღი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი ყმიანი,
 მოსამართლე და მოწყალე, მორკმული, განგებიანი,
 და თვით მეომარი უგბრო, კვლა მოუბარი წყლიანი (32).

აქ მეორე, მესამე და მეოთხე სტრიქონები, ცალკე აღებული, არავითარი აზრის შემცველი არაა და წარმოუდგენელიცაა პირველი სტრიქონის გარეშე.

მაშასადამე, აქ ყველა სტრიქონი გარდამავალია.

ანდა:

3. მოვიდა ჯოგი ნადირთა ანგარიშ-მიუწოთმელი,
 ირემი, თხა და კანჯარი, ქურციკი მალა მხლტომელი (75).

მეორე სტრიქონი სავსებით პირველზეა დამოკიდებული.

ან კიდევ:

4. წავიდა მონა საუბრად მის ყმისა გულმდულარისად,
 თაჩაზოდგებით მტირლისა, არ ჭვრეტით მოღიზარისად (86).

მეორე სტრიქონი მთლიანად პირველი სტრიქონის „ყმის“ ატრიბუტებისაგან შედგება, დამოუკიდებელი არსებობა არც ერთს მათგანს არ გააჩნია და წარმოუდგენელიცაა „უმისყმისოდ“.

კიდევ:

- ინდოეთს შვიდთა მეფეთა ყოველი კაცი ხართ მცნობელი: ეჭვი საჰეფო. ფარსადანს ჰქონდა, თვით იყო მპყრობელი, უხვი, მდიდარი, უკადრი, მეფეთა ზედა მფლობელი, და ტანად ლომი და პირად მზე, ომად მძლე, რაზმთა მწყობელი (311).

აქაც იგივე მდგომარეობაა, როგორც წინა სტროფში

ყმა წავიდა მხიარული, ღმობიერი. არ გამწყრალი,
ლომი მინდორს ლომთა თანა მინდორს რული, ფერნამკრთალი,
ყმა, სოფლისა ხასიათი, ჯავარ-სრული, მრავალ-წყალი, (693)

იგივე ამბავია.

ამგვარივე «გარდამავლობა» შეიმჩნევა შემდეგ სტროფებშიც: 894, 1019, 1023, 1255, 1439, 1440:

ახლა შევეხოთ სხვაგვარ «გარდამავლობას», სახელდობრ, როდესაც «გარდამავალი» სტრიქონი შემასმენლიანია, მაშასადამე, აზრის შემცველია, მიუხედავად ამისა, მაინც არაა დამოუკიდებელი, მაინც არაა „შეკრული“.

- რა დაასრულა ამბავი. საქმე მისისა ჰიროსა.
ნახვა მის მზისა ნათლისა, მის თვალად არ დუხჭიროსა,
ეამა. უქმეს ვარდისა ხელი, მძლეღ დანამჭიროსა... (691)

ეამა სიტყვის მჭიდრო კავშირი წინა ორ სტრიქონთან უდაოა.

- რა ფატმანისსა შევიდა ლომი, მზე, მოყმე წყლიანი;
ურბანა... (1118).

განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი სტროფი:

- ავთანდილ ცრემლსა მალეით სწვიმს, სდის ზღვათა შესართავისად

ჩვეულებრივ აქ მიძიმეს სწერენ. არ უნდა, რადგან უშუალოდ მას მოსდევს ადგილის გარემოება: შიგან გიშრისა მორევისა, ცურავს გიშრისა ნავი სად. მეორე სტრიქონის ეს დასაწყისი რომ მიძიმით გამოეპყოთ, პირველი ნახევრის აზრი უკმარი გამოვა.

- თქვეს თუ: მეფე ცულსა რასუე გონებასა ჩავარდნილა,
თვარე აქა სამიძიარი მისი ყოლა არა ქმნილა (58).

ამ სტრიქონების ურთიერთ-დამოკიდებულება ისე ცხადია, რომ არავითარ ახსნა-განმარტებას არ საჭიროებს.

2. ამა დროსა გარდაესცილდე, აქა ქებასაც არ მოვიდე,
ცან, ცოცხალი არ თურე ვარ, უღონოდ მოგკდე კიდე (936).
გრამატიკული კავშირი სტრიქონებს შორის ცხადია.

- რა ვარდმან მისი ყვაელი გააზმოს, დამჟნაროსა,
ივი წავა და სხვა მოვა, ტურფასა საბაღნაროსა (35).

პირველი წინადადება მეორეზე სავსებით დამოკიდებულია.

4. რა მეფედ დასმა მეფემან ბრძანა მისიხა ქალისა,
ავთანდილს მიხვდა სიამე, ვსება სჭირს მას აქ აღისა (42).
5. რა ფრიდონ უთხრა ავთანდილს ტარიას მოციქულობა,
მას გაეცინეს, გაღიმდა, შეენოდა მხიარულობა (1473).
6. რა მოვა ჩემთვის განგება, ზეცით მოსოულნი ზენანი,
ღმერთი იწადებს, მომივლენ გულის სახმილთა ლხენანი,
მაშინლა მომზვდენ მოკვდავსა მხისა ელვათა ფენანი,
უმისჯამისოდ ცუდია ჩემგან მი-და-მო რბენანი (1475).
7. რა გამისრულდენ ესენი ჩემნი გულისა ნებანი,
მაშინლა მივალ არაბეთს, მომზვდენ მის მხისა ხლებანი (1476).
8. რა ფრიდონ ჰკადრა ტარიელს ესე სიკუყვანი ყმისანი,
მან ბრძანა: მაგას არა ვიქმ, ამას არ უნდა მისანი (1480).
9. რა ათანდილ ტარიასგან ცნა, წასვლასა არ დაშლიდა,
არა ჰკადრა შეცილება, საუბარსა ზედა რთვიდა (1491).

აქ ყველა სტრიქონი ფარდამავალია. მაგალითები კიდევ ბევრია, მაგრამ მოყვანილთაგანაც ამკარაა, თუ რამდენად მცდარია შეხედულება, რომ ვეფხისტყაოსანში სტრიქონი სტრიქონს არაოდეს არ უერთდება, სტრიქონი სტრიქონში არაოდეს არ გადადისო.

არა მარტო სტრიქონი სტრიქონს, ვეფხისტყაოსანში მოიპოვება იმის მაგალითებიც, რომ სტროფი სტროფს უერთდება, დამოუკიდებელი არსებობა ცალცალკე არც ერთს ორთაგანს არა გააჩნია, მაგრამ ორივე კი ერთ მთელს ჰქმნიან.

1. ლაშქრობა და ნადირობა შენი ჩემსა დაასახე,
აქათ სამ წელ მომიცადე, ზვაშიადი შემინახე.
მე ნუთუშვა შემოვებრუნდი, ალვა ჩემი არ დაქნა ხე,
და არ მოვბრუნდე, მომივლოვე, მიტირე და მივაგლახე; (157)
- მაშინლა ჰკადრე მეფესა არ საქმე სასურვალა,
აცნობე ჩემი სიკვდილი, იყავ მართ ვითა მთრვალა,
მიხვდა თქო საქმე, რომელი ყოველთაფვის გარდუვალა;
და გლახაკთა მიეც საჭურჭლე, ოქრო, ვერცხლი და რვალა (158).

აქ მეორე სტროფი სავსებით იპირობება პირველით, უპირველოდ იგი გაუგებარია.

2. ყმამან უთხრა: ეგე საქმე ამას ჰგავსო, არა სხვასა:
ორნი კაცნი მიდიოდეს სადაური სადმე გზასა.
უკანამან წინა ნახა ჩაფარდნილი შიგან ქასა,
და ზედ მიადგა, ჩაჰყოდა, ტირს, იახის ვავლახ-ვასა. (255)
- აგრე უთხრა: ამანანგო, იყავ მანდა, მომიცდიდე,
წავალ თოკთა მოსახმელად, მწადსო, თუცა ამოგზიდე;
მას ქვეშეთსა გაეცინა, გაუვირდა მეტად კიდე,
და შემოყოფლა: არ გელოდე, სად გაგეპცე, სად წავიდე? (256)

აქაც: მეორე სტროფი უპირველოდ წარმოუდგენელია..

3. ორისაგან ერთი ქმენით, ამის მეტსა ნურას ჰლამით:
მოვითაჰკლავ იმა კაცსა, წადი, მოკალ მალვით, ღამით,
მე და სრულად სახლი ჩემი დახოცასა დაგვხსენ ამით,
და მოხვალ, გითხრობ ყველაკასა, მე ვითა ვარ ცრემლთა ღამით, (1107)

თვარა ღამითვე ტვირთები შენი წაიღე ვირითა,
დააგდე ჩემი მიდამო, სრულად მიკრიფე მი, ოითა.
ვეჭვ, რომე ჩემთა ცოდვთა შენცა აგავსონ ჭირითა,
და თუ დარბაზს მივა იგი ყმა, შეილთა დამაჭმევს პირითა. (1108)

სტროფებს შორის კავშირი და მტკიცე ურთიერთობა უეჭველია.

4. ზამთარი ვარდსა გაანზობს, ფურცელნი ჩამოსცივიან,
ზაფხულს მხისა სიახლე დასწავს, გვალვასა სჩივიან,
და სიციხე სწევას, ყინვა დააზრობს წყლული ორჯერვე სტკივიან: (1347)

აგრეთვე გული კაცისა მოსაგვარებლად ძნელია,
ჭირსა და ღზინსა ორსავე ზედა, მართ ვითა ხელია,
მიწყვი წყლულდების, საწუთრო მისი აროდეს მრთელია,
და იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერია.

აქ მეორე სტროფის სრულიადი დამოკიდებულება პირველზე უეჭველია და განა შეიძლება აგრეთვე - სიტყვით დამოუკიდებელი წინადადების დაწყება-გაწყობა?!

5. საგონებელი შეექმნა, დაჯდა საქმისა მრჩეველად.
თქვა: თუ დავბრუნდე, ეზომი ხანი რად დავყავ მე ველად.
ჩემსა რა ვჰკადრო მნათობსა, ვიყავ რა დღეთა მღვეველად,
და მისი ვერა ვსცნა ჭორადცა, ვარ ვისთა გზათა მკვლეველად. (186)

თუ არ დავბრუნდე, საქებრად დავყვენ სხვანიცა ხანანი,
რომელსა ვეძებ, ვერა ვცნე ამბავი მე მისთანანი,
დრო გადაუწყდეს შერმადინს, შერჩეს ლაწვისა ბანანი,
და მოვიდეს, ჰკადრნეს მეფესა საქმენი დასაგვანანი, (187)

უამბოს ჩემი სიკვდილი, თვით ჩემგან დავედრებული,
მათ შექმნან გლოვა-ტირილი, ქმნან საქმე გამწარებული,
მერმე მივიდე ცოცხალი, სადმე სხვაგან მე რებული, —
და ამას იგონებს ტირილით გონება შეიწრებული. (188)


კავშირი სტროფებს შორის უეჭველია, ამათგან ორ უკანასკნელს შორის გრამატიკულიცაა.

შეეჩერდეთ დაწვრილებით ამ სტროფებზე.

ეს ორი სტროფი, ვარდა უკანასკნელი ბოლო სტრიქონისა, წარმოადგენს პერიოდს, ერთს რთულ წინადადებას, შედგება იგი ხუთი მარტივი თუ შერწყმული წინადადებისაგან.

პირველი.

«თუ არ დავბრუნდე, საქებრად დავყვენ სხვანიცა ხანანი» — პირობითი დამოკიდებული წინადადებაა: კავშირია თუ, შემსმენლის კილო პირობითია — ტიპიური კონსტრუქცია პირობითი წინადადებისა. ამასთანავე, იგი შერწყმულიცაა, რადგან მეორდება ერთი და იგივე წევრები: არ დავბრუნდე, დავყვენ.



მეორე. რომელსა ვეძებ — განსაზღვრებითი, დამოკიდებული წინადადება;
მესამე. დრო გადაუწყდეს შერმადინს, შეპრჩეს ლაწვისა ბანანს,
მოვიდეს, ჰკადრნეს მეფესა საქმენი დასავანანი,
უამბოს ჩემი სიკვდილი, თვით ჩემგან დავედრებული —

ესა მთავარი წინადადება პირველისა და მეორის მიმართ, ამასთანავე იგი შერწყმულია: გადაუწყდეს, შეპრჩეს, მივიდეს, ჰკადრნეს, უამბოს.

მეოთხე. მათ შექმნან გლოვა ტირილი, ქმნან საქმე გამწარებული.
ამასა და მესამეს შორის თანწყობაა.

მეხუთე. მერმე მივიდე ცოცხალი, სადმე სხვაგან მე რებული — ესეც თანწყობილია მეოთხის მიმართ.

სტროფები ერთის ხაზით, კავშირებითის ხაზით, მიმდინარეობს. არ დავბრუნდე, დავყვენე, ვერა ვცნენე, დრო გადაუწყდეს, შეპრჩეს, მივიდეს, ჰკადრნეს, უამბოს, მათ შექმნან გლოვა-ტირილი, ქმნან, მერმე მივიდე.

ერთი სიტყვით, სამსავე სტროფში თავიდან ბოლომდე მტკიცედ დაცულია კავშირებითი კილო, რაიც კვალად იმის დამამტკიცებელია, რომ სტროფებს შორის უქვევლი სინტაქსური კავშირია.

რა გამოირკვა? გამოირკვა, რომ:

ორი უკანასკნელი სტროფი ერთი მთლიანი წინადადებაა (რთული), სინტაქსურად ზეკრული და ერთმანეთთან შეპირობებული (კავშირებული), და რადგან 188 სტროფის პირველი სტრიქონი —

„უამბოს ჩემი სიკვდილი, თვით ჩემგან დავედრებული“

წინა სტროფის წინადადებასთანაა კონსტრუქციულად დაკავშირებული, ე. ი. შერწყმული წინადადების კომპლექსის — (მივიდეს, ჰკადრნეს) კომპონენტია (უამბოს), ამიტომ იგი უნდა გამოიყოს წინა სტროფიდან მძიმით და არა წერტილით, როგორც ეს ყველა გამოცემაშია, მათ შორის საიუბილეოშიაც.

სწორედ ამგვარი მდგომარეობა გვაქვს ჩვენ პროლოგის იმ ნაწილში, რომელიც პოეზიას ეხება, კერძოდ ორ სტროფში, სადაც რუსთაველი არაჩვეულებრივი ვირტუოზულობით გადმოგცემს კემარტი პოეტის შედარებას ბედაურ ცხენთან და გამოჩინილ მობურთალთან.

ორი ეს სტროფი ერთ სინტაქსურ მთელს წარმოადგენს, განცალკევებულად მათი გულისხმება არასგზით არ შეიძლება.


როგორ ვკითხულობ და ვწერ მე ამ ორ სტროფს:

ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოცდის დიდი რბევა, (მძიმე)

მობურთალსა მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა, (მძიმე)

მართ აგრეთვე მეღვესესა ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა; (წერტილმძიმე)

და რა მისჭირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა, (მძიმე)



მაშინღა ნახეთ მეღეჟსე და მისი მოშაირობა:

რა ვერღა მიხვდეს ქართულსა, და უწყოს ლექსმან ძვარობა,

არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვა-მცირობა,

და ხელმარჯვედ სცემდეს ჩოგანსა, იხმაროს დიდი გვირობა“.

როგორ ესმოდა, კითხულობდა და წერდა ნ. მარი ამ ორ სტროფს?

იგი მათ განცალკევებულად რაცხდა და რუსულად ასე თარგმნა.

Подобно тому, как лучшим испытанием коня является длинный путь и большие перегоны, как об игроке в мяч судят по ристалищу, по лёгкости удара и ловкости взмаха, так (пробным камнем) поэта служит уменье слагать длинные песни и (искусство) осаживать (поэтического коня), если им исчерпан предмет беседы, и рифма начинает изсыкать.

Присмотритесь к поэту и песням его тогда, когда ему не хватает языка, и рифмы его начинают редеть! Не укоротит ли он своей речи? Не оскудеет-ли его слово?

Хватит ли у него, геройской отваги ударить ловко (по мячу) чоганом?

მე იმთავითვე არ მომწონდა სტროფების ამგვარი ვაგება და ამგვარი თარგმნა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ სტროფები განცალკევებულადაა ნაგულისხმევი და მეორეც იმიტომ, რომ მეორე სტროფის აზრი და შინაარსი არასწორადაა გადმოცემული.

ზეპირად მაშინაც კვამათობდით, მაგრამ ნ. მარი განსაკუთრებულ სიმტკიცეს და ურყევებობას იჩენდა.

1913 წ. ს. კაკაბაძემ გამოსცა ვეფხისტყაოსანი და ეს ორი სტროფი მთლიანი აზრის მექონად იგულა. იგივე განიმეორა მან თავის მეორე გამოცემაშიაც.

ამგვარადვე აქვს გაგებული ეს სტროფები პროფ. ი. აბულაძესაც თავის ორსავე გამოცემაში.

ამის შემდეგ მართან მიწერ-მოწერაც კი მექონდა ამ სტროფების გაგებისა და წაკითხვის შესახებ. მარი მაინც თავის აზრს ადგა. მიწერდა:

„... Что же касается Вашего перевода (из предисловия), может быть, Вы правы, но я пока что держусь старого, своего“.

1931 წ. ნ. მარმა ბრიერთან ერთად გამოსცა ფრანგულად ქართული გრამატიკა La langue Géorgienne, რომლის ქრესტომათიულ ნაწილში შეიტანა ნაწყვეტები ვეფხისტყაოსნიდან, კერძოდ სტროფები შაირობის შესახებ.

აქ უკვე უკუგდებულია ტრადიციული შეხედულება ამ სტროფთა ურთიერთობის შესახებ და ორივე ნაგულისხმევია, როგორც სინტაქსურად ერთი მთლიანი.

1936 წ. მე უკვე ბეჭდურად გავაფორმე ჩემი აზრი ამ სტროფთა ურთიერთობის შესახებ.



„Подобно тому как лучшим испытанием коня является длинный путь и большие перегоны, как об игроке в мяч судят по меткости удара и ловкости взмаха, так пробным камнем поэта служит умение слагать длинные песни и (искусство) осаживать (поэтического коня); если им исчерпан предмет беседы и рифма начинает иссякать, присмотритесь тогда к поэту и песням его, когда ему не хватит языка и рифмы его начнут редеть. Чтобы он не укоротил своей речи, чтоб не оскудело его слово! Чтобы он искусной рукой бил чоганом (по мячу), чтоб он проявил большое геройство!

(Великий месх. Советское студенчество, 1936 г., № 7).

განსხვავება ჩემ და ნ. მარის გაგებას შორის უტყვევლია, მაგრამ მაშინ ჟურნალში დასაბუთება არ შეიძლებოდა, მხოლოდ მცირე შენიშვნით დაკმაყოფილდი: **Перевод по Марру с незначительными изменениями.**

რაკი ამ სტროფების უმართებულო გაგება ისევ გრძელდება და ზოგი იქამდისაც კი მიდის, რომ მეორე სტროფს სრულიად ზედმეტად მიიჩნევს, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია დავასაბუთოთ, თუ როგორ უნდა გვესმოდეს და იკითხებოდეს ეს სტოფები.

ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოცდის დიდი რბევა,
მობურთალსა მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა.

ეს ორი წინადადება პარალელურად მიმდინარეობს, თითოეული მათგანი თანასწორუფლებიანია, ერთი მეორეს არ ექვემდებარება, ე. ი. მათ შორის არსებობს თანწყობა, სხვაგვარად, ეს ორი წინადადება თანწყობილია.

ამ წინადადებათა ვითა - ზმნისართს მესამე წინადადებაში აქვს თავისი კორელატი, თავისი ფარდი სიტყვა: აგრეთვე.

მაშასადამე, გვაქვს შედარებითი წინადადება.

ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოცდის დიდი რბევა,
მობურთალსა მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა,
მართ აგრეთვე მეღეჭსესა ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა;

სწორედ ისე, როგორც ეს გვაქვს ბევრგან სხვაგანაც.

ასე:

1. ვითა მე მივხედი წადილსა, ჩემის გულისა ნებასა,
ეგრეთვე აღმერთი ნურას იქმს ძმისა თქვენისა ვნებასა (213);
2. ვითა მან პოვნა მიხეხნი ჩემისა სულთა დგმისანი,
ეგრეთვე მანცა სამისოდ ნახნეს ძალ-გულნი ძმისანი (1480).

აგრეთვე სტროფები: 745, 750, 1044, 1351, 1365, 1367, 1436, 1571.

მაშასადამე: ვითა — აგრეთვე (აგრევე).

ერთი სიტყვით, შედარებითი წინადადების დროს, თუ ერთ ნაწილში ვითა - ზმნისართთა, მეორე ნაწილში მას ექნება თავისი ფარდი სიტყვა აგრეთვე (აგრევე).

ამ სამი წინადადებით მთავრდება აზრი. მაშასადამე, აქ უნდა იწერებოდეს წერტილი, ყოველ შემთხვევაში, წერტილ-მიძინე და არასგზით მიძინე, როგორც ეს გამოცემებშია.

ამ სტროფში დარჩა უკანასკნელი წინადადება:

„რა მისჭირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა“,

რომლის შემდეგ გამოცემებში იწერება წერტილი.

იგი დამოკიდებული წინადადებაა და თუ არ განამტკიცა მთავარმა წინადადება, გაშიშვლებული დარჩება და გაუგებარი იქნება.

რომელია მისი ფარდი მთავარი წინადადება?

იგი მომდევნო სტროფის პირველ სტრიქონშია:

მაშინღა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა.

მაშასადამე:

რა მისჭირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა,

მაშინღა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა.

ეს არის ერთი მთლიანი რთული წინადადება, ე. ი. რთული დაქვემდებარებული წინადადება. ამათში, როგორც აღვნიშნეთ, მთავარია „მაშინღა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა“, ხოლო მასზე დამოუკიდებელია — „რა მისჭირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა“, და როგორ შეიძლება დამოკიდებული წინადადების გამოყოფა მთავარისაგან წერტილით? არ შეიძლება!

აქ შეიძლება შემდეგი კონტრმოსაზრება გამოთქვან. მართალია, მთავარი წინადადებაა „მაშინღა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა“, მაგრამ მასზე დამოკიდებულია არა „რა მისჭირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა“, არამედ მომდევნო. თუ ამ კონტრმოსაზრებას მივიღებთ, მაშინ გვექნება შემდეგი წყობა წინადადებისა.

მაშინღა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა,

რა ვერღა მიხედეს ქართულსა, დაუწყოს ლექსმან ძვირობა“,

ე. ი. ჯერ მთავარი და შემდეგ დამოკიდებული.

თეორიულად, გრამატიკული თვალსაზრისით, ორივე წყობა სწორია, ე. ი. შეიძლება ჯერ დამოკიდებული და შემდეგ მთავარი, ანდა პირუკუ: ჯერ მთავარი და შემდეგ დამოკიდებული.

ჩვენს შემთხვევაში კი ეს არ იქნება სწორი. არ იქნება სწორი, რადგან, ჯერ ერთი:

პირველი სტროფის დამოკიდებული წინადადება „რა მისჭირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა“, როგორც აღვნიშნეთ, კენტად დარჩება და მას თავისი შესაფერი მთავარი წინადადება არ ექნება. მეორეც: კენტადვე დარჩება უკანასკნელი მთავარი წინადადება:

არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვა-მცირობა

და მას თავისი შესაფერი დამოკიდებული წინადადება ექნება! როდის, რო-
პირობებში არ შეამოკლოს ქართული? როდის არა ქმნას სიტყვამცირება? რო-
ლოდ მაშინ, როდესაც ქართულს ვერ მისწვდება, როდესაც ლექსი დაუწყებს
ძვირობას.

მაგრამ არის კიდევ ერთი გარემოება, რომელზეც უცილობლად უარყოფს
სინტაქსურ კომპლექსს:

მაშინდა ნახეთ მელექსე და მისი შოშაირობა,
რა ვერღა მიხვდეს ქართულსა, დაუწყოს ლექსმან ძვირობა.

როგორ?

საამისოდ უნდა გავარკვიოთ მაშინდა - ზმნისართის ხასიათი ვეფხის-
ტყაოსანში.

როდის ხმარობს შოთა მაშინდა - ზმნისართს?

მხოლოდ მაშინ, როდესაც მაშინდა - ზმნისართით დაწყებული წინადადება
იპირობება წინასწარი ფაქტით ან მოქმედებით, სულ ერთია, უშუალოდ დამო-
კიდებული წინადადებითაა ეს წინასწარობა განსაზღვრული, თუ ცალკე
დამოუკიდებელი ამბითაა გადმოცემული.

განვიხილოთ.

1. მონანი მიდგეს, მივიდეს, გახდა აბჯრისა ჩხარია,
მაშინდა შეკრთა იგი ყმა, ტირს მეტად გულმწუხარია (92).

როდის შეკრთა ყმა? მხოლოდ მაშინ (და არა მაშინ!), როდესაც მონანი
მიადგენს, სხვაგვარად: ყმის შეკრთომა წინასწარ იპირობება მონების მისვლით,
მიბრჯენ-მიდგომით.

2. მიბჭძანა: მიცან ამბავი მის ყმისა დაკარგულისა,
მოხვიდე, სრულევქმნა მაშინდა შენი წადილი გულისა (153).

როდის ავისრულებ გულის წადილს? მხოლოდ მაშინ, როდესაც მოხვალ-
დავალბა-შესრულებული.

3. ლაშქრობა და ნადირობა შენი ჩემსა დასახე,
აქაც სამ წელ მომიცადე, ხვაშიადი შემინახე,
მე ნთუთმცა შემოვბრუნდი, ალვა ჩემი არ დაქნა ხე,
და არ მოვბრუნდე, მომიგლოვე, მიტირე და მივგალახე (157).

მაშინდა ჰკადრე მეფესა არ საქმე სასურვალისა,
აცნობე ჩემი სიკვდილი, იყავ მართ ვითა მთრვალისა,
მიხვდა თქო საქმე, რომელი ყოვლთათვის გარდუვალისა;
და გლახაკთა მიეც საქურტლე, ოქრო, ვერცხლი და რეალისა (158).

მეორე სტროფის დაწყება მაშინდა - ზმნისართით ყოვლად შეუძლე-
ბელი იქნებოდა, რომ «არ სასურვალის თქმა» წინასწარ არ იპირობებოდეს.
როდის ჰკადრე მეფეს თქმა?

მხოლოდ მაშინ (მხოლოდ!), თუ არ დავბრუნდი!

4. მივეც ერთი დიდებული, თანა ყმანი წავატანენ,
ცხოვანნი ერთობლინი ჩემ წინაშე მოვიყვანენ,
ხელთა მომცეს სიმაგრენი, ომნი ასრე შევანანენ,
და საჭურჭლენი სიმრავლითა რასამცა ვით დავაგვანენ (458).

მაშინღა შევე ხატეთს მოვლად და მოსათვალავად,
კლიტენი საჭურჭლეთანი მომართვენს დაუშალავად,
ჭევეყანა ჩავსხნი, ვუბრძანე: იყენით თქვენ უკრძალავად,
და მზემან არ დაგწვენ, იცოდით, დაყვარენ დაუგვალავად (409).

აქაც: ტარიელისაგან ხატეთს შესვლა წინასწარ იპირობება: მხოლოდ მაშინ შევიდა, როცა სიმაგრენი ხელთ მისცეს, ხოლო ეს წინასწარობა და წინასწარობის შემდგომი დასკვნითი ფაქტი სიტყვიერად მაშინღა - ზნის-სართითაა გამოხატული.

ავილოთ ის ადგილი, სადაც ვეფხ-ლომთან ომგადახდილი ტარიელი უარს ამბობს ბრძოლაზე. ბევრი ღონე იღონა ავთანდილმა, ოქროგორმე გონს მოეყვანა ტარიელი, მაგრამ ვერას გახდა.

ხელითა ცრემლსა უწურავს, თვალთა ავლებდა სახელსა,
ახლოს უხის და უხახის მართ სახელდებით სახელსა;
ვტყვის: ვერ მიცნობ ავთანდილს, შენთვის გაჭირლსა და ხელსა?
და მას არა დია შევსმის რეტსა, თვალ დაუფანხლსა (871).

ესე ყველაი ასრეა, რაცა აწ ჩემგან თბრობილა.
ცრემლნი მოსწურნა თვალთაგან, ცოტადრე მოაცნობილა.
მაშინღა იცნა, აქოცა, მოვტლო, მოეძმობილა,
და ვიმოწმებ ღმერთსა ცხოველსა, მათებრივ არცინ შობილა (872).

მაშინღა - ზნისსართის ფუნქცია და ადგილი აქ ცხადზე უცხადესია!
კიდევ მაგალითი.

რა მოვა ჩემთვის განგება, ზეკით მოსრულნი ზენანი,
ღმერთი იწადებს, მომივლენ გულის საზმილთა ლხენანი;
მაშინღა მომხედენ მოკვდავსა მზისა ელვათა ფენანი,
და უმისყამიოდ ცუდია ჩემგან მიდაჟო რბენანი (1475).

და უკანასკნელიც:

რა გამისრულდენ ესენი ჩემნი გულისა ნებანი,
მაშინღა მოვალ არაბეთს, მომხედენ მის მზისა ზლებანი (479).

მაშასადამე, მაშინღა (ლა!) მხოლოდ პირობითი წინადადების ატრიბუტია, იგი იხმარება მხოლოდ მაშინ, როდესაც წინასწარ განსაზღვრული პირობა შესრულებულია, უმისოდ მისი ხმარება უადგილოა, უაზროა.

რა აძლევს აქ ზნისსართს პირობითობის ფუნქციას? და - ნაწილაკი. ამ მხრივ მაშინღასა და მაშინს შორის დიდი განსხვავებაა. მაშინღა მხოლოდ მაშინაა და არა თავისთავად მაშინ.

აქედან ცხადია:

რა მისჭირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა,
მაშინღა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა —

ერთი სინტაქსური ერთეულია, განუკვეთელია!

განუკვეთელივე სინტაქსური ერთეულია აგრეთვე

რა ვერღა მიხვდეს ქართულსა, დაუწყოს ლექსმან ძვირობა,
არ შეამოკლოს ქართული, არა ჰქმნას სიტყვა-მცირობა,
ხელმარჯვე სცემდეს ჩოგანსა, იხმაროს დიდი გმირობა.

აქ აღსანიშნავია შემდეგი გარემოება: დამოკიდებული წინადადების რა კავშირს არ გააჩნია მთავარში თავისი შესაფერი ფარდი სიტყვა დროის გარემოების ზმნისართი მაშინ.

უნდა ყოფილიყო:

რა ვერღა მიხვდეს ქართულსა, დაუწყოს ლექსმან ძვირობა,
'მაშინ' არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვა-მცირობა,

სწორედ ისე, როგორც ეს გვაქვს სხვა ანალოგიურ შემთხვევებში:

1. მაშინ რალა ვქმნა, ვერკერეტა რა მომხვდეს კვლა უგძესადრე (134).
2. რა შეგეყარო, მაშინ სცნა შენ ძღნობა ამისთანისა (428).
3. მაშა მაშინ რაგვარ დავრჩე, რა ლახვარი გულსა მებხოს (532).
4. მაშინ ლხინი ამო არის, რა გადბნდის კაცი ქირსა (1533).

და სხვა მრავალი.

მაგრამ არაა სავალდებულო, რომ კორელატები ყოველთვის თან იყოს, სახელდობრ, მაშინ, როცა საჭიროა ე. წ. უკავშირობა, განსაკუთრებული სისწრაფე, ექსპრესიულობა. ამის მაგალითებიც კიდევ უფრო მეტი გვაქვს ვეფხისტყაოსანში.


1. რა ვარდმან მისი ყვავილი, გაანზოს, დამქნაროსა,
იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა (35).
2. რა მეფედ დასმა მეფემან ბრძანა მისისა ქალისა,
ავთანდილს მიხვდა სიამე, ცსება სკირს მას აქ აღისა (42).
3. რა ფრიდონ უთხოა ავთანდილს ტარიას მოციქულობა,
მას გაეცინეს, გაღიმდა, ჰმევენოდა მზიარულობა (1473).
4. რა ფრიდონ ჰკადრა ტარიელს ესე სიტყვანი ყმისანი,
მან ბრძანა: მაგას არა ვიქმ, ამას არ უნდა მისანი (1480).

მაშასადამე, უკორელატობა არ შეიძლება ჩაითვალოს დამაბრკოლებელ მიზეზად, რომ „რა ვერღა მიხვდეს ქართულსა, დაუწყოს ლექსმან ძვირობა“ ვიცნოთ მთავარის „არ შეამოკლოს ქართული“, არა ქმნას „სიტყვა-მცირობა“-ს დამოკიდებულ წინადადებად.

რა გამოირკვა?

1. მოსაზრება, რომ ვეფხისტყაოსანში ყველა სტრიქონი, ყველა სტროფი შეკრულიაო, არაა სწორი: ხ შ ი რ ა დ ს ტ რ ი ქ ი ნ ი ს ტ რ ი ქ ი ნ შ ი « გ ა რ დ ა - მ ა გ ა ლ ი ა ».

2. არის შემთხვევებიც, როცა სტროფი სტროფში გადადის.



3. «გარდამავლობა» აკავშირებს მე-13—14 სტროფებსაც, სახელდობრ:

- ა. ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოცდის დიდი რბევა,
მობურთალსა მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა,
მართ აგრეთვე მელექსესა ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა

პარალელურად მიმდინარე, თანწყობილ წინადადებათა ერთი წყებაა;

- ბ. რა მისტირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა,
მაშინღა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა.

წინადადებათა მეორე წყებაა;

- გ. რა ვერღა მიხვდეს ქართულსა, დაუწყოს ლექსმან ძვირობა,
არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვა-მცირობა,
და ხელმარჯვედ სცემდეს ჩოგანსა, იხმაროს დიდი გვირობა.

წინადადებათა მესამე წყებაა.

მთლიანად ორი სტროფი ერთ სინტაქსურს, «გარდამავლობით» დაკავშირებულ ერთეულს წარმოადგენს.

4. თუ დატოვებ, ორივე უნდა დატოვო, თუ გამოგდებ, ორივე უნდა გამოგდო.

რომელიმე მათგანის დატოვება ან გამოგდება ცალ-ცალკე შეუძლებელია. უერთურთოდ თითოეული მათგანი გაუგებარია, წარმოუდგენელია.

5. ორივე ეს სტროფი უდიდესი ღირებულებისაა.

ისინი პოეზიის შესახები სტროფების მაუცილებელი ნაწილია და, ცხადია, რომელიმე მათგანის „გაძევებაზე“ ლაპარაკი შეუძლებელია.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ძველი ქართული ლიტერატურის
ისტორიის კათედრა

(მემოვიდა რედაქციაში 1947. V. 15).

ჟ. ლომთათიძე

ქვევის კატეგორიისათვის აუხაზურ ზმნაში¹

ქვევის კატეგორია დამახასიათებელი კატეგორიაა ქართველურ ენათა ზმნისათვის. იგი განმარტებულია, როგორც კუთვნილებითი დამოკიდებულების გამოხატვა სუბიექტ-ობიექტსა ან ობიექტ-ობიექტს შორის. ამდენად იგი ზმნის მრავალბირიანობას გულისხმობს². აუხაზურს ზმნაშიაც (და საერთოდ აუხაზურ-ადილგური ჯგუფის ენათა ზმნაშიაც), როგორც პოლიპერსონალურს ზმნაში, უნდა გვექონდეს მსგავსი კატეგორიის თავისებური სახე.

ქართველურ ენათა სათავისო ანუ სასუბიექტო ქვევას, როცა ეს ქვევის ფორმა გამოხატავს თავისაზე, საკუთარ რაზედმე (თავზე) მოქმედებას, აუხაზურში უდგება ჩა- („თავი“ ძენჟ) ელემენტით ნაწარმოები ფორმები.

მაგ.:

- სჩაგ-ს-შტედტ — თავს ვიკლავ (მეს-„თავს“-მე-ვკლავ = „თავისთავს“ ვკლავ)
- სჩაგ-ს-კაბოდტ — ტანს ვიბან (მეს-„თავს“-მე-ვბან = „თავისთავს“ ვბან)
- ლჩაგ-ლ-წიხტედტ — თავს იმალავს, იმალება (ის (დედაკ.) თავის„თავს“ მალავს) და სხვა.

მოქმედება ხდება სუბიექტისავე „მე“-ზე. კუთვნილებითი აფიქსი (ს, ლ...) აქ დაერთვის ჩა- რეფლექსურობის ელემენტს, რომელიც დღეს დამოუკიდებლად არაფერს აღნიშნავს. კუთვნილებით აფიქსად კი სწორედ ის ნიშანი შეიძლება იქნეს გამოყენებული, რაც სუბიექტადვე გვევლინება სათანადო ფორმაში. რატქმაუნდა, აღარ იქნება „ლჩაგ-ს-შტედტ“ („მის (დედაკ.)-თავს-ვკლავ“), არამედ დგ-ს-შტედტ — „მის (აღამ.)-მე-ვკლავ“ და სხვა³.

¹ წაკითხული იყო მოხსენებად საქ. სსრ მეცნ. აკადემიის აკად. ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტის კავკასიურ ენათა განყოფილების სხდომაზე 1943 წ. 23 დეკემბერს.

² ქვევის შესახებ ქართულში იხ. აკ. შანიძე: 1. ქართული ზმნის საქვევი—ტფ. სახელმწ. უნივერსიტ. მოამბე, ტ. VI, 1926 წ. 2. ქართული გრამატიკა I, მორფოლოგია, თბილისი 1930 წ., 3. ქართული გრამატიკის საფუძვლები, ნაკვეთი II, თბილისი, 1943 წ., გვ. 312—346. არნ. ჩიქობავა: 1. ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფილისი, 1936 წ. § 31, 32. 2. ზოგადი ენათმეცნიერება I, მეორე შევსება. გამოცემა. თბილისი, 1939 წ. § 58.

³ ნაწილობრივ ანალოგიური მდგომარეობა შეინიშნება აფს შარა („დასვენება“) ზმნაში, რომლის ერთ-ერთ ფუძისეულ ელემენტს აფსგ („სული“) სიტყვა უნდა წარმოადგენდეს. სჯსგ-



ზემოგანხილული ზმნები (ორპირიანი) გარდამავალი ზმნებია. აღნიშნულ ზმნათათვის, ერთი შეხედვით, შეიძლებოდა გაგვეთანაბრობინა სხეულის ნაწილთა თუ მთელ რიგ სხვა ელემენტთა შემცველი ზმნური წარმოებები, როგორცაა მაგალითად:

ი-ს-შიგ-ს-წოდტ — მას (რალაცას)-„მეს“-ტანს-„ვაცმევ“ = ტანთ ვიცმევ¹

ი-ს-ხა-ს-წოდტ — მას (რალაცას)-„მეს“-თავს-„ვარქმევ“ = თავზე ვიხურავ შდრ. ა ხ გ „თავი“.

ი-ს-შა-ს-წოდტ — მას (რალაცას)-„მეს“-ფეხს-„ვაცმევ“ = ფეხთ ვიცმევ. შდრ. ა შ ა პ ჯ „ფეხი“.

ი-ს-ჭა-ს-წოდტ — მას (რალაცას)-„მეს“-პირს-„ვღებ“ = „პირში“ ვიღებ = ვჭამ. შდრ. ა ჭ ა ჯ „პირი“.

ი-ს-ცე-ს-წოდტ — მას (რალაცას)-„მეს“-თან-„ვატან“ = თან (გა)ვიყოლებ² და სხვა.

მაგრამ აქ ისევე შეიძლება ის-შიგ-ს-წოდტ — „მეს“-ტანთ-ვაცმევ („ვიცმევ“), როგორც ილ-ში-გს-წოდტ „მას (დედაკ.)-ტანთ-ვაცმევ“; ილ-ჭა-ს-წოდტ — მას (დედაკ.) „ვაჭმევ“ და სხვა.

ამ რიგის წარმოებები მრავლად მოიპოვება აფხაზურში, მაგრამ მათი გაერთიანება ქცევის კატეგორიად გაჭირდებოდა. ამ შემთხვევაში უფრო ზნის ფუნქცია თავისებურ აგებულებასთან გვაქვს საქმე. აღნიშნულ ელემენტთა (ში-, ხა- და სხვა) გარეშე მოყვანილ ზმნათა მნიშვნელობები არც არსებობს, საყურადღებო კია მაინც, რომ ასეთ ფუნქციებში კუთვნილების განხილვა აუცილებელი ხდება.

ქცევის კატეგორიის ანუ სუბიექტ-ობიექტის ან ობიექტ-ობიექტის დამოკიდებულების მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს აფხაზურში ორი საპირისპირო ფორმა ზნისა: ერთია ზ-(ბზიფ. ზ₁) პრეფიქსით ნაწარმოები, მეორე კი — ცი-თი.

ორივე ამ აფიქსით ნაწარმოები ფორმები ქართულ შესატყვისში, როგორც წესი, ამა თუ იმ ქცევიან წარმოებებს გვაგარაუდებინებენ. ორივე აფიქსი ზმნაში ე. წ. ირიბი ობიექტის არსებობას გულისხმობს. ისინი მუდამ ირიბ ობიექტს ახლავან.


ზ- გამოხატავს ე. წ. პირდაპირი ობიექტის განკუთვნილებას ირიბი ობიექტისადმი (გარდამავალი სამპირიანი ზმნები) ან სუბიექტისა (და მისი მოქმედების) განკუთვნილებას ირიბი ობიექტისადმი (გარდამავალი ზმნები).

ს-წოდტ — ვისვენებ („მე“-ს-სულს-მე-„ვასვენებ“), ლგ-ფგ ლ-წოდტ — ის (დედაკ.) ისვენებს (თავის-სულს-ის (დედაკ.)-„ვასვენებს“) და სხვა. მაგრამ აქ მეორე ელემენტს — შა-ს დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვს. შდრ. ზემოთ შ „კვლა“ ზნის ძირი: დგ-ს-შ-ჟედტ — „მას (ადამ.) მე ვკვავ“.

ჩა-ს მაგიერ თითო-ოროლა შემთხვევაში შეიძლება ხ („თავი“-)ც იყოს გამოყენებული.

¹ ში ელემენტს (ა-ში-წარა = ტანტ-ჩაცმა) დამოუკიდებელი მნიშვნელობა დღეს აფხაზურში აღარ აქვს.

² დამოუკიდებელი მნიშვნელობით არც ც იხმარება.



მაგ.: გარდამავალი ზმნები:

- ი-ს-ზ-რხია მგვნიდა ხუჭუკ!¹ — აფსუა ბუზ². გვ. 99, — მომიზადე (ჩემთვის მოამზადე) ცოტა საგზალი!
- მოსკვანტი თემერ ი-ს-ზ-აადშოტიტ — თემერ. გვ. 138³ — მოსკოვიდან თემურმანის (რალა) გამომიგზავნა.
- სარა ისუზუზ სუბუ ი-ს-ზ-ნა-უდტ — აჟიაფყ. № 893⁴ — მე რაც დამემართა, ჩემმა ენამ მიყო.
- უხუ დ-ა-ზ-უჟა, ჟაღა ი-უ-ზ-იჟამ — იბ. № 62. რასაც შენს თავს შენ (მამაკ.), უყოფ (უზამ), მას მტერი არ გიზამს (გიყოფს).
- აცი აული ან-ა-ზ-ნარგა — „სჟიუბ“ — აჟიედტ; ხარს უღელი რომ მიუტანგა ან-ა-ზ-ნარგა — „სციუბ“ — აჟიედტ — იბ. № 357. ნეს, „ძროხა ვარო“ თქვა, საწველა რომ მიუტანეს. — „ხარი ვარო“ თქვა.

გარდაუვალი ზმნები:

- ადჰაბაცია ჰა-შიგ-ზ-გფშაუბ — თემერ, გვ. 205. უფროსები თქვენ გიყურებთ (თქვენ-თვის, თქვენდა ვიყურებით) = გელოდებით.
- დახა ისოუროუბ აფარაჟია. დღეს უნდა ვიშოვო ფულ(ებ)ი, ძალიან დაარა ს-ა-ზ-გაყყედეტ — იბ. გვ. 50. მჭირდება (სიტყვა-სიტყვით: მისთვის ვწუხვარ, „ვუწუხვარ“).
- აკაკან ზემწოუ არ აყნა კაკლის ხეს, რომლის ძირასაც კაკალი აჰიაჟია ა-ზ-ნედედეტ — აჟიაფყ. № 159. (ნიგოზი) ყრია, ღორები მისდის (მიუდის).
- აჟმა იმფსშაა ამაწი ა-ზ-ლაყიდეტ — იბ. № 327. არა-საკვდავ თხას შტო დაეხრება (მისთვის დაიხრება).
- ზთგძშია უზემდგრჟა აღ-გუჟ ჟა-ზ-მძგრუნ! — იბ. № 278. რისი ამბავიც არ იცი, მის ლანძღვას ნუ უსმენ (მის-თვის ნუ ისმენ)!
- დასუ იხარტ იცია დ-ა-ზ-აადგოუბ — აჟიაფყ. № 287. ყველას თავისი პერანგი თავის კანთან ახლოს აქვს (... კანისთვის ახლოს არის, ეახლოების), უახლოობს).
- ჟაგვ იჯაბაა ზღუ, იგიე ა-ზ-გბლდეტ — იბ. № 459. ადამიანს ჯათა რაზედაც მიუძღვის, გული მასზე ეწვის (... მისი გული მისთვის იწვის).

¹ აქაც და ქვევითაც საილუსტრაციო მასალა მოგვყავს ჩვენი ტრანსკრიფციით.

² დ. გულია, აფსუა ღუზშია. ავბატი აკლასს აზგ. 1935 წ.

³ ივ. პაპასკერ, თემერ, 1937.

⁴ დ. გულია, აჟიაფყაჟია... 1939. აქ ვუჩვენებთ ანდაზის ნომერს.



აჯმახჩა ილაბა და-ზ-წათან—ib. № 399. თხის მწყემსი თავის ჯოს¹ ეცქერებოდა
ბოდა („მისდა“ კითხულობდა)²
უხნაბეხარ, მხა-ნხგწიგ² ამჟ უ-ზ-ათეატ—ib. № 474. შენ (მამაკ.) თუ „გაქე-
ციანდები“, პირიქითეთი-
დანაც მოგვია (შენ-
თვის მოვია) მწერი.

და სხვა.

ამგვარი ფორმები ქართულში ზოგჯერ შეიძლება ითარგმნოს სათავისო
ქცევის ფორმითაც. ეს მაშინ მოხდება, თუ სუბიექტად და ირიბ ობიექტადაც
ერთი და იგივე პირი იქნება წარმოდგენილი ზმნაში. მაგ., ი-ს-ზ-ყა-ს-წოატ —
„მას (რალაცას) „მეს“-თვის მე-ვაკეთებ“ = „მას (რალაცას)-ვიკეთებ“; ი-ბ-ზ-გბ-
წიანტეატ — „მას (რალაცას)-შენ (დედაკ.)-თვის-შენ (დედაკ.)-ინახავ“ = „მას (რ-
ლაცას) შენთვის (დედაკ.) ინახავ („იმალავ“) და სხვა. მაგრამ როგორც სხვა
შემთხვევაში, ისე ამ შემთხვევაშიაც განკუთვნილება ირიბი ობიექტისადმი
მიმართული. ამდენადვე, აღნიშნული ფორმები შეგვეძლო მხოლოდ ე. წ. სასხვისო
ანუ საობიექტო ქცევის ფორმებად გავგვეგო.

ეს ზ- ელემენტი ზმნას მასდარშიაც ახლავს, მაგ., აზყაწარა = „თვის-
კეთება“, ა-ზ-ფშარა = „თვის-ყურება“ = „ლოდინი“, ა-ზ- წარა = „ე-კითხვა
(თვის-კითხვა) და სხვა.

რიგი გარდაუვალა ზმნებისათვის კი იგი ფუძის მიუცილებელ ელემენტა-
დაც გვევლინება, ასეთი ზმნებია: აზწარა „ზრდა“ („თვის-მატება“), აზწარა
„კლება“ („თვის-მცირება“), აზწარა „ყოფნა“, კმარება („თვის-რჩენა“)...

მაგ.:

აბაათსგ ძარა იბაათსრა იზხოუბ, ცუდს თავისი სიცუდე „ეყოფის“
წარა უჩაილაუმგალან! — აჟიაფყ. № 741. (მისთვის-კმაობს), შენ შენს თავს
ნულარ შეურთავ!

აფშაქა დგშაწიგ² იზჰათეატ—ib. № 776. ბავშვი ტირილში იზრდება (ბავშვს
ტირილში ემატება, ...მისთვის
„მატულობს“).


აჯმა აწეხა ედფშა ეგ²აწწომ, თხის კუდივით არც „ეკლების“
ეგ²აზჰათამ—ib. № 897. არც „ემატების“.

იმ ზმნებში, რომელთა ფუძესთანაც ასეთი მჭიდრო კავშირი აქვს სხენებულ
აფიქსს, შესაძლოა იგი ორჯერაც შეგვხვდეს. ამ ნიადაგზე გვაქვს, მაგალითად, ასეთი
ფორმა უსგზგაწაა! — „შენ (მამაკ.)-ჩემთვის-მისად (მამაკ.)-იკითხე“ და სხვა¹.

ეს ზ-(ბზიფ. ზ₁) იგივე ელემენტიცა, რაც „-თვის“ თანდებულად გამოყენე-
ბული ზ ელემენტი სახელებში². თუ იგივე ზ სახელს დაერთო თავისი კუთვნი-
ლებითი ნაწილაკითურთ, მაშინ ზმნაში აღარ იქნება წარმოდგენილი და ზმნა-
საც ერთი პირი (ირიბი ობიექტის პირი) დააკლდება.

¹ რათქმაუნდა, ზ-ს თუნდაც ორჯერ გამოყენება სათანადო პირის აფიქსებით, ზმნის
გარდამავლად გადაქცევას ვერ გამოიწვევს.

² იგი თავს იჩენს ზმნის სხვა კატეგორიებშიაც.



მაგ.:

ადიგ იზე იყა წა, უხაზე იწა! — აჟიაფყ. № 108. „სხვისთვის (ვისთვის) გააკეთე, შენი თავისთვის ისწავლე!“ და სხვა¹.

შეიძლება ითქვას, რომ ზ- ზმნებისათვის (განსაკუთრებით გარდაუვალი ზმნებისათვის) უფროა დამახასიათებელი, ვიდრე სახელებისათვის.

ადილეურ ენათაგან, აფხაზური ზ-ს ადგილას ქვ.-ადილეური ენის ზმნაში გვხვდება ჭ-, ყაბარდ. ენის ზმნაში კი — ‘ხო-².

მაგ.:

ქვ.-ადილ. კვ-ს-ჭ-ტბთ'ხე }
ყაბ. ყვ-ს-‘ხო-ტოთ'ხ } შენ-ჩემთვის-წერ = შენ-მე-მიწერ (რასმე).

აფხაზურს ზმნაში ზ- (და ადილეური ენების ზმნაში ჭ-, ‘ხო-) გამოხატავს პირდაპირი ობიექტის ან გარდაუვალი ზმნის სუბიექტის (ან მისი მოქმედების) განკუთვნილებას ირიბი ობიექტისადმი.

ამდენადვე, აქ ერთგვარი „იქითკენი“ „ირიბი ობიექტისკენი“ მიმართულების მომენტიცაა გამოხატული.

არსებითად საწინააღმდეგო მნიშვნელობას იძლევა მეორე ცი- აფიქსით ნაწარმოები ფორმები. თუ ზ-ს შემთხვევაში ირიბი ობიექტისადმი განკუთვნილებასთან გვექნდა საქმე, აქ, პირიქით, ის, რაც ირიბ ობიექტს განეკუთვნებოდა, უკუ-განიმართება, უკუ-იქცევა ირიბი ობიექტისაგან.

მაგ.:

გარდამავალი ზმნები:

ფჰაესკ ლწკვ არახეცუ ქალი ვილაც თავის კაბას ძაფს ჰპარავდა
ა-ცი-გლძონ — აჟიაფყ. № 396. („უპარავდა“, ... მისგან იპარავდა).

ასას ი-ციგ-უწიახეზ რაც სტუმარს დაუმაღე (რაც სტუმრისაგან დამაღე), ეშმაკისაა.

სარგ გეჟვკ ახშაარა სემან, ახა მეც შეიდი შეილი მყავდა! მეგრამ მან
ზეგ ს-ცი-აჟიფტ — აფს. ლაკი. გვ. 29. (რალაცამ) ყველა შემიჭამა.

სგსაბიცია სგზნეჟიგარგმ, ამლა, ახთა ჩემს ბაღებს ვერ მოვუფლი, სიმშილი,
ი-ს-ცი-ა-გაპ-ჰია — თემგრ, გვ. 229. სიცივე „წამიღებს“ (ჩემგან წაიყვანს) = „ნომიკლავს“.

რაბჯარქია... ი-რ-ციგ-რ ვონ — აჟიაბჟ კაჰა. გვ. 169³. მათ აზჯარს ... ართ-
მეგდნენ, „წულებ-
დნენ“ (მათგან მი-
ჰქონდათ). და სხვა.

¹ იხ. ავ. შანიძე, პირის ნიშანი ბრუნვიან სიტყვასთან ქართველურ ენებში: თბ. სახელმწ. უნივერსიტეტის შრომები, I, 1936, გვ. 335.
² შდრ. G. Dumézil, Études comparatives sur les langues caucasiennes du Nord Ouest (Morphologie). Paris, 1932, გვ. 201.
³ დ. გულია, აჟიაბჟ კაჰაჰია, სოხუმი, 1942.



გარდაუვალი ზმნები:

- ბაშა ი-ცო-ძტ იპაქია — ib. გვ. 24. მას (მამაკ.) ტყუილ-უბრალოდ დაეჭვება თავისი ღორები. (შდრ. აქედან სახელი აცოძ დანაკარგი „ვისგანმე“).
- დასგიალაშიედტ... ბნალა მომაგონდა ჩემი ვაცი („საკლავი“), რომე-
 ი-სგ-ცო-თახა სგშტა — ib. გვ. 16. ლიც ტყეში ჩამელუპა („ჩამირჩა“).
 აპყაჷ ჰია ავზე ს-ლგ-ცო-დიგლ- სახლიდან გამოვუყარდი მას (დედაკ.) =
 ყრედტ — ib. გვ. 167. გავეჭეცი (მისგან გავყარდი, გავეჭეცი).
- აბნი ახრა ედფშა იყოუ, ხახ ასეთი კლდე რომაა,
 აჭაა იქიგვლანგ ახაპი, ამქაჷ ზემოთ ხალხი რომ
 ზეგზ შაიგიდგრწო დგ-რ-ცოგ-ხინოდტ — აფს. ლაკი. გვ. 37. დგას და ქვას, ხეს ყვე-
 ლა რომ ესვრის მას
 (მამაკ.) იგი (ადამ.)
 მათ-ზემოთ-აუვა
 (... მათგან წავა,
 მათ წაუვა და ზე-
 ვით ავა).
- აპ იმაპი ილიწაზ იცოგ-ხ-ამთგრახტ. — ib. გვ. 58. ბატონმა თავის სიძეს რაც და-
 ვალა მას (მამაკ.) ემძიმა („დაუ-
 მძიმა“).
- უს იშაკოზ ი-რ-ცოგ-ლაშცედტ — ib. გვ. 65. ისინი ასე რომ მიდიოდნენ, და უ-
 ლამდათ.
- აჭალჰაიცია ახგ რცო-აწიანტედტ — აფს. ბზ. გვ. 95. იგი (რალაც) მევალებს ემა-
 ლება (მათგან თავის
 თავს მალავს).
- აბა რგ-ცო-თაჰადტ აძგ... — ib. მათ ფართალი ჩაუყარდათ წყალში (მათგან
 ჩავარდა).
- აფსგძ რზემკკია ი-რ-ცო-ცედტ — ib. თევზი დაუჭერლად წაუვიდათ (მათ-
 გან წავიდა).
- არ ი-რ-ცოგ-ნხაზ ბაკირა იგედტ — აჟიფყ. № 580. რაც ჯარს გადარჩა (გადა-
 ურჩა), ბაკურამ წაიღო.
- ცო-ც, ისევე როგორც ზ-, მასდარის ფორმასაც აქვს. აცოცარა, აცო-
 გნხარა და სხვ. განსაკუთრებით ორგანული ჩანს იგი გარდაუვალი ზმნებისა-
 თვის, როგორცაა: შეშინება (მისგან), შერცხვენა (მისგან), შეწყრომა, შეზა-
 რება, დაზარება და სხვ.
- მაგ.:
- აცჰა და-ცო-ააშაზ დაწნაგედტ — ib. № 306. ვინც ხიდს დაუზარდა (ვისაც
 ხიდთან მოსვლა დაეზარა),
 ქვეშ გაატარა [წყალმა].
- აბლედ აბლედ ემ-ცოგ-ფხაშოდტ — ib. № 77. თვალსა და თვალს ერთმანეთის
 „ერცხვინებათ“ (ერთმანე-
 თისგან რცხვინათ).

აელგრტი ამში ანიცა ილორელს რომ დათემა უკბინა, კილოლ-
 ქლოუა დ-რგ-ცო-გულშაჟან — ib. № 199. ელებს უწყრებოდა („შესწავლა“)
 აფსრა დ-ა-ცო-შიაზ, აჟაა სიკვდილს ვინც და უშინდა
 შაგბზაზ დაზგრჟაუაზ დნეძტ — აჟიაჟუ. № 308. (ვისაც სიკვდილისაგან შეე-
 შინდა)¹, ხალხს ცოცხლად რომ
 ასაფლავებდნენ [იქ] მივიდა.
 და სხვა.

შეიძლება სამპირიანიც შეგვხვდეს ასეთი გარდაუვალი ზმნა.

მაგ.:

ლაბგ ლარა დღლვგზოუბ, იშაესთახძამეზ
 ავჯავგ აკოლხოზ ი-ს-ცო-ა-ლაღეძტ — ლპიეძტ სელმა — თემერ, გვ. 168 —
 მამამისიც მისი (დედაკ.) მსგავსია. მე არ მინდოდა რა, ორივენი კოლ-
 მეურნეობაში „შემივიდნენ“ თქვა სელმამ. და სხვა.

ცო-ც, როგორც ირიბ ობიექტთან დაკავშირებული აფიქსი, სასხვისო ქცე-
 ვის გაგებას იძლევა².

როგორც ზ-თი, ისე ცო-თი ნაწარმოები ქვევის ფორმები სასხვისო ქცევის
 ქმნიან. საგულისხმოა, რომ მათ განსხვავებული მნიშვნელობა აქვთ.

ქართულიდან ვიცით ერთი და იმავე ქვევის ფორმის ორი მნიშვნელობით
 გამოყენება: ვუკლავ იმასაც ნიშნავს, რომ „მისთვის ვკლავ“ და იმასაც, რომ
 „მისას ვკლავ“. აფხაზურში ამისათვის ორი განსხვავებული ფორმა გვაქვს: პირ-
 ველს ზ-თი წარმოება შეეფერება, მეორეს — ცო-თი.

მაგ.:

ილზგრშუეძტ — მას (რალაც) მისთვის (დედაკ.) კლავენ = უკლავენ
 ილცოგრშუეძტ — მას (რალაც.) მისას (დედაკ.) კლავენ = უკლავენ³ [მისგან].

ამდენადვე, თითქოს ზ- აფიქსიან ფორმებს შეეფერება ირიბი ობიექტისა-
 თვის სასარგებლო, ხოლო ცო- აფიქსიან ფორმებს — ირიბი ობიექტის ნება-
 სურვილის საწინააღმდეგო, საზიანო მოქმედებაც. თუმცა ყოველთვის ასეთი
 გაგება შეიძლება ვერ მივიღოთ, მაგ., რომელიმე ისგზნაუაძტ - ფორმაში
 (სარა ისგზ-ზზ სეზზ ისგზნაუაძტ — „მე რაც დამემართა ჩემმა ენამ მიყო“)
 შეიძლება სარგებლობის მომენტთან აღარ გვეკონდეს საქმე⁴.

¹ შდრ. ქართულში სათანადო აგებულების „მისგან მეშინის“.

² მით უმეტეს, რომ სათანადო წარმოებისათვის არაა დამახასიათებელი სუბიექტადაც
 და ირიბ ობიექტადაც ერთი და იგივე პირი იყოს.

³ ასეთი საპირისპირო ფორმები დასტურდება ადიღეურშიაც. აფხაზური ცო-ს ადგილას
 გვაქვს ს₁₀ (ქვემო-ადიღ.), ჭ (ყაბარდ.).

მაგ., ქვ.-ადიღ. ს-ს₁₀-აშუგ — „მიკლავს“ = „ჩემსას კლავს“ და სხვა.

⁴ გულუბრყვილოდ გვეჩვენება გ. ტ უ რ ჩ ა ნ ი ნ ო ვ ი ს მსჯელობა ყაბარდოული ენის
 ანალოგიური წარმოებების შესახებ. პირველ შემთხვევაში, როცა მოქმედება პირის (?) სასარ-

აღნიშნულს საპირისპირო ფორმებში კუთვნილების მომენტთან ერთად შედარდება ვარკვეული მიმართულებაც. როცა ზ-აფიქსი გვაქვს ზმინაში გამოხატულია „იქითკენი“, „ირიბი ობიექტისკენი“ მიმართულება; პირდაპირი ობიექტის ან გარდაუვალ ზმინათა სუბიექტის ირიბი ობიექტისად მიქცევა. ცი-ს შემთხვევაში კი — „აქითკენი“ „ირიბი ობიექტიანი“ მომართულება; პირდაპირი ობიექტის ან გარდაუვალ ზმინათა სუბიექტის ირიბი ობიექტის საწინააღმდეგოდ, ირიბი ობიექტისაგან მოქცევა, უკუ-ქცევა.

ასეთი მიმართულებითი დაპირისპირება ნათლად ჩანს შემდეგ ფორმებში:

ა-ა-ზ-ააგეოჟუბ — „ეახლოება“. იგი (რალაც)-მის-თვის (რალაცისთვის) ახლოობს (... მისკენ, მისდა ახლოობს; „უახლოობს“).

ა-ა-ციგ-ხაროჟუბ — „ეშორება“. იგი (რალაც)-მის-გან (რალაცისაგან)-შორავს „ეშორავს“.

ან:

ი-ს-ზ-ააგეფეტ — ის (რალაც)-ჩემთვის-მან (მამაკ.)-მოიტანა. შდრ. ძვ. ქართ. მომილო.

ი-ს-ციგ-აგეფეტ — ის (რალაც)-ჩემგან-მან (მამაკ.)-წაიღო. შდრ. ძვ. ქართ. „წარნილო“, მიმილო. და სხვა.

დიუმეზილს ამ ელემენტთა ასეთი დაპირისპირებული მნიშვნელობა არ ესმის და თითქმის ერთნაირადც თარგმნის მათ. ცი-ს ფუნქციას ფრანგულად ჩვეულებრივ „à“ ელემენტით გადმოსცემს, თუმცა კი ზენიშნავს à-ს მეტად ფართო გაგება აქვს¹.


დიუმეზილს აქვს აღნიშნული, რომ ეგვევ ცი- გვხვდება ამავე მნიშვნელობით უბიხურშიაც. იგი გაუბედავად სვამს კითხვას, ხომ არ არის ეს ივევე ცაა, რაც უბიხურში „სახლს“ ნიშნავს და აქედან ხომ არ შეიძლებოდა მიგვეღო ფრანგ. „chez“-ისა და შემდეგ ფრანგ. à-ს მნიშვნელობა².

სახლ - სიტყვასთან დაკავშირებით მართლაც შეიძლება მივიღოთ მსგავსი გაგება (შდრ. აფხ. დ-ზნა-რგეფეტ — „ის (აღამ.) შიგ (სახლში) შეიყვანეს“; დგ-ზნგ-წიჭ — „ის (აღამ.) შიგნიდან (სახლიდან) გამოვიდა“ და სხვა), მაგრამ ასეთი ვარაუდი წინასწარ მოითხოვს იმის დამტკიცებასაც, რომ ცი- აფხაზურში უბიხური ეტიმოლოგიის მქონეა (შეთვისებულია უბიხურიდან), ან კიდევ, რომ სახლ - სიტყვა აფხაზურშიაც უბიხურის მსგავს სახეს ატარებდა.

გებლოდ ზდება და აფიქსი გვაქვს ზი, ამოსავალი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო „თეთრი, ნათელი“ — ცნებისა, ხოლო მეორე შემთხვევაში, როცა მოქმედება ზდება პირის (?) საზიანოდ მისი ნების წინააღმდეგ და აფიქსი გვაქვს ჭი, ამოსავალი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო შავი, ბნელი — ცნებისა. (იხ. ტურჩანინოვი და ცაღია, Грамматика кабардинского языка, 1940, § 151, გვ. 86—87).

¹ იხ. მისი, Études... გვ. 199.

² იქვე.



ცო-ს ისტორიის რკვევისას ყურადღებას მიიქცევს სათანადო აღიარებული მასალა. აფხაზურ-უბიხური ცო- ელემენტის როგორც მორფოლოგიური, ისე ფონეტიკური შესატყვისი ჩანს ქვემო-აღიღვეური მკვეთრი ლაბიალიზებული სპირანტი ს₁₀ (რომლისგანაც მომდინარეობს ყაბ. ჭ). ასეთი შესატყვისობის სხვა შემთხვევებიც დასტურდება ამ ენათა შორის¹.

აფხაზ. ცო-, შესაძლოა, უკავშირდებოდეს აფხაზურშივე იშვიათად ხმარებულ ცოზრ- წინდებულს, რომელსაც სათანადო ზმნებთან ქართული „გარეთ“ ზმნისართის მნიშვნელობა შეეფერება.

მაგ.:

ცოგა აჩააწიახტამ, ბზია ცოზრ-წტამ—აჟიაფყ. № 875. ცული არ დაიმალება (თავს არ დაიმაღავს), კარგი არ გამომჟღავნდება, არ გამოჩნდება.

ა-ცოზრ-წრა — გარეთ გამოსვლა (გამომჟღავნება, გამოჩენა).

ა-ცოზრ-გარა — გარეთ გამოტანა (გამოჟენა). და სხვა.

მისი (ცო-ს) ამოსავალი მნიშვნელობა კი საძიებელია.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კავკასიურ ენათა კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1947. V. 10).

¹ იხ. ავტორისავე: Об одной фонетической закономерности в абхазско-абазинских диалектах — Сообщения Акад. Наук Груз. ССР. ტ. III, № 8, 1942, გვ. 865.

სიმ. შაუხიშვილი

ბერძნულ-ქართული სემასიური პარალელები

4. რომელი*

1. ნაცვალსახელი „რომელი“, „რომელიც(ა)“, „რომელიმე“, „რომელი-
ლაც(ა)“ მიჩნეულია კითხვით, მიმართებით და განუსაზღვრელობით ნაცვალ-
სახელად.

ნ. მარი იცნობს ძველი ქართულისათვის მხოლოდ მიმართებითსა და
განუსაზღვრელობითს სახეებს: „Относительное местоимение: რომელი
который ... Неопределенные местоимения образуются от вопроситель-
ных, относительных и качественных с помощью частицы -მე: ვინმე,
რაიმე, რომელიმე (некоторый), ვითარიმე“¹.

აკ. შანიძე წერს: კითხვითი ნაცვალსახელების ჯგუფი „გამოხატავს
კითხვას: ვინ? რა? რომელი?...“ ხოლო მიმართებითი „ჯგუფის სიტყვები
ნაწარმოებია კითხვით სახელთნაცვალთაგან ც ნაწილაკის დართვით, რომელიც
მათ კითხვის ძალას უკარგავს და მიმართებითად აქცევს: ვინც, რაც, რომე-
ლიც“... უკეთუ იმავე ნაცვალსახელებს დაუერთავენ მე ნაწილაკს, ან ღაც || ღაცა
ნაწილაკებს, მივიღებთ განუსაზღვრელობითს ნაცვალსახელებსო².

დ. ჩუბინაშვილი იცნობს მხოლოდ ორ სახეს: კითხვითსა („რომელი“)
და განუსაზღვრელობითს („რომელიმე“)³.

დ. კარიჭაშვილის მიხედვით არსებობს კითხვითი ნაცვალსახელი
„რომელი“ და „რომელიდა“ და განუსაზღვრელი ნაცვალსახელი „რომელიმე“
და „რომელიდაც(ა)“. რაც შეეხება მიმართებითს, იგი მას უწოდებს მაკავში-
რებელს და ამბობს: „მაკავშირებელი ნაცვალსახელები, რომელნიც არიან

* წაკითხულია მოხსენებად კლასიკური ფილოლოგიის კათედრის ღია სხდომაზე 1947
წლის მაისში. ამ სერიის პირველი სამი ნარკვევი იხ. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება
ტ. I, თბ. 1946.

¹ Н. Марр, Грамматика древне-литературного грузинского языка. Л. 1925,
стр. 103—105.

² აკ. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, ნაკვ. I, თბ. 1942, გვ. 41—42.
იგივეა განმეორებული მის სასკოლო გრამატიკაშიც (თბ. 1946, გვ. 51).

³ დ. ჩუბინაშვილი, ქართული ღრამატიკა, გვ. XI (ქართულ-რუსული ლექსიკონი,
1887).

იგივე კითხვითი ნაცვალსახელები ბოლოში დართვით ნაწილაკისა ც(ა)...¹
ხოლო ნიმუშად დასახელებულია მხოლოდ რაც(ა)¹.

ზემოთ მოხსენებულ მკვლევართა აზრი ასე შეიძლება ჩამოვყალიბოთ:

1) ნ. მარის მიერ ძველი ქართულისათვის მხოლოდ ორი სახეა ნავარაუ-
დები: მიმართებითი „რომელი“ (который) და განუსაზღვრელობითი „რომე-
ლიმე“ (некоторый).

2) ახალი ქართულისათვის დ. ჩუბინაშვილს სრულიად გამოუტოვებია
მიმართებითი ნაცვალსახელი „რომელიც“.

3) შედარებით სრულად აქვთ დახასიათებული საქმის ვითარება დ. კარი-
ჭაშვილსა და ა. შანიძეს. თუმცა აკ. შანიძე თავისი „ქართული გრამატიკის
საფუძვლებში“ ხშირად ითვალისწინებს ძველი ქართულის მოვლენებსაც, მაგრამ
აქ, ჩვენს შემთხვევაში, მხოლოდ ახალს ქართულში ხმარებულ ფორმებზეა ლაპა-
რაკი. როდესაც ის ლაპარაკობს მიმართებითს ნაცვალსახელზე „რომელიცა“,
მხედველობაში აქვს, უთუოდ, ის გარემოება, რომ „რომელიც(ა)“ იხმარება გან-
საზღვრებითს დამოკიდებულ წინადადებაში: «დაბნელებულ სენაში, რომელ-
საც ოდნავ ანათებდა მბეჭუტავი კვარი, კასრებსა და ქილებს შუა იჯდა პატარ-
ძალია»².

აკ. შანიძეს მოეპოვება აგრეთვე შრომა „ძველი ქართული ენა (მოკლე
მიმოხილვა)“³, მაგრამ აქ ნაცვალსახელზე „რომელი“ არაფერი აქვს ნათქვამი.
სამაგიეროდ, სპეციალურს ნარკვევში „გიორგი მთაწმიდლის ენა“, ლექსიკონში
(ს. ვ. იგი) ამბობს: „იგი — (ნაწილაკი) [=ც, ცა] რაი-იგი რაც; რომელი-იგი;
რომელმან-იგი; რომელნი-იგი; რომელთა-იგი“⁴. ამით, მაშასადამე, აკ. შანიძე
ადგენს აქამდე გაუთვალისწინებელ ფაქტს, რომ „იგი“, მიმატებული ნაცვალსა-
ხელს „რომელი“, უდრის თანამედროვე ქართულის -ც(ა) ნაწილაკს, ე. ი. „რო-
მელი-იგი“ არის „რომელიცა“, და ამგვარადვე სხვებიც: რომელმანცა, რომელ-
ნიცა, რომელთაცა.

ამგვარად, თუ ახალს ქართულში მიმართებითი სახე ჩვენი ნაცვალსახელისა-
არის „რომელიც(ა)“, ძველს ქართულში მას უდრის „რომელი“⁵ (ეს კი ახალ
ქართულში მხოლოდ კითხვითი ნაცვალსახელია) და „რომელი-იგი“. მაგრამ
მკვლევართ გამორჩათ მხედველობიდან ის, რომ მიმართებით ნაცვალსახელად
მიჩნეული სახე გვაქვს ძველს ქართულში -ცა ნაწილაკითაც (მაგალითად, გამო-
თქმაში „რომლისათვისცა“ და აგრეთვე „რომელიცა“⁶).

¹ დ. კარიჭაშვილი, ქართული ენის გრამატიკა. ეტიმოლოგია. თბ. 1930, გვ. გვ. 42,
43, 44, 46. თ. ყორღანაძე ასევე ასხვევებს კითხვითს („რომელი“), განუსაზღვრელს („რომე-
ლიმე“), განსაზღვრულს („რომელიდაცა ანუ რომელიცა“) და კვლავ მოლებით („რომელი“,
ე. ი. მიმართებით) ფორმებს: „ქართული გრამატიკა“, თბ. 1899, გვ. 118—119.

² აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა (სასკოლო გამოცემა), თბ. 1946, გვ. 156—157.

³ გამოცემაში „ძველი ქართული ენა და ლიტერატურა“ (თბ. 1934).

⁴ ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმესი. თბილისი 1946, გვ. 106.

⁵ მაგალითად, გამოთქმა «მსგავს არს ყრმათა, რომელნი სხენედ უბანთა» (მათე 11, 16)

ახალი ქართულით იქნებოდა: „მსგავსება ბავშვებს, რომელნიც სხედან ქუჩაში“.

⁶ «და ესრეთ იჯმნა მეფეთაგან და რომლითაცა სახითა კურაპალატსა წინაშე მიიწია
თორნიკ» (ცხ. იოვ. და ეფთჳმესი, თავი 19, 4; გამოცემა 1946 წლისა); «მოუწოდა მოწაფეთა

ასეთია საქმის ვითარება „რომელი“ ნაცვალსახელის შესახებ დღეს არსებული სამეცნიერო ლიტერატურაში.

ჩვენ მიერ წარმოებული კვლევა-ძიებით დასტურდება კიდევ ახალი სახე ნაცვალსახელისა „რომელი“ სახელღობრ, ნაცვალსახელი „რომელი“, მსგავსად ბერძნული ნაცვალსახელისა *ἄ* და ლათინური ნაცვალსახელისა *qui*, იხმარება აგრეთვე ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუნქციითაც.

2. ცნობილია, რომ ბერძნული ნაცვალსახელი *ἄ*, *ἦ*, *ὅ* იხმარება როგორც შიშართებითი („რომელი“, „რომელიც“), ისე ჩვენებითი („იგი“, „ეს“) ფუნქციით. მასობრივი ხმარებისა *ἄ* როგორც მიმართებითი ნაცვალსახელი, რომლითაც იწყება ხოლმე დამოკიდებული განსაზღვრებითი წინადადება („რომელიც...“). მაგრამ მისი ხმარება როგორც ჩვენებითი ნაცვალსახელისა ცნობილია უკვე ჰომეროსის დროიდან, მაგალითად:

1) მენელაოსის შესახებ „ოდისეაში“ (I, 286) ნათქვამია: *ἄ γὰρ δὲσῆταίς ἦλθε Ἄχαιῶν χαλκιοχίτωνῶν* „სპილენძის-აბჯროსან აქაველთაგან იგი ყველაზე გვიან დაბრუნდა შინ“.

2) მკ 15, 23: *καὶ ἐνδύσῃ αὐτὴ δέμαρναυχίτων. οὐκ οὐκ. ἄ δὲ οὐκ ἔλαβεν* «და მისცეს მას სუმუროვანი ღვინო, და მან არა მიიღო».

3) ინ 5, 11: *ἄ δὲ δὲ ἀπαρχίῃ αὐτοῖς* «ხოლო მან მიუგო და ჰრქუა მათ».

4) ჩვეულებრივია გამოთქმა *ἦ δὲ ἄ* „თქვა მან“ (პლატონის „სიმპოსიონში“ იხმარება ხშირად).

5) ჩვეულებრივია აგრეთვე გამოთქმაც *καὶ ἄ* „ისიც“¹.

აქ მოყვანილი 2. და 3. მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ ძველ ქართველ მთარგმნელსაც კარგად ესმოდა *ἄ*-ის მნიშვნელობა როგორც ჩვენებითი ნაცვალსახელისა.

3. ქვემოთ ჩვენ მოგვყავს ძველი ქართული ძეგლებიდან რამდენიმე მაგალითი იმისა, რომ „რომელი“, გარდა მისი ჩვეულებრივი მიმართებითი მნიშვნელობისა, ჩვენებითი ნაცვალსახელის („იგი“, „ეს“) მნიშვნელობითაც იხმარებოდა. რამდენადაც აქამდე „რომელი“ მიმართებით ნაცვალსახელად იყო მიჩნეული, ტექსტთა გამოცემებშიაც ხშირად ის ნავარაუდევია იყო განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების დამწყებ კავშირად და მის წინ სასვენ ნიშნად მძიმე იწერებოდა ხოლმე. თუ ჩვენ მიერ მართებულად არის დადგენილი „რომელი“-ს მნიშვნელობა, ამ შემთხვევაში როგორც ჩვენებითი ნაცვალსახელისა, სასვენ ნიშნად მის წინ წერტილს დავწერთ.

თვსთა და განორჩინა ათორმეტნი მათგანნი, რომელითაცა მოციქულ უწოდა» (ლუკა 6, 13); «...ლოცვათა თქუენთა, რომელითაცა-ესე ღირს ვიქმენ მე მიმთხუევად» (იოანე საბანის ძე 55, 35); «...ქალაქსა მას დიდსა ბაღდათს, რომელიცა-იგი მან აღაშშნა» (იქვე, 63, 9).

¹ იხ. C. Brugmann³, Gr. Grammatik, გვ. 282; Fr. Blass³, Grammatik des neutestamentlichen Griechisch, გვ. 143, § 251; W. Bauer, Griechisch-Deutsches Wörterbuch zu den Schriften des Neuen Testaments. Giessen 1928, გვ. 930. ბერძნულის მსგავსად ლათინურაც ხმარობს ნაცვალსახელს *qui* ჩვენებითი მნიშვნელობითაც („იგი“, „ეს“). შეად. ციცერონის გამოთქმა: *quae cum ita sint...* „რადგანაც ეს ასეა...“.

1) «და სიმონს ეტყოდა: ხედავა ამას დედაკაცსა? შემოვედ სახლსა შენსა წყალი ფერკთა ჩემთა არა მეც, ხოლო ამან ცრემლითა დაალტვნა ფერკნი ჩემნი და თმითა თვისითა წარმოცნა; ... ხეთი თავსა ჩემსა არა მცხე, ხოლო ამან ნელსაცხებელი მცხო მე. რომლისა მადლისათვის (ὁν γάρ) გეტყვ შენ: მიეტყვენენ მაგას ცოდვანი მაგისნი მრავალნი...» (ლუკა 7, 47).

„რომლისა მადლისათვის“ ნიშნავს „ამის გულისთვის“, „ამიტომ“. ბერძნულ დედანშიაც ონ ჩვენებითი ნაცვალსახელია და არა მიმართებითი¹.

2) «და იესუ წარვიდა მათ თანა: ხოლო თავადი ვითარ მიახლებულ იყო სახლსა მას, მოავლინა ასისთავმან მან მეგობარნი და ჰრქუა მას: უფალო, ნუ მოშურები, რამეთუ არა ვარ ღირს, რაჟთა სართულსა სახლისა ჩემისასა შემოხვდე. რომლისაგან არცა თავი ჩემი ღირს მიჩნდა მისლვად შენდა» (ლუკა 7, 7: *ὁὐδὲ ἐμοὶ ἄξιόν ἐστιν ἵνα εἰσέλθω εἰς τὸ οἶκόν σου*).

„რომლისაგან“ აქ ნიშნავს „ამის გამო“, „ამიტომ“. ბერძნულში ნახმარი *ὁὐδὲ* ხომ შედგება ორი სიტყვისაგან: *ὁὐδὲ* ὅ („ამის გამო“)².

3) დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გელათის მონასტრისა და აკადემიის დარსების შესახებ მოთხრობას ასე დასკვნის: «... და კუალად გვრგვნნი და მანიაკნი, ფიალნი და სასუმეღნი, რომელნი³ მოუხუნა მეფეთა არაბეთისათა, ... მასვე ტაძარსა შინა შეწირნა», «მუნვე შემოკრიბნა კაცნი პატრიოსანნი ცხორებითა და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა», «და მამული ღიპარიტეთი უმკვდროდ დარჩომილ იყო, არამედ სხუათა მრავალთა და სამართლიანთა უსარჩლელ-მიუხუჭველთა სოფლებთა თანა მისცნა დედასა ღმრთისასა, სამსახურებელნი წინაშე მდგომელთა მისთათვის, და უზრუნველი ტრაპეზი განუჩინა. რომელიცა აწ წინამდებარე არს ყოვლისა აღმოსავალისა მეორედ იერუსალიმად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულობისად, სხუად ათინად...».

ცხადია, აქ რომელიცა განსაზღვრებითი წინადადების კავშირი არ შეიძლება იყვეს, ვინაიდან მას ვერც „ტრაპეზის“ განსაზღვრას დავაკისრებთ, და ვერც „მამული ღიპარიტეთი“-სას. ეს „რომელიცა“ ეკუთვნის გელათს: ისტორიკოსს დასკვნის სახით სურს თქვას: „და იგი“ (გელათი) დღეს წარმოადგენს მეორე იერუსალემს და მეორე ათინასო“.

4. შემომოყვანილი მაგალითები, ჩვენის აზრით, სრულის უეჭველობით ამჟღავნებენ „რომელი“ ნაცვალსახელის ჩვენებითს მნიშვნელობას⁴. ამასვე აქვლანებს მისგან ნაწარმოები „რომლისათვისცა“, რომელიც იხმარება ძველს ქარ-

¹ Bauer, Wörterbuch 930: *hoy gariv* deshalb Lk 7, 47.

² შეად. აგრეთვე საქმე მოც. 25, 26: «რომლისათვის (*περι* *hoy*) განკრძალულად ვერ რაჲ მაქუს...».

³ აქ „რომელნი“ მიმართებითი მნიშვნელობით არის ნახმარი და ნიშნავს „რომელნიცა“ (იწყებს განსაზღვრებითს წინადადებას).

⁴ იქნებ საჭირო იყოს მოვიგონოთ, ამასთან დაკავშირებით, „ვეფხისტყაოსნის“ დასაწყისი ტაეპი:

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა“.

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი სტროფი დღეს ჩვენ გვემის რზგორც რთული კვეყობილი წინადადება, რომელიც იწყება დამოკიდებული განსაზღვრებითი წინადადებით («რომელ-

თულში, ჩვეულებრივ, ზმნისართული მნიშვნელობით („ამიტომ“, „ამის გამო“ და მისთან.). ამის დამადასტურებელია შემდეგი მაგალითები:

1) «ხოლო იხილა რაჲ იგი კურაპალატმან, ფრიაღ განიხარა და წიგნები მეფეთაჲ მიითჳალა, და ყოველივე საქმე თორნიკ გააცადა. რომლისათჳსცა განხრახებაჲ ქმნეს, რაჲთა ლაშქარნი წარმკზაენენ საბერძნეთს, და სპარსალარად თორნიკ განაჩინეს. ხოლო თორნიკ კურაპალატისა და თავისა წიგნები მეფეთა წინაშე წარსცა და ყოველი ნებაჲ კურაპალატისაჲ აუწყა. და მაშინ მისცნეს მეფეთა ზემონი ქუეყანანი საბერძნეთისანი კურაპალატსა, რაჲთა თავისა სიცოცხლესა ჰქონდინ. ხოლო თორნიკს მოუწერეს: „ვიციით, რომელ ღმერთი შეგეწევის და ნუარას ორგულობ. და ოდეს ღმერთმან წარგიმართოს, ყოველნი წინაღმდეგომნი ჩუენნი დაატყუენენ და ყოველივე ნატყუენავი მათი შენი იყოს“. რომლისათჳსცა მისცა კურაპალატმან თორნიკი ათასი მკედარი რჩეული თორნიკს. და შეწვენითა ქრისტესითა აოტა სკლიაროსი და ვიდრე სპარსეთამდრეოტად წარიქცია» (ცხ. იესი და ეფთჳმესი, თავი 20—21, ივ. ჯავახიშვილის გამ. გვ. 19).

ღრევიანდელი ქართულით ეს თავი ასე იქნება: „კურაპალატმა რომ დანიხა თორნიკე (მასთან მისული საბერძნეთიდან), ძალიან გაიხარა, საბერძნეთის მეფეთა წერილებიც მიიღო მისგან; თორნიკმაც გააცნო საქმის ვითარება. და... ამის შედეგად გადაწყვიტეს, ლაშქარი გაეგზავნათ საბერძნეთში, სპარსალარად თორნიკე დანიშნეს. თორნიკემ გაუგზავნა ბიზანტიის კეისრებს კურაპალატისა და თავისი წერილები და აუწყა მათ დავით კურაპალატის გადაწყვეტილება. მაშინ კეისრებმა მისცეს კურაპალატს „ზემონი ქუეყანანი“, რომ კურაპალატს ჰქონოდა ისინი თავის სიცოცხლეში. თორნიკეს კი მოსწერეს: „ვიციით რომ ღმერთი შეგეწევა და ნუ ყოყმანობ (იბრძოლო სკლიაროსის წინააღმდეგ);


მან შექმნა...». თუ ეს ასეა, მაშინ გამოსარკვევია, თუ რომელია მთავარი წინადადება? თითქოს ბუნებრივი იქნებოდა ამაზე გვეპასუხა, რომ მთავარი წინადადება მეოთხე ტაქსონია მოცემული («მისგან არს...»). მაშინ მთელი სტროფი ასე გაიხარება: „ვინც შექმნა ეს სამყარო ძლიერი ძალით, ზეგარდმო არსთ ზეციური სული ჩაჰბერა, ხოლო ჩვენ, კაცებს, მოგვცა ქვეყანა თავისი უთვალავი ფერით (ვინც ყველაფერი ეს ქმნა), მისი სახე აქვს მიკუთვნებული ყოველ ხელმწიფეს“ (შეად. პ. ინგოროყვა, რუსთველიანა გვ. 112). მაშასადამე, მთელი სამტაქსონი განსახლებრებითი წინადადება

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ყენა ზეცით მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა

ემსახურება იმ მთავარ აზრს, რომ ყველაფერ ამის შემქმნელის (ე. ი. ღმერთის) სახე მიკუთვნებული აქვს ყოველ ხელმწიფეს:

მისგან არს ყოველი ხელმწიფე სახითა მის მიერითა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი გაგებით დარღვეული იქნებოდა თანახმიური შეფარდება მთავარ წინადადებასა და დამოკიდებულ წინადადებას შორის. წინადადების ნაწილებს შორის შინაარსობლივი თანახმიერება უფრო დაცული იქნება, თუ ვიტყვი. რომ „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სტროფი წარმოადგენს რთულ თანწყობილ წინადადებას და არა ქვეწყობილს. თუ ეს ასეა, მაშინ რომელმან მიმართებითი — ნაცვალსახელი კი არ იქნება, არამედ ჩვენებითი ი. (მან-). მან-ით იგულისხმება „ღმერთი“, რომლის როგორც nomen sacrum-ის დასახელებას პოეტი გაურბის პოემის დასაწყისში.



თუ ღმერთი ხელს მოგიმართავს და ჩვენს მტრებს დაამარცხებ, ყოველგვარი ნადავლი შენი იყოსო“. და ამის გამო კურაპალატმა თორმეტი ათასი რუხული მხედარი მისცა თორნიკეს“.

2) მარადის-საწადელი და თავყუანის-საცემელი ბრძანებაჲ ღმრთივ-პატრონისა მამფლისა და უფლისა ჩემისაჲ მოვილე კელითა სიწმიდის მოყუარისა ხსართან მღვდელისაჲთა. რომლისათჳსცა აღპურობიოა კელითა ჩემთაჲთა მადლი შეწირა უღირსებაჲმან ჩემმან ყოვლად-ძლიერისა და ქველის-მოქმედისა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა (იოანე საბანისძე: კ. კეკელიძის გამოც. გვ. 55, 31).

3) «ესევითარსა ეამსა შინა გამოჩნდა ახოვნად წმიდაჲ ესე მოწამე; არა თუ პირველითგანვე ჩუენგანი იყო, არამედ უმეცარი, სარწმუნოებისაგან ჩუენისა უცხოჲ, უცხოჲთა შჯუულითა მოვიდა და ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა შეემეცნა. რომლისათჳსცა დღეს კუალად ახალმან აჲმან დღესასწაულმან და კრებაჲმან წმიდისა და ახლისა მოწამისაჲმან გვრგვინოსან ყო ეკლესიაჲ (იოანე საბანისძე, გვ. 58, 27).

4) ახოლო სანატრელი სერაპიონ აღიესო სულითა წმიდითა და მსგავსად მდინარისა აღმოადინებდა თაფლ-მწითოლვარითა მით ენითა სწავლათა საღმრთოთა და, ვითარცა მდინარე ედემისაჲ, აღმოუწყაროდა ოქრონაკადული პირით მისით. რომლისათჳსცა განკურდა მთავარი იგი და ყოველი წინა-შემდგომნი (ბასილ ზარზმელი, კ. კეკელიძის გამოც. გვ. 156, 31).

5) «... რომლისათჳსცა განმრავლდეს სიტყუსა-გებანი ურთიერთ-სა (იქვე, 173, 31).

ყველა ამ მაგალითში „რომლისათჳსცა“ თავისუფლად შეიძლება გადაგვეთარგმნა ლათინურად: *qua de causa* ან *quam ob rem*.

5. ამგვარად, „რომელი“, მიმართებითი ნაცვალსახელის გარდა, არის ჩვენებითი ნაცვალსახელიც, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ორივე მნიშვნელობა: „იგი“ და „ეგე“ („ესე“), იმისდა მიხედვით, თუ რომელ საგანს განეკუთვნება — შორეულსა თუ ახლობელს. ამიტომ არ არის გასაკვირველი, რომ გარდა „რომელი“-ფორმისა ჩვენ გვაქვს ფორმა „რომელი-იგი“ და „რომელი-ეგე“, ე. ი. ჰენდიადისური ფორმები.

რამდენადაც „რომელი“ უპირატესად მიმართებითი ნაცვალსახელის მნიშვნელობით გვხვდება, ამდენად „რომელი-იგი“ და „რომელი-ეგე“, რასაკვირველია, უპირატესად მიმართებითი ნაცვალსახელებია. თქმა იმისა, რომ „რომელი-იგი“ იმით განსხვავდება „რომელი“-საგან, რომ პირველი უღრის ახალ ქართულს „რომელიც“ არ შეიძლება, ვინაიდან ძველ ქართულში ერთი და მეორეც ისეთ კონტექსტში იხმარება, როდესაც ახალ ქართულში დაიწერებოდა „რომელიც“. მაგალითად:

1) «და მერმე შემდგომად თჳსა უბრძანა, რაჲთა გიორგის დაუტეოს მამობაჲ, რომელიც-იგი თჳსივე იყო მათი, კაცი სახელოანი და ფრთხილი კორციელთა საქმეთა ზედა. და კუალად უბრძანა, რაჲთა გიორგი შემდგომად მისა

სხუა დაუტევოს წინამძღუარი, რომელი იპოოს სიტყვთ და საქმიერ უმჯობესი ძმათა შორის» (ცხ. იესი და ეფთ. თავი 39, 2—3).

2) «და ეტყოდა მათ: იგულეთ, რაჲ-ეგე გესმის, რამეთუ რომელითა საწყაულითა ჰწყვიდეთ, მითვე მოგეწყოს თქვენ და შეგემატოს თქვენ, რომელთა-ეგე გესმის. რომელსა-იგი აქუნდეს, მოეცეს მას, და რომელსა არა აქუნდეს, რომელი-იგი აქუნდეს, მიელოს მისგან» (მკ 4, 24—25).

3) «პრქუა დედაკაცმან მან: უწყი, რამეთუ მესია მოვალს, რომელსა პრქვან ქრისტე. რაჲამს მოვიდეს, მან გვახბრას ჩუენ ყოველი. პრქუა მას იესუ: მე ვარ, რომელი-ესე გეტყუ შენ» (ინ 4, 25—26)¹.

ყველა ამ შემთხვევაში ახალი ქართულით ვიტყვოდით: რომელიც, რომლითაც, რომელთაც და სხვა.

6. ზემოთ მოყვანილი მაგალითები ააშკარავენ „რომელი-იგი“-ს მიმართებით მნიშვნელობას („რომელიც“), მაგრამ რამდენადაც „რომელი“ და „რომელი-იგი“ იხმარება ერთნაირი ფუნქციით, ამდენად მოსალოდნელი იყო, რომ, მსგავსად „რომელი“-სა, „რომელი-იგი“-ც შეგვხვდებოდა ჩვენებითი ნაცვალსახელის მნიშვნელობით. ქვემოთ ჩვენ მოგვყავს მაგალითები, რომელთაგან პირველი სამი შესაძლებელს ხდის ჩვენებითი ნაცვალსახელის მნიშვნელობის ვარაუდს, ხოლო მეოთხე, ჩვენის აზრით, უფრო მეტის უეჭველობით ამჟღავნებს „რომელი-იგი“-ს ჩვენებითს ფუნქციას.


1) «და ადგილნი მრავალნი, მონასტერნი და სადაყუდებულონი გარემოას დიდისა მონასტრისა ვიდრე იმერად ზღუადმდე თუსითა საფასითა იყიდნეს. რომელნი-იგი შეუენიერ არიან და საწადელ და მომზავებულ სულიერთა მონაზონთა საყოფლად» (ცხ. იესი და ეფთ. თ. 23, გვ. 20).

2) «და ეგრეთვე ღმრთის მსახურთა მეფეთა, ვინაჲთგან ესეცთარნი მსახურებანი ჰმსახურნეს და დიდნი საქმენი უქმნენს, რომელნიცა ადგილნი და სოფელნი სთხოვნეს, ყოველნი ოქრო-ბეჭდითა დაუმტკიცნეს. რომელნი-იგი მრავალცა არიან და რჩულ ფრიად, ვითარცა ამას ქუეყანასა შეჰვაეს» (ცხ. იესი და ეფთ. თ. 24, გვ. 20).

3) «ხოლო თორნიკ, ვინაჲთგან იოტა სკლიაროსი, და კულად აქავე მოიქცა ურიცხვთა საფასითა და განძითა, — რამეთუ უფროას ათორმეტისა კენდინარისა მოილო განძი ოდენ, სხუათა ტურფათაგან კიდე. რომელი-იგი ყოველივე მამისა თუსისა სულიერისა იოვანეს კელთა მისცა...» (ცხ. იესი და ეფთ. თ. 26, გვ. 20).

4) «და იგი (ე. ი. ეფთჳმე) ... მოსწრაფედ შეუდგა ბრძანებასა მისსა (ე. ი. იოანესსა) და იწყო თარგმნად და ყოველნივე განაკურვნა. რამეთუ ეგეითარნი თარგმანი, გარენე მათ პირველთასა, არღარა გამოჩინებულ არს ენასა ჩუენსა და ვჰკონებ, თუ არცალა გამოჩინებად არს. და მრავალნი წიგნნი წარსცნის წინაშე დავით კურაპალატისა. რომელნი-იგი იხილნა რაჲ, ვითარცა იყო

¹ არის შემთხვევა, რომ „ესე“ მიმატებული აქვს „რომელიცა“-ს; „...ლოცვათა თქუენთა, რომელთაცა-ესე ღირს ვიქმენ მე მიმთხუევად“ (იოანე საბანისძე, 55. 35).



მორწმუნე, სიხარულითა აღივსო და აღიდებდა ღმერთსა და იტყოდა: „მადლობა ღმერთსა, რომელმან ჩუენთა ამათ ქამთა ახალი ოქრობირი გამოაჩინა“ (ცხ. იესი და ეფთ. თ. 47—48).

გფიქრობთ, კონტექსტიდან ცხადია, რომ აქ ჩვენებითი ნაცვალსახელია და არა რელატიური. ლათინურად პირდაპირ შეიძლებოდა გვეთარგმნა: *quos cum vidisset* („როდესაც ისინი [ე. ი. წიგნები] იხილა...“).

7. ამგვარად, დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს, რომ ნაცვალსახელი „რომელი“, „რომელი-იგი“, „რომელი-ეგე“ („რომელი-ესე“), „რომელიცა“ იხმარება როგორც მამართებითი. ესე ჩვენებითი მნიშვნელობით, მსგავსად ბერძნული მჲ-ისა. თუ რომელი ამ მნიშვნელობათაგანია პირველადი და რომელი — მეორადი, ამას სპეციალური კვლევა-ძიება ესაჭიროება. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ბერძნული მჲ-ის შესახებაც ანალოგიურადვე დგას საკითხი: სახელდობრ, სადავოდ იყო გამხდარი საკითხი იმის შესახებ, თუ რა წარმოშობისაა ბერძნულში მჲ-ძირის რელატიური მნიშვნელობა. მეტი წილი მკვლევართა იმ აზრს ადგას, dass das Griechische die Function dieses Pronomens als Relativum nicht selbständig entwickelt, sondern aus vorgriechischer Zeit mitgebracht hat (Brugmann, Gr. Grammatik 637). ამ ნაცვალსახელის რელატიური მნიშვნელობა წარმოდგენილი ყოფილა აგრეთვე გერმანულსა და ბალტურ-სლავურში.

სტალინის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კლასიკური ფილოლოგიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1947. V. 28).

С. Г. Каухчишвили

Греческо-грузинские семасические параллели

4. რომელი romeli

Резюме

Автор на основе изучения древнегрузинских текстов (в том числе и переводных с греческого) устанавливает для местоимения *romeli*, наряду с его функциями как вопросительного и относительного местоимения („который“), функцию его и как указательного местоимения („тот“, „этот“).

სერგი ულანტი

ფონეტიკური ფენიზნები სვანეთის ქართულ წარწერებზე

ცნობილია, რომ სვანურ ენას თავისი საკუთარი დამწერლობა არ ჰქონია ისტორიულად და არც ამჟამად აქვს. ამიტომ სვანურის ენობრივი მოვლენების განხილვისას საკითხი წყდება მხოლოდ სვანურის ცოცხალი დიალექტებისა და მოძვე ქართველური ენების მონაცემების საფუძველზე. ცხადია, ყოველ ტექსტს, სადაც სვანიზმები შეინიშნება, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სვანური ენის ისტორიისათვის.

1910 წელს ქვემო და ზემო-სვანეთში ექსპედიციაში ყოფნისას აკად. ექ. თაყაიშვილმა ბევრი წარწერა გადმოიღო და ამოიკითხა სვანეთის ეკლესიების კედლებიდან და ეკლესიებში დაცული ნივთებიდან. ყველა ეს წარწერა გამოცემულია ექ. თაყაიშვილის ნაშრომში: „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს“ (პარიზი, 1937 წ.)¹.

ამჟამად ჩვენ მხოლოდ ზოგიერთი წარწერის შესახებ გვაკეთებთ ფონეტიკურ შენიშვნებს. კერძოდ, ისეთ წარწერებს შეეხებით, რომლებშიც უდავოდ სვანიზმებია მოცემული და რომელთა წაკითხვა ექ. თაყაიშვილის მიერ ჩვენ საეჭვოდ არ მიგვაჩნია. სვანიზმები წარწერებში აიხსნება იმით, რომ დიდი უმრავლესობა ქვაზე, თუ ნივთზე, ოქრომჭედლობით გამოყვანილი ქართული წარწერებისა ადგილობრივი სვანების მიერ არის შესრულებული.


ექ. თაყაიშვილის მიერ გადმოღებულ ქართულ წარწერებში, განსაკუთრებით საკურადლებოა დღეს სვანურში ფართოდ გავრცელებული დისიმილაციური გამჟღერებების წესის დადასტურება. ამ ფონეტიკურ მოვლენას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, თუ სიტყვაში ორი მკვეთრი, ორი ფშვინვიერი ბგერა, ან კიდევ მკვეთრი და ფშვინვიერი შეხვედბა ერთად².

ოსური ენის ხშულებში, როგორც ეს გ. ახვლედიანმა დაადგინა, დისიმილაციური გამჟღერება რეგრესულია. სვანურში კი დასტურდება როგორც რეგრესული, ისე პროგრესული დისიმილაციური გამჟღერება. მაგ. წმ. კვირიკეს ეკლესიას³ სვანები უწოდებენ ლაგურკა-ს; ბჭვ. წარმოთქმით: ლაგჟ-

¹ ქვემოთ შემოკლებით „არქ. ექსპ.“.

² შდრ. გ. ახვლედიანი, ხშულთა დისიმილაციური გამჟღერება ოსურ ენაში: თბ. უნტის შრომები, XVII, 1941 წ., გვ. 43-44.

³ აშენებულია მაღალ მთაზე კალაში, ზემო-სვანეთში.



ორკა. ამ სიტყვაში ლა - თავსართია, ხოლო გჭირკ კვირიკე-ს სვანური ნიშნული ანტია დისიმილაციური გამჟღერების საფუძველზე მიღებული. იგივეა ლი-გჭირკჷ თოჲ; ბქვ. ლი-გჭირკე თევ; ქართ. კვირიკობის თევ. ანალოგიური შემთხვევები სვანურში საკმაო რაოდენობით დასტურდება, მაგ., ქართ. კაკ-ალ-ი, სვნ. გაკ და სხვ. მისთანები.

სვანურში ორი ყრუ ფშვინვიერის სიტყვაში შეხვედრისას პროგრესულ-დისიმილაციური გამჟღერების ფაქტი პირველად ვ. თოფურიამ შენიშნა. მისი „სვანური ენის“ 65. გვერდზე შენიშვნაში საილუსტრაციო მაგალითებად დასახელებულია: ლაშგარი (<ლაშქარი), ქიშგარ (<ქიშქარი), კოშვი (<კოშვი), წისგვილ (<წისქვილ-ი), სველ (<სქელ-ი).

აღსანიშნავია, რომ ანალოგიური ფაქტები დასტურდება სვანეთში ნაპოვნ ქართული წარწერებშიც. მაგ., სოფ. დაბიში (ქვემო სვანეთი) ქვის ძველი ეკლესიის დასავლეთის კედელზე, პეტრესა და პავლეს გამოხატულ ფიგურას აქვს წარწერა: „ბეტრე, პავლე“ (არქ. ექსპ. გვ. 124). „ბეტრე“ ფორმაში რეგრესულ-დისიმილაციური გამჟღერების ფონეტიკური პროცესია ასახული. (შდრ. ფშ., ხევს.: ბატარა პატარა'ს ნაცვლად, ან კიდევ: სვნ. ბაპ < პაპა).

აქვე აღვნიშნავთ, რომ დისიმილაციური გამჟღერების ანალოგიური შემთხვევები დასტურდება პ. ინგოროყვას მიერ გამოცემულს „სვანეთის საისტორიო ძეგლებშიც“. მაგ.: XV საუკუნის მეორე მეოთხედში დაწერილ ერთ-ერთ აქტში ვკითხულობთ: „წ ღმრთისა თავსდებობითა, მას ჟამსა, ოდეს ბატრონმან გვიღალატეს ხერგიანთა“¹. ბატრონმან მიღებულია დისიმილაციური გამჟღერებით პატრონმან ფორმისაგან. „მე ცაიშელი მთავარი ეპისკოპოსი დანიელი...“ (იქვე, 28, 2) (ეპისკოპოსი < ეპისკოპოსი) და სხვ.

სოფ. დაბიშის ეკლესიის დასავლეთის კედელზე იკითხება აგრეთვე მეორე ასეთი წარწერა: „სამხლო აბრამის“. „სამხლო“ მიღებულია ფორმისაგან „სამღვთო“ შემდეგი ფონეტიკური ცვლილების გზით: ვინის დაკარგვის ხელი უნდა შეეწყო ლ-ს თ-სთან რეგრესული ასიმილაციისათვის: სამღვთო > სამლოთო > სამხოთო, ხოლო ამის შემდეგ ორი ყრუ ფშვინვიერის ერთად შეყრის გამო ხთ კომპლექსი პროგრესულ-დისიმილაციური გამჟღერებით იქცა ხდ კომპლექსად: სამხოთო > სამხდო.

ექ. თაყაიშვილი იქვე აღნიშნავს, რომ დაბიშის ეკლესიის კედელზე გამოხატულია კიდევ „ერთი ფხვურა სამღვდლო ტანისამოსით და სახარებით; წარწერა აქვს: „სდუბანუ“. ვგონებ, არხიდაკონი სტეფანე იფულისხმება“ (იქვე, 123). „სდუბანუ“ უთუოდ სტეფანეს სვანური ვარიანტია. აქ საყურადღებოა როგორც თანხმოვანთა, ისე ხმოვანთა დაწერილობაც. „სდუბანუ“-ში ხდ კომპლექსი შეიძლება იგივედ სტ კომპლექსისაგან. ჯერ პროგრესული ასიმილაციის გზით სტ > სთ, ხოლო შემდეგ დისიმილაციური გამჟღერების საფუძველზე სთ > ხდ-ს.

ანალოგიური ფონეტიკური პროცესის გავლის შედეგად არის მიღებული სვანურში დადასტურებული ქრისდე (<ქრისტე). საშუალო საფეხური „ქრისთე“

¹ პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები. ნაწ. II ტექსტები, 1941 წ. გვ. 15.

სვანურს. წარწერებშიაც დასტურდება. მაგ., სოფ. ჩაბიანის (უშგული) მშობლის ეკლესიაში დაცულ მთავარანგელოზის მიქაელის ხატზე ასომთავრული წარწერით იკითხება:

1 ქ. წო მთვრნღლ	ქ. წმიდაო მთავარანგელ-
ოხო: შეაწყლე: მა	ოხო: შეიწყალე მა-
შენებელა შენა: სო	შენებელი შენი სო-
ფელა ესე: ცენა: დე	ფელი ესე ცენა, დე-
5 დნა და მამანა ყელ	დანი და მამანი, ყოველნი)
კსნა (სიწ) და: მეოხ: ექმენ:	კაცი, და მეოხ ექმენ
წაშენ ქრასთეს დღ	წინაშენ ქრისტესა) დღ-
8 ეს მას: განკთხვსს	ეს(ა) მას განკთხვისას(ა).

ამ წარწერასთან დაკავშირებით ექ. თაყაიშვილი შენიშნავს, რომ „სიტყვა „ქრისტე“ გადმოცემულია ჩვეულებრივ სვანური წარწერებისა, როგორც „ქრისტე“ („არქ. ექსპ.“, გვ. 142—143). „ქრისტე“ ფორმა ხშირად დასტურდება სვანეთის XIV—XV საუკ. საისტორიო ძეგლებშიაც: „დიდებანი იესუს ქრისტესა“ (55, 1). „დიდებანი შობასა ქრისტესასა, დიდებანი საფლასა ქრისტესასა“ (55, 2), მაგრამ ამის პარალელურად გვხვდება: „ქრისტესა ღმერთსა ჩვენსა“ (38, 3), „ქრისტეს პირითა“ (47, 7) და სხვ. მსგავსი მონაცემი გვაქვს ხევსურულში დადასტურებულ ფორმებში: ზდგელი სტველის, ან სთველის ნაცვლად (შდრ. ვაჟა: სთველი III, 276, 35) და ზდვა სტვა, ან სთვას ნაცვლად. ამ შემთხვევაში ფონეტიკური პროცესი ხევსურულში უფრო შორს არის წასული. სტ კომპლექსი ასიმილაციით იძლევა სთ კომპლექსს. დისიმილაციური გამჟღერებით სთ > სდ-ს. ხევსურული ამაზე არ შეჩერდება და რეგრესული ასიმილაციით სდ > ზდ-ს (შდრ. ხევს. ზგელი < სგელი < სქელი).

რაც შეეხება „სდუბანუ“-ში ფ-ს გამჟღერებას, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს პროგრესული ასიმილაციის შედეგია (შდრ. წარწერებში „დეგანოსი“ ნაცვლად დეკანოზისა „არქ. ექსპ.“ 93; ან კიდევ: „ხუცისა ქელბაგიანისა“ სენ. საისტ. ძეგლები, 120).

კიდევ უფრო საყურადღებოა „სდუბანუ“-ში ხმოვანი ფ-ს გრაფიკულად უ-თი გამოხატვა. როგორც ამას არა ერთხელ აღნიშნავს ექ. თაყაიშვილი, წარწერებში, **ო** და **უ** გრაფიკულად ერთნაირი ნიშნით არის გამოხატული. ძალიან ხშირად ასეა ეს „სვანეთის საისტორიო ძეგლებში“ გამოქვეყნებულ ტექსტებშიაც. მაგრამ ექ. თაყაიშვილის მიერ გადმოცემულ წარწერებში რამდენიმე შემთხვევა დასტურდება, როდესაც **ე** ხმოვანი უ-თია გადმოცემული გრაფიკულად. გარდა „სდუბანუ“-სა დაბიშის ეკლესიის ერთ-ერთ წარწერაში. იკითხება: „ივანუს თავის ქოთა“ (=ივანეს თავის კვეთა). მეორე ადგილს იკითხება: „მეძინუბის კათი“ (=მიძინების ხატი). ამ წარწერის მიხედვით ცხადად ჩანს, რომ წარწერის შემსრულებელმა ქართული ცუდად იცის და ამიტომ ბუნებრივად იბადება ასეთი კითხვა: ხომ არ არის ამ ფაქტში გამოხატული სვანური ლაბიალიზებული ხმოვნების დაწერილობა? ამ კითხვას კიდევ უფრო მეტი საფუძველი აქვს იმის გამოც, რომ ასეთი დაწერილობა ვრცელდება არა მხოლოდ ე-ზე, არამედ ი-ზედაც. მაგ., იმავე ეკლესიის სამხრეთის კედელზე იკითხება: „სუმონ“.

შევე
 დრა
 ნა: იენ
 ესუ
 ლთა: ამ.

უქარაგმოდ: მთავარანგელოდი (sic), შეიწყალე ვედრანდ ივანე სულითა, ამინ“
 („არქ. ექსპ.“ გვ. 127).

იქვეა კიდევ ერთი ასეთი წარწერა: „მთვრგზი (sic) მქლ“. „მთვრ-
 გზი“-ს გრაფიკაში მოცემულია ის კონტამინაცია, რომელსაც ამ სიტყვის
 დაწერისას ჰქონია ადგილი დამწერის ცნობიერებაში. წარწერაში დადასტურე-
 ბული „მთავარანგელოდი“ ლაშხური დიალექტის ენობრივ სინამდვილეს ასახავს.
 ლაშხური დღევანდელი წარმოთქმითაა: თწრიძჟლ (შდრ. ბზ. თწრინგზელ
 [ბზ. 16, 11], ბქვ. თწრგლეზერ). „მთავარანგელოდი“-ში მოცემულია ზ-ს
 აფრიკატიზაცია, რაც არც ისე იშვიათია სვანურში (შდრ. ქართ. ზღვა,
 სენ. ძულვა და სხვ.).

უეჭველად სვანიზმია მოცემული სოფ. თიბიანის (უშგული) ღვთისმშობლის
 ეკლესიაში დაცულ მთავარანგელოზის მიქაელის ხატის წარწერაში, სადაც
 „კაცნი“-ს ნაცვლად წერია „კასნი“. ექ. თაყაიშვილი ამასთან დაკავშირებით
 წერს: „მე-რ სტრიქონში აშკარად წერია კსნჲ (=კასნი, კაცნის მაგიერ)“
 („არქ. ექსპ.“ გვ. 142).

სვანურში ქართული ც-ს შესატყვისად დეზაფრიკატიზაცია-ქმნილი ს სხვა
 შემთხვევებშიაც დასტურდება, მაგ.: ლხმ. ვესკჷცხ < ქართ. ვაცკაცი,
 მეგრ. ოჩ-ო-კოჩ-ი. ლშხ. სურაჲ < ქართ. ცურვა (შდრ. ბზ. ტკიცდ ||
 ტკისდ 'მართლა'. ლხმ. კეცნჷნი || კესნჷნი 'ადგ. სახელწ.' და მისთ.).


ამ მხრივ ყურადღებას იქცევს დაბიშის ეკლესიის წარწერაში მოხსენებული
 „ჯვარცმა“, რომელიც გრაფიკულად გადმოცემულია ასე: „ჯრისმა“ („არქ-
 ექსპ.“ გვ. 123).

ინტერესს მოკლებული არაა წარწერებში მოხსენებული ზოგიერთი ტოპო-
 ნიმიკური სახელის ფორმა. ასე, მაგ., ლაშხეთის მინერალური წყლებით გან-
 ტეხული დღევანდელი მუაში ერთ-ერთ წარწერაში მოხსენებულია მოჰაში
 ფორმით. სოფ. ჩუკულის ეკლესიაში დაცულ ბოყვერზე იკითხება:

„მოჰშელსა გურეის. გუმრჯე: დ: აცზენე,

ენე იგი: მოჰშელსა გურეის გაუმარჯე და აცხოენე“ („არქ. ექსპ.“ გვ. 118).

„მოჰაში“ ფორმა იმითაა საყურადღებო, რომ მას, ერთი მხრით, დაცული აქვს
 ა ხმოვნის წინ ჰ. დღეს არც ამ ადგილის სახელწოდების და არც სხვა შემთხვე-
 ვაში ლაშხურში ხმოვნის წინ ჰე არ დასტურდება, ყველგან გადაშენებულა.
 მეორე მხრით, საყურადღებოა ის ფონეტიკური ცვლილება, რომელიც ხმოვ-
 ნებში მოხსნარა: ოა კომპლექსს აღმავალი დიფთონგიზაციისაქენ ტენდენციით
 მოუცია უა (შდრ. დიალ. მოვა > მუა; ვანოა > ვანუა და სხვ.).



სოფ. ჯახუნდრის წმ. გიორგის ეკლესიის აღმოსავლეთ კედელზე ხუცური
წარწერა იკითხება:

წო გ'ი ჯჯნდლო შ'ე აზნაურნი...
აღაშენა საღტარი და...

უქარაგმოდ: წმიდაო გიორგი ჯახუნდლისაო, შეიწყალე აზნაურნი... აღაშენა
საღტარი (sic) და...“ („არქ. ექსპ.“ გვ. 106).

ამ წარწერასთან დაკავშირებით ექ. თაყაიშვილი შენიშნავს: „როგორც
ჩანს წარწერიდან, წინეთ სოფლის სახელი ჯახუნდელი ყოფილა“.

„ჯახუნდელი“ ფორმა გვხვდება აგრეთვე ამ სოფლის ეკლესიაში დაცულ
ღვთისმშობლის ხატის წარწერაში:

წო მღვთეს მშობელო ად'ე აზნაურნი
შ'ე ს'ფლა ჯჯდ'ლა („არქ. ექსპ.“ გვ. 108).

უქარაგმოდ: „წმიდაო მღვთის მშობელო, ადიდე აზნაურნი, შეიწყალე სოფელი
ჯაკუნდელი“ (იქვე).

არაა გამორიცხული საწინააღმდეგო შესაძლებლობაც, რომ „ჯახუნდელი“
ფორმა გარკვეული ფონეტიკური ცვლის შედეგი იყოს (შდრ. ფშ. ხანჯარი
ვაჟა I, 224; ქართ. ლიტ. ხანჯალი).

ექ. თაყაიშვილი ფიქრობს, რომ ხსენებული ხატი XVI საუკუნეს ეკუთვნის.

სოფ. სეტის (მესტია) ეკლესიაში დაცულ დროშაზე მსხვილი ასომთავრულა
წარწერით იკითხება:

წ'ე იონა ლ'ტრისა (sic).

ამასთან დაკავშირებით ექ. თაყაიშვილი შენიშნავს: „სიტყვა „ლატარი“ ეხლან-
დელი „ლატალის“ მაგიერად გვხვდება ლატალის ეკლესიების წარწერებშიაც“
(„არქ. ექსპ.“ გვ. 273).

„ლატარი“ ფორმა ხშირად გვხვდება სვანურს XV საუკუნის აქტებშიაც:
„სრულიად მულახელთა და მულახის შესავალთა, ლატარელთა და ლატა-
რის შესავალთა“ (სენ. საისტ. ძეგლები, გვ. 33, 107). ან კიდევ: „მაცხოურისა
ლატარისა თაუსდებობითა“ (იქვე, გვ. 81, 1)¹.

თუ მართლა „ლატარი“ უფრო ძველი ფორმაა, მაშინ დღევანდელი „ლა-
ტალი“ პროგრესული ასიმილაციით იქნება მიღებული, მაგრამ შესაძლებელია
პირიქითაც ვივარაუდოთ: „ლატარი“ დღევანდელი „ლატალი“-დან იყოს მიღე-
ბული პროგრესული დისიმილაციის გზით. ამას გვაფიქრებინებს „ლატალის“
მესამე — განსხვავებული ფორმა, რომელიც წარწერებშია დადასტურებული.
სოფ. მაცხოურის (ლატალის თემი) ეკლესიაში დაცულ ვერცხლის ჯამზე შესრუ-
ლებულ წარწერაში იკითხება:

ქ. შენ. სამეგით. ქებულთ. და. ერთ არსებით. თაყუანის.
ცემულთ. მაცხოვარო. ლატანისაო (sic)...“ („არქ. ექსპ.“ გვ. 358).

¹ შდრ. „სვანურ საისტორიო ძეგლებში“ დადასტურებული ფორმები: „ლაღვერს
და უშქულს“... (6, 3), „ლარვერსა და უშქულს“... (7, 2), „უშქულსა და ლარველს“ (7, 2),
„უშქულსა და ლალუვერს“ (გვ. 9).

„ლატანი“ ფორმა უკვე ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ამ სიტყვაში მომდევნო **ლ** მერყევია და პროგრესული დისიმილაციით ის ხან **ლ**-ს სახითაა წარმოდგენილი და ხან **ნ**-ს სახით.

ექ. თაყაიშვილი დღევანდელი „მულახის“ ნაცვლად ყოველთვის წერს „მულაყი“ ფორმას. ჩვენ ამ ფაქტმა დაგვიანტერესა იმდენად, რამდენადაც წარწერებში ჩვეულებრივ და დღევანდელს წარმოთქმაშია დადასტურებულია „მულახი“; მხოლოდ ერთ წარწერაში, რომელიც ჟამთუმი ეკლესიაში დაცულ ვერცხლის სურათზე შესრულებული, იკითხება: „მულაყთას“. წარწერა 1667 წლისაა („არქ. ექსპ.“ 258). „მულახის“ ნაცვლად „მულაყის“ ხმარებაც არ ჩანს არაკანონზომიერი მოვლენა, რადგან სვანურში არის შემთხვევა, როდესაც აუსლაუტის **ხ**-სა და **ღ**-ს ნაცვლად დასტურდება **ყ**. მაგ., ბზ. ყაზწყ, ლშხ. ყაზწყ „ყაზახი“, ლშხ. ლნტ. ყაჩაყ „ყაჩალი“ (შდრ. მეგრ. იარაყი 'იარალი').

დასასრულ, წარწერებში ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი ფორმა — „ძმანთა“, რომელიც რამდენჯერმე გვხვდება. ეს ფორმა გვხვდება ჩუკულის ეკლესიაში დაცულ მთავარანგელოზის ხატის მხედრულ წარწერაში, იმავე ეკლესიაში დაცულ მაცხოვრის ხატის წარწერაში და სხვაგანაც.

„ძმანთა“ ფორმაში შეიძლება კაცს ეფიქრა, რომ ორმაგ მრავლობით-თან გვაქვს საქმე, მაგრამ ამ ფორმაში უფრო იმ მოსაზრების დადასტურება უნდა გვქონდეს, რომელიც არნ. ჩიქობავამ გამოთქვა „ჭანურის გრამატიკულ ანალიზში“. ის წერს: „დასავლური ქართული კილოების — გურულისა და ქვემოიმერულის — „ძმან-ებ-ი, დან-ებ-ი, სიძენ-ებ-ი“... ზემოხსენებულ ჭანურ და მეგრულ ფუძეთა შესატყვის ქართულ ფუძეებს უნდა წარმოადგენდნო“ (გვ. 62) (შდრ. ჯუმალ-ეფ-ე, დალ-ეფ-ე). ამდენად, „ძმანთა“ ფორმაში „ძმან-“ ფუძედ უნდა მივიჩნიოთ, ხოლო -თ(ა) მრავლობითი რიცხვის ფორმანტად. ერთი ამისი ანალოგიური მაგალითი დადასტურებულია „სვანეთის საისტორიო ძეგლებში“, მხოლოდ არა თანიან მრავლობითთან, არამედ ებ¹ იანთან: „თქუენი ბიძანები თვალთა და ივანე...“ (გვ. 31, 1).

წარწერებში ხშირია ორთოგრაფიული ხასიათის რყევა და ზოგჯერ აშკარა შეცდომებიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამისი მიზეზია ის, რომ წარწერის შემსრულებელი, ადგილობრივი სვანი, სუსტად ფლობს ქართულ ენასა და დამწერლობას. ამით უნდა აიხსნას წარწერებში სწორი ფორმების პარალელურად ასეთი ფორმები: „კათი“ (გვ. 123), „კატი“ (გვ. 280), „მეოკ“ (= მეოხ) (გვ. 235, 256 და ა. შ.). არის შემთხვევა, როდესაც ჩ გრაფიკულად ჭ-თია გადმოცემული: „ქვენსა“, „გერჭოდეთ“ (გვ. 178) და სხვ.¹ უფრო მასობრივია წარწერებში თ ხმოვნის ჯ გადმოცემა, ესა და სხვა ამ რიგის საკითხები სპეციალურ შესწავლას საჭიროებენ. ორს წარწერაში დასტურდება ზედმეტი ანუ „ხორცმეტი“ ი-ნები, რომელსაც ექ. თაყაიშვილი მეგრულიზმებად მიიჩნევს (გვ. 297), მაგრამ ეს ინები ისეთ კონტექსტში გვხვდება, რომ მისი „მეგრულიზმებად“ მიჩნევა გაჭირ-

¹ შესაძლებელია აქ პალეოგრაფიულ მოვლენასთანაც გვაქვს საქმე. შეად. აკ. შანიძე, მაჩხიტისძის ჩინი: ჩვენი მეცნ. № 11—12, 1924.

დებოდა. ასეთია, მაგ., „რომელმანი სიტყვითი“, „ძითურთი“, „ძემანი“ და სხვ. მისთანები (გვ. 297; 318).

როგორც ზემოთ დავრწმუნდით, მიუხედავად რიგი ორთოგრაფიული გადახვევებისა, სვანეთის ქართულ წარწერებში უდავოდ დასტურდება სვანიზმები, რომელთა გათვალისწინებას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს, ერთი მხრით, სვანური ენის ისტორიისათვის და, მეორე მხრით, დღევანდელი ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელ მოვლენებში უკეთ გარკვევისათვის.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ზოგადი ენათმეცნიერების კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1947. V. 10).

სეკი ჯიქია

უნიონები „სიმინდ-სემიდალის“ შესახებ

რამდენიმე წლის წინათ, როდესაც „ლაზუტ“ სიტყვის წარმოშობილობის საკითხზე ვმუშაობდით¹, ჩვენ მოგვიხდა გაცნობილით ვხადაგზა აგრეთვე „სიმინდ-სემიდალ“ სიტყვათა შესახებ სემანტიკურ-ეტიმოლოგიურ მონაცემებს ქართულში. ამ მონაცემების გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება ზოგიერთი კორექტივის შეტანა „სიმინდ-სემიდალ“ სიტყვათა წარმოშობილობის შესახებ არსებულ შეხედულებაში.

ვიდრე საკითხზე უშუალოდ გადავიდოდეთ, უნდა მოვიგონოთ, რომ მეცნიერებაში დღეს უკვე ექვიმუტანლად დადგენილია ფაქტი სიმინდის კულტურის ამერიკული წარმომავლობის შესახებ. ამდენად, ცხადია, ძველ ქვეყანაში სიმინდი, როგორც სასოფლო-სამეურნეო კულტურა, ამერიკის აღმოჩენამდე არ არსებობდა². პირველად სიმინდი ევროპაში, უფრო ზედმიწევნით ესპანისა და იტალიაში შეტანილია XVI საუკ. დამდეგს³. ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით „სიმინდის კულტურა სამეგრელოში XVII საუკ. დამდეგში უნდა იყოს შემოსული“⁴, ლ. დეკაპრელევიჩს ეს მოსაზრება საეჭვოდ მიაჩნია⁵, ხოლო პ. გუგუშვილი ფიქრობს, რომ დასავლეთ საქართველოში სიმინდის კულტურა XVII საუკ. შუა ხანებიდან გაჩნდა⁶. ამავე დროს ცნობილია, რომ XVI საუკუნეში ანატოლიაში სიმინდი უკვე იყო⁷ და თურქები ამ კულტურას „ლაზუტ“-ის, ე. ი., „ლაზური მცენარის“ სახელით იცნობდნენ, რაც, როგორც ეს

¹ ს. ჯიქია, „ლაზუტ-სიტყვის წარმოშობისათვის“ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. V, № 2, 1944, გვ. 228—236.

² ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I. თბილისი, 1930, გვ. 363; აგრეთვე П. М. Жуковский - ს წიგნში: Земледельческая Турция И. В. Кожухов - ის სტატია: „Литературные данные о культуре кукурузы в Анатолии“, М. Л., 1933, გვ. 321—322.

³ ივ. ჯავახიშვილი, იქვე; Жуковский - Кожухов, იქვე, გვ. 322.

⁴ იქვე, გვ. 363.

⁵ Л. Декапрелевич, Из истории появления и распространения кукурузы в Грузии (ცალკე ამონაბეჭდი), გვ. 45—46.

⁶ პ. გუგუშვილი, „სიმინდის მეურნეობა ამიერ-კავკასიაში (1801—1920 წწ.)“ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VII, № 4, 1946, გვ. 225.

⁷ П. М. Жуковский - დასახელებულ ნაშრომში Кожухов - ის სტატია, გვ. 322.



ჩვენ შევეცადეთ გაგვეჩვენოთ, იმის მაჩვენებელია, რომ ანატოლიის ტერიტორიაში სიმინდის კულტურა ქართველური ტომისაგან — ლაზებისგან აქვთ გადაღებული¹. როგორც მონაცემებისა არსებობს, რომ XVI საუკუნეში ლაზები ჯერ კიდევ ძალიან აქტიურები იყვნენ ანატოლიაში თავიანთი ძველი და, აგრეთვე, ახალი კულტურის გავრცელების საქმეში². კერძოდ, სიმინდი შავი ზღვის სანაპიროებში პირველად ლაზისტანში შესულად და ანატოლიის სხვა კუთხეებში აქედან გავრცელებულად ჩანს.

მართალია, XVI საუკუნეში შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროები უკვე თურქეთის ხელში იყო, მაგრამ გენუასა და ვენეციას კავშირი ამ სანაპიროს ქვეყნებთან, კერძოდ ლაზისტანთან, თურქების დაპყრობის შემდეგაც არ შეწყვეტილა³. სიმინდი უშუალოდ ლაზისტანში უნდა იყოს შეტანილი და იქიდან ანატოლიასა და დასავლეთ საქართველოში გავრცელებული. ის გარემოება, რომ სიმინდის მოყვანა XVI საუკუნის ანატოლიაში უკვე «ფართოდ იყო გავრცელებული»⁴ და მას «ლაზური მცენარე» (ლაზური) ერქვა — ისე უნდა გავიგოთ, რომ ამ კულტურის მიმღებნი, ამთვისებლები და გამავრცელებლები იყვნენ ლაზები და არა ანატოლიაში შემოსული მომთაბარე ტომი, რომელსაც მომხიბლარე ტომთათვის დამახასიათებელი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოშენების სფეროში არავითარი ტრადიცია არ ჰქონდა და სოფლის მეურნეობის დარგში ქართველების ძლიერი ზეგავლენის ქვეშ იყო⁵. XVI საუკუნეში, როდესაც ოსმალთ-თურქებს ანატოლიაში უკვე მაგრად ჰქონდათ ფეხი მოკიდებული, ანატოლიიდან სიმინდი უკვე თურქების სახელით გადიოდა და ევროპის ზოგ ქვეყანაში ის granoturco-სა და türkischer Weizen-ის სახელითაც იყო ცნობილი, ისევე როგორც აღმოსავლეთშიც türk buğdayı, 'თურქული ხორბალი'ც ერქვა.

ამრიგად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ სიმინდის კულტურა საქართველოს პროვინციაში — ქანეთში (სულ ერთია ეს პროვინცია მაშინ თურქების ხელში იყო, თუ არა) XVI საუკუნის II ნახევრისათვის მაინც შემოტანილი უნდა ყოფილიყო. ლ. დეკაპარელევიჩის აზრი, რომ XVII საუკუნეში საქართველოში ჩამოსული მოგზაურები სიმინდს არ ახსენებენ, ვერ უარყოფს ამ მოსაზრებას, რადგანაც 1) ახალშემოსული კულტურა ისე სწრაფად ვერ გავრცელდებოდა, რომ მოგზაურთა გასასვლელ, ან გასაჩერებელ ადგილას ყველგან ყოფილიყო და 2) ლ. დეკაპარელევიჩის მიერ ჩამოთვლილ მოგზაურების თხზულებებში ქანეთი ასახული არ არის⁶.

¹ ს. ჯიქია, «ლაზურტ» სიტყვის წარმოშობისათვის: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. V, № 2, 1944.

² იქვე, გვ. 231.

³ ამის შესახებ: А. Крымский, История Турции и ее литературы, т. I, Москва, 1916, გვ. 87—88.

⁴ П. М. Жуковский, დასახ. ნაშრომი, გვ. 322.

⁵ ივ. ჯავახიშვილი, საქ. ეკონომიური ისტორია, I, გვ. 247—248. აგრეთვე ს. ჯიქია, კოლექტიური შრომის ერთი ქართული ტერმინისათვის თურქულ ენებში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, გვ. 393—394.

⁶ ეს წერილი სტამბაში გადასაცემად უკვე მზად იყო, როცა ლ. დეკაპარელევიჩის სტატია ავტორის მეთხებით ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა. ამიტომ დაწვრილებით ვერ განვიხილეთ.

სიტყვა „სიმინდი“ საქართველოში გაცილებით უფრო ადრე გვხვდებოდა ვიდრე სიმინდის კულტურა შემოვიდოდა. ოღონდ ადრინდელ საქართველოში ამ სიტყვას, როგორც ეს უკვე ცნობილია, ფქვილის მნიშვნელობა ჰქონდა.

ჯერხნობით უძველესი ქართული წყარო, სადაც სიტყვა „სიმინდი“ „სიმინდა-ს სახით ორჯერ გვხვდება, აკად. კ. კეკელიძის მიერ გამოცემული შემდეგი ძეგლია: „ცხორება და განგება ნისიმესი, რომელი იყო ასული მეფისა ეგვიპტელისა“¹. ძეგლში, რომელიც გამომცემელს X საუკუნის დასასრულით აქვს დათარიღებული, ნათქვამია: „მომეც მე სიმინდა და მხუმელად საწყაული ორი და ქსესტისა მეოთხედი ღწნოდ ზედაშედ“ და იქვე, ცოტა ქვემოთ: „მაშინ წარვედ მეწისქულესა თანა და მოვართუ სიმინდა და იგი და ეკლესიით ზედაშე“². რადგანაც ჩვენთვის საინტერესოა არა მარტო „სიმინდა“ სიტყვის არსებობის ფაქტი X საუკუნის ძეგლში, არამედ მისი იმდროინდელი მნიშვნელობაც, ჩვენ გავეცანით ამ ძეგლის რუსულ თარგმანსაც, რომელიც მის გამომცემელს პატივცემულ აკად. კ. კეკელიძეს შეუსრულებია და შესაფერისი გამოკვლევით დაუბეჭდავს კიდევაც³. ჩვენთვის საინტერესოა ადგილი „მომეც მე სიმინდა“ და „მოვართუ სიმინდა“ ასეა თარგმნილი: „так дай мне две меры кукурузной муки“, ხოლო მეორე ადგილას „სიმინდა“-ს შესატყვისი რუსული თარგმანი მოცემული არ არის და ნათქვამია „принес нужное“⁴. თარგმანი ზუსტია იმ ნაწილში, სადაც ის „ფქვილად“ არის გაგებული, მაგრამ, რა თქმა უნდა, X საუკუნის ძეგლში ეს არ შეიძლება იყოს ახლანდელი გაგების „სიმინდის“ (кукурузная мука) ფქვილი. რამდენად აქ ლაპარაკია სეფისკვერზე „ველოგაიდ შენთანა“ და ღვინოზე „ზედაშედ“, ივლისსმება მხოლოდ უმაღლესი ხარისხის ხორბლის ფქვილი, რომლისგანაც საერთოდ ცხვებოდა სეფისკვერი, ალბათ, ძველ საქართველოშიც იყვე, როგორც ჩვენს დროშიაც.

სიტყვა „სიმინდი“ ჩვენ გვხვდება აგრეთვე ორჯერ „წიგნი სააქიმოა“-ში⁵. ეს ძეგლი XIII საუკუნით თარიღდება და არაბულიდან ნათარგმნად ივარაუდება. აქ ვკითხულობთ: „და საჰამადსა ჰასოსა სიმინდისაგან შექმნილსა ჰამდეს ნუშის ზეთითა, და ჰასოა არაბულად მას ჰქვიან რომელ თხლად ფქვილი მოჰკიდოს წყალსა“⁶. ხორხის სიმსივნით დაავადებულს ავტორი ურჩევს მიიღოს „ჰასო“. თუმცა ძეგლის გამომცემელს „ჰასო“ განმარტებული აქვს როგორც „შეჰამანდი წვნიანი ქატოსაგან და შაქრისაგან შემდგარი“-ო, მაგრამ თვით „წიგნი სააქიმოა“-ს ავტორის განმარტება უფრო სწორი და ზუსტი

¹ ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები. ნაწილი პირველი. კიმენი. ტ. I. პრაღ. კ. კეკელიძის რედაქტორობით. თბილისი, 1918, გვ. 202.

² იქვე, გვ. 357.

³ К. Кекелидзе, Этюд из начальной истории египетского монашества: Труды Киевской духовной академии, 1911 г., кн. 2 и 3. გვ. გვ. 177—195 და 335—364.

⁴ იქვე, წიგნი 3, გვ. 357.

⁵ ლ. კოტეტიშვილი, წიგნი სააქიმოა. მედიცინა ძველ საქართველოში. XIII საუკუნე. თბილისი, 1936. ამ ძეგლზე ჩვენ პრაღ. გ. წერეთელმა მიგვითხა.

⁶ იქვე, გვ. 151.



უნდა იყოს: „ჰასო არაბულად მას ჰქვიან რომელ თხლად ფქვილი ეძევილს, წყალსა“-ო. რამდენადაც ხორხის სიმსინით დაავადებულზეა ლაპარაკი ტხანდის, რომ აქ იგულისხმება „სიმინდისაგან“, ე. ი., ხორბლის წვრილად გაც-რილი ფქვილისაგან გაკეთებული ფაფა. „წიგნი სააქიმოა-ს ლექსიკონში კი „სიმინდი“ განმარტებულია Zea Mais L-დ¹, რაც დღევანდელი გაგების სიმინდის ლათინური სახელია და ამდენად XIII საუკ. ძველში ნახმარი სიტყვისათვის ასეთ მნიშვნელობის მინიჭება შეუწყნარებელია.

ამავე ძველში მეორეჯერ უკვე „სიმინდის ფქვილი“ იხსენიება ავადმყოფისათვის იმავე „საქამადისა ჰასოდასა“-ს გასაკეთებლად². „სიმინდის ფქვილი“ აქაც „უმადლესი ხარისხის ხორბლის ფქვილს“ უნდა ნიშნავდეს. სიტყვა „სიმინდის“ ხმარება მსაზღვრელის ფუნქციით იმისი მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ავტორს უნდა განსაკუთრებით გახაზოს უმადლესი ხარისხის, სწორედ „სიმინდი“ ფქვილი, სხვა უფრო დაბალი თვისების ხორბლის ფქვილისაგან განსასხვავებლად. გამოთქმა „სიმინდის ფქვილ“-ში „სიმინდი“ არავითარ შემთხვევაში ფქვილის მარცვლეულ მასალას არ აღნიშნავს და ამდენად ლექსიკონში მისი Farina Mais-ად³, ე. ი. დღევანდელი გაგებით „სიმინდის ფქვილად“ თარგმნა ავრეთვე მიუღებელია.

XVII საუკუნის ქართველ მოღვაწეს ფარსადან გორგიჯანიძეს თავის „ქართულ-არაბულ-სპარსულ ლექსიკონში“ მოეპოვება სიტყვა „სიმინდრი“⁴. როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილმა შენიშნა ფ. გორგიჯანიძეს „სიმინდის რაობა ჯერ კიდევ ვარკვევით არ სცოდნია“⁵, რადგანაც მას „სიმინდის“ არაბულ შესატყვისად رز („ზორათ“), ხოლო სპარსულად ارز („არზან“) მოჰყავს. ივ. ჯავახიშვილმა და უფრო დაზუსტებულად ვლ. ფუთურაძემ აღნიშნეს, რომ სპარსულად „არზან“ ფეტეს ნიშნავს და არა სიმინდს, ხოლო არაბული „ზორათ“-იც ფეტვია, თუმცა „სიმინდის“ მნიშვნელობაც აქვს⁶.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ფ. გორგიჯანიძის ლექსიკონში „სიმინდი“ სიტყვის ერთი საგულისხმო ფონეტიკური თავისებურება. ფარსადანს ხელნაწერში „სიმინდრი“ აქვს. ლექსიკონის გამომცემელი ვლ. ფუთურაძე ამ ფორმას ასწორებს და „სიმინდი“-ს წერს, ხოლო შენიშვნაში ამბობს, რომ „ზედმეტი რ აქ lapsus calami უნდა იყოს, რაც ასე ხშირად მოსდის ჩვენს ავტორს“-ო⁷. ეს შესწორება არ არის მართებული, რადგანაც ფარსადანის მიერ „სიმინდრი“ ფორმის ხმარება შემთხვევითი არაა. საქმე ისაა, რომ სომხურისთვის, როგორც აკად. ი. ორბელი აღნიშნავს, მხითარისტებს სწორედ „სი-

¹ ლ. კოტეტიშვილი, წიგნი სააქიმოა მედიცინა ძველ საქართველოში. XIII საუკუნე. თბილისი, 1936, გვ. 325.

² იქვე, გვ. 217₃₂.

³ იქვე, გვ. 325.

⁴ გამოსცა ვ. ფუთურაძემ, თბილისი, 1941, გვ. 11.

⁵ ივ. ჯავახიშვილი, დასახულ. ნაშრომი, გვ. 363.

⁶ იქვე; ვ. ფუთურაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 36.

⁷ ვ. ფუთურაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 11 და 36.

მინდრ-სიმინტრ“ ფორმები ჰქონიათ დასახელებული¹. როგორც ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, ჰრ. აჭარიანიც „სიმინდრ“ ფორმას იცნობს.

ამასთანავე ერთად „სიმინდის“ რ-აენი ფორმა ქართულშიც არის დამოწმებული. რაფ. ერისთავის ლექსიკონში *кукуруза* და *Zea Mais L*-ს ქართულ შესატყვისად „სიმინდი“ ფორმის გარდა „სიმინდრო“-ც გვაქვს².

სომხურში „ღ“ ან „ტ“ ბგერათა შემდეგ „რ“-ს განვითარება სხვაგანაც დასტურდება. მაგალითად, ბერძნული დომენტრიოს საკუთარი სახელი სომხურ ძეგლებში *Գոմենտրիոս* — დომენტრიოს-ადაა გადმოღებული³. ამ ფაქტის უფრო ზედმიწევნით დასადასტურებლად ჩვენ სხვა სომხურ მაგალითს ვერ მივაგენით, მაგრამ პროფ. ილია აბულაძემ ჩვენი თხოვნით თავაზიანად მოგვაწოდა აკად. ჰრ. აჭარიანის შრომიდან ციტატი. ჰრ. აჭარიანს სომხური „სიმინდრ“-თან შესადარებლად მოჰყავს ბერძნული *καλαμίνθη*; სიტყვის არმენიზებული ფორმა *Կլამինտր* („კლმინტრ“, ქართულად „კრამიტი“), რომელშიც, როგორც „სიმინდრ“-სა და „დომენტრიოს“-ში „ტ“-ს შემდეგ გაჩენილია „რ“ ბგერა⁴. ჰრ. აჭარიანს ეს მაგალითი სხვათა შორის მოჰყავს *Hübshmann*-ის ახსნასთან დაკავშირებით, რომელსაც თურმე სომხ. „სიმინდრ“, ბერძ. *semidal*-იდან მიღებულად მიიჩნია („რ“-ს დაბოლოვებით ნაცვლად „ლ“-საო)⁵. *Hübshmann*-ისა (*Armen. Gram.*, I, 2) და აგრეთვე *Brockelmann*-ის (*ZDMG*, XLVII, 42) ამ უქანასქნელ მოსაზრებას ი. ორბელიც არ იზიარებს და ამბობს, რომ ასეთ შემთხვევაში „შეუძლებელია ბოლოკიდური რ-ს გაჩენის ახსნა“-ო⁶.

სომხურში ასეთი ფონეტიკური შესაძლებლობის ფაქტის დადასტურების შემდეგ ნაკლებად მოსალოდნელია, რომ „სიმინდრ-სიმინტრ“ სი ყვა ბერძნული ვითომ დიალექტური *σεμιδαλις*-იდან იყოს მიღებული⁷. ეს მიუ უფრო, რომ, როგორც თვით ი. ორბელი წერს, ასეთი დიალექტური ფორმა გრძო ანგარიშების მხოლოდ ერთ ნაწყვეტზე ყოფილა შენიშნული (*The Oxyr. Papyri* IV, 736, 82) და მისი გამომცემლები *P. Grenfell*-ი და *S. Hunt*-ი ასეთ ფორმას წერის შეცდომად თვლიან⁸. გარდა ამისა, კიდევაც რომ დადასტურდეს ბერძნულის რომელიმე დიალექტისათვის *semidareos* ფორმა, საჭირო იქნება ბერძნულის ამ დიალექტისა და სომხურის შეხების წერტილების გარკვევა. უნდა აიხსნას აგრეთვე *semidareos*-იდან *ა*-ს გამოვარდნის ფაქტი.

¹ *И. Орбели, Simitose в италийской надписи и semidalis, simila, similago: Журнал министерства народного просвещения. Новая серия. Часть XVIII. 1903. Декабрь. СПб., гв. 524.*

² *Краткий грузино-русско-латинский словарь из трех естественных царств природы. Тбилиси, 1884, гв. 51.*

³ *ილია აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში. თბილისი, 1944, გვ. 0118.*

⁴ *Հ. Աճառեան, Հայերէն արձատական բառարան, VI, გვ. 229—230.*

⁵ იქვე.

⁶ *И. Орбели, დასახელებული ნაშრომი, გვ 525. თვით ი. ორბელის აზრი ამის შესახებ სულ სხვანაირია. ამის შესახებ ქვემოთ.*

⁷ *И. Орбели, იქვე, გვ. 529, შენიშვნა 1.*

⁸ იქვე.



ზემოთქმულის საფუძველზე, ვფიქრობთ, უფრო სწორი იქნება, როგორც ვთქვით, რომ სომხურში, ისევე როგორც ქართულში „სამიდ“ სიტყვაა შესული პირდაპირილიდან (samīd, sem d და დიალექტებში, ალბათ, simīd), ხოლო „ნ“ და „რ“ ადგილობრივ ენათა ფონეტიკურ ნიშანგზება განვითარებული. ამჟამად მაგალითი ცოტა მოგვეპოვება, მაგრამ საერთოდ ქართულისათვისაც არ უნდა იყოს უცხო მსგავს პოზიციებში „რ“-ს გაჩენა (მაგალითად, ქართული ხალხური პულამეტრი რუს. пулемет-იდან).

სიტყვა „სამინდი“ ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონშიც მოიპოვება, ოღონდ ის, როგორც ეს ივ. ჯავახიშვილმა უკვე აღნიშნა, ამ სიტყვის განმარტებას არ იძლევა და მხოლოდ მცენარის აღმნიშვნელი ნიშანი აქვს დასმული¹.

ფ. გორგიჯანიძე და ს.-ს. ორბელიანი, ჩანს სამინდს რიგიანად არ იცნობდნენ, რადგანაც პირველს ბუნდოვანი განმარტება აქვს მოცემული, ხოლო მეორეს — ძლიერ ზოგადი. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, რომ „სამინდი აღმოს. საქართველოში XVIII საუკ. ორმოციანი წლებშიც კი ჯერ არსად ყოფილა“ და რომ „მიწისმოქმედების მნიშვნელოვან კულტურად სამინდი იმ დროს ჯერ მხოლოდ დასავლეთ საქართველოში იყო“².

მეორე მხრივ ძველ მწერლობაში, უმთავრესად ბიბლიის ქართულ თარგმანებში იხმარება სიტყვა „სემიდალი“, როგელსაც, ისევე როგორც „სამინდა“, თეთრი, ხორბლის უმაღლესი ხარისხის ფქვილის მნიშვნელობა აქვს; „მოგეც საჭმელად შენდა სემიდალი“, რუსული ტექსტის სათანადო ადგილას ასეა: *питалась ты хлебом из лучшей пшеничной муки* (ეზეკიელი, 16₁₃), ან კიდევ: „წარაგებდეს მისა მიმართ თითოეულსა დღესა სემიდალსა გრეისა ათორმეტსა“, რომლის რუსული შესატყვისი ადგილი ასეა: *и издерживали на него каждый день двадцать больших мер пшеничной муки* (დანიელი, 14₂).

საინტერესოა ს.-ს. ორბელიანის განმარტება ამ სიტყვისა. საბასთან ჩვენ ვპოულობთ „სამინდალსა“ და „სამინდოს“. „სემიდალი“ საბას ლექსიკონში სხვათა მიერ ჩართულ სიტყვად ითვლება, ხოლო ლექსიკონის რედაქციის მართებულად აქვს მითითებული, რომ „სემიდალი“ „სამინდალს“ შეედაროსო³. რათქმა უნდა, „სამინდალი“ იმავე „სემიდალ“ სიტყვის გადმოქართულებული ფორმაა და, შეიძლება, მორფოლოგიურად გააზრებულიც: „სა“ და „ალ“ ქართულ პრეფიქს-სუფიქსებად უნდა იყოს გაგებული, ხოლო „მინდ“ საუფკავი მარცვლელიდან ასაღები ბაჟის მნიშვნელობით ხმარებულ სიტყვად⁴. ამრიგად „სემიდალი“ და „სამინდალი“ სინონიმებია.

¹ ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი. პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით. თბილისი, 1928, გვ. 314.

² ივ. ჯავახიშვილი. საქ. ეკონ. ისტ., I, გვ. 363.

³ ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი. პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით. თბილისი, 1928, გვ. 310.

⁴ შდრ. აგროთეგ „სამინდი“ — ჭურჭელი, რომლითაც მინდს რწყავენ (ილიძე, ა. შანიძის რედაქციით. თბილისი, 1938, გვ. 86).

„სამინდალ“-ზე უფრო მეტად გადაქართულებულია „სამინდო“¹ რომელიც ძველ ქართულში აგრეთვე „სემიდალის“ მნიშვნელობით ს.ს. ორბელიანით „სამინდო ესე არს ზანდურის ფქვილი, რომელ არს კლარჩი წურილად გაცრილი“². ბიბლიაშიც „სამინდოს“ „სემიდალის“ მნიშვნელობა აქვს: „უკეთუ მომართვათ სამინდო ამოა“, სლავიანურად — и еще принесете ми семидал все (ესაია, 1₁₃), „და მომღებელი სამინდოსა, ვითარცა სისხლი ღორებრი“, სლავიანურად — приносящий семидал яко кровь свиную“, რუსულად — приносящий семидал — то же, что приносящий свиную кровь“ (ესაია, 66₃).

ამრიგად, „სემიდალი“, „სამინდალი“ და „სამინდო“ ძველ ქართულში, ისევე როგორც „სიმინდა-სიმინდი“, ერთი და იმავე მნიშვნელობის მატარებელი სიტყვებია. ყველგან მათ „საუკეთესო ხარისხის ხორბლის ფქვილის“ მნიშვნელობა აქვთ.

ქართულ ძეგლებში ხმარებული „სამინდალ-სემიდალის“ ბერძნულობა ჯერ კიდევ საბამ აღნიშნა: „სამინდალი ბერძულია“-ო³. მართლაც ქართული ძეგლების „სემიდალი-სამინდალი-სამინდო“ ბერძნულიდან შემოსული ძეგლების ფონეტიკური ნაირსახეობაა. ბერძნულში ამ სიტყვასაც ასეთი მნიშვნელობა აქვს: самая тонкая пшеничная мука, крупчатка⁴.

დ. ჩუბინაშვილი სავსებით მართებულად უკავშირებს ერთმანეთს „სამინდალსა“ და „სამინდოს“ და შემდეგ საერთო განმარტებას აძლევს: „სემიდალი“, ხლარჩი ფქვილი ზანდურისა წმინდად გაცრილი, არნაუტკა⁵. ოღონდ დ. ჩუბინაშვილი არ არის მართალი, როცა „სემიდალ“ სიტყვის „სამინდო, семидал“-ად განმარტებისას, „სემიდალ“-ს არაბული წარმოშობის სიტყვად თვლის⁶. არაბულში „სემიდალ“-ი დადასტურებული არაა.

სპეციალისტები ძეგლებს სიტყვას არც ბერძნული წარმოშობის სიტყვად თვლიან და მას ხმელთაშუა ზღვის ერთ-ერთი ენის კუთვნილებად აღიარებენ⁷. ი. ორბელის მიხედვით semidalis-ზე ასეთივე აზრი ჰქონია გამოთქმული L. Meyer-საც (Handbuch, d. gr. Etymolog. IV, 39)⁸.

უაღრესად საინტერესოა არაბული, სპარსული და თურქული ენების მონაცემები „სიმინდ“ სიტყვის შესახებ.

არაბულში سميد ან سميد „ძალიან თეთრ ფქვილს“ (farin très blanche) ნიშნავს⁹. ამასთანავე ერთად ზოგი ლექსიკოგრაფი, მაგალითად, Kazimirski,

¹ „ქართული ლექსიკონი“, 293.

² იქვე.

³ А. Д. Вейсман, Греческо-русский словарь. СПб. 1894. S. v.

⁴ ქართულ-რუსული ლექსიკონი, პეტერბურგი, 1887. S. v.

⁵ იქვე. S. v.

⁶ E. Boisacq, Dictionnaire étymologique de la langue grecque. Heidelberg — Paris, 1938. S. v.

⁷ ი. ორბელი. დასახელ. ნაშრომი, 522. ამ შემთხვევისათვის „სემიდალ“ სიტყვის სადაფრობის საკითხი ჩვენ არ გვინტერესებს.

⁸ Boissacq, Vocabulaire arabe-francais. Beyrouth, 1899. pag. 340.



ძირითად ფორმად **سَمِيد** (**samīd**)-ს თელის და **سَمِيد** მეორად ფორმად **سَمِيد** **سَمِيد** Kazimirski-თ **samīd pain blanc**-ს ნიშნავს. მართლაც ზოგ ენაში **samīd** და სხვა მისი ფონეტიკური სახეობანი „თეთრ პურს“, ან თეთრი ფქვილისაგან გამომცხვარ სხვა პროდუქტსაც აღნიშნავენ. ასე, მაგალითად, სპარსულში Johnson-ის მიხედვით **سَمِيد** -**samīd** (არაბული **سَمِيد** -დან მომდინარედ ითვლება) **white bread**-ს ნიშნავს. თურქულში **سَمِيد** -**simid** (აქაც არაბული **سَمِيد** -დან წარმოშვლად მიიჩნევა) ნიშნავს უმაღლესი ხარისხის ხორბლის ფქვილის მზა პროდუქტს, უმთავრესად კი კრენდილს და ბუბლიკს, ხოლო **simid unu** — წვრილად გატრილ ფქვილს, **крупчатка**-ს (Zenker-ს თურქულისათვის **سَمِيد** და **سَمِيد** ფორმებიც აქვს დასახელებული) ².

ამრიგად, სპარს. **samīd** და თურქ. **simid** არაბულიდან ნასესხებად ითვლებიან. არაბულში **samīd**-თან ერთად **samiz**-იც არის. მართა ეს უკანასკნელი ფორმაც რომ ყოფილიყო, ეს არ შეუშლიდა ხელს თურქულ-სპარსულში დონიანი ფორმის **samīd-simid**-ის მიღებას. საქმე ისაა, რომ არაბულ, სპარსულსა და თურქულ ენებში ა,ჰ და ჯ ნიშნებით გამოხატული („დ“, ინტერდენტალური „ზ“ და „ზ“) ბგერები ხშირად ერთიმეორის მონაცვალეებად გამოდიან. სპარსული **است** სიტყვის არაბიზებული ფორმაა **است**, ხოლო ქართულში „ტ“ ბგერითაა გადმოსული („ოსტატი“). არაბული **سَمِيد** 'სურსად-სანოვავე' ქართულში „დახირა“-სა და „ზახირა“-საც გვაძლევს ³. კიდევ მაგალითები: სპარს. **دغ** თურქ. **دغ**, ქართ. „ქალალი“, სპარს. **سوز**, ქართ. „ბოდიში“ (მაკ. ხუბუსა მაგალითი) და სხვ. მრავალი.

ივ. ჯავახიშვილი „სიმინდის“ ძველ ფორმებად „სიმინდაჲ“-ს, „სამინდო“-სა და „სამინდალ“-ს ასახელებს ⁴. მართალია, ამ სიტყვებს ძველ ქართულში სრული სემანტიკური იდენტურობა ახასიათებდათ და ერთნაირი წარმომავლობის არიან, მაგრამ მათი ასეთი ფონეტიკური დიფერენცირებულობის ფაქტი ახსნას მოითხოვს. უნდა გადაისინჯოს აგრეთვე დებულება, რომ „ამერიკული ახალი მცენარისათვის ქართველ ხალხს ძველისძველი ქართული ტერმინი“ (ივულისხამება „სიმინდი“) ჰქონდეს გამოყენებული ⁵. „სიმინდ“ სიტყვა ისევე როგორც „სამინდო—სამინდალი“ ქართულ ნიადაგზე ახსნას ვერ პოულობს. „სიმინდზე“ მსჯელობისას ი. ორბელის წერილს ივ. ჯავახიშვილი არ იხსენიებს.

¹ Dictionnaire arabe-français. S. v.

² Zenker-ი, Redhous-ი და Радлов-ი. S. v.

³ სამი ისტორიული ქრონიკა, გამოც. ექვთ. თაყაიშვილის მიერ. თბილისი, 1890, გვ. 96. „თმოგვის ციხეს რაც დახირა უნდოდა, მიატანიდა“, იქვე ნაჩვენებია „პარიზის ქრონიკის“ ვარიანტად „ზახირა“. ცხადია, აქ ა-ს ისეთივე რეფლექსებთან გვაქვს საქმე, როგორც არაბულ მეორე ინტერდენტალ ტ-ს მოგოვება: **است** გვაძლევს „ოსმან—ოსმალ“-საც და „ოთმან“-საც (იხ. „სამ ისტ. ქრონიკაში“ „ოთმანიანი რვა ათასი კაცი“. გვ. 97; შდრ. რუსული **османский** და **оттоманский**).

⁴ დასახელებული ნაშრომი, გვ. 364.

⁵ იქვე. ზახი ავტორისაა.

ი. ორბელის შემოხსენებული წერილის შინაარსი ჩვენ აქ მკლავნად არ მოგვყავს. ამ წერილიდან ჩვენ მხოლოდ „სიმინდის“ ქართული დასახელების ფორმების შესახები ზოგიერთი ადგილი მოვიტანეთ. წერილი უთუოდ საკითხის კარგი ცოდნითა და მდიდარი ფაქტური მასალის მოშველებით არის დაწერილი. წერილი 1908 წელსაა დაბეჭდილი. ავტორი იაფეტური ენათმეცნიერების თვალთახედვით უდგება საკითხს; გამოტანილი დასკვნა „სიმინდ-სემიდალის“ წარმოშობილობის შესახებ დამაჯერებლობას მოკლებულია.

ავტორი აღნიშნავს, რომ ელინისტები და ლათინისტები *semidal-simid-simila*-ს ბერძნულ-ლათინური წარმოშობის სიტყვებად არ თვლიან, ისევე როგორც სემიტოლოგებსაც *samid* და მისთანანი სემიტურ ენებში ნასესხებად მიაჩნიათ. ავტორის მიხედვით „სიმინდ-სემიდალ“-ი ქართული სიტყვაა და მას საფუძვლად უდევს იაფეტური სამთანხმოენიანი ძირი ს მ დ. ავტორი ამბობს: *принимая во внимание, что звук і [ѣ] является в яфетических высшей ступенью подъема s [s] (Н. Я. Марр, Лекции по Грамм. др.-грузинск. яз.) мы найдем в груз. imida resp. iminda [წმიდა—წმინდა] точное звуковое соответствие яфетическому корню smd*¹. „სემიდალ“-ის „ალ“ ელემენტი, ავტორით, ქართულსა და სხვა იაფეტურ ენებში მდებარეობითი სქესის ნიშანია (დედალი, სძალი და სხვ. მრ.). ამრიგად, სიტყვის ასახსნელად ავტორისათვის ამოსავალია ქართ. სიტყვა „წმიდა“, „რომელმაც შეინახა იაფეტური *smd*-ს პირველადი მნიშვნელობა“. ავტორი იმოწმებს აგრეთვე საბას, რომელსაც „წმიდა“ სიტყვა ნახმარი აქვს „ფქვილთან“ დაკავშირებით: „წმიდასა ფქვილსა კლარჩად ვიტყვით“. ავტორს არა აქვს ნაჩვენები სხვა შემთხვევა, რომელშიც „წ“ „ს“ ს გვაძლევდეს. ბერძნულ-ლათინურ და არაბულ *semidal-simila-simid* სიტყვებს ავტორი ქართულ ენობრივ სინამდვილეში წარმოშობილად და სხვა ენებში აქედან გავრცელებულად მიიჩნევს.

შემოვანხილული ცნობების გათვალისწინებით ქართულში საკლავი სიტყვების დაფუძნების სურათი შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ:

1. ამერიკული მცენარის სიმინდის შემოსვლამდე სიტყვები „სამინდალი — სემიდალი — სამინდო — სიმინდა — სიმინდი“ და, შეიძლება, „სიმინდრ-სიმინდრო“-ც ხორბლის უმაღლესი ხარისხის ფქვილს აღნიშნავდნენ.


2. „სამინდალი-სამინდო“ ბერძნული *σάμιδα*-იდან მომდინარე „სემიდალ“ სიტყვის გადაქართულებული ფორმებია, გვხვდება ბიბლიის ქართულ თარგმანებში და ბერძნულიდან მწიგნობრული გზით შემოხიზნული სიტყვებია.

3. „სიმინდა“ („ცხორება ნისიმესი“) და „სიმინდი“ („წიფი სააქიმო“) არაბიბლიური წარმოშობისა და საერო შინაარსის არაბთა ბატონობის შემდეგდროინდელ ძეგლებში გვხვდება და ხალხში გავრცელებულ სიტყვებად ჩანან.

4. „სიმინდა“ და „სიმინდი“ ფონეტიკურად და სემანტიკურად ძლიერ ახლოს დგანან არაბულ *samid*-თან (არაბ. *samid* დიალექტებში *semid* უნდა ყოფილიყო, ხოლო *e*-ს გრძელ *i*-სთან დამსგავსებით *simid*-იც, შდრ. თურქ-

¹ დასახელებული ნაშრომი, გვ. 526.

² იქვე.



simid). „ღ“-ს წინ „ნ“-ს გაჩენა ქართულში ჩვეულებრივია, გვხვდება უნარ-ოფორმაც — იმერული „სიმიდ“. „სიმინდაჲ“ და „სიმინდი“ via arabica სიტყვებად უნდა ვივარაუდოთ.

5. ამასთანავე ერთად უდავოა ბერძნული semidalis-ა და არაბული samid სიტყვათა გენეტიკური კავშირი. მეორე პირველიდან უნდა მომდინარეობდეს. ოლონდ, რადგანაც არაბისათვის al გარკვეული გრამატიკული ფუნქციის მატარებელი ელემენტია (განსაზღვრებითი არტიკლი) და ამდენად ფუძესთან ორგანული კავშირის არმქონე, ბოლოკიდური al მარცვალი არაბულ ნიადაგზე ჩამოვარდნილი უნდა იყოს დაახლოებით ისე, როგორც ბერძნულ Alexandr-იდან არაბულშა თავიკიდური al-ის შეკვეცით Ksander-Skander და Jskander-ი მიიღო.

6. „სიმინდრ-სიმინდრო“ არაბული samid-ის არმენიზებული ფორმებია, თუმცა ქართულ ნიადაგზედაც არ არის შეუძლებელი ასეთი ფონეტიკური ტრანსფორმაცია.

7. ამერიკიდან შემოსულ ახალ მცენარესა და მის მარცვლულ პროდუქციას ქართულში ხორბლის საუკეთესო ფქვილის აღმნიშვნელი სახელი „სიმინდი“¹ დაერქვა. სწორია ივ. ჯავახიშვილის ვარაუდი, რომ „სიმინდი ჩვენში პირველად ფქვილად იქნებოდა შემოტანილი და მხოლოდ შემდეგში უნდა იყოს მისი მარცვლული კულტურა გავრცელებული“². ჩვენ დავსძენთ: პირველად სიმინდი ფქვილად უნდა ყოფილიყო შემოტანილი, მაგრამ თეთრი ჯიშის სიმინდის ფქვილად და მის გარეგნულ თვისებას (სითეთრეს) უნდა გამოეწვია ასოციაცია ხორბლის თეთრ ფქვილთან.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თურქოლოგიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1947. VII. 9).

¹ ცნობილია, რომ სახანოში (სამეგრელო-ჭანეთში) სიმინდის კულტურის შემოსვლამდე მხოლოდ ღომი და ფეტვი (შემდეგში „მჭადისმჭადად“ წოდებული) იყო ძირითადი მცენარეული საკვებები. ღომისა და ფეტვის მოწვივისას თავთავის მოჭრას „გიმუა“ ერქვა და „გიმათუთა“ (= ქართ. „ღვინობისთვე“) ღომისა და ფეტვის მოსავლის აღების თვეს აღნიშნავდა (შდრ. ი. ყიფშიძე, მეგრ. ენ. გრამ., გვ. 217), ხოლო აქედან „ნოგიმენი“ — მოსავლის აღების შემდეგ დარჩენილ შემოდგომის ნაწილს. შემდეგში ღომისა და ფეტვის გვერდით სიმინდის კულტურა რომ გავრცელდა, „გიმუა“ სიტყვა უკვე ვერ გამოხატავდა „მოსავლის აღების“ ცნებას, რადგანაც სიმინდს (არათავთავიანს) „ტეხავდნენ“ და არა „გიმავდნენ“. გაჩნდა საერთო ტერმინი „გიმატახუა“ („გიმუა + ტახუა“-დან). დღეს, რადგანაც, სამწუხაროდ, სიმინდმა მთლიანად განდევნა ღომი, მხოლოდ „ტახუა“ იხმარება.

² დასახელებული ნაშრომი, გვ. 364.

03. ქავთარაძე

დ და რ თავსართები ქართულ ზმნებში

1. სიტყვა, შეტყუელი, უტყუ, ეტყუხ და მისთანანი ერთისა და იმავე ტყუ ძირის წარმონაქმნებია; ამ ძირზე სხვადასხვა საწარმოებელი აფიქსის დართვით ნაირგვარი ლექსიკური ერთეულები მიიღებოდა და იხმარებოდა ძველ ქართულში, მაგრამ ყველა ამ მნიშვნელობათაგან ძირითადი მაინც ის შინაარსია, რომელიც verbum dicendi-ს ფუძეში გვაქვს; ესაა: 'თქმა, მბობა'...

ნ. მარი ტყუ ძირის მნიშვნელობას 'ცნობა, გაგებასთან (შეტყობასთან)' აკავშირებდა. ამის საფუძველს მას აძლევდა მათი შინაარსობლივი მსგავსება: „გ-ი-ტყობ — შე-ვ-ი-ტყვ-ე და ვ-ი-ტყვ — ვლაპარაკობ, საკუთრივ: ვიტყობ პირით, ანუ ბაგეებით“¹.

ძველ ქართულში ამ ზმნის „ვიტყობ“-ის გაგებით ხმარება ჯერ კიდევ იშვიათია; იგი თანდათანობით ვითარდება და ჩვეულებრივი ხდება ახალ ქართულში.

ქანურში (უკეთ, ქანურის ათინურ კილოკავში) «იტყვის» ზნა «იტურს» სახითაა წარმოდგენილი², რაც კითხვას იწვევს: ხომ არაა იტყუხ ფორმაში ქართულისათვის კარგად ცნობილი ჰარმონიული ჯგუფი: ტ + ყ? ამ მოსაზრებას თითქოს მხარს უჭერს სვანური ზნა ტჷლი 'იძახის, ამბობს'. მაგრამ ქანურის ჩვენება აქ ქართულის ასახსნელად ვერ გამოდგება, რადგანაც „არც ერთს ქანურს კილოკავში არ ძლებს ტჷ. წჷ. ჰჷ კომპლექსები“³.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „თქუ და დექ ზმნები უძველეს ქართულში შეიცავდნენ არაადამიანის კლასის ექსპონენტს დ-ს. ქუ ნიშნავდა 'აქუს', ხოლო გ — ადგილს, ე ვნებითი გვარის აფიქსი იყო. მაშასადამე, ესენი წარმოშობით ნაწარმოები ძირებია: თ-ქუ და დ-ე-გ. გრამატიკული კლასის ნიშნები, სახელებს გარდა, ზმნებსაც აღმოაჩნდა“⁴.


ეგვემ დ- თავსართი უნდა ივარაუდებოდეს ტყუ ფუძეშიც: ტყუ ← *დ-ყუ თავკიდურ მკვეთრ ყრუ ქსთან დ- მჟღერის დამსგავსების გამო (შდრ. ლალად-

¹ Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка. Л. 1925, გვ. 204, § 238.

² არნ. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი. თბ. 1936, გვ. 172, § 47 დ.

³ არნ. ჩიქობავა, I. ს. გვ. 17.

⁴ გ. თაფურია, დ- თავსართიანი ზმნები: თ. უ. შრომები, XXV, 1943, გვ. 151.



-ყო → || ლაღა-ყო...)). მაშინ უძველესი ყუ ძირი ადვილად დაუკავშირდება სვანურ ზმნას ყღლე 'იძახის, ამბობს'. ამავე მნიშვნელობით ტყუ ძველ ქართულშიც იხმარება: ეტყჳს 'უძახის, ხადის, უწოდს'; მაგ.:

თავადი დავით ეტყჳს მას უფლით: C, მკზ 12, 37

შდრ. თვთ იგი დავით უფლით ჰხადის მას: DE, იქვე

აბჰბჳ ონ Δαβιν λέγει ἀπὸν χήριον

არე ხჰტ ჰნჰნ ხსჰ ჴაჰჰტ ღნა ახერ-ღიჯტ

რენე ლაფონმა ტყუ ძირის ბაღლად მიიჩნია ლოდობერიულში აწმყოს hiღა და ახვახურში ნამყოს ფორმა ეღ¹.

შემდგომი ამ ფუძის სემანტიკური განვითარების თვალსაზრისით საინტერესოა მისი მნიშვნელობა ასეთ კონტექსტში:

თმენამან ჴირისამან მოატყჳს გვრგვნი ცხორებისაჲ: წარტყუენ. იგ. ამგვარად, ტყუ ძირი მომდინარეობს *ღ-ყუ'საგან, სადაც ღ თავსართია.

2. ჰ-რჴუ-ა და თჴუ-ა — ძველ ქართულში ორივე verbum dicendi-ს მნიშვნელობით იხმარება. პირველში რ პრეფიქსი მიჩნეულია რ-წმენა, რ-ცხუენის ზმნების თავსართის ფარდად². ჩვენი სურვილია ძველი ქართულის დამატებითი მასალებით რ პრეფიქსის ისტორიის გათვალისწინება ამ ფუძეში.

a. ეს ფუძე რიგ მაგალითებში რ პრეფიქსის დაურთავადაც იხმარება ისე, რომ შინაარსი თითქმის უცვლელი ჩანს:

მიუგო და ჰჴუა მას: ბოლნ. 42

მწოდებელმან მან ჰჴუა უსტამს: ევსტათი მცხეთ. 81, 7; 81, 11; 81, 19 (ტექსტში თიფქმის სულ ასეა).

ამისთვისა ჰჴუა მას მამამან იოანე: ათონ. 15, 31; 16, 31; 19, 39; 33, 64; 57, 107/108; 73, 135; 84, 149 და სხვ.

ვითარცა პოეს იგი წიად ზღუასა მას, ჰჴუეს მას: C, იოვ 6, 25 (ალარას ვიტყვით ჴარაგმიან ფორმებზე, რომლებშიც რ ალბათ გამოტოვებულია).

b. ქართველური ენებიდან ეგვე ძირი გვაქვს სვანურში, სადაც ირბ ობიექტურპირიან ფორმებში რ არ იხმარება: ხჳჴჴ (|| ხჳჴჴინ) 'ჰრჴუა, უთხრა' (შდრ. რ თავსართიანი ფორმა, შესატყვისი ქართულის პირდაპირ ობიექტურპირიანი ზმნისა, რჳჴჴ || ლჳჴჴ || ლჳჴჴინ 'თქვა')³.


c. ძველ ქართულში არაიშვიათია შემთხვევები, როცა თჴუ ფუძე გამოყენებულია მოსალოდნელი რელატიური რჴუ ფუძის ნაცვლად. ოთხთავის რედაქციების შედარება ამ მხრით შემდეგს სურათს იძლევა:

თჴუ = რჴუ: მოიქცა ერისა მის და თჴუა: ვინ შემახო etc: DE, მკზ 5, 30

¹ René Lafon, Quelques rapprochements entre les langues caucasiques septentrionales et les langues karthvéles: B. S. L. t. XXIX, fasc. 3, № 8, 1929, გვ. 147.

² ვ. თოფურიია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან. II: ენიმკის მოამბე, V—VI, 1940, გვ. 540.

³ თოფურიია, სვანური ენა... გვ. 254.



აღიხილნა ცად, სულთ-ითქუნა და თქუა მას: C მკზ 7, 34
 იწყო მისა ლაღვად და თქუა: ლხინებამცა არს შენდა: C მტ 16, 22, 23
 შდრ. იწყო ბრალობად მისა და ჰრქუა etc: DE, იქვე...

მიუგო სიმონ და თქუა: მე ეგრე ვჰგონებ: DE ლკ 7, 43
 შდრ. მიუგო სიმონ და ჰრქუა: მე ესრეთ ვჰგონებ: C, იქვე.
 თქუა || ჰრქუა'ს ასეთი მონაცვლეობა კიდევ უფრო ადვილი წარმოსად-
 გენი გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ თქუ ფუძე სასხვისო ქცევის ფორ-
 მაშიცაა გამოყენებული:

გულმან მი თქუა დღესა ერთსა: კიმ. 207²³

გულმან უ თქუა ჭამადისა: იპოლიტე 25¹¹⁶.

დაბოლოს, ყურადღებას იქცევს მასდარული კონსტრუქციები, სადაც
 ძველ ქართულში თითქოს უფრო მოსალოდნელი იყო რქუამად ფორმა კონ-
 ტექსტის მიხედვით, არის კი ხშირად თქუამად ან სიტყუად:

რამ უადვილე არს თქუამად: მიგეტევენენ შენ ცოდვანი შენნი, ანუ
 თქუამად: აღდგე და ვიდოდე? C მთ 9, 5; მკზ 2, 9

შდრ. რამ უადვილეს არს სიტყუად: მიგეტევენენ შენ ცოდვანი შენნი,
 ანუ რქუამად: აღდგე და ვიდოდე? DE, იქვე.

ამგვარად, დამატებითი მასალების განხილვა ადასტურებს ამ ფუძეში რ'ს
 თავსართად მიჩნევას და იმავე ქუ ძირის გამოყოფას, რაც თ-ქუ'ში გვაქვს¹.

3. ა-რ ტყ-ია — ე-რ ტყ-ა და ა-რ ტყ-ამხ ზმნებში ძირად დღეს
რტყ მიჩნევა. ისტორიულად იგი წარმოქმნილი ჩანს და გამოგვაყოფინებს არა-
 ძირულ ელემენტს რ ← რა თავსართს. ძველ ქართულში დასტურდება რა- თავ-
 სართიანი ფუძის ურედუქცია ვარიანტი:

წარმოკედ, სარტყელი შეირატყ და მსახურე: C ლკ 17, 8.

რა → რ თავსართი აქ იგივე პრეფიქსი ჩანს, რაც რთხ ← რათხ (განი-
 რათხ კელი: მკზ 3, 5) ფუძეშია გამოყოფილი¹. რტყ ფუძიდან წარმოქმნილი
 სახელი სა-რ ტყ-ელი წარმოებით მსგავსია სა-რ ქუ-ელ'ისა. არც ერთ
 მათგანში რ ელემენტი ძირისეული არაა. მარტივ ტყ ძირს საერთო უნდა ჰქონ-
 დეს ტყ-ავ ფუძესთან: ორივე — ტყ-ავ და ა-რ-ტყ-ამ — ერთი და იმავე ტყ ძირი-
 საგან წარმონაქმი უნდა იყოს. რ'ს შეხორცება ძირთან უძველესი ფაქტია.
 ამდენად გამოთქმა — „სარტყელი ტყავისაჲ“ — ადვილი გასაგებია.

სტალინის სახელობის
 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 ახალი ქართული ენის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1947. V. 15).

¹ არნ. ჩიქობავა, კანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ. 1938, გვ. 283.

3. თოფუკია

ქართულურ ენათა სიტყვაწარმოებიდან

IV

ხმოვანთაგსართოვანი სახელები

1. სიტყვაწარმოებიტს პრეფიქსებში ყველაზე უფრო პროდუქტიულია ქართულში **ს-** და სვანურში **ლ-** ელემენტინი თავსართები. მრავალგზის იყო ნაჩვენები, რომ **სა-**, **სე-**, **სი-** პრეფიქსთა ფუნქციაა აწარმოოს ადგილის, დროის, იარაღის, დანიშნულების თუ აბსტრაქტულობის გამომხატველი სიტყვა როგორც სახელისაგან, ისე ზმნისაგან. მათი მორფოლოგიური ეკვივალენტია აწ უქმი **ნა-**, **ნე-**, **ნი-** თავსართები.

სვანურში ამ ორი სახეობიდან მხოლოდ უკანასკნელია დაცული და ისიც გადმონაშის წარმოდგენს. სამაგიეროდ მისი ფონეტიკური სახეცვლილება **ლა-**, **ლე-**, **ლი-** ისევე ცოცხალი და აქტიურია, როგორაც **სა-**, **სი-** ქართულში¹.

ზანური მისდევს ქართულს. აქაც ორგვარი თავსართია: ერთია **ნ-** და მისი მონაცვლე **ლ-** ელემენტი — საერთო პრეფიქსი ქართულ-სვანურთან — და მეორეა ოდნ ხმოვანთავსართი, შესატყვისი ქართულ **სა-**, **სე-**/**სი-** ნიშნებისა.

ლა-, **ლე-** თავსართი გამოყოფილი აქვს ი. ყიფშიძეს გეოგრაფიულ სახელებს გარდა მეგრულ სიტყვებში: ლა-გვიმორია 'გვიმრა', ლა-კადა 'დაღმართი სოფ. ჯუმთან' (ზუგდიდის რ.), ლა-პარტყია 'ბრტყელი', ლა-ფართია 'ფართო', ლა-ტყვაყია 'უხეირო თოფი'... (მეგრ. ლექსიკ.). **ლა-**ს შეიცავს ალბათ ლა-ფაჩ-ე'ც 'შილიფად', თუ იგი მიღებულია ფაჩ-უ-ა'საგან 'შლა'.

ნ/ლ ხმოვანიტურთ თავსართად არის მიჩნეული მეგრულსა და ქანურში მთელ რიგ მაგალიტებში, როგორიცაა: ქან. ნე-ნა 'ენა', ნუ-კუ 'ნიკაპი'... ლა-რღ-ე 'ნეღლი', ლე-მშ-ი 'ნემსი', ლუ-მჯ-ი 'სალამო'...²

ეგვე **ლა-** ჩანს ქართულში:

ლა-ნჩ-ა, მეგრ. ნა-რჩ-ა — საერთო ძირი რჩ უნდა ჰქონდეს ნე-რჩ'თან და სა-რჩ-ულ'თან.

¹ ლიტერატურა დასახელებულია და სათანადო მაგალიტებიც მოყვანილი ჩვენს წერილში „ნე-, ნი-, ნა- პრეფიქსებისათვის“; თბილისის სახ. უნივ. შრომები, ტ. VI, გვ. 83—92.

² დაწვრილებით არნ. ჩიქობავა, ქან.-მეგრ.-ქართ. შედარებითი ლექსიკონი; სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართვ. ენებში, გვ. 193 და სხვ.

ლა-რტყ-ა (ლა-რტყი: ვ. ბერიძე)¹ — აქაც რ-ტყ ძირი საერთო უნდა იყოს მო-რტყ-მა და სა-რტყ-ელ'თან.

ლა-ფარ-ო/ე 'სახლის გვერდზე გადმოხურული კედლების სიმშრალეში დასაცავად'¹. აშკარაა, წარმოქმნილია ფარ-ვა'საგან ლა — ე/ო აფიქსებით.

ლა-ფაფ-ი და სა-ფაფ-ური 'აყარი'¹ — შეპირისპირებიდანაც ჩანს, რომ ლა- თავსართია.

ლა-ბახ-ო 'ალაგე, ღობეზე' გადასასვლელი ადგილი'¹, მეგრ. ლა-ბახ-უ (გვარი ლაბახუა), ეტყობა, ნაწარმოებია ბახ ძირისაგან ლა — ო სართებით. ბახ და სვან. ბჷკ იგივეა, რაც ფერკი, და სხვა.

ნარნარა ნ/ლ ელემენტის პრეფიქსების პარალელურად ქართველურ ენებში, კერძოდ კი ზანურში, დ- თავსართიც იხმარებოდა ამავე ხმოვნებთან ერთად; მაგ.:

ჰან. და-ჩხ-ურ-ი = ცე-ცხ-ლი

„ დუ-ცხ-უ = ცა-ცხ-ვი და ა. შ.²

რაც შეეხება ქართ. სა-, სი- პრეფიქსებს, იგი ხშირია მეგრულში (და იშვიათია სვანურში) არა მარტო ქართულიდან შესულ სიტყვებში, არამედ მეგრულშივე ნაწარმოებ სახელებშიც, როგორცაა გეოგრაფიული სახელები და სხვა, მაგრამ ცხადია მათი (პრეფიქსთა) გვიანდელი ნასესხობა; მაგ.: სა-ჯიმალო 'საძმო', სი-სერა 'სადამოობა'... სა-ბოკუჩაო, სა-მარგალო 'სამეგრელო' და სხვ.³

ამგვარად, მივიღეთ


ქართულში:	სვანურში:	ზანურში:
ნა- (ლა-)	(ნა-) → ლა-	ნა- ლა-
ნე-	(ნე-) → ლე-	ნე- ლე-
ნი-	(ნი-) → ლი-	ნი- ლი-
		↙ ნუ-
და-	და-	და-
*დე-	დე-	*დე-
დი-	*დი-	დი-
დო-	დო-	დო-
↘ დუ-	↘ დუ-	↘ დუ-
სა-	სა-	სა-
სე-	—	—
სი-	—	სი-

ამათგან საერთოა ქართველურ ენებში ნ- და დ-, ცალკე დგას ქართული ს-; უკანასკნელს ფონეტიკური შესატყვისი არ მოეპოვება ზანურ-სვანურში.

¹ ვ. ბერიძე, სიტყვის-კონა, პეტერბ. 1912.

² არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის აგებ., 192—3 და სხვა.

³ ი. ყიფშიძე, Грамм. мингр. яз., გვ. 0129.



ლ- ბგერინაცვალა ნ-სი, ხოლო ნ- და ს- ერთმანეთს უპირისპირდება, როგორც სხვადასხვა ფენის მონაცემები.

საგულისხმოა ისიც, რომ ნაირ-ნაირ ნ-/ლ-, დ-, ს- თანხმოვნებს თან ახლავს ერთნაირი ხმოვნები ა ე ი ო → უ (ზანური ო ფარდია ქართ. ა-სი), ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, მხოლოდ ე-/ი- ო- ხმოვანთავსართებია წარმოდგენილი ანალოგიურ შემთხვევებში ზანურში და ისიც თითქოს სპეციფიკური ჩანს ჭანურ-მეგრულისათვის.

ე- პრეფიქსიანი მაგალითები ისევე ცოტაა ზანურში, როგორც სე- თავსართიანი ქართულში. ნ. მარი აღნიშნავს¹: „ე წმინდა თუბალ-კაინური ხასიათია II ქცევის ზმნათა (§ 119 a), იგი თავსართია მოქმედების სახელთა და საერთოდ სახელთა“: ე-ზმოჯა 'სიზმარი', ე-კნა 'კარი' (ლექსიკ.), მეგრ. ე-სხერი 'სესხი'...

ო კი „თუბალ-კაინური ხასიათია III და აგრეთვე IV ქცევის ზმნათა: 1) ეს პრეფიქსი, ე სუფიქსთან ერთად, აწარმოებს არსებით სახელთაგან ადგილის სახელებს...: ო-ფუტ-ე 'სახლის მიდამო', ო-ჯუმალ-ე 'სამარილე', 2) იძლევა, -ალ-ე ბოლოსართებთან ერთად, იარაღის სახელებს, მაგ.: ო-ქოს-ალ-ე 'ცოცხი'... (§ 119 b).

ამასვე ამბობს ი. ყიფშიძე მეგრულის მიმართ²: ო ხასიათი არსებით სახელთაგან -ე სუფიქსის მეშვეობით წარმოაქმნის ადგილისა და დანიშნულების სახელებს: ო-ცხენ-ე 'საცხენო, თავლა'..., ხოლო ზმნის ფუძეთაგან -ალ- ბოლოსართის დართვით მომაგლის მიმღობას, იარაღის სახელებს: ო-ჭკომ-ალ-ი 'საჭმელი'... ო-ხვან-ე 'სალოცავი, ეკლესია'... (§ 128 k).

მაშასადამე, თანხმოვანელემენტის (ნა-/ლა-, და-, სა-...) პრეფიქსების გვერდით ზანურში ხმოვანთავსართები (ე-/ი-, ო-) იხმარება და დღეს პროდუქტიულია სწორედ უკანასკნელი — ო.

2. რა მიმართებაშია ზანური ხმოვანთავსართები თანხმოვანელემენტის თავსართებთან? ახსნა მოცემულია სამეცნიერო ლიტერატურაში.

ნ. მარის აზრით, სა-, სე-ს შესატყვისად ჭანურში მოსალოდნელი შო-, შე-, resp. ში-ს ელემენტი შ გადავიდა ე-დ და ხმოვანთა წინ ე გაქრა (ეე-/ეი-, ეო → ეი/ი, ო), ხოლო ე-ს „тупой подъем в виде d“ დატულია დი-, დო-პრეფიქსებში (ჭან. გრამ. § 119 b-d).

ი. ყიფშიძის ვარაუდით ო მიღებულია დო-საგან დ თანხმოვნის დაკარგვით (მეგრ. გრამ. § 128 b), ხოლო არნ. ჩიქობავას სიტყვით ადრინდელია და-|| ჰა-, სადაც დ/ჰ გარდამავალი ბგერაა. „დ/ჰა ქართულში სა-დ იქცა, ჰო-მ მეგრულში მოგვცა -ო-...“ (შედარ. ლექსიკ. 240).

სამივე ახსნა სხვადასხვაგვარია, ერთმანეთის საწინააღმდეგო და ამდენად სადავო. არ ვიცით შემთხვევა, რომ შ იქცეოდეს ე-დ და შემდეგ ის ქრებოდეს³, ან ე გადადიოდეს დ-დ; არც ის დასტურდება, რომ დ უკვალოდ იკარგებოდეს.

¹ Н. Марр, Грамм. чанского яз., პეტერბ. 1910.

² И. Кишидзе, Грамм. мингр. яз., პეტერბ. 1914.

³ შედარ. ლექსიკ. 151.

ძნელი სამტკიცებელია აგრეთვე, რომ **ა/ჰ** ადრინდელი პრეფიქსული ელემენტი იყოს და მისგან **ს** მიიღებოდეს; პირიქით კი — **ს** იქცეს **ა** ან **ჰ**-დ, ან კიდევ ხმოვნის წინ **ა** თუ **ჰ** განვითარდეს, ადვილი დასაჯერებელია. მოსაგონარია ისიც, რომ **ს ნ ლ რ დ** პრეფიქსთა წყებაში **ა/ჰ** არა ჩანს. მაშასადამე, ზანურის ხმოვანთავსართთა გენეზისი დამაკმაყოფილებლად არაა ახსნილი.

3. ხმოვანთავსართული წარმოება, სპეციფიკური დღეს ზანურისათვის, დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ქართულისა და სვანურისათვისაც. საამისო მაგალითები, მოღწეული გადმონაშთის სახით, მოიპოვება არცთუ მცირე. დავასახელებთ უდავობს.

ა პრეფიქსიანები:

ა-ბანო სახელია. აქედან წარმომდგარია გეოგრაფიული სახელები: აბანოეთი, აბანოები, აბანოსწყალი... იგი შესულია მეგრულსა და სვანურში: აბანა, აბანო. ა-ბან-ო წარმოქმნილია ზმნისაგან ბან-ს, უკანასკნელი კი ძველ ქართულშიც შემოგვენახა: „ვიდრე არა განიბანნიან, არა ჭამიან... განბანა და სასუმელთაჲ“ (C მკვ 7, 4), მეგრ. ბონ-უა, ქან. ო-ბონ-უ, სვან. ლი-ბრ-ჰლ. ძირია ბან (შდრ. бан-я, ლათ. bal-neum, ბერძნ. βαλ-ανειον...), ა-ო, ცხადია, აფიქსებია: ა-ბან-ო უდრის სა-ბან-ი || სა-ბან-ელ-ი. აქ -ო ბოლოსართი ისეთივეა, როგორიც არის -ო სასწავლო-ში.

ა-დგილი წარმოქმნილი სახელია. „საზურს იგი არს ადგილი, სადა იგი ბაჟსა უყოფედ“ (ბოლნ. 9₂₂). ეს სიტყვა შევიდა მეგრულსა და სვანურში და სახე იცვალა: არდგილი (მეგრ.), ადგილ, არდგილ, არდგილ¹ და, უთუოდ, არგი, ზგი ადგილი, სახლი². ნაწარმოები ჩანს დგ-ას ზმნისაგან ა—ილ აფიქსებით².

ა-ლაგე ძველ ქართულშიც არის ნახმარი: „წრველ-ყვენით ალაგნი მისნი“ (DE მკვ 1, 3) და ნიშნავდა 'გზა'ს, ახლა კი გამოხატავს 'ადგილ'ს; იმერულშია ალაგე 'ღობეზე გადასასვლელი ადგილი, ლაბახო, გადასაბიჯი' (ვ. ბერიძე); ამავე ძირისა და მნიშვნელობისაა მეგრ. ო-ლაგე; სვანურში კი ნასესხებია ქართულიდან: ალაგ (ლშხ. 'ჭიშკარი'), ჰალაგ (ბქვ. 'მესერი': ნ. მარო, ლექსიკ.). ი. ყიფშიძე გამოჰყოფს ლაგ ძირს და მას უკავშირებს ქართ. ლაჯ-ს (მეგრ. ლექსიკ.). უდავოა, ა—ე თავსართ-ბოლოსართთა.

ა-ჩრდილი რომ ა- პრეფიქსიანია, ამას ამჟღავნებს ჩრდილი, ჩრდილო და ჩერთ. ჩრდილო დაცულია ძველ ქართულში: „აღმოსავალით გნ მზისათ და ვე დასავალადმდე ჩრდილოათ და ბლუარამდე“ (ბოლნ. 2₁₈₋₁₉)-ჩერთ-სთან შეპირისპირება ფუძის -ე-ს ამოღებასა და -დ-ს სუფიქსობაზედაც მიუთითებს³.

¹ ნ. მარო, Извлечение из св.-р. словаря, Птрг. 1922.

² შდრ. ნ. მარო, Др.-гр.-р. словарь, СПб. 1913.

³ „ქართ. ა-ბან-ო, ა-დგ-ილი, ა ჩრდ-ილი-ი...: ა პრეფიქსი, აქაც, აღბათ, ჰა-ს გამართვებული სახეობა: ა — ჰა- || სა-“ (არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის აგებ. 194, 36მ.; შედარ. ლექსიკ. 53, 36მ.).

ა- თავსართი აქვს სიტყვას ა-ლუდი ('ლუდი') თუშურში. ა- უნდა გამოიყოფოდეს სახელებში ა-კიდ-ო 'წყვილმტენიანი რქა ვაზისა შქსანხალი აკრილი' და ა-კვან-ი. უკანასკნელის ურედუქციო ფორმა, დაცული ხეცურულსა და ლეჩხუმურში — ა-კვან-ი || ლეჩხ. ა-ვაკან-ი¹, ბადებს საკითხს ა-ს პრეფიქსობის შესახებ. აგრეთვე ა-დვილი² ს ასე დაშლა ნ. მარის მიერ ა-ს საწარმოებელ ნიშნად მიჩნევის მაუწყებელია³.

ვ. ბერიძეს ა- გამოუცალკევებია, ვფიქრობთ, სამართლიანად, შემდეგს სიტყვებში: ა-თხაჯელა 'ცული ყოფაქცევის ქალი', ა-კაბელა 'აყლაყულა', ა-ლაჯა || ლაჯა 'ღვლეჭი', ა-ყარი 'საკვამლე', ა-ჩაჩა 'ჩოჩილა ურემი' და სხვა.

სვანურში ა- ჩანს თავსართად რიცხვით სახელში ა-რა (ქან. ო-ერო) 'რვა'⁴ და ქართულიდან შესულ სიტყვებში:

ლშხ. ა-ყბა (ლნტ. ა-ბაყა), ბზ. ჰა-ყბა ('მღრ. ეც. ყაფ) 'ყბა, ლოყა'⁴

ლშხ. ა-კვედ, ბზ. ჰა-კვად, ლხმ. ჰა-კედ 'კული'

ლშხ. ა-ღვრა, ბზ. ჰა-ღვრა 'საზღვარი, მიჯნა'⁴ და საფიქრებელია:

ლშხ. ა-გვ, ზსვ. ჰა-გვ 'ქუსლი'⁴

ლშხ. ა-წვალ, ლხმ. ჰა-წვალ 'ჩალის ზვინი'⁴ და სხვ.

უდავოა, რომ აქ ჰ- ხმოვნის ფშვინვეერი შემართვის ნაწყალობეგია, თავკიდური ა- თავსართია და არა პირიქით, როგორც ამას კაცი დაუშვებდა, თითქოს ქართ. სა → ჰა (სა-ზღვარი → ჰა-ღვრა). დებულების სისწორეს (ჰ- + ა-) ამტკიცებს: 1. ჰ-ს განვითარება ნასესხებ სიტყვებშიც⁵, 2. ა- პრეფიქსთან ერთად ა- ბოლოსართის გამოყენება (ა-ყბ-ა, ა-ღვრა-...), 3. სა- თავსართის უცვლელად ხმარება.

ამგვარად, ზანურის ო- პრეფიქსის შესატყვისი ოდენ ხმოვანთავსართი ა- შემონახულია ქართულსა და სვანურში.

მ- პრეფიქსიანები:

მაგალითები ცოტაა და ყველა ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში; ესენია: ქან. ე-კნ-ა || ნე-კნ-ა 'კარი'⁶; მეგრ. ე-ფშ-ა, ქან. ო-ფშ-ა 'სა-ვს-ე'; ქან. ე-ზმოჯა 'სიზმარი'; მეგრ. ე-სხერი⁷ 'სესხი'; ქართ. ე-ნა, ქან. ნე-ნა; ქართ. ე-რ-ქე-ან-ი, მღრ. სა-რ-ქე-ელ-ი⁸... ე- თავსართიანი უნდა იყოს ე-ქე-ი და

¹ ა. შანიძე, კვეს. მასალების ლექსიკონი; მ. ალავეძე, ლეჩხუმური ლექსიკონი.

² Др.гр.-р. словарь.

³ არნ. ჩიქობავა, შედ. ლექსიკ. 217.

⁴ ნ. მარი, Изв. из св.-р. сл.

⁵ ს. ჭლენტი, ხმოვანთა ფშვინვეერი. შემართვა სვანურში: აკად. მთაბმე, VI, № 5,

386-389.

⁶ შედ. ლექსიკ. 155, 240, 53; სახელის ფუძის აგებ. 178.

⁷ ნე-, ნი-, ნა- პრეფიქსებისათვის, გვ. 86, შწშ. 1.

⁸ სახელის ფუძის აგებ. 96; მღრ. ივ. ჯავახიშვილი, საქ. ეკონომიური ისტ., I,

ე-რენჯიკა, თუნდაც იმის გამო, რომ ე-ს ენაცვლება ი-: ი-კე-ი, ი-რენჯიკა (ინ.) (მდრ. ჭან. ე-ზმოჯა / ი-ზმოჯა, ჭან. ნე-ნა / მეგრ. ნი-ნა).

ექვი არაა, რომ ოდენ ხმოვანთავსართი ე- ქართულშიც ყოფილა ხმა-რებული.

0- პრეფიქსიანები საკმაოზე მეტია. უდავოდ მიიჩნევა:

ი-გავი: „პრქუა მათ იგავით: მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ კაცსა მეფესა“ (C მთ 22, 1—2)... ი-გავისა და მ-ს-გავ-ს'ის შეპირისპირებიდან ჩანს, რომ საერთოა გავ (ზმნა: ჰ-გავ-ს) და ი- თავსართია.

ი-დაყვ: „უკუეთუ არა იდაყვთგან დაიბანნიან კელნი, არა ჭამიან“ (DE მკვ 7, 3): ი-დაყვ || ნი-დაყვის შედარება ქართ. დლაყვთან (საბა) და მეგრ. დუყ-ი და ჭან. დუყ-უ'სთან ი-ს პრეფიქსობას შექველს ხდის (შედ. ლექსიკ. 59).

ი-დუმალ და აქედან: სა-ი-დუმლო: „და ეგრეთ მოვიღებდეთ... საჩინოდ და ცხადად და უბრალოდ და არა იდუმალ და პარვით“ (ტიმ. ანტიოქ. 75₃₄₋₃₅); „თქუენდა მიცემულ არს ცნობად საიდუმლოჲ“ (C მკვ 4, 11)... ძირია დუმ, წარმოდგენილი ფორმებში დუმ-ს, დუმ-ილი... ცხადია, ი-დუმ-ალ გამოიყოფს ი-ალ აფიქსებს.

ი-ფქლი: „...გამოიღის ნაყოფი... სრული იფქლი თავსა მას შინა“ (C მკვ 4, 28). ივ. ჯავახიშვილის მოწმობით, იფქლი „ძველის-ძველი ქართული სახელია“ (ეკონ. ისტ., I, 395). იგი დაკავშირებულია სვან. 'ფექ'თან 'ფქვილი' (სახ. ფუძის აგებ. 53—54). ასეთ შემთხვევაში ი- ძირს არ განეკუთვნება.

ი-ძულემა: „აიძულეს და ძლით წარიყვანეს“ (შუშ. 19₆)... წარმოქმნილია ძ-ალ'ისაგან და ამდენად ი- და -ულ(-ებ-ა) სართებია (სახელის ფუძის აგებ. 25).

ი-სარი და სრ-ოლა, სი-სრ-ა, ი-სვრ-ის და ხევსურულში სრ-ევა ი-სრ-ევის, ე-სრ-ევის („თოფის სრევა“; „მეთოფე ...ესრევის“; კეც. მასალები, 147_{14, 24}) უჩვენებს, რომ ძირია სარ და ი- პრეფიქსი (სახელის ფუძის აგებ. 224, 226). ჭან. ისიჯი 'ისარი' და მეგრ. ისჯნდი 'შუბი', ისინდი 'ჯირითი', 'სისრა' იძლევა საშუალებას, რომ ისარ'ში -არ სუფიქსად გამოიყოს.

ი-ღლია და ღლია (ჩუბ.) ფორმების პარალელობა და მეგრ. რ-ღია-ს არსებობა ი-ს უდავო თავსართად გამოაგენს.

ი-სიპი: ისიპი ქჭა 'სიპი ქვა'¹ — აშკარაა, ი- დანართია.

ი-რენჯიკა, ე-რენჯიკა/ე-მ, ი-ლინჯა, ი-ლინჯა, ი-რეჯა (ვ. ბერიძე), ი-რენჯიკა/ე (ს. ჟღენტო, გურ.), ი-რანჯიკა (ბ. წერეთელი, იმერ.), ი-რეჯი, ი-ლინჯა (საბა), ი-რეჯა (ჩუბ.) და ჭან. ი-რეჯი, ე-რეჯი, ე-რენჯი, ე-რერენჯი (ნ. მარი) 'მახე' — ყველა რომ ი- თავსართიანია,

¹ ს. ჟღენტო, გურული კილო, 226.

ეს ნათლად ჩანს 1. **ი-** და **ე-**ს მონაცვლეობიდან (**ი-რენჭკა** და **ე-რენჯიკა**)
 2. მათი უპრეფიქსო ფორმებიდან: **რაჭ. რენჭკა** (ვ. ბერიძე) და **ლენჯიკა** (ალავიძე).

ი-კანკელი 'აღმართში მიმრეც-მიმრეცად აღსლვა' (საბა), **ი-კანკელი** 'დაკლანკილი' (ჩუბ.) და **კანკელი**'სა და **კანკელი**'ის შეპირისპირება **ი-**ს მდგომარეობას არკვევს.

ი დიდი ხანია პრეფიქსად არის გამოცხადებული მაგალითებში: **ი-გვრდივ** (← **ვევრდი**), **ი-რვლივ** || **ი-მრვლივ** (← **მრვალი**) (საბა, ჩუბ., მარი, შანიძე), **ი-გრძივ**, **ი-ბრტყივ** (შანიძე¹), **ი-ბედივ** (აქედან: **ი-ბედივი**: საბა, ჩუბ.) და სხვა. ამათთან შედარება **სი-გრძივ**, **სი-ბრტყე** და **ბედ'**ისა და სხვათა დებულების სისწორის მხრივ დავას არ იწვევს.

ეგების ამგვარივე წარმოქმნისა იყოს **ი-ჩქ-ითი** 'მყისი' (საბა, ჩუბ.; შდრ. **ი-ჩქ-ითი**: ვ. ბერიძე, **ი-ჩქ-იში**: ჩიქოვანი, ლეჩხ.), თუ ეგ ქართული სიტყვაა და **ჩქ-არ'**თან საერთო ძირი აქვს.

უდავოა, **ი-** თავსართია, როგორც ეს ვ. ბერიძის ანალიზით ჩანს, სიტყვებში: **ი-ღება** || **ღება** 'უღელზე მიმაგრებული ჯოხი... ფარცვის დროს', **ი-წორწალი** || **ი-წინწალი** || **ი-წინწალი** || **ი-რწევანი** 'ოწინარი'...

ამათ დაემატება **ი-ღლიბატური** (შდრ. **ღლაბუცი**: სიტყვის-კონა), **ი-სარნა** || **სარნა** 'ფართო ძროხანი ჭურჭელი' (ბ. წერეთელი), **ი-ფრინა** 'შეკრიკი' (საბა, ჩუბ.), **ი-სხერტი** (იქვე) || **ი-სხლეტი** (ბ. წერეთელი) 'მახე' და **ზოგიც** სხვა (**ი-სხ-არი?** 'ჩქარი წვიმა' და მისთ.).

ი- სვანურშიც პრეფიქსია და იგი ადრევე შენიშნულია მაგალითებში: **ი-შვიდ** 'შვიდი', **ი-შვენ** 'სხვა', **ი-ფხ** 'გვიმრანაირი მცენარე', **ი-სნაგ** || **ში-სტამ** 'სიზმარი', **ი-შდგ** || **ი-შთხ** 'წიხლი', **ი-ნლა** (ლნტ. **ი-ნლა**) 'ჟოლო', **ი-რთხინ** 'ციდა', **ი-თქ** 'პურის მარცვლეული'², **ი-ცხ** 'მსხალი', **ი-სგა** 'შუა'... (ნ. ჩარი, ИЗВЛ. ИЗ СВ. П. СЛ.). სხვა არა იყოს რა, ქართულის ძირისა **ი-შვიდ**, **ი-ცხ** (აქ ი-უ: მრ. უ-ცხ-არ) და ქართ. 'შუა'ს ევევივალენტი **ი-სგა** ამჟღავნებს **ი-**ს არაძირისეულობას.

მაშასადამე, ოდენ ხმოვანთავსართი **ი-ც** დამახასიათებელია ქართველური ენებისა და იგი არც ისე იშვიათია.

იჩკვევა აგრეთვე, რომ ხმოვანთავსართებში ექცევა ქართულში **ი-ც**, რომელიც ზოგჯერ **უ-**დ არის გადასული (შდრ. მაგ. **სა-ოცარი** და **სა-უცარი**: **ც** მკზ 6, 49), და **უ-ც**. ამ შემთხვევაში მხედველობაშია მიღებული **ი-რძილი** || **აღ-ი-რძინება**, უკვე ანალიზებული **უ-ფალი** (მე-უფე, **ს-უფევა**, შდრ. **დედ-ი-ფალი**, **ს-ი-ფელი**) და სხვა, მაგრამ ამ საკითხს საგანგებოდ დასჭირდება განხილვა.

¹ ოდონდ ავტორი შესაძლებლად თვლის, რომ **ი-** პრეპოზიციული წარმოშობისა იყოს (წელიწადული, გვ. 6).

² ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, „იქლის ანარკლი უნდა გვეტონდეს სვანურს „იოქ“-ში, რომელიც ივ. ნიჟარაძის განმარტებით ჰნიშნავს **хлеб**“, ხოლო მეგრ. „იოქი“ „იქრისავანა“ უნდა იყოს „იფ“ გაქრობითა და „ქრ“-ს ადგილმონაცვლებით წარმომდგარი“ (საქ. ეც. ისტ., I, გვ. 327).



ამგვარად, შემორჩენილი მაგალითების ანალიზიდან აშკარად ჩანს, რომ სახელთა ხმოვანთავსართული წარმოება საერთო იყო ქართულ თველური ენებისათვის: იგი ახასიათებდა ზანურთან ერთად ქართულსაც და სვანურსაც. ხმოვანთავსართოვან სახელებს შემდგომ ერთოდა **ს**, **ნ**, **ლ** თუ **დ** თანხმოვანპრეფიქსები. ამას ამტკიცებს შემთხვევები, სადაც თანხმოვან ელემენტთა (და ზოგჯერ ხმოვანთავსართთა) წარმოჩენა სავალდებულო არ იყო არამტყუ რომელიმე ქართველურ ენაში, არამედ ერთსა და იმავე ენაშიც კი; მაგ.:

ი-დაყვი და **ნ-ი-დაყვი** (შდრ. დლაყვი, მეგრ. დუყი)

ნ-ი-კაპი (შდრ. კაპ-უნი, სვან. კაპ-რჷჲ)

ა-ჩრდილი და ჩრდილი

ე-ნა და **ნ-ე-ნა**, **ე-კნ-ა** და **ნ-ე-კნ-ა** (შდრ. კარ-ი) და სხვა.

საგულისხმოა, რომ სვანურშიც მოიპოვება ანალოგიური პარალელები:

ი-სგა და ბქე. **ლ-ი-სგა**.

ბქე. **ა-რტამ** || **ჰ-ა-რტამ** და ბზ: **ლ-ა-რტამ** = მეგრ. **ო-რ-ტილ-ი** 'მტილი', 'ბოსტანი'... ნათელია, რომ აქ **ლ** ისევე დართულია, როგორც ქართულში **ნ** (**ნ-იდაყვ**'სა და სხვ.).

მეგრულში იმდენად ხშირია **ლ-ს** დართვა, რომ ი. ყიფშიძე საგანგებოდ აღნიშნავს მეგრულ ლექსიკონში: „**ლ-ფონეტიკური** нарост в начале слов, начинающихся на гласные, как-то: **ლ-აკანცია**, **ლ-ისგრი** и др. (გვ. 264). ამათ გარდა, **ნ**. მარი ასახელებს ასეთ მაგალითებს: მეგრ. **ლიმა** 'ოპი', **ლუბა** 'უბე', **ლანური** 'ენგური' (მდ.)...¹ **ლ-** რომ აქ მეორეულია, ამას ააშკარავენ ნასესხები სიტყვები: აკაცია (რუს. **акация**, ბერძნ. **akē** 'ეკალი'), ქართ. უბე, ისლი (→ მეგრ. **ლ-ისგრი**) და სხვ. მეგრულს გარდა **ლ-ს** დართვა შემჩნეულია დასავლურ კილოებში: **ლ-ეკალი** (ლექს.: ალაგვიძე), **ლ-ონდეთ** ('ნელა': იქვე; შდრ. მეგრ. **ონდეთ** 'ძლივს'), **ლ-ალვა** 'ალვა, გატრუსვა' (ბერიძე), **ლ-აკვანი**...²

თუ, მართლაც, ადრინდელია ხმოვანთავსართები და მერმინდელი — თანხმოვანთავსართები, მაშინ ორი დასკვნა გამოიტანება:

1. **ნა-ლა-**, **ნე-ლე-**, **ნი-ლი-**, **სა-**, **სე-**, **სი-** თუ **და-**, **დე-**, **დი-** პრეფიქსები დაიშლება შეპადგენელ თანხმოვან და ხმოვან ელემენტებად: **ნა-ა-ლა-**, **ნე-ა-ლე-**, **ნი-ა-ლი-**, **სა-ა-**, **სე-ა-**, **სი-ა-** და **და-ა-**, **დე-ა-**, **დი-ა-**, რაც შესრულებულია კიდევ ზოგი კატეგორიის სიტყვათა მიმართ³ და შესაძლებელია იგი გატარდეს ბოლომდის და

2. ამ ელემენტთაგან ხმოვანთავსართი, თუ ის ფონეტიკურ ნიადაგზე არაა განვითარებული, აწარმოებს სახელებს სახელისაგან და ზმნისაგან და თანხმოვან-

¹ Определение яз. второй кат. Ахем. надп.: ЭВОРАО, т. XXII, გვ. 43, №№. 2.

² **ლ-ს** პრეფიქსად გააზრების შედეგია უთუოდ, რომ იგი მოცილებულია ნასესხებ სიტყვებში, როგორცაა, სვან. **ღერწ** → || **ერწ** (ბქე. — ალი დავითიანი) და მეგრ. **ლისმარი** → || **ისმარი** (ყიფშიძე).

³ სახელის ფუძის აგებ., გვ. 224—230.

თავსართი გარკვეული ფუნქციის მატარებელია, სახელდობრ, ს ნ ღ პრეფიქსები სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია კლასიკატეგორიის ნიშნად. უთუოდ ამ გარემოებით აიხსნება, რომ როგორც ზმოვანელემენტები, ისე თანზმოვანელემენტები ყველა ტიპის წარმოქმნილ სახელებში ჩანს; მაგ.:

ა: ა-ბანო, ს-ა-სწავლი, ნ-ა-თელი, დ-ა-თვ

ე: ე-ნა, ს-ე-ცხლი, ნ-ე-რგი

ო: ო-გავი, ს-ო-გრძე, ნ-ო-კაპი, ჯან. დ-ი-ცხირი 'სისხლი' და სხვადასხვა.

ხსენებულ პრეფიქსთა ელემენტებად დაშლა და მათი ფუნქციის წარმოჩენა შესაძლებლობას იძლევა, რომ პრინციპული ხასიათის ზოგადი დებულება იქნეს წამოყენებული: ზმოვანთავსართი სიტყვასაწარმოებელი ნიშანია, ხოლო თანზმოვანთავსართი გრამატიკული კლასის ექსპონენტია.

ნ. მარის სახელობის
ენის ინსტიტუტი

(შემოვიდა რედაქციაში 1947. VI. 10).

В. Топуриа

Из области словообразования в картвельских языках

IV

Производные имена с гласными префиксами

Резюме

1. Для образования имен от основы имени или глагола, обозначающих место и время действия, назначение, орудие производства, географические названия, а также отвлеченные понятия (*nomina abstracta*), в грузинском языке использованы префиксы *სა- sa-*, *სე- se-*, *სი- si-* и *ნა-/ლა- na-/la-*, *ნე- ne-*, *ნი- ni-*, в занском — префиксы *ლა- || ნა- la- || na-*, *ლე- || ნე- le- || ne-*, *ლი- || ნი- li- || ni-* и гласные элементы *ო- o-*, *ე- e-*, *ი- i-*, соответствующие груз. префиксам *სა- sa-*, *სე- se-*, *სი- si-*; а в сванском представлены общие с грузинским и занским языками префиксы *ლა-/ნა- la-/na-*, *ლე-/ნე- le-/ne-*, *ლი-/ნი- li-/ni-*; кроме них имеются в пережиточных формах префиксы *და- da-*, *დე- de-*, *დი- di-*.

Наличие в одном и том же языке многих вариантов словообразующих префиксов с одинаковой функцией, при использовании одних и тех же

¹ ამის შესახებ დაწვრილებით ფუძემდებელ მონოგრაფიებში: ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა და არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში.

гласных, объясняется двояко: различные согласные элементы или получены в результате фонетических процессов (как напр. $p \rightarrow l$: $pa \rightarrow la$, $pe \rightarrow le$...), или они восходят к различным диалектным (resp. языковым) слоям (как напр. sa -, se -, si -, с одной стороны, и pa -, pe -, pi -, с другой).

2. Гласные префиксы o - o -, $ɔ$ - e -, o - i -, характерные для занского языка, считаются в специальной научной литературе полученными от префиксов с согласными элементами вследствие исчезновения согласного ʃ š (šo - \rightarrow ɔo - \rightarrow o ...: Н. Марр, В. Беридзе), или d - d - (И. Кипшидзе), или ʒ h (А. Чикобава).

3. Однако эти объяснения неприемлемы, поскольку образование имен при помощи гласных префиксов отнюдь не является специфической особенностью только занского языка; оно характерно и для других картвельских языков — грузинского и сванского.

Доказательством этого служат пережиточные отыменные и отглагольные имена с гласными префиксами; напр. a - a -: a - ბანო (a - bano) 'баня' (гл. ბან-ს ban-s 'купает'), a - ლაგი a - lagi 'стезя, место' (инф. ლაგ-ება lag-eba 'убирать, класть'), a - დგოლი a - dgili 'место' (гл. დგ-ას dg-as 'стоит')... св. a - ყბა a - qba (гр. ყბა qba) 'челюсть'...; $ɔ$ - e -: $ɔ$ - ნა e - na 'язык', чан. $ɔ$ - ზმოჯა e - zmoǰa 'сон'... o - i -: o - გავი i - gavi 'притча' (гл. გ-ავ-ს h-gav-s 'похож'), o - სარი i - sari 'стрела' (инф. სრ-ოლა sr-ola 'стрелять')... св. o - სგ i - sg 'половина' и др. Следовательно, образование имен при помощи гласных префиксов исторически являлось общим свойством картвельских языков.

4. Выявленные гласные префиксы a - a - (= зан. o - o -), $ɔ$ - e -, o - i - имеют одинаковое с согласными префиксами sa - sa -, se - se -, si - si -, pa -, da -... значение. Наличие одних и тех же гласных элементов (a e i) во всех вариантах словообразующих префиксов дает возможность сделать два вывода:

а) можно разложить префиксы на согласный и гласный элементы: s - a -, s - e -, s - i -, p - a -, p - e -, p - i -, l - a -, l - e -, l - i -, d - a -, d - e -, d - i - и

в) выдвинуть положение принципиального характера: считать гласные элементы словообразующими префиксами, а согласные элементы, как это доказано в научной литературе, показателями грамматических классов (И. Джавахишвили, А. Чикобава).

ბიოგრაფიული

ზენის ზოგიერთი ძირითადი ფორმის წარმოშობისათვის ბუხარის არაბულ დიალექტში

თანამედროვე არაბულში პრეფიქსალური წარმოების მწკრივებში მრავალ-რიცხოვანი, სხვადასხვა მნიშვნელობის ნაწილაკი არის განვითარებული. მათი ფუნქციების შესახებ ჯერ კიდევ არ მოიპოვება სრული ცნობები. მით უმეტეს ძნელია რისამე გადაწყვეტით თქმა მათი გენეზისის შესახებ. ზოგადად, მათი დანიშნულებაა გამოხატონ: თანადროულობა, ხანგრძლივობა, ინტენცია. ყოველ შემთხვევაში წმინდა ტემპორალი ისინი არასდროს, ან თითქმის არასდროს არ არიან. აღმოსავლურ არაბულ დიალექტებში მათ რიცხვს ეკუთვნის *b* და *ba* ნაწილაკები¹. ამ ნაწილაკების ეტიმოლოგიები საბოლოოდ გარკვეული არ არის. პირველი მათგანი თითქოს *b* ნაწილაკთან უნდა იყოს დაკავშირებული. მეორე კიდევ მიჩნეულია შემოკლებად *by* „სურვილი“ ან *by* „სურვილი“ ზმნებისაგან (უფრო ნაკლებ სავარაუდოდელია, რომ ის წარმოდგებოდეს *b-udd par desir de*-საგან)².

აქედან *b(i)*-ჯერ კიდევ ლიტერატურულ ძეგლებში არის დადასტურებული უკვე XIV საუკუნიდან. საკმაოდ ხშირად გვხვდება იგი პრეფიქსალური წარმოების მწკრივებთან XV, XVI, XVII საუკუნეებში. ჩვეულებრივ იგი *ḥ* ან რომელიმე სხვა ზმნის პერფექტს მისდევს იმპერფექტის ფორმის წინ და სწორედ იმდროულს მოქმედებს აღნიშნავს. *kunnā lbārihata... binašrabu* „ჩვენ ვსვამდით გუშინ“ სიტყვა-სიტყვით „ჩვენ ვიყავით გუშინ ვსვამდით“ „*nous avons été la veille... à boire*“. *kāna biyal'abu ma'ī* „ის თამაშობდა ჩემთან“ = „იყო, თამაშობდა ჩემთან“, „*il était à jouer avec moi*“. ან კიდევ *ua 'anā 'anduru' ilā(y) lǧabali ššarkiyy uahna biyataqatta'u ua yaqa'u yamīnan ua šamālan tumma nadartu* „მე ვუყურებდე აღმოსავლეთის მთას და ის (სწორედ იმ დროს) იფშვნებოდა და ეცემოდა მარჯვნივ და მარცხნივ; მაშინ მე შევხედე...“ (Cohen-ი).

¹ G. Kampffmeyer, Beiträge zur Dialektologie des Arabischen, II. Die arabishe Verbalpartikel *b* (*m*): MSOS, II, 1900.

² Marcel Cohen, Le système verbal sémitique et l'expression du temps. Paris, 1924, p. 64.



იმპერფექტის ფორმები გვაქვს გამოყენებული: ana fat ualad akūn „მე ვარ“
ერთი შვილი ვარ (აწმყო)“. parizāta k̄ālet: „ana ilēik aḵūl“ „ფარიათ უთხრა:
„მე შენ გეუბნები“, rīt, k̄āī, eṣ midrīt?. šī arīt, k̄āī „ისურვე, უთხრა, რა
გინდა? — ერთი რამ მინდა, უთხრა“. იგივე ფორმა მყოფადისათვისაც არის
გამოყენებული: agal mō aḵūl, lah̄əm intni, agal lah̄əm aḵūl, mō inni (sic),
agal tamām iḵkūn, maḵah „წყალი თუ ვთქვი, ხორცი მომეცი, ხორცი თუ
ვთქვი, წყალი მომეცი, თუ გამოილიოს დავეცემი“. ualadi miḡi, k̄ālet, ana
ilēik azummik „ჩემი შვილი მოვა, უთხრა, მე შენ დავმალავ“.

ასეთი შემთხვევები იმპერფექტის ხმარებისა ხშირი არ არის, სამაგიეროდ,
m || mi ნაწილაკიანი ფორმები ჩვეულებრივია აწმყოს საწარმოებლად: mihr̄ip,
mihr̄ip, mi'āiin-ki haman „მირბის, მირბის, გაიხედავს და აქვეა“. min uarā
bāi'āḡli samanc̄i miḡi, farasin zin hiḡru „უკან ბოიოლლი-სამანჩი მოდის,
მის ქვეშ ერთი კარგი ცხენია“. eṣ midridīn? „რა გინდა“, mara k̄ālet i-zōḡa:
„hat kul(l) iām m̄hibbir, m̄kūl, kul(l) iām hamat šuḡlāt m̄hibbir'in“
„ცოლმა უთხრა თავის ქმარს: ... ეს მუდამ (ყოველ დღე) ატყობინებს (და)
ეუბნება, მუდამ (ყოველ დღე) ამ საქმეებს ატყობინებს“. zaḡīr k̄āī: ana mahāī“
„ყმაწვილმა უთხრა: მეშინია“. hat k̄ām-ki bint mā-hi, dabtu rakabu-iu m̄dau-
uar „ეს ადვა (და ნახა), რომ ქალი არ არის. შეჯდა ცხენზე და დაუწყო ძებნა
(ძებნის)“. hilāf miāḡdi „შემდეგ მიდის“. hint han eṣ missu? „შენ აქ რას
აკეთებ“. ხშირია ხსენებული ფორმების ხმარების შემთხვევები მყოფადის მნიშ-
ვნელობით. pāšā k̄āī: „ana manta'h, kalīt manta'h, hama' darau ta-iḡsūf, ta-
iḡflah“ „ფაშამ (=ემირმა) უთხრა: „მე მივცემ, მივცემ გასაღებს, მაგრამ მალე
ნახოს და გამოვიდეს“. dok k̄āī-ki hadīsi missa'-mi? -masa'h, k̄āī იმან
უთხრა: „ჩემს სიტყვას გააკეთებ? გავაკეთებ, უბასუხა“. deu k̄āī: „salā's
iāmāt da'ni“. -la', la mada'īk, maḵtilak. დევმა უთხრა: „სამ დღეს დამტოვე“.
— „არა, არ დაგტოვებ, მოგკლავ“. la', k̄ālet, iāḡd, 'auiz-bāi miḡi, mit'arak,
ilāi miḵtilni. „არა, — უთხრა, წადი, ცაეიზ-ბაჲ მოვა, იჩნუბებს, მე მომკლავს“.
kasīr la tibki, k̄āī, ana ilēik la maḵtilak „ბევრს ნუ ტირი, უთხრა, მე შენ
არ მოგკლავ“. mara k̄ālet: „fōḡ darb ualadi n̄rišša', ualadi mišūfu, miāhed,
miḡīb“ ქალმა უთხრა: „ჩემი შვილი გზაზე დავაგდოთ, ჩემი შვილი დაინახავს,
აიყვანს, მოიყვანს“. nahnu i pāšā eṣ n̄nkūl? „ჩვენ ფაშას რა ვუთხრათ“.
kālin-ki ša'r rasādna al-ba'az n̄nšiddihin, neḡrub, rasna n̄fturu, giddām

pāsā nāg̃di, nōnkūl-ki faṣ-ṣabī zarabna, rasādna fatarīn „თქვეს ჩვენი თავის თმები ერთმანეთს მივაბათ, ვცემოთ, დაგუმტვრიოთ (ერთმანეთს თავები), შემდეგ ფაშასთან მივიღეთ და ვუთხრათ, რომ ერთმა ბიჭმა გვცემა, თავები დაგვიმტვრია“.

არის შემთხვევები ერთიდაიმავე ფორმის ხმარებისა ორი მნიშვნელობით (აწმყოსა და მყოფადში), ერთსადაიმავე წინადადებაში. kāl-ki, hinti eṣ maṭ-kūlin, mazrupki „უთხრა, რას ამბობ შენ, გცემ“. ualadi miḡi, kālet ana ilēik azummi'k „ჩემი შვილი მოვა, უთხრა, მე შენ დაგმალავ“. ana ma'rifin, ana ilēik maḡūlin „მე ვიცი (ეს პირობები), მე შენ გეტყვი მათ“. მეორე მხრით გვაქვს შემთხვევები, როდესაც ნაწილაკიანი და უნაწილაკო ფორმები ერთად არის ნახმარი, ერთს წინადადებაში. dabti ašidda, maḡī „ცხენს დაეაბამ (და) მოვალ“. (მყობადი). adamīn kullum ma mi'rifūnu, ana ma'rifu „ყველა ადამიანებმა (ე. ი. არაფინ) არ იციან ის, მე კი ვიცი“.

ამგვარად, ფორმები m || mi ნაწილაკით და უმისოდ იხმარება ერთიმეორის პარალელურად, ერთიდაიმავე მნიშვნელობით და მოყვანილი მაგალითები მოწმობენ, რომ მათი ფუნქციების გარჩევა ერთმანეთისაგან საკმაოდ რთულია. ამ მხრივ ჩვენ სრული ანალოგია გვაქვს ეგვიპტისა და ნაწილობრივ სირია-პალესტინის დიალექტებთან.

პრეფიქსის ერთ-ერთი ფუნქცია თანადროულობის აღნიშვნაა. ეს განსაკუთრებით ჩანს წინადადებებში ორივე, ან რამდენიმე შემასმენლით, სადაც პრეფიქსიანი ფორმა უპრეფიქსოს მისდევს. ჩვეულებრივ იგი იხმარება აწმყოში, უპრეფიქსო ფორმების პარალელურად და ამ მხრივ სათანადო ეგვიპტური ფორმის იდენტური ჩანს. მაგრამ, განსხვავებით ეგვიპტურისა, მას მყოფადის მნიშვნელობაც აქვს. ამ მხრივ ის სირია-პალესტინის დიალექტებს უკავშირდება. ეს კაა, რომ სურვილის, ბრძანების, თხოვნის წინადადებებში ჩვეულებრივ უპრეფიქსო ფორმები იხმარება (allāh iḡallimak „ალლაჰი მოგესალმოს“), მსგავსად ეგვიპტურისა. წმინდა ტემპორალი ეს ნაწილაკი არასდროს არ არის. ასეთი შინაარსის აღსანიშნავად ჩვენი დიალექტი აღწერილობითს ფორმებს მიმართავს. ეს საშუალება, ტემპორალი შინაარსის აღნიშვნა აღწერილობითი წესით, დამხმარე ზმნებისა და სხვ. საშუალებით, ჯერ კიდევ კლასიკურს ენაში იჩენს თავს. ასე, მაგ., 𐤎 𐤍 იხმარება იმპერფექტის წინ ნამყო უწყვეტელის აღსანიშნავად. ამგვარადვე იხმარება h | hi პრეფიქსიანი ფორმები XIV—XVII საუკ. ზემოთდასახელებულ ლიტერატურულ ძეგლებში 𐤎 — ზმნასთან ნამყო უწყვეტელის აღსანიშნავად. ამგვარადვე გვაქვს სირია-პალესტინის დიალექტებში და აგრეთვე ბუხარის არაბულში: zaḡīr kēn miḡri „ყმაწვილი კითხულობდა“ (სწავლობდა). ḡah(t) salā' šigār kēn miriṣilla'h „დილაობით ბალახი მიჰქონდა ხოლმე მასთან“. kēn miḡḡdi iḡri „მოდითა ხოლმე (და) სწავლობდა“. kasīr zin kēn



māšūfū „ძალიან მოსწონდა“, kul sana bacāt hamāt kəm miāklīn „ყოველ წელიწადს ჭამდა ხოლმე ამ ბარტყებს“¹.

ამ შემთხვევაში ჩვენ აშკარად გამოხატულ დროის კატეგორია გვაქვს. კიდევ უფრო ცხადია ეს კონკრეტული აწმყოს წარმოების შემთხვევებში. ეს ფორმა, იმ სახით, როგორც ეს შუა აზიის დიალექტებში გვხვდება, მართო ამ დიალექტებისათვის არის დამახასიათებელი და არც კლასიკური ენიდან, არც სხვა დიალექტებიდან იგი ჩემთვის ცნობილი არ არის. განვითარებულია იგი, აშკარად, თურქულის (უზბეკურის) გავლენით, ამაზე მიუთითებს ხმარება მის საწარმოებლად nām დამხმარე ზმნისა, რომელსაც დიალექტში არა მართო ძილის, არამედ წოლის მნიშვნელობაც აქვს (შდრ. თურქ. jatmaq). ამგვარად, გვაქვს ჩვენ კონკრეტული აწმყოს ფორმები ნაწარმოები პრეფიქსიანი იმპერფექტითა და nām ზმნის მიმღეობის საშუალებით: iḡḡi nāim „მოღის“, mihib nāim „მირბის“, გარდამავალ ზმნასთან, მისი პირის ცვლასთან დაკავშირებით იცვლება აგრეთვე nāma ზმნის მიმღეობის პირებიც ... ნაცვალსახელოვანი სუფიქსების საშუალებით: tazrubu nāiminnak „შენ სცემ“, iktibu nāiminnu „ის სწერს“. il min tiktibu nāiminnak „ვისა სწერ?“, il fad adami aktibu nāimanni „ერთს კაცს ვწერ“. hal mara kən missanāt nāiima „ეს ქალი ყურს უგდებდა“. ეს ფორმები უკვე ტემპორალია და რაიმე სხვა შინაარსი მათ არა აქვთ.

ამგვარად, m || mi პრეფიქსიან ფორმებში ჩვენ სრული ანალოგია გვაქვს არაბულ დიალექტებთან და მისი კავშირი სპარსულ ۴-სთან საეჭვო ხდება. თუ ეს დებულება სწორია, მაშინ თავისთავად წყდება საკითხი მისი გენეტიკური ურთიერთობის შესახებ ხსენებულ ეგვიპტურ და სირია-პალესტინის h || hi-სთან. ამ მხრივ სრულებით ბუნებრივი ფონეტიკური შესატყვისობა გვაქვს. საყურადღებოა კიდევ ერთი ანალოგია. თუ სირია-პალესტინისა და ეგვიპტის h პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ფორმასთან ასიმილაციის შედეგად m-ს იძლევა, ბუხარის m იცვლება n-დ. (nəḥkūl „ვაშობოტ“, nəḥšilu „ვწვევთ“ nəḥšūfū „ვნახულობთ“, „ვნახავთ“ და სხვ.). ამაში თავს იჩენს I. პირის მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი პრეფიქსალური n-ს მასიმილირებელი ძალა (h > m, m > n).

თუ დებულება m || mi-ს კავშირის შესახებ ეგვიპტურ და სირია-პალესტინის h || hi-სთან სწორია, მაშინ საკითხი ამ უკანასკნელის ۴-საგან წარმოშობის შესახებ გადასინჯული უნდა იქნეს, ვინაიდან არ ჩანს მიზეზი, თუ პირვანდელი h-საგან რატომ უნდა მიგვეღო m. ერთადერთი გამართლება მას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა, თუ დაუშვებთ, რომ h შეიცვალა m-დ I-პირის მრავლობითი რიცხვის ფორმაში, შემდეგ კი აქედან გავრცელდა ანალოგიის გზით ყველა სხვა პირებზე, თვითონ კი n-დ გადაიქცა. მაგრამ ასეთი

¹ ანალოგიურს კონსტრუქციაში უპრეფიქსო ფორმებიც გვხვდება: ha'īd kən iḡḡdi. განსვავება მათ შორის აქ ყველაზე კარგად იჩენს თავს. თუ ერთი უბრალო ნამყო უწყვეტელს გამოხატავს („შორს მოდიოდა“), მეორეს დურატივის ნიუანსი აქვს („[ხატიბთან] დადიოდა სწავლობდა“); „დილობით ბალახი მიჰქონდა ხოლმე მასთან“, „ძალიან მოსწონდა“.

ვარაუდისათვის საფუძველი არ არსებობს, ვინაიდან ეს ფორმა არ არის გავრცელებული და ხშირად ხმარებული, რომ მას სხვა პირებზე გავრცელება მოეხდინა. გარდა ამისა *ḥ* ნაწილაკი მხოლოდ სახელს მიუძღვის წინ და არასდროს ზმნას და საექვოა, რომ იმპერფექტის ფორმებს ის წინ დართვოდა. ზმნაში ჩვენ გვაქვს ერთადერთი შემთხვევა მისი ხმარებისა, სწორედ ბოლოს, (*حَاب*) და არა წინ. ამიტომ საკითხი მისი სადაურობის შესახებ ამჟამად კიდევ უფრო საექვო ხდება.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ნაწილაკიანი ფორმები ჯერ კიდევ ძველ ენაში უნაწილაკოსთან პარალელურად იხმარება. ამგვარადვე გვაქვს ჩვენს დიალექტში. მაგრამ იგი შეუღარებლად უფრო ფართოდაა გავრცელებული, ვიდრე სათანადო მარტივი ფორმები. ექმნება შთაბეჭდილება, რომ მას აქვს ტენდენცია ამ ფორმების განდევნისა, თუმცა ჯერჯერობით მას ეს ვერ მოუხერხებია. ამის მიზეზია ნაწილაკიანი ფორმების ხმარების შეზღუდულობა გარკვეული ფონეტიკური პირობებით. ამისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ მისი ხმარების წესი: ყველაზე სრულად *m* || *mi* წინასართის ხმარებას ჩვენ ცარიელ ზმნებში ვხვდებით. ასე, ჩვენ მოგვეპოვება ბუხარის არაბულში ერთი მხრით მარტივი ფორმები: *išl* „ის იღებს“; *išl* < *iššl* < *itšl* „ის (ქალი) იღებს“. *išl* < *iššl* < *itšl* „შენ იღებ“; *išl* || *in* < *iššl* || *in* < *itšl* || *in* „შენ (ქალი) იღებ“; *išl* || *un* „ისინი (კაცები) იღებენ“; *išl* || *in* < *iššl* || *in* < *itšl* || *in* „თქვენ (ქალები) იღებთ“. *našl* „ჩვენ ვიღებთ“; მერე მხრით: *mišl* < *miššl* < *mitšl*, აგრეთვე *mišl* < *miššl* < *mitšl*; *mišl* || *in* < *miššl* || *in* < *mitšl* || *in*; *mašl*; *mišl* || *un*; *mišl* || *in* < *miššl* || *in* < *mitšl* || *in*; *mišl* || *un* < *miššl* || *un* < *mitšl* || *un*; *mišl* || *in* < *miššl* || *in* < *mitšl* || *in*; *našl*.

როგორც ამ სქემიდან ჩანს, ძნელია გარკვევა იმისა, გვაქვს ამ შემთხვევაში პრეფიქსის სახით *m* თუ *mi* ნაწილაკი. I-პირის მხ. რიცხვის ფორმა მხოლოდ *m*-ს იძლევა. უფრო რთულია საქმე სხვა შემთხვევებში. *m*-ს შემდეგ ხმარებული *i* შესაძლებელია აიხსნას ან როგორც პირვანდელი (მაშინ მხოლოდობითი რიცხვის I-პირის ფორმაში იგი დაკარგულად უნდა იქნეს მიჩნეული), ან როგორც პროთეტული ბგერა, გაჩენილი ორთანხმოვნიანი დასაწყისის გამოთქმის გასაადვილებლად. ასე, მაგ., III. პ. მდ. სქესის ფორმა *mišl* (*miššl*) შეიძლება ამგვარად აიხსნას: *tašl*, შემდეგ *a*-ს დაკარგვის შედეგად ვღებულობთ *tšl*, ორთანხმოვნიანი დასაწყისის გამოთქმის გასაადვილებლად ჩნდება პროთეტული ხმოვანი და ვღებულობთ ფორმას *itšl* (ასეთი ფორმა არის კიდევ დადასტურებული), რომელსაც შემდეგ ემატება *m* ნაწილაკი: *m-i-tšl*. მაგრამ იგივე ფორმა შეიძლება მიღებული იყოს ამგვარად: *tašl*, რომელსაც ემატება *mi* ნაწილაკი და პირველადი *mi-ta-šl*-საგან *a*-ს დაკარგვის შედეგად ვღებულობთ *mitšl* > *miššl* > *mišl*.

ასეა, თუ ისე, *m* || *mi* პრეფიქსი ყველა ზმნასთან გვხვდება. სახელდობრ, ისეთს ზმნებშიაც, რომლებსაც სამივე (აქ ჩვენთვის საინტერესოა პირველი ორი) თანხმოვანი ჯანსაღი აქვთ.

ასე, მაგ., *arab-hāne*-ის მეტყველებიდან: *mašhak* „ის იცინის“. *mašhak* „მე ვიცინი“, *miktib* „ის წერს“, *maktib* „მე ვწერ“, *mažrub* „ის სცემს“;



maZrub „მე ვცემ“, məʃhakm „ისინი იცინიან“, məshakm „ისინი იცინიან“.

ამ სქემაში არ არის მოცემული მაგალითები III პ. მხ. რიცხვის მდ. სქესისათვის; II-პირის მხ. რიცხვი ორივე სქესისათვის და მრ. რიცხვის I და II პირისათვის იმიტომ, რომ ასეთი ფორმები (m || mi პრეფიქსით) ხსენებულს დიალექტს არ მოეპოვება. რით აიხსნება ეს გარემოება? ამისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ ხსენებული ფორმების აღნაგობა.

შუა აზიის არაბულში, ისე როგორც სხვა დიალექტებში და აგრეთვე კლასიკურს არაბულში, მხოლოდობითი რიცხვის მესამე პირის მდებლობითი სქესისა და მეორე პირის ორივე სქესის ფორმებში, აგრეთვე მრავლობითი რიცხვის მეორე და პირველ პირებთან, სამთანხმონიან სწორ ზმნებში, აგრეთვე ისეთს ზმნებში, რომლებსაც პირველი და მეორე თანხმოვანი „ჯანსალი“ აქვთ, პრეფიქსალური თანხმოვანის შემდეგ არის ხმოვანი, რომელსაც ერთად თავმოყრილი ორი ძირეული თანხმოვანი მისდევს: ti-zhak nozhak და სხვ. ეს გარემოება ხელს უშლის პრეფიქსალური ხმოვნის დაკარგვას, რადგან ასეთ შემთხვევაში სამი თანხმოვანი იყრის თავს ხმოვნის დასაწყისში, რაც არაბული-სათვის სრულიად უჩვეულოა. სამთანხმონიანი დასაწყისის გამოთქმას ვერ გაადვილებდა ვერც პროთეტული ხმოვანი, რადგან ასეთ შემთხვევაშიაც მომდევნო მარცვალი (თუ პირველს სამ თანხმოვანთაგანს პირველ მარცვალს მივაკუთვნებდით) ორი თანხმოვნით იქნებოდა დაწყებული. იმიტომ ხსენებულ ზმნებში და ხსენებულ ფორმებში, დიალექტთა უმეტეს ნაწილში, და კერძოდ, შუა აზიის არაბულში, პირვანდელი მდგომარეობაა შენახული, მაშინ, როდესაც ცარიელ ზმნებში, ვინაიდან ხსენებული დაბრკოლება არ არსებობდა, პრეფიქსალური ხმოვანი იკარგება და მის ნაცვლად პროთეტული ხმოვანი ჩნდება. ამგვარად, პირვანდელი taZhak, taʃil-ისაგან გვაქვს ერთი მხრით tiʃhak, მეორე მხრით itʃil¹; როგორც ზემოთმოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, უ- m || mi — პრეფიქსო ფორმები ჩვენ სწორედ მაშინ გვაქვს, როდესაც მეორე მარცვალი ორი თანხმოვნით არის დაწყებული. ამ ფორმებისათვის m || mi ნაწილაკის მიმატებას აგრეთვე უნდა გამოეწვია ცვლილებები. tiʃhak ფორმისათვის m ნაწილაკის მიმატება არ შეიძლებოდა, რადგან ამ შემთხვევაში გვექნებოდა ორთანხმოვანი დასაწყისი, რაც ჩვენი დიალექტისათვის სრულიად შეუძლებელია. ხოლო თუ mi ნაწილიკი მიერთვოდა, მაშინ t-ს მიმდევნო i უნდა ამოვარდნილიყო და მიგველო mitʃhak, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მეორე მარცვალში გვექნებოდა ორთანხმოვანი დასაწყისი, ე. ი. მივიღებდით არაბული-სათვის არაბუნებრივი აგებულების მარცვალს.

¹ კერძოდ, ისეთ ზმნებში, რომლებიც ს თანხმოვნით იწყება, აღნიშნული ცვლილების შედეგად, t-სა და s-ს თავმოყრის გამო ასიმილაცია ხდება და ts-საგან ვღებულობთ s ორ-ს, ხოლო „ორი“ s შემდეგ ერთ s-ს იძლევა, ისე, რომ ფორმა სავსებით ემსგავსება მესამე პირის მარობითი სქესის ფორმას.

მაშასადამე, mi ნაწილაკის მიმატებისას t-ს მიმდევნო i ვერ დაეკარგა ბოდა, ე. ი. tishak ფორმა უცვლელი დარჩებოდა და მხოლოდ ამ ფორმას შეიძლებოდა მიერთვოდა წინ mi, მაგრამ ასეთს შემთხვევაში ჩვენ გვეჩვენებოდა მარცვალთა ახალი რაოდენობა tishak-ის ნაცვლად mi-tishak, ე. ი. პირვანდელი რიტმული სახე სიტყვისა იცვლება და რიტმის თვალსაზრისით ზმნის ფორმა თავის პირვანდელ ორიგინალს შორდება. სწორედ ეს გარემოებაა, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, მიზეზი იმისა, რომ ხსენებულ ფორმებში m || mi ნაწილაკი არ იხმარება. იმდენად ძლიერი იყო გრძნობა რიტმისა, გარკვეულ ფორმასთან მარცვალთა გარკვეული რაოდენობის კავშირი, რომ მეტყველებამ არ დაუშვა ახალი ფორმის განვითარება იქ, სადაც ზმნის პირვანდელი სახე იცვლება. იმ შემთხვევაში კი, სადაც პრეფიქსი მარცვალთა რაოდენობას არ სცილდება, იგი განვითარდა, სულ ერთია ეს, ცალიერი ზმნა იქნება, თუ ჯანსაღი, ორთანხმოვნიანი, თუ სამთანხმოვნიანი. ამით აიხსნება, რომ სამთანხმოვნიან სწორ ზმნაში ისეთი მრავალფეროვანი სურათი გვაქვს m || mi პრეფიქსის ხმარების მხრივ. იქ, სადაც პირველ სუქტუნიან ძირეულ თანხმოვანს მეორე თანხმოვანი მისდევს, პრეფიქსი არ ჩნდება, ხოლო თუ მას რაიმე ხმოვანი აქვს, მაშინ დაბრკოლება პრეფიქსის გაჩენისათვის აღარ არსებობს.

ამ მხრივ საყურადღებოა შუა აზიის არაბულის შედარება ეგვიპტისა და სირია-პალესტინის დიალექტებთან. ეგვიპტურში, სადაც მარცვლის ფაქტორი ისე ძლიერად არ მოქმედებს, როგორც შუა აზიის არაბულში, ზმნის ფორმათა რიტმი დარღვეულია და პირვანდელი tidrab, tidraby, tidrabū და სხვა ფორმებისაგან მიღებულია ახალი ფორმები, მარცვალთა ახალი რაოდენობით betid-rab, betidraby, betidrabū¹. სირია-პალესტინის დიალექტები სხვა გზით წავიდნენ. ტენდენცია მარცვალთა რაოდენობის შენახვისა აქ საკმაოდ ძლიერი იყო, მაგრამ დაბრკოლება, რომელიც პრეფიქსის გაჩენასთან იქმნება, ამ დიალექტებმა სხვა გზით დასძლიეს. მათთვის მარცვლის ორთანხმოვნიანი დასაწყისი უჩვეულო არ არის. ამიტომ ესენე არ ერიდებიან წინასართის თანხმოვნისათვის პირდაპირ პრეფიქსის (თანხმოვნის) მიმატებას. საქმე ისე შორს წავიდა, რომ მხოლოდობითი რიცხვის მეორე პირის მდებარეობითი სქესის ფორმა აქ დანარჩენი პირების ანალოგიით ორმარცვლიანი გახდა, თუმცა წარმოშობით იგი იმთავითვე განსხვავდებოდა სხვა ფორმებისაგან. ამგვარადვე მივიღეთ პალესტინის (ფელლაჰებისა და ქალაქის მცხოვრებლების) მეტყველებაში მარცვალთა თანაბარი რაოდენობისაგან შედგენილი ფორმები: biktib, btiktib, btiktib, btiktibi, baktib, btiktbu, mniktib. საყურადღებოა, რომ მრავლობითი რიცხვის ფორმებშიაც მარცვალთა იგივე რაოდენობაა მიღებული, რაც მხოლოდობითში. შუა აზიის არაბულმა (ბუზარის დიალექტმა) კი, რომელსაც არ სჩვევია მარცვლის

¹ ეგვიპტურის უღვლილების სქემა ასეთია: bejdrab, bidrab, betidrab, betidrab, betidraby, badrab, bejidrabu (bidrabū, bidrabum), betidrabū (betidrabum), menidrab. Spitta



ორთანხმოენიანი დასაწყისი, არ დაუშვა პრეფიქსების განვითარება ეს მარცვალთა რაოდენობის ცვლას გამოიწვევდა¹.

ზემოთქმულის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ ზმნის ფორმა, ისე როგორც, ალბათ, სიტყვა საერთოდ, გარდა იმისა, რომ არის ბგერათა კომპლექსი გარკვეული შინაარსისა, ძირეული და აფიქსალური ელემენტებით, ამავე დროს წარმოადგენს გარკვეულ რიტმულ ერთეულს მარცვალთა გარკვეული რაოდენობით. მასში შეიძლება მოხდეს ცვლილებები, განვითარდეს ახალი ელემენტები და სხვ. მხოლოდ მარცვალთა გარკვეული რაოდენობის ფარგლებში. თუ ახალი მოვლენა მარცვალთა რაოდენობას სცვლის, მაშინ იგი შეიძლება უკუგდებულ იქნას, ან დარჩეს, იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ძლიერია სიტყვის რიტმის შეგრძნების ფაქტორი. როგორც ჩანს მარცვალი არის ისეთი მოვლენა, რომელიც ენის მორფოლოგიურ აღნაგობაზე გავლენას ახდენს. ეს რა თქმა უნდა, ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ყველგან და ყოველთვის, ყველა ენაში და ყოველ შემთხვევაში სავალდებულოა მისი გავლენა ფორმათა აღნაგობაზე, რომ ენაში არ შეიძლება განვითარდეს ახალი ელემენტი, რომელიც მარცვალთა რაოდენობის ცვლას გამოიწვევს, ან რომ ეს რაოდენობა მარცვლებისა თითოეულ სიტყვაში წარმოადგენს აბსოლუტურ სიდიდეს, რომლის ფარგლებშიაც უნდა ხდებოდეს შემდეგი ცვლილებები. ეს შეცდომა იქნება. ისე როგორც მახვილი და ტონი არიან გლოტიკური ფუნქციის მატარებელნი მხოლოდ გარკვეული ენებისათვის და გარკვეულ შემთხვევებში, იმგვარადვე მარცვლის ფაქტორი, როგორც ზემოთ ხსენებული სამი დიალექტის ერთმანეთთან შედარებით ირკვევა, აგრეთვე გარკვეული ენებისა და გარკვეული შემთხვევისათვის მოქმედებს. გარდა ამისა, პირვანდელი ფორმა (მარცვალთა გარკვეული რაოდენობის მქონე) არ არის რაღაც აბსოლუტური სიდიდე, იმთავითვე მიცემული, არამედ წარმოადგენს მოდელს, საფუძველს, მისგან ახალი ფორმების წარმოების დროს. იმ ენებშიაც, სადაც სილაბიზმის ჩვენ მიერ აღნიშნული წესი მოქმედებს, არ შეიძლება ყველაფერი ამ წესის მიხედვით იქნას ახსნილი. არსებობს სხვა, მრავალრიცხოვანი ფაქტორი, რომელიც შეიძლება საწინააღმდეგო მიმართულებით მოქმედებდეს და იმისდა მიხედვით, თუ რომელი ფაქტორის მოქმედება უფრო ძლიერია, შედეგებიც შეიძლება სხვადასხვა იყოს. მაგრამ ხსენებულ ფაქტორთა გათვალისწინების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აგრეთვე მარცვლის ფაქტორიც. შესაძლებელია ამან ჩვენ საშუალება მოგვცეს გავარკვიოთ ზოგიერთი მოვლენა, რომელიც სხვა ფაქტორთა გავლენით ძნელად თუ შეიძლება აიხსნას.

სტალინის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სემიტოლოგიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1947. IX. 11).

¹ ძნელი იქნებოდა ხსენებული მოვლენის ახსნა რაიმე სხვა ფაქტორით, მაგ., მახვილის გავლენით. ვინც იცნობს მახვილის ხმარების წესს ზემოთგანხილულ ფორმებთან არაბულს დიალექტებში, მისთვის აშკარა იქნება, რომ მახვილი აქ არაფერ შუაშია.

გადაეცა წარმოებას 9/1 47 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/X-47 წ. ტირაჟი 500.
სასტამბო თაბახი 31,25 სააღ.-საგამ. თაბახი 39, ანაწყოების ზომა 7×11. უე 13702
გამომცემლობის შეკვეთა № 4. სტამბის შეკვეთა № 7.

ს ტ ა ლ ი ნ ი ს სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტ. გამომც. სტამბა, მარის ქ., 1